

როინ ჭიკაძე

ქალღმერთებისა  
ქართული  
სიტყვიერებისა



იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

როინ ჭიკაძე

ძალმოსილება ქართული სიტყვიერებისა

გამომცემლობა „პერიდიანი“  
თბილისი 2014

უაკ. (UDC) 821.353.1.09

ჭ-45

რედაქტორი გიორგი გოგოლაშვილი

ტექნიკური რედაქტორი ლევან ვაშაკიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა რუსუდან გრიგოლიასი

© როინ ჭიკაძე

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014

ISBN 978-9941-10-883-9

## კალმოსილება მშენიერის სიტყვისა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ როინ ჭიკაძეს ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება ძირითადად იცნობს როგორც გრამატიკოსს. ქართული ენის სინტაქსის საკითხებზე საუბარი მისი შრომების გათვალისწინების გარეშე დღეს წარმოუდგენელია. იგი ამ დარგში ანგარიშგასაწევი ავტორია... ეს ერთი მხარეა მისი მოღვაწეობისა...

ქართული საუნივერსიტეტო საზოგადოება ბატონ როინს იცნობს, როგორც უმაღლესი განათლების დამსახურებულ მოღვაწეს. დიახ, როცა დაიწერება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია, იქ ბატონი როინ ჭიკაძე ღირსეულ ადგილს დაიჭერს; სხვა რომ არა იყოს, იგი ათეული წლების მანძილზე წარმართავდა ამ უმაღლესი სასწავლებლის ცხოვრებას (როგორც კათედრის გამგე, პრორექტორი, რექტორი). ეს პერიოდი თესაუს ისტორიაში გამოირჩეოდა სიახლეებით, ინიციატივებით...

ბატონი როინ ჭიკაძის ერთ-ერთი ასეთი ინიციატივა იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად საფუძველჩაყრილი ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია „კლასიკოსთა გაკვეთილები“. 1991 წელს იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციით ჩაეყარა საფუძველი ამ ტრადიციას. შემდგომ იყო ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვათა შემოქმედებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები; 2014 წელს „კლასიკოსთა გაკვეთილებს“ შიო არაგვისპირელი „მასპინძლობდა“; ეს იყო 21-ე გაკვეთილი... როინ ჭიკაძე იყო არა მარტო სულისჩამდგმელი ამ კონფერენციათა, არამედ იგი ყოველ „გაკვეთილზე“ უაღრესად საინტერესოდ წარმოაჩენდა კლასიკოსთა ენობრივ სამყაროს. სწორედ „კლასიკოსთა გაკვეთილებზე“ წაკითხული მოხსენებები არის წარმოდგენილი ამ წიგნის პირველ ნაწილში. აქ არის მეცნიერული გამოკვლევებიც და ესეებიც, პუბლიცისტური ნარკვევებიც და ჩანახატებიც... და ყველა მათგანში კარ-

გად ჩანს ძალმოსილება მეცნიერის სიტყვისა; მისი ლიტერატურული გემოვნება, სიყვარული და მოკრძალება დედაენისა თუ დედაენის მსახურებისადმი... და დღეს გვაქვს შესაძლებლობა, ერთად თავმოყრილი ვიხილოთ ეს ნააზრევი და მივიღოთ სიამოვნება ამ წიგნის კითხვით...

წიგნის მეორე ნაწილი გიორგი ლეონიძეს ეძღვნება. გიორგი ლეონიძე ბატონი როინ ჭიკაძის განსაკუთრებული ფიქრისა და რუდუნების საგანი იყო; იკვლევდა კლასიკოსი პოეტის დამოკიდებულებას ქართული ენისადმი, ქართული სიტყვისადმი; მგოსნის ენობრივ სამყაროს... ავტორმა ამ მონოგრაფიული კვლევით შეძლო გიორგი ლეონიძის შემოქმედება სხვა კუთხითა და სხვა თვალთ დაენახებინა მკითხველისადმი... ვისაც გიორგი ლეონიძის ენობრივი სამყაროს გაცნობა უნდა, ეს წიგნი ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს მას...

როგორც ვთქვით, მთელი წიგნი ქართული ენის სიყვარულის, ქართული ენისადმი მუხლჩაუხრელი მსახურების ნათელი მაგალითია... დიდხანს არ მოკვლებოდეს ქართულ ენას ბატონი როინ ჭიკაძის მახვილი თვალისა და მართალი შრომის ნაყოფი...

**გიორგი გოგოლაშვილი**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სახელმწიფოს ისტორიიდან

*„სწავლა, ცოდნა და მეცნიერება! აი, ამამაღლებელი ადამიანისა!“*

*(იაკობ გოგებაშვილი)*

იაკობ გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავზე, 1940 წლის 28 ოქტომბერს, თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტს მიენიჭა დიდი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის სახელი. ამ სახელდების ინიციატორები იყვნენ პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე და მეცნიერ-პედაგოგი გიორგი თავზიშვილი. „თქვენი ინსტიტუტი მე მიყვარს და მინდა იცოდეთ, რომ ის თავის დროზე მე და გიორგი თავზიშვილმა მოვნათლეთ იაკობ გოგებაშვილის სახელზე“ — მოსალოცი ბარათით იტყობინებოდა გიორგი ლეონიძე ინსტიტუტის 25 წლის საიბუღეო თარიღთან დაკავშირებით.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რატომ ეწოდა თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტს იაკობ გოგებაშვილის სახელი? მისი ცხოვრება და მოღვაწეობა უშუალოდ ხომ არ ყოფილა დაკავშირებული თელავთან? უპრიანი ხომ არ იქნებოდა, გორის პედაგოგიური ინსტიტუტი ყოფილიყო იაკობ გოგებაშვილის სახელობისა? თუმცა კი ამ მხრივ თავდაპირველად თბილისისა და თელავის სასწავლებლებთან ერთად გორის პედაგოგიური სასწავლებლებიც დაუკავშირდა იაკობ გოგებაშვილის სახელს. კერძოდ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებულებით გამოჩენილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავად იაკობ გოგებაშვილის სახელი მიენიჭა:

1. თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტს;
2. გორის პედაგოგიურ სასწავლებელს;
3. თბილისის პირველ პედაგოგიურ სასწავლებელს;
4. გორის რაიონის სოფ. ვარიანის არასრულ საშუალო სკოლას.

ამასთანავე, გორსაც და თელავსაც უცნაურად დაებედა ახლო წარსულის თითქმის ერთნაირი საგანმანათლებლო ტრადიცია:

გასული საუკუნის 30-იან წლებში გორსა და თელავში ფუნქციონირებდა ორწლიანი სამასწავლებლო სასწავლებლები, რომლებიც 1939 გადაკეთდა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტებად; გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს ეწოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი, ხოლო თელავისას — იაკობ გოგებაშვილის სახელი. 1999 წელს ორსავე პედაგოგიურ ინსტიტუტს მიენიჭა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი მემკვიდრეა საკმაოდ შთამბეჭდავი ახლო თუ შორეული საგანმანათლებლო წარსულისა. ამ უნივერსიტეტის უშუალო წინაპარი გახლდათ თელავის პედაგოგიური ტექნიკუმი, რომელიც გაიხსნა 1924 წელს. სწორედ ამ პედაგოგიური სასწავლებლის ბაზაზე დაფუძნდა თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

ნიშანდობლივია, რომ პედაგოგიური ინსტიტუტი 1973 წლამდე განთავსებული იყო მეფე ერეკლე მეორის სასახლეში; იმ ერეკლე მეფისა, რომელმაც ანტონ კათალიკოსთან ერთად შეიმუშავა სამი უმაღლესი სასწავლებლის დაარსების პროექტი. ამ პროექტის მიხედვით განათლების ცენტრებად იქცეოდა თბილისი, გორი და თელავი.

მართალია, ანტონ პირველი კათალიკოსი გულმტკინეულობდა: „მოვიცალე სხუათა ყოველთა კეთილთაგან და არა მოვიცალე საქართველოსა მსახურებისაგან“-ო, მაგრამ მან, როგორც მწიგნობარმა და განმანათლებელმა, მაინც „მოიცალა“ „ყოველთა კეთილთაგან“ და ერეკლე მეფის თანხმობითა და ხელშეწყობით 1758 წლის 26 ოქტომბერს თელავში გახსნა ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო სკოლა, რომლის პირველი რექტორი გახლდათ ანტონ კათალიკოსის თანამოაზრე, ფრიად განსწავლული პიროვნება ფილიპე ყაითმა-

ზაშვილი. სკოლამ იარსება 1782 წლამდე; ამავე წლის 28 მაისს კი ამ სკოლის რეორგანიზაციის შედეგად არქიმანდრიტ გაიოზის თაოსნობით საზეიმოდ გაიხსნა სასულიერო სემინარია. აღნიშნული სასწავლებლის მადლმოსილებას ეზიარნენ ისეთი თვალსაჩინო მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: „კალმასობის“ ავტორი იოანე ბატონიშვილი, პირველი ქართველი აკადემიკოსი თეიმურაზ ბაგრატიონი, ერეკლე მეორის სამეფო კარის მსაჯული სოლომონ ლიონიძე, საყოველთაოდ აღიარებული მწიგნობარი დავით ფანასკერტელ-ციციშვილი და სხვა.

ასე რომ, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ისტორიულად საკმაოდ მძლავრ საგანმანათლებლო ბაზაა დასაყრდენი დასაყრდენი.

მართლაც ფასდაუდებელია მეფე ერეკლესი და ანტონ კათალიკოსის საგანმანათლებლო ინიციატივები, რასაც შემდგომ გვირგვინი დაადგეს დავით და გაიოზ რექტორებმა. სწორედ ერეკლე მეფისეულ ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო სასწავლებლიდან ამოიზარდა თელავის პირველი საჯარო სკოლა, რომლის ძირძველ კედლებში დაფრთიანდნენ სახელოვანი მამულიშვილები: ქართული მწერლობის მშვენიერება ვაჟა-ფშაველა, პოეტი იროდიონ ევლოშვილი, პედაგოგი და მწერალი დავით ჩხეიძე (თურდოსპირელი), კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი, რეჟისორი სანდრო ახმეტელი, მსოფლიოში ცნობილი ფიზიოლოგი ივანე ბერიტაშვილი...

ამ სკოლაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა შესანიშნავი ქართველი მწერალი ვასილ ბარნოვი.

გიორგი ლეონიძე დიდად აფასებდა დავით რექტორის ღვაწლს; იგი თელავის ინსტიტუტის ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს დავით რექტორის მემკვიდრეებად სახავდა და ერთ-ერთი კერძო წერილით შემოუთვალა:

„სალამი დავით რექტორის მემკვიდრეებს...

სიტყვამ მოიტანა და რაღა გყავთ მიგდებული დავით რექტორი... თელავის პირველი რექტორი, — განმანათლებელი, თავისი დროისათვის ძალზე ცნობილი ფიგურა... ჩაუჯექით ვინმე და დაწერეთ მის შესახებ ნაშრომი. ამას გარდა, დაახატინეთ მისი სურათი და თქვენს ინსტიტუტში, დარბაზში ჩამოაკიდეთ.

არ გვპატიებათ... თორემ ასი წლის შემდეგ თქვენც ასე დაგი-  
ვიწყებენ".

მართლაც არ გვპატიება დიდი წინაპრების ღვაწლის დაუფა-  
სებლობა. ჩვენი წმიდათა-წმიდა მოვალეობაა, გაუფრთხილდეთ მათ  
სახელებსა და ნაღვაწს, „რომ წინ წარგვიძღვეს ჭეშმარიტება, უკან  
პრჩეს კვალი განათლებული".

და ეს კვალი ნათელი ნიშანსვეტად დაედგა თელავის სახელ-  
მწიფო უნივერსიტეტს 1940 წლიდან, როცა ღირსყვეს იაკობ გოგე-  
ბაშვილის სახელდებისა.

თუმცა ისიც კარგად გვაქვს გათავისებული, რომ იაკობ გოგე-  
ბაშვილის მოღვაწეობის ასპარეზი შეუდარებლად ვრცელა და ფარ-  
თო; როგორც აკაკი წერეთელი იტყოდა, „მთელ საქართველოში ია-  
კობ გოგებაშვილი ერთადერთი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით  
და ენერგიით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს სა-  
მსახურს უწევს მთელ ქართველობას". ამიტომაც იყო, რომ ეროვნუ-  
ლი მეობის გადასარჩენად იაკობ გოგებაშვილმა ილიასეულ სამ  
ღვთაებრივ საუნჯეს – მამულს, ენასა და სარწმუნოებას – ამოუყე-  
ნა მეოთხე ბურჯი – ეროვნული სკოლა. „იაკობის აზრით, ჩვენს  
ეროვნულობას ოთხი ბურჯი აქვს, ოთხი ეროვნული (ნაციონალუ-  
რი) ძალა ამოდრავებს: მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუ-  
ნოება... იაკობ გოგებაშვილის დამსახურება ისაა, რომ მან ქართვე-  
ლობას გაუცნობიერა არსი და მნიშვნელობა ამ ოთხი ეროვნული  
ბურჯისა და პირადი მაგალითი უჩვენა მათი უანგარო, თავდადებუ-  
ლი მსახურებისა" (გოგოლაშვილი, 2012, 6).

მართალია, „სახარება", „ვეფხისტყაოსანი" და „ქართლის  
ცხოვრება" იყო შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო იდე-  
ურ-პოლიტიკური საყრდენი" (მეტრეველი, 2014), მაგრამ ამ წმინდა  
წიგნებს თამამად შეიძლება ამოვუყენოთ მეოთხე საყრდენი – „დე-  
დაენა", ვინაიდან „იაკობ გოგებაშვილის „დედაენამ" ახალი ქართუ-  
ლი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, განვითარებასა და და-  
მკვიდრებაში ისეთივე როლი შეასრულა, როგორც წმინდა სახარებამ  
ძველი ქართული ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში" (გოგო-  
ლაშვილი, 2012, 10).

მაშასადამე, ქართველი ხალხის ეროვნულობას განამტკიცებს გოგებაშვილისეული ოთხი ბურჯი: მამული, ენა, ეროვნული სკოლა, სარწმუნოება და ოთხი საყრდენი: „სახარება“, „ვეფხისტყაოსანი“, „ქართლის ცხოვრება“, „დედაენა“.

და რაც უფრო დრო გადის, მით უფრო იზრდება გოგებაშვილის მოღვაწეობის მნიშვნელობა; ახლახანს, 14 აპრილს, „დედაენის დღეს“, კულტურის სამინისტრომ გვამცნო, რომ ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შექმნის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია მიენიჭება, რაც ეფუძნება ამ მეთოდის საყოველთაო აღიარებას, როცა 2013 წელს გოგებაშვილის ამ მეთოდს მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

ამიტომაცაა, რომ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი გრძნობს უდიდეს პასუხისმგებლობას ამ წმინდა სახელის წინაშე და გათავისებული აქვს დიდი იაკობის შეგონება: „სწავლა, ცოდნა და მეცნიერება ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვერაფერი ვერ დაუდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალი მოგერიებისათვის“. თელავის უნივერსიტეტი ამაყობს, რომ მას დაენათლა ქართული პედაგოგიური აზროვნების მესაძირკვლის იაკობ გოგებაშვილის სახელი და ეწოდება იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

## ლიტერატურა

თენგიზ ალდამაძე, თელავის I სკოლა, თელავი, 2001.

დარეჯან გამტკიცულაშვილი, თელავის პირველი საჯარო სკოლის 255-წლიანი ისტორიის ფურცლები (ხელნაწერის უფლებით), თელავი, 2013.

გიორგი გოგოლაშვილი, დედაწლი და წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2012.

მამია დარჩია, გაიოზ რექტორი, ოსუ გამომცემლობა, თბილისი, 1972.

როინ მეტრეველი, „ქართლის ცხოვრება“ ინგლისურ ენაზე, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, № 16, 2014.

ალექსანდრე ფოცხიშვილი, ანტონ პირველი ბაგრატიონი და ქართველი საზოგადოებრიობა, გამომცემლობა „ვეფხისტყაოსანი“, თბილისი, 1996.

როინ ჭიკაძე, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თესაუ-ს შრომები, I (X), 1999.

როინ ჭიკაძე, ნალვაწი განმად დაშთების, ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები, გორი, 2013.

ალექსანდრე ხახანაშვილი, კათალიკოს ანტონ პირველის ცხოვრება და მოღვაწეობა. საღვთისმეტყველო კრებული – ანტონ პირველი ბაგრატიონი, გამომცემლობა „საქართველოს საპატრიარქო“, თბილისი, 1991.

## რუსთველური სახისმეტყველება „დავითიანში“

ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა სამართლიანი აღიარებით რუსთაველის შემდეგ დავით გურამიშვილზე უფრო დიდი პოეტი ძველ საქართველოს არა ყოფილა.

აღორძინების ხანის კლასიკოსი პოეტის – დავით გურამიშვილის – ცხოვრება და შემოქმედება სარკეა მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს უძმომესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებისა, როცა „მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლადა“ (83, 321, 2). ამ პერიოდში „მით იკლო სწავლამა; ჩვენში ლექთ დავლამა წიგნნი წარსტყვევნა. დარჩნენ უწიგნო ბერებ-ხუცები... ყრმანი უწვრთნელ-უცები“ (272, 475-476). მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი უძმომესი ვითარებისა, გურამიშვილს „კარგად შეუსწავლია საღმრთო წერილი, ქართული ლიტერატურა და ზოგი სხვა რამ სამეცნიერო დარგიდან“ (5, 638). მის განსწავლულობას დიდად შეუწყო ხელი ბედის უკუღმართობისაგან რუსეთში გადახვეწილი ვახტანგ VI-ის კარზე ყოფნამ, სადაც მეფე-პოეტის მდიდარი ბიბლიოთეკის მეშვეობით გურამიშვილი ხარბად დაეწაფა ქართულ კლასიკურ ლიტერატურას. მშობლიურ კერას მოწყვეტილი პოეტის ღრმად ეროვნულობასა და ქართული ენის საგანძურის ბრწყინვალედ ფლობას სწორედ ეს ლიტერატურული მემკვიდრეობა განაპირობებდა. დ. გურამიშვილის შემოქმედებას ასაზრდოებდა ქართული ლიტერატურის ტრადიციები, სასულიერო პოეზია და ფოლკლორი, უმთავრესად კი „ვეფხისტყაოსანი“ და ბიბლია (ნატროშვილი, 1980, 127) „დავითს როგორც პოეტს უფრო ვეფხისტყაოსანი ასაზრდოებს, ხოლო როგორც მორწმუნეს – ბიბლია“ (8, 302).

გასაოცარია გურამიშვილის ქმნილებათა ლექსიკის სიმდიდრე, რაზედაც სასიკეთო ზეგავლენა მოუხდენია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს (7, 584; 8, 300). იმასაც მიუთითებენ, რომ დავით გურამიშვილი დგას ქართული ენის ისეთი რეფორმატორების გვერდით, როგორებიც არიან ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი (15, 51).

ამრიგად, „ვახტანგ მეექვსის უნივერსიტეტში“ (გ. ლეონიძის გამოთქმა) ყოფნას გურამიშვილისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია.

დავით გურამიშვილის ლიტერატურულ მასწავლებელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უთუოდ შ. რუსთაველს უკავია. „დავითიანის“ ავტორი ხომ დიდი მცოდნე იყო „ვეფხისტყაოსნისა“, შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა (9, 144). იგი იცავდა ვეფხისტყაოსნის ალეგორიულობის იდეას (8, 171-172; 4, 7).

როდესაც ბრძენმან რიტორმან შოთამ რგო იგავთ ზეო და, ფესვ ღრმა-ჰყო, შტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწეოდა (4, 4).

გურამიშვილის მხატვრული სამყაროს თავისებურება განპირობებულია სიმბოლურ-ალეგორიულ ფორმათა მთელი სისტემით (1, 162). რუსთაველის მიბაძვით დავით გურამიშვილიც მიმართავს „იგავურ“ ხერხს:

ამისათვის მე არ შევსძექვე, რაც იგავთ ზე ველად (3, 3, 2).  
აქ „დავითიანი“ ცხადდება იგავთ ზედ (12, 54); „მისი იდეალი პოეზიისა განხორციელებულია რუსთაველში“ (5, 658); მსგავსი პოეტი სხვა არავინ ვგულებს: „ლექსი რუსთველისებერ ნათქვამი მე სხვისა ვერ ვნახეო და“ (4, 4).

დ. გურამიშვილი რუსთველისადმი მიბაძვასაც კი კანდიერებად მიიჩნევს:

„ვით მხედარს – ყრმისა მცირისა წკეპლასა ზედან მიიჩნევს: მიემსგავსების ცხენოსანს ჯოხით რბენა და ხლდომანი, ვგრეთვე შოთა რუსთველსა ეს ჩემი ლექსთ მიხდომანი ცუდად მომიხდა გვაჯითა ბაძით უმსგავსო ნდომანი (4, 5).

იგი ქედს იხრის „ბრძენი რიტორის“ პოეტური გენიის წინაშე: მე რუსთველსა ლექსს არ უდრი, ვით მარგალიტს – ჩალის ძირსა (4, 7).

გურამიშვილი „ამას ღონობს“, რომ „ბაძით უმსგავსო ნდომანი“ გამოუვიდა, როცა ვერ შეძლო რუსთველურად „გრძლად თქმა“:

რაც დამრჩა, ვერ ვთქვი, მეწადა მეთქვა გრძლად, თავი მეცადა, ვერა ვსთქვი, მოცდას უცდიდი, ნეტამცა არა მეცადა (6, 14).

შდრ. რუსთაველი: მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად (7, 4).

რუსთაველისადმი გურამიშვილისმიერი „ბაძით ნლომანი“ ლექსთწყობაშიაც მულანდება, როცა ის რუსთველურ 16-მარცვლიან ლექსს იყენებს (5, 658).

„ვეფხისტყაოსნის“ სული დაჰქრის „დავითიანის“ სტრიქონებში, რაც ხან იოლად შესამჩნევია, ხანაც ძნელად მისაკვლეველი“ (8, გვ. 301).

ე. მალრაძე იმოწმებს „დავითიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ შემხვედრ სტრიქონებს (8, 275-276):

„მოთა რუსთაველის:

გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი,  
და:

რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან.  
რემინისციენციებს იწვევს დავით გურამიშვილის „მხიარული ზაფხულის“ შემდეგი სტრიქონები:

სხგანი ფრინველნი ამბობენ ბანსა,  
ქვემძრომთ ხმა ესმით, სახლს ხდიან ბანსა.

ჩაყრილნი ხაროდა

ზე გასახაროდა

ამოძვრენ ველად.

რუსთაველის 653-ე სტროფს ეხმიანება დავით გურამიშვილის „დავითიანის“ მესამოცე სტროფი:

**რუსთაველი:**

რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი,  
მან სხვა უხმოს მკურნალი და მაჯასისა შემტყვებარი.  
მას უამბოს, როცა სჭირდეს სენი ცეცხლთა მომდებარი:  
სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.

**გურამიშვილი:**

რა გინდ ბრძენ იყოს მკურნალი, კარგად ატყობდეს მაჯასა,  
სხვისას შეიტყობს, თავისას ვერას გაიგებს ზვანჯასა:  
თვით სხვას უწამლებს, თავისთვის სხვაზე მიჰყულებს ბარჯასა,  
მე ვერ ვირგე და თქვენ გარგე, ამაღ რად მიზამთ ჯაჯასა.

**რუსთაველი:**

თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა:  
ხამს მამაცი მამაცური, სჯობს, რაზომცა ნელად ტირსა,

ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა,  
თავისასა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა.

**გურამიშვილი:**

კაცი თავს ვერას გაუვა ცრუის საწუთროს მდურვასა,  
უნდა, რომ კაცმა გაუძლოს, ჭირს შეყრის ცხრასა თუ რვასა!  
სჯობია ისევ მოლხენა წუხილსა, ჭმუნვა-ურვასა,  
გირჩევ დაეხსენ მაგდენსა ცრემლსა და ოფლში ცურვასა.

**რუსთაველი:**

ვერ გადავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა.

**გურამიშვილი:**

კაცი ხომ ვერსად წაუვა სიკვდილსა, ზეთის ბრძანებასა.

**რუსთაველი:**

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!  
ყოვლი შენი მონღობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!  
სად წაიყვან საღაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!  
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა.

**გურამიშვილი:**

ამდ ვემდური საწუთროს, თორემ სხვა რა მაქვს სადაო?  
სად მომიყვანა სა მყოფი, კიდევ მივეყვარ სადაო!..

**ან:**

ამაზედ არის ჩემი და ცრუის საწუთროს ჩხუბია,  
სად კაცს არ უნდა, წარიყვანს, ყელზე საბელი უბია...

**ან კიდევ:**

ვინც მოგენდობის, არ ინდობ, არა გაქვს ერთი პირია,  
ასეთის საქმის მქნელი ხარ, ხან ვიმღერ, ხან კი ვსტირია.

**რუსთაველი:**

არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან!

**გურამიშვილი:**

შენი ვარდისა კონები გულზედ მჭვლად დანაჭირია.

საერთოდაც, მოულოდნელი არ უნდა იყოს დ. გურამიშვილის  
„პოეტური მასწავლებლის“ შოთა რუსთაველის გავლენა „დავითიან-

ზე". რუსთველური სახისმეტყველების ანარეკლზე ერთ-ერთმა პირველმა მიუთითა პოეტმა-მკვლევარმა გ. ლეონიძემ: „მიუხედავად დიდი მოკრძალებისა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის წინაშე, გურამიშვილს მხოლოდ ერთგან შევნიშნეთ პირდაპირი რუსთაველური სახე (ხაზი ჩვენი, რ. ჭ.): „თვალნი საწვიმრად მას აუქუხდა (7, გვ. 584). როგორც ჩანს მკვლევარს მხედველობაში აქვს რუსთველური: ნარგისნი ქუხან, ცრემლსა სწვიმს (975, 4).

მკვლევრებს (9, 454-455; 8, 272-274) შენიშნული აქვთ გურამიშვილისეული და რუსთველური სტროფების იდენტურობა:

**გურამიშვილი:** ყოველი წული მშობელთა, მზგავსი მზგავსს ემზგავსებიან.

**რუსთაველი:** მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია.

ტ. მოსია კიდევ უფრო აზუსტებს ამ მოსაზრებას : „უფრო სამართლიანი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ რუსთაველი და გურამიშვილი ქართულ სინამდვილეს ემყარებიან. პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნის“ იონანე პეტრიწისეულ თარგმანში ვკითხულობთ: „რამეთუ მსგავსნი მსგავსებისა მიერ იქმნებიან მსგავს და არა უმსგავსობისა მიერ. ვინაჲ გზავნაჲ არსებითი შორის უდარესობითსა შთამობასა დაიცავს მასვეობასა შობილისასა მშობელისა მიმართ“.

ვფიქრობთ, დავით გურამიშვილის წყარო „კავშირნის“ ქართული თარგმანია. ვლინდება, რომ იგი უშუალოდ იცნობდა პეტრიწის შრომებს. მასზე მიგვანიშნებს საანალიზო საილუსტრაციო ნიმუშების აზრობრივ-შინაარსობრივთან ერთად ტექსტობრივი სიახლოვეც.

**გურამიშვილი:**

„ყოველი წული მშობელთა მზგავსი მზგავსს ემზგავსებიან“.

**„კავშირნი“:**

მსგავსი მსგავსებისა მიერ იქმნებიან მსგავს... მასვეობასა შობილისასა მშობელისა მიმართ“ (9, გვ. 455).

„იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ ურთიერთშესადარია ორი გენიალური პოეტის – რუსთაველისა და გურამიშვილის – სტრიქონთა საკვირველი ნაჭედობა, შემოქმედებითი სითამამე, ლექსის შე-

უბორკავი, თავაწყვეტილი მდინარება, „ვეფხისტყაოსნიდან“ და „ღვთიანიდან“ დაბალი შაირით განწყობილი თითო სტროფის მოტანაც იკმარებს.

ნესტანი არივებს ტარიელს, თუ ხვარაზმძას შეილის მოკვლის შემდეგ რა უთხრას მამას, ინდოეთის მკვრობელს, ფარსადან მეფეს:

იგი რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა, ჩემსა მამასა,  
ჰკადრე, თუ: სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა,  
ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა,  
არ დამეხსნები, გაგიხდი ქალაქსა, ვითა ტრამასა.

მოხმობილ სტროფს გვინდა დაუწყვილოთ ერთ-ერთი ყველაზე დრამატული ადგილი თავისა – „დავით გურამიშვილის ლექთაგან დატყობა“, სადაც სამშობლოდან გადაკარგული პოეტი საქართველოს გაპარტახების შემადრწუნებელ სურათს ხატავს, მაგრამ, ამასთანავე, ეს არის უმაღლეს, რუსთაველის ბადალ პოეზიასთან ზიარება:

მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლადა!  
სულ წარიტაცეს თუ ვინმე შამბში მიურჩა წამლადა;  
დადედლებულნი შიშთაგან, აღარ ვარგოდენ მამლადა,  
აღარვინ დარჩა ფარსავი, პატრონად, ქვეყნის მამლადა.

ორივეგან საგრძნობია ბგერათა ჰარმონიული შერწყმით მიღებული უმაღლესი რიტმი, გარითმვაც თითქმის ერთნაირია, ხოლო ერთი სარიტმო ერთეული („ტრამალი“) – იდენტური. ცხადია, გარეგნულ, შესაძლოა შემთხვევით დამთხვევებზე მეტად ორი ღვთაებრივი პოეტის შინაგანი ძალმოსილებაა მთავარი და საგულისხმო. ასეთი პარალელები მრავლად შეიძლება დაიძებნოს" (ემზარ კვიციანიშვილი, ჩემი უსაყვარესი პოეტი, გაზ., „ლიტერატურულის აქართველო“, № 22, 9. 06. 2006 წ.).

დავით გურამიშვილის პოეტურ სამყაროსა და მის მსოფლმხედველობაზე დაკვირვებისას აშკარად იკვეთება რუსთველური სახისმეტყველების კვალი „დავითიანში“, რაც ხელშესახები ხდება საზიარო ლექსიკა-ფრაზეოლოგიითა თუ სახე-სიმბოლოებით:

**გურამიშვილი:**

ყრმათ შეკავედრე ეს წიგნი, არ შექმნან დასახვევლად, 3,3,8.

რუსთაველი:

უსტარი შესანახავი, არ ცუდი დასახვევლი, 1084,4.

გურამიშვილი:

ამ ლექსთ თავი მოუყარე, 5,9,5.

რუსთაველი:

კპოვე და ლექსად გარდავთქვი, 9,3.

გურამიშვილი:

ამ ლექსთ თავი მოუყარე, საცა მეთქვა თითო ობლად, 5,9,5-6.

ბრძენსა კაცსა ვეხვეწები, ეს ობოლი მამინათლოს, 5,11.1-2.

რუსთაველი:

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,

ვით მარგალიტი ობოლი, ხელიხელ საგოგმანები, 9,1-2.

### ცრუ სოფელი:

გურამიშვილი:

მოკლე არის ეს ცრუ სოფელი, 175,4,1.

რუსთაველი:

ცრუ და მუხთალი სოფელი 339,3.

სამეცნიერო ლიტერატურაში (11, გვ. 17-19) მითითებულია ცილი, ცილობა ცნებების იდენტურ გამოყენებაზე როგორც რუსთაველთან, ისე გურამიშვილთან:

გურამიშვილი:

რა მწამე შენ ცილი, 236,215,3.

ამას არ უნდა ცილება, 40,135,4.

ამ სიტყვაზედა გადაწყდა მათი ბჭობა და ცილობა, 192,23,2.

რუსთაველი:

არად უნდა ამას ცილი, 759,2.

შექმნეს ამისი ცილობა, 56,4.

რაცა გვაქვს, იგი შენია, ამას არ უნდა ცილობა, 1054,3.

ეს „ცილობა“ ანათესავებს სიკვდილის გურამიშვილისეულ და რუსთაველურ გააზრებას, სადაც „რუსთველური ხმებიც ისმის, ზოგადქრისტიანული მოტივებიც და ხალხურ პოეზიასთან მსგავსებაც

ჩანს... მაგრამ ძირითადად რუსთველურ გზას მიჰყვება" (14, 94);  
მაგალითად, გოდება სიკვდილზე...

**გურამიშვილი:**

ყველას გვეწვევის სიკვდილი, გემართებს დაუხვდეთ მზათო,  
ის ჩვენკენ მოდის, ჩვენ მისკენ, ვერცად აუქცევთ გზათო,  
186,1.

.....  
მოვა და მომკლავს სიკვდილი, მას ვერცად დავემალევი.  
გავიქცე, ვერცად წაუვალ, ცხენებიც მყვანდეს ძალები, 187,2.

**რუსთაველი:**

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;  
მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალგულოვანი;  
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მსცოვანი.  
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი, 800.

**ასევეა „სოფლის თმობა“:**

სთმობ ამ სოფლის ცხოვრებასა, 68,256,6.

**რუსთაველი:**

ვინ იქმს სოფლისა თმობასა, 26,4.

დავჰხსენ სოფლისა თმობასა, 910,4.

ორივე მგონისათვის საწუთროს ეპითეტია ცრუ:

**გურამიშვილი:**

მად ცუდ საწუთრო ყოფილა ცუდი, 308,32,3.

თქვა თუ: ეს ცრუვი საწუთრო ნეტა რას გარდმეკიდაო, 200,  
55,5.

ცრუმან საწუთრომ მარიდა პირი, 301,1,3.

ამად ვიხოტბე, შევკრიბე ცრუის საწუთროს ყბედობა, 6,12,2.

რად ცრუდ საწუთროდ მახსენებ, 193,29,3.

ფუ, შენ ცრუო საწუთროო, 180,12,1.

**რუსთაველი:**

უხანობა და სიცრუვე ვა საწუთროსა ფლიდისა, 1006,4.

იტყვის: „მოგშორდი, სიცრუვე, ვა, საწუთროსა კრულისა,  
1025,3.

ვა, საწუთროო, სიცრუვით თავი სატანას ადარე, 1231,1.

გასაოცარია ბრწყინვალე ქრისტიანული ცნებების „უჟამო ჟამისა“, „მზიანი ღამისა“ და „მზიანი ღლის“ თანხვედრა ორივე პოეტის ნააზრევში:

გურამიშვილი:

ჟამი შეხვდათ უჟამური საღამო და ბინდებული, 70,265,8.

რუსთაველი:

მის უჟამოსა ჟამისად, 836,2.

გურამიშვილი:

ვიდრემდის განახლდებოდა ძველი ღლე, ღამე მზიანი, 182,1, 1-2.

რუსთაველი:

იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გოქვეს მზიანისა ღამისად, 836,1.

გურამიშვილი:

წამერთოს ღღენი მზიანი, 157,4,3.

რუსთაველი:

ანათებს ღღესა მზიანსა, 291,2.

გურამიშვილი:

ღღე ღამიღამდი მზიანი, 168,11,3.

რუსთაველი:

ღღე ველარ ნახოს მზიანი, 1118,2.

გურამიშვილი:

ღამე ღღედ განაბრწყინაო, 176,1,4.

რუსთაველი:

ღამე მზეებრ განანათლის, 1659,4.

გურამიშვილი:

განვაგდე მე ძნელი აწ ღამე ბნელი, ღღე გამითენდა!, 265, 424,3.

რუსთაველი:

ღამე ბნელი გაგკითენდა, 1048,4.

**გურამიშვილი:**

დღენი მჩანს მე ღამებადა, 136,554,8.

**რუსთაველი:**

ნუ შემიცვლი ღამედ დღესა, 957,4.

ღამე და დღეცა მესაღამოების, 643,3.

მკვლევართა ცხოველი ინტერესი გამოიწვია მზის სამბოლიკამ „ვეფხისტყაოსანსა“ და „დავითიანში“.

„მზიანი დღე“ და „უჟამო ჟამი“ სასულიერო მწერლობიდანაა ნასესხები (9, 153). მზის არსის გასაცნობიერებლად დავით გურამიშვილს ასაზრდოებდა ბიბლია, სასულიერო პოეზია, ფილოსოფიური მწერლობა, „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა (9, 18).

„შემორჩენილია „ნინოს ცხოვრების“ უძველესი ხელნაწერები, რომლებიც მაღალმხატვრული ენით აღწერენ ჩვენი დიდი წმინდანის ცხოვრებას დაბადებიდან გარდაცვალებამდე. ამ ნაწარმოებში არის ერთი ასეთი ადგილი: როცა ავადმყოფობისაგან დაუძღურებული წმინდა ნინო იგრძნობს აღსასრულის მოახლოებას, იგი თავის მოწაფეებს ეტყვის: „მე მზესა დაგუღამებდი“, ესე იგი მე ახლა ვკვდებიო.

„მე მზესა დაგუღამებდი!“ ასეთი ბრწყინვალე ფრაზა მსოფლიო ლიტერატურაშიც კი იმყოფება (2). სწორედ ამ საოცარი სახის გავლენით დაიბადა დავით გურამიშვილის უმაღლესი მხატვრული ოსტატობის ნიმუში: „ვითა დავღამდი, ისევ გავსთენდი“ (146,6,3). მსგავსი ფრაზაა: „დღე დამიღამდა მზიანი“ (12,51), რომელიც „წინასაფეხურია „მზიანი ღამის“ საღვთისმეტყველო საზრისისა და მეტაფორისა“ (13,73).

ვეფხისტყაოსნისეული და დავითიანისეული მცნება „ნათლის სვეტი“ მომდინარეობს საღვთისმეტყველო ლიტერატურიდან.

**გურამიშვილი:**

ეგრეცა ნათლის სვეტითა ღამე ავლინეო, 96,379,2.

**რუსთაველი:**

მათ სამთა შვიდნი მნათობნი ჰფარვენ ნათლისა სვეტითა, 1409,2.

გულსა ბნელი გამინათლდა, ზელა ლხინი ადგა სვეტად,  
409,2.

სად წაჰხე და სად დაჰკარგენ სინათლისა ეგე სვეტნი, 821,4.

რუსთაველიცა და გურამიშვილიც დიდად აფასებენ სიბრძნეს,  
ჭკუასა და ცოდნას. „სწავლის მიქებელი“ გურამიშვილი ამ და-  
რგშიც „ვეფხისტყაოსნისგანაა“ დავალებული:

გურამიშვილი: ბრძენსა კაცსა ვეხვეწები, 5,11,1.

რუსთაველი: კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა,  
798,2.

უსამ იყო ქარაუნისა უხუცესი კაცი ბრძენი, 1030,1.

გურამიშვილი:

ჭკუვა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების,  
15,33,7-8.

ჭკვის უკეთესი საქონლად არა რა საქონელია, 23,66,1.

რუსთაველი:

ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან, 347,3.

გურამიშვილი:

თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი, 15,  
32, 7.

ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, 15,33,1.

ცოდნა ხამს მართ უიცისა, 706,1.

რუსთაველი:

ცოდნა ხამს მართ უცისა, 706,3.

არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა,  
790,3.

როგორც „ვეფხისტყაოსანში“ ისე „დავითანში“ ამქვეყნიურ  
საქმიანობას უპირისპირდება საღვთო (3,26).

გურამიშვილი:

ბრძენი სიტყვითა დარჩების, ოსტატი თავის ხელითა,  
ხუცესი წირვით, ვაჭარი შორს წასვლით-მოსვლით ძნელითა,  
მოლაშქრე სისხლის ქცევითა, მზნელი ოფლითა ცხელითა,  
გლახა კარისკარ თხოვნითა, – შენ გწადს აწ რომელითა?

**რუსთაველი:**

რაცა ბედმან ვის რა მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს:  
მუშა მიწვივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს.

აზრის მკვეთრად წარმოსაჩენად ორივე პოეტი მიმართავეს მცნებათა შეპირისპირების ხერხს; „ვეფხისტყაოსანიცა“ და „დავითი-ანიც“ სავსეა ანტონიმური წყვილებით.

### სიცოცხლე და სიკვდილი

**გურამიშვილი:**

თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი?! 185,18,2.

**რუსთაველი:**

სიკვდილიცა სიცოცხლედ მიჩნს, 1453,3.

სიკვდილსა გიჯობს სიცოცხლე, 426,3.

თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილი-მცა მქონდა  
ტკბილი, 305,4.

### ჭირი და ღზინი

**გურამიშვილი:**

ამად, არც ჭირსა, არც ღზინსა გრძლად ბოლო არა ჰქონდაო,  
23,65,5.

ჭირსა და ღზინსა არ მადლევს გული, 239,235,2.

**რუსთაველი:**

მისთვის ჭირი ღზინად უჩნდეს, 28,4.

ჭირი ღზინსა შევაწონე, 1296,4.

ჭირსა ღზინად შეგიცვალებს, 633,4.

### მწარე და ტკბილი

**გურამიშვილი:**

ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, 15,30,3.

**რუსთაველი:**

მან თქვა: „ტკბილსა მწარე ჰპოვებს, 878,3.

### ავი და კარგი

**გურამიშვილი:**

მაგრამ ავზედ ავი ითქმის, კარგს არავინ გაჰკიცხავსა, 49,  
174,708.

ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელი რა დავარქო?  
48,168, 3-4.

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო, 35,116,1-2.

**რუსთაველი:**

თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარვისა მჯობია, 38,2.

**ბოროტი და კეთილი**

**გურამიშვილი:**

ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო, 30,96,3.

**რუსთაველი:**

ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა, 113,4.

ბოროტსა სძლია კეთილმან, 1361,4.

ამჯერად დაკვამყოფილდეთ მოხმობილი ნიმუშებით, ვინაიდან რუსთაველისა და გურამიშვილის პოეტური ენა ზღვა მასალას იძლევა ანტონიმების შესასწავლად.

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ რუსთაველიცა და გურამიშვილიც უხვად იყენებენ ხალხური მეტყველების საგანძურს. „გურამიშვილის ენა ნამდვილი ხალხური ენაა. ხალხურია მისი ლექსიკაც. პოეტი ხალხური ლექსიკური ფონდიდან სარგებლობს“ (6,4). საამისოდ დავიმოწმებთ „ვეფხისტყაოსნისა“ და „დავითიანის“ შემხვედრ ფრაზებსა და ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ხალხური მეტყველების სურნელს აფრქვევენ:

**გურამიშვილი:**

დრო მოვა, რომ გატკბილდების, ხილად ჭამენ პანტის ჩირსა,  
4,7,7-8.

პირი დამიჭკნო, ვითარცა ჩირი, 301,3,3.

**რუსთაველი:**

მე უმისოდ სოფელს ყოფნა, რადგან ჩირად არ მიღირდა,  
446,1.

ოდეს ტურფა გაიაფდეს, არღარა ღირს არცა ჩირად, 878,4.

**გურამიშვილი:**

მე რუსთველსა ლექსს არ უდრი, ვით მარგალიტს – ჩალის ძირსა,  
4,7,1-2.

### რუსთაველი:

ჩალად უჩნს ყოვლი ქვეყანა მისვე ჩალისა წონითა, 1027,4.  
ჩალად მიჩნს ყოვლი სოფელი, 242,3.  
მტერი ყოველი ჩალად გიჩნს, 1501,3.

### გურამიშვილი:

ოდეს მამურალს მოსწყურდების, მაშინ წყალი ღვინოდ ღირსა,  
4,7,5-6.

### რუსთაველი:

წყარო ღვინისა ასგან დის, 1552,3.  
ღვინოსა სმიდეს, არ დოსა, 1578,4.

### რუსთაველი:

წყარო ღვინისა ასგან დის, 1552,3.  
ღვინოსა სმიდეს, არ დოსა, 1578,4.

### გურამიშვილი:

თვალად ნასსა ალამაზებს, ვით ლამაზი არ ახლდების, 5,8,  
5-6.  
არც ლამაზს ვეძებ, არც თვალად ნასსა, 269,451,2.

### რუსთაველი:

მით არ ჯერ ვარ ქმარსა ჩემსა, მჭლე არის და თვალად ნასი,  
1205,1.

„დავითიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ შეინიშნება არა მხოლოდ თანაზიარი ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ატრიბუტიკა, არამედ რუსთაველური მოტივების გურამიშვილისეული ინტერპრეტაცია, რაზედაც ყურადღებას ამახვილებს ბესარიონ ჯორბენაძე (16,36):

„დავით გურამიშვილის შემოქმედებაში ხშირად იჩენს თავს რუსთაველის მოტივები, მაგრამ ამ შემთხვევაშიც გურამიშვილი ახერხებს ახლებურად შეასხას ხორცი იმავე აზრს, რომელიც უბადლო პოეტურობით აქვს გადმოცემული რუსთაველს; სხვა კუთხით, სხვა ფერადებით დაგვანახოს რუსთაველთან უკვე განცდილი, იხმაროს სულ სხვა სიტყვები და ამით კიდევ ერთხელ შინაგანი ალღოთი წარმოაჩინოს ქართული ენის დაუღეველი შესაძლებლობანი:

ვეფხისტყაოსანი:

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ,  
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!  
ყოვლი შენი მონდობილი  
ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!  
სად წაიყვან სადაურსა,  
სად აღუფხვრი სადით ძირსა?!  
მაგრა ღმერთი არ გასწირავს  
კაცსა, შენგან განაწირსა.

დავითიანი:

ფუ, შენ, ცრუო საწუთროვო,  
რად არ მძულდი, რად მიყვარდი?!  
შენ ყოფილხარ, მწარე, შხნაკვი,  
მე შეგონე ტკბილი ყანდი.  
აქ საკვდავად რად მოგყვანდი,  
თუ მუნ ცოცხალს წამიყვანდი?  
რატომ აგრე უწყალო ხარ,  
სასიკვდილოდ არ შეგწყალებდი?!

ამრიგად, „დავით გურამიშვილმა რუსთაველისა და რუსთველის დროის პოეტურ კულტურაზე დაამყნო თავისი პოეზია“ (8,345), რის დადასტურებაცაა რუსთველური სახისმეტყველების მძლავრი ნაკადი „დავითიანში“.

### ლიტერატურა

1. ივანე ამირხანაშვილი, ვარ ხომალდით ზღვას შერთული" სამეცნიერო შრომების კრებული – „დავით გურამიშვილი – 300“, თბ., 2005.
2. ივანე ამირხანაშვილი, ქართული ლიტერატურის საყმაწვილო ისტორია, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ №15, 21 აპრილი, 2006.
3. ქეთევან ბეზარაშვილი, „სწავლა მოსწავლეთას“ პრობლემატიკა, როგორც „დავითიანის“ ორგანული ნაწილი, სამეცნიერო შრომების კრებული – „დავით გურამიშვილი – 300“, თბ., 2005.
4. ზვიად გამსახურდია, ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბ., 1992.
5. კორნელი კეკელიძე, დავით გურამიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981.
6. რუსუდან კუსრაშვილი, დავით გურამიშვილის ენა და ლექსიკა, თბ., 2000.
7. გიორგი ლეონიძე, დავით გურამიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966.

8. ელგუჯა მალრაძე, ცხოვრება დავით გურამიშვილისა – გოდება, თბ., 1974.
9. ტიტე მოსია, „დავითიანის“ სახისმეტყველება, თბ., 2005.
10. გიორგი ნატროშვილი, დავით გურამიშვილი – ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1980.
11. არჩილ სპარსიაშვილი, დავით გურამიშვილის პოეზია და ხალხური შემოქმედება, თბ., 1985.
12. რევაზ სირაძე, დავით გურამიშვილის სახისმეტყველება, სამეცნიერო შრომების კრებული, – „დავით გურამიშვილი – 300“, თბ., 2005.
13. ნესტან სულავა, „ნათლისა გავხდე მიჯნური“, სამეცნიერო შრომების კრებული, – „დავით გურამიშვილი – 300“, თბ., 2005.
14. მადონა უჯმაჯურიძე, ელეგიური ნაკადი დავით გურამიშვილის ლირიკაში, სამეცნიერო შრომების კრებული, – „დავით გურამიშვილი – 300“, თბ., 2005.
15. შოთა ძიძიგური, დავით გურამიშვილის ენა, ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა, თბ., 1971.
16. ბესარიონ ჯორბენაძე, დედაენის მესაიდუმლე (ესკიზი დავით გურამიშვილის სტილის საკითხებზე), ბალავარი მწერლობისა, თბ., 1987.

#### საანალიზოდ გამოყენებულია:

- ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, თბ., 1956.
- რუსუდან კუსრაშვილი, დავით გურამიშვილის „დავითიანის“ სიმფონია – ლექსიკონი, თბ., 2005.
- შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, აღ. ბარამიძის, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1951.
- დავით გურამიშვილი, დავითიანი, თხზულებათა სრული კრებული აღ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1931.

**წინადადების ერთგვარ მთავარ წევრთა  
განმხორციელების შემთხვევაში სულხან-საბა  
ორბელიანის „სიბრძნე-სიწიერების“ მნაში**

ცნობილია, რომ წინადადება შედგება როგორც სინტაქსური ფუნქციის მქონე გრამატიკულად შეკავშირებული წევრებისაგან, ისე ოდენ აზრობრივად და ინტონაციურად დაკავშირებული სიტყვებისა და ფრაზებისაგან, რომლებიც წინადადების წევრებად არ მიიჩნევა. ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში მათ აღსანიშნავად დამკვიდრდა ტერმინი „განკერძობული სიტყვები და გამოთქმები“. ისინი გვაწვდიან დამატებით ინფორმაციას წინადადებით გადმოცემული აზრის ანდა მისი რომელიმე წევრის შესახებ და ხელს უწყობენ წინადადების, როგორც უმაღლესი სამეტყველო ერთეულის, საკომუნიკაციო ფუნქციის აქტივიზაციას, თუმცა ვერავითარ გაკლენას ვერ ახდენენ წინადადების სტრუქტურასა და აგებულებაზე.

ასეთი განკერძოება უმთავრესად ეხება წინადადების არამთავარ წევრებს (განსაზღვრებას, გარემობას, უბრალო დამატებას...).

ცალკე უნდა აღინიშნოს ერთგვარ მთავარ წევრთა (შემასმენელი, ქვემდებარე, პირმომართი დამატება) დისტანციური განთესვის შემთხვევები, რაც დიამეტრალურად განსხვავდება განკერძოებისაგან, რადგან ისინი ინარჩუნებენ როგორც მთავარი წევრის ფუნქციას, ისე სინტაგმატურ კავშირს და მონაწილეობენ წინადადების კონსტრუქციის ჩამოყალიბებაში.

ზემოთქმულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, წინადადების არაწევრი სიტყვებისა და ფრაზებისათვის დავტოვოთ ტერმინი – „განკერძობული სიტყვები და გამოთქმები“, ხოლო ე. წ. განთესილი წევრებისათვის – „განმხოლოებული წევრები“, განმხოლოებული შემასმენელი, განმხოლოებული ქვემდებარე, განმხოლოებული პირმომართი დამატება.

საუბარია და კავშირით შეერთებული ერთგვარწევრიანი წინადადების თავისებურ სინტაქსურ კონსტრუქციაზე, სადაც „ერთი-ერთი ერთგვარი წევრი დასმულია საერთო წევრის წინ, რაც არ გვავარაუდებინებს კიდევ სხვა წევრის დასახელებას, ნამდვილად კი ასეთი წევრი დასახელებულია დამატებით და შემოერთებულია და კავშირის საშუალებით“ (კვაჭაძე, 1996, 270), ზოგჯერ – უკავშიროდაც, მსგავს შემთხვევებს მიაკუთვნებენ მწერლის ინდივიდუალურ სტილს და ვარაუდობენ, რომ სიტყვათა ასეთი განლაგება ქართულისათვის არ არის დამახასიათებელი (იქვე), თუმცა იგივე მკვლევარი „მსგავს შემთხვევებს“ პოულობს ვასილ ბარნოვის თხზულებათა ენაში და გვთავაზობს სათანადო ნიმუშებს (კვაჭაძე, 1996, 270, 275, 325):

მიიმღეროდა ელიზბარ ნელის სახით და მიდიოდა.

ისინი ყოველთვის სუფთად იყვნენ ჩაცმულნი და კოხტად.

უბრალო საქმეს... მოჯამაგირე აკეთებდა და დედააკაცი.

მშვენიერი იყო ბუნება, მომხიბლავი.

ეს წუთი მძიმე იყო მისთვის, აუტანელი.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კონსტრუქცია უცხო არ უნდა იყოს ქართული სალიტერატურო ენისათვის, რასაც ადასტურებს ქართული სიტყვის პატრიარქის – სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ენაც (ორბელიანი, 1959, 7-150).

რაკი სიტყვათა ასეთ თავისებურ განლაგებას მიმართავს ორი დიდი მოქართულე – სულხან-საბა ორბელიანი და ვასილ ბარნოვი, – ეს ფაქტიც ეჭვის ქვეშ აყენებს მოსაზრებას მსგავსი კონსტრუქციის არაქართული წარმომავლობის შესახებ და გვარწმუნებს, რომ დისტანციურად განთესილწევრიანი კონსტრუქციის წინადადების ჩამოყალიბების პროცესი ქართული ენის წიაღში უნდა კეძიოთ. ამასთანავე, ცხადია, არ უნდა გამოირიცხოს მწერლის ინდივიდუალური სტილიც.

ამჯერად დავიმოწმით სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების ენა, სადაც იძებნება წინადადების ერთგვარ მთავარ წევრთა განთესვა-განმხოლოების შემთხვევები, რომელთა განლაგება დისტანციურად პოსტპოზიციურია.

### **განმზოლოებული შემასმენელი:**

იამა მეფესა ესრეთ სიტყვატკბილობა მისი და უხაროდა, 29.  
ეხვეწებოდა ყადი და ეფიცებოდა, 44.

### **განმზოლოებულია შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი:**

შედგენილი შემასმენლის სახელადი და ზმნური ნაწილი, როგორც წესი, კონტაქტურადაა განლაგებული (პრეპოზიციურად თუ პოსტპოზიციურად), თუმცა არცთუ იშვიათად ისინი გათიშულია წინადადების სხვადასხვა წევრებით. ასეთი გათიშვა ზოგჯერ ბუნებრივია, ზოგჯერ კი – ხელოვნური (ბასილაია, 1974, 960).

სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებში პოენიერდება წინადადების ისეთი ნიმუშები, სადაც შედგენილი შემასმენლის კომპონენტები არა მხოლოდ გათიშულია, არამედ რამდენიმე ერთგვარ სახელად ნაწილთაგან ერთ-ერთი განთესილია დისტანციურად, რომელიც ზმნურ კომპონენტს მიეურთდება და კავშირით; ასეთ შემთხვევაში კომპონენტთა განლაგება დისტანციურად პოსტპოზიციურია:

შენი ხორცი ვარ და ლეონის გაზრდილი, 71.

შენ მარტვილი ხარ და უგუნური, 61.

შენ ხომ კაცი ხარ და მეფის წინ აღზრდილი, 163.

მხედარი არა ხარ და მშვილდოსანი, 26.

ეგ კაცი ის ძელი არის და ბევრგან ნავალი, 27.

(ცოდვა) ბოლოს სამსალსა არის და საწყენი, 52.

ბედნიერიმცა არს ძე შენი ესე და კურთხეულ, 10.

### **განმზოლოებულია ქვემდებარე:**

თქვა რუქამ: „წვიმა არ არის და თოვლი“, 14.

ენება ხილვა ჩემი და შეგონება, 38.

ათი კაცი სხვა მხარშეკრული იღვა და ნაძარცვი აუარებელი, 110.

გამოთლილნი ყვავილნი იყვნეს და ხენი თვალისანი, 9.

### **განმზოლოებულია პირდაპირი დამატება:**

(მას) ფიცი მიეცა და ტაძრად დაყოვნება, 22.

ერთი სარტყელი აიღო და ერთი საპერანგე, 69.  
თავის ბელლიდამ ამოღება იწყო და პატრონისა ბელელსა  
ჩაყრა, 15.

აბანოში შესვლა მოინება და ზეთებით სამკურნალოდ ნაცემთა  
დაზულა, 43.

როდესაც ერთგვარ წვერებს ახლავს ც ნაწილაკი, მაშინ ასე-  
თი ერთგვარი წვერის სინტაქსური ურთიერთობა შემასმენელთან  
უფრო მტკიცეა და განმხოლოება აღარ იგრძნობა:

ვაზირთა მეფისა და ქვეყნისა დაყენებაც შეუძლიათ და  
წახუნდაცა, 46.

აღარც გლახაკი მომაგონდა და აღარც ღმერთი, 38.

შეგვხვდა აგრეთვე ორიოდ შემთხვევა განმხოლოებულ წვერ-  
თა უკავშირო შეერთებისა, რასაც შემასმენელი ტვირთულობს და  
რაც ამ ზმნა-შემასმენლის ძლიერ პრედიკატულობაზე მეტყველებს:

ერთი კვილი და კიყინა შეიქმნა, თოფის სროლა და გრიალი,  
106.

კითხა ამბავი მამისა მისისა, მისვლა და მოსვლა მისი, 19.

საერთოდ, პრედიკაცია განსაზღვრავს წინადადების სტრუქტურ-  
რას (ჭიკაძე, 2005, 120); ამასთანავე: „ქართულში შემასმენელთან  
არის დაკავშირებული პრედიკაცია“ (აფრიდონიძე, 1986, 15) და წი-  
ნადადებას საკომუნიკაციო ფუნქციის შესრულების უნარს ანიჭებს  
პრედიკატულობა (დავითიანი, 1973, 141). ამიტომ წინადადებაში  
მჭიდრო სინტაქსურ ურთიერთობაშია არა მხოლოდ კონტაქტურად  
დაკავშირებული წვერები, არამედ დისტანციურად განთესილი და  
განმხოლოებული წვერებიც. ყოველივე ამას განაპირობებს ქართული  
ზმნა-შემასმენლის მარგანიზებული უნარი; იგი ფაქტობრივად ქმნის  
წინადადების სტრუქტურასა და მექანიზმს, მის შედგენილობასა და  
კონსტრუქციას. თანამედროვე ენათმეცნიერებაში ნებისმიერი ენისა-  
თვის წინადადების ცენტრად მიჩნეულია ზმნა (ენუქიძე, 1987, 125).  
მით უმეტეს, ეს ითქმის ქართული ზმნა-შემასმენლის შესახებ, ვინა-  
იდან „ქართული წინადადების მექანიზმი ხასიათდება რიგი თავისე-

ბურებით, რაც არსებითად განასხვავებს მას ევროპის ძველ და ახალ ენათა წინადადების მექანიზმისაგან" (ჩიქობავა, 1941, 197). სწორედ ამ თავისებურების ერთგვარი გამოხატულებაა წინადადების სპეციფიკური კონსტრუქცია, სადაც ერთგვარი წევრები დისტანციურად არიან განთესილი და განმხოლოებული.

აღნიშნულ კონსტრუქციაში თავს იჩენს და კავშირის ორმაგი ფუნქცია; კერძოდ, და კავშირი თან გამოიჯნავს და განამხოლოებს ერთ-ერთ ერთგვარ წევრს, თანაც იმავდროულად აკავშირებს მას როგორც ზმნა-შემასმენელთან, ისე დანარჩენ წევრებთან.

სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების ენობრივ მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ და კავშირიან წინადადებაში დისტანციურად განმხოლოებულ კომპონენტთა ან ერთგვარ წევრთა განლაგება, როგორც წესი, პოსტპოზიციურია. ამასთანავე, განმხოლოებული ერთგვარი წევრები რამდენადმე შესუსტებულად, მაგრამ მაინც ნარჩუნებენ სინტაგმატურ კავშირს საერთო წევრთან და კავშირისა და შემასმენლის მეშვეობით. ამგვარ წინადადებათა კონსტრუქციები ერთხელ კიდევ ადასტურებენ და კავშირის მაერთებელი ბუნების სიძლიერეს და, განსაკუთრებით, ქართული ზმნა-შემასმენლის პრედიკაციულობის უსაზღვრო შესაძლებლობებს, მის ვრცელ სინტაგმატურ ველს.

## ლიტერატურა

შუქია აფრიდონიძე, სიტყვათა განლაგება ახალ ქართულში, თბ., 1986.

ნიკანდრო ბასილაია, შემასმენელი და შემასმენლური დამოკიდებული წინადადება ქართულში, თბ., 1974.

აკაკი დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973.

ლეილა ენუქიძე, ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, თბ., 1987.

ლეო კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996.

სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1959.

არნოლდი ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, №2, თბ., 1941; გადმობეჭდილია მისივე შრომაში, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, მეორე გამოცემა, თბ., 1968.

როინ ჭიკაძე, პრედიკაცია და წინადადების აგებულების საკითხი ახალ ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, I-II, თბ., 2005.

## გრიგოლ ორბელიანი – „შემაერთავი ხიდი“

მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში ფართოდ გაიშალა „მაშებისა“ და „შვილების“ ერთობლივი ბრძოლა ეროვნული მეობის დასაცავად, რასაც სათავეში ედგნენ გრიგოლ ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე. ამ ბრძოლაში თაობათა „შემაერთავი ხიდი“ გახლდათ გრიგოლ ორბელიანი. გარკვეულწილად, ძველი და ახალი თაობა პირობითი ცნებები იყო, ამას თვით „შვილები“ – ილიაცა და აკაკიც აღიარებდნენ; ილია ჭავჭავაძე აცხადებდა: დღემდე არავინ იცის, „რა არის და ვინ არის ძველი და ახალი თაობა, ამ სახელებს ქვეშ ვინ და რა უნდა ვიგულისხმოთ“. აკაკი წერეთელი მისთვის დამახასიათებელი სარკაზმით განმარტავდა: „ძველი თაობის კაცად ის მიგვაჩნია, ვისაც თავში აზრები დამპალი აქვს და გულში გრძნობა ამყარებული, ვინდა 20 წლისა იყოს ამგვარი კაცი და ვინდა 60-ის, სულ ერთია“.

მაშები და შვილები ერთობლივად იღწვოდნენ ეროვნული ღირებულების დასაცავად. მათი აზრთა ჭიდილი ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვით იყო გაჯერებული; იმავედროულად უკომპრომისოდ იცავდნენ თავ-თავის პოზიციას. სწორედ ამით იყო განპირობებული, მძაფრი კრიტიკით რომ დაატყდა თავს ილია ჭავჭავაძე „გამოცანების“ ადრესატებს – ძველი თაობის ბურჯებს: რევაზ ანდრონიკაშვილს, გიორგი მუხრანბატონს, მის ძმას – ივანე მუხრანბატონს, პლატონ იოსელიანს, დიმიტრი ჯორჯაძეს, იასე ჭავჭავაძეს, ბესარიონ ლოლობერიძეს; ამ უკანასკნელს ილიამ „ახლისა და ძველის შუა... ჩატეხილი ხიდი“ უწოდა, ხოლო გრიგოლ ორბელიანს – „ძველისა და ახლის შუა შემაერთავი ხიდი“.

ამ პამფლეტში ილია ჭავჭავაძე უღმობელია ყველას მიმართ, ვინაიდან „სუყველას... ქვეყანა ფეხებზე ჰკიდია“. იგი მხოლოდ გრიგოლ ორბელიანის მიმართ ამჟღავნებს მოწიწებასა და თაყვანისცემას; მისთვის გრიგოლ ორბელიანი არის „საქმით წმინდა გულმხურვალე, სიტყვატკბილი, ჭკვამალალი... გრძნობით სავსე, გონიერი“, რომელსაც „თუშცა უყვარს თვისი ერი, მაგრამ გაუბედავია“ და ამი-

ტომ „ამ კარგსაც ქვეყანა ზოგჯერ ფეხებზე ჰკიდია“. ამკარაა, რომ ილია ბოლომდე ვერ იმეტებს ასეთ დიდ პიროვნებას: „ამ კარგსაცო...“, „ზოგჯერო...“.

ცნობილია, თუ რაოდენ ღრმა პატივისცემით იყო გამსჭვალული ილია ჭავჭავაძე გრიგოლ ორბელიანის მიმართ, რასაც ამ შესანიშნავი მამულიშვილის დაკრძალვაზე წარმოთქმული სიტყვაც ადასტურებს; ილია გრიგოლ ორბელიანს უწოდებს „სასიქადულო მამულიშვილს“, „სახელოვან ქართველს“, „დიდებულ მწერალს“. აი, როგორი შარავანდელით მოსავს ის თავის მოძღვარს: „იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა“, იგი იყო „მეუფე“ ჩვენის სიტყვიერების ძალღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო მწერალი და მთქმელი, მაღალი ნიჭით ცხებული, იგი იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ – სასოებით მისი მსმენელნი“.

ილია ჭავჭავაძეს განსაკუთრებით მოსწონდა გრიგოლ ორბელიანის „მშვენიერს ლექსებში მშვენიერი ენა“ და მას რუსთაველის, ალ. ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის გვერდით აყენებდა.

შემთხვევით არ არის ის ფაქტი, რომ ილიამ „პასუხის პასუხში“ დაიმოწმა გრ. ორბელიანის სიტყვები: „ენა მაღალი, მის სიღრმე, ძალი“, „მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის“ და იქვე განაცხადა: „მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენა“.

საყურადღებოა, რომ თავის ცნობილ წერილს „ზოგიერთი რამ“, რითაც შერისხა სიტყვა „მამულის ყოვლადმპყრობელი მნიშვნელობის“ დამკინებელნი, ილიამ წაუძმღვარა გრიგოლ ორბელიანის სიტყვები: „თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისა“.

თავის მხრივ გრიგოლ ორბელიანიც დიდად აფასებდა ილიას ღვაწლს, მის შემოქმედებასა და მის ქართულს: „კაცია ადამიანი? “ რამდენჯერმე წავიკითხე დიდის სიამოვნებითო..., მწერლებმა უნდა მიბაძონ „კაცი ადამიანის?!“ ავტორსო“, – ბრძანებს „თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა“.

გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის ურთიერთპატივისცემას განაპირობებდა ქვეყნის ჭირ-ვარამის გათავისება. – ორივე მამულიშვილის ზრუნვის საგანი იყო მამა-პაპათაგან გადმოცემული „სამი ღვთაებრივი საუნჯე“, „ერთარსი სამება“:

**გრიგოლ ორბელიანისათვის:** „მცველი ერისა, – ენა, საყდარი, სარწმუნოება“.

**ილია ჭავჭავაძისათვის:** „მამული, ენა, სარწმუნოება“.

ორივესათვის წმიდათა-წმიდა მოვალეობა გახლდათ ეროვნული ღირებულებებისა და ეროვნული მეობის დაცვა. თელო უთურგა-იძის მართებული თვალსაზრისით, „ორივე დიდი მწერალი იყო და თავისი შემოქმედებით დიდად უწყობდა ხელს სალიტერატურო ენის განვითარებას. ამიტომ იყო, რომ ერთიმეორის თხზულებებზე უთითებდნენ, როგორც სალიტერატურო ენის თვალსაზრისით სანიმუშო ქმნილებებზე. არსებითად ისინი ერთი გზით მიდიოდნენ... ილიას მსგავსად, გრიგოლ ორბელიანიც დაუნდობელია მათ მიმართ, ვინც ენას ამახინჯებს („ილია და სალიტერატურო ქართული“, ქსკს, წიგნი მეცხრე, 1989, გვ. 44-450. გრიგოლ ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე შეურყევლად იდგნენ იმ პოზიციაზე, რომ ქართული ენა ხელშეუხებელი უნდა იყოს როგორც სასწავლებლებში, ისე ეკლესია-მონასტრებში, რომ სალიტერატურო ენა უნდა ემყარებოდეს ხალხურ სასაუბრო ენას, რომ საჭიროა დავიცვათ ენის სიწმინდე როგორც ნაირგვარი ფორმებისაგან, ისე ლექსიკური ბარბარიზმებისაგან... ფაქტობრივად, ეს იყო შეუპოვარი ბრძოლა ქართულის როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისათვის. ამ საკითხს სპეციალური სტატია უძღვნა ნ. გოგუაძემ: „ი. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის საერთო შეხედულებანი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაზე“ (თსუ შრომები, 69, 1958 წ.).

სალიტერატურო ენის საკითხებზე შეხედულებათა თანხვედრა და ურთიერთგავლენა იგრძნობა როგორც თეორიული მსჯელობისას, ისე მათი შემოქმედებითი ნიმუშების ენაზე დაკვირვებისას.

უნდა ითქვას, რომ გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის ენობრივი პასტულატები უმთავრესად ეყრდნობოდა ინტუიციურ მიგნებებს, ვინაიდან ამ პერიოდში ჯერ კიდევ სათანადოდ არ იყო ჩამოყალიბებული ქართული ენათმეცნიერული აზროვნება. მიუხედავად ამისა, ორივე ერთსა და იმავე პოზიციაზე იდგა ენის განვითარების კანონზომიერების საკითხში:

**გრიგოლ ორბელიანი:** „ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა შეუმუშავებელი. ვიდრე დახელოვნებული მწერალი მასალას არ გადაარჩევს უვარგისისაგან, არ გაჰსწმენდს, არ გაამშვენიერებს და დიდებულებითა არ აღიყვანს სალიტერატუროს სამფლობელოში. მერე ამ გალამაზებულსა ენასა გამშვენებულის ფორმით გადმოჰსცემს მოსახმარებლად ისევ ხალხსა, რომელიც არის პატრონი ენისა და რომელიცა შეითვისებს იმას, ვითარცა საკუთრებასა...“.

**ილია ჭავჭავაძე:** „ხალხია ენისათვის კანონის დამდები“; „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“.

მაშასადამე, ორივესათვის ენა არის „საზოგადო საკუთრება“. ორივე მამულიშვილი **სამშობლოს** სინონიმად ამკვიდრებს სიტყვა **მამულს** ეროვნული ცნობიერების გასაღვივებლად: „სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“ მთელი თავისი გულთ-მიმზიდველ და დიდებული მნიშვნელობითა“ (ილია).

გრიგოლ ორბელიანმა ახალი შარავანდულით შემოსა სიტყვა **მამული** „სადღევრძელოს“ პირველსავე ვარიანტში (1827 წ.): „**ჰე მამულო, სასურველო!**“; „**გმირნო, მამულის მაღიდნო!**“ და სხვა მრავალი. ამავე სიტყვას ანიჭებს უპირატესობას 1832 წლით დათარიღებულ ლექსში „**იარაღის**“:

„დაენატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე  
თვისსა **მამულსა** შესწირა მსხვერპლად,  
დაენატრი დროთა, როს აქენდათ ტრფობა  
**მამულისადმი** გულს აღბეჭდილად“.

ილია ჭავჭავაძემ **სამშობლოს** სინონიმად **მამული** პირველად იხმარა ლექსში „**ქართველის დედას**“, რომელიც დაიწერა პეტერბურგში 1858 წლის 15 დეკემბერს:

„**ქართველის დედაო!** ძუძუ ქართველისა  
უწინ **მამულსა** უზრდიდა შვილსა“.

ასე რომ, ამ სიტყვამ გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის მცდელობით და, საერთოდ, „**ნო-იანი წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვაწლით დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი**“ (ილია).

ეროვნული სულისკეთების გასაღვიძებლად გრიგოლ ორბელიანმა **საქართველოს** სინონიმად გააცოცხლა სიტყვა **ივერია**, ხოლო **ქართველისა** – **ივერიელი**. საამისოდ კარგ მასალას იძლევა „**სადღევრძელოს**“ ვარიანტები.

„**ტოლუმბაშის**“ სახელწოდებით დასათაურებული „**სადღევრძელოს**“ პირველი ვარიანტის ავტოგრაფში (1827-1832 წწ.) სიტყვა **ივერი** პოეტს არ გამოუყენებია. „**ტოლუმბაშის**“ მეორე ვარიანტში რამდენჯერმე იხსენიება „**ივერია**“, „**ივერნი**“: „**დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს...**“, „**ივერთ ნუგემ-დიდება...**“, ზე აღსდექ

ხრმლითა, ძველო ივერო!" „გულნი ივერთა გვაქვს მსხვერპლად მზადა"; „თამარის ღღენი, ღიდების ღღენი შენ მოუკლინე ივერიელსა".

გრიგოლ ორბელიანი კიდევ უფრო ხშირად გვთავაზობს ამ ლექსემას „სადღევრძელოს" გადამუშავებულ ვარიანტში (1827-1870 წწ.): „...და ივერიის აღჩნდა მეფობა"; „ზეცა წყალობდა, ნუგეჟად ივერსა გაოხრებულსა, მეფედ მოაგლენს დავითსა"; „ხმა-ჰყავ და აღსდგა ივერი"; „აჰა, ივერის ნუგეშდიდება"; „ღიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს"; „წახდა თბილისი და მასთან დაემხო ძველი ივერი"; „ძველი ივერი, შენი ივერი შენდა მოჰმართავს თვალსა და გულსა"; თამარის ღღენი, ღიდების ღღენი შენ მოუკლინე შენსა ივერსა!"; „მუნ შენთან ღმერთსა ჰმადლობენ გალობით შენნი ივერნი!"; „გულნი ივერთა გვაქვს მსხვერპლად მზადა".

ილია ჭავჭავაძეც შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც იყენებს ამ სიტყვას: „ივერიის შობილი ხარ"; „კურთხევა ღვთისა მიეცა ტანჯულს ივერიის ერს"; „მოხუცი თვალს აშტერებდა ივერიაზედ".

მოხმობილი მცირე მასალა იმაზე მიგვანიშნებს, რომ გრიგოლ ორბელიანის თეორიული შეხედულებები მისივე თხზულებათა ენაში ნაწილობრივ რეალიზდება. სალიტერატურო ენის საფუძვლად და მასაზრდოებელ წყაროდ იგი აღიარებს ხალხურ ენას და ამასთანავე არქაული სტილის სამოსში ჰხვევს მას; ენის საკითხში გრიგოლ ორბელიანი ზომიერი კონსერვატორია. იგი ძირითადად იზიარებდა „შვილების თვალსაზრისს და ფაქტობრივად მხარს უჭერდა მათს ენობრივ პოზიციას: „ეხლანდელ მწერალთა მიეწერებათ მართლად ქება მისთვის, რომ ესრეთის მეცადინეობით, ესრეთის ერთგულად მსახურებით შეუღდნენ ეგენი გულმხურვალედ აღდგენასა ჩვენისა ღავრდომილისა ენისა".

გრიგოლ ორბელიანიც „შვილებთან" ერთად ბურჯად იღგა ამ „ღავრდომილი ენის" აღდგენისა და განწმენდის სადარაჯოზე. ამრიგად, ორბელიანი მხოლოდ წმინდა არქაისტი და კონსერვატორი არ ყოფილა. მას, როგორც საღად მოაზროვნე პიროვნებას, არ შეეძლო არ ეგრძნო განახლების ძალა და თანდათან არ გადაზრილიყო ახალი თაობის პოზიციებისაკენ. თვით ილია ბრძანებდა: „გრიგოლ ორბელიანმა არ იუცხოვა ახალი მიმართულება და, პირიქით, თავისი ძლიერი ბანი მისცაო" (ლ. ლექვა, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიიდან, ქსკს, წიგნი მეცხრე, 1989 წ., გვ. 980). გრიგოლ ორბელიანი საიმედო დასაყრდენი იყო რო-

გორც ძველი, ისე ახალი თაობისათვის. ამიტომაც იყო, რომ როცა რუსიფიკაციის ანტიეროვნულმა პოლიტიკამ კერაგულად ხელყო ილიასეული „ერთარსი სამება“ – „მამული, ენა, სარწმუნოება“ – და ქართული ენის განდევნა მოინდომეს გიმნაზიებიდან და ეკლესიებიდან ; ქართულმა საზოგადოებამ, მამებმაც და შვილებმაც, ქომაგობა სთხოვა გრიგოლს, რომელიც დაუყოვნებლივ ეახლა მეფისნაცვალს და კატეგორიულად მოსთხოვა ამ უგუნური გადაწყვეტილების შეჩერება. გრიგოლ ორბელიანის პოზიცია კარგად ჩანს თავისი რძლის – სოფიოსადმი გაგზავნილ წერილში, სადაც აღშფოთებული წერს: „ამას იქით ქართველის მღვდლისათვის საქართველოში აღარ არის საჭირო ცოდნა ქართულის ენისა, ესე იგი აღარ უნდა ილოცონ ქართველებმა ქართულს ენაზე, რომლისა სწავლა ამას იქით იქნება მხოლოდ უსარგებლო დაკარგვა დროისა, მაშასადამე, სემინარიაში უნდა მოისპოს სწავლა ქართულისა ენისა... ამა გულისსა-ლახვრო ამბავმა დაგვაწყებინა ყაყანი“.

მაშასადამე, გრიგოლ ორბელიანს „გულისსალახვრო ამბად“ მიაჩნია ენის ღირსების შელახვა. მისი კატეგორიული მოთხოვნით, საქართველოში სწავლა-განათლება და წირვა-ლოცვა მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა იყოს. ამ მხრივ მამებისა და შვილების პოზიცია საკვებით თანხვედრილია, რასაც ილია ჭკვეჭკვაძეც ადასტურებს: „მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენა“.

ამრიგად, მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში თაობათა შორის გაჩაღებული მწვავე პოლემიკის უმთავრესი საგანი იყო ზრუნვა ერთიანი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის. „ეჭვი არაა, ყველა დაჯგუფებას ამოძრავებდა ჭეშმარიტი მამულიშვილური გრძნობა და გულწრფელი სურვილი იმხანად ფრიად შეჭირვებული ქართული ენის შემღვრეული მდინარების განწმენდისა.“

მიზანი საერთო იყო.

განსხვავდებოდა ამ მიზნის მისაღწევად დასახული გზები” (ბ. ჯორბენაძე).

მიუხედავად მწვავე პოლემიკისა და ცხარე ბატალიებისა, ილია ჭკვეჭკვაძის სამართლიანი შეფასებით, გრიგოლ ორბელიანი გახლდათ „თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა“ და თავისი მამულიშვილობითა და ღვაწლით – „ძველისა და ახლის შუა შემართავი ხიდი“.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკის  
პოეტური სინტაქსი

ბესარიონ ჯორბენაძის შთამბეჭდავი თეზით „ლირიკა არსებითად გაიაზრება როგორც ადამიანის გონისა და სულის უმაღლეს მიღწევათა სინთეზი: ლირიკა არსით ფილოსოფიაა, ფორმით — მუსიკა" (12, 5), რაც შესანიშნავად მიესადაგება ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ფილოსოფიურად მოაზროვნე პოეტია; „ბარათაშვილის პოეტური შთაგონება, ფილოსოფიური ხილვა, თემის გაშლა, — განუმეორებელ თავისებურებას წარმოადგენს" (5, I.XIII); პოეტისათვის ადამიანი, ბუნება, სამყარო ურთიერთშეპირობებულია და საიდუმლოებით მოცული:

მოქმუის მტკვარი, მოქრის ნიავი და შრიალითა არხვეს

ჩინარსა,

და გადმოჰსცემენ სახიობასა, ტკბილის ოცნებით დამაძინარსა!

~~მწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულოთ~~

შორის,

და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის  
საუბრის!

ვითა მიჯნური სატრფოს ამაყსა, მტკვარი მას ნორჩსა

ფერხთა ევლებს

მაგრამ ჩინარი, მაღლად მჩინარი, დგას მედიღურად და

სიამაყით,

და მხოლოდ თავსა გარდმო-გარდილებს სევდიანისა შერხვეის

სახით (44, 9-12).

აქ ყურადღებას იპყრობს რომანტიკოსი პოეტის არა მხოლოდ ღრმად ფილოსოფიური ხილვები, არამედ პოეტური ტექსტის სინტაქსი, სადაც დიდი ინტენსივობითაა გამოყენებული „და" კავშირი. ამ მხრივ გამორჩეულია „ფიქრნი მტკვრის პირას":

თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს

არც ვინღა არის, და წინაშე არც ვინ აღუდგეს,  
რომელთ ხელთ ეპყრასთ უმაღლესი სოფლის დიდება,  
შოთოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: „როლის იქნება,  
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან  
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითე არიან!... (12,  
17-22).

ცხადია, ამ შემთხვევაში „და“ მხოლოდ სინტაქსური ფუნქცი-  
ით არაა გამოყენებული. მოცემულ კონტექსტებში მას ფრიად  
მძლავრი ემოციურ-ექსპრესიული დატვირთვა აქვს, და დრტვინვენ...  
და იტყვიან... და აღიძვრიან...

კიდევ უფრო სარწმუნოა ბარათაშვილის პოეტური სტილის  
სიახლოვე ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების ენასთან და,  
განსაკუთრებით, „ვეფხისტყაოსანთან“ სტრიქონთა დასაწყისში „და“-  
ს გამოყენებისას:

ცუღად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის  
კვეთება,  
და გზა უკალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც —  
დარჩება;  
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სავალი გზისა  
გაუადვილდეს,  
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ  
გამოუქროლდეს! (34, 19-20).

მართალია, „ვეფხისტყაოსანში“ „და“ სტროფის გარეთ გამო-  
დის, ხოლო ბარათაშვილთან სტროფის ორგანული ნაწილია, მაგრამ  
სტილური ფუნქციით დიდად არ განსხვავდებიან.

ნ. ბარათაშვილის ეს სტილური ხერხი ძველი ქართული ლი-  
ტერატურის ტრადიციის გამოძახილია :

და ესე ენაჲ  
მძინარე არს დღესამოდჲ.  
და სახარებასა შინა ამას ენასა  
ლაზარე ჰქვიან.  
და ახალმან ნინო მოაქცია  
და ჰელენე დედოფალმან...

მსგავს ნიმუშებში „და“-ს პაუზის, სტროფთა გამყოფი ინტერვალის ფუნქცია უჩანს... ის გავლენას ახდენს ფრაზის რიტმულ დინებაზე" (7, 43).

ბარათაშვილთან არაიშვიათია ისეთი ინტონაციური შეფერილობის სტროფები, სადაც „და“-ს წინ პაუზა კეთდება; ამ შემთხვევაში „და“-ს ფუნქცია უფრო აზრობრივ-ლოგიკურია, ვიდრე გრამატიკული:

ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი! (16,12).

სდუმდა – და მეცა ვიცანი

ქეთევან ჰაეროვანი (5, 29-30).

განქრა ტაძარი – და აწ უდაბნო ჩემდა მდუმარებს (26,14).

გულთამხილაგო, ცხად არს შენდა გულისა სიღრმე:

შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრუნე მე,

და – ჩემთა ბაგეთ რაღა დაუშო შენდა სათქმელად?

მაშა ღუმილიც მიითვალე შენდამი ლოცვად!

ასეთ კონტექსტში „და“-თი დაწყებული წინადადება „დასკვნი-თია", დასასრულის მაწყებელია" (1, 358). ამ წინადადების კომპონენტებით გადმოცემულია მიზეზ-შედეგობრიობა:

აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი,

და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენნი

(36,7-8)

აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძნამავსა,

და თაყვანსა სცემს სცემს შენსა საფლავს, ცრემლით

აღნაგსა!(36, 23-24)

ესრეთ დამიხშო უკულმართმა ნუგეშის კარი,

და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი! (26,23-24)

შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელითა შორის ტიალის

მინდვრის

და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას

მამაყრის! (33, 19-20)

ხშირად „და" კავშირი აერთებს წინადადების აზრობრივად საპირისპირო კომპონენტებს და ანტონიმურ წყვილებს:

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,

იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს, (13,32-33)

კაკკასო, ქართლოსს საფლავზედ არიან გაფიცებულნი,

და მათ წინ ვეღარ დაუდგნენ ვერც შენნი პირველ რჩეულნი  
(42, 7-8)

სასაცილოა, ბერიკაცი რომ ყმაწვილობდეს,  
და საბრალაოა, რომ ჭაბუკი ბერიკაცობდეს! (24, 7-8)

არ დაიჩნით შავის ბედის მსწრაფლნი ლახვარნი  
და შეუპოვრად წარიხოცეთ ცრემლნიცა მწარნი (24, 3-4)

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ „და“ კავშირიანი თანწყობილი წინადადების ვარიანტია „მაგრამ“ კავშირიანი თანწყობა. „მაგრამ“ კავშირიანი ვარიანტი იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მეორე კომპონენტს აქვს საწინააღმდეგო შედეგის მნიშვნელობა (2,81):

მე შენსა მჭვრეტელს მავიწყდების საწუთროება,  
გულის-თქმა ჩემი შენს იქიმთა... ეძიებს სადგურს,  
ზენაართ სამყოფთ, რომ დაშეთს აქ ამაოება...  
მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს!

(6,17-20).

არც თუ იშვიათად „და“ და „მაგრამ“ ერთსა და იმავე კონტექსტში გვხვდება და ერთნაირი ფუნქცია აქვთ:

ცხადად თუ სიზმრად, მე იგი მარად  
სულ ერთსა მიწვრთნის გულსა ჭირად;

„ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი,  
ვინძლო იპოვო შენი საშენი!

მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ,  
და მით კაეშანს ვერღა ვიშორებ! (8, 9-14)

მაგრამა მშვენიერება გაქვს, ცისიერო, უზრწნელი,  
და ჩემთა გრძნობათ შენდამი ვერ დასდვან კაცთა სახელი!

(25, 19-20).

ვინაიდან „მაგრამ“ მაპირისპირებელი კავშირია, ამიტომ ხშირად გადმოსცემს წინამავალი სტროფების საპირისპირო აზრსა თუ განწყობილებას, მოსალოდნელის საწინააღმდეგო შედეგს:

ჰე, მწირო, სოფლად ყოველსა აქვს ჟამი და ბოლო,  
მაგრამ ამას ვწუხ, რომ უფამოდ მელეების ბოლო! (30,25-26)

ამ დროს მთვარემაც შუქი ფვისი მოსტეხა ბროლსა,  
რომელმან შვება სილამაზით ჰფინა ჩემს გულსა;  
მაგრამ სხვა მუნით მოიხმობდა სატროფოსა ქალსა (11,41-43).  
მეგობართ, ნათესავთ მოკლებული

ისევ ჩქარა კპოვებს სანაცვლოს გული;

**მაგრამ** ერთხელ დაობლებული სული

მარად ითმენს უნუგეშობას კრული! (20, 5-8).

აწცა რა თვალნი ლაყვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა

მოისწრაფიან,

მაგრამ შენამდის ვერ მოალწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!

(6, 15-16).

წინამავლი სტროფების საპირისპირო შედეგი იკვეთება რიტორიკული შეკითხვის პასუხად:

ნეტა რა ქარმან დააზრო მისის სიცოცხლის ყვაილი?

მეც ამატირა მის მხვედრმან, **მაგრამ** ვერ ვეცი ნუგეში

(5,33-34).

ნუთუ ხმა ესე არს ხმა დევნისა

შეუწყალისა სინილისისა?

**მაგრამ** მე ჩემში ვერ კპოვებ ავსა,

მის საშფოთველოს და საქენჯნავსა (8, 15-18).

ზოგჯერ კი პასუხი თვითონ „მაგრამ“ კავშირიან რიტორიკულ შეკითხვაშია:

**მაგრამ** საწუთრო განა ვისმეს დიდხანს ახარებს? (26,13).

შდრ. აკ. წერეთელი: მაგრამ დიდხანს ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა?

**მაგრამ** სად ვნახო შენი ღიმილი,

სიხარულითა გამოჩენილი? (14, 7-8).

თუმც უცხო, უცხო თემად იარე,

მრავალი კარგი ნახე ამბავი. —

**მაგრამ** რას ხედავ აწ კრული ჩრდილოს? (9, 7-9).

სამეცნიერო ლიტერატურაში (11; 3,4; 6) მითითებულია, რომ წინადადების აქტუალიზებისათვის გამოიყენება როგორც გრამატიკული, ისე ლექსიკური საშუალებები. გრამატიკული საშუალებებიდან ყურადღებას იპყრობს „მაგრამ“ და „და“ მაერთებელი კავშირები, რომლებიც მონაწილეობენ დამოუკიდებელ წინადადებაში და აძლიერებს მის აზრობრივ-ლოგიკურ და ემოციურ გამოხატულებას:

**მაგრამ** რადგანაც კაცნი გვექვიან — შვილნი სოფლისა,

უნდა კიდევაც მივსდითო მას, გვესმას მშობლისა, (13,30-31).

**მაგრამ** თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოელოს,

მაშინ ვილამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს? (28,5-6).  
მივხვდი თვალეზო, ჩემო მკვლელეზო, მაგ თქვენსა ქცევას,  
მაგრამ ვით ელით თქვენგან კოდლის თქვენგან გაქცევას?  
(28, 5-6).

მიყვარს თვალეზი მიბნედილები,  
ემხისა ცეცხლით დაქანცულები;  
მაგრამ როს ვუჭვრეტ, ზამზახ-ვარდთ ველად  
განეწონვიან მათი ისრები (28, 1-4).  
ვინ არის იგი, ვის თვით გული ერთხელ აღევსოს,  
და რაც მიედოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს? (12,15-16).  
და როს სდუმდა ბულბული, მაშინ აღმოხდა მთვარე (3,7).  
და ვით გუნდრუქსა სამადლობელსა, შენდა აღკმევენ  
სუნნელებასა (6,8).

და რა იხილა თვისს დიდების მსხვერპლი თვის წინა.  
მის მოღრუბლულს შუბლს შექი რაღაც გარდაფინა (16,3-4).  
სილამაზუა ნიჭი მხოლოდ ხორციელების  
და, ვით ყვავილი, თვის დროზე მსწრაფლად დაჭკნების  
(32, 5-6).

მსგავსი ფუნქციისა „და“ ნაცვალსახელთან, ზმნიზედებთან,  
ნაწილაკებთან დართვისას:

და ასე ვუთხარ... (11,31).  
და მუნით ჰზიდვენ თესლსა ძვირფასთ მშობელს ქვეყნად  
(36,13).

და მყის გიქარვით გულისა, ვით ერთი, ჭირი ათასი (49,4).  
და ვერც ღელვანი ვნებათანი მიკლვენ წყურვილსა! (40,16).  
და არღა მომხდეს სუნი მისი, ჭირთ უკუმყრელი! (30,36).

ზოგი ენათმეცნიერის აზრით, კავშირებდართული სიტყვები  
ასეთ კონტექსტებში გამოიყენება მიერთებითი კავშირის ფუნქციით  
(8,163).

ნიკოლოზ ბარათაშვილი სულიერი განწყობილების გამოსახა-  
ტავად ზოგჯერ იყენებს სასაუბრო ქართულისათვის დამახასიათე-  
ბელ ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ ერთეულებს:

შენ არ იცი, რა სიამეს მომაგებ (15,7).  
ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?  
(12,9).

მაგრამ ვინ იცის, იქნება რომ ბელსაც მოვსწყინდე (16,13).

ვიცი, რომ მტრობენ გულსა მგრძობელსა (28,7).

არ ვიცი, ამ ღროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება  
რად იყო ფუჭი და მზროლდა ამოღება?... (12,11-12).

არ ვიცი, ამ ღროს რად აღვივებენ უფროს ცეცხლისა?  
(40,23).

ამ ღროს ნიაჲმაც თეთრი კაბა მიმოუქროდა (11,38).

ამ ღროს მთოვარემ შუქი თვისი მოსტეხა ბროლსა (24,41).

ამ ფრაზებით სავსეა მისი წერილებიც.

ნ. ბარათაშვილის პოეტური ენისათვის დამახასიათებელია ერთი შეხედვით არაპოეტური ფრაზები:

მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს (26,15).

მას აქეთ ხმა რამ თან სდევს ყოველთა... (8,7).

მას აქეთ თვალი ვეღარ მოვჰკარ (11,26)

მას აქეთ არის-დაუუკარგე მშვიდობა სულსა (40,15).

ნ. ბარათაშვილს უყვარს „მყის“ ზმნისართის ზშირი გამოყენება:

ნახა ვარდი ფურცვნილი და მყის მოუკვდა გული (3,12).

მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფვიან (6,15).

ვარდი დაწვზედა მყის აეფურცლა (11,37).

მყის სევდები არა აშლოდეს (10,9).

მყის დამილამდეს ამ სოფლისა სიამოვნება (23,19).

ნ. ბარათაშვილი მიმართვის ობიექტის დასარწმუნებლად მიმართავს უარყოფით ნაწილაკიანი ზმნა-შემასმენლი დაჟინებით განმეორებას:

არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ,

არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ... (48,10-11).

და უცებ თითქოს ჩაცხრაო პოეტი:

ხან ძილსა იკრთობს, ხან სევდით ოხრავს.

ხანცა ყოველს სულს ამხიარულებს,

ხან სიკვდილს იწვევს, ხან შურით ოცნებს,

ხან ჰყვება სოფელს, ხან ცად მიფრინავს! (48,12-15).

ეს მინორული განწყობილება გადმოიცემა „ხან“ კავშირის ინტენსიური განმეორებით. თუმცა ბარათაშვილი „ხან სევდით ოხრავს“, მაგრამ იგი არ ეგუება ამ ჩაშვებული ინტონაციით გადმოცე-

მულ ხვედრს და მერანზე ამხედრებული პოეტი შეუპოვრად მიის-  
წრაფის „ბედის სამძღვარის“ გადასალახავად:

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,  
უკან მომხზავის თვალბედითი შავი ყორანი!  
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი  
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელღვარი!

გაჰკვეთე ქარი, გააჰე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,  
გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი

დღენი!

დაუკვირდით, რა მძაფრი ექსპრესიაა: **გასწი, გაკურცხლე...  
გაფრინდი... გაჰკვეთე... გააჰე... გადაიარე... გადამატარე...**

„ნ. ბარათაშვილის მებრძოლ განწყობილებას პოეტური  
წარმოსახვის თვალსაზრისით სჭირდება აღმავალი ხაზით განვითა-  
რება და აი, მის ლექსებში ჩვენ მკვეთრად ვამჩნევთ აზრთა შინაგა-  
ნი ღინამიკის, რიტმის, ტემპის ინტენსივობის სიმძლავრეს“ (9,20).

ეს ექსპრესია კიდევ უფრო მძაფრდება უარყოფითი ნაწილაკე-  
ბით: **ნუ შეეფარვი... ნუ შემიფარებ... ნუ დავიმარხო... ნუ დამიტო-  
როს.**

ნ. ბარათაშვილის ლირიკის სიტყვიერებიდან და პოეტური  
სინტაქსიდან ცხადად გამოსჭვივის ბედის უკულმართობასთან შეჭი-  
დებული პოეტის „სულთი ობლობაცა“ და იმავდროულად ამ ბედთან  
შეურიგებლობაც. „ბარათაშვილი რომანტიკოსია მთელი თავისი არ-  
სებით, რომანტიკოსია არა მხოლოდ გონებითა და გრძნობით, აზ-  
როვნებითა და ემოციურობით, არამედ აგრეთვე მათი გარეგანი  
გამოხატულების საშუალებითაც, ენით: სიტყვიერების მარაგით, მათი  
შერწყმით, ერთმანეთთან შეხამების ხერხით და, საზოგადოდ, ლექ-  
სიკურ-გრამატიკული ტონის მიხედვით“ (10,160).

ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკის პოეტური სინ-  
ტაქსიდანაც ცხადად გამოსჭვივის ბედის უკულმართობასთან შეჭი-  
დებული პოეტის „სულთი ობლობაცა“ და ამ ბედთან შეურიგებლობაც.

## ლიტერატურა

1. ვუკოლ ბერიძე, და კავშირისათვის ვეფხისტყაოსანში, იკე, IV, თბ., 1945.
2. დინარა გრიქუროვა, თანწყობილ წინადადებაში შემაჯავლი კომპონენტების სემანტიკური აღწერა, თბ., 1983.
3. აკაკი დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973.
4. კორნელი დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული მწერლობის ძეგლების ენაში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, 1979.
5. პავლე ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ნარკვევი: ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ., 1945.
6. ლეო კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996.
7. გაიოზ იმედაშვილი, ძველი ქართული მხატვრული ენისა და სტილის მიჯნებზე: ძველი ქართული მწერლობის სტილის საკითხები, თბ., 1955.
8. ვლადიმერ სერგია, ქართული ენის ტექსტის ლინგვისტიკა, თბ., 1997.
9. შალვა ღლონტი, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტიკის საკითხები : ენისა და პოეტიკის საკითხები, თბ., 1970.
10. აკაკი შანიძე, ბარათაშვილის ენა : ნ. ბარათაშვილი, ლექსები, პოემა, წერილები; ფედერაცია, 1939.
11. შოთა ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1969.
12. ბესარიონ ჯორბენაძე, პოეზიის ენა, თბ., 1999.

საანალიზოდ გამოყენებულია: ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ., 1945.

## სამი ღვთაებრივი საუნჯე ილია ჭავჭავაძისა

*„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგერჩა ჩვენ მამა-პაპათაგან:  
მამული, ენა, სარწმუნოება“ (ილია).*

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კრედი გახლდათ სამი ღვთაებრივი საუნჯე: მამული, ენა და სარწმუნოება; ეს „ერთ არსი სამება“ დაედო საფუძვლად ილიას ეროვნულ პროგრამას, რომლის განხორციელებისათვის თავდაუზოგავად იბრძოდა ეს დიდი მამულიშვილი. ილია ჭავჭავაძისათვის მამულიც, ენაცა და სარწმუნოებაც მამა-პაპათაგან გადმოცემული ღვთაებრივი საუნჯეა, რომლის მოვლა-პატრონობა ყოველი ჩვენგანის უწმინდესი მოვალეობაა, რაც უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს შთამომავლობის წინაშე: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგერჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“ (ტ. III, 26-27).

ილია ჭავჭავაძემ „ღვთაებრივი საუნჯე“ უწოდა მამულს, ენასა და სარწმუნოებას, რომლებიც შენივთდა „ერთ არს სამებად“; ისინი ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ, ერთმანეთს აკსებენ და ქვეყნის ერთიანობას განაპირობებენ: „ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა“; „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი სული და გული — ენაა...“ ამიტომაც ეთანხმება ილია გრიგოლ ორბელიანს: „მტრობა ენის არს მტრობა ქვეყნის“.

შეძლებისდაგვარად გავითავისოთ თითოეული „ღვთაებრივი საუნჯე“ ილია ჭავჭავაძისა.

## მამული

*„მამული!.. ამ სიტყვის ყოვლადმკაცრობელი მნიშვნელობა ვრცელა და ფართო“ (ილია).*

ილია ჭავჭავაძისათვის მამული ღვთის წილხვდომილია, ამიტომაც არ უნდა დაგვავიწყდეს, „რომ ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული“ („აჩრდილი“).

ილია ჭავჭავაძე, როგორც თვითონ ამბობს, სიყრმიდანვე აიყლია ქართლის ბემა და ღლე და ღამეს მასზე ფიქრსა და სიყვარულში ათენ-ალამებდა:

„მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,  
ჰო, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!  
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,  
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და ღლე ღამდება.  
დაჟინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება,  
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იძვრის ჩემს გულში,  
და მე არ ვჩივი, — მიხარია, რომ ეგრეთ ჰშვრება  
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში“.

(„მას აქეთ რაკი...“).

საოცარია სამშობლოს სიყვარულში დამამშვრალი ჯერ მხოლოდ 24 წლის ჭაბუკის ფიქრ-წუხილი: „მას აქეთ რაკიო...“ ისე ამბობს, თითქოს უკვე სიჭარმაგეში შესულიყოს. მაშ როდიდანღა გაუკრთო მისმა სათაყვანო მამულმა „ძილი და შვება?“ გავიხსენოთ, რაოდენ გულმტკივნეულად დაემშვიდობა პეტერბურგში სასწავლებლად მიმავალი ოციოდე წლის ყრმა პოეტი ყვარლის მთებს.

ამიტომაცაა, რომ ილია ჭავჭავაძე ვერ შეეგუა „მამულის“ ცნების დაკნინებას და ამ სიტყვას ეროვნულ-პატრიოტული მნიშვნელობა მიანიჭა.

ბევრიც რომ ვეცადოთ, შევიგრძნოთ, თუ რაოდენ ტყვადია და მრავლისმომცველი სიტყვა **მამული**, ამას ილიას გარეშე ვერ შევძლებთ. მაშ რუღუნებით, გულისყურით და ფიქრიანად მოუესმინოთ ილიას დაჭვდილ ქართულს, **მამულის** განმარტებისათვის მოხმობილს:

„მამული!... ამ სიტყვის ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო. იქ, საცა ხალხობა დარღვეული არ არის და განთვითეულობა — ეგ ჭირთა ჭირი არა მეფობს, იქ მაგ სიტყვის აზრი ცხოვრების მომნიჭებელი სულია, მთელი ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ თვითეულსა — მთელის ხალხისა და მთელს ხალხს — თვითეულისა ჭირი და ღზინი წარმოუდგება ხოლმე. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავის ქვეყნის ნაღვლითა ნაღვლობს, ღზინითა ღზინობს, დღეობითა და დიდებითა დღესასწაულობს. იქ მაგ სიტყვაში ყოველია, და ყოველში ყველა არის“.

ილია წუხს, რომ „ეხლა ეგ დიდებული სიტყვა თვითოეულს ჩვენგანის ვათავთავებულს უძრავს ქონებასა ნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს, ბინასა, რომელიც ქვისა და კირის მაგიერ ჩვენის მამა-პაპის სისხლითა და ძვლებით დამყარებულია. სადღაა მამული? ხორცის დაუძღურებას სულის დაუძღურებაც ზედ მოსდევს: განვითეულდით, და რამოდენადაც თვითეული ჩვენგანი მთელს ქართველობაზედ უძღურია და პატარა, იმოდენად თვითეულის ჩვენგანის აზრი საყოველთაო საგანზედ დაუძღურდა, დაპატარავდა. ჩვენს დაფუყებულს და შევიწროებულს გონებას სადღა შეეძლო ექონია ის ვრცელი და დიდებული აზრი დიდებული სიტყვისა? მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის-კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზეც სადავო საჩივარია; მამულისათვის ძღვევამოსილობა — მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვნად შემოწმებული, მამულის სიმაგრე — ტყრუმული ღობეა, ვენახ გარშემო შემორტყმული; მამულის პატივი — ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულის შვილობა-მხენელისა და მთესველის სახელიდაა.

ზღვა კოვზით არ დაიღვევო, ნათქვამია, აი თუ არ დაიღვევა, სად არის მამულის ყოვლადმპყრობელი, ვრცელი, ფრთაგასამლეული მნიშვნელობა?“ — კითხულობს ილია და თავადვე პასუხობს.

„— თვითეულმან ჩვენგანმა თავისი ხვედრი, დიდის „მამულის“ ნაშთი, თავად შემოიღობა; იმ შემოღობილში თვითეულმან ჩვენგანმა თავისი საკუთარი ქვეყანა აიშენა და საზოგადო სახელი „მამული“ თავის კერძო მამულს დაარქვა და თქვა: თუ მე არ ვიქნებო, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო. ამ სახით თვითეული ჩვენგანი თავის შემო-

ლობილში შეიკეტა, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აიჩინა; და რომ თვითუღმან ჩვენგანმა საერთო საქმეს თვალი მოაშორა და გონება თავისი საერთო საგანზედ აღარ ავარჯიშა, ის გონებაც ისე დაუბრმავდა, რომ იგი თავის ქონების ღობის იქით ვეღარ გადაუცილებია, რომ თავის მოძმეს გაეხმაუროს მაინცა" (ტ. III, 77-78).

როგორც ვხედავთ, ილია უღმობელია სიტყვა **მამულის** „ყოვლად-მპყრობელი“ მნიშვნელობის დამკინებელთა მიმართ და გულს იმითლა იკეთებს, რომ „თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისა“ (გრ. ორბელიანის ეს სიტყვები აქვს ეპიგრაფად წამძღვარებული ილია ჭავჭავაძის ამ წერილს).

თავდაპირველად ტერმინი „მამული“... „მამისგან მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ საკუთრებას ნიშნავდა“ (ივ. ჯავახიშვილი), მაგრამ სამშობლოს სინონიმად მისი გამოყენების ინტენსივობა იცვლებოდა ქართველ ხალხში ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთების გაღვივების კვალდაკვალ. განსაკუთრებით იმძლავრა ამ სიტყვაში „სამშობლოს“ ცნებამ ქართველ რომანტიკოსებთან, რაზედაც ილია ჭავჭავაძე სიამაყით მიუთითებს: „სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა. ვისაც კი რაიმე ნიშან-წყალი ჰქონდა ღმერთის მიერ მინიჭებულ მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა, თითქმის ყველანი იმ გზას დაადგინენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახონ მამული, რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდე-ღა დააქვეითა და დაამდაბლა. აგრე გაუპატიურებულმა სიტყვამ 60-იან წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვაწლით კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ, და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს ჩვენის ცხოვრებისას“ (ტ. III, 225).

ენახოთ, „რა სხივოსანი შუქი მოჰფინა“ ილია ჭავჭავაძემ „ერე გაუპატიურებულ“ სიტყვა **მამულს** თავის პოეზიაში.

ილია ჭავჭავაძის პოეზიაში **მამული** გვხვდება 137-ჯერ; ამათგან მხოლოდ ერთხელ დასტურდება „უძრავი ქონების“, „ადგილ-მამულის“ მნიშვნელობით: რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით? — ერთმანეთს უსინდისოდ **მამულს** ვეცილებოდით (81,3). დანარჩენ 136 შემთხვევაში კი **მამული** **სამშობლოს** სინონიმია. ამიტომაც არ შეიძლება არ დავეთანხმეთ თვალსაზრისს, რომ „სწორედ დიდმა ილიამ აღადგინა თავის მხატვრულ ენაში სიტყვა „მამულის“ აღრინდელი

გაგება" (შ. ძიძიგური, 1971, 82) და საბოლოოდ დააკანონა იგი ქართულ ენაში, როგორც „სამშობლოს“ სინონიმი. ასეთი მნიშვნელობით **მამული** პირველად დასტურდება ლექსში „ქართველის დედას“, რომელიც ილიამ დაწერა პეტერბურგში 1858 წლის 15 დეკემბერს:

„ქართველის დედაო! ძუძუ ქართველისა  
უწინ **მამულსა** უზრდიდა შვილსა“ (30,2).  
„მითხარ, — სადღაა მამა-პაპური  
მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური,  
სახელისათვის ამაყი თრთოლა,  
**მამულის** მტერთან მედგარი ბრძოლა? (30,12).

ილიასათვის **მამული** მართოდენ „სამშობლოს“ მონაცვლე სიტყვა კი არ არის, არამედ „ამ სიტყვის ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო“ (ილია); მასში გაჯერებულია უდიდესი სიყვარული, თაყვანისცემა, თავგანწირვა და ზრუნვა მშობლიური ქვეყნისადმი, რაც გაცნაურდება სათანადო კონტექსტში:

ჩემი **მამული** იყო დროსა გამშვენებული! (134,9); ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო **მამული** (136,12); ადაღვინე მშვენიერი ესე **მამული** (149,14); ჩემი **მამული**, საქართველო დღეს მიცოცხლდება! (151,2); შვეწირო საყვარელი დიდი **მამული**(151, 15); შველასა ითხოვს **მამული** (155,24); მერე **მამული**? (156, 21); **მამული**!.. იგი უფრო საყვარელია (156,24); **მამული** სამშობლოსა არარა არის რა (234,4); მეცა მქონია კარგი **მამული**! (241, 1); გულს კი არა აქვს არსად **მამული**! (254,27).

ილიას მთელს პოეზიაში მხოლოდ ერთი ნიმუშია ამ სიტყვის მოთხრობით ბრუნვიანი ფორმისა.

„ბრძოლად რომ **მამულმა** გვიხმოს,  
ეხლაც კი გამოვადგებით“ (64,7).

ეს ფაქტიც აშკარად გამოხატავს ილიას დამოკიდებულებას მამულისადმი. ვინაიდან მოთხრობით ბრუნვიანი ქვემდებარე ზომ რეალურად მოქმედია, მოქმედების შემსრულებელია. ილიასათვის კი მამული „რეალურად მოქმედი“ კი არ არის, არამედ ყველასათვის საზრუნავი და საპატრონო ობიექტია:

ჩვენს მამულს ვეპატრონეთ (36,20); მამულს სიცოცხლე შე-  
ვწიროთ (38,3); ვსჭვრეტთ მამულს დაობლებულს (48,8); ჰნახავ...  
მამულს დაობლებულს (44,8); დააკვიდი მამულს მსხვერპლად  
(44,12); მამულს მიგცა ზეცამა 45,9); სიკვდილის წამში მამულს,  
შვილო, შენ გაუღიძებ (45,15); მამულს არ უმტყუნე (45,2). რას  
ვეძებ მე?... მამულს, (134,28); მამულს ვუძღვნა ძის სიყვარული  
(151,14); მამულს... შეაკვდება (152,30); მამულს თავი შევსწიოთ  
(154,17); შველა არა აქვს მამულს! (155,17); მამულს ხოლმე შე-  
სწირავდნენ (179,8); სიკვდილით ის მამულს ასახელებდა (179,16);  
ბუბუ ქართველისა უწინ მამულს უზრდიდა შვილსა (151,25); მა-  
მულსა მეორმარი მით ერთი ემატებოდა (179,11).

თუ გავიხსენებთ ილიასეულ უღმობელ შეფასებას, რომ ეხლა  
მამულის სიმაგრე ტყრუშული ღობეა, ხოლო მამულის პატივი –  
ნეხვიო, მით უფრო საცნაური გახდება სუბსტანტურ მსახლვრელად  
გამოყენებული მამულის უძძღავრესი პატრიოტულ-ემოციური და-  
ტვირთვა:

მითხარ, სადალა... მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?  
(30,12); ნანა, მამულის მსხვერპლო (46,5); დაეანგებულ ბორკილზე  
სცვლიან თავის მამულის თავისუფლებას (143,26); ვეღარ გაუძლო  
მტარვალთ ურცხვობას იმა მამულის ამაყმა შვილმა (146,8); მამუ-  
ლის დროშა გაიშლებოდა (146,26); ძის სიყვარული, თუ მამულის,  
რომელი დასთმოს? (151,17); მამულის დახსნის დღე არის (154,5);  
მამულის დამხსნელს-ვაჟკაცის ხმალი და გული სდომია (154,9);  
ძნელი არ არის მამულის გმობა (157,10); დიდხანს ებრძოდა შვი-  
ლის ტრფობას მამულის ვალი (64,1); მამულისა სიყვარულმა ძმობა  
გულში ჩაგვიყენა (36,5); მამულისა შვილნი ჩვენც ვართ (64,1);  
თავი დავსდო მამულისა ჩვენის სახსნელად (153,7).

წოდებით ბრუნვაში დასმული სახელი სინტაქსური ფუნქციით  
მიმართვაა; ამ ენობრივი საშუალებით კი ილია მამულისადმი ვედრე-  
ბას ადავლენს:

მამულო, საყვარელო, შენ როსლა აჰყვავდები? (73,7); ჰოი,  
მამულო, გამიკრთა მე ძილი და შეება! (74,2); მაგრამ, მამულო, ჩე-  
მი ტანჯვა მხოლოდ ის არი (74,9); მამულო, წაიყვანე, დღეს ის  
შენია (151,12); აჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შვილი  
(151,18); ეჰა, მამულო! (57,1).

შეინიშნება რომ, ილია ჭავჭავაძის პოეზიაში **მამული** არც ერთხელ არ გვხვდება მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში; ესეც ალბათ იმიტომ, რომ ილიასათვის მამული არც საჭურველია და არც სხვა რამედ გადასაქცევად ემეტება იგი,

თანდებულებიან ფორმათაგან **მამული** უმთავრესად — თვის თანდებულებიანი. ემ ენობრივ საშუალებით მოგვიწოდებს ილია მამულისათვის თავის დადებას, მამულისათვის თავგანწირვას.

ღუღათა გული ჩვილი **მამულისათვის** მაგრდება (44,4); მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადა შერგებია, **მამულისთვის** სტკვლილი ვისაც დაზარებია (45,2); უკვდავი არის შვილი, **მამულისთვის** მომკვდარი! (45,8); იქ **მამულისთვის** ქართვლის ჰმა ჰქუხდა (134,22); თავდადებას **მამულისათვის** ერთმანეთს ომში ეცილებოდნენ (146,32) ვინც **მამულისათვის** არ იმეტებს თავისსა შვილსა, მას შვილი თვისი, ჩემო კარგო, არ ჰყვარებან (153,13); ჩვენ შეგვასწროს **მამულისათვის** თავდადებულნი კიდევ გიხილოთ (155,10); უწინ ქართველს უხაროდა **მამულისათვის** მტერთან ომი (179,18); **მამულისათვის** ვის ახსოვდა განსაცდელი (179,21); ჩემის **მამულისათვის** მე ჩემს ძუძუს გაწოვებ (44,25); წმიდაა იგი, ვისაც ეღირსა **მამულისათვის** თავის დადება (136,18);

**მამულის** მსაზღვრელად ხშირად გვხვდება ჩემი, ჩენი; ზოგჯერ კი თავისი, თვისი, შენი... როგორც ჩანს, ილიასეულ **მამულის** ცნებაში, იგულისხმება არა ზოგადად სამშობლო, არამედ ჩემი /ჩენი/ სამკვიდრო, სამშობლო. ილია ჭავჭავაძის პოეზიაში გვხვდება ჩენი /ჩემი/ მამული, თვისი /თავისი/ მამული, მაგრამ არც ერთხელ მისი /მათი/ მამული! ეპითეტებად გამოყენებულია: გამშვენებული, მშვენიერი, საყვარელი, ღიდი, კარგი, დაობლებული.

როგორც ვხედავთ, ამ სიტყვას ილია ზედმეტად აღარ ტვირთავს მრავალფეროვანი ენობრივი თუ მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით, ვინაიდან **მამული** ილიასათვის „ყოვლად მყრობელი“ მნიშვნელობისაა და დამატებით სემანტიკური სამკაულები აღარ სჭირდება.

კიდევ ერთი ნიუანსი: სამოციანელებთან, XX საუკუნის ქართულ პოეზიაში და, საერთოდ, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში „სამშობლოს“ სინონიმ **მამულის** ცნებას უცილობლად თან ახლავს უდიდესი პატრიოტული გრძნობა, — მზადყოფნა მისთვის თავდადებისა, რაც სათანადოდ უნდა აისახოს ლექსიკონში.

ცალკე უნდა შევჩერდეთ არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით შემდგენილ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე“, რომელიც **მამულს** ასე განმარტავს:

**მამული** 1. უძრავი ქონება, მიწა-წყალი, რომელიც ვისიმე საკუთრებას შეადგენს და მეძველდროებით გადაეცემა მამიდან შვილს (უძრავი ქონება საერთოდ) უპირატესად სოფელში.

2. იგივეა, რაც სამშობლო. „ძირს მამულის მოღალატენი“ (ს. მგალობ.). როგორც ვხედავთ, ქეგლი-ის V ტომის შემდგენელთ სიტყვა **მამულ**-ის ძირითად მნიშვნელობად მიუჩნევათ „უძრავი ქონება“, ხოლო მეორეულად – „სამშობლო“, რაც აკნინებს ილიასეულ **მამულის** ყოვლად-მპყრობელ მნიშვნელობას.

ამასთანავე ამ მეორეული მნიშვნელობის საილუსტრაციოდ დამოწმებულია სოფრომ მგალობლიშვილი, რაც არ მიგვაჩნია გამართლებულად. როცა ილია ჭავჭავაძე მართლაც მამულიშვილურად ზრუნავს თავის მამულზე და სამშობლოს სინონიმად სიტყვა **მამულის** დამკვიდრებაზე, განა დასაშვებია მისი განმარტებისას საილუსტრაციოდ მასალა ილიასეული არ იყოს?!

ამრიგად, ილია ჭავჭავაძემ ბრწყინვალე პუბლიცისტურ წერილებში გამოთქვა უდიდესი გულისტკივილი სიტყვა **მამულის** მნიშვნელობის დაკნინების გამო, ხოლო თავისი პოეზიით ქართულ სალიტერატურო ენაში **მამული** დაამკვიდრა მრავალჭირნახული სამშობლოს სინონიმად.

ასეთია ამ „გაუპატიურებული“ სიტყვის „სხივოსანი შუქი“ და „ყოვლად-მპყრობელი“ მნიშვნელობა ილია ჭავჭავაძის სიტყვიერებაში.

## ენა

„ენა საღვთო რამ არის“ (ილია)

საყოველთაოდაა ცნობილი ილია ჭავჭავაძის როლი ახალი სალიტერატურო ქართული ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში. „XIX საუკუნის მესამოცე წლებიდან ილია ჭავჭავაძის მეოხებით ახალმა სალიტერატურო ქართულმა ვზა გაიკაფა და დამკვიდრდა, როგორც ერთადერთი სალიტერატურო ენა“ (არნ. ჩიქობავა, 1950, 008). სწორედ ერთიან სალიტერატურო ქართულზე ზრუნვა იყო

შეინიშნება რომ, ილია ჭავჭავაძის პოეზიაში **მამული** არც ერთხელ არ გვხვდება მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში; ესეც ალბათ იმიტომ, რომ ილიასათვის მამული არც საჭურველია და არც სხვა რამედ გადასაკცევად ემეტება იგი,

თანდებულის ფორმათაგან **მამული** უმთავრესად —თვის თანდებულისაა. ემ ენობრივ საშუალებით მოგვიწოდებს ილია მამული-სათვის თავის დადებას, მამულისათვის თავგანწირვას.

ღედათა გული ჩვილი **მამულისათვის** მაგრდება (44,4); მას ღელის ძუძუ ტკბილი შხამადა შერგებია, **მამულისთვის** სტკვლილი ვისაც დაზარებია (45,2); უკვდავი არის შვილი, **მამულისთვის** მომკვდარნი! (45,8); იქ **მამულისთვის** ქართულის ჰმა ჰქუხდა (134,22); თავდადებას **მამულისათვის** ერთმანეთს ომში ეცილებოდნენ (146,32) ვინც **მამულისათვის** არ იმეტებს თავისსა შეილსა, მას შვილი თვისი, ჩემო კარგო, არ ჰყვარებიან (153,13); ჩვენ შეგვასწროს **მამულისათვის** თავდადებულნი კიდევ გიხილოთ (155,10); უწინ ქართველს უხაროდა **მამულისათვის** მტერთან ომი (179,18); **მამულისათვის** ვის ახსოვდა განსაცდელი (179,21); ჩემის **მამულისათვის** მე ჩემს ძუძუს გაწოვებ (44,25); წმიდაა იგი, ვისაც ეღირსა **მამულისათვის** თავის დადება (136,18);

**მამულის** მსახლვრელად ხშირად გვხვდება ჩემი, ჩვენი; ზოგჯერ კი თავისი, თვისი, შენი... როგორც ჩანს, ილიასეულ **მამულის** ცნებაში, იგულისხმება არა ზოგადად სამშობლო, არამედ ჩემი /ჩვენი/ **სამკვიდრო, სამშობლო**. ილია ჭავჭავაძის პოეზიაში გვხვდება ჩვენი /ჩემი/ **მამული, თვისი /თავისი/ მამული**, მაგრამ არც ერთხელ მისი /მათი/ **მამული!** ეპითეტებად გამოყენებულია: გამშვენებული, მშვენიერი, საყვარელი, ღიდი, კარგი, დაობლებული.

როგორც ვხედავთ, ამ სიტყვას ილია ზედმეტად აღარ ტვირთავს მრავალფეროვანი ენობრივი თუ მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით, ვინაიდან **მამული** ილიასათვის „ყოვლად მპყრობელი“ მნიშვნელობისაა და დამატებით სემანტიკური საიკაულები აღარ სჭირდება.

კიდევ ერთი ნიუანსი: სამოციანელებთან, XX საუკუნის ქართულ პოეზიაში და, საერთოდ, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში „სამშობლოს“ სინონიმ **მამულის** ცნებას უცილობლად თან ახლავს უდიდესი პატრიოტული გრძნობა, — მზადყოფნა მისთვის თავდადებისა, რაც სათანადოდ უნდა აისახოს ლექსიკონში.

ცალკე უნდა შევჩერდეთ არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით შედგენილ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე“, რომელიც მამულს ასე განმარტავს:

**მამული** 1. უძრავი ქონება, მიწა-წყალი, რომელიც ვისიმე საკუთრებას შეადგენს და მემკვიდრეობით გადაეცემა მამიდან შვილს (უძრავი ქონება საერთოდ) უპირატესად სოფელში.

2. იგივეა, რაც სამშობლო. „ძირს მამულის მოღალატენი“ (ს. მგალობ.). როგორც ვხედავთ, ქეგლი-ის V ტომის შემდგენელთ სიტყვა **მამულ**-ის ძირითად მნიშვნელობლად მოუჩნევიათ „უძრავი ქონება“, ხოლო მეორეულად – „სამშობლო“, რაც აკნინებს ილიასეულ **მამულის** ყოვლად-მპყრობელ მნიშვნელობას.

ამასთანავე ამ მეორეული მნიშვნელობის საილუსტრაციოდ დამოწმებულია სოფრომ მგალობლიშვილი, რაც არ მიგვაჩნია გამართლებულად. როცა ილია ჭავჭავაძე მართლაც მამულიშვილურად ზრუნავს თავის მამულზე და სამშობლოს სინონიმად სიტყვა **მამულის** დამკვიდრებაზე, განა დასაშვებია მისი განმარტებისას სიალუსტრაციოდ მასალა ილიასეული არ იყოს?!

ამრიგად, ილია ჭავჭავაძემ ბრწყინვალე პუბლიცისტურ წერილებში გამოთქვა უდიდესი გულისტკივილი სიტყვა **მამულის** მნიშვნელობის დაკნინების გამო, ხოლო თავისი პოეზიით ქართულ სალიტერატურო ენაში **მამული** დაამკვიდრა მრავალჭირნახული სამშობლოს სინონიმად.

ასეთია ამ „გაუპატიურებული“ სიტყვის „სხივოსანი შუქი“ და „ყოვლად-მპყრობელი“ მნიშვნელობა ილია ჭავჭავაძის სიტყვიერებაში.

## ენა

*„ენა საღეთო რამ არის“ (ილია)*

საყოველთაოდაა ცნობილი ილია ჭავჭავაძის როლი ახალი სალიტერატურო ქართული ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში. „XIX საუკუნის მესამოცე წლებიდან ილია ჭავჭავაძის მეოხებით ახალმა სალიტერატურო ქართულმა გზა გაიკაფა და დამკვიდრდა, როგორც ერთადერთი სალიტერატურო ენა“ (არნ. ჩიქობავა, 1950, 008). სწორედ ერთიან სალიტერატურო ქართულზე ზრუნვა იყო

ილია ჭავჭავაძის მთავარი მოღვაწეობის საგანი (არნ. ჩიქობავა, 1988, 273). „ილია ჭავჭავაძე პირველი იყო, რომელმაც გაბედულად გაილაშქრა ენობრივი კონსერვატიზმის წინააღმდეგ და ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების მიძიმე ტვირთი იკისრა“ (შ. ძიძიგური, 1971, 73). „ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ქართული ენის აღორძინების საქმეში განუზომლად დიდია... იგი არის უდიდესი რეფორმატორი ქართული სალიტერატურო ენისა“ (პ. ინგოროყვა, 1957, 99). მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძეს „რაიმე თეორიული ნარკვევი გრამატიკისა და სპეციალურად შემუშავებული სალიტერატურო ქართულის ნორმების სახით არ დაუტოვებია“ (ა. შანიძე, 1988, 92), ფრიად საინტერესოა მწერლის შეხედულება და თეორიული მსჯელობა ენის შესახებ. ილიას აზრით, „თვითონ ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება, მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ენისა ცალკე და კაცობრიობისა საზოგადოდ“ (ტ. IV, 29). იგი ენას მიიჩნევს ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილად: „ენა, როგორც გასაღები დაკეტილისა, ყველაზე უფრო შემძლებელია და ყველაზე სანდო მოწმეა ცივილიზაციის ისტორიისათვის“ (ტ. IV, 30) და იქვე გვთავაზობს შესაბამის ფორმულირებას – „ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას“. და რაც მთავარია, „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი სული და გული ენაა!“ (ტ. V, 80).

ილია ჭავჭავაძის ენათმეცნიერული ინტერესების გამომხატველია მისი დამოკიდებულება ენობრივი მოვლენების კვლევისადმი; იგი იცნობს ისტორიულ-შედარებით მეთოდს და იზიარებს მას, რადგან, მისი აზრით, „ამ მეთოდით ბევრ წყვილადსა და ბნელს ნათელი მოეფინა, ბევრი დაფარული გამომხვედა“ (ტ. IV, 30).

ილია ჭავჭავაძისათვის ფილოლოგია „ენის მკვლევარი მეცნიერებაა“, რომელმაც განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია მაშინ, როდესაც „ადამიანის გონებამ მიაგნო ერთგვარს გზას კვლევისას, რომელსაც „შედარებითი მეთოდი“ – ჰქვიან“ (იქვე); ილია განმარტავს: „თითონ სიტყვა შედარება ცოტად თუ ბევრად გვამცნევს – რა უნდა ვიგულისხმოთ, როცა ვამბობ „შედარებითი მეთოდი“. შედარება იმ მოქმედებას გონებისას ჰქვიან, როცა ორს ანუ რამდენიმე საგანს ერთმანეთს წაუყენებს, დაუპირისპირებს, რომ აღმოჩნდეს, რაში აქვთ მსგავსება, ერთნაირობა, და რაში სხვაობა და სხვანაირობა“ (იქვე, 31-32).

შედარებასთან ერთად ილია აუცილებლად თვლის ისტორიის გათვალისწინებასაც: „ყოველივე ამისთანა ამბავი, ცალკე თუ სხვებთან ერთად, ისტორიის მკვლევართათვის ანგარიშგასაწევეია იმდენად, რამდენადაც იგი ანიშნებს ზეგავლენას, დამოკიდებულებას ერთმანეთზე სხვადასხვა ერებისას, რომელნიც, რაკი ამისთანა საბუთია, უეჭველია, ერთმანეთს ოდესღაც შეჰხდებიან ისტორიის გზაზედა“ (იქვე, 33).

თქმულის დასტურად ილია იმოწმებს ბავშვურ სიტყვა „აჩუ“-ს, რომელსაც უკავშირებს სანსკრიტულ, ლათინურ, ირლანდიურ და სხვა ენებს, სადაც „აჩუ“ ნიშნავს „ცხენს“-ს.

ილია ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით გვთავაზობს რამდენიმე სიტყვის ეტიმოლოგიას: „განა იმისთანა, რომელიც ჩვენს ენას დღევანდლამდე შერჩენია, არაფრის მთხრობელნი არიან, მაგალითებრ: „წყალობა, მოწყალე, შემოწყალე, მოწყალეა“. აქ ყველგან „წყალი“ ისმის და ეს ამისთანა ცოცხალი მოწმე განა არ გვეუბნება, რომ პირვანდელი ბინა ქართველებისა ისეთი მშრალი ყოფილა, რომ „წყალობა ნატვრისა და ვედრების საგნად გახდომია... ან სიტყვა „მიცვალება“, „მიცვალებული“, რომელიც მოკვდომასა და მკვდარს ნიშნავს, მაგრამ არა სრულიად გაარარაებას, არამედ „გარდაცვლას“, სხვა სახედ გადასვლას... ან ქალის „გათხოვება“, „მითხოვება“ განა არას გვეუბნება, რომ უწინდელ ქართველის ცოლის შერთვაში „თხოვებას“ რაღაც ადგილის სჭერია“ (ტ. IV, 91-91).

ილია ჭავჭავაძემ იცის, რომ ტოპონიმები ენის ისტორიის შემადგენელი ნაწილია და ზშირ შემთხვევაში ისინი გვაწვდიან ძვირფას ცნებებს ხალხთა უძველესი სამკვიდროს შესახებ. მწერალ-გეოგრაფთა ცნობებზე დაყრდნობით ილია ასახელებს კაბადოკიაში შემორჩენილ ქართულ გეოგრაფიულ სახელებს: თიანეთი, თამარძე, ორგუბე, ჭიჭავის მთა, ჭილობის მთა, დედა-მთა, ქუთაია, გომიში, ტაზისკარი (ტაშისკარი), თავშანი, ენგური, ქიზიყი, ონი, ატენი, ქავთ-კარი... აქვეა გემრიელ-წყალი, რომელიც, ილიას თქმით, „რუკაზე გარყვნილად წერია: გერმიელ-ჩაი“.

ეს გარემოება ამტკიცებს, რომ კაბადოკიაში ოდესღაც მართლაც ქართველები მკვიდრებულანო (ტ. VIII, 177-178, იხ. შენიშვნა).

უაღრესად საინტერესოა ილია ჭავჭავაძის მოსაზრება ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების თაობაზე. იგი ამ საკითხზე თავის მოსაზრებას გამოთქვამს იმათ გასაგონად, ვინც „გაირჯება... აზრის გამოხატვის სურვილით და... ვინც სიტყვაში აზრს ეძებს და არა მარტო გრძნობასა და სიამოვნებას" (ტ. IV, 27).

ილიას ღრმა რწმენით სიტყვის უმთავრესი ფუნქციაა აზრის გამოხატვა. „სიტყვა გარეგანი სამოსელია აზრისა" (ტ. III, 35) და ამასთანავე „ყოველი სიტყვა აზრის წარმომადგენელია და რაც აზრი მეტია, სიტყვა მეტია" (ტ. III, 472); ადამიანის გონიერი ცხოვრება წარმოუდგენელია მეტყველების გარეშე: „მეტყველების წყარო აზრია და აზრის წყარო გონებითი ცხოვრებაა" (ტ. III, 81) „სადაც აზრი არ არის, იქ ენა, რაც არ უნდა კარგი იყოს, სულ უქმია... აზრი და მხოლოდ აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას" (ტ. III, 38).

ილია ჭავჭავაძე შეწუხებულია, რომ „ენას აზრს ვინდა სთხოვს? ჩვენ თითონ დავცალიერდით გუდაფშუტასავით, ცალიერი სიტყვებილა გვინდა, ცალიერი ხმები, რომ ენამ პირში იფშტვინოს და ყურმა ძარღვი არ იფხანოს... ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს თუ ზედ კაცური არ დავუმატეთ... ამიტომაც პირუტყვ-ბუნების ხმის მსგავსი სიტყვებით აივსო ჩვენი ენა,... აზმუვლებული, უნიადაგო ჩვენი უბედური ენა" (ტ. III, 81).

ქართული ენის დაკნინებით გულშემძრული ილია თითქოს დღეს გველაპარაკებოდეს: „ჩვენს ეგრეთწოდებულ მაღალ საზოგადოებას თუ დავაკვირდებით, ცოცხალი ლაპარაკი, ის დარბაისლური ქართული საუბარი, ის საამური ქართული სიტყვის მიხვრა-მოხვრა, ის სიმდიდრე ქართული სიტყვებისა აღარ ისმის, აღარ არის. გადაგვაიწყდა ყოველივე, რაც ენის შვენებას შეადგენს, რადგანაც ჩვენი აზრი ჩვენის ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თბება" (ტ. V, 39).

დღეს საკმაოდ მწვავედ დგას საკითხი: აუცილებელია თუ არა სახელმწიფო მოხელე სრულყოფილად ფლობდეს სახელმწიფო ენას — ქართულ ენას! ილია ჭავჭავაძე ამ შემთხვევაშიც საოცრად თანამედროვეა; ამიტომაც გულისყურით მოეუსმინოთ დიდ მამულიშვილს: „როცა მოხელეები იმ ჯურიდან ამორჩეულნი არიან, რომელიც სრულიად უცნობია ხალხისა, მისის ცხოვრებისა, სრულიად უცო-

დინარი ენისა, — ამას აუცილებლად ის მოსდევს, რომ მათ ხალხისა არა გაეგებათ რა და ხალხს კიდევ მათი. არიან ესე, ხშირად ერთი აღმა მიდის და მეორე წალმა, უყურებენ ერთმანეთს და ჰკვირობენ, ან მე რად ვუნდივარ ამასაო, ან მე იგი რად მინდაო, ის ჩემთვის მუნჯი და ყრუიაო", ილია განაგრძობს: „ამჟარაა, რომ მოხელეთა ამორჩევაში, განათლებისა და ზნეობით აღმატებულების გარდა ენის ცოდნას უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს. უამისოდ ამაოა მთავრობის ცდა ხალხის გულის მოსაგებად. ეს არის უპირველესი ღონე მოხელისა, რომ მართალი და ჭეშმარიტი სამსახური გაუწიოს სახელმწიფოსა და საზოგადოებასაც. ეს კარგად იციან ევროპელებმა, რომელთაც კანონად მიღებული აქვთ, რომ თუ ენა არ იცის, კაცს ფეხსაც არ შეადგმევენებენ იმ ხალხში, საცა მოხელეობას ჰდომობს. ასე მოქმედობს, მაგალითებრ, ინგლისი — შესახებ ინდოეთისა. ჩვენში კი სულ სხვასა ვხედავთ. აქ არამცთუ მოხელისაგან თხოულობენ, რომ აქაური ენები იცოდნენ, არამედ თვითონ აქაურებისათვისაც კი ამოაკვეთინეს ფეხი აქაურს ენებს აქაურის სასწავლებლიდამ. იქ, საცა ჩვენის ხალხის მწყემსნი იზრდებან, ჩვენის ხალხის მასწავლებლნი, მაგალითებრ — სასულიერო და საოსტატო სემინარიაში, იქიდანაც კი გამოდევნეს ჩვენი ენა. ქართველებსაც კი გზა არა გვაქვს ჩვენი ენა შევისწავლოთ, თორემ სხვას ვინა ჩივის. მთავრობა, რასაკვირველია, მიაქცევს ყურადღებას ამ დიდ ნაკლს და ეცდება იგი ნაკლი თავიდან მოაშოროს აქაურს მმართველობას და ყოველს მოხელეს მოსთხოვოს იმ ხალხის ენის ცოდნა, რომელთ შორის სამსახურს ჰნდომობს" (იქვე, 38-39).

ყოველივე ეს მარტო სახელმწიფო მოხელეებს არ ეხება, ვინაიდან „ჩვენ ყველანი ქართული ენის ზმარებაში ცოდვილნი ვართ" (ტ. III, 26). ამიტომაც ყველას ვაღია, დაიცვას ქართული ენა, „ის ენა, რომელზედაც დაიღიღნა ჩვენმა უკვდავმა რუსთაველმა თავისი უკვდავი „ვეფხისტყაოსანი", ის ენა, რომელზედაც დაიგალობა თავისი ღვთიური სიმღერები თავად ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ის ენა, რომელზედაც ნიკოლოზ ბარათაშვილმა, მაგ უდროოდ დამარხულმა ჩვენმა იმედმა, ჰარმონიულად და ნაღვლიანად დაიმღერა „ქართლის ბუდი" და თავისი მართლად ზეგარდმო შთაგონებული წერილი ლექსები!... რომ არა გვყავდნენ რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, კიდევ ჰო, რომ გვყავნან, რატომ არ ვსწავლობთ იმათ მშვენიერს ლექსებში მშვენიერს ენას?

დაუდევრები ვართ ქართველები და კიდევ ეგ მოგვიღებს ბოლოს, თუ ჩვენ საუბედუროდ არ გავსწორდებით როდესმე (ტ. III, 15).

ილიას აზრით, განუზომელია მწერლის როლი ენის გამდიდრების საქმეში: „ნიჭიერი მწერალიც იმისთვის არის სასარგებლო ენისათვის, რომ თავის თხზულებაში ენის სიმდიდრე გამოაჩინოს“ (ტ. III, 43).

ილია ჭავჭავაძის ღრმა რწმენით კი ენის სიმდიდრე დაუნჯებულა ხალხში; მართლაც რომ ურყევია ილიასეული დებულება: „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა“ (ტ. III, 43).

ამასთანავე, „ენის გამდიდრება სხვისა სიტყვებითა ერს არ დაამდაბლებს, თუ არ აამაღლებს“ და „ვინც იძახის, ნუ იხმართ ახალ სიტყვებსაო, იმან არ იცის, რას ამბობს“ (ტ. III, 472): „ორიგინალი, სენტიმენტალური და სხვანი მაგ-გვარი სიტყვები... ქართული სიტყვები არ არი, მთელი კაცობრიობა კი ხმარობს. ყოველ ხალხსა ცოტაოდენ განვითარებულს და ფეხშედგმულს ევროპის განათლებაში, შემოუტანია და მიუღია ეგ სიტყვები, როგორც თავისი ღვიძლი ენის ლექსნი; მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ჩვენც ვიხმაროთ“ (ტ. III, 52).

ილია ჭავჭავაძეს შეუქცევად პროცესად მიაჩნია ინტერნაციონალური ტერმინოლოგიის შემოტანა ენაში: „თუნდ რომ მე არ ვიხმარო ეგ სიტყვები, მაინც კიდევ უთუოდ შემოგვეპარებიან, როგორც შემოგვეპარენ: პოემა, პოეზია, ფილოსოფია, კრიტიკა, სტატია, ლირიკა და სხვანი მრავალნი“ (ტ. III, 530).

„ილია ჭავჭავაძემ დიდი ამაგი დასდო სალიტერატურო ქართულის ლექსიკური შემადგენლობის შევსებას ახალი ცნებებითა და ტერმინებით. მან დაამკვიდრა ქართულში ბევრი სიტყვა, რომლებიც საშუალოდ შევიდნენ ჩვენი ენის ლექსიკურ ფონდში. ასეთებია, მაგალითად, შინაარსი, აგებულება, სინამდვილე, მიმართულება, ღირებულება, ზეგარდმო, შთაგონება, განყენებულება, აღებ-მიცემობა, გაკვრით და სხვა“ (შ. ძიძიგური, 1971, 76).

ილიამ იცის, რომ „რაც ხალხი უფრო ნაკლებ განათლებულია, მით უფრო ცოტა სიტყვა აქვს თავის ენაში“. ამიტომაც თვითონ ქართულში სიტყვათა მოვიწყებული მნიშვნელობა უნდა აღვადგინოთ: „თვით მაშული უწინ იხმარებოდა როგორც დედულ-მაშულის

სახელი, ეხლა ვგრეც იხმარება და ისეც, როგორც მთელი სამშობლო ქვეყნის საზოგადო სახელი" (ტ. III, 471.)

ილიასეული ფორმულირება — „საგანი დადნა, დადნა სახელიცა" (ტ. III, 428) შესანიშნავად გამოხატავს ენაში შექმნილი ვითარების არსს: „საერთო სახელი ქართველი კერძობითად გავხადეთ, მამული დანეხვილ ნაფუძვრად გადავაქციეთ, პატივი — ნეხვად, თავი — გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდე მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დაუმატეთ (ტ. III, 81).

საგნის მნიშვნელობის დაკნინების ნიმუშად ილია ჭავჭავაძე აანალიზებს სიტყვა „დედაკაცს". „ქართველი დედასაც კაცად ხდის და ამიტომ „დედა-კაცს" ეძახის, როგორც მამას — „მამა-კაცს"... ასე შეუნახავს დიდი ღირსება დედისა ჩვენ ენას... დედაც კაციო, გვეუბნება ჩვენი ენა, და მამაცაო... ეხლა დედაკაცად... ხსენება საწყენია, სათაკილოა, ეს დიდი სახელი დაიფუკა, შეიკუმშა, დაპატარავდა. საგანი დადნა, დადნა სახელიცა. დღეს დედა დედაკაცი კი არ არის, ქალია... დღეს „დედაკაცი" მდაბიოთა სახელია... ცოდვა არ არის „დედაკაცი" სათაკილო იყოს და „ქალი" თავმოსაწონებელი! „დედაკაცი" — ეს ბრგე და აზოვანი ადამიანი „ქალად" დავადნეთ" (ტ. III, 422-423).

ილია ამ მოსაზრებას ამართლებს იმით, რომ „ქართველებისათვის „დედა" მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც „დედა-ენას" ეძახის, უფროსს ქალაქს — „დედა-ქალაქს", მკვიდრს და დიდ ბოდს სახლისას — „დედა-ბოდს", უდიდესსა და უმაგრესს ბურჯს — „დედა-ბურჯს", სამთავრო აზრს — „დედა-აზრს"; გუთნის გამგებელ მამაკაცს-კი — „გუთნის-დედას". რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოწონებული!... სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც-კი აღნიშნულია დედობით!... ამაზე მეტი პატივი რალა უნდა მოუტანოს სახელმა! სიტყვა „ქალი" განა იმოდენას გვეტყვის, რასაც გვეუბნება დიდებული სიტყვა „დედა" და მასთან ერთად „კაცი"! (ტ. III, 423-424).

ფრიად საგულისხმოა ილია ჭავჭავაძის მსჯელობა ქართული ზმნის შესახებ. მისი აზრით, ზმნა „სული და გულია მეტყველებისა" და თავისი დიდი შესაძლებლობით, ფორმათა მრავალფეროვნებით ენის სიმდიდრეს მოასწავებს; განსაკუთრებული თვისება ჩვენი ენისა, რომელიც, ჩვენის ფიქრით, ენის წარმატებულობის მომასწავებ-

ლია, ჩვენი ზმნები, და ნამეტნავად მისი მართლა და გასაკვირველი ფორმები. ამ მრავალგვარ ფორმების წყალობით, მარტო ერთი ზმნით, სხვა სიტყვის ნაწილების დაუნმარებლად გამოითქმის პიროვნებაც მოქმედებისა, მიმართულებაც მოქმედებისა, სხმით-გარდასხმითობაც" (ტ. IV, 88). საამისოდ ილია ასახელებს ზმნის კაუზატური ფორმის ნიმუშებს: წავალდებინებ, წამოვადებინებ, გადააზომინა, გადმოაზომინა და სხვა, რითაც ცხადყოფს, რომ „ზმნების ფორმების სიუხვით ბევრი სხვა ენა წინ ვერ წაუვა ჩვენს ენას" (იქვე, 89). ილიას აზრით, „მეტყველების ღონე და ძლიერება ზმნა არის"... ამიტომაცაა, რომ „ქართველი უფრო ზმნებით ლაპარაკობს, ზმნებით ჰმეტყველებს, ვიდრე სხვა სიტყვის ნაწილებით" (იქვე).

ილია ჭავჭავაძე წინადადებას მიიჩნევს აზრის გამოხატვის უმთავრეს საშუალებად: „იქ აზრი არამც თუ ცხადია, სადაც ზმნა აკლია, იქ თვით აზრიც არ არის, იმიტომ რომ სხვათა სიტყვის ნაწილებს შორის მარტო ზმნა არის გამოხატველი. სადაც ზმნა არ არი, იქ ხომ წინადადებაც არ არი, მაშასადამე, არც აზრია, რადგანაც წინადადება გამოთქმია აზრისა" (ტ. III, 52).

ამასთანავე ილია დიდი მნიშვნელობას ანიჭებს წინადადების კონსტრუქციას და სიტყვათა წყობას. რევაზ ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილის" საცოდავი თარგმანით შემოფოთებული ილია ამბობს: „აი, აქ როგორი სიტყვის მოწყობილობაა, ანუ კონსტრუქცია: „ხელი გავიქნიე ფეხი". იქნება ჩვენ „შეშლილის" მთარგმნელს ჰგონია, რომ „ხელი და ფეხი გავიქნიე" და „ხელი გავიქნიე ფეხი" ერთი და იგივე იყოს? არა, ერთნაირი არ არის. ამ მაგალითში, მართალია, ერთი და იგივე სიტყვებია, მაგრამ ის სიტყვები ერთგან თავის ალაგას არიან, მაგ. „ფეხი და ხელი გავიქნიე" და მეორეში კი არა" (ტ. III, 19).

ასეთი თარგმანით აღშფოთებული ილია ჩივის: „სწორედ უნდა მოგახსენოთ, ხან გვეცინებოდა და ხან გვეწუხებოდა, რომ ვერც უენო ენად ვნახეთ ჩვენი საყვარელი ენა" (ტ. III, 15).

ილია ჭავჭავაძე ჩვენს ყურადღებას მოაპყრობს ქართული ენის კიდევ ერთ საოცარ თვისებას: „ეს განსაკუთრებული თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს ენაში არ არის არც ერთი სიტყვის ნაწილი, რომ როგორც სახელი — არსებითი არ იბრუნებოდეს, თუნდ ზმნის-ზედა აიღეთ, თუნდ თანდებული, თუნდ ზედშესრული, თუნდ ნაცკალსახელი და თვითონ ზმნაც, როცა უღვლილების ფორ-

მაშია. მაგალითებრ „შენის ზვალი-სა (ზმნის-ზედა) მე არ ვიცი, რა, ან შენმა გუშინ-მა (ზმნის-ზედა) ყურიგამომიჭედა; შენის შინა-თი (თანდებული) თავი მობეზრებული მაქვს, ან შენს შინა-ს ვინ გაუძლოს; ერთი მაქვს სჯობს ათას მქონდა-ს (ზმნა); შენმა აზ-მა და უხ-მა (შორისდებული) ჩემს ვაი-სა და ვიშ-სა აჯობა" და სხვანი" (ტ. IV, 89).

ილია განაგრძობს: „ეს კიდევ არაფერი. ჩვენს ენას არ ეხამუ-შება, არ ეუცხოვება თუნდ მთელი ფარაზა დააბრუნოს როგორც ცალკე სიტყვა. მაგალითებრ, „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი-ს მაგიერ რუსთაველი უკეთესს ვერას იტყოდა"; ან „რასაცა ვასცემ შენია, რაც არა დაკარგულია-ს არა შეედრება რა".

ამ მსჯელობაში შესანიშნავად ჩანს ილია ჭავჭავაძის საკმაოდ ფართო გრამატიკული განსწავლულობა.

ილია ჭავჭავაძემ საკმაოდ სწორი პოზიცია დაიკავა, როდესაც დაასაბუთა ქართული ანბანის და მართლწერის გამარტივება ახალი სალიტერატურო ენის ფონეტიკური სისტემის შესაბამისად.

„ანბანის გამარტივება, არქაული და ხელოვნური ლიტერატურული ნომრების განდევნა, ხალხურ მეტყველებასთან დამოკიდებულება, უცხოური (საერთაშორისო) სიტყვების დამკვიდრება, ტერმინოლოგიის მოწესრიგება — აი, ის წრე ძირითადი მნიშვნელობის საკითხებისა, რომლებიც დაისვა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძის წინაშე" (შ. ძიძიგური, 1971, 74).

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ილია ჭავჭავაძემ „მაშინდელ მკვლევართ დაანახვა, თუ რაოდენ საგულისხმო და მნიშვნელოვანი საკითხების გამორკვევაა შესაძლებელი ენის ნამდვილი ანალიზის საშუალებით".

საერთოდაც, ილია ჭავჭავაძე ფეხდაფეხ მიჰყვება თავისი დროის ენათმეცნიერული აზროვნების მიმდინარეობას, იცნობს ლინგვისტიკის თეორიებს და პრაქტიკულად იყენებს ახალი ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დასაცავად. მისი თვალსაზრისი თანხვდება იმ პერიოდში გაბატონებულ თეორიას ენის ევოლუციური განვითარების შესახებ: „კაცის ენა კერძო პირსავით იზრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცნი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე; ხშირად იქნება, რომ კანონები, ერთს დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე; ამიტომაც ახალი ენა

ძველს ენას არ ჰგავს, როგორც ახალი კაცი არ ჰგავს ძველ კაცსა" (ტ. III, 40).

სავსებით მართებულია აკაკი შანიძის შეფასება ილიას ლინგვისტური ნიჭისა: „ეს ამონაწერები უთუოდ ილიას დიდ ნიჭსა და ენაზე დაკვირვებით უნარს ამჟღავნებს. ილიას რომ მოენდომებინა, უთუოდ კარგ გრამატიკას დაგვიწერდა" (ა. შანიძე, 1988, 106).

## სარწმუნოება

*„ერთობა სარწმუნოებისა ერთობას  
ერისას მოასწავებდა" (ილია)*

ილია ჭავჭავაძის სამი ღვთაებრივი საუნჯის აუცილებელი შემადგენელია ქრისტიანული სარწმუნოება, რომელიც „ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო. იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვეთვირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად... ერთობას ერისას მოასწავებდა... ქართველი ერი ამისთვის უფროთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც თავის შინაგან ღირსების გარდა დულაობას უწევდა ერთობას". ილიას ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ნიჭებდა იგი ქრისტიანულ სარწმუნოებას ერის კონსოლიდაციისათვის.

ილიასათვის სარწმუნოება სულიერი საზრდოა. მთელი ცხოვრების მანძილზე მას სწავდა დაუოკებელი „სასულიერო წყურვილი“:

რა დავდიოდი ბნელს უღაბნოსა,

სასულიერო წყურვილი მწვაავდა (ტ. I, 237).

საოცარია, რომ ჯერ კიდევ ოციოდე წლის ჭაბუკი მუხლმოდრეკილი აღავლენს ლოცვას და ვვედრება უფალს: „მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სულიო“:

მამო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!

მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგევარ შენ-წინა;

არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა, არ მინდა ამით შეურაცხ-ვყო მე ლოცვა წმინდა... არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული, შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენტოს გული, რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდ გულს ლახვარი მკრან, გთხოვდე: „შეუნდე, – არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“

(„ლოცვა“)

სამწუხაროდ, ილიას არ დასცალდა, სრულად დაეკმაყოფილებინა „წყურვილი სულისა“: „ეჰ, რაც ჰსურდა, არ დასცალდა ჩემს წყურვილს სულისასა“ (ტ. I, 295).

ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“ ხომ უტეხი სულის ზეიმია, სადაც „სულით განწმედილ“ განდეგილს „დღე-და-ღამ ლოცვით, გოდებით, გვემით ხორცი სულისთვის უწამებია“. ამ პოემაში „ცხოვრებისა და ასკეტური იდეალის შეპირისპირება ისე ბუნებრივი, ისე ღრმაა, რომ „განდეგილი“ მსოფლიო ლიტერატურის შედევრთა შორის მტკიცედ იმკვიდრებს თავის ღირსეულ ადგილს“ (გ. ჯიბლაძე).

პოემიდან ნათლად ჩანს, რომ მარადიულია ადამიანის სწრაფვა სულიერებისაკენ, შეუქცევადია წყურვილი სულისა:

რაცა სწყუროდა აქამდე მის სულს,  
იგივე უნდა ბოლომდე სწყურდეს" („განდეგილი“)

ილია ჭავჭავაძის აზრით, „წყურვილი სულისა“ არის „ნიშან-წყალი ადამიანობისა“. ადამიანი ცდილობს, „თავის სულის წყურვილი ასე თუ ისე სახსოვარში რამეში ხელოვნებით რამით გამოსთქვას, გამოსახოს, გულიდამ გარეთ გამოიტანოს“. უდიდესი გაჭირვებისა და უკიდურესი შიმშილობის დროსაც კი „ერს შეხვდება ხოლმე დრო, როცა თუნდ მონასტრებისა და ტაძრების შენებით წყურვილს სულისა იკლავს ხოლმე. ეს საპატიო წყურვილია, იმიტომ, რომ სათავე წარმატებისა ეს წყურვილია და სხვა არა-რა“.

ეკლესია-მონასტრების მშენებლობა და მათი აგების ხელოვნებაც, დიდი ილიას თქმით, ქართველი ერის სულის წყურვილის გამოვლენაა. „ეხლაც დარჩენილია მრავალი დიდმშენიერი თლილის ქვის ამოყვანილი და მხატვრობით შემკული ეკლესიები“ სამცხე-ჯავახეთში. ამავე დროს, ქართველნი თავის სულის წყურვილს იმითაც

იკლავენო, რომ საბერძნეთს მიდიოდნენ სწავლის მისაღებად და იქიდან დაბრუნებულნი ქრისტიანობის განმტკიცებისათვის თარგმნიდნენ საღმრთო და საერო წიგნებს; მონასტერში სასწავლებლებს მართავდნენ.

ილია ჭავჭავაძისათვის სარწმუნოება „ადამიანის სინდისია“, ხოლო სარწმუნოების თავისუფლება — „სინდისის თავისუფლება“. ქართველი ერი „არ ერჩის ადამიანის სინდისს — სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და დაჩაგრულნი აქ ჩვენში ჰპოულდნენ მშვიდობისმოყუფელის სავანესა და სინდისის თავისუფლებას“.

„სინდისის თავისუფლება“ ქართველმა ხალხმა მრავალგზის გამოხატა. ილიას ნააზრევს ახასიათებს შემწყნარებლობა სხვადასხვა რელიგიისადმი: „სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვა სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურგებიყოს ოდესმე სხვისი სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელები, თვით მაჰმადიანიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს წაგვაყვედრებენ“ (იქვე).

ილია ჭავჭავაძისათვის ამ მხრივ სამაგალითოა დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა. „დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენთვის არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავდადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოვლადშემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა. ამისთანა სხვა ერის ღირსების თავყანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელად არა ჰზოგავდა. ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველია და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან“. ამასთან დაკავშირებით, ილია იმოწმებს მაჰმადიან მწერლის ალაიანის მონათხრობს, თუ როგორ დადიოდა იგი ყოველდღე უმთავრეს მეჩეთში და ისმენდა თვით ყორანის კითხვას.

საყოველთაოდაა ცნობილი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ერის სარწმუნოებრივი ისტორიისადმი. ადამიანის „სულის წყურვილის“ გამოძახილი სწორედ ისტორიიდან იღებს სათავეს. რადგან „თუ იგი დავივიწყეთ, მაშინ დაგვივიწყნია ჩვენის ცხოვრების სათა-

ვეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი. ბევრჯერ გვითქვამს და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიან სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავისი დიდებული და დიდბუნოვან კაცთა უწმინდესი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი. ერი, რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანი სულის წირვა, ეგ თავის დიდ-ბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნელება, გულოვანდება".

მამასადაძმე, ილია ჭავჭავაძისათვის „სულის წყურვილი" იყო ჩვენი სახელოვანი ისტორიის დაფასება; „სულის წყურვილი" გამოკლინდა ერის ხელოვნებაში, ეკლესია-მონასტრების აგებაში, სწავლა-განათლებაში, სარწმუნოების დაცვასა და მის თავისუფლებაში.

ილია ჭავჭავაძის ღრმა რწმენით, სწორედ ამ სულის სიმტკიცემ და ქრისტიანული სარწმუნოებისადმი თავდადებად განადგურებისაგან იხსნა ქართველი ერი: „ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღვდეთ მკერდი და ამ მკერდზე, როგორც კლდეზედ დავუდგით ქრისტიანობის საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუხრეს იგი... გავწყდით, გავიჟღიბეთ, თავი გავიწირეთ, ცოლ-შვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს – სამართლიანობის თავმოწონებით ვეძახით" („რა გითხრათ, რით გაგახაროთ?).

ილია ჭავჭავაძე ქრისტესათვის ჯვარცმულ ქვეყანას ავედრებს ღვთისმშობელს, რათა აღუდგინოს „მშვენიერი ესე მამული":

„დედაო ღვთისავ! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...

შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა, საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია, ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!

რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა, მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა, სახელოვანი განუახლე წარსულ ღღეთ ყოფა, მამა-პაპური სული, გული მოჰმადლე შვილსა.

ძლიერო ღმერთო! შენთვის ბრძოდნენ ქართლისა ძენი,

დასაბამითვე არ იციან — რა არს მშვიდობა,  
იკმარე საღმრთოდ მათ პატიუნი და სისხლის ძრვენი,  
თუ რამ შეგცოდეს, — შეისყიდეს ტანჯულთ შენლობა.  
მოჰმადლე ქართველს ქართველის ნლობა და სიყვარული  
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!..."

(„აჩრდილი“)

\* \*

\*

ამრიგად, ილია ჭავჭავაძემ ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში წინ წაიმძღვარა სამი ღვთაებრივი საუნჯე — მამული, ენა და სარწმუნოება, რომლებიც „ერთ არს სამებად“ შეადგულაბა.

დიდმა მამულიშვილმა ბრწყინვალე პუბლიცისტურ წერილებში მძაფრი გულისტკივილი გამოთქვა სიტყვა **მამულის** მნიშვნელობის დაკნინების გამო; თავისი მხატვრული ქმნილებებით კი ქართულ სალიტერატურო ენაში **მამული** დაამკვიდრა მრავალჭირნახული საშობლოს სინონიმად.

განუზომელია ილია ჭავჭავაძის როლი ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში, იგი შესანიშნავად ფლობს იმდროინდელ ლინგვისტურ მოძღვრებას და თავდაუზოგავად იბრძვის კიდევ ერთი ღვთაებრივი საუნჯის — ქართული ენის ღირსების დასაცავად.

ილია ჭავჭავაძეს ყოველთვის ჰქონდა დაუოკებელი „წყურვილი სულისა“ და ქრისტიანული სარწმუნოება მიაჩნდა ერის კონსოლიდაციის ერთ-ერთ უმთავრეს ბურჯად.

ეს „ერთ არსი სამება“ — სამი ღვთაებრივი საუნჯე: მამული, ენა და სარწმუნოება დიდმა მამულიშვილმა შეუბღალავად გადასცა მომავალ თაობებს და დაუბარა: თუ ამათაც ვუპატირონეთ, რა კაცები ვიქნებითო.

მართლაც-და, თუ ეს ანდერძი არ შევასრულებთ, თუ ჩვენს ქვეყანას არ ვუპატირონეთ, რა კაცები ვიქნებით!

## ლიტერატურა

პავლე ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძე, ნარკვევი, თბ., 1957.

თენგიზ სანიკიძე, ილია ჭავჭავაძის პოეზიის ლექსიკონი, თბ., 1986.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. V, თბ., 1958.

აკაკი შანიძე, ილია ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის, კრებული: „ილიას სამრეკლო“, თბ., 1988.

არნოლდ ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე და სალიტერატურო ქართულის ერთიანობის საკითხი, კრებული „ილიას სამრეკლო“, თბ., 1988.

არნოლდ ჩიქობავა, ქეგლ-ის წინასიტყვაობა, ქეგლ. ტ. I, თბ., 1950.

შოთა ძიძიგური, ილია ჭავჭავაძე და ქართული ენა, ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა, თბ., 1971.

ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქტორობით: ტ. I, 1951; ტ. III, 1953; ტ. IV, 1955; ტ. V, 1955; ტ. VIII, 1957.

გიორგი ჯიბლაძე, ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება და პოეზია, თბ., 1983.

ეროვნული თვითმყოფლობის დამაკვიდრებლის  
სადარაჯოზე  
(ილია, ვაჟა, აკაკი)

მამულის ცნება ილია ჭავჭავაძის ნააზრევში

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება“ (ილია).

შემთხვევითი არ არის, რომ ამ სამების თავში ილიამ მამული დააყენა, რომელსაც ბურჯად უდგანან ენა და სარწმუნოება. ეს „ერთ-არსი სამება“<sup>1</sup> დაუდო დერიტად სათაყვანებელ მამულს ილია ჭავჭავაძემ.

ილიას მამული მართლაც ღვთის წილხვდომილია:

„აქ არვის-დიდსა, თუ პატარასა,  
ქვეყნის ტყვილით არ სტკივა გული,  
დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა  
ღვთად მოუცია მარტო მამული“ („აჩრდილი“).<sup>2</sup>

სიტყვა მამული უმთავრესად ორგვარი მნიშვნელობისაა; ის აღნიშნავს ადგილ-მამულსაც და სამშობლოსაც. ჩავიხედოთ ლექსიკონში:

ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (1973 წ.):  
მამული მამაპაპური, მამული, მამობრივი, მშობლიური.  
მამული „სოფელი“, სამშობლო; მამა-პაპა, ტომი, ხალხი.

<sup>1</sup> ეს გამოთქმა ი. ჭავჭავაძეს სრულიად სხვა ვითარებაში გამოსახატავად დასჭირდა, ჩვენ კი ამ კონტექსტში გამოვიყენებთ; იხ. ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად: აი ისტორია, წერილი VII, 1987, გვ. 121.

<sup>2</sup> პოეზიიდან ნიმუშები დამოწმებულია: ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. I, 1951; თ. სანიკიძე, ილია ჭავჭავაძის პოეზიის ლექსიკონი, 1986.

ივანე იმნაიშვილის მიერ შედგენილი „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი“ (1986 წ.) **მამულ**-ს მხოლოდ სამშობლოს სინონიმად იცნობს.

**მამული** სამშობლო. მოვიდა მამულსა თვისაა (მ. 13,540).

ქენ აქაცა, მამულსა შენსა (ლ. 4,23).

სულხან-საბასთან **მამული** ერთმნიშვნელოვანია: მამისეული.

ნიკო ჩუბინაშვილთან კი ორივე მნიშვნელობისაა:

**მამული** სამშობლო ქვეყანა; მამა-პაპისაგან დანაშთენი უძრავი ქონება.

ალექსანდრე ნეიმანის ქართულ სინონიმთა ლექსიკონი (1961 წ.) ასეთი თანმიმდევრობით წარმოგვიდგენს **მამულ**-ის სინონიმებს:

1. **მამული**, დედული, მამულ-დედული, ადგილ-მამული
2. **მამული**, ნ. სამშობლო
3. **მამული** საბატონო

ქართული ენის დიალექტთა უძრავლესობა **მამულ**-ის ცნებაში უმთავრესად ადგილ-მამულს გულისხმობს; დავიმოწმოთ ალ. ლლონ-ტის მიერ შედგენილი „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“ (1984 წ.):

**მამულ**-ი<sup>1</sup> (იმერ.) ვენახი, ზვარი,

**მამულ**-ი<sup>2</sup> (მთიულ.) 1. მიწა, მიწის ნაკვეთი 2. მამის ოჯახი.

კალკე უნდა შევჩერდეთ არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით შედგენილ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე“, რომელიც **მამულს** ასე განმარტავს:

**მამულ**-ი 1. უძრავი ქონება, მიწა-წყალი, რომელიც ვისიმე საკუთრებას შეადგენს და შემკვიდრებით გადაეცემა მამიდან შვილს (უძრავი ქონება საერთოდ) უპირატესად სოფელში.

2. იგივეა, რაც სამშობლო. „ძირს მამულის მოლალატენი“ (ს. მგალობ.) როგორც ვხედავთ, ქველ-ის V ტომის შემდგენელთ (რედაქტორები სიმ. ვაჩნაძე და ოტ. კახაძე) სიტყვა **მამულ**-ის ძირითად მნიშვნელობად მიუჩნევიათ „უძრავი ქონება“, ხოლო მეორეულად „სამშობლო“. ალბათ XX საუკუნის 50-იან წლების საზოგადოებრივი ვითარება იძლეოდა ამის საფუძველს.

ამასთანავე ამ მეორეული მნიშვნელობის საილუსტრაციოდ დამოწმებულია სოფრომ მგალობლიშვილი, რაც არ მიგვაჩნია გამართლებულად. როცა ილია ჭავჭავაძე მართლაც მამულიშვილურად ზრუნავს თავის მამულზე და შესატყვისად სიტყვა **მამულის** და-

მკვიდრებაზე, განა დასაშვებია მისი განმარტებისას საილუსტრაციო მასალა ილიასეული არ იყოს?!

ბევრიც რომ ვეცადოთ, შევიგრძნოთ, თუ რაოდენ ტყუადია და მრავლისმცველი სიტყვა მამული, ამას ილიას გარეშე ვერ შევძლებთ. მამ რულუნებით, გულისყურით და ფიქრიანად მოვუსმინოთ ილიას დაჭვდილ ქართულს, მამულის განმარტებისათვის მოხმობილს:

„მამული!... ამ სიტყვის ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო. იქ, საცა ხალხობა დარღვეული არ არის და განთვითეულობა - ეგ ჭირთა ჭირი არა მეფობს, იქ მაგ სიტყვის აზრი ცხოვრების მომნიჭებელი სულია, მთელი ხალხის ერთიანი მამის ერთიანი ძარღვია. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ თვითუელსამთელის ხალხისა და მთელს ხალხს - თვითუელისა ჭირი და ლხინი წარმოუდგება ხოლმე. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავის ქვეყნის ნაღველითა ნაღველობს, ლხენითა ლხინობს, დღეობითა და დიდებითა - დღესასწაულობს. იქ მაგ სიტყვაში ყოველია, და ყოველში ყველა არის.

ჩვენში? ჩვენშიც მაგ სიტყვას მაგეთი მნიშვნელობა ჰქონია თურმე. იცი როდის? როცა ჩემი „მე“ და შენი „მე“ ჩვენის ერთიანობის ხალხის ცხოვრების საყვარში ერთად ბმულია.

„ახლაო, მკითხავ, მკითხველო? ნუთუ მაგას კითხვა-ლა უნდა? განა შენ თვითონ არ იცი, რომ ეხლა ეგ დიდებული სიტყვა თვითუელის ჩვენგანის გათავთავებულს უძრავს ქონებასა ნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს, ბინასა, რომელიც ქვისა და კირის მაგიერ ჩვენის მამა-პაპის სისხლითა და ძვლებით დამყარებულია. სადღაა მამული? ზორცის დაუძღურებას სულის დაუძღურებაც ზედ მოსდევს: განვითიეთუდით, და რამოდენადაც თვითუელი ჩვენგანი მთელს ქართველობაზედ უძღურია და პატარა, იმოდენად თვითუელის ჩვენგანის აზრი საყოველთაო საგანზედ დაუძღურდა, დაპატარავდა. ჩვენს დაფუყებულს და შევიწროებულს გონებას სადღა შეეძლო ექონია ის ვრცელი და დიდებული აზრი დიდებული სიტყვისა? მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის-კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქალაღზედ სადავო საჩივარია; მამულისათვის ძლევა მოსილება - მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვანად შემოწმებული, მამულის სიმაგრე

– ტყრუშული ღობეა, ვენახ გარეშემო შემორტყმული; მამულის პატრივი – ნეზვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულის შვილობა – მხვნელისა და მთესველის სახელიდა.

ზღვა კოვზით არ დაიღვევო, ნათქვამია, აი თუ არ დაიღვევა, სად არის მამულის ყოვლად-მპყრობელი, ვრცელი, ფრთაგასაშლელი მნიშვნელობა?

განვიმეორებ, განვთვითეულდით, და თვითეულის ზურგმა ვედარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასათვის ადვილად საზიდა. თვითოულობით ტვინი ამოშრა, შევიწროვდა და მაგ სიტყვის დიდი მნიშვნელობა ვედარ იტვირთა. რალა უნდა გვექნა ამის შემდეგ? ავიღეთ და მთელი მამული, ერთიანი ჩვენი ბინა დავკავით, გავინამცეკეთ თვითოულის ღონის კვალობაზედ ასე, რომ ზიდვაც შესაძლო ყოფილიყო ჩვენის ქონდრის-კაცობისათვის და დაპატარავებულს ტვინშიაც მოთავსებულიყო. დავაქციეთ ჩვენი დიდი ერთიანი სამშობლო ოჯახი, რომლის ბოძად იყო ერთიანი მხარი მთელის ქართველობისა, და მის გაშთის ნამტვრევებისაგან პატარა-პატარა ხუნულები ავაშენეთ, რომელსაც საზოგადო სახელი „მამული“ დავარქვით და რომელშიაც ჩვენც დავეტივენით, და ჩვენი ამოშრალის ტვინის და გონების აზრიც დავტოვეთ; დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შეილთა ჩვენთა აკვანი; დიდი „მამული“ დავშალეთ, პატარები გავიკეთეთ, და აქაც გავამართლეთ ჩვენის რუსთაველის სიტყვა: ყოველი მსგავსი მსგავსსა შობსო.

თვითეულმა ჩვენგანმან თავისი ხვედრი, დიდის „მამულის“ ნაშთი, თავად შემოიღობა; იმ შემოღობილში თვითეულმან ჩვენგანმან თავისი საკუთარი ქვეყანა აიშენა და საზოგადო სახელი „მამული“ თავის კერძო მამულს დაარქვა და თქვა: თუ მე არ ვიქნებიო, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო. ამ სახით თვითეული ჩვენგანი თავის შემოღობილში შეიკეტა, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აიჩინა; და რომ თვითეულმან ჩვენგანმა საერთო საქმეს თვალი მოაშორა და გონება თავისი საერთო საგანზედ აღარ ავარჯიშნა, ის გონებაც ისე დაუბრმავდა, რომ იგი თავის ქონების ღობის იქით ვედარ გადაუცილებია, რომ თავის მომმეს გაეხმაუროს მაინცა“ (ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა კრებული, თბ., 1957, 459-459).

როგორც ვხედავთ, ილია ულმობელია სიტყვა მამულის „ყოვლად-მპყრობელი“ მნიშვნელობის დამკინებელთა მიმართ და გულს იმიტლად იკეთებს, რომ „თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისა“ (გრ.

ორბელიანის ეს სიტყვები აქვს ეპიგრაფად წამძღვარებული ილია ჭავჭავაძის ამ წერილს).

მართალია, თავდაპირველად ტერმინი „მამული“... მამისაგან მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ საკუთრებას ნიშნავდა“ (ივ. ჯავახიშვილი), მაგრამ სამშობლოს სინონიმად მისი გამოყენების ინტენსივობა იცვლებოდა ქართველ ხალხში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივების საჭიროებისდა მიხედვით. განსაკუთრებით იმპლაურან სიტყვაში „სამშობლოს“ ცნებამ ქართველ რომანტიკოსებთან.

ილიას პოეზიიდან და წერილებიდან ხომ ასე ძალუმად იგრძნობა, თუ როგორი მოწინებით ეპყრობა იგი ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ვახტანგ ორბელიანის პოეზიას და რაოდენ დიდ შეფასებას აძლევს მათ ღვაწლს: „იმ მრავალგვარ საგნებში, რომელიც მამულმა, მამულის სიყვარულმა და მამულიშვილობამ თვალწინ გამოგვიფინა, თვითუღმა მათგანმა თვისი სხივოსანი შუქი შეიტანა“ (ი. ჭავჭავაძე, წერილები ქართულ ლიტერატურაზე, თხზ. კრებული, 1957, გვ. 449). ილიას აზრით, ამ „სხივოსანი შუქის“ ნაყოფი ის გახლდათ, რომ „სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობათა. ვისაც კი რაიმე ნიშან-წყალი ჰქონდა ღმერთის მიერ მინიჭებულ მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა, თითქმის ყველანი იმ გზას დაადგნენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახონ მამული, რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდელა დააქვეითა და დაამდაბლა. აგრე გაუპატიურებულმა სიტყვამ ნი-იან წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვაწლით კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ, და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს ჩვენის ცხოვრებისას“ (ი. ჭავჭავაძე, იქვე).

ვნახოთ, „რა სხივოსანი შუქი მოჰფინა“ ილია ჭავჭავაძემ „ეგრე გაუპატიურებულ“ სიტყვა მამულს თავის პოეზიაში.

ილია ჭავჭავაძის პოეზიაში მამული გვხვდება 137-ჯერ; ამათგან მხოლოდ ერთხელ დასტურდება „უძრავი ქონების“, „ადგილ-მამულის“ მნიშვნელობით: რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით? — ერთმანეთს უსინდისოდ მამულებს ვეცილებოდით (81,3). დაუკვირდით, რაოდენ ცინიკურ კონტექსტში აქვს გამოყენებული მამული კერძობითი მნიშვნელობით დიდ ილიას ამ ერთადერთ შემთხვევაშიც კი. დანარჩენ 136 შემთხვევაში კი მამული „სამშობლოს“ სინონიმი.

ამიტომაც არ შეიძლება არ დავეთანხმოთ თვალსაზრისს, რომ „სწორედ დიდმა ილიამ ალადგინა თავის მხატვრულ ენაში სიტყვა „მამულის“ ადრინდელი გაგება და საბოლოოდ დააკანონა იგი ქართულ ენაში, როგორც „სამშობლოს“ სინონიმი (შ. ძიძიგური, ი. ჭავჭავაძე და ქართული ენა; ქართველ კლასიკოსთა ენობრივი შემკვიდრება, 1971, 82). ასეთი მნიშვნელობით მამული პირველად დასტურდება ლექსში „ქართველის დედას“, რომელიც ილიამ დაწერა პეტერბურში 1858 წლის 15 დეკემბერს:

„ქართველის დედაო! ძუძუ ქართველისა  
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა“ (30,2).  
„მიოხარ, – სადღაა მამა-პაპური  
მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური,  
სახელისათვის ამაყი თრთოლა,  
მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?“ (30,12).

ილიასათვის მამული მარტოოდენ „სამშობლოს“ მონაცვლე სიტყვა კი არა არის, არამედ „ამ სიტყვის ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა ვრცელდება ფართო“ (ილია); მასში გაჯერებულია უდიდესი სიყვარული, თავყანისცემა, თავგანწირვა და ზრუნვა მშობლიური ქვეყნისადმი, რაც გაცნაურდება სათანადო კონტექსტში:

ჩემი მამული იყო დროსა გამშვენებული (134,9);  
ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული (136,12);  
ალადგინე მშვენიერი ესე მამული! (149,14);  
ჩემი მამული, საქართველო დღეს მიცოცხლებდა! (151,2);  
შევწირო საყვარელი დიდი მამული (151,15);  
შველასა ითხოვს მამული (155,24);  
მერე მამული?! (156,21);  
მამული!... იგი უფრო საყვარელია (156,24);  
მამული სამშობლოსა არარა არის რა (234,4);  
მეცა მქონია კარგი მამული! (24,1);  
გულს კი არა აქვს არსად მამული! (254, 27).

ილიას მთელს პოეზიაში მხოლოდ ერთი ნიმუშია ამ სიტყვის მოთხრობით ბრუნვიანი ფორმისა.

„ბრძოლად რომ მამულმა გვიხმოს,  
ეხლაც კი გამოვადგებით“ (64,7).

ეს ფაქტიც აშკარად გამოხატავს ილიას დამოკიდებულებას მამულისადმი. ვინაიდან მოთხრობით ბრუნვიანი ქვემდებარე ზომ რეალურად მოქმედია, მოქმედების შემსრულებელია, ილიასათვის კი მამული „რეალურად მოქმედი“ კი არ არის, არამედ ყველასათვის საზრუნავი ობიექტია:

- ჩვენს მამულს ვეპატრონეთ (36,20);
- მამულს სიცოცხლე შევწიროთ (38,3);
- ესჭვრეტთ მამულს გაფურჩქენილსა (48,8);
- ჰნახავ... მამულს დაობლებულს (44,8);
- დააკვდი მამულს მსხვერპლად! (44,12);
- მამულს მიგცა ზეცამა (45,9);
- სიკვდილის წამში მამულს, შვილო შენ გაუდიმებ (45,15);
- მამულს არ უმტყუნე (45,20);
- რას ვეძები მე? ... მამულს (134,28);
- მამულს ვუძღვნა ძის სიყვარული (151,14);
- მამულს... შეაკვდება (152,30);
- მამულს თავი შავსწიროთ (154,17);
- შველა არა აქვს მამულს! (155,17);
- მამულს ხოლმე შესწირავდნენ (179,8);
- სიკვდილით ის მამულს ასახელებდა (179,16);
- ბუბუ ქართველისა უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა (30,2);
- გამოვადგეთ დაობლებულს ჩვენსა მამულსა (64,4);
- შენს თავს მტლად დაუდებ შენსა მამულსა (151,25);
- მამულსა მეომარი მით ერთი ემატებოდა (179,11).

თუ გავიხსენებთ ილიასეულ უღმობელ შეფასებას, რომ ეხლა მამულის სიმაგრე ტყრუშული ღობეა, ხოლო მამულის პატივი – ნეხვიო, მით უფრო საცნაური გახდება სუბსტანტური მსაზღვრელად გამოყენებული მამულის უმძლავრესი პატრიოტულ-ემოციური დატვირთვა:

მითხარ, სადღაა.. მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?  
(30,12);

ნანა, მამულის მსხვერპლო (46,3);  
დაჟანგებულ ბორკილზე სცვლიან თავის მამულის  
თავისუფლებას (143,26);

ხელს ჰკიდებს მას მამულის ტრფობა (145,28);  
ველარ გაუძლო მტარვალთ ურცხვობას იმა მამულის  
ამაყმა შვილმა (146,8);  
მამულის დროშა გაიშლებოდა (146,26);  
ძის სიყვარული, თუ მამულის, რომელი დასთმოს? (151,17);  
მამულის დახსნის დღე არის (154,5);  
მამულ დამხსნელს-ვაჟკაცის ხმალი და გული სდომია (154,9);  
ძნელი არის მამულის გმობა (157,10);  
დიდხანს ებრძოდა შვილის ტრფობას მამულის ვალი (157,17);  
მამულისა სიყვარულმა ძმობა გულში ჩაგვიყენა (36,5);  
მამულისა შვილნი ჩვენც ვართ (64,1);  
თავი დავსდო ტმამულისა ჩვენის სახსნელად (153,7).

წოდებით ბრუნვაში დასმული სახელი სინტაქსური ფუნქციით  
მიმართაა;  
ამ ენობრივი საშუალებით კი იღია მამულისადმი ვედრებას  
აღაუღლენს:

მამულო, საყვარელო, შენ როსლა აჰყვავდები? (73,7);  
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება! (4,2)  
მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი (77,9);  
მამულო, წაიყვანე, დღეს ის შენია (151,12);  
აჰა, ამ დღისათვის გაგიზარდე, მამულო, შვილი (151,18);  
ეჰა, მამულო! (157,1).

იღია ჭაუჭავაძის პოეზიაში **მამული** არც ერთხელ არ  
გვხვდება მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში; ესეც ალბათ იმი-  
ტომ, რომ ილიასათვის მამული არც საჭურველია და არც სხვა რა-  
მედ გარდასაქცევად ემატება იგი.

თანდებულიან ფორმათაგან **მამული** უმთავრესად – თვის თან-  
დებულიანია; ამ ენობრივ საშუალებით მოგვიწოდებს იღია მამუ-  
ლისათვის თავის დადებას, მამულისათვის თავგანწირვას.

დედათა გული ჩვილი მამულისათვის მაგრდება (44,16);  
მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია,  
მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაზარებია (45,2);  
უკვდავი არის შვილი, მამულისთვის მომკვდარი! (45,8);  
იქ მამულისთვის ქართველის ხმა ჰქუხდა (134,22);

თავდადებას მამულისათვის ერთმანეთს ომში ეცილებოდნენ  
(146,32);

ვინც მამულისათვის არ იმეტებს თავისა შვილსა, მას შვილი  
თვისი ჩემო კარგო, არ ჰყვარებიან (153,13);

ჩვენ შეგვასწროს მამულისათვის თავდადებულნი კიდევ  
გიხილოთ (155,10);

უწინ ქართველს უხაროდა მამულისათვის მტერთან ომი  
(179,18);

მამულისათვის ვის ახსოვდა განსაცდელი (179,21);

ჩემის მამულისათვის მე ჩემს ძუძუს გაწოვებ (44,25);

წმინდა იგი, ვისაც ეღირსა მამულისათვის თავის დადება  
(136,18).

**მამულის** მსაზღვრელად ხშირად გვხვდება ჩემი, ჩვენი; ზოგჯერ კი თავისი, თვისი, შენი... ეპითეტებად გამოყენებულია: გამშვენიებული, მშვენიერი, საყვარელი, დიდი, კარგი, დაობლებული.

როგორც ვხედავთ ამ სიტყვას ილია ზედმეტად აღარ ტვირთავს მრავალფეროვანი ენობრივი თუ მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით, ვინაიდან მამული ილიასათვის „ყოვლად მპყრობელი“ მნიშვნელობისაა და დამატებითი სემანტიკური სამკაულები აღარ სჭირდება.

უნდა შევნიშნოთ, რომ ილიადან მომდინარე **მამულის** ცნებაში, როგორც ჩანს, იგულისხმება არა ზოგადად სამშობლო, არამედ ჩემი /ჩვენი/ სამკვიდრო, სამშობლო. ილია ჭავჭავაძის პოეზიაში ხშირად გვხვდება ჩვენი /ჩემი/ მამული, თვისი /თავისი/ მამული, მაგრამ არც ერთხელ არ არის მისი /მათი/ მამული!

კიდევ ერთი ნიუანსი: სამოციანელებთან, XX საუკუნის ქართულ პოეზიაში და, საერთოდ, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში „სამშობლოს“ სინონიმ **მამულის** ცნებას უცილობლად თან ახლავს უდიდესი პატრიოტული გრძნობა, – მზადყოფნა მისთვის თავდადებისა.

ამასთანავე, საჭიროდ მიგვაჩნია, ლექსიკონებში აისახოს, რომ **მამული** არის არა ნებისმიერი მიწის ნაკვეთი, არამედ **მოვლილი და ნაპატრონები მიწის ნაკვეთი.**

ამრიგად, ილია ჭავჭავაძემ თავის ბრწყინვალე პუბლიცისტურ წერილებში გამოთქვა უდიდესი გულისტკივილი მამულის მნიშვნელობის დაკნინების გამო, ხოლო თავისი პოეზიით ქართულ სალიტერატურო ენაში მამული დაამკვიდრა მრავალჭირნახული სამშობლოს სინონიმად.

ასეთია ამ „გაუპატიურებული“ სიტყვის „ყოვლად-მპყრობელი“ მნიშვნელობა ილია ჭავჭავაძის ღვთაებრივ საუნჯეში.

ამრიგად, ილიას მოძღვრების თანახმად:

1. მამულის ძირითადი მნიშვნელობაა „სამშობლო“; ამასთანავე, არა უბრალოდ სამშობლო, სადაც ადამიანი დაიბადა, ანდა რომლის მოქალაქედაც ის ითვლება, არამედ მამულის ცნებაში გაჯერებულია უდიდესი სიყვარული, ზრუნვა და მზადყოფნა მისთვის თავდადებისა,

2. მამული მეორეული მნიშვნელობით არის „მიწის ნაკვეთი, უძრავი ქონება“... ამ შემთხვევაში მამული არის არა ნებისმიერი მიწის ნაკვეთი, არამედ მოვლილი და ნაპატრონები.

3. ასე რომ, თანამედროვე ქართული ენის ლექსიკოგრაფიაში მამულის ძირითად მნიშვნელობად უნდა დამკვიდრდეს „სამშობლო“, ხოლო მეორეულად „მიწის ნაკვეთი“.

4. ამასთანავე, საჭიროდ მიგვაჩნია, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შემდგენელნი მამულის განმარტებისას დაეყრდნონ ილია ჭავჭავაძეს და სათანადო საილუსტრაციო მასალაც ილიას სიტყვიერებიდან დაიმოწმონ.

### „სულის წყურვილი“ ილია ჭავჭავაძის ნაზრევში

ილია ჭავჭავაძისათვის „სულის წყურვილი“ არის ნიშანწყალი ადამიანობისა, რომელიც იწვევს - თავისის სულის წყურვილი ასე თუ ისე სახსოვარში რაიმეში ხელოვნებით რამით გამოსთქვას, გამოსახოს, გულიდან გარეთ გამოიტანოს (57). ილია ჭავჭავაძის აზრით, უდიდესი გაჭირვებისა და უკიდურესი შიმშილობის დროსაც კი, „ერს შეხვდება ხოლმე დრო, როცა თუნდ მონასტრებისა და

ტაძრების შენებით წყურვილს სულისას იკლავს ზოლმე. ეს საპა-  
ტიო წყურვილია, იმიტომ რომ სათავე წარმატებისა ეს წყურვილია  
და სხვა არა-რა" (57-58). ამიტომაც არის, რომ თამარის მეფობის  
დროს საქართველოში „იღვიძებს წყურვილი სწავლისა და ცოდნი-  
სა" (59).

ეკლესია-მონასტრების მშენებლობით ქართველი ერი თავის  
წყურვილს გამოავლენდა მათი აგების ხელოვნებაში. „ეხლაც დარჩე-  
ნილა მრავალი დიდ-მშვენიერი თლილის ქვით ამოყვანილი და  
მხატვრობით შემკული ეკლესიები" (9) სამცხე-კლარჯეთში. ამავე  
დროს ქართველნი თავის სულის წყურვილს იმით იკლავდნენ, რომ  
საბერძნეთს მიდიოდნენ სწავლის მისაღებად და იქიდან დაბრუნე-  
ბულნი ქრისტიანობის განმტკიცებისათვის თარგმნიდნენ საღმრთო  
და საერო წიგნებს, მონასტრებში სასწავლებლებს მართავდნენ.

სამცხე-საათაბაგოს უდიდესი როლი უთამაშია ქართველი  
ერის „სულის წყურვილის" გამოვლენაში: „ჩვენი ყოფილი ცხოვრე-  
ბა იქ აღყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენის სულის  
ძლიერებას იქ აღმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა, თით-  
ქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულობის აკვანი და იგივეა სიმაგ-  
რეც ჩვენი ყოფილის ადამიანობისა. სწავლა, განათლება, მამულისა-  
თვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს  
ქვეყანასა ერთ დროს (9). ქართველი ერის „სულის წყურვილი"  
მათსავე აგებულ ეკლესია-მონასტრებში ფართოდ გაშლილ მწიგნობ-  
რობაშიც გამოვლინდა: „მონასტერთა და ეკლესიების საღაროში  
მრავალი წიგნი კიდევ მოიპოვება. ჯერ მარტო დავით გარეჯის მო-  
ნასტერში ასზედ მეტი წიგნი აღმოჩენილა და მათ შორის ზოგი  
იმისთანა თავისი სიძველით, რომ ფასდაუდებელია" (161).

ილია ჭავჭავაძე თამარ მეფეს ყველაზე დიდ დამსახურებად  
იმას უთვლის, რომ მან გააშენა მონასტრები და ტაძრები. „ქრისტეს  
რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი  
არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქარ-  
თველოს მრავალ ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერ-  
თობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა... ქართველი

ერი ამისათვის უფრთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც, თავის შინაგან ღირსების გარდა დულაობას უწევდა ერთობას" (56).

ილია ჭავჭავაძისათვის სარწმუნოება „ადამიანის სინდისია“, ხოლო სარწმუნოების თავისუფლება — „სინდისის თავისუფლება“. ქართველი ერი „არ ერჩის ადამიანის სინდისს... სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი აქ ჩვენში კპოულობდნენ მშვიდობისმყოფელის სავანესა და სინდისის თავისუფლებასა" (11).

„სინდისის თავისუფლება“ ქართველმა ხალხმა მრავალგზის გამოხატა. ილიას ნააზრევს ახასიათებს შემწყნარებლობა სხვადასხვა რელიგიისადმი. „სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისი სარწმუნოებისათვის ჯვარ-ცმულმა, იცის პატივი სხვა სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისი სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელები, თვით მაჰმადიანიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს წაგვაყვედრებენ“.

ილია ჭავჭავაძისათვის ამ მხრივ სამაგალითოა დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა: „დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენთვის არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავდადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივისცემელი იყო სხვის ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოვლადშემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თავყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელად არა ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის XII საუკუნის კაცისაგან!" (155). ამასთან დაკავშირებით ილია იმოწმებს მაჰმადიანი მწერლის ალაიანის მონათხრობს, თუ როგორ დადიოდა იგი ყოველდღე უმთავრეს მენეთში და ისმენდა თვით ყორანის კითხვას.

საყოველთაოდაა ცნობილი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ერის ისტორიისადმი. მისი აზრით, ადამიანის „სულის წყურვილის“

გამოძახილი სწორედ ისტორიიდან იღებს სათავეს, რადგან „თუ იგი ღვევიწყეთ, მაშ ღვევიწყენია ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი... ბევრჯერ გვითქვამს და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიან სულსა და ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებული და დიდბუნებოვან კაცთა უწმინდესი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი. ერი, რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანის სულის წირვა, ეგ თავის დიდ-ბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნელება, ჰგულოვანდება...“ (167).

„ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას, თავისის ზნობითს და გონებითს აღმატებულებას, თავის ვინაობას, თავის თვისებას“ (17).

მამასადაძე, ილია ჭავჭავაძისათვის „სულის წყურვილი“ იყო ჩვენი სახელოვანი ისტორიის დაფასება; „სულის წყურვილი“ გამოვლინდა ერის ხელოვნებაში, ეკლესია-მონასტრების აგებაში, სწავლა-განათლებაში, სარწმუნოების დაცვასა და მის თავისუფლებაში.

თვით ილია ჭავჭავაძეს, ამ სულით განათლებულს, ყოველთვის ჰქონდა დაუოკებელი „წყურვილი სულისა“: „მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული“ – ამბობს იგი ლექსში „ლოცვა“ (1,21).

მთელი ცხოვრების მანძილზე ილიას სწავლა დაუოკებელი „სასულიერო წყურვილი“:

„რა დავდიოდი ბნელს უდაბნოსა,  
სასულიერო წყურვილი მწკავდა“ (1,237).

ილიას არ დასცალდა სულის წყურვილით დაკმაყოფილება:

„ეჰ, რაც ჰსურდა, არ დასცალდა  
ჩემს წყურვილსა სულისასა“ (1,195).

უკვდავია სწრაფვა სულიერებისაკენ, მარადიულია მისი წყურვილი სულისა:

„რაცა სწყუროდა აქამდე მის სულს,  
იგივე უნდა ბოლომდე სწყურდეს" (1,121).

### **„გაზაფხული ერის სულისა" ვაჟა-ფშაველას ნააზრევში**

„...თქვენ გთხოვთ წარმოადგინოთ, თუ როგორ უნდა იყოს გაზაფხული ერის სულისა..." (IX, 386) მოგვემართავს ვაჟა და იქვე დასძენს: „უწყოდეთ მხოლოდ, ეს იქნება მსგავსი ბუნების გაზაფხულისა, მისი განსახიერება და გამომხატველი მთა და ბარის, ცისა და დედამიწისა".

გაზაფხულზე ბუნება ახალგაზრდავდება, მაგრამ, ვაჟას აზრით, მხოლოდ გარეგნული განახლება ბევრს არაფერს ნიშნავს: „ათასნაირად აჭრელებული, აფერადებული სამოსელი დედამიწისა არაა მხოლოდ ნიშანი ბუნების ჯეილობისა... ეს მხოლოდ გარეგნული, თვალისა და ყურის წარმტაცი თვისებაა მისი, შინაგანი მოქმედება და აზრი სულ სხვაა, — იმას თუ კარგად არ ჩაუკვირდებით, ვერც კი შეაძწნევთ. ეს დაფარული აზრი გაზაფხულისა მხოლოდ გრძნობაა სიცოცხლისა... ლამაზი, მიმზიდველი არაფერია სხვა, თვინიერი სიცოცხლისა...

მაშ ვიწამოთ სიცოცხლისა და გაზაფხული ერთგვარობა, ერთბუნებრობა: უსიცოცხლოდ გაზაფხულს ვერ ვიგრძნობთ ისე, როგორც უგაზაფხულოდ სიცოცხლეს (IX, 383-384).

ვინაიდან ჩვენ ბუნების შვილები ვართ, „ცოცხალნიც მისნი ვართ, მკვდარნიც" (IX, 395), გამომდინარე აქედან :

— „ნუთუ ადამიანის სულს კი არა აქვს თავისი გაზაფხული?" — კითხულობს ვაჟა და თვითვე პასუხობს: „ადამიანიც არის და ადამიანიც; კაციც არის და კაციც... როცა ადამიანის სულის გაზაფხულზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, მაშინ ვერ დავივიწყებთ სიცოცხლეს, ვინაიდან გაზაფხული იგივე სიცოცხლეა, და როცა ადამიანის სულს გაზაფხული უდგება, უეჭველია მაშინ იგი უნდა ცხოველყოფელი, სიცოცხლის მქნელი იყოს" (IX, 385) და როდესაც დგება კითხვა: „როდის არის ადამიანის სული ასეთი?“, ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ადამიანის სულის შესაიდუმლე პოეტის პასუხი ცალსახა არ

შეიძლება იყოს: - „იგი, ვინც სიყვარულს არის მოკლებული, ვერა დროს ვერ ეღირსება გაზაფხულს სულისას“.

შემდეგ: „აღამიანი თუ არა ჰგრძნობს თავს ბედნიერად, ვერც სულის გაზაფხულობას განიცდის“. და ბოლოს: „მაღალი, ქვეყნის მოყვარე სული შეიძლება მხოლოდ იქმნეს სიცოცხლის მქნელად და სულის სიმშვენიერით მოგვევლინოს, მხოლოდ თუ თავისუფალია იგი“.

მაშასადამე, ვაჟას აზრით, აღამიანს სულის გაზაფხული არ დაუდგება, თუ იგი მოკლებულია სიყვარულს, თუ თავს ბედნიერად არ გრძნობს და თუ არ არის თავისუფალი.

მაგრამ ყოველივე ფუჭია, თუ ყველა და ყველაფერი მიმართული არ არის ერის სასიცოცხლოდ, ერის ენერჯის აღსადგენად, ერის სულის აღსაზრდელად.

ვაჟა-ფშაველა არ იზიარებს ზოგიერთ მეცნიერთა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თითქოს შეიძლებოდეს ერის სიბერე და სიკვდილიც კი: „მხოლოდ ერთი რამ უნდა შევნიშნოთ იმათ მოძღვრებას“, - ამბობს ვაჟა - „შეიძლება ერი დაბერდეს სხვადასხვა პირობებისა და მიზეზების გამო, და იგი ძალე ისე გაახალგაზრდადებება, თუ სხვა, მაცოცხლებელ პირობებში ჩააყენებ, რაც ცალკე პიროვნებას არ ძალუძს. ცალკე აღებული და დაბერებული აღამიანის ბოლო მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილია. რის გამო შეიძლება დაბერდეს ერი, თუმცა იგი მუდამ ახლდება ახალგაზრდათა შემატებით? ერს დააბერებს მხოლოდ მონობა, ისეთი ცხოვრების პირობები, როცა მას საკუთარი ნების, ძალ-ღონის გამოჩენის საშუალება მოესპობა. ხანა საჭირო არ არი, ეს შეიძლება ერის სიჭაბუკის დროს მოხდეს. ენერჯია ერისა არ უნდა იყოს შებოროტილ-შეჯაჭვული, უნდა მას ჰქონდეს სარბიელი“ (IX, 381).

მაშასადამე, ვაჟა-ფშაველას აზრით, ერის სიბერეს იწვევს მონობა და არა მისი ასაკი. დამონებული ერი სიჭაბუკის დროსაც კი შეიძლება დაბერდეს.

გაზაფხული ერის სულისა მაშინ ზეიმობს, როდესაც თავისუფლებაა. ვაჟა გვმოძღვრავს: „თავისუფლება და ბედნიერება სინონიმიებია“ (IX, 412), „თავისუფლება და ბედნიერება ერთი და იგივეა“ (IX, 414). „სადაც არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვით ძმობა-ერთობას, იქ შეხვდებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამა-გლეჯვას და მგლობას“ (IX, 409).

თავისუფლება მზა-მზარეული, თავისთავადი ჯილდო არ არის ერისათვის, მას მოპოვება და მოფრთხილება სჭირდება; „თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა“ (IX, 480).

ვაჟას აზრით, „თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერთი დამონებულია და დამონებულ ერში რა თქმა უნდა პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი“ (იქვე).

ვაჟასთან ერისა და პიროვნების თავისუფლება ნიშნავს:

როგორც საყოველთაო, ისე პიროვნულ თავისუფლებას: „თავისუფლება უნდა იყოს საერთო, საყოველთაო და არა საკუთრება რამდენიმე ადამიანისა“ (IX, 416). „თავისუფლების მტერია ის ადამიანი, ვისაც არ უყვარს თავისი თავი“ (იქვე).

რწმენის თავისუფლებას: „არ მინდა ვილოცო ის მშვენივრად მორთულ-მოკაზმული კერპი, რომელსაც შენ ჰლოცულობ“ (იქვე).

დედაენის თავისუფლებას: „იქ ვინ ნახა თავისუფლება, სადაც მე ჩემს დედაენაზე ლაპარაკს მიშლიან“ (იქვე). „ერი უპირველეს ყოვლისა დედა ენისა“ (IX, 186).

ლაუმორჩილებლობას ყოველგვარი დამრთველი ძალებისადმი: „უკეთუ ვითმენ, ხმას არ ვიღებ, არაფერს ვამბობ, მაშინ ვარ მონა...“ (IX, 410-411).

სიძულვილს მჩაგვრელებისადმი: „არა მძულს ჩემი მჩაგვრელი ძალა, იქნებ მძულს კიდევ, მაგრამ ამ მძულვარებას გულში ვმალავ, მაშინ ვარ ლაჩარი, უფრო საზიზღარი, ვიდრე მონა (IX, 411).

თავგანწირვას თავისუფლების შესანარჩუნებლად: „ან მოგკვდები, ან ვძლევ ჩემს მტანჯველთ... თავისუფლება ხალხისათვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა“ (იქვე).

წოდებრივი ზღუდეების მოშლას: „თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერი. ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი, ყველა წოდება იქნება თავისუფალი ე. ი. ბედნიერი...“

ნუ ეძებთ თავისუფლებას იქ, სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი განსხვავება აქვს დადებული“ (IX, 412-413).

შრომის დაფასებას: „ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას... სადაც (ადამიანს) არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსობისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება (IX, 413).

დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას: თავისუფლებამ „უნდა მიანიჭოს ნება, უფლება იმ ხელობას დაადგეს, რომელიც მას მოსწონს და ეხერხება; იცხოვროს იქ, საცა მოისურვებს, ისე რომ სხვის თავისუფლება ოღონდ არ შეზღუდოს, სხვას უსიამოვნება არ მიაყენოს. უნდა უბასპორტოთ წავიდეს და მოვიდეს საცა უნდა. ვერაფერს უნდა შეახოს მას ხელი, ვიდრე კანონი არ გადაწყვეტს" (IX, 418).

სიტყვისა და პრესის თავისუფლებას: „უნდა ილაპარაკო, სწე-რო საზოგადო საქმეებზე ისე, როგორც შენ ვინდა, დაშლა არავის შეუძლიან, უნდა გამოსთქვა შენი აზრი, დაკგმო დასაგმობი, აქო საქებარი" (იქვე).

პატივისცემას სხვისა უფლებამოსმლების მიმართ: „თავისუფ-ლება ამას არ გვიქადაგებს, რომ ყოველი ჩვენი სურვილი, გრძნობა, ყოველი ჩვენი ენება დავაკმაყოფილოთ წინდაუხედავად. ჩვენის გრძნობების დაკმაყოფილება და ჩვენთა სურვილთა მხოლოდ მაშინ არის შესაწყნარებელი, თუ ამით ჩვენ სხვას, ცალკე ადამიანს ან საზოგადოებას თავისუფლებას არ წავართმევთ" (IX, 417).

ნაშრომ-ნაამაგარის ხელშეუხებლობას: „იქ რა უნდა თავისუფ-ლებას, საცა ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი სხვას მიაქვს? ჩემი ნაშრომის ნაყოფს ჩემდა უნებურად ჩემ მიერ ნებადაურთველად ისაკუთრებს?" (IX, 410).

განათლების აუცილებლობას: „მარტო ქონებრივი უზრუნველ-ყოფა არ არის გარანტია, ერთმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკე-თუ მას თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათ-ლება და ცოდნა" (იქვე).

ვაჟას ღრმა რწმენით კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ: „ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს... თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთიანად მიყვარსო, — ტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკ-ლება ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშეპოჭილი" (IX, 254).

„ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწოროდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანს იმ ფიქრით, ვითომ და კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯვი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნეულად ღიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოს. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარი ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა" (IX, 254).

ვაჟას აზრით, კოსმოპოლიტიზმისაკენ მიმავალი გზა გადის არა შიშველ პატრიოტიზმსა და ნაციონალიზმზე, არამედ ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის საძირკვლებზე. მოვუსმინოთ მას:

„მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით: განავითარეთ ყოველივე ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფნის აკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიკური უკულმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე" (IX, 253).

ამრიგად, ვკითხულობთ ვაჟას და ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით მის გენიალობაში, ვრწმუნდებით იმაში, რომ „ენერგია ერისა" ამოუწურავია და მალე დადგება „გაზაფხული ერის სულისა".

ჩვენ შევეცდებით გადმოგვეცა და შეძლებისდაგვარად წარმოგვედგინა ვაჟა-ფშაველას ნაფიქრი-ნააზრევი ერის სულის გაზაფხულის ანუ ერის სულის მუდმივი განახლების თაობაზე. ამ მხრივ ყურადღება უმთავრესად გავამახვილეთ ისეთ მომენტებზე, რომლებიც რამდენადმე ეხმიანება ქართველი ერის დღევანდელობას. საამისოდ გამოვიყენეთ ვაჟა-ფშაველას შემდეგი პუბლიცისტური წერილები:

„საგაზაფხულო ფიქრები“, „ზოგი რამ ფიქრებიდან“, „სად არის პოეზია?“, „რა არის თავისუფლება?“, „რას ჰქვია თავისუფლება?“, „ენა“.

## „კანონიკური ენა“ აკაკი წერეთლის ნააზრევში

„ბევრი მიფიქრია ჩვენს ქართულ ენაზე, დავკვირვებივარ: ხან ავფორიაქებულვარ, ხან დავღონებულვარ, უძილობით ხომ ღამეები გამიტეხია და ზოგი რამ მაინც ვერ წარმომიდგენია ნათლად“ („ნაღული“, 14,51).

აკაკი მშობლიური ენის დიდი მოჭირნახულეა და თავდაუზოგავად იბრძვის მისი დამკვიდრებისა და სიწმინდისათვის, მაგრამ ამასთანავე მოკრძალებით გამოთქვამს თავის შეხედულებებს: „ზოგი რამ მაინც ვერ წარმომიდგენია ნათლად“-ო და დასძენს: „ქართული ენა ისე კარგად არის ძველადგანვე შემუშავებული, შევსებული, რომ მისი ზედ-მიწევნით ცოდნა ძნელია და მეც, რასაკვირველია, ბევრი მაკლია“ (არ ცოდნა, არ ცოდვაო) (13,144).

XIX საუკუნის 60-იან წლებში მომძლავრებული აზრთა ჭიდილი ძველსა და ახალ თაობას შორის ქვეყნის უამრავ საჭიოროლოტო საკითხებთან ერთად შეეხებოდა ქართული მწერლობის, ქართული ლიტერატურის, ქართული ენის ადგილისა და როლის განსაზღვრას ერის განკურნების, გაჯანსაღებისა და გადარჩენის საქმეში.

მიგვაჩნია, რომ ტრადიციული ფორმულირება „თაობათა ბრძოლა“ სწორად არ ასახავს ვითარებას. ეს იყო არა „ბრძოლა“, არამედ ძველი და ახალი თაობის წარმომადგენელთა პაექრობა, აზრთა ჭიდილი, ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვით გაჯერებული. მოვუსმინოთ აკაკის: „ყოველი კაცი, რომელიც დროს ჩამოურჩენელად მისდევს საზოგადო კეთილ-დღეობის წარმატებას, ემსახურება კეთილ სინდისიანად მუშაობას და მოღვაწეობას მისთვის, ეკუთვნის ახალ თაობას, და ის კაცი, რომელიც მხოლოდ თავის თავზედ ჰფიქრობს და ჰსურს, რომ საზოგადო ინტერესი მისმა პირადმა სარგებლობამ ჩაყლაპოს, ის რომელიც იძახის: „თუ მე არ ვიქნები, ქვა-ქვაზედაც ნულა იქნებაო“ – ეკუთვნის ძველ-თაობის

კაცს! ერთის სიტყვით, ძველი-თაობის კაცათ ის მიგვაჩნია, ვისაც თავში აზრები დამძალი აქვს და გულში გრძობა ამყრალბული, გინდა 20 წლისა იყოს ამგვარი კაცი და გინდა 60-ს, სულ ერთია!..." (11,190).

აკაკის აზრით, ძველი თაობის კაცები „მწვეარ-მეძებრების გაწვრთნისათვის უფრო ბევრს ზრუნავდნენ, ვიდრე თავიანთ შვილების აღზრდისათვის" (11,159); ნაცვლად იმისა, რომ „დაკზმარებოდნენ ხალხის განათლებას და ეხმარათ ამისათვის ის საშუალებები, რომლებითაც ამ მიზნისადმი მიღწევა შეიძლებოდა" (11,163), „მამებმა" დაივიწყეს „საღმთო ვალი", რომ „აკვნიდანვე ესწავლებინათ თავიანთ შვილებისათვის სამშობლო ენა და მოეზაღდებინათ ისინი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოქმედებისათვის" (იქვე, 169). ამ მხრივ სავსებით მართებულია „შვილების" პოზიცია, ვინაიდან „პირველად იმათ მიაქციეს ყურადღება თავიანთ სამშობლო ენის ცოდნის საჭიროებას. იმათ გაიგეს, რომ მათთვის, როგორც ყოველი კაცისათვის, რომელსაც კი ჰსურს თავის მოძმეებს შორის სიტყვით და საქმით მოქმედება, მოუცილებლად საჭირო იყო სამშობლო ენის ზედმიწევნით ცოდნა" (იქვე, 168-169).

აკაკის მართებული შეხედულებით, ქვეყნისა და ენის ერთიანობა განუყრელია: „საქართველოს ერთიანობის დროს ენაც ერთი გვქონია, ღრმად შემუშავებული და დაკანონებული... სამეფო გაყოფისა და დაცალკეების შემდგომ ენასაც ზრწნილება შეჰპარვია, ადგილობრივი კილო მიუღია და ისე შეღახულა, რომ დღეს ის კანონიერი ენა აღარსად ისმის" (12,242).

აკაკისათვის „კანონიერი ენა" არის საერთო სალიტერატურო ენა:

„საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი ძმები ვართ სამის ძლიერის, უზრწნელის კავშირით საუკუნოდ შესორცებული: საერთო ისტორიით, ქრისტეს სარწმუნოებით და ერთის დედა-ქართული ენით" (12, 275).

„კანონიერი ენა" გახლავთ „სამწერლობო და სადარბაისლო ქართული", რომელიც სრულიად საქართველოს ყველა კუთხისათვის საერთო ეროვნული ენაა. საქართველოს ძველებლობის უამს „არც ერთს სამთავროს, არც გურიას, არც აფხაზეთს, არც სვანეთსა და არც სამეგრელოს, არ დავიწყებიათ, რომ ქართველები იყვნენ"...

წირვა-ლოცვა, მწიგნობრობა და სადარბაისლო საუბარი მათ, ყველა-სი, იყო ქართული და ქართული" (13,427).

აკაკი წერეთელს ძველი ქართული მიაჩნია „კანონიერი ენის“ ნიმუშად: „ქართული ენა არის ერთი უძველესი ენათაგანი. X საუკუნეში ენის კანონები, გრამატიკა, დამთავრებული იყო არა მარტო ქალაღზე, ხალხშიაც კი სასაუბროდ" (14,389). ამასთანავე იზიარებს ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისს, რომ ხალხია ენისათვის კანონის დამდები. „რუსთაველს ენა კი არ შეუქმნია, იმან მხოლოდ ხალხის ენა გადმოიღო უმეტნაკლებოდ, რადგან მის დროს ენა გაწმენდილი იყო!..." (იქვე, 389-390).

თუმცა ზოგჯერ აკაკიც სცოდავს ძველი ქართული მწერლობის ენის შეფასებაში. აკაკი წერეთელი კიცხავს ძველ თაობას იოანე შავთელის გადაჭარბებული შექების გამო და თვითონაც უმართებულო შეფასებას აძლევს მის ენას: „შავთელისა ჩვენს ძველებს არა ესმოდათ რა!... რომ ამოიკითხავდნენ, მაგ., ამგვარ რამეს: „ბოლუქ ბოლუქად და სასალუქად", „არიონა თან არიონა თან"; „რომელნი ელნით რომელნი ელნით", ბრახუნ-ბრახუნი, ბრაგუნ-ბრაგუნი, ბრუხუნ-ბრუხუნი და სხვა ამგვარები, — სიბრძნე ეგონათ" (13,215).

აკაკი წერეთელს ქართული სალიტერატურო ერის ერთ-ერთ დაუშრეტელ წყაროდ მიაჩნდა ხალხური სასაუბრო ენა, საქართველოს სხვადასხვა მხარეში შემონახული ზეპირსიტყვიერება, რასაც მრავალი სტატია მიუძღვნა: „ზეპირსიტყვიერების გამო", „განცხადებისათვის", „როგორ უნდა შევკრიბოთ ზეპირგადმოცემები?", „განცხადება", „სახალხო ლექსებისა და ამბების შემკრებლებს", სადაც იგი მიუთითებდა, თუ რა უნდა ჩაიწერონ და როგორ უნდა ჩაიწერონ. დავიმოწმებთ რამდენიმე ნიმუშს აკაკის მიმართულებიდან:

„გულმხურვალედა ვსთხოვთ, ვისაც კი შეუძლიან მოახერხოს და განსაკუთრებით სოფლის მასწავლებლებს; რომ ჩვენში სახალხო შაირები, ზღაპრები, გამოცანები და სხვა ყოველგვარი ზეპირ-გადმოცემები, შეძლებისა და გვარად, მოაგროვონ და ჩემ სახელზედ ან „დროებისა" და ან „შრომის" რედაქციაში გამოაგზავნონ ხოლმე. ამით ისინი რიგაან სამსახურს გაუწევენ ჩვენ დედა-ენას და კერძოდ მეც დამავალბენ. მხოლოდ იმას კი ვსთხოვთ, რომ გადმოწერის დროს, არაფერი გაასწორონ და თავისი არა ჩაუმატონ-რა: დასწერონ ისე, როგორც გაიგონონ, უმეტნაკლებოდ, და აგრეთვე ისიც

მოიხსენიონ — თუ ჩვენს რომელ კუთხეში გაუგონიათ იმათგან და-  
წერილი შაირი, ზღაპარი და სხვა.

უმორჩილესად ვსთხოვთ ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქ-  
ტორებს, რომ მათ გაზეთ-ჟურნალებშიაც გადაბეჭდონ ეს თხოვნა"  
(12,175).

განსაკუთრებით საყურადღებოა აკაკის რჩევა იმის თაობაზე,  
რომ ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ჩასაწერად გამოიყენონ ახალ-  
გაზრდები: „ბევრი შეგნებული და გვარიანად მომზადებული ახალ-  
გაზრდები არიან დღეს ჩვენში უსაქმოდ, რომ დღიურ საზრდოს ეძე-  
ბენ და ვერ უშოვნიათ!... აი, იმათ უნდა დაუნიშნონ წლიური სა-  
ზრდო-საფასო და გავგზავნოთ ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა მხარე-  
ში... უნდა თითოეულ მათგანს მიუუჩინოთ რამდენიმე მაზრა, რომე-  
ლიმე ხეობა და გულდაგულ იქ ვამუშაოთ!... იმათ უნდა სულ ფეხ-  
და-ფეხ მოიარონ მათდამი დანიშნული ადგილი; რაც კი გაიგონონ  
ზეპირ-გადმოცემები: შაირები, არაკები, ზღაპრები, ამბები და სხვანი,  
სულ უმეტ-ნაკლებოთ ჩაწერონ, ისე რომ არა თუ კილო და სი-  
ტყვა, თითქმის ერთი ასოც არ შეცვალონ იმ თქმულებათა. აგვიწე-  
რონ აგრეთვე სხვადასხვა ჩვეულება, როგორც სალხინო, ისე საჭი-  
როც, — ერთი სიტყვით, ეს უნდა იყოს მხოლოდ ფოტოგრაფიული  
შრომა: უტყუერად გადაიღონ და გადმოგვცენ ნანახი და გაგონილი,  
— იმავე მოგზაურობის დროს უყურადღებოთ არ უნდა დატოვონ არც  
ძველი ნანგრევ-ციხე-დარბაზ-ტაძრები, გამოიკითხონ იმ მაზრაში რა  
ხეებია? რა მცენარეები? რა არის მათი თვისება? თუ რამეა მათზე  
გადმოცემა და სხვანი: რა წყაროებია? რა მდინარეები? რა პირუ-  
ტყეები? რა მხეცები და რა ფრინველები? ერთი სიტყვით, ყველა-  
ფერს მიაპყრონ გონება!..." (13,175).

აკაკის აზრით, ზეპირსიტყვიერება დიდი განძია და მისი შე-  
გროვება ჩაწერა უადრესად საშურია:

„ხალხური ლექსები, შაირები, ზღაპრები, თქმულება, ლეგენ-  
დები, იგავარაკები და სხვანი, რაც კი შეადგენს ზეპირსიტყვიერე-  
ბას, საზოგადოდ, ყოველი ხალხისათვის ძვირფასი განძია, როგორც  
მტკიცე საძირკველი მისი ისტორიისა და უტყუარი სარკე მისი  
წარსული ცხოვრებისა. თუ არ მომაკვდავი ხალხი, ისე ამ განძზე  
ხელს ვერ აიღებს ვერც ერთი სიცოცხლის მოსურნე ერი! საქარ-  
თველოს ხანგრძლივ ცხოვრებაში ამგვარი განძი დიდ-ძალი შეგრო-  
ვებულა, მეტად მდიდარია; მაგრამ დღეს როცა ცხოვრებამ პირი

იბურნა და ფერი იცვალა, ეს განძიც, ზეპირ-სიტყვიერება, მივიწყებას ეძლევა თანდათან. საქმე მოსწრებაზეა და თუ დავაგვიანეთ, ერთ ათ წელიწადს იქით ხსენებაც აღარ იქნება!" (13,75).

თვითონ აკაკი წერეთელმა დაგვიტოვა სანიმუშო ჩანაწერი სოფ. სხვიტორის მაგალითზე: რა გვარის ხალხი სახლობს, ვინ საიდან ჩამოსახლებულა; ჩამოთვლილი აქვს მიმდებარე მთები, მდინარეები, თევზები, ადგილობრივი ხეები, ადგილობრივი მხეც-ნადირი, ადგილობრივი ფრინველები, ღამის ფრინველები, ქვეწარმავლები, ჩირგვები, ყვავილები, მხალეულობა, სოკოები, ბუზ-პეპლები (13, 252-253).

მან იცის, რომ ზეპირსიტყვიერების გზით ხალხში შემორჩენილია „წმინდა ქართული სიტყვები“, რომლებსაც შეგროვება და გამოძიება სჭირდება, საამისოდ ასახელებს სიტყვა „სატეს“, რომელიც მიმდინარეობს „დატევა“-დან: „კაცო, მაგ ღარს სატე დიდი უყავიო“ — მეწიქვილისაგან გაუგონია აკაკის. „ამისთანა სიტყვები ათასობით მოიპოვებოდა დაბალ ხალხში და ჩვენ კი არ ვიცით“, წუხს აკაკი და დასძენს: უნდა მოვერიდოთ სიტყვათა ხელოვნურ შეთხზვას და სასაუბრო ენიდან ამოვზიდოთ საჭირო სიტყვები (14,406).

მწერალი იქვე მიუთითებს ქართული ლექსიკონის შედგენის აუცილებლობაზე და მიაჩნია, რომ ზეპირსიტყვიერების მასალების შეგროვება და გამოცემა პირველი საფეხურია ქართული ლექსიკონის შესადგენად.

მართალია, „ძვირათ რომელიმე ხალხი გვეგულება, რომ ქართველებსავით ლექსიკონი ჰქონდეს" (12,68), მაგრამ აკაკის შემჩნეული აქვს, რომ ქართულში მრავალი უცხო სიტყვაა შემოსული და დამკვიდრებული; ამასთანავე აკაკი წერეთელი მიუთითებს, რომ უცხო სიტყვათა მოძალებას „ვერ დაურღვევია ჩვენი ენის კანონები, ვერ გადურევია, ვერ გადურჯულებია. დაუთმია ჩვენი ენისათვის და ჩვენკენ თვითონ გადმორჯულებულა" (12,69).

აკაკის აზრით, დიდი ცოდნა, გულმოდგინება და სიფრთხილე საჭირო უცხო ენიდან თარგმნისას. ძველი ქართული თარგმნილი ძეგლები გვიჩვენებენ „თუ რამდენად შემუშავებული და სრულია ქართული ენა" (13,36); დღეს კი, წუხს აკაკი — „რაც კი ამ უკანასკნელ დროს უთარგმნიათ, გარდა ერთი ორიოდისა, ისევ ხელახლად გადასათარგმნია არა მარტო დღეაენიდან, ქართულიდან ქართუ-

ლადვე" (იქვე). და ეს იმ დროს, როცა ქართულ ენას უდიდესი შესაძლებლობანი აქვს: „ქართულ ენას დიდი სიტყვის კონა აქვს, მისი ლექსიკონი ისე ვრცელია, რომ ბევრჯელ მთელი აზრი ერთს სიტყვაში მოთავსდება ხოლმე" (იქვე); აკაკი საყვედურობს მთარგმნელს, რომელიც „საუარყოფო სიტყვებს „არა და ვერას" ვერა ხმარობს თავის ადგილზე" და იქვე განმარტავს: „არ ვნახე ნიშნავს, რომ მე შემძლო მენახა, მაგრამ არ ვისურვე. — „ვერ ვნახე" — კი ჩემი სურვილის წინააღმდეგ რასმე ხელი შეუშლია" (13,37).

აკაკი წერეთლისათვის დიდი გულისწყრომა გამოუწვევია რუსული სიტყვა „ვოლოპად"-ის „წყალ-ვარდნილად" თარგმნას: განა ქართულში არა გვაქვსო შესატყვისი სიტყვა ჩანჩქერი და მისი სახეობები: ჩქერი, საჩქეფი, ჩაქუსა, ჩახლიალა... (13,390).

მთარგმნელმა უცხო ენასთან ერთად ქართული უნდა იცოდეს ზედმიწევნით: „როცა ენებიდან რასმე ვთარგმნით და სიტყვებს ვედარა ვპოულობთ, ჩვენ ყოველთვის მითი ემართლულობთ თავს, რომ ქართული ენა ღარიბიაო!" (13,390).

მშობლიური ენის დაფასების მაგალითად გამოდგება აკაკი წერეთლის მიმართვა იტალიელი მსახიობის ერნესტ როსისადმი: „დღეს სასიამოვნო და შემდეგშიაც სანატრელო სტუმარო ბატონო როსსი!

მარტო ენის უცოდნელობას ნუ მიაწერ, რომ მე დღეს ქართულად გიპირებ შესხმით სიტყვას! გამოვტყელები, ზედმიწევნითაც რომ ვიცოდე უცხო ენა, მაინც მაშინაც ქართულს ვერ ვუღალატებდი, რადგან, ეს ჩემი დედა-ენაა, ყოველ ენაზე უფრო უტკბესი და უძვირფასესი ჩემთვის" ... (13,5).

აკაკი წერეთელს შეგნებული ჰქონდა მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობა. „საჭიროა, რომ ახალგაზრდა მოსწავლემ... იწყოს სწავლა იმ ენაზე, რომელზედაც იმას პირველად ხმა ამოუღია და შეუთვისებია" (12,403). ყმაწვილმა ჯერ დედაენაზე უნდა ისწავლოს წერა-კითხვა და შემდეგ უკეთესად დაეუფლება უცხო ენას. ვინც პირდაპირ იწყებდა უცხოენის სწავლას, ის გულისყურს ჰკარგავდა" (12,404); აკაკი წუხს, რომ „ეს ჭეშმარიტება დღესაც არა აქვს შეგნებული ქართველ დედ-მამებს" (12,404). ამ გაუკულმართებული სწავლების გამო ახალგაზრდას გული უცრუვდება სწავლაზე, რასაც მოსდევს „უგზო-უკვლობა, უმეცრება, ცხოვრებაში გაბოროტება და ზნეობისთი სიკვდილი. მაშინ როდესაც ვინ იცის

იმათგან რამდენი კეთილი და სასარგებლო კაცი გამოვიდოდა როგორც თავისთვის, ისე ქვეყნისათვის" (12,405).

აკაკი წერეთელი სწავლა-განათლების მშობლიურ ენაზე და ფუნქციების ერთ-ერთ უმთავრეს პირობად მიიჩნევს ოჯახურ ტრადიციას და, განსაკუთრებით, ქალის როლს ამ საშვილიშვილო საქმეში. ამიტომ იგი დაუინებით მოითხოვს ქალთა სასწავლებლის გახსნას, სადაც „ამ ჩვენი პროგრამით გამოზრდილი ქალი თვითონვე მოამზადებს თავის შვილს, საფუძვლად დაუდგამს ყოველივე მშობლიურს და ისე ფეხმომადგრებულს შეიყვანს სკოლაში. ამგვარად მომზადებული თაობა თავის დღეში აღარ გადარჯულდება" (14,480). მაგრამ დღევანდელი ქალების ინტერესები სულ სხვააო, ამბობს აკაკი: „დღევანდელმა ქალებმა კი უცხო ენები იციან ზედმიწევნით, ფიქრობენ ჩაცმა-დახურვაზე, საფუნდრუკობაზე და დრო აღარ რჩებათ, რომ კიდევ სამშობლოზედაც იფიქრონ" (14,485). პოეტი სასიამოვნო გამონაკლისად ასახელებს თელავის „წმინდა ნინოს დედათა სასწავლებელს, სადაც სწავლება კარგად არის დაყენებული. ამ სასწავლებელს, ვგონებ, საშუალება აკლია და ამიტომაც ვერ გასწავდომია ყველა მსურველის მოვლას. მაგიერობას კერძო უფასო სკოლები ჩადიან" (13,315).

რაოდენ ყურადსაღებია ეს შეგონება დღევანდელი განათლების რეფორმატორებისათვის!

აკაკი თავგამოდებით იცავს ეკლესიაში ქართული ენის ხელშეუხებლობას და შეშფოთებულია იმის გამო, რომ ვითომც უნდა მოისპოს წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე და მის ნაცვლად შემოიღონ სლოვინურიო"... (14,399); ამასთან დაკავშირებით შესძახებს აღშფოთებული აკაკი: - „დაუჯერებელია!"... და იქვე სიამაყით გვამცნობს, რომ ვგზარხოსმა ინოკენტიმ აღდგომა დღეს ქართულად წაიკითხა სახარება; ამით აღფრთოვანებულ აკაკის აღმოხდება - „გასაკვირალია!".

მშობლიური ენის შეუბღალავად შენარჩუნება-დამკვიდრების უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტორად აკაკი წერეთელს მიაჩნია თეატრის აღორძინება. მისი აზრით, სცენიდან უნდა ვისმენდეთ „გამტიცულ-გასპეტაკებულ ქართულ ენას და არა ჩიქორთულს" (14,183) და სწუხს, რომ ხშირად „წმინდა ქართულის ნაცვლად რაღაც ბაზაზხანური ენა გვესმის სცენიდან" (14,215), რომ „დღეს

ქართულ თეატრში, ქართულ სცენაზე, დღეაენა განსაცდელშია ჩაკარდნილი" (14,591); და ეს იმ დროს, როცა „მხოლოდ ერთად-ერთი ასპარეზი დაგვრჩენია — თეატრი — საიდანაც შეგვიძლია გავიგონოთ ჩვენი დღეაენა: ის ენა, რომელზედაც მუსიკობდა რუსთაველი, ბრძანებლობდნენ თამარები, რომელზედაც ჰქადაგებდნენ ნინოები და რომელზედაც წამებულნი სიმდაბლით ღმერთს ადიდებდნენ ქეთევანები და მათი მსგავსები" (11,513).

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებში ძველი და ახალი თაობის უშეღავათო პაექრობის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი იყო ქართული ენის სიწმინდის დაცვა. ამ საკითხში თვით ახალი თაობის წარმომადგენლებიც კი არ ინდობდნენ ერთმანეთს. ამის ნათელი მაგალითია აკაკის, ვაჟას, ილიას, იაკობ გოგებაშვილის და სხვათა აზრთა ჭიდილი. ვერ ვიტყვით, რომ აკაკი წერეთელი ყოველთვის სწორ პოზიციაზე იდგა; ამის დასტურად გამოდგება თუნდაც მის მიერ „აღვიარებ" ფორმის დაცვა ხალხში უკვე გავრცელებული და დამკვიდრებული „გალიარებ" ფორმის ნაცვლად. ეს საკითხი საკმაოდ საფუძვლიანადაა შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში და ამჟერად მის მიმოხილვას საჭიროდ აღარ ვთვლით.

ამრიგად, აკაკი წერეთელი, როგორც ქართული ენის მოჭირნახულე, დღენიადაგ ზრუნავდა მშობლიური ენის დამკვიდრებისა და „განსპეტაკებისათვის" და მტკიცედ იდგა ქართული ენის დაცვის სადარაჯოზე.

\* \*

\*

როგორც ამ მცირეოდენი მიმოხილვიდანაც ჩანს, ილიას, აკაკის და ვაჟას მოღვაწეობის კრედო გახლდათ ქართველი ერის მიძინებული სულიერების გამოლვიძება და ეროვნული თვითმყოფობის დამკვიდრება.

## ლიტერატურა

ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები V ტომად: აი ისტორია, წერილი VII, თბილისი, 1987.

ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული X ტომად. პ. ინგოროყვას რედაქტორობით, თბილისი, ტ. I – 1951; ტ. X – 1961.

ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი 10 ტომად, თბილისი, ტ. I-X, 1964.

აკაკი წერეთელი, თხზულებანი 15 ტომად, თბილისი, ტ. I – 1950; ტ. XV – 1963.

თენგიზ სანიკიძე, ილია ჭავჭავაძის პოეზიის ლექსიკონი, თბილისი, 1986.

შოთა ძიძიგური, ილია ჭავჭავაძე და ქართული ენა; ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა, თბილისი, 1971.

# საგრამატიკო თვალსაზრისი იაკობ გოგებაშვილისა

## იაკობ გოგებაშვილი მარტივი წინადადების წევრთა შედგენილობის შესახებ

ფასდაუდებელია იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი არა მხოლოდ „დედა ენის“ განუყოფელი სახელმძღვანელოს შექმნაში, არამედ ქართული სალიტერატურო ენის მსახურებში. „იაკობ გოგებაშვილი, თავისი სახელმძღვანელოების წყალობით, პრაქტიკულად შეძლო სრულიად საქართველოს მასშტაბით ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრება“ (გოგოლაშვილი, 2012, 10). ამასთანავე, ქართული ენის გრამატიკული სისტემის კვლევისას იაკობ გოგებაშვილი უმთავრესად მართებულ პოზიციასზე დგას, „პრინციპულად ეწინააღმდეგება ქართული ენის გრამატიკული წყობის განხილვას უცხო ენათა სტრუქტურის მიხედვით და მოითხოვს ენის კანონების შემუშავება-დადგენას მშობლიური ენის შინაგან ბუნებასა და თვისებებზე დაყრდნობით“ (ჭიკაძე, 2005, 95). სწორედ ეს თვალსაზრისია გატარებული მის წერილებში: „საგრამატიკო ბაასი“, „მეორე საგრამატიკო ბაასი“, „საგრამატიკო შენიშვნა“, „პასუხი კვალის რაზმსა“, „შენიშვნა ქართული ზმნის შესახებ“...

იაკობ გოგებაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გრამატიკას, როგორც მეცნიერებას. მას გადაუდებლად მიაჩნია ენის უტყუარ კანონებზე დაფუძნებული გრამატიკის შექმნა და წუხდა, რომ „ჩვენი გრამატიკა, როგორც თეორიული მეცნიერება, ძალიან ნაკლებად არის შემუშავებული“-ო (გოგებაშვილი, 1954, 89). იგი „უგრამატიკო გრამატიკას“ უწოდებს მშობლიურ ენას მოწყვეტილი მშრალი გრამატიკული წესების დასწავლას. მისი აზრით, „გრამატიკა უნდა იყოს შედგენილი ცოდნით და მარჯვედ იპყრობდეს უტყუარს კანონებს ენისასა“ (იქვე, 90).

გოგებაშვილმა თავს იღვა ეს უაღრესად საპასუხისმგებლო მძიმე ტვირთი და „ენის უტყუარს კანონებზე“ დაყრდნობით შეადგინა „მოკლე გრამატიკა ქართული ენისა“, რომლის დაუსრულებელი ხელნაწერია შემონახული. ეს სახელმძღვანელო, მსგავსად „დედა ენისა“, მკაცრად ჩამოყალიბებულ მეთოდოლოგიურ პრინციპებზეა აგებული და შედგება ორი განყოფილებისაგან: განხილვა მარტივი წინადადებისა და განხილვა სიტყვებისა.

ამჯერად განვიხილავთ გოგებაშვილისეულ თვალსაზრისს მარტივი წინადადების შედგენილობის თაობაზე.

იაკობ გოგებაშვილის მართებული დაკვირვებით, წინადადებაში წევრებისა და სიტყვების რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა, ვინაიდან მან იცის, რომ ყველა სიტყვა წევრი არ არის. მისი განმარტებით, წინადადებაში გვაქვს მნიშვნელობითი და დამხმარე სიტყვები; მნიშვნელობითია ის სიტყვა, რომელიც თავისი ფუნქციით წევრია და წინადადების გარეშეც აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა; დამხმარეა ის სიტყვები, რომლებიც ეხმარებიან სხვა სიტყვებს აზრის გამოხატვაში, დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნიათ და არც წევრები არიან წინადადებისა (მანამ, თორმე, და, აღარ...) (გოგებაშვილი, 1962, 398). გოგებაშვილი აქვე გამოყოფს ისეთ სიტყვებს, რომლებსაც, მართალია, დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვთ, მაგრამ მაინც წინადადების წევრები არიან; ასეთებად მას მიაჩნია ნაცვალსახელები: ის, იგი, მან...

საინტერესოა წინადადების წევრთა გოგებაშვილისეული კლასიფიკაცია, რის მიხედვითაც წინადადების წევრები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: პირველი ხარისხის წევრები ქვემდებარე და შემასმენელი, მეორე ხარისხის წევრები — გამმარტავი სიტყვები, რომელშიც იგულისხმება შემავსებელი სიტყვები და განმავითარებელი სიტყვები.

შემავსებელ სიტყვებში გოგებაშვილი მოიაზრებს ყველა სახის დამატებას — პირმიმართსაც და უბრალოსაც. განმავითარებელ სიტყვაში კი — ოდენ განსაზღვრებას. მეორე ხარისხის წევრებიდან ცალკე გამოყოფს გარემოებით სიტყვებს, რომლებიც, მისი აზრით,

„არ არის არც განმავითარებელი და არც შემავსებელი“ (გოგებაშილი, 1962, 383).

ამრიგად, იაკობ გოგებაშილის თვალსაზრისით, მარტივი წინადადების შედგენილობა ასეთია:

პირველი ხარისხის წევრები: ქვემდებარე და შემასმენელი;

მეორე ხარისხის წევრები: გამმარტავი სიტყვები:

ა) შემავსებელი სიტყვა (პირდაპირი, ირიბი და უბრალო დამატება);

ბ) განმავითარებელი სიტყვა (განსაზღვრება);

გ) გარემოებითი სიტყვანი (დროისა, ადგილისა, მიზეზისა, მიზნისა, მოქმედებისა ანუ მდგომარეობისა).

მართალია, გოგებაშილმა უბრალო დამატება პირმომართ დამატებას გაუტოლა, მაგრამ ეს განაპირობა მისი დროის საგრამატიკო წინარემეცნიერულმა დონემ.

ფრიად მნიშვნელოვანი ის ფაქტი, რომ გოგებაშილი გრძნობს დამატება-ობიექტის მორფოლოგიურ და სინტაქსურ ძალას, რითაც თითქმის ქვემდებარეს უტოლებს (იხ. წერილები: „შენიშვნა ქართული ზმნის შესახებ“, „ორი აზროვანი კილო ჩვენს პრესაში“...).

იაკობ გოგებაშილის თვალსაზრისი წინადადების წევრთა შედგენილობის თაობაზე არსებითად მართებულია, ვინაიდან, მისი აზრით, წინადადების სისრულე-უსრულობას განაპირობებს მთავარი წევრები, ხოლო გავრცობა-გაუვრცობლობას – არამთავარი წევრები. იაკობი განმარტავს: „იმ წინადადებას, რომელშიც არის ქვემდებარე და შემასმენელიც, ეწოდება სრული წინადადება“; „იმ წინადადებას, რომელსაც აკლია ან ქვემდებარე და ან შემასმენელი, ჰქვიან უსრული წინადადება“ (გოგებაშილი, 1962, 386). აქედან გამომდინარე, „რომელ წინადადებაშიც მარტო ქვემდებარე და შემასმენელია, იმას ჰქვიან მოკლე წინადადება“ (ე. ი. გაუვრცობელი. რ. ჭ.), „რომელი წინადადებაც გამმართავ სიტყვებსაც იპყრობს, იმას უწოდებენ ვრცელ წინადადებას“ (ე. ი. გავრცობილს. რ. ჭ.) (იქვე, 380).

მით უფრო მნიშვნელოვანია გოგებაშილის ეს პოზიცია, რამდენადაც თანამედროვე ენათმეცნიერებაშიც კი ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ა. კიზირია, აკ. დავითიანი...).

ამრიგად, მარტივი წინადადების შედგენილობის კვლევისას იაკობ გოგებაშვილი არსებითად მართებულ პოზიციაზე დგას, პრინციპულად ეწინააღმდეგება ქართული ენის გრამატიკული წყობის განხილვას უცხო ენათა სტრუქტურის მიხედვით და მოითხოვს ენის კანონების დადგენას მშობლიური ენის შინაგან ბუნებასა და თვისებებზე დაყრდნობით.

### ლიტერატურა

იაკობ გოგებაშვილი, „საგრამატიკო ბაასი“, თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1954.

იაკობ გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1954.

იაკობ გოგებაშვილი, მოკლე გრამმატიკა ქართული ენისა, თხზულებანი, ტ. 9, თბ., 1962.

გიორგი გოგოლაშვილი, ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბ., 2012.

## შიო არაგვისპირელის თხზულებათა სათაურების სახელწოდების მქსპრესია

„თქვენ გახსოვთ სათაურები შ. არაგვისპირელის ესკიზ-ეტიუდებისა?“ – გვეკითხება ვახტანგ კოტეტიშვილი და თვითვე გვპასუხობს: „მაგრამ რა, შეიძლება არც გახსოვდეთ. ძალიან ხშირად სათაურებზე უფრო შინაარსი ახსომდება ადამიანს. მაშ, აბა, ყური დაუგდეთ: „ეკ, ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი“, „ხითხითებს და ხითხითებს“, „მხრები-ლა ავიჩეჩე“, „შემუსვრილი სამი მცნება“, „ღმერთო, რა დაგიშავე?“, „ბეჩა, რაღა მკლავ...“, „სულ ერთია“, „ეკ, ესაა ჩვენი ცხოვრება“, „ბაღლი ყოფილხარ“ და სხვ. სულ ასე შავად შეფერილი, სულ ასე სისხლით დაწერილი. თითქმის ამ სათაურებითვე შეგვიძლია გავითვალისწინოთ ტონი მისი შემოქმედებისა, შეგვიძლია დავხაზოთ კონტურები მისი შემოქმედებისა“ („შავი წიგნი“, 110).

სწორედ სათაურშივე თვალსაჩინოვდება შიო არაგვისპირელის ესთეტიკური მრწამსი და შემოქმედებითი კრედო. ეს არ არის შემთხვევითი, ვინაიდან „უთუოდ სათაურია პირველი ღვრიტა შემოქმედისა“ (კ. გამსახურდია).

როსტომ ჩხეიძე სათაურებს მიიჩნევს გზამკვლევებად მწერლის მხატვრულ სამყაროში შესაღწევად და სამართლიანად გულმტკივნეულობს, რომ შიო არაგვისპირელის ნოველებისა და ესკიზ-ეტიუდების შესწავლა ამ თვალთახედვით, როგორც მწერლისეული სტილისა და მხატვრული ხერხისა, საგანგებოდ არავის უკვლევია: „რაღაც განსაკუთრებულად ამიტომაც არც იპყრობდა ლიტერატორთა გონებას მხატვრულ თხზულებათა სახელწოდებანი, რომ ცალკე სამყაროს შთაბეჭდილებას არ ტოვებდნენ?“

შიო არაგვისპირელის სათაურები ხომ შემოხაზავდა მთლიანსა და შთამბეჭდავ სურათს, ერთი და ორი სიტყვა კი არა, ფრაზები რომ გამოტანილიყო და ასე ცალკეც ღრმად დაგაფიქრებდა და შეგძრავდა.

რატომ არავინ ჩაკვივრებულა?

მოწონებით ყველას მოსწონდა, ყველა ყაიდისა და ჯურის მკითხველი სიახლეს ჰპოვებდა ასეთ დასათაურებაში, მაგრამ საგანგებო კვლევა?..." („მზე და მწუხრი", 350). მით უმეტეს, „საგანგებოდ თუ ჩაუჯდება ადამიანი, შიო არაგვისპირელის ნოველათა სათაურების, მარტოდენ სათაურების, მიხედვით დასრულებული, კლასიკური აღნაგობის ნოველათა სათაურებშივეა შემამრწუნებელი ემოციურ-ფსიქოლოგიური მუხტი: „მამას მიწა მივაყალღეთ!...", „ყველაი დაკარგე!...", „ბეჩა, რადა მკლავ!...", „...ვაი, ჩვენი ბრალიც!...", „ღმერთო, რა დაგიშავე?!", „ესაა ჩვენი ცხოვრება?", „ღირსი ვარ ამისა, ღირსი!"...

ზოგჯერ გრძნობიერი მძაფრი ექსპრესია ერთ სიტყვიან სათაურშია ჩატეული, რის საუკეთესო გამოსატყულებად როსტომ ჩხეიძეს მიაჩნია ეტიუდი „სისულელეა!", რომელიც, მისი აზრით, „ჭეშმარიტად არაგვისპირელური სახელწოდებაა, ეტიუდის მხატვრული მრწამსის ყველაზე მარჯვე ჩაწნეხვა ერთ სიტყვაში" („მზე და მწუხრი", 326). ასეთივეა: „ი...ყუ...ჩე!...", „ეკ!", „მიწა!", „ადამიანი!...", „მძულხართ!...", „ვეცხოვრობთ!...", „საშინელება!"...

არც თუ იშვიათად მწერალს მთელი ფრაზა გამოაქვს სათაურად: „ქარი კი ამ დროს ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა", „ჩემი ბრალი არ არის, „ღმერთო!...", „ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი!...", „ბედნიერება მხოლოდ მაშინ ვიგრძენ!...", „...და აჰა, მოვიდა მოგვი აღმოსავლეთით", „ჩემი სამშობლო ჩემი გულია", „კეძებ და ვეძებ ჩემსა საწუთროს"...

სათაურებით გადმოცემულ ემოციას და ექსპრესიას კიდევ უფრო აძლიერებს მწერლის მიერ გამოყენებული სასვენი ნიშნები: მრავალწერტილი, კითხვის, ძახლისა თუ კითხვა-ძახლის ნიშნები, რითაც გამოხატულია ჩაკითხვა, საკვანძო ფრაზა (რ. ჩხეიძე), სასოწარკვეთილი ამონაკვესი, ვედრება...

ჩაკითხვა: „ბეჩა, რადა მკლავ?!", „მერე რიდათი იცხოვროს?!", „ესაა ჩვენი ცხოვრება?!"...

საკვანძო ფრაზა: „ჭეშმარიტად!...", „გულ-ცივობამ!", „მიწაა!...", „ადე, ჩამოვიდა!...", „ყველაი დაკარგე!...", „სისულელეა!..."

სასოწარკვეთილი ამონაკვესი: „ჰე!", „ეჰ, ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი!...", „ეხ, მეტივე!...", „ვაი, ჩვენი ბრალიც!...", „ღირსი ვარ ამისი, ღირსი!"...

ვედრება: „ღმერთო, რა დაგიშავე?...“, „ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი!“, „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!“, „გმადლობ, უფალო, გმადლობ!“...

თხზულებათა სათაურები უმთავრესად ტექსტის შემადგენელი ფრაზებია, პერსონაჟთა ამოძახილ-ამონაკვესები, რასაც ახლავს მწერლისეული რემარკები:

„- ესაა ჩვენი ცხოვრება!“ – წამოიძახა დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ ერთმა მეურმემ და მწარედ ჩაიქნია თავი“.

„ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!“ – ჩაჩოქვით და ხელების მაღლა აპყრობით წამოიძახა დათუამ“.

„ყველაი დაგკარგე!“ – წამოიძახა ქალმა და გადაეშო კიდევ არაგვე“.

„...ვაი, ჩვენი ბარლიც!“ წამოიძახა ლიზამ“.

„- ადუ, ჩამოვიდა!“ – ფეხის წაკვრასთან ერთად აღელვებული ხმით დასძახა ზვეიდან და საჩქაროდ გარეთ გავარდა“.

„მერე რილათი იცხოვროს?“ – გულდაწყვეტით წამოიძახა ზალიკომ“.

„- ეჰ, ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი!“ – ხელის ჩაქნევის წამოიძახა ალექსიმ“.

„ღმერთო, რა დაგიშავე?“ – საყვედურით მიმართა მან უფალს და პირქვე დამხობილმა დაიწყო ქვითინი“.

„- ბეჩა, რადა მკლავ!“ – გულსაკლავად წაჰკენესა ლეოს ლანდს თინამ და თვალთაგან ნაკადული გადმოსკდა“.

„... – სულ ერთია!“ – ამოკვნესით წამოიძახა“. აქვეა მწერლის კომენტარი: „ახლა სულ ერთი იყო იმისთვის, ესე პერანგაც რომ გამოეტენათ შუა ზალაში და ეთრიათ, ამასაც გულ-გრილად უგრძნობლად გადაიტანდა“.

მწერლისეულ რემარკებში ყურადღებას იქცევს პერსონაჟთა ემოციურ-ფსიქოლოგიური განწყობის გამომხატველი ლექსიკა: გულსაკლავად წაჰკენესა, გულდაწყვეტით წამოიძახა, ამოკვნესით წამოიძახა, შებლშექმუხვნით დაეკითხა, მწარედ ჩაიქნია თავი, ხელის ჩაქნევით წამოიძახა...

შიო არაგვისპირელმა ქართულ მწერლობაში ააღორძინა ნოველის ჟანრი ისეთი მხატვრული ფორმით, როგორიცაა ეტიუდი, ესკიზი, სურათი, წერილი, ამბავი, ლეგენდა...

მწერალი სათაურებს უმრავლეს შემთხვევაში ურთავს ქვესათაურებს, მიმანიშნებელს უანრისა თუ სიუჟეტის წყაროზე; სათაურს ყველაზე ხშირად ახლავს ქვესათაური „ეტიუდი“; ზოგჯერ მწერალი აკონკრეტებს ეტიუდის დანიშნულებას: ფსიქოლოგიური ეტიუდი, ფანტასტიური ეტიუდი, საშობაო ეტიუდი, საახალწლო ეტიუდი, სააღდგომო ეტიუდი...

ამასთანავე, მწერალი ქვესათაურებით მიგვითითებს ხოლმე ნაწარმოების სიუჟეტის წარმომავლობაზე: ნამდვილი ამბავი, გაგონილი ამბავი, ლეგენდარული ამბავი, ქიზიყელებზე ქართლში გაგონილი პატარა ამბავი, დიდუდას ნაამბობი, მხოლოდ ერთი კარი პაპა ფოცხვერას ნაამბობიდან, ქართული არაკი, ქართული თქმულება, ქართული გადმოცემა, ისტორიული ლეგენდა, საშობაო ლეგენდა, ცხოვრების ნამცეცი, ზღაპარი, სურათი სოფლის ცხოვრებიდან, სურათი სოფლის ცხოვრებისა, სურათები ყმაწვილების ცხოვრებისა...

ზოგი სათაური მიძღვნილია: ვუძღვნი დედას, ვუძღვნი ნათელას...

ამრიგად, შიო არაგვისპირელის მხატვრულ ქმნილებათა სათაურებშივე გაცხადდა მწერლის მიზანდასახულება, მკითხველი თავიდანვე შეიყვანოს ადამიანის ურთულეს სულიერ სამყაროში, რასაც აღწევს „სულ ასე შავად შეფერილი, სულ ასე სისხლით დაწერილი“ (ვახტანგ კოტეტიშვილი) სათაურების მძაფრი ექსპრესიულობით. სათაურების ამგვარი სახელდება არაგვისპირელების სტილის ნიშანდობლივი გამოხატულებაა.

## ლიტერატურა

შიო არაგვისპირელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I და ტ. II, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბ., 1947.

მიხეილ ზანდუკელი, „შიო არაგვისპირელი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1966.

ვახტანგ კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები, „შავი წიგნი“ (შიო არაგვისპირელის შემოქმედება), „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1967.

როსტომ ჩხეიძე, „მზე და მწუხრი“, გამომცემლობა „ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება“, თბ., 2008.

## ნიკო ლორთქიფანიძის პროზის ენობრივი მქსპრმსია

ნიკო ლორთქიფანიძე დინამიური თხრობის დიდოსტატია, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს მისი პროზაული ქმნილებების ენობრივი ექსპრესია; საამისოდ მწერალი მიმართავს ისეთ სტილურ საშუალებებს, როგორცაა: ფრაზისა და ძირეული სიტყვის დაბეჯითებითი გამოვლენა, რიტორიკული შეკითხვა და ჩაკითხვა, კითხვა-პასუხი, სხარტი დაილოგები, მოკლე მარტივი წინადადებები, სახელდებითი წინადადებები...

ასეთი სტილური მრავალფეროვნების ძალისხმევითა და თხზულებათა ორიგინალური კომპოზიციური ქარგით მიიღწევა უდიდესი ფსიქოლოგიური მუხტი.

ყურში ჩაგვესმის მწერლისეული გულმტკინეულად დაბეჯითებული მოძახილი — „მოუარეთ საქართველოს!“:

მყინვარი გამოსცემს ექოს — მოუარეთ საქართველოს!

ბაგრატის ტაძარი ღაღადებს — მოუარეთ საქართველოს!

რუსთაველი გემოდღვრავს — მოუარეთ საქართველოს!

რიონი, თერგი და მტკვარი გვევედრება — მოუარეთ

საქართველოს!

წვიმის თითოეული წვეთი შეგვახსენებს — მოუარეთ

საქართველოს!

(„ლიტერატურული საღამო“)

გამაფრთხილებლად გაისმის ტკივილიან სიტყვაზე აქცენტირებული მრავალგზის გამოვლენილი ფრაზა: საქართველო იყიდება... იყიდება საქართველო. იყიდება ყველგან. იყიდება ერთიანად. იყიდეთ ბარემ! („საშობაო-მინიატურები“).

მოთხრობაში „უილაქნოდ“ ერთ-ერთი თავის სათაურია „რატომ?“, ეს სიტყვა რეფრენად გასდევს ტექსტს როგორც რიტორიკული კითხვა-ჩაკითხვა ტანჯული ცხოვრების უკუღმართობის დასტურად: რატომ? რატომ? რატომ?

ნიკო ორთქიფანიძეს მინიატურა „ოჯახის“ ტექსტი ამავე სიტყვაზე აქცენტირებულ კითხვა-პასუხზე აუგია:

ვინ რთავს გზას ია-ვარდით, ვინ გვაშორებს ეკლსა და ქაცვს? — ოჯახი.

უანგაროთ ვინ გვცემს თაყვანს? — ოჯახი.

სად მოვისვენებთ დალლილ-დაქანცული? — ოჯახში.

დაუძლურებულს სად მოარჩენენ მოვლით? — ოჯახში.

ვინ დაგვეხმარება სევდის ატანაში? — ოჯახი.

ნიკო ორთქიფანიძისათვის ოჯახი „სიყვარულის, სათნოების, ღმობიერებისა და თავგანწირვის ტაძარია“. ამიტომაცაა, რომ შემთხვევით არ დაგვიბეჯითა ეს სიტყვა. მწერალმა შესანიშნავად იცის სიტყვის ფასი და სიღრმისეულად განჭვრეტს მასში ჩადებულ აზრს: „ნათქვამ სიტყვაში იმდენივე აზრია, რამდენიც წერტილია დაწერილ სიტყვის ასოებში. მთელი ლექსიკონი მკვდარ სიტყვებისა ვერ გადმოგვცემს საიდუმლო აზრს ყოველი სიტყვის გამოთქმაში ჩაფარულს“ („ტლანქი იგივე ნაზია“).

და ნიკო ორთქიფანიძეც ნიადაგ ეძიებს „საიდუმლო აზრს ყოველი სიტყვის გამოთქმაში ჩაფარულს“. ეძიებს და პოულობს კიდევ! მწერლისეული ენობრივი ექსპრესია მიღწეულია უაღრესად ლაკონური თხრობის სტილით; თითოეული სიტყვა დატვირთულია აზრობრივად, ფრაზა — დახვეწილი და მკაცრად ეკონომიური, სადაც ნაცვალსახელებსაც კი დიდი მომჭირნობით და მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში იყენებს:

„შევეცქერი და მეხარბება. ვაკვირდები და ვითმენ. მე თვით ვიწყებ წერას. დაწერილს ვხევ. დავდივარ. ვტოვებ ოთახს“ („საიდუმლო“).

სიტყვიერი ლაკონიზმითაა აღბეჭდილი დიალოგები:

„მოგწონვარ? — ძლიერ! გიყვარვარ? — გაგიუბით! გინდივარ? — ჟრუანტელით! შემირთავ? — არა! — უხეირო! („პანაშვიდი“).

ფრაზის ეკონომიის მიზნით მწერალი ხშირად მიმართავს სახელდებით წინადადებებს:

მეფის პორტრეტი: „დინჯი ნაბიჯი. დამაბრული სხეული. მიხრა-მოხრა მკვირცხლი. კილო მბრძანებელი. აზრი ფზიზელი“ („რანდები“).

იავარქმნილი საცხოვრისი: „დაბალი ჭერი. გაულაქავი იატაკი. ნაცრისფერი კედლები. მიულაგებელი მაგიდა...“ („უფერულობა“).

ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებათა ენობრივი ექსპრესია მი-  
იღწევა ფრაზის რიტმულობით: „სურათებს, ლექსებს პროზით მო-  
გართმევთ“, გვთავაზობს მწერალი და აკი გვაზიარა კიდევ პოეტურ  
პროზას!:

„სხვაგვარ მელანში ვაწებდი კალამს / და მაშინ ვწერდი  
ასეთ ექსპრომტებს, / ახლა კი მხოლოდ მენსიერება / გრძნობის  
მაგიერ მე მიკარნახებს... / დანჯრეულ მღერას ჰარმონიათ ქმნის; /  
ნოტიო ბნელეთს დედოფლის კოშკათ; / ტალღათა შორის გასცუ-  
რავს ნავი; / რაში მყინვარსა ჩვენ გადაგვაფერენს. / ღრუბელი მხო-  
ლოდ იმიტომ ჩნდება, / რომ მოტრფიალეთ არ დაჰკრას მხერა, /  
ქარი გუგუნებს, ჩვენი ფაჩუნი / რომ არ შებღალოს სხვის უხემ  
სმენამ“ („კახიშვილის რეველიდან“).

მოტანილი ტექსტის ათ მარცვლიანი სტრიქონები, რითმი და  
რიტმი დამახასიათებელია ნიკო ლორთქიფანიძის სიტყვიერებისა-  
თვის.

ზოგჯერ კი ნიკო ლორთქიფანიძეს პროზისეული ენობრივი  
რიტმი პოეტურ სრულყოფილებამდე აჰყავს ბგერითი ეფონიით:

„ტანჯულმა სულმა ტანჯულს ცხოვრებას / ტანჯვით მოულო  
ჩემს შტოზე ბოლო“ („აგაფისფერი ძეწნა“).

ის ფაქტი, რომ რუსთაველის თეატრში დადგმულ „პოეზიის  
საღამოზე“ ქართველი პოეტების ლექსებთან ერთად იკითხებოდა ნი-  
კო ლორთქიფანიძის მინიატურები, სწორედაც რომ მწერლისეული  
პოეტური პროზის აღიარება გახლდათ.

ამ მხრივ გამორჩეულია მინიატურა „ტრაგედია უგმირთ“.  
სადაც ერთი ადამიანის შემამრწუნებელი ტრაგედიით ნაჩვენებია  
მთელი საზოგადოების სავალალო ყოფა. ამ მინიატურაში გაცხადდა  
ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებით მრწამსი: „მწერალიც მხოლოდ  
ერთისთვის წერს, თავის გულის ნადებს აცხადებს, მრავალს კი  
ელაპარაკება. მწერალი თანაც ქურუმია, რომელიც დაღადაჰყოფს  
ათასთა მწუხარებას“ („პანაშვილი“).

„ტრაგედია უგმირთ“ მართლაც უგმირია იმ გაგებით, რომ  
მასში ერთეულ ადამიანთა ბედუკუდმართობა კი არაა ასახული,  
არამედ მწერალი „დაღადაჰყოფს ათასთა მწუხარებას“. ამიტომაცაა,  
რომ ნიკო ლორთქიფანიძე ამ მინიატურის არც ერთ პერსონაჟს სა-  
კუთარი სახელით არ იხსენიებს; ესენი არიან: თვითგადარჩენის მხე-  
ცური ინსტიქტით შეპყრობილი მამა, შიმშილით ღონემიხდილი ბავ-

შეები, გაბოროტებული მეზობელი, კეთილი ბებერი ნათლია... მწერალი ამითაც გვიჩვენებს, რომ საზოგადოების დამოკიდებულებაც არ არის ერთგვაროვანი და თითოეული მათგანი თავისი თვალთახედვით განსჯის ამ ტრაგედიას; ზოგისათვის „საცოდობა დატრიალდა“, ზოგი კი ბრაზობდა, იწყევლებოდა და თან დანანებით მოთქვამდა: „რაღა ჩემს ვენახში, ჩემი კარის უკან, ჩემი ბაწრით ჩამოიხრჩო თავი ამ ოჯახქორმა“-ო.

ნიკო ლორთქიფანიძის თხრობის სტილისათვის დამახასიათებელია უდიდესი ნდობა მკითხველისადმი, რომელსაც თანამოაზრედ მიიჩნევს და ფართო ასპარეზს უქმნის მის ფანტაზიას. მწერლის აზრით, „მკითხველს მეტი ადვილი უნდა დაეთმოს ფანტაზიისათვის, შემოქმედებისათვის... მწერალმა მარმარილო, ტილო, საერთო აზრი, ჩარჩო, ორი სამი ზაზი დაამზადოს, დამთავრება, დაბოლოება ნაწარმოებისა მკითხველის გემოვნებასა და სურვილს მიანდოს“ („უი-ალქორდ“). ამის დასტურად მივმართოთ ამ უგმირო ტრაგედიის ფინალს, სადაც მხეცადქვეული მამა, როცა გონს მოეგო, – ეს რა კქენიო, ამას დედა ხომ არ იზამდაო, „წამოიჭრა, ეზო გადირბინა. ვენახში მოხვდა. გაბმული ცხვარი სძოვდა. ახსნა. გავიდა ხეზე. დაჯდა. ბაწარი ხეს მაგრათ მოაბა, მარწყუი გამონასკვა მეორე ბოლოში, გასინჯა – კისერზე თუ მომიჭერსო და...“

აქ შეწყდა თხრობა, შეიკრა მინიატურის ჩარჩო და რკალი, მაგრამ მკითხველის წარმოსახვაში სახიერდება ეს შემზარავი ტრაგედია, რასაც უდიდესი ფსიქოლოგიური დატვირთვა ახლავს. ამ უმძიმეს ემოციურ მუხტს ვერ გადაურჩა ვერც მკითხველი და ვერც მსმენელი. ნიკო ლორთქიფანიძეს გათავისებული აქვს ენის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია – ექსპრესიულობა, როგორც ადამიანის სულიერი სამყაროს გამოხატვის მძლავრი საშუალება.

ვისაც კი მოუსმენია სერგო ზაქარიასძის მიერ რუსთაველის თეატრის სცენიდან წაკითხული „ტრაგედია უგმიროთ“, დამეთანხმება, რომ ეს საშინელი ტრაგედია კიდევ უფრო გაამძაფრა მსახიობის არტისტიზმმა, რომლის შთაბეჭდილებით შთაგონებულ ოთარ ჩხეიძეს ათქმევინა: „ამოიზარდა სახე იგი მონუმენტური, მონუმენტური და ტრაგიკული, შვილების გამწირველი მამისა, თვითონვე რო გამოუტანა უმკაცრესი განაჩენი საკუთარ თავსა და თვითონვე აღისრულა; ეს ისეთი ძლევაამოსილებაა, მხოლოდ ოიდიპოსმა რო შეძლო ცოდვილთა შორისა“ („ხატი ნიკო ლორთქიფანიძისა“).

და როცა ფინალში მსახიობის მომწესხველი ხმა და მინიატურის ბოლო ფრაზა შეწყდებოდა, მოკირებულ დარბაზში სამარისებური სიჩუმე დაისადგურებდა. ემოციური მუხტი კულმინაციას აღწევდა, ქანდაკადქეული მსახიობისა და ზარდაცემული მაყურებლის ცრემლი ერთმანეთს ერწყმოდა და... ჩვენს თვალწინ წამოიძარებოდა ნიკო ლორთქიფანიძე მთელი თავისი მწერლური და ადამიანური დიდებულებით, როგორც მკითხველისა და მსმენელის ფიქრთამპყრობელი: არც მიხვილ ჯავახიშვილისეული უხვსიტყვაობა, არც ბარნოვისა თუ კონსტანტინე გამსახურდიას პროზის არქაული სტილი, არც ორიგინალური სიტყვათქმნალობა თუ წინადადებათა არაბუნებრივი კონსტრუქციები... მაშ, რა ქმნის ამ სულისშემძვრელ ექსპრესიას? ამ კითხვაზე პასუხს გაგვიკემს თავად ნიკო ლორთქიფანიძის პროზის სიტყვიერება, რომელიც ალბეჭდილია თხრობის დინამიურობით, პოეტური რიტმითა და მძაფრი ენობრივი ექსპრესიით, რაც ესოდენ ხელშესახებს ხდის მწერლის განუმეორებელ თვითმყოფად ინდივიდუალურ მხატვრულ სტილს.

### ლიტერატურა

ნიკო ლორთქიფანიძე, სამტომეული, გამომცემლობა „პალიტრა“, თბ., 2012.

ნიკო ლორთქიფანიძე, „ტრაგედია უგმიროთ“, ჩვენი საუნჯე, 18, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ., 1961.

ბესარიონ ჯორბენაძე, ენა და კულტურა, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბ., 1997.

ოთარ ჩხეიძე, სატი ნიკო ლორთქიფანიძისა.

## „და“ კავშირის სინტაქსურ-სემანტიკური და ინტონაციური პარადიგმები

(დავით კლდიაშვილის პროზის ენის მიხედვით)

„და“ ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული კავშირია ქართულში. გამოკვლეულია „და“ კავშირის ხმარების სიხშირე სალიტერატურო ენისა და ფოლკლორული ტექსტების მიხედვით ქართული ენის ევოლუციის პროცესში (ნადარეიშვილი, 1970). სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძველ ქართულში „და“ კავშირის გამოყენების სიხშირე განპირობებულია საეკლესიო ენის სტილითა და, კერძოდ, ბიბლიის ენის გავლენით (ნადარეიშვილი, 1970, 506; დანელია, 1979, 90; სარჯველაძე, 1984, 166-169).

მართალია, „და“-ს ინტენსიურ გავრცელებაში ხელსაყრელი პირობები შეიქმნა უცხო ენოვანი ტექსტების თარგმანებით, მაგრამ არც ის ფაქტორი უნდა გამოვრიცხოთ, რომ ქართულ სასაუბრო და სალიტერატურო ენაშიც მას საკმაოდ ნოყიერი ნიადაგი დახვდა. ამიტომაცაა, რომ უაღრესად ფართოა „და“ კავშირი გავრცელების არეალი ახალ ქართულშიც, რაც ხელშესახებად დასტურდება დავით კლდიაშვილის თხზულებათა ტექსტებში.

ღირსსაცნობია „და“ კავშირს არა მხოლოდ გავრცელების არეალი, არამედ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მისი სინტაქსურ-სემანტიკური და ინტონაციური პარამეტრები; კერძოდ, „და“-ს ძირითადი ფუნქციაა წინადადების კომპონენტთა სინტაქსურ-სემანტიკური დაკავშირება; იგი უმთავრესად მეერთებელი კავშირია, იშვიათად — მაქვემდებარებელი, არც თუ იშვიათად — მიერთებითი. ამასთანავე, „და“-ზე აქცენტირდება რიტმული მახვილი, რაც განაპირობებს წინადადების რიტმულ-მელოდიკურ სტრუქტურას. ამ ფუნქციების გათვალისწინებით განვიხილავთ „და“ კავშირის სინტაქსურ-სემანტი-

კურ და ინტონაციურ პარამეტრებს დავით კლდიაშვილის პროზის  
ენის მიხედვით.

## „და“ კავშირი პარატაქსულ კონსტრუქციაში

დავით კლდიაშვილის მოთხრობების ენაში „თანამიმედვერულ  
მიზეზ-შედგობრივ ან პირობით-შედგობრივ მიმართებას გამოხატა-  
ვენ სპეციფიკური რიგის თანწყობილი წინადადებები (ზვიადაძე,  
2005, 162). „და“ როგორც მაგვეუფებელი კავშირი აერთებს პარა-  
ტაქსული კონსტრუქციის ისეთ კომპონენტებს, სადაც პირველ კომ-  
პონენტში მიზეზია დასახელებული, – მეორეში – შედეგი:

იგი გულმოდგინედ ურტყამდა თოხს მიწას და ოჯახში სრუ-  
ლი კმაყოფილება სუფევდა (ს. დ. 83).

მოვატყუეთ, მომატყუეს და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზევ  
კარზე მომადგება კიდეც (ს. მ. 82).

უჭირდა ოჯახის თავის გართმევა და შემწე ეჭირებოდა (ქ.  
გ. 171).

კომპონენტთა მიზეზ-შედგობრიობა კიდეც უფრო გამოკვეთი-  
ლია შესაბამის ზმნისართებზე „და“ კავშირის დართვით: ...და ამი-  
ტომ, ...და ამიტომაც, ...და ამის გამო, ...და სწორედ ამის გამო...

შაბათობით თამარაშენის სოფლის კანცელარიაში ირჩეოდა  
ხოლმე სოფლის საჩივრები და ამიტომ ამ დღეს აქ ყოველთვის სა-  
კმაოდ იყრიდა თავს ხალხი (ქ. გ. 184).

(ბავშვმა) ჯერ არც კი იცოდა, რამდენი უსიამოვნება მოიტანა  
მისმა გაჩანამ და ამიტომაც ასე ხალისიანად იცქირებოდა აქეთ-იქით  
(ს. დ. 154).

ბეკინა მეტად ჭარმაგი მოხუცებული იყო და ამის გამო საში-  
ში იყო (ს. დ. 84).

გამახალისებელი ვერაფერი დაინახა სონიამ და სწორედ ამის  
გამო მადაც დაკარგული ჰქონდა (ქ. გ. 251).

ზოგჯერ ფუნქციურად „და“ „ხოლო“-ს ეტოლება და მონაწი-  
ლეობს დაპირისპირებულ წინადადებათა კონსტრუქციაში (დიდიგური,

1973, 26). ასეთ შემთხვევაში „და“ ასრულებს მაპირისპირებული კავშირის ფუნქციას:

ქე გაატანენ იმ ქალს და მე დავრჩები პირდაღებული (ს. მ. 56).

შენ ქე გეცინება და მე დავრჩები პირდაღებული (ს. მ. 69).

კომპონენტთა ურთიერთ შეპირისპირების გასაძლიერებლად „და“-სთან გამოყენებული „კი“ კავშირი:

შენ სულ ასე იძახი და საქმით კი კაი ხანია, ვერაფერი დევინახეთ! (ს. მ. 55).

ქველიძე კარგი გვარის აზნაური იყო, წინათ მდიდარიც ჩვენს პირობაზე და დღეს კი შევიწროებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა (ქ. გ. 171).

კირილემ შეიყვანა ოთახში პლატონი და თვითონ კი დაბლა ეზოში ჩავიდა (ს. დ. 104).

ამგვარად, „და“ როგორც მაერთებელი კავშირი მონაწილეობს პარატაქსულ კონსტრუქციაში, რომლის კომპონენტებს ურთიერთთან აკავშირებს სტრუქტურულად და სემანტიკურად, სადაც „მეორე წინადადება წარმოადგენს დასკვნას გარკვეული მოვლენის შესახებ (გრიქუროვა, 1983, 11).

### **„და“ კავშირი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში**

ახალ ქართულში „და“ მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციითაც გვხვდება, რაც ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპისათვის არაა უცხო. „და“ კავშირის მაქვემდებარებელი ფუნქცია დადასტურებულია როგორც ძველ ქართულში (შანიძე, 1976, 146; ძიძიგური, 1973, 451; ერთელიშვილი, 1962, 109; სარჯველაძე, 1984, 166-160; დანელია, 1979, 93; კიზირია, 1969, 142; სერგია, 1977, 157...), ისე ქართველურ ენებსა (ახალაია, 1996, 147-153) და ზეპირ მეტყველებაში (კვანტალიანი, 1990, 105). ამ ენობრივ სივრცეში „და“-ს, როგორც მაქვემდებარებელ კავშირს, უმთავრესად „რომ“ კავშირის ფუნქცია აქვს.

„და“-ს გამოყენება მაქვემდებარებელ კავშირად დადასტურდა  
დავით კლდიაშვილის პროზის ენაშიც:

– ის ყმაწვილი ჩამოვა აქ და განახებთ (ქ. გ. 192).

\*ის ყმაწვილი აქ რომ (=როცა) ჩამოვა, განახებთ.

– რაზედ ფეხები არ მომტყდა და მაგას წამოყვები!

\* – რაზედ ფეხები არ მომტყდა, მაგას რომ (=როცა) წამო-  
ყვები!

– ბატონო, ერთი შენ ეს სიკეთე მიქენი და რამერიგად გავე-  
ტიო (ს. დ. 112).

\*ბატონო, ერთი ეს სიკეთე მიქენი, რომ (=რათა) რამერიგად  
გავეტიო.

ნიშანდობლივია, რომ „და“ მაქვემდებარებელ კავშირად უმთავ-  
რესად გამოიყენება პერსონაჟთა მეტყველებაში, რაც მისი ამ ფუნ-  
ქციის ზეპირი მეტყველებიდან მომდინარეობაზე მიგვანიშნებს.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში „და“ ხშირად ახლავს მაქ-  
ვემდებარებელ კავშირებს და ვილებთ ე. წ. გაწყვილებულ კავში-  
რებს: ...და რომ, ...და რადგანაც, ...და თუ, ...და როცა, ...და რა...  
ასეთ შემთხვევაში წინადადება შინაარსობლივად გამოხატავს მი-  
ზეზ-შედეგობრიობას, პირობით-შედეგობრიობასა და დროულ-შედე-  
გობრიობას.

„...და რომ“, „...და რადგანაც“ კავშირებიანი ქვეწყობილი წინა-  
დადება შინაარსის მიხედვით მიზეზ-შედეგობითია, სადაც მიზეზი  
დამოკიდებულშია გადმოცემული, შედეგი – მთავარში:

... და რომ:

ბ ა ვ შ ვ ი კ ა რ გ ა დ ი ყ ო და რომ წეიჩხუბნენ, მუორე  
დღესვე გახდა ის ბავშვი ავად (ქ. გ. 231).

– ღმერთი ყოველ კარგს შეგასწრებს და რომ  
მონღლომბდე, შენ ვ არ გავიჭირდება (ქ. გ. 179).

ს ა ხ ლ შ ი მ ა ქ ქ ს დაბარებულ ი, უსათუოდ ამოვალ  
ამალამ-თქვა, და რომ არ ამოვიდე, ჯაერთი მოკვდებიან (ს. მ. 54).

პ ლ ა ტ ო ნ მ ა მ ო ხ ს ნ ა ბ რ ო წ ე უ ლ თ ა ნ მ ი ბ მ უ ლ ი  
თ ა ვ ი ს ი ძ ა ლ ზ ე გ ა მ ხ დ ა რ ი ც ხ ე ნ ი, შეჯდა ზედ და რომ  
ცხენის სიძაბუნე არ შეენიშვინებინა, ორიოდე წკებლა ვადაკრა  
(ს. მ. 54).

...და რადგანაც:

ეკვირინეს ღრმად სწამდა თავისი ჩამომავლობის უპირატესობა და რადგანაც არ უნდოდა მოეშალა ოჯახის ჩვეულება, არჩევანი მიიტანა თავის მეზობელ აზნაურ ქველიძის ქალიშვილზე (ქ. გ. 171).

მხიარულად მიეგება მას პორფირი და რადგანაც ოტის სახეზე მხიარული ღიმილის თამაში შეამჩნია, მხარზე ხელი დაარტყა (ქ. გ. 201).

„... და თუ“ კავშირიანი ქვეწყობილი წინადადება შინაარსის მიხედვით პირობით-შედევობითია, სადაც პირობა დამოკიდებულშია გადმოცემული, ხოლო შედეგი – მთავარი:

ქალსაც ვაჩვენებ და თუ მოეწონება, დანიშნულს გამოვიგზავნი (ქ. გ. 180).

ჩინებული მაშვალცი ვიქნებოდი და თუ, ვინცობაა, ვექილობამ მისუსტა, უსათუოდ მაშვლად ვივლი (ქ. გ. 194).

ისინი ყოველთვის ჯგუფად მოდიოდნენ ხოლმე და თუ ერთი მათგანი მუქარებს დაუწყებდა რომელიმე გლეხს, დანარჩენებიც ამას მხარს აძლევდნენ (ქ. გ. 184).

– მე ვერ ვიტყვი მაგას, და თუ ვისმე პირით შოუთვლით, ნება შენია! (ს. მ. 62).

„...და როცა“, „და რა“ კავშირებიან ქვეწყობილ წინადადებაში გადმოცემულია დროითი თანამიმდევრობა: დამოკიდებული გვიჩვენებს მოქმედების შესრულების დროს, მთავარი კი ამ დროში შესრულებული მოქმედების შედეგს:

...და როცა:

ნელ-ნელა ადგილებიც გაიყიდა და როცა უკანასკნელი ქონება ბანკს გააყიდვინა, მშრალზე დარჩენილმა სარდინმა მხოლოდ მაშინ წამოცქვიტა ყურები (ქ. გ. 235).

ამ სიცილით ბოლომდის ჩაიარა ეკვირინემ და როცა მიაღწა ღობეს ვენახის ბოლოში, ვაღმა გაახტა (ქ. გ. 214).

ეკვირინემ პირველ დანახვისთანავე შეატყო ქმარს აღელვება და, როცა გაიგო, როგორ იყო საქმე, საყვედურით უთხრა (ს. მ. 68).

...და რა:

სწორედ ამავე დროს აივანზე გამოვიდა ახალუხის ამარა ბეკინაც და რა დაინახა მიმავალი შვილი, გადაიხარხარა (ს. დ. 92).

ოტიამ ასწია თავი და რა დაინახა ცხენოსანი, უცბათ გაავლო ხელიდან ნაჯახი (ქ. გ. 173).

ქალი მიაჩერდა მას და რა იცნო თავისი ძმა პლატონი, უცბად ჩამოსვა მიწაზე ბავშვი (ს. დ. 97).

როგორც ვხედავთ, ყველა ზემორე ჰიპოტაქსური კონსტრუქციის მთავარ წინადადებაში შინაარსობლივად შედეგია დაფიქსირებული, ხოლო დამოკიდებულში — მიზეზი, პირობითობა ან დროულობა; ასეთი სახის ქვეწყობილი წინადადებები შინაარსით არის მიზეზ-შედეგობითი, პირობით-შედეგობითი და დროით-შედეგობითი.

სემანტიკურ ფაქტორთან ერთად ფრიად საინტერესოა დასახელებულ წინადადებათა სინტაქსური კონსტრუქცია, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში მიჩნეული შერეული სახის ანუ ზერთული წინადადების ერთ-ერთ სახედ (კვაჭაძე, 1996, 481), თუმცა ყურადღება არ არის გამახვილებული კომპონენტთა ურთიერთმიმართების სინტაქსურ-სემანტიკურ და ინტონაციურ ფაქტორზე, რაზედაც გთავაზობთ ჩვენეულ ინტერპრეტაციას: სტრუქტურულად ასეთი სახის ე. წ. ზერთული წინადადება შედგება „და“-თი დაკავშირებული და თანწყობის საფუძველზე გაერთიანებული კომპონენტებისაგან — მთავარი წინადადების შედარებით დამოუკიდებელი ნაწილისა და ქვეწყობილი კომპონენტისაგან; სწორედ ამ უკანასკნელის მთავარს ახლავს დამოკიდებული, რომელიც, როგორც წესი, წინ უძღვის მას და განმარტავს ამ კომპონენტით გამოხატული მოქმედების მიზეზს, პირობითობას ან დროულობას.

ირკვევა, რომ ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ამ მოდელს სინტაქსურ-სემანტიკურთან ერთად ქმნის ინტონაციური ფაქტორი; სწორედ ამ ფაქტორთა ერთობლიობა განაპირობებს დასახელებული კონსტრუქციის წინადადებათა სტრუქტურულ მთლიანობას, რამიც გამორჩეულია „და“ კავშირის ფუნქცია.

## „და“ კავშირის ადგილი და ფუნქცია წინადადების ინტონაციურ სტრუქტურაში

წინადადება მრავალასპექტიანი ენობრივი ერთეულია, რომლის სტრუქტურულ მთლიანობას განაპირობებს როგორც სინტაქსურ-სემანტიკური, ისე ინტონაციური ფაქტორები (დავითიანი, 1973, 90). ამ მხრივ ინტონაციის მნიშვნელოვან ფუნქციაზე მიგვიითიბებს მისი უნარი, რითაც „მას არა მარტო გამოხატვის ფუნქცია აქვს დაკისრებული, არამედ თავისი შინაარსიც აქვს, როგორც წინადადების სტრუქტურის აუცილებელ კომპონენტს“ (უღენტი, 1963, 78). ამიტომაც სავსებით მართებულია დებულება, რომ „არ არსებობს ენა ინტონაციის გარეშე, ისე როგორც არ არსებობს ინტონაცია კონკრეტული ლექსიკური და სინტაქსური წყობის გარეშე“ (უღენტი, 1963, 18).

მართალია, წინადადების ინტონაციის აქცენტუაციური ბირთვი შემასმენელია, მაგრამ ამ მხრივ საკმაოდ დიდი დატვირთვა აქვს საკავშირებელ საშუალებებს, რომელთაგან გამორჩეულია „და“ კავშირის ადგილი და ფუნქცია წინადადების ინტონაციურ სტრუქტურაში.

ინტონაციური აქცენტუაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია „და“ კავშირიან კომპონენტთა სინტაქსურ-სემანტიკური ურთიერთობების დადგენაში. ამ შემთხვევაში „და“ რიტმული მახვილის ფუნქციასაც ითავსებს და განაპირობებს წინადადების რიტმულ-მელოდიკურ სტრუქტურას.

პარატაქსულ კონსტრუქციაში „და“ ინტონაციურად ხან პირველი კომპონენტის ენკლიტიკური კავშირ-ნაწილაკია, ხანაც მეორის პროკლიტიკური, რაც შემასმენლის ადგილითაცაა განაპირობებული; კერძოდ, როდესაც შემასმენელი პირველი კომპონენტის თავშია, მაშინ „და“ ინტონაციურად ამ კომპონენტის ენკლიტიკური ელემენტია:

უჭირდა ოჯახისათვის თავის გართმევა < და შემწე ეჭირვებოდა (ქ. გ. 171).

მოვატყუეთ, მომატყუეს < და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზევ კარზე მომადგება კიდეც (ს. მ. 82).

ხოლო როდესაც პირველ კომპონენტს არ იწყებს შემასმენელი, მაშინ „და“ მომდევნო კომპონენტის პროკლიტიკური ელემენტია:

იგი გულმოდგინედ ურტყამდა თოხს მიწას > და ოჯახში სრული კმაყოფილება სუფევდა (ს. დ. 83).

კიდევ უფრო გამოკვეთილია „და“-ს ინტონაციური პროკლიტიკურობა, როდესაც მეორე შემასმენლით გამოხატული მოქმედება გაძლიერებულია სათანადო ზმნისართებით:

გამახარებელი ვერაფერი დაინახა სონიამ და > სწორედ ამის გამო მაღაც დაკარგული ჰქონდა (ს. დ. 840).

შბათობით თამარაშენის სოფლის კანცელარიაში ირჩეოდა ხოლმე სოფლის საჩივრები და > ამიტომ ამ დღეს აქ საკმაოდ იყრიდა თავს ხალხი (ქ. გ. 184).

აღნიშნულ შემთხვევებში „და“ მტკიცებითი, დადასტურებითი ნაწილაკის ფუნქციასაც ითავსებს.

ასეთსავე მიდრეკილებას ამჟღავნებს „და“ ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ისეთ ინტონაციურ სტრუქტურაში, სადაც იგი პროკლიტიკურად ეკედლება მაქვემდებარებელ კავშირს და მტკიცებითი ელფერით მოსავს დამოკიდებული წინადადებით გამოხატული მოქმედების შინაარსს:

ღმერთი ყოველ კარგს შეგასწრებს და > რომ მოინდომებდე, შენ ეგ არ გაგიჭირდება (ქ. გ. 179).

ნელ-ნელა ადგილებიც გაიყიდა და > როცა უკანასკნელი ქონება ბანკს გააყიდვინა, მშრალზე დარჩენილმა სარდიონმა მხოლოდ მაშინ წამოცქვიტა ყურები (ქ. გ. 235).

ეკვორინეს ღრმად სწამდა ჩამომავლობის უპირატესობა და > რადგანაც არ უნდოდა მოეშალა ოჯახის ჩვეულება, არჩევანი მიიტანა თავის მეზობელ აზნაურ სარდიონ ქველიძის ქალიშვილზე (ქ. გ. 171).

— მე ვერ ვიტყვი და > თუ ვისმე პირით შოუთვლით, ნება შენია! (ს. მ. 62).

წინადადების ამ მოდელს სინტაქსურ-სემანტიკურთან ერთად ქმნის ინტონაციური ფაქტორი; სწორედ ამ ფაქტორთა ერთობლიობა განაპირობებს წინადადების სტრუქტურულ მთლიანობას.

## „ღა“ მიერთებითი კავშირის ფუნქციით

დავით კლდიაშვილის თხზულებათა ენაში „ღა“ ხშირად გვხვდება მიერთებითი კავშირის ფუნქციითაც. ასეთ შემთხვევაში „ღა“ წინადადების სტრუქტურული მთლიანობის შემადგენელი ელემენტი კი არ არის, არამედ „მისი მეოხებით მიერთებული ელემენტი წარმოადგენს თითქოსდა დამატებით მსჯელობას წინა ნაწილში აღნიშნულის მიმართ“ (სერგია, 1997, 152). საერთოდაც, „მიერთებითი ფუნქცია არსებითად განსხვავდება მაჯგუფებელი, მაპირისპირებელი, მაცალკევებელი და მაქვემდებარებელი ფუნქციებისაგან. ამ უკანასკნელთა შესაბამისი კავშირები თავიანთ ფუნქციებს არსრულებენ წინადადების შიგნით, წერტილებამდე. მიერთებითი კავშირები კი ფუნქციონირებას იწყებენ დასრულებული დამოუკიდებელი წინადადების თუ მეტატექსტების გასაყარზე, რათა მიუერთონ ისინი წინამავალ ასეთსავე სამეტყველო ერთეულებს და ამით შექმნან ლოგიკურ ურთიერთკავშირში მყოფ ამ წინადადებათა თუ მეტატექსტთა სპეციფიკური თანამიმდევრობა – ტექსტი“ (სერგია, 1997, 154).

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, „ღა“-ს ინტენსიური ხმარება და მიერთებითი კავშირის ფუნქციით მისი გამოყენება დასტურდება ძველი ქართულის არა მხოლოდ თარგმანებში, არამედ ორიგინალურ ნაწარმოებებშიც... ეს განსაკუთრებით ცნაურდება თხრობის დიდი პერიოდების აბზაცების დასაწყისში (დანელია, 1979, 96).

„ღა“ კავშირის მიერთებითი ფუნქცია ახალი ქართულისთვისაცაა დამახასიათებელი; ამ მხრივ უხვ მასალას იძლევა დავით კლდიაშვილის ნაწარმოებების ტექსტი; „ღა“-თი მიერთებული ტექსტის მონაკვეთით მწერალი გვაწვდის დამატებით ინფორმაციას წინმსწრები სიტუაციის ნათელსაყოფად და აკეთებს შესაბამის დასკვნას.

საილუსტრაციოდ გამოდგება არისტოსა და სალომეს ვრცელი დიალოგი, რომელიც ეხება ორნაქმარევი და უშვილო საცოლის წარმატებით შერჩევას, რასაც მოსდევს მიერთებითი „ღა“ კავშირით დაწყებული აბზაცი მწრელისეული შემაჯამებელი დანასკვნით: „ღა კმაყოფილი არისტო ოთახიდან უცბად გამოვარდა და მარტო დატოვა გაოცებული სალომე“ (სამანიშვილის დედინაცვალი“).

ანდა:

როცა მელანომ ქმარს გაანდო „თავზარდამცემი, გულის ამრევი, ჭკუაზე შემშლელი“ ეჭვი ელენეს დაორსულების შესახებ, გულდამდულრული პლატონი ფიქრს მიეცა: „— აჰ, რავა შეიძლება?! ვინა თქვა, ვის გაუგონია, ამგვარი ამბავი მომხდარიყვეს?! ორნაქმარევს, უშილოს, ამ სიკვდილის წინ შვილი მიეცეს?!“

ამ დაძაბულ „ჭკუაზე შემშლელ“ სიტუაციას აჯამებს „და“-თი დაწყებული მწერლისეული კომენტარი, სადაც „და“ მიერთებითი კავშირია: „და პლატონი ამშვიდებდა, აწყნარებდა თავის გულს, ცდილობდა, რომ სისხლი თავში არ ავარდნოდა, ტვინი მოესვენებინა („სამანიშვილის დედინაცვალი“).

„და“-ს მიერთებითი ფუნქცია განსაკუთრებით ხელშესახებადაა გამოკვეთილი მწერლისეულ რემარკებში; ცნობილია, რომ დავით კლდიაშვილი პერსონაჟთა დიალოგების უბაღლო ოსტატია; მის ნაწარმოებთა პერსონაჟებისათვის კი დამახასიათებელია რიტორიკული მეტყველება, რასაც, ბუნებრივია, თან ახლავს მძაფრი ექსპრესია. ასეთი მოდალობის რეპლიკებს „და“-ს მეოხებით მიერთვის მწერლისეული რემარკები, სადაც კომენტირებული და შეფასებულია პერსონაჟთა ნათქვამ-ნამოქმედარი:

— ახლა კი მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — და მეტად გაწიწმტებულმა სოლომონმა ქუდსა და ყაბალასს წამოავლო ხელი (ს. მ. 65). ისევ ტირილი დაიწყო (ქ. გ. 228).

— ცივ ჭადზე ვაგდივართ, ჩემო შვილო! — და ევროსინემ ისევ ტირილი დაიწყო (ქ. გ. 228).

— დიდხანს ჰყავდა უცნობელს? — თხუთმეტი წელიწადი!... — და არისტოს გაეცინა (ს. დ. 125).

მოქმედების ექსპრესიულობას კიდევ უფრო ამძაფრებს პერსონაჟის ენსტ-მიმიკა, რომელსაც ოსტატურად გვიხატავს მწერალი მიერთებით წინადადებაში:

— ჰმ!... გააქნია მან თავი ღიმილით, ჰმ!... — და ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა: — უკაცრავად ვარ, ბატონო, მე უნდა მენახეთ, მომელოცნა, მარა... — და მან მხრები აიშმუშნა, წარბები ზევით ასწია, მარჯვენა ხელი გაშალა და ისევ ჩაჩუმდა (ქ. გ. 226).

– არა, შვილო, მაგი სულ ტყვილია!... რაში შემატყვე დაძაბუნება!... კმ!... და ბეკინამ მარჯვენა ხელით შეიბერტყა თავისი გრძელი შეჭაღარაკებული წვერი (ს. დ. 86).

– მაშ ეს სიზმარი იყო?! – და პლატონმა შუბლზე ხელი გადაისვა და მერე პირჯვარიც გადაისახა (ს. დ. 147).

– უიმე... უიმე!... – და პირზე ხელი მიიფარა ელენემ (ს. დ. 138).

დასახელებულ ნიმუშებში „და“ მიერთებითი კავშირია, რომლითაც მწერლისეული რემარკები მიერთებულია პერსონაჟების რეკლიკებთან. ამ რემარკებით დავით კლდიაშვილი კოლორიტულად გვიხატავს სიტუაციას, გვაცნობს პერსონაჟთა გუნება-განწყობილებას, „თუ ვინ როგორ იქცევა, როგორ მოძრაობს, როგორი ემოციური ტონით ლაპარაკობს“ (კიკნაძე, 1957, 256); „ცოცხლად წარმოგვიდგება მოსაუბრეთა უბრალო მიმიკაც კი“ (ლეჟავა, 1970, 31). საამისოდ მარჯვედაა შერჩეული ავტორისეული ლექსკა:

ჯავრშემოყრილი, გაწიწმატებული, გულგახსნილი...

გრძნობით მიეგება, თავმომწონედ გადახედა, გულიანად გადაიხარხარა...

თავი გააქნია, მხრები აიშმუშნა, წარბები ზვეით ასწია, შუბლზე ხელი გადაისვა, პირზე ხელი მიიფარა...

პერსონაჟთა რეკლიკებზე „და“-თი მიერთებულ მწერლისეულ რემარკებში ხშირად გამოტოვებულია, თუიმცა იგულისხმება, ე. წ. „მეტყველების წრის“ ზმნა-შემასმენლები: უთხრა, მიუგო, უპასუხა..., რომლებიც „თქმის“ სემანტიკის ჯგუფს განეკუთვნებიან და კონტექსტით ადვილად აღსადგენია (სუხიშვილი, 1999, 76).

დავით კლდიაშვილი იმდენად დიდოსტატურად გვიხატავს სიტუაციას, პერსონაჟთა ფსიქოლოგიას და შესატყვის დიალოგებს, რომ ასეთ კონტექსტში მწერლისეული რემარკები უამზმნებოდაც ზუსტად თანხვდება აღწერილ მოქმედებას.

ამრიგად, დავით კლდიაშვილის პროზის ენაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ საკმაოდ ვრცელია „და“ კავშირის სინტაქსურ-სემანტიკური და ინტონაციური პარადიგმები.

**სინტაქსურად** იგი უმთავრესად მკერთებელი კავშირია (მაჯგუფებელი და მაპირისპირებელი), იშვიათად — მაქვემდებარებელი, არც თუ იშვიათად მიერთებითი კავშირის ფუნქციასაც ტვირთულბს.

**სემანტიკურად**, როგორც პარატაქსულ, ისე ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში, „და“-თი დაკავშირებულ კომპონენტთან წინამავალი გვიჩვენებს მიზეზს, პირობითობას ან დროულობას, ხოლო მომდევნო — შედეგს. ყველა ასეთ შემთხვევაში წინადადების სემანტიკა შედეგზეა ორიენტირებული და წარმოადგენს დასკვნას წინმსწრები მოკლენის შესახებ.

ამასთანავე, პერსონაჟთა მრავალმხრივი მოდალობის რეპლიკებს „და“-ს მეშვეობით მიერთვის ხოლმე მწერლისეული რემარკები, სადაც ასახულია პერსონაჟის ნათქვამ-ნამოქმედარის შეფასება; ასეთ კონტექსტში „და“ ასრულებს მიერთებითი კავშირის ფუნქციას.

**ინტონაციურად** გამორჩეულია „და“ კავშირის ადგილი და ფუნქცია წინადადების რიტმულ-მელოდიკურ სტრუქტურაში.

ასე რომ, დავით კლდიაშვილის თხზულებათა ტექსტის ლინგვისტური ანალიზით ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ „და“ კავშირიანი წინადადება მრავალასპექტიანი ენობრივი ერთეულია, რომლის სტრუქტურულ მთლიანობას განაპირობებს როგორც სინტაქსურ-სემანტიკური, ისე ინტონაციური ფაქტორები.

### ლიტერატურა

**შ. აფრიდონიძე**, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1986.

**გ. ახალაია**, და კავშირი და რთული ქვეწყობილი წინადადება ქართველურ ენებში, საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996.

**დ. გრიჭუროვა**, თანწყობილ წინადადებაში შემავალი კომპონენტების სემანტიკური აღწერა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1983.

- ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1973.
- ბ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, თბ., 1979.
- გ. დანელია, ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საკითხები, თსუ გამომცემლობა, თბ., 1983.
- დ. ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, თსუ გამომცემლობა, თბ., 1962.
- ე. ზვიადაძე, დავით კლდიაშვილის ენობრივი სტილის ზოგი საკითხი, ენათმეცნიერების საკითხები, 1-2, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2005.
- ვ. კვანტალიანი, კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1990.
- ზ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „რუბიკონი“, თბ., 1996.
- ა. კიზირია, რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1969.
- ბ. კიკნაძე, დავით კლდიაშვილის სტილი, მეტყველების კულტურის საკითხები, თსუ გამომცემლობა, თბ., 1957.
- გ. ლეჟავა, დავით კლდიაშვილის სტილის შესწავლისათვის, იკე, XXV, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1970.
- დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1975.
- ე. ნადარეიშვილი, „და“ კავშირის ხმარების სინშირე ქართული სალიტერატურო ენის ევოლუციის პროცესში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 57, №2, 1970.
- ვ. ჟღენტა, ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, გამომცემლობა „ცოდნა“, თბ., 1963.
- ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1984.
- ა. სერგია, ქართული ენის ტექსტის ლინგვისტიკა, თბ., 1997.

მ. სუხიშვილი, „მეტყველების სემანტიკის“ გარდამავალ ზმნათა სინტაქსისათვის, ენათმეცნიერების საკითხები, I, თბ., 1999.

ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა ქუთაისის „სტამბა“, ქუთაისი, 1996.

ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თსუ გამომცემლობა, თბ., 1976.

შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თსუ გამომცემლობა, თბ. 1973.

### საანალიზო ტექსტები

დავით კლდიაშვილი, „სოლომონ მორბელაძე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქამუშაძის გაჭირვება“; კრებული: „ჩვენი საუნჯე“, ტ. 14, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ., 1961.

## რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“

რაფიელ ერისთავის ლექსი „სამშობლო ხევსურისა“ ქართული პოეზიის მშვენიერებაა. მოხდა ბედნიერი თანხვედრა: ერთმანეთს შეერწყა და გაიგივდა პოეტისა და ლექსის სახელი. იშვიათად მოიძებნება ლექსი, რომელსაც ხალხში ესოდენ საყოველთაო პოპულარობა მოუპოვებინოს; მასში სამშობლოს სიყვარული ღვთაებრივ გრძნობამდე აყვანილი:

„სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,  
ორივ ტებილია, ძმობილო, მირჩვენის ორსავ თვალზედა,  
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“...

ამ კონტექსტში „სამშობლო“ და „ქვეყანა“ ფართო მნიშვნელობისაა: სამშობლო არის მშობლიური ქვეყანა, ხოლო ქვეყანა მთელი მსოფლიოა, მთელი სამყაროა, როგორც ვნახავთ, ყველა სხვა შემთხვევაში სამშობლო და ქვეყანა ვიწრო, ლოკალური შინაარსისაა.

ლექსს ლაიტმოტივად გასდევს ხევსურის ფიციტ ნათქვამი სიტყვები:

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,  
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.

საჭიროა დავაკონკრეტოთ, რას გულისხმობს ლექსის გმირი „ჩემს სამშობლოში“ და „სხვა ქვეყანაში“, რომელთა ურთიერთშეპირისპირებაზეა აგებული მთელი ტექსტი.

თუ რა მიაჩნია ხევსურს თავის სამშობლოდ, ამაზე თვითონვე გვპასუხობს:

„სადაც ვმოხილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,  
სად მამა-პაპა მეგულების, იმათი კუბოს ფიცარი,  
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, ჩემი სამშობლო ის არის“.

ხევსურის სამშობლო არის ის ადგილი, სადაც აღმართულია თოვლიან-ყინულიანი საღი კლდეები, საიდანაც ჩანჩქერები გადმოქუსს; იქ ორბი ბუდობს, ჯიხვი და არჩვი ნავარდობს.

„მე მირჩევნია შავი კლდე, თოვლიან-ყინულიანი,  
ორბი რომ ბუღობს, ჩანჩქერით გადმოჰქუხს ბროლი წყლიანი.  
ჯიხვი და არჩვი მეყოფა, ხორცი აქვს მარილიანი“.

ლექსის პერსონაჟი ხევისურისათვის სამშობლო არის მთა, ხოლო ბარი მისთვის „სხვა ქვეყანაა“; მთაში – „თავის სამშობლოში“ სიკვდილი ურჩევნია, ბარში – „სხვა ქვეყანაში“ სიცოცხლეს.

„ბარად რომ ვიყო ლაღადა, სული მთისკენვე იხარის,  
სალი კლდე ანდამატივით გულს სულ იქითკენ იხარის,  
იქ მიჯობს შავი სიკვდილი, ბარში სიცოცხლე იმწარის“.

სალი კლდეების შვილს ბარში ვერაფრით ჩამოიტყუებ:

„ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია,  
სასახლე ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია,  
არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია“.

ამ პოეტური შედეგის არქიტექტონიკაც ისეთია, რომ ხუთსტროფიანი ლექსის თვითეულ სტროფს ახლავს რეფრენი – „არ გავცვლი საღსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“, რითაც მიღწეულია „ჩემი სამშობლოს“ და „სხვა ქვეყნის“ ცნებათა ურთიერთშეპირისპირების ეფექტი.

„ჩემი სამშობლო“ არის მთა, ხოლო „სხვა ქვეყანა“ – ბარი.

მსგავსი მნიშვნელობა დასტურდება რაფიელ ერისთავის სხვა ლექსშიც („მეცხვარე თრიალეთზედა“), სადაც გადმოცემულია ბარიდან მთაში ასული მეცხვარის განცდები:

„ცხორი ავდენე შირაქით  
თრიალეთისა მთაზედა,  
მეც მოქანცული, მოღლილი,  
ჩამოვჯექ ჩემსა ქვაზედა,  
თვალ გადავავლე მინდერებსა,  
თვალ არ გადასწვდა განზედა,  
ტურფად სჩანს აქით მთა-ველი  
უკეთ სხვა ქვეყანაზედა“.

მიხეილ ჯავახიშვილი და ქართული  
სალიტერატურო ენა

მწერალი და სალიტერატურო ენა მიხეილ  
ჯავახიშვილის თვალთახედვით

„ენა მწერლის ბალავარია“  
(მ. ჯავახიშვილი)

მიხეილ ჯავახიშვილი მტკიცედ იდგა ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის სადარაჯოზე და განუხრელად იღწვოდა მისი განვითარებისა და სრულყოფისათვის. მწერლის პროზის ენაც ხომ ახალი სალიტერატურო ქართულის საუცხოო ნიმუშია.

უაღრესად საყურადღებოა მიხეილ ჯავახიშვილის თეორიული შეხედულებები ქართული ენის საჭირობოლოტო საკითხებზე. ამ მხრივ გამოირჩევა მისი სტატიები: „ქართული ენა“, „ქართული წიგნი და ქართველი მწერალი“, „ისევ ქართული ენის შესახებ“, „არც გამარტივება, არც გართულება“, „ლიტერატურული განცხადება“, „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“, „როგორ ვმუშაობ“, რომლებიც თავმოყრილია მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებათა კრებული VI ტომში (1964).

ამჯერად შევხებით მიხეილ ჯავახიშვილის თვალსაზრისს, თუ რა როლი აკისრია მწერალს სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვასა და განვითარებაში, გამდიდრებასა და სრულყოფაში.

მიხეილ ჯავახიშვილის მრწამსით, „ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღია. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავს, გენიოსიც რომ იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიმკრება“ (393).

მწერალი წუხს, რომ მისი თანამედროვე ქართველი მწერლების ენა მეტად ღარიბია: „დღევანდელი ჩვენი მწერლობის კარგ დამკვირვებელს შემჩნეული ექნება ის სიტყვათა სიცოტავე, რომელიც საშინელ დაღს ასვამს ყოველი მწერლის შემოქმედებას“ – და იქვე

ულმობელი განაჩენი გამოაქვს: „ქართველმა მწერალმა არ იცის ქართული ენა“ (280).

ქართულ ენას შველა სჭირდება „და ამ საქმის პირველი მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყოს“ (231), და როცა დაიწყო ლაშქრობა ენის სიწმინდისათვის, „ილია ჭავჭავაძეს ერგო ამ ლაშქრის წინამძღოლობა“ (318).

მიხეილ ჯავახიშვილს სანიმუშოდ და საამაყოდ მიაჩნია ილია ჭავჭავაძისა და მის თანამებრძოლთა ღვაწლი:

„ჭავჭავაძეც საგურამოელ კამეჩივით გამძლე გამოდგა... რა თქმა უნდა, წინამძღოლი ილია მარტო არ იყო. მას გვერდით და ფეხდაფეხ მისდევენ ყოფიანები – დიმიტრი, დავით და მიხეილ (სპირიდონ ჩიტორელიძე), გიორგი ერისთავი, ანტონოვი, არდაზიანი, რჩეულიშვილი და თანდათან ემატებიან აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი, ვაჟა-ფშაველა, ლომოური, ყოფშიძე, მგალობლიშვილი და მრავალი სხვაც“ (320).

მისი შეფასებით, „ამ თაობას... ენის დაწმენდის მეტი რომ არაფერი გაეკეთებინათ, მარტო ამისათვის ღირსი იქნებოდნენ განუზომელ მადლობისა და უკვდავების ძეგლისა“ (320).

მიხეილ ჯავახიშვილის თვალსაზრისით, როგორც ენაა მწერლის ბალავარი, ისე „მწერლისათვის მდიდარი ლექსიკა, თუ რა თქმა უნდა, დანარჩენიც იქნება, ნამდვილი ბალავარია“ (337).

ეს ბალავარი, განძი და მადანი კი ხალხშია დაუნჯებული:

„აქ ათასობით აწყვია ლიტერატორისათვის უცნობი სიტყვა – ჯერაც ცოცხალი და მფეთქავი და ეს უპატრონო და მთვლემარე სიტყვებიც საუკუნობით ისევე ელიან მწერალსა და მეცნიერს, როგორც მიწის გულში ჩამარხული მადანი ელის მუშის წერაქვსა და დინამიტს... ყოველივე ნავლწაყრილია და მხოლოდ შემოქმედს ელის. წავიდეს სიტყვის მამიებელი და ამ დაულეველ მადანს დასწვდეს.“

დასწვდეს, მაგრამ დიდი სიფრთხილით უნდა გადაარჩიოს, რადგან ერთ ოქროს ხუთი ყალბი მოსდევს“ (333).

სწორედ ამ „ნავლწაყრილი“, „უპატრონო და მთვლემარე“ სიტყვებით უნდა გავამდიდროთ მშობლიური ენა: „ზოგი სიტყვა კვდება, ზოგი იბადება, ზოგიც თითქოს ისვენებს და შემდეგ ხელახლა ბრუნდება. ჩვენს მათი გაცოცხლებისა და შენარჩუნების გზას უნდა გავყვეთ და ფრთხილად გავამდიდროთ ჩვენი ენა ხალხურითა და ზოგიერთა მივიწყებულ სიტყვებით“ (294).

რადგან „ხალხური ენა მუდამ უფრო მოქნილია, მსუქანი, კონკრეტული, სისხლით სავსე და ფერადოვანი“ (336), ამიტომაც „ლექსიკის მუდმივი გამდიდრება და თავდაპირველად სასაუბრო ქართული ენის შესწავლა ის საძირკველია, ურომლისოდაც ვერავითარი სალიტერატურო ძეგლი ვერ შეიქმნის“ (392). ამასთანავე, ხალხური ენიდან მომდინარე „შენაკადები უნდა ჰხვდებოდეს მთავარ მდინარესთან, რომელსაც სამწერლო ენა ჰქვია“ (280).

მიხეილ ჯავახიშვილი აქაც სიფრთხილისაკენ მოუწოდებს მწერლებს: მწერალმა „უნდა გაწმინდოს ერთიანი და სუფთა ლიტერატურული ქართული პროვინციალურ კილოკავებისაგან, ხოლო მერე მზრით, საქართველოს ყოველი კუთხიდან ფრთხილად უნდა ამოკრიფოს უხვად გაბნეული და დღევანდელ მწერლობაში მივიწყებულ სიტყვები“ და იქვე სიამაყით აცხადებს: „ჩვენდა საბედნიეროდ, ნამდვილი ქართული ლიტერატურა და ხალხური სალაპარაკო ენა ღვიძლი ძმები არიან“ (294).

ყურადსაღებია მისი გაფრთხილება იმის თაობაზე, თუ რაოდენი ზომიერებაა საჭირო სალიტერატურო ქართულში კუთხური სიტყვების შემოტანისას. ასეთ შემთხვევაში „სად არის ზომსადარი?“ – კითხულობს მწერალი და თვითონვე პასუხობს: „უტყუარი, მათემატიკური ზომსადარი არ არსებობს. მხატვრული ალლო და ენის ცოდნა – აი ერთადერთი საზომიც და იარაღიც სალიტერატურო ქართულის დაწმენდისა და გამდიდრებისათვის“ (336).

მართალია, „ქართული ენის დაწმენდისა და გამდიდრებისათვის“ მწერლობა ხალხური სასაუბრო ენის ლექსიკას მოუხმობს, მაგრამ მ. ჯავახიშვილის აზრით, არანაკლები მნიშვნელობისაა ენის სინტაქსი. მწერალი იზიარებს იოსებ ყიფშიძის დებულებას, რომლის მიხედვითაც „საქმე სიტყვები კი არ არის, საქმე სინტაქსია“ და

შეშფოთებულია, რადგან „დღევანდელი ქართულიც უმთავრესად სინტაქსურად მახინჯდება, ე. ი. იმსხვერვეა ენის ბუნება, სული და ხასიათი" (344).

ჯავახიშვილის შეხედულებით, იმდენად მძლავრია სინტაქსის გავლენა, რომ, როცა „XIX ს. პირველ ნახევარში... აიძვრა ქართული სინტაქსი", ამ ფაქტორმა ზეგავლენა მოახდინა სასაუბრო ენაზე და „მოქნილი, გამჭვირვალე სასაუბრო ენა გააყინა" (339).

მიხეილ ჯავახიშვილი ქართული ენის სინტაქსურ წყობას თვალს გადაევნებს იაკობ ხუცესიდან მოყოლებული მის თანადროულობამდე, აანალიზებს სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთა სტილს და ვინაიდან, მისი მართებული აზრით, სტილს უმთავრესად სინტაქსი ქმნის, აღიარებს, რომ „ჭაკვაკვადისა და წერეთლის სინტაქსი რკინისგან არის გამოჭედილი" (371). სამაგიეროდ, ბარნოვის ენის სინტაქსი და სტილი ყურსა სჭრისო. მას შეუწყნარებლად მიაჩნია ვასილ ბარნოვისეული სიტყვათა წყობა: „კაცი მოდის მაღალი", „სახლები ღრუბლებს ეთამაშებიან მაღალნი" (347).

მიხეილ ჯავახიშვილი დაასკვნის: „სინტაქსი ენის გულია და თავდაპირველად მას სჭირია დაცვა და გაწმენდა" (349).

საბედნიეროდ, „გლეხი უმთავრესს – სინტაქსს მაინც წაურყენელად ინახავს" (365).

მიხეილ ჯავახიშვილი აჯამებს თავის ნააზრევს მწერლის როლისა და ფუნქციის შესახებ სალიტერატურო ენის დაცვა-გაწმენდა-განვითარებაში და მის უმთავრეს სასიცოცხლო ძარღვად მიიჩნევს ხალხურ სასაუბრო ენასა და დაწმენდილ სინტაქსს:

„საქმე სინტაქსია მეთქი და სასაუბრო, სათხრობელი ენის შექმნა, გამჭვირველობა, მუდმივობა, მკაფიობა, უბრალოება და სინათლე – აი სალიტერატურო ენის ძარღვიც და სიცოცხლეც. ასეთ ენას კი უმთავრესად ლიტერატორი ჰქმნის" (367).

როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე გვმოდვრავდა, მამულს, ენასა და სარწმუნოებას თუ არ გაუფრთხილდით, რა კაცები ვიქნებითო, ისე მიხეილ ჯავახიშვილი – „პირუთენელი და ბეჯითი მოსამსახურე ერისა" (298), – გვიანდერძებს: „მართო მწერალსა და მეცნიერს არ შეუძლიათ ენის შენახვა და გამდიდრება. ეს უღელი და

განძი მთელი ხალხის საზიდარია. ამიტომ ყოველი შეგნებული მოქალაქე მოვალეა თავის ენა კულტად გადაქციოს და მისი ცოდნა-შესწავლა უპირველეს ვალად გაიხადოს" (374).

### **მრავალგზისობის სემანტიკურ-ფუნქციური განდასება მიხეილ ჯავახიშვილის პროზის ენის მიხედვით**

სავესებით სამართლიანადაა მიჩნეული, რომ „მიხეილ ჯავახიშვილის ენის შესწავლა, მისი დამსახურების შეფასება ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში თანამედროვე ქართული ენათმეცნიერების ერთ-ერთი საპატიო ამოცანათაგანია" (სარჯველაძე, 1984, 3). მიხეილ ჯავახიშვილის ღვაწლი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში განპირობებულია მისი თხზულებების ენის მჭიდრო კავშირით ხალხურ სასაუბრო ენასთან, რაც გამოიხატება არა მხოლოდ ლექსიკური დიალექტიზმების ზომიერი გამოყენებით, არამედ თხრობის სტილითაც, რაზედაც თვით მწერალი მიგვანიშნებს: „თუ ამას მხატვრული სტილიზაცია არ მოითხოვს, უპირატესობას ყოველთვის ხალხურ იერს მივაკუთვნებთ" (ჯავახიშვილი, 1964, 295). მისი აზრით, „ნამდვილი ქართული ლიტერატურა და ხალხური სალაპარაკო ენა ღვიძლი ძმები არიან" – მწერალი წუხს, რომ „ზოგმა მწერალმა ქართულში უცხო ენის ბუნება გადმოიტანა, მისი ნათელიობა დანისლა, ლექსიკოლოგიურად გააღარბა, ჩვენი სინტაქსი დაამახინჯა და ხალხურ-ლიტერატურული ერთმანეთს დაამორა" (ჯავახიშვილი, 1964, 294). მიხეილ ჯავახიშვილის პროზის ენა სწორედაც რომ ხალხური ცოცხალი მეტყველებისა და სალიტერატურო ენის დაახლოების საუკეთესო ნიმუშია.

მიხეილ ჯავახიშვილის ენობრივი სტიქიაა მოქმედების პროცესის დინამური თხრობა, რასაც უმთავრესად აღწევს ზმნა-შემასმენელთა მრავალრიცხოვნობით, რომლებსაც ხშირად მრავალგზისობის სემანტიკით ტვირთავს. თხრობის ეს სტილი მას აახლოებს ხალხურ სასაუბრო ენასთან და იმავედროულად ცხადყოფს ქართული ზმნა-შემასმენლის სემანტიკურ-ფუნქციურ შესაძლებლობათა უსაზღვროებას.

ქართულ ზმნას აქვს უნარი, აღნიშნოს არა მარტო ისეთი მოქმედება, რომელიც ერთხელ მოხდა, არამედ მრავალჯერ განმეორებულიც. აკაკი შანიძემ ეს მოვლენა ზმნის ერთ-ერთ გრამატიკულ კატეგორიად მიიჩნია და თავდაპირველად მას უწოდა ჯერობა (შანიძე, 1953, 214), შემდეგ კი – გზისობა (შანიძე, 1973, 209). თანამედროვე ქართულში ერთგზისობა-მრავალგზისობა მკრთალადაა გამოხატული (მაჭავარიანი, 1974, 121); ამიტომაცაა, რომ გზისობა დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ცალკე გრამატიკულ კატეგორიად არ მიიჩნევა; იგი ასპექტის სემანტიკური სახესხვაობაა და მოქმედების სახეს წარმოადგენს (ჭუმბურიძე, 1967, 353); „გარკვეულ შემთხვევაში ზმნას შესაძლებლობა აქვს აღნიშნოს მოქმედების განგრძობითობა-წყვეტილობა და ერთგზისობა-მრავალგზისობა. რამდენადაც ეს უკანასკნელი აგრეთვე ზმნის გამოხატული მოქმედების მიმდინარეობაზე გვაძლევს წარმოდგენას, მაგრამ დამოუკიდებელი მორფოლოგიური კატეგორიის წონა და მნიშვნელობა არ მოეპოვებათ, ამიტომ ისინი ასპექტის კატეგორიის გარკვეულ ვარიანტად უნდა მივიჩნიოთ... მის შესატყვისად ქართულში მიზანშეწონილი იქნება ვინმართ მოქმედების სახე (ჭუმბურიძე, 1967, 351).

მკვლევარს მოქმედების ერთ-ერთ სახედ მიაჩნია ხოლმეობითობა (ჭუმბურიძე, 1967, 353). თუმცა მისივე მართებული აზრით, მოქმედების სახე არ წარმოადგენს ცალკე გრამატიკულ კატეგორიას, ვერ ქმნის მკაფიო პარადიგმულ წყვილებს და ზმნათა შორის ლექსიკური სხვაობის სფეროში რჩება (ჭუმბურიძე, 1967, 352).

ჩვენი აზრითაც, ხოლმეობითობა და, შესაბამისად, მრავალგზისობა სწორედაც რომ მოქმედების სახეა, რომელსაც მხატვრულ ტექსტში აქვს სემანტიკური, ფუნქციური და სტილური დატვირთვა.

მრავალგზისობის გადმოსაცემად ძირითადად გამოიყენება ხოლმეობითისა და მყოფადის მწკრივები, აგრეთვე უწყვეტილი და აწყვეტილი, ხოლო გარკვეულ კონტექსტში – წყვეტილიც კი.

საერთოდაც, ხოლმეობითობა და მრავალგზისობა თითქმის იდენტური ცნებებია; „ის, რაც მუდმივია, ჩვეულებრივ ხდება, მეორდება კიდევ, მრავალგზისია. ამიტომ... ხოლმეობითს შეეძლო ეტვირთა და იტვირთა კიდევ მრავალგზისობა, როგორც თანმხლები ფუნქცია“ (მაჭავარიანი, 1974, 124).

ამ მხრივ საკმაოდ უხვ მასალას იძლევა მიხეილ ჯავახიშვილის პროზის ენა:

ღარჩოს პატარა ბიჭი ერთ ჭიქა ჩაისა და ორ ნაჭერ პურს გამოუტანდა და თავს მიანებებდა (92).

სწორედ ამ ღროს ისევ ვინმე მიეპარებოდა, ფეხებში მისწვდებოდა და შიშისაგან დარეტიანებული კურკაც ხელმეორედ ასტეხავდა ღრიალს (77).

ღილით ნიკას მუხების ან ცაცხვის ქვეშ გაიყვანდნენ და ჩრდილში დააწვენდნენ, საღამოზე კი ისევ შინ შეიყვანდნენ, პავლე ნიკას მიუჯდებოდა, ჭრავს მიუდგამდა და... ბევრჯერ ჰკითხავდა (130).

ყბაჩა ათასში ერთხელ რასმეს მოიმიზეზებდა, თინასთან შემოირბენდა, ღროს მოიხელთებდა და თავის მეგობარს ხუმრობით ჩაიხუტებდა. ან მკლავში უჩქმეტავდა, ან ანთებულ ტანზე გაეხახუნებოდა; ხელცარიელიც არ მოვიდოდა: ხან ხილს მოუტანდა, ხან ფრინველს მოუყვანდა, ხან კიდევ რაიმე საკრავს ან სათამაშოს მოართმევდა (315).

მრავალგზისობის სემანტიკურ-ფუნქციური დატვირთვის გასაძლიერებლად ხოლმეობითს არც თუ იშვიათად ერთვის „ხოლმე“ ნაწილაკი:

ჩანჩურა შეიბრალებდა ხოლმე (4).

ქალს შეაცდენენ და მერმე თავს დაანებებენ ხოლმე (324).

მრავალგზისობის ხოლმეობითს ზოგჯერ ერთვის როგორც „ხოლმე“ ნაწილაკი, ისე სათანადო ლექსიკური შინაარსის ზმნისართი:

ბოლოს თვეში ერთხელაც ძლივს გამოჩნდებოდა ხოლმე (317).

სხვის ჯავრს უმადური მურა ყოველთვის ისევ ჩანჩურაზე ამოიყრია ხოლმე (4).

კურკა წამ-და-წამ უკან ჩამოირბენდა ხოლმე (77).

მრავალგზისობა რომ მოქმედების სემანტიკური სახეა და არა გრამატიკული კატეგორია, იქიდანაც ჩანს, რომ მყოფადის ხოლმეობითი მრავალგზისობის გამოსახატავად იყენებს ისეთ ლექსიკურ საშუალებებს როგორიცაა: ხშირად, ზოგჯერ, წამდაუწუმ, ხანდახან, ხელმეორედ, ისევ, საღამოობით...

თათარი წამ-და-უწუმ ხალიჩას გარეთ გადმოშლიდა (770).

საღამოობით პავლე ორ-სამ ალაგს ხაფანგს დააგებდა... უფრო ხშირად მგელსა და ძელას აწყდებოდნენ, უფრო იშვიათად - აფთარსა და ფოცხვერს (120).

ზოგჯერ კურკას თვალს ჩაუკრავდა (83).

ზოგჯერ გოგიას ძველ ტანისამოსს, ქულსა და ფეხსაცმელს ბალახით გასტენავდა, (131).

ზოგჯერ გორაზედაც ავიდოდა და იქიდან ყურს მიუგდებდა (116).

თამამობაში და ერთმანეთის ღვეწაში ყბაჩა უჩინო ობოლს ხშირად ორივე ხელს მოჰხვედა, გულში ჩაიკრავდა, და კარგა ხანს ხელს აღარ გაუშვებდა (315).

ხანდახან ყელში რაღაც მოაწვებოდა (317).

სწორედ ამ დროის ისევ ვინმე მიეპარებოდა, ფეხებში მისწვდებოდა და შიშისაგან დარეტიანებული კურკაც ხელმეორედ ასტეხავდა ღრიალს (77).

სოლო ხელცარიელი არ მოვიდოდა და დანიშნულს მუდამ მცირე საჩუქარს მოუტანდა (321).

ჩვეულებრივი, განმეორებადი, მრავალგზისი მოქმედების გადმოსაცემად გამოიყენება აგრეთვე მყოფადის შწკრივი; „ასეთი მყოფადი ახლანდელის მნიშვნელობისაა, უფრო სწორად, მას ე. წ. „ზოგადი აწმყოს“ ფუნქცია აქვს (გეგუჩაძე, 1980, 76).

კურკაც ნამუშევარს თითებზე ჩამოსთვისის და ფულს „ხაზინს“ ჩააბარებს (80).

ჩანჩურა ამ ნაჭერს დამპალ ჩვარში გაახვევს, უბეში ჩაიდებს და მეორე ყასაბს ეწვევა (5).

მრავალგზისობის აქტივიზაციისათვის მყოფადი იყენებს ლექსიკურ საშუალებებსაც:

ზოგჯერ ღამის მეხრეებს ფეხაკრეფით წაადგება, ან დაგვიანებულ მეზურეს გზას გადაუღობავს, ან ვინმე გლეხს ეზოში მიუვარდება, ლანდივით თვალწინ აეტუზება და პირში მიახლის (134).

თინა მიღეულ თვალებს ზოგჯერ ოდნავ გახილავს და ქურდულად ყბაჩას გადაავლებს (338).

ხანგამოშვებით ბაზრის რომელიმე ბიჭი ისევ მიეპარება კურკას, წასვდება ფეხში და ძალღივით დაჰყეფს (97).

ბუნება ყოველთვის თავისას გაიტანს ხოლმე (311).

როგორც ვხედავთ, „მყოფადის მწკრივით მრავალგზისობის გამოხატვის ფაქტი აშკარაა“ (გეგუჩაძე, 1980, 73); ამასთანავე ზოგჯერ მყოფადს აქვს ახლანდელი, უფრო ხშირად კი – ზოგადი აწმყოს მნიშვნელობა“ (გეგუჩაძე, 2005, 90). თვით აწმყოს მწკრივისათვისაც უცხო არაა მრავალგზისობის გამოხატვა:

თინა ლიანდაგზე გადის, ხელგაშვერით მისდევს გზას და ზარის ხმით ჰკივის (321).

თინა ზოგჯერ ნატკენისაგან ცხარედ სტირის და ავად იწყებულა (316).

ზოგჯერ კიდევ ჩანჩურას გრძელ კანაფს გამოაბამს ყელზე, ბაზარში დაჰყავს, ტაშს უკრავს და მღერის (6).

კურკას ყოველდღე დარჩოს ბინიდან წუწუნითა და ბურტყუნით ცხელი წყალი მიაქვს (80).

ყველა ყოველდღე ჰხედავს მობუზულ ჩანჩურას (2).

ბაზარში ყველაზე ადრე ჩანჩურა გამოდის და ყოველდღე მხოლოდ იმას ჰხედავს, რომ დუქანში დილით აუარებელი ხორცი აწყვია; მერე ყასბები ამოდენა ხორცს ნაჭურ-ნაჭრად სჭრიან და ვიღაც-ვიღაცეებს ურიგებენ... ისინი თავაზიანად დუქანში შეჰყავთ, ხორცის უშველებელ ნაჭრებსაც აძლევენ და ზრდილობიანად ისტუმრებენ (3).

შუალამისას პაპაშა და ჭიაყელა შინ მიდიან, ორივენი ერთ ქეჩაზე წებებან და ხშირად მთელი საათობით ისევ თავიანთ გვრიტებსა, ჭუკებსა და წიწილებზე ლაპარაკობენ, თანაც შურით იგონებენ თავიანთ ბრწყინვალე წარსულს, ოხრავენ, ჰკენესიან, სამოთხის დაკარგვას ერთმანეთს აბრალევენ და თავიანთ ლაპარაკს ისევ გვრიტებისა და წიწილების მოგონებით ათავებენ... (29).

ჭიაყელა ნახველს სისხლს აყოლებს და ყოველდღე სიკვდილს ელოდება, მაგრამ პაპაშას მაინც არ შორდება. ორივენი ბინიდან შუადღეძღე ხან-უმას სახლის წინ დადიან, ფანჯრებში, კარებში იცქირობიან, გვრიტებზე და წიწილებზე მსჯელობენ და შიგ შესვლას ნატრულობენ, მაგრამ ვერა ჰხედავენ (28-29).

თინას თანამგზავრი და მფარველი ვიღაც გიორგი გაუსთავებელს ლაპარაკობს, თინას ათას უცნაურს ეკითხება, თვითონაც უამბობს, თინაც ისე ეკვრის და ეხაზუნება უჩინო ქიტოს... (3270).

მიდის და დროგამოშვებით გრძელის თათით ოფლს იწმენდავს (317).

მიდის თომა და ასჯერ ნაფიქრავს ერთხელ კიდევ ჰფიქრობს (313).

ტყის კაციც ხან აქეთ გარბის, ხან იქით და დღე-ღამით თავის შვილებს დაძებებს (134).

მეორე დღეს კურკა ისევ ჩუსტებს ჰკერავს, დარჩოს ეფიცება, ნამუშევარს სთვლის, საღამოზე ისევ ჩაის სვამს და მამლის ყვივლამდე ჰფიქრობს (80).

ჩანჩურა... ჩვეულებრივად ქუჩაში დახეტილობს და საღამომდე ახალ მეგობრებს უცდის (7).

აწმყო-მყოფადის მრავალგზისობის სემანტიკურ-ფუნქციურ მსგავსებაზე მიგვიჩვენებს დრო-კილოთა თანამიმდევრობა;

თომა ხან აღერსით ამშვიდებს, ხან ოდნავ შეუტევს, ხან კიდევ ქვეით გაიხედავს და ზოგჯერ თინასაც გაახარებს (320).

ზოგჯერ გულის ტკივილს ვეღარ უძლებს და ბავშვურ ტირილს მოჰყვება (322).

პავლე... ზოგჯერ, უფრო კი ავდარში, თოფს აიკიდებს და ტყეს დაათვალიერებს. ზოგჯერ ნადირსაც მოიტანს, მაგრამ შორს წავსლას მაინც ვერა ჰბედავს (115).

ცნობილია, რომ ხოლმეობითი ნაწარმოებია უწყვეტელის მწკრივიდან, რაც განაპირობებს მათ სემანტიკურ-ფუნქციურ სიახლოვეს; ამასთანავე, „უღლების კატეგორიათა მიხედვით დახასიათება უწყვეტელისა და ხოლმეობითისა იდენტურია“ (გოგოლაშვილი, 1988, 83). ამიტომაცაა, რომ უწყვეტელიც ისევეა მრავალგზისობის გამომხატველი, როგორც ხოლმეობითი:

ნადირის ხორციით ძაღლებს ასუქებდნენ, ხოლო ტყავს ამარილებდნენ და ახმობდნენ (120).

ისინი ხშირად ჰბლაოდნენ და გოგიასაც აბლავლებდნენ (119).

შეშინებული პელო ხშირად ეხვეწებოდა თავის ტოლსაღებ მეუღლეს (113).

უფრო ხშირად კი ტყე ხმაურობდა, დუდუნებდა, შრიალებდა, ჰფუსფუსებდა (116).

თინა თავის მეგობარს სიზმარში ხშირად ელანდებოდა, უწინდელივით ეხუტებოდა და ადრინდელზე უარესად სწვავდა და სტანჯავდა (315).

რამდენიმე წლის განმავლობაში ვერელებს ყოველ დღე ესმოდათ კურკას ყვირილი (77).

თვისა და თვის ბოლოზე ხანუმას თამასუქებზე ხელს უწერდა (21).

პავლე მაინც ნაღვლობდა და ნადავგ მომავალზე ჭფიქრობდა (119).

პავლე ხან შინ მუშაობდა, ხან მთელი დღით ტყის დასათვალღიერებლად და სანადიროდ მთებში აღიოდა, შინ ხელცარიელი არ ბრუნდებოდა (113).

ხოლმეობითისა და უწყვეტელის სემანტიკურ-ფუნქციური სიანხლოვე განსაკუთრებით საგრძნობია დრო-კილოთა თანამიმდევრობისას, სადაც ორივე მწკრივი თანაბრად გამოხატავს მრავალგზისობას:

მთაზე წამომგდარი დევი ზოგჯერ ქიხის ოდენა პირს დაადებდა და ქვეყანას უბერავდა. ზოგჯერ კი მუგუზალ-მზეს სულაც გადამალავდა, ერთ დიდ საცერს აიღებდა და იმ საცრით ქვეყანას რწყავდა, ზოგჯერ კი იქაურობას ცივის ბამბით ჰპენტავდა (314).

პავლე წამ-და-უწუმ ნიკას მიუჯდებოდა, ანჯღრევდა და ეკითხებოდა (132).

თათარი წამ-და-უწუმ ხალიჩას გარეთ გადმოფენდა და კურკას დუქანს უბნელებდა (78).

კურკა კი ყვირილს ძლივს გაათავებდა და მთელ ბაზარს შეჰყრიდა, თან შიშისაგან აქეთ-იქით იცეცებოდა და წუწუნებდა (77).

ხანდახან ყელში რაღაც მოაწვებოდა და ახრჩობდა, თავის ტკივილს სჩიოდა, გოგია ელანდებოდა და მასთან ლაპარაკს აბამდა ხოლმე (314).

ყბაჩა თინას სხვებზე ადრე მიეგებებოდა, ხელში ხელს წაავლებდა, ააბორიალებდა, ათასნაირად ართობდა, აცინებდა, ჰშველოდა და ეჩურჩულებოდა (315).

კურკა მალე მიჩუმდებოდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ ასტყდებოდა და თათარს სიცოცხლეს უმწარებდა (78).

როგორც ვხედავთ, დასახელებულ ნიმუშებში ხოლმეობითის მოსდევს უწყვეტელი, ვინაიდან მრავალგზისობის გამოხატვის უნარი ხოლმეობითის უფრო მეტი აქვს.

ხოლმეობითის ეს ფუნქცია კიდევ უფრო საგრძნობია მწკრივთა ისეთ თანამიმდევრობაში, როგორიცაა: ხოლმეობითი-მყოფადი-აწმყო:

ქალი *ბან* ყელამდე ჩაცუცქდებოდა წყალში, *ბან* ისევ გასწორდებოდა, *ბან* დაიხრება, სველ თმას ხის სავარცხლით ივარცხნის, მკერდს *იზელავს* და ტანს *იბანს* (318).

აღწერითი მრავალგზისობის გამოხატვა I თურქობითაც ხერხდება (ფხაკაძე, 1984, 90; ფეიქრიშვიდი, 1974, 58);

*ხშირად მოუკლავს* პავლეს ირემიც, ფოცხვერიც, აფთარიც. *რამდენჯერმე* დათვიც *ჩამოუტანია* (113).

წყვეტილი, ჩვეულებრივად, სრული ასპექტისა და ერთგზის მოქმედების გამომხატველია, მაგრამ შესაძლებელია წყვეტილის მწკრივითაც აღწერითად გადმოიციეს მრავალგზისი მოქმედება:

ქალმა *რამდენჯერმე* მოიხედა მუშისაკენ (318).

თომა შეიშუშუნა. *ბევრჯერ* მოარიდა თინას ნამდვილი პასუხი (309).

თინა კიდევ *დიდბანს* ატარეს (331).

მეთორმეტე დღეს ექიმმა *ერთხელ* კიდევ დაიბარა (335).

*დიდბანს* იცადეს და *ბევრი* იარეს. *ბან* კიბუზე ავიდნენ, *ბან* მარცხნივ შეუხვიეს, *ბან* მარჯვნივ გაუხვიეს (330).

წყვეტილის მწკრივი მრავალგზისობის გაგებას იძენს არა მხოლოდ ლექსიკური საშუალებებით, არამედ მამინაც, როცა ის მოხვდება ხოლმეობითისა და უწყვეტელის მწკრივთა თანამიმდევრობაში:

იმ დღიდან უკვე *ხშირად ჩამოდიოდა* სოფლიდან და მარიამის მაგივრად ოჯახს *უვლიდა*, მაგრამ სიარულს *თანდათან დაუკლო* და ბოლოს თვეში ერთხელაც ძლივს *გამოჩნდებოდა ხოლმე* (3170).

მიხეილ ჯავახიშვილის პროზის ენაში ყურადღებას იქცევს მრავალგზისი ფორმების გამოყენება ქვეწყობილი წინადადების კომპონენტებში; ასეთ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადება უსწრებს მთავარს და მისი ზმნა-შემასმენელი ფაქტობრივად განკარგავს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლის მრავალგზისობასაც. ამასთანავე გასათვალისწინებელია დამოკიდებული და მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლის მწკრივთა თანამიმდევრობა, სადაც დამოკიდებულის ზმნა-შემასმენელი ან მყოფადის ხოლმეობითია, ან მყოფადია, უწყვეტელი, აწმყო. მთავარი წინადადების სხვადასხვა მწკრივებიც მრავალგზისობის გამომხატველია:

როცა ძილის დრო *მოუვიდოდა*, უცებ გუნებას *გამოიცვლიდა*, პირსახეს *მოიღუშავდა*, შუბლს *შეიჭმუხვნიდა* (92).

თომა რომ გზას გაჰყვებოდა და ზევით წავიდოდა, თინა წკეპლას აიღებდა, ლიანდაგს დაადგებოდა და ქვევით წამოვიდოდა (322).

*მწვემსების ხმაურობა რომ სატრფოს მისწვდებოდა, ხელებ-გაშვერილი და მოლიმარე თინა ნახირისაკენ გასწვედა და თან უხილავ მგობარს ეძებდა (314).*

*ბოლოს მანძილის შიში რომ დასძლეულა, ისევ მოტრიალდებოდა, ღრინიასავით თავს ჩაპლუნავდა და კვნესით და ტირილით თავის ქოხს დაუბრუნდებოდა (323).*

*თინა უწინ რომ ვინმეს წააწყდებოდა ან ხელს წაავლებდა, ქალს და ვაჟს ერთმანეთისაგან ძლივს არჩევდა (3150).*

*ვაჟს რომ ხელით მიეფერებოდა, ტანში რალაც ნაპერწკალი გაჰკრავდა (315).*

*ვინმე ნაცნობი რომ შეჰხვდებოდა, აიღმიჭებოდა და რალაცუებს ანიშნებდა (83).*

*ზოგჯერ რომ დაიგვიანებს, თინა აიბურძენება და აიბრიზება (321).*

*ჩაის სმას რომ გაითავებს, კარებს შიგნიდან კიბეს მიაყუდებს, იატაკზე მისდებს და შუალამქმდის შამფურივით სტრიალებს (80).*

*კარგად რომ შემოღამდება, ჭიაყელას მოსძმებნის და ისევ თავის ჭუკებსა და წიწილებთან მიდის (28).*

*დაღლილი და დაქანცული კურკა საღამოზე სახლში რომ დაბრუნდებოდა, თავისივე ოთახში შესვლა სცხვენოდა და ეუცხოებოდა (92).*

*ქალი რომ ჩემი ხნისა შესრულდება, გათხოვდება ხოლმე (311).*

*პავლე... ტყეში რომ მიდიოდა, ზოგჯერ ნიკასაც წაიყვანდა და სახლს დაჰკეტავდა, ხოლო გივის და საქონლის პატრონებს ნასყიდას მიაბარებდა (113).*

*მატარებელი რომ მიდის, თინა სადარაჯოსთან წითელი ბაი-რადით სდგას, რკინის ფრინველს უღიმის, უცნობ მგზავრებს უყვირის და ხელს უქნევს (316).*

*დაღამდება თუ არა დუქანში დარჩო შემოიხედავს და იკითხავს (80).*

მოვიდოდა თუ არა ბუშტარი, ისიც იქვე აიტუზებოდა და დაუწყებდა ვაჭრობას (79).

დასახელებულ ნიმუშებში დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ადგილის მიხედვით, როგორც წესი, წინ უსწრებს მთავარს. მსგავსი სემანტიკურ-ფუნქციური ურთიერთმიმართებაა აგრეთვე ვითარების გარემოების შემცველ დამოკიდებულ წინადადებასა და მთავარს შორის, რასაც განაპირობებს მათი ზმნა-შემასმენლების მრავალგზისობა. თუმცა ასეთი დამოკიდებული წინადადება, როგორც წესი, მოსდევს მთავარს:

დღე ისე არ გავა, რომ დარჩომ არ დააყვედროს (80).

დღეს ია არ გავიდოდა, რომ კურკას ექვსიოდე აბაზი არ მოეტანა „ხაზეინთან“ (79).

ზოგჯერ ისე დამთავრდებოდა დღე, რომ მამა-შვილი ერთმანეთს ხმასაც არ გასცემდნენ ან ორიოდე სიტყვას ძლივს ეტყოდნენ (119).

მაშო ისე დაწვებოდა და დაიძინებდა, რომ კურკას ხმასაც არ გასცემდა (92).

წერილმანი საჩუქარი თინას... ისე ავიყებდა, რომ ძლივს დაამშვიდებდნენ ზოლმე (321).

ბაზარი ისე შეეჩვია კურკას ბღაველსა და ტირილს, რომ მშველელი იშვიათად გამოუჩნდებოდა (77).

დროისა და ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებში რომ ხშირად გამოხატული მრავალგზისობა, ამის თაობაზე მიგვითითებს ლ. კვაჭაძე (კვაჭაძე, 1996, 426; 434).

რთული ქვეწყობილი წინადადების კომპონენტები მრავალგზისობას გამოხატავენ პირობითი დამოკიდებული წინადადების მეშვეობითაც:

თუ უბარათო ვინმეს მოასწრობდა, ცუღს, უღელს, ჯამბარას წაართმევდა და საჩივარს აღძრავდა (113).

თუ ნადირი ხაფანგში ადრე გაეგებებოდა, ხშირად გაბმულ ფეხს საკუთარი კბილით მოიჭამდა და წავიდოდა, თუ დილით გაეგებებოდა, მონადირეებს ცოცხლად ჩაუვარდებოდა ხელში.

ასე რომ, მრავალგზისობა ბუნებრივად გაღმოციემა ისეთ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, რომელიც შეიცავს დროის, ვითარებით და პირობით დამოკიდებულ წინადადებას.

მრავალგზისის ფორმების სიხშირე იგრძნობა ისეთ კონტექსტშიც, სადაც პირველ წინადადებაში ნაჩვენებია შედეგი იმისა, რასაც მოსდევს მოქმედების მრავალგზისის პროცესი ამ შედეგის მიღწევისა:

პავლე და ნიკა წელზე ფეხს იდგამდნენ... *ხან* სთოხნიდნენ, *ხან* მარგლიდნენ, *ხან* ჭირნახულსა რწყავდნენ, *ხან* კიდევ, როცა ძალიან წამოცხებოდა, იმ გოლიათ მუხების ჩრდილში სკებსა და გოდრებს სწნავდნენ.

სამხარი რომ მოატანა, შინ შევლენ, გოგიას ააყენებენ, პირს დაჰბანენ, მოუვლიან, თვითონაც შენაყრდებიან და *ისევ* მინდორში გავლენ, *თან* გოგიასაც წაიყვანენ და სანოვაგესაც წაიღებენ. მუხების ქვეშ ცეცხლს გააჩენენ, ზედადგრაზე ქვაბს შესდგამენ და სადილს იქ მოჰხარშავენ, კეცსაც გაახურებდნენ და ხმიადს ან მჭადს გამოაცხობდნენ. დასაკერებელსაც თვითონ დააკერებდნენ და გასარეცხსაც თვითონ გარეცხავდნენ (115).

ჯერ კიდევ სამუშაო ჰქონდათ პავლეს და ნიკას: რიჟრაჟზე ადგებოდნენ, იქვე წყაროზე პირს დაიბანდნენ, ძროხებსა და ცხვარს მოწველიდნენ, რძეს აადულებდნენ, *მერმე* დილის ძილში წასულ გოგიას სადარაჯოდ ერთგულ ძაღლს — ბოლრიას ან ყურბანას — კიბესთან მიუბავდნენ და თვითონ კი ცუღით, წაღლით, ბარით და თოხით სამუშაოდ გავიდოდნენ, თან საქონელს გარეკავდნენ, იქვე მინდოზე გაუშვებდნენ და *მერმე* ძაღლს მიუჩინდნენ, *ნოდავ* ტაფობს დასტრიალებდნენ, *მუღძივ* საქონელს გარს უვლიდნენ, თუ ხარი, ძროხა, კამეჩი ან ცხვარი ნახირს მოსწყებოდა და ტყისკენ წავიდოდა, ძაღლი ღრენით და ყეფით მოუჭრიდა გზას, ფეხებში მივარდებოდა, ჰკბენდა და იქმადე არ მოასვენებდა, სანამ ნახირში არ დაბრუნებდა (115).

ქუჩის ბიჭები და მასხარა მაწანწალები კურკას სიცოცხლეს უმწარებდნენ: *ყოველ დღე* უკნიდან ვინმე ჩუმად მიეპარებოდა, კლანჭში მოსწვდებოდა და დაჰყეფდა, მშიშარა კურკა კი *ჯერ* საშინლად დაიბლავლებდა, *მერმე* მიწაზე გაგორდებოდა, გრძელ ხელებსა და მოკლე ფეხებს ისე დაუშენდა ჰაერს, თითქოს ძაღლს იგერიებდაო, და ყვირილს მორთავდა (76).

დღე დღეს მისდევდა და კვირას კვირა. თინას მარიამის კვნესა, ოხვრა და ქმინვა ესმოდა და *მუდამ* თავს დასტრიალებდა:

გვერდით მოუჯდებოდა, რამდენიმე საათით გახევებოდა, პირსახეს და ხელებს უტაცუნებდა და წამ-ღა-უწუმ ეკითხებოდა (316).

ტყის კაცი მუშაობასაც გადაეჩვია. ბარზე ან თონზე დაეყრდნობოდა და იქამდე ჩასტკეროდა ერთ წერტილს, სანამ ვინმე არ გამოაფხიზლებდა. აღარც პირსახეს იბანდა, არც თმასა და წვეურულვაშს ივარცხნიდა და უწინდელ ულუფას ნახევარსაც კი აღარ სჭამდა (131).

თავიდან კურკა ყველას დაბრიყვებული ჰყავდა. ვისაც არ ეზარებოდა, თავში ჩაუფანუნებდა, ან უკნიდან მიეპარებოდა, კლანჭში მისწვდებოდა და ძაღლივით დაჰყეფდა, ან კიდევ სულ უმიზეზოდ შარს მოსდევდა და მისტყეპავდა (76).

ზოგჯერ ტყეს მთელი კვირით ნისლი დააწვებოდა და ღრუბლებიანი ცა წვიმით იცრებოდა. ასეთ დროში პავლე და მისი შვილები ვერ ისვენებდნენ, გალიაში მომწყვდეულ მხეცეებივით დაბორი-ალებდნენ პატარა სახლში და უფრო ხშირად საქონელს, დათვის ბელებს და ძაღლებს ელაპარაკებოდნენ, ვიდრე ერთმანეთს (120).

ვინაიდან „ნებისმიერი ენობრივი ფუნქცია დგინდება და რეალურად არსებობს მხოლოდ და მხოლოდ კონტექსტში“ (ჯორბენაძე, 1980, 372), ამ დებულების საილუსტრაციოდ გთავაზობთ ამონაწერს მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობიდან „ტყის კაცი“, სადაც მრვალგზისის ფორმების მთელი კასკადია წარმოდგენლი:

ზოგჯერ ტყეში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდებოდა, რომ საკუთარი სუნთქვაც კი ისმოდა. უფრო ხშირად კი ტყე ხმაურობდა, დუდუნებდა, შრიალებდა, ჰფუსფუსებდა.

მაისის ღამეს მოულოდნელად გაიელვებდა, დაიჭექებდა და მთელი ღამე მსუილით წვიმდა. ზოგჯერ უცებ გრიგალი ამოვარდებოდა, იქაურობას ღრიალით დააძრუებდა და ისევ უცებ ჩავარდებოდა.

დიდ ქარში ღამ-ღამობით ტყე ჰღმუოდა, ჰკენესოდა, ზანზარებდა და გრიალი გაჰქონდა, მერმე კი საამური, მოღზენილი და მზიანი დილა გათენდებოდა. ასეთ დღეში ნიკა და გოგია ტაფობს დაირბედნენ და ახლო-მახლო ტყეშიც შეერეოდნენ, თან ყურშას და ბოდრიასაც წაიყვანდნენ.

ნამიანი ტყე და ტაფობი ათასი ფერად პრწკინავდა. ფრინველების ურიაშული იქაურობას აყრუებდა: კვერნა, ციყვი, თრთითინა,

დედოფალა და კატუნა მხიარულად დანავარდობდნენ, გრივალის შემდეგ ტყე წაქცეულ და დაჩეხილ ხეებით ივსებოდა, და იგი ამ დროს დახოცილი ვაჟკაცებით დაფენილს ბრძოლის ველს ჰგავდა.

ცაში არხენად დასცურავდნენ ცის მეფენი — არწივი, ქორი, სვავი და ძერა. ზოგჯერ რომელიმე ონავარი ფრინველი ისარივით დაეშვებოდა დაბლა. წვრილფეხა ფრინველებში ერთი ჟრიაშული და ჟივილ-ხივილი ასტყდებოდა. ტუტტუცი და მშიშარა ოფოფი უმაღლე გულადმა გაწვებოდა, ნისკარტს ზევით აიწვედა და ვითომ თავს იცავდა. კრუხები აიბურძენებოდნენ, კუხკუხს ასტეხავდნენ და წიწილებს დაუვლიდნენ; გოგია „ჰაია-ჰაის“ გაჰკიოდა, ხოლო ნიკა თოფს უმიზნებდა და ხან ძერას და ხან ქორს ჩამოავადებდა.

შროშანა ცხვარს მხიბლავდა; შაშვი ზილით ჭახჭახებდა; მოლადული მუდმივ „ბიჭო გოგიას“ გაჰკიოდა; გუგული ჰგუგუნებდა; კოდალა აკაკუნებდა და მემატლიეს, ჩხიკვის, ყაჟყაპის, ღაღღის, ანკარისა და ასნაირ ჩიტების ჟივილ-ხივილი იქაურობას ავსებდა.

შუადღე რომ მოატანდა, სიცხისაგან დათენთილი ფრინველი და ცხოველი მიეყრდებოდა; ტყეც თვლემას მიეცემოდა; გვრიტი მაინც ღვრინავდა; კოდალა ისევ აკაკუნებდა; ქედანი ღულუნებდა, ანცი ციფვი ისევ დაჰხტოდა.

როცა დაღამებოდა, ღამის ფრინველი და ნადირიც მაშინ გაიღვიძებდნენ, სორო-ბუნაგებიდან და ბუდეებიდან გამოვიდოდნენ, ახმაურდებოდნენ და ამ უღრან ტყეს ღამის ჩამუნით, ფუსფუსით და კვივილ-წრიპინით აცოცხლებდნენ;

ერთი ოლოლა მეორეს გადასძახებდა:

— იპოვე-ე-ე?

მეორე უპასუხებდა:

— ვერა, ვერა!

ასიღამა წვრილ ხმაზე გაიძახოდა:

— კლიპ-კლიპ! კლიპ-კლიპ!

ჭოტი კი ისევ თავის ობლურს გაჰკიოდა.

ზოგჯერ ხევში საღმე მიკიოტი საზარლად დაიფივლებდა. მის ყივილზე ძაღლები ყმუილს ასტეხავდნენ. პაკლე პირჯვარს იწერდა და ბურტყუნით იწყველებოდა. ძაღლები დილაშდუ იღრინებოდნენ, ჰყეფდნენ და ხილულსა და უხილავ ნადირს იგერიებდნენ.

ღამის წყვდიადში ხან ახლო-მახლო და ხან მოშორებით მგლის ყმუილი, ტურის ყეფა, მანვის ჩხავილი, ზოგჯერ გოდება, მელიის წრიპინი და დათვის ბურტყუნიც გაისმოდა.

ნიკა ზოგჯერ ფუტკარს ეძებდა: ცვილს დასწვავდა და სუნით მოიზიდავდა. მერე ფუტკარს გამოუდგებოდა და ბუდეძე მიჰყვებოდა. კვალს რომ მიაგნებდა, ჯერ იმ ხეს დაჰმორავდა წაღდით, საცა ფუტკარი ბუდობდა და მერე მამას დაუძახებდა. ორივენი ფუტკარის ამოსაყვანად წავილოდნენ, თან დაწნულ სკას წაიღებდნენ. ფუტკარს რომ შეუბოლებდნენ და ხის ფულუროდან გამოაფრენდნენ, იმ ხეს მოსჭრიდნენ, თაფლს ამოიღებდნენ, სკაში ჩასდებდნენ, შიგ ფუტკარს ჩაჰყრიდნენ — წამოიღებდნენ და ცაცხვის ქვეშ დასდგამდნენ (116-117).

ზოგიერთი ზმნის სემანტიკა თავისთავად ასახავს მრავალგზისი მოქმედების პროცესს:

ხოლო დამტვრეული ფეხებით ცეკვას უხშირებს (321).

მგლების ყმუილი და ტურა-მელას ჩხავილიც გახშირდა (120).

ნადირობას მოუხშირეს (120).

მიხეილ ჯავახიშვილი მოქმედების მრავალგზისობისა და ინტენსიურობის გამოსახატავად ლექსიკურ საშუალებებთან ერთად მძარბავს სასაუბრო ენისათვის დამახასიათებელ ხერხს — ზმნა-შემასმენელთა განმეორებას:

თათარი დუქნის ქირას არ იძლეოდა, დარჩო კი იჯარის ფასს ისევ უმატებდა და უმატებდა (79).

აგერ, რაძდენი წელიწადია, რაც ყოველდღე, დღიდან საღამოდის, ორ-აღლიანი ფიცრები ორად მოხრილი ზის და განუწვევლელი ჰკერავს, ჰკერავს და ჰკერავს (80).

ამრიგად, მრავალგზისობის სემანტიკურ-ფუნქციური განდასების განხილვითაც ცხადად იკვეთება, რომ მიხეილ ჯავახიშვილის პროზის ენა, მწერლის თხრობის სტილი მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხურ სასაუბრო ენასთან; იგი შესანიშნავად ფლობს და მარჯვედ იყენებს მშობლიური ენის ამოუწურავ შესაძლებლობებს, რითაც მიხეილ ჯავახიშვილი გვეკვლინება ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთ საიმედო მეციხოვნედ.

ლ. გეგუჩაძე, მეოფადის მნიშვნელობისათვის ქართულში, ნაკვეთები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1980.

ლ. გეგუჩაძე, მწკრივთა შესაძლო შეფარდებისა და დროთა თანამიმდევრობის საკითხები რთულ კონსტრუქციებში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2005.

გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1988.

ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, მეოთხე შევსებული გამოცემა, გამომცემლობა „რუბიკონი“, თბ., 1996.

გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1974.

ზ. სარჯველაძე, მიხეილ ჯავახიშვილი და ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, გამომცემლობა „ცოდნა“, თბ., 1984.

ჟ. ფეიქრიშვილი, თურმეობითის მნიშვნელობა და გამოყენება ახალ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1974.

დ. ფხაკაძე, I თურმეობითის ფუნქციები ქართულში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1984.

ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1953.

ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1973.

ზ. ჭუმბურიძე, ასპექტისა და მოქმედების სახის მიმართებისათვის ქართულში, კრებული „ორიონი“, მიძღვნილი ა. შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1967.

მ. ჯავახიშვილი, ლიტერატურული განცხადება, რჩეული თხზულებანი ექვს ტომად, ტ. VI, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1964.

ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1980.

პასილ ბარნოვის თხზულებათა მნის  
ერთი სინტაქსურ-სტილური  
თავისებურების შესახებ

ცნობილია, რომ მწერლის ენობრივი სტილი ლექსიკურ თავისებურებებთან ერთად გარკვეულწილად შედგება წინადადების აღნაგობის, წინადადების წევრთა განლაგებისა თუ მათი მეტ-ნაკლები ინტენსივობით გამოყენებისას, რაც ესოდენ ხელშესახებად ვლინდება ვასილ ბარნოვის თხზულებათა ენაში. როგორც ამ შესანიშნავი პროზაიკოსის ენის მკვლევარი ელენე კოშორიძე მიუთითებს, ვასილ ბარნოვის ენის სინტაქსური სტილის განმსაზღვრელია რთული დაქვემდებარებული წინადადებების იშვიათად გამოყენება, უპირატესობის მინიჭება უკავშირო შეერთებისათვის: შერწყმული და, განსაკუთრებით, მარტივი წინადადებების სიუხვე; ხშირი ხმარება უსრული, დაუმთავრებელი და სახელდებითი წინადადებისა; წინადადების მაქსიმალურად განტვირთვა წევრებისაგან და სხვა, რითაც მწერალი აღწევს თხრობის დინამიკურობას და რიტმულობის სრულყოფას.

ამჯერად ჩვენი კვლევის ობიექტია ისეთი ტექსტი, სადაც მწერალი მაქსიმალურად ერიდება პირის ნაცვალსახელების გამოყენებას, თუმცა ზოგჯერ „იძულებულია“ პირველი პირის ნაცვალსახელი რეალურად წარმოაჩინოს.

ამ მიზნით შევარჩიეთ ვასილ ბარნოვის მოთხრობა „მეჩვენა“, სადაც თხრობა უმთავრესად პირველ პირში მიმდინარეობს. 32 გვერდიან მოთხრობაში პირველი პირით გადმოცემული 1500-მდე ზმნა-შემასმენელია, რომლითაც ნაგულისხმევი წევრი რეალურად არ არის წარმოდგენილი შესაბამისი პირის ნაცვალსახელით.

სანიშნოდ ვნახოთ ნებისმიერი კონტექსტი:

„ძალიან შევწუხდი, დავიტანჯე, ჩამიშავდა ყოფა, არ ვიცოდი, რა მექნა, სად გადავვარდნილიყავ, რა ქვისათვის მეწყვეტა თავი,

ყანწის ძირში ყოველივე კეთილი მოიპოვებაო, ცოტა ნაცადილა მქონდა ეს და მოვეყვი: ნოესებურს ვეწაფე, რომ თავი დაევიწყებინათვის მიშეცა. ვერ მიფონა! ცეცხლზე ნავთი დამისხა, აზრები ამიმღერია, გრძნობები გამისისხლიანა. თავი გავანებე!...

„საქმე რომ გაჭირდა, ისევ ჩემმა თიკომ მომცა შეება, ისევ იმ ანგელოზმა შემეწინარა, ტანჯვა შემიმსუბუქა“.

დამოწმებული ნაწევრები ვასილ ბარნოვის სტილის გამომხატველია; მწერლის თხრობა მაქსიმალურადაა დატვირთული ზმნური ერთეულებით; იგი გასაოცარი ნდობით ეკიდება ზმნა-შემასმენელს და, როგორც წესი, საჭიროდ არ თვლის სუბიექტური თუ ობიექტური პირების ნაცვალსახელებით გადმოცემას, რაც საერთოდაც არ არის უცხო ქართული წინადადებისათვის, ვინაიდან „ასეთ შემთხვევაში პირის ნაცვალსახელთა უხმარებლობა სტილური ნორმაა, რადგანაც შესაბამისი პირი ყოველთვის „რეალურად“ იგულისხმება სათანადო -ზმნა-შემასმენლით“ (დავითიანი, 1973, 136).

ბარნოვის ენის ამ მანერით კიდევ ერთხელ დასტურდება ის უდავო ჭეშმარიტება: „ქართული ზმნა მთელი წინადადების შინაარსის შემცველია, წინადადება მინიატურაში“ (მელიქიშვილი, 2001, 7).

მიუხედავად ასე მკვეთრად გამოხატული პოზიციისა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ვ. ბარნოვი საერთოდაც არ იყენებს ნაცვალსახელებს. ამის დასტურად გამოდგება პირველი პირის ნაცვალსახელის გამოყენების მაგალითები, რაც განპირობებულია კონტექსტით. მართლაც რომ „ნებისმიერი ენობრივი ფუნქცია დგინდება და რეალურად არსებობს მხოლოდ და მხოლოდ კონტექსტში“ (ჯორბენაძე, 1980, 372).

ბარნოვის ენაშიც კონტექსტის გათვალისწინებით პირველი პირის ნაცვალსახელი, სუბიექტური თუ ობიექტური პირის გამომხატველი, რეალურადაა წარმოდგენილი ისეთ შემთხვევებში, როცა დოგიკური მახვილი ამ ნაცვალსახელზე მოდის.

საამისოდ ხელისშემწყობია:

კონტექსტური სიტუაცია, სადაც გამოკვეთილია პირის დამოკიდებულება გადმოცემული ამბისადმი.

ჩემ გვერდით მსხდომმა მგზავრებმა რაღაც უაზრო ლაპარაკი გააბეს, ერთმანეთს აუხიროდნენ და ხმა შეუმაღლეს. მე ყოველთვის მაწუხებდა ლაპარაკში ჯიუტობა და ღრიალი (307).

ამბობენ, ადამიანს სიცოცხლეში ერთხელ ჩამოურბენს იღბალი, ფრთას შეახებს და ვაი იმას „კინც ვერ შეამჩნევს იმ წუთს: იმის წილად უდებურება დარჩებაო, მე სწორედ მაშინ დაკვარევი იმედი, მაშინ! (311).

შემომხვდა ქალმა და თვალეშიაც ვამსგავსე: ისეთივე კილო-იანი თვალი, მაგრამ მშრალი. მე მაშინ კარგად არ ვიცნობდი მშრალ თვალებს (318).

ზოგი თვალი მშეენიერია, მაგრამ მშრალი, მე სასტიკი მგონია ასეთი თვალი (308).

საზარელი ამბავი დატრიალდა, მე გამოვევარდი. ქალაქს წამოველ (326).

მე დარწმუნებული ვიყავი, თითოეულ ჩემ მოსწავლეს თან ვატანდი ასაღორძინებლად საუკეთესო ნაწილს ჩემი სულისას (301).

მე ცხადად ვხედავდი ჩემ პირსახოცზე თეკოს, თეკოს სანატრულ სახეს (310).

საუბარმა ისეთი სახე მიიღო, რომ მე ყველაფერი გულახდით ვუამბე (3080).

კატეგორიულობა:

მე ცოლს არ ვირთავ, — ვთქვი მე (321).

მე ჩემი მიზანი მქონდა და შევასრულე კიდევ (3060).

მე ამას ათასში ერთისათვის ვამბობ (314).

დაპირისპირება:

მე წიგნს ჩავჩიჩინებდი, ჩემი ამხანაგები კი სამხიარულო სახლებში ღროსაც ატარებდნენ (312).

ეს გარემოება უფრო დედაჩემს აღარდებდა, სანამ მე (315).

მე უნდა გიწინამძღვრო, თორემ შენთვის ფხა და შნო არ მოუცია ღმერთს (324).

ტარიელი მე რომ მეზუზღუნებოდა, იმას ენმატკბილებოდა (320).

მე რომ უკანა ვდგები იმას სწყინს (328).

მე მივდევი ფანჯრამდის, მაგრამ მერე უკანა ვდგები (328).

მე თავს ვაკლავდი ჩემ საყვარულ საქმეს, ისინი კი განგებ  
თვალეებს იბრმავებდნენ (315).

აქცენტირება პიროვნებაზე:

ასეთშემთხვევაში გამოიყენება ლექსიკური საშუალებები: მე  
ხომ, მე თვითონ, მე კი...

მე ხომ სამსახურის გამო აღრე ვარ ნაჩვევი (326).

მე ხომ დედას მეტი არავინა მყავდა (301).

მე თვითონ არა მქონდა შეძლება (315).

მე თვითონ არც დრო, არც შნო არა მქონდა (319).

მე კი დავცადე და ცუდადაც (296).

ზეპრე და უგულო მასწავლებლობას წინ სწევდნენ, მე კი  
მწრდილაგდნენ (3150).

პიროვნებაზე აქცენტირების გასაძლიერებლად გამოიყენება აგ-  
რეთვე „მე“ ნაცვალსახელზე ც ნაწილაკის დართვა:

მეც ბევრ კეთილს ავუქციე გვერდი (317).

მეც ასე მომივიდა (310).

მეც თქვენსავით მთლად უნიადაგოდ მიმაჩნია ეს წიგნი  
(297).

მეც ვიხედებოდი გარშემო (303).

მეც მომრთეს (323).

ავდექი და მეც გამოვცადე (326).

ზოგჯერ მეც შევნიშნავ იმ სახეს ბუნდალ (310).

მეც ცხადად ვიხილავ იმ სახეს (310).

პირსახოცს მეც ჩამოვიტანდი (310).

მეც ჯერ ყურადღებას არ ვაქცევდი (325).

მეც ყურები ვცქვიტე (326).

მეც იქ წამოვალ! (321).

ამრიგად, მოთხრობა „მეჩვენა“ ცხადად გვიჩვენებს ვასილ  
ბარნოვის ენის სინტაქსურ-სტილურ თავისებურებას.

## ლიტერატურა

1. ბარნოვი, 1961 – ვ. ბარნოვი, თხზულებანი, ტ. I, 1961.
2. დავითიანი, 1973 – აკ. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973.
3. კოშორიძე, 1966 – ე. კოშორიძე, ვასილ ბარნოვის ენა. ისტორიული რომანების მიხედვით, თბ., 1966.
4. მელიქიშვილი, 2001 – დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001.
5. ჯორბენაძე, 1980 – ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.

## ძალმოსილება შემოქმედებითი მემკვიდრეობისა

(საბა ორბელიანისეული მემკვიდრეობის ანარეკლი  
კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებით ნააზრევში)

*„მე არ შემიძლია გულგრილად ჩაუვარო  
საბას წმინდა სახელს“  
(კონსტანტინე გამსახურდია)*

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებით ნააზრევში ცხადად იკვეთება საბა ორბელიანისეული მემკვიდრეობა. პუბლიცისტურ თუ მხატვრულ ნაწარმოებებში გამსახურდიას მრავალგზის დაუდასტურებია, რომ ბიბლიურ მოძღვრებასთან ერთად მისი შემოქმედებითი ცხოვრების გზამკვლევენი, მასაზრდოებელნი და წყაროსთავნი იყვნენ იაკობ ცურტაველი, გიორგი მერჩულე, გიორგი მთაწმინდელი, პეტრიწონელი, შოთა რუსთაველი, საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა ფშაველა. ამთგან გამორჩეულად ეთავისება საბა ორბელიანი, რომელსაც არაერთი ნარკვევი და ესეი მიუძღვნა. ყურადსაღებია, რომ გამსახურდია მას საბას უწოდებს და არა სულხან-საბას; სულხანად მხოლოდ ერთხელ მოიხსენიებს და ისიც მაშინ, როდესაც ეხება ბერად შედგომამდე მის „უამსა სიყრმისასა“: „უბადლო თავდადება მამულისათვის გამოიჩინა თავისი ეპოქის ყველაზე მეტად მოწინავე ახალგაზრდა სულხან ორბელიანმა (ტ. VI, 138).

სხვა ყველა შემთხვევაში მისთვის საბა ორბელიანია, რომლის შესამკობადაც არ იშურებს აღმატებულ ეპითეტებს: „ეპოქის უბრწყინვალესი კაცი“, „დიდი მამულიშვილი და სახელმწიფო კაცი“, „უნივერსალურად განათლებული კაცი“, „ბრწყინვალე დიდოსტატი სიტყვისა“, „ჭეშმარიტად მამა სამშობლოსა“.

სწორედ ასეთი „პირადული გენიით ძალმოცემული“ საბა ორბელიანი ეგულება თავის მოსარჩლედ და მესალბუნედ გამსახურდიას, მისი იგავით შთაგონებულს:

„ამ წუთში საბა ორბელიანის შესანიშნავი იგავთაგანი მაგონდება ერთი: („მტირალი და მოცინარი“)

„ორნი კაცნი იყვნენ ქალაქსა ერთსა.

ერთი წამდაუწუმ სულ ტიროდა და ერთი სრულებით იცინოდა, რომე მოწყენილს ვერვინ ნახავდა.

ჰკითხეს მტირალს კაცსა:

ავზე და კარგზე, საცინელზე და სატირალზე სულ რატომ სტირიო?

მან ვერე თქვა:

რა ვქნა, ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ამ საწუთროს საქმეს შვრებიან. საუკუნო სასჯელი დავიწყებიათ და მით ვტირი, ყოველნი ჯოჯოხეთს იშენებენო.

მესამე მას მოცინარს კაცსა ჰკითხეს:

შენ რა გაცილებსო?

მან ესე თქვა:

ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ავსა შვრებიან, ყოველ კაცს ვუქადაგე: ვურჩიე, ვერა დავაჯერებინე და აწ სიცოცხლე ძალა მივეც“.

ეს იგავი, რომელიც გამსახურდიას ჩართული აქვს საბა ორბელიანისადმი მიძღვნილ ბრწყინვალე ესეიში, მწერალს აგონებს ბრძენი მეიგავის რთული ცხოვრების გზას: „როგორი უაღრესად ბიოგრაფიული, ლირიკული პარამბულაა ამ სტრიქონებში გამჟღავნებული? მრავალტანჯული მამულის გულიდან დაძრული ცრემლი გამოსჭვავის აქ, მსუბუქი ირონიის საბურველით შეფარული.

და რაოდენ მძიმე და გრძელი გზა უნდა გაეარნა ამ იგავის ავტორს“ (გამსახურდია, 1963, 137).

ამ იგავითა და სათანადო კომენტარით კონსტანტინე გამსახურდია ცხადად მიგვანიშნებს თავისი მოღვაწეობის ურთულეს გზასავალზე და საბა ორბელიანივით წუხს, რომ ზოგიერთ მედროვეს, ცრუსა და ავისმქმნელს, „რომელთაც საუკუნო სასჯელი დავიწყებიათ“ და რომელთაც სიცოცხლე გაუმწარეს, ვერც ვერაფერი შეაგნებინა და ვერც ვერაფერი დააჯერებინა.

ასეთ მოშურნეთა და უსამართლოდ განმაქიქებელთა მოსაგერიებლად მოუხმობს ხოლმე გამსახურდია თავის „დიდ პაპას“ — საბა ორბელიანს და მისი სიბრძნით ინუგეშებს თავს: „შუი არს მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა“ (გამსახურდია, 1963, 551).

გარკვეულწილად, ამ დიდი მეიგავის შემოქმედების ანარეკლად გვესახება გამსახურდიასეული იგავური თხრობანი, როდესაც იგი, მსგავსად ორბელიანისა, შეფარულ სათქმელს იგავებით გვიმელავნებს; ეს იგავებია: „მელა და აქლემი“, „ძალი“, „ბუ და არწივი“, „ჯავშნოსანი და გულურა“, „ბაგრატ მეფე და მეწისქვილე“, „უნებლიე ქურდი“, „ჭადარი და კაკალი“, „გულუბრყვილო სპილო“.

არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ საბა ორბელიანისა და კონსტანტინე გამსახურდიას იგავებში მრავალი საერთო პერსონაჟია: მელა, ტურა, აქლემი, ძალი, მეფე, გლეხი, ქურდი, ბრმა... აგრეთვე, თვალხილული, მტირალი და მოცინარი; ზოგი ფრაზაც კი იდენტური აქვთ:

საბა ორბელიანი: „მწვევრებმან ისე გახადეს, ძვალი და რბილი გაუერთეს“ („მოძღვარი მელი“).

კ. გამსახურდია: „აქლემმა წიხლი მიაყოლა და ძვლები ჩაუმტვრია ტრაბახას“ („მელა და აქლემი“).

საბა ორბელიანი: „ერთი მელი დაცანცარებდა („მოძღვარი მელი“).

კ. გამსახურდია: „ერთი მშიერი მელა ამოცუნცულდა სერზე“ („მელა და აქლემი“).

ეპიკური ჟანრის ნაწარმოებებშიც ხშირად მიმართავს გამსახურდია იგავურ თხრობას; „მთვარის მოტაცებაში“ ლუკაია ქართულად უყვება თარაშს მეგრულ იგავს თერთმეტი ბრმისა და ერთი კოჭლი თვალხილულის შესახებ:

„თორმეტი კაცი მდგარა თურმე ერთ ძალად, ძლიერ ძალად ხის ქვეშ. მათ შორის თეთრმეტი ბრმა ყოფილაო. და ამ ერთმა თვალხილულმა შეამჩნია, ზეთავზე ცისფერი ფრინველი იჯდა, ტურფა რამ ნისკარტით მოსილი. სახილველად საამური იყო ფრინველი იგი, მაგრამ დანარჩენნი ვერ ხედავდნენ მშვენებას მისას.

თვალხილული აღუტაცნია შეპყრობის წადილს, მაგრამ ვაგლახად კოჭლი ყოფილა კაცი იგი დედის საშოდანვე...

და როცა კაცი კაცზე შეაყენა თვალხილულმა, მეთერთმეტეს ფეხზე შეადგა ფეხი...

წაიქცა მაშინ განგებისად კაცი იგი უკანასკნელი... და ხელშეუვლები გაფრინდა თურმე უცხო იგი ფრინველი“ (გამსახურდია, 1958, 214).

ცხადზე ცხადია, რომ ამ იგავის გამსახურდიასეული ტექსტი საბა ორბელიანის ენობრივ თარგზუა მორგებული; წინადადების კონსტრუქცია, სიტყვათა განლაგება თუ სინტაგმათა სტილიზებული არქაული ელფერი სწორედაც რომ საბა ორბელიანისეულია:

წაიქცა მაშინ განგებისად კაცი იგი უკანასკნელი; კაცი კაცზე შეაყენა თვალხილულმან;

თვალხილული აღუტაცნია იმა ფრინველის შეპყრობის წადილს; ხელშეუხები გაფრინდა თურმე უცხო იგი ფრინველი; სახილველად საამური იყო ფრინველი იგი... ტურფა რამ ნისკარტიით მოსილი.

საბა ორბელიანთან მიახლების მაუწყებელია აგრეთვე კონსტანტინე გამსახურდიას ერთ-ერთი ბრწყინვალე ნოველა-იგავის სათაური „სიბრძნე სიცრუისა“. გამსახურდია ზომ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ნაწარმოების სათაურის შერჩევას. მისი თქმით, „სათაური იგივეა, რაც თვალი ადამიანისა, ან სარკმელი კაცთა სამყოფლოსი... უთუოდ სათაურია პირველი ღვრიტა შემოქმედისა... სათაური ჰგავს მეომრის მიერ პირველ მოქნევას ხმლისას“... ყოველივე ეს მაფიქრებინაო საბა ორბელიანის იგავების წიგნის სათაურმა – „სიბრძნე სიცრუისა“: „მსოფლიო ნოველისტიკაში მე სულ რამდენიმე წიგნი მეგულება ისეთი, რომელთაც ეგ ზომ ბრწყინვალე სათაური ჰქონდესო“ (გამსახურდია, 1963, 146). „მე თვითონაც ქვეშეცნულად ვწერ და მეტწილად სათაურიდან გამოვდივარო (გამსახურდია, 1963, 517).

მიუხედავად სათაურისადმი ასეთი შემოქმედებითი მიდგომისა, გამსახურდიამ საბა ორბელიანის გავლენით შეურჩია თავის იგავ-ნოველას „ეგ ზომ ბრწყინვალე სათაური“ – „სიბრძნე სიცრუისა“, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის უდიდეს პატივისცემას ამ მართლაც იგავმიწვდომელი მეიგავის შემკვიდრობისადმი.

ნიშანდობლივია, რომ ეს მშვენიერი ეპითეტი – „იგავმიწვდომელი“ – მწერლისეული სიტყვათქმნადობის ნაყოფია. სწორედ გამსახურდიას იგავ-ნოველა „სიბრძნე სიცრუისაში“ გვხვდება პირველად ეს სიტყვა, როგორც საბა ორბელიანის სიტყვიერების ანარეკლი: „იგავმიწვდომელი მშვენება წარმოუღვა თვალწინ მხატვარს (გამსახურდია, 1992, 240).

ეს ნოველა 1929 წელსაა დაწერილი და ამის შემდგომ არც თუ იშვიათად იყენებს მწერალი თავის სიტყვიერებაში ამ კომპოზი-

ტის პარალელურ ფორმებს: **იგავმიუწვდომელი / აგავმიუწვდენელი**, რომლებიც „მთვარის მოტაცებაშიც“ პოვნირდება:

**იგავმიუწვდომელის** ხელოვნებით იყო ვინაიეტები შესრულებული (445). შევცქერი ამ მთებს... ამ **იგავმიუწვდენელ** საოცრების კიდევან მღგარი (538). ახლა უფრო დაკვირვებით ვათვალიერებ ქორა მახვმს... **იგავმიუწვდენელი** დიდებულება გამოკრთოდა მის პატრიარქალურ წვერებსა და მელიდურ გარეგნობაში (5260. ქსნის ციხე მოგავონდებოდათ შესანიშნავი, შეუღარებელი მუცო, **იგავმიუწვდენელი** თმოგვის ციხე (296).

დასახელებული ნიმუშები სავსებით მიესადაგება თვით გამსახურდიასეულ განმარტებას: **იგავმიუწვდენელი** – ზღაპრული, გასაოცარი, უბადლო და სხვა.

საერთოდაც, გამსახურდია ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ უწოდებს „იგავების წიგნს“ და არა იგავ-არაკებისას (გამსახურდია, 1963, 146). ამიტომაცაა, რომ ქართულ იგავ ლექსებაზე დაყრდნობით შექმნა საოცრად ტევადი სიტყვა **იგავმიუწვდენელი**. ამასთანავე, ცხადია, იცოდა საბასეული განმარტება: არაკი სომხურად იგავსა ჰქვიან.

აქვე დანანებით დავძენთ, რომ გამსახურდიასეული ეს მშვენიერი ლექსიკური ერთეული – **იგავმიუწვდომელი / იგავმიუწვდენელი** – შეტანილი არ არის დღემდე გამოცემულ ლექსიკონებში. სიტყვის უგზო-უკვლოდ მაძიებელთკი, „რა შემოაკლდეთ ქართული“, გამსახურდია თავის „დიდ პაპასთან“ აგზაენის: „საბა ორბელიანში მაინც ჩაიხეღონ ამ დალოცვილებმაო“ (გამსახურდია, 1963, 585).

კონსტანტინე გამსახურდიამ შეიმუშავა და ჩამოაყალიბა მტკიცე ენობრივი პოზიცია, რომელიც საკუთარი თვალსაწიერის ჯარდაკში გაატარა და რომლისთვისაც, მიუხედავად სამართლიანი თუ უსამართლო შემოტევებისა, არასოდეს უღალატნია; ამ საკითხში მტკიცე იყო შეუვალი; თვითონაც აღაირებს: „აქაც დიდი შრომის გაწევა დამჭირვებია“-ო (გამსახურდია, 1963, 522).

კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრული მეტყველებისათვის ნიშანდობლივია ხაზგასმული სტილიზაცია (ჯორბენაძე, 1987, 158), რითაც იგი მოგვავაონებს ვასილ ბარნოვის თხზულებათა ენის სტილს და ენათესავება საბა ორბელიანის იგავების სინტაქსს. როგორც ორბელიანთან, ისე გამსახურდიასთან ხშირია სპეციფიკური კონსტრუქციის წინადადებები, სადაც დარღვეულია ერთგვარ მთავარ

წვერთა ჩვეული განლაგება. ასეთ შემთხვევაში ერთ-ერთი მთავარი წვერი — შემასმენელი, ან ქვემდებარე ან პირმიმართი დამატება — განთესილი ანუ განმხოლოებულია; ამასთანავე ასეთი განთესილი წვერი ინარჩუნებს მთავარი წვერის ფუნქციასაც და სინტაქსურ კავშირსაც ზმნა-შემასმენელთან. ასე რომ, ეს განთესილი წვერი მაინც არის წინადადების კონსტრუქციის ორგანული შემადგენელი; ასეთი კონსტრუქციის წინადადებები არქაული ელფერის მატარებელია, თუმცა „მთვარის მოტაცების“ შინაარსობლივი და ენობრივი ქსოვილი სრულიადაც არ საჭიროებს თხრობის არქაულ სტილს.

გთავაზობთ სათანადო ნიმუშებს საბა ორბელიანის იგავებიდან და კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებიდან“.

### განმხოლოებულია შემასმენელი

ორბელიანი: იამა მეფესა ესრეთ სიტყვატკბილობა მისი და უხაროდა (29).

ეხვეწებოდა ყადი და ეფიცებოდა (44).

გამსახურდია: კაც ზვამბიამ ისევ გაავსო მათარა და გაუწოდა (23). მოიხსნა კისრიდან ყაბალახი და გაუწოდა (25). აიმღვრეოდა ვაჟკაცი და გახელდებოდა (226).

### განმხოლოებულია შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი

ორბელიანი: შენი ხორცი ვარ და ლეონის გაზრდილი (71). შენ ხომ კაცი ხარ და მეფის წინ აღზრდილი (1630). მხედარი არა ხარ და მშვილდოსანი (26). ეგ კაცი ის მელი არის და ბევრგან ნავალი (27). ბოლოს სამსალა არის და საწყენი (52). ბედნიერმცა არს ძე შენი ესე და კურთხეული (10).

გამსახურდია: ეს ხმა საშინელია და აუტანელი (656). ამაზრზენია და საოცარი აზარი (117). ეს ცხოვრება უარზაყანოდ თოვლივით მძიმეა და მუხლის მომჭრელი (607). ყვითელი კანი ალაგალაგ უხოძოდ შემჭკნარია და უსიცოცხლო (32). მოშვებული ფრჩხილები ბებერი მამლის დეზებივით ყვითელი იყო და გაკაჟებული (170). ვაჟის მამა იყო და მთელს აფხაზეთში სახელგანთქმული მხედარი (10). ეს ყოველივე მისთვის უცნაური იყო და გაუგებარი (48). კაც კარგი მსმელი

იყო და ფრიად დარბაისელი თამადა (52). მასავით საუკეთესო იყო და უმშვენიერესი თავის ჯიშში (124). თამარი საყვარელი იყო და ძვირფასი (374). გველების შემლოცველი ყოფილა ზოსიმია და ქვეწარმავალთა გულის მესაიდუმლე (263).

### განმხილვადია ქვემდებარე

**ორბელანი:** წვიმა არ არის და თოვლი (14). ყვავილნი იყვნეს და ხენი თვალისანი (9). ენება ხილვა ჩემი და შეგონება (380). ათი კაცი სხვა მხარშეკრული იღვა და ნაძარცვი აუარებელი (110).

**გამსახურდია:** სპარსები უმღეროდნენ ბულბულებს და ქართველი პოეტები (38). მდინარის ღამეული შუილი მოისმის შორიდან და ჭოტის მარტოხელა ძახილი (110). წყლის ქშუილი მოისმოდა შორიდან და ბაყაყების ყიპყიპი (261). ბალში ღამეა და მთვარე (113). რესტორანში ჭიქების წკრიალი ისმოდა და ხმადაბალი საუბარი (269). ძაღლების რულმოსული ყეფა შემოდოდა ფანჯრებიდან და მარტოხელა ჭოტის ძახილი (476). სანთელჩამოღვენილი შანდლები ზედ იდგა და მწერებისაგან მთლად წაბილწული ვაზები (400). დღე დამდგარა რისხვისა და ზარი საშინელი (703). გარედან ღაღღას ჭყვიპინი ისმოდა და ბაყაყების ხორალური მოთქმა (715). კალას ციხე გადმოსცქერის ქალაქს და შესანიშნავი შურის ციხე (386). არზაყანს სისხლით გავსილი დევის ქვაბი დაუდგა თვალწინ და წითელ მორევში მცურავი ცალი თვალის მზედაკრული ციმციმი (659). ყავისფერი პიჯაკი ტანთ ეცვა და ჭრელი შარვალი (142). მალაღურისფერი ახალოხი ეცვა ამ ჭაბუკს და ლურჯი ჩოხა (2170). თავისფერი ჩოხა ეცვა ჯვებეს და კომშისფერი ახალოხი (217). ლალი, სწორი შუბლი ამშვენებდა მას და გორგასალის შვილდევით გადრეკილი შავი წარბები (218). ტუტისფერი წვერი მოსავდა და მოშავაო ულვაში (217). მას ფისის ფერი თმები ჰქონდა და მზეში გარუჯული სახე (217). თეთრი ბატისტის ქვედაკაბა უჩანდა და მუხლის თავებთან გვირილასავით თეთრი აფურები (200). ტრიამელ ველებზე კანტიკუნტად გამდგარი ლიბანის

ნამკვები თუ ეუცხოვებიან თვალს და ლაჟვარდისფერი ტბები (296). სიზმარში ნანახი ფერმკრთალი სახე მოაგონდა და მიწისფერი წვერი (658). ღურბელისაგან კისერგამოღადრული ჯამლეთ ტარბა მოაგონდა და მისი ძმის შავი ფაფახი (547). ეგების დედა ღამესიზმროს და ჩვენი მთები (294).

### განმხოლოებულია პირმიმართი დამატება

**ორბელიანი:** აბანოში შესვლა მოინება და ზეთების სამკურნალოდ ნაცემთა დაზელა (430). თავის ბელლიდამ ამოღება იწყო და პატრონისა ბელელსა ჩაყრა (15). ფული მიეცა და ტაძრად დაყოვნება (22). ერთი სარტყელი აიღო და ერთი საპერანგე (69).

**გამსახურდია:** შუაში კუბო დასვენეს და ცხედრის ნიშანი (661). ცხვრის ტყავი მოუტანა და გაზინთული მუთაქა (265). წმინდა გიორგის ორივე ორდენი უჩვენა მინისტრს და სამსახურის ბარათი (75). უნტერ დენ-ლინდერის ცაცხვებს ეალერსებოდა მისი მზერა მუდამ და პარიზულ ჭადრებს (549). მისი ფიქრი მოხუცებულ მამიდას მისწვდა და ლანდალქცულ თავადს ფარჯანიანს (459).

როგორც ვხედავთ, დასახელებულ მაგალითებში „და“ კავშირი გამოიხატავს და განამხოლოებს ერთგვარ მთავარ წვერებს, თუმცა ზოგჯერ უკავშირო განმხოლოების ნიმუშებიც დასტურდება ორივე მწერალთან:

**ორბელიანი:** ერთი კივილი და კიჟინა შეიქმნა, თოფის სროლა და გრიალი (106). კითხა აშბავი მამისა მისისა, მისვლა და მოსვლა მისი (19).

**გამსახურდია:** მერმე დერეფნებში მოფუსფუსე თეთრხალათიანები მოიგონა, ხელგათხუნილი ორდინატორები და ექიმები, ხლოროფორმისა და იადაფონის სუნი (696). ექიმბშიც იგი იყო, ბალახებით მკურნალი, შესანიშნავი დასტაქარი და შემლოცველი (682).

„და“ კავშირიანი სპეციფიკური კონსტრუქცია დამახასიათებელია ვასილ ბარნოვის ენისათვისაც (კვაჭაძე, 2010, 26ა; 273; 318) :

მიიმღეროდა ელიზბარი ნელის ხმით და მიდიოდა. უბრალო საქმეს მოჯამაგირე აკეთებდა და დედააკაცი. მშვენიერი იყო ბუნება და მომზიბლავი. ეს წუთი მძიმე იყო მისთვის, აუტანელი. ისინი ყოველთვის სუფთად იყვნენ ჩაცმულნი და კოხტად.

დასახელებული კონსტრუქციის წინადადებებზე დაკვირვება მიგვიჩვენებს, რომ განმხოლოებული წევრები ინარჩუნებენ თავიანთ ფუნქციასა და სინტაქსურ კავშირს. ამასთანავე, ასეთ კონსტრუქციაში ვლინდება „და“ კავშირის ორმაგი სინტაქსური უნარი: იგი თან გამოიჯნავს და განამხოლოებს ერთგვარ წევრს და თანაც იმავედროულად აკავშირებს მას დანარჩენ წევრებთან, იწვევს წევრთა თავისებურ განლაგებას და ქმნის წინადადების სპეციფიკურ კონსტრუქციას (ჭიკაძე, 2008, 176-177). აქვე იკვეთება ქართული ზმნა-შემასმენლის პრედიკატულობის უსაზღვრო შესაძლებლობანი, მისი ვრცელი სინტაგმატური ველი.

ის ფაქტი, რომ წინადადების ასეთ კონსტრუქციას იყენებენ ქართული მწერლობის კლასიკოსები: საბა ორბელიანი, ვასილ ბარნოვი და კონსტანტინე გამსახურდია, ეჭვს ქვეშ აყენებს ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებას წარმოდგენილი კონსტრუქციის არაქართული წარმომავლობის შესახებ. სამივე მწერლის ენობრივი შემკვიდრება გვარწმუნებს, რომ დისტანციურად განთესილწევრიანი კონსტრუქციის წინადადებათა ჩამოყალიბების პროცესი ქართული ენის წიაღში უნდა ვეძიოთ. თუმცა ამ შემთხვევაშიც არ უნდა გამოირიცხოს მწერლის ინდივიდუალური სტილის გამოვლენის ფაქტორიც. თუ რაოდენ დიდი სიფრთხილე მართებს მწერალს ენობრივი ნორმების დაცვასთან მიმართებაში, ამის თაობაზე თვით კონსტანტინე გამსახურდია გვაფრთხილებს: მწერალი არ უნდა შეეცადოს აწ უკვე დადგენილი და განმტკიცებული ქართული სინტაქსის შეცვლას (გამსახურდია, 1961, 956). ამიტომაც სამართლიანადაა აღიარებული, რომ „სინტაქსის თვალსაზრისით კ. გამსახურდიამ, მართლაც, გამოიმუშავა სპეციფიკური კონსტრუქციები სიტყვათშეზამებისა თუ სიტყვათა რიგის საფუძველზე, რომელთაგან ზოგმა საყოველთაო გავრცელება ჰპოვა (ჯორბენაძე, 1987, 147).

გამსახურდია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ფრაზის ეკონომიურობასა და სინტაქსური წყობის დახვეწას. თავისი პოეტური შემოქმედება მას ესახება პროზაში გრძელი სიტყვის მოკლედ თქმის წინაპირობად: „ლექსი უწინარეს ყოვლისა სიტყვის ეკონომიას აჩვევს მწერალს... ასე რომ ჩემი ლექსები და პოემები მე ჩავთვალე როგორც წინასწარი ვარჯიშობა, ნოველებისა და ეპიური ქმნილებებისათვის გაწეული“ (გამსახურდია, 1967, 891). ყოველივე ამან განაპირობა კონსტანტინე გამსახურდიას თხრობის ხაზგასმული დინამიურობა, რიტმულობა და ფრაზის ეკონომიურობა. მიუხედავად იმისა, რომ საოცრად მდიდარია მწერლის ლექსიკა, მისთვის სიტყვის ეკონომიურობა უმთავრესი ღირებულებაა. აი, როგორ მოუხიბლავს იგი ძველ ქართულში ნაპოვნ სიტყვას — „ზღვისპირელი“: „ჩვენს წინაშე ძევს აკად. ა. შანიძის მიერ გამოცემული „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით“. ამ ძველში ვიპოვე ამას წინად ასეთი ძვირფასი სიტყვა „ზღვისპირელი“ ე. ი. კაცი, რომელსაც ზღვის ნაპირზე უცხოვრია“; ამ სიტყვაში ესოდენ ლაკონურად და შეკუმშულად დაუნჯებული ტვეადი მნიშვნელობით აღფრთოვანებული მწერალი შესძახებს: „რამდენი სიტყვის ეკონომია!“ (გამსახურდია, 1963, 593). ნიშანდობლივია, რომ უმდიდრესი სიტყვიერი მარაგის მქონე კონსტანტინე გამსახურდია ასე ძალუმაღ ისწრაფვის ფრაზის მაქსიმალური ეკონომიურობისაკენ. მწერლის თითოეული სიტყვა თუ ფრაზა ჭედურსიტყვაობითაა აღბეჭდილი, რაც გარკვეულწილად საბა ორბელიანის ენობრივი მემკვიდრეობის გამოძახილად გვესახება.

ამრიგად, კონსტანტინე გამსახურდიას პროზაში საკმარისად გამოქვანდა საბა ორბელიანის შემოქმედებითი და ენობრივი მემკვიდრეობის კვალი; კერძოდ:

გამსახურდიასაც უყვარს იგავური თხრობა;

მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში ხშირად იყენებს ორბელიანის იგავებს;

თვითონაც თხზავს იგავებს;

ერთ-ერთ ნოველა-იგავს სათაურად მისცა „სიბრძნე აცრუისა“;

ლექსემა „იგავი“ დაედო საფუძვლად გამსახურდიასეული სიტყვათქმნადობის მშენიერ ნიმუშს – „იგავიუწვდომელი“;

ამასთანავე, გამსახურდიასათვის მისაღებია „იგავი“ და არა „იგავ-არაკი“, საბა ორბელიანი და არა სულხან-საბა ორბელიანი.

კონსტანტინე გამსახურდიას შეფასებით, „საბა ორბელიანმა, ამ დიდმა მამულიშვილმა და სახელმწიფო კაცმა, ჭეშმარიტად „მამამ სამშობლოსამ“, პირადული გენიით ძალმოცემულმან, მეთვისმეტე საუკუნის ფრანგი ენციკლოპედისტების ბადალმა მწერალმა, შესძლო კვლავ გაეხსნა დაშრეტამდე მიმდგარი წყაროსთვალი ქართული სიტყვისა (გამსახურდია, 1967, 213).

და კონსტანტინე გამსახურდიასაც, საბა ორბელიანის უშრეტო სიტყვიერების მეგვიდრეობით ძალმოცემულმა, დიდებულად გააბრწყინა წყაროსთვალი ქართული სიტყვისა და თავისი შემოქმედებითი ნააზრევით „გულგრილად ვერ ჩაუარა საბას წმინდა სახელს“.

### ლიტერატურა

კ. გამსახურდია, „მოვარის მოტაცება“, რჩეული თხზულებანი, ტ. I, 1958.

კ. გამსახურდია, „დიონისოს ღიმილის“ მეორედ გამოცემის გამო, რჩეული თხზულებანი, ტ. V, 1961.

კ. გამსახურდია, როგორ ვწერ, რჩეული თხზულებანი, ტ. VI, 1963.

კ. გამსახურდია, In Memoriam Saba Orbeliani, რჩეული თხზულებანი, ტ. VI, 1963.

კ. გამსახურდია, ქართული ენის მეურნეობისათვის, რჩეული თხზულებანი, ტ. VI, 1963.

კ. გამსახურდია, რვატომეულის გამოცემის გამო, რჩეული თხზულებანი, ტ. VIII, 1967.

კ. გამსახურდია, სალიტერატურო ქართულისათვის, რჩეული თხზულებანი, ტ. VIII, 1967.

კ. გამსახურდია, სიბრძნე სიცრუისა, თხზულებანი ოც ტომად, ტ. I, 1992.

ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „ცოტნე“, თბ., 2010.

ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I. 1959.

რ. ჭიკაძე, წინადადების ერთგვარ მთავარ წევრთა განმხოლოების შემთხვევები სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“ ენაში, თესაუ სამეცნ. შრომების კრებული, 2, 2008.

ბ. ჯორბენაძე, კონსტანტინე გამსახურდიას ქართული, ბალავარი მწერლობისა, თბ. 1987.

## რევაზ ინანიშვილის სიტყვიერი სამყარო

1986 წელს გამოვიდა რევაზ ინანიშვილის მოთხრობების კრებული — „ალერსი შიშინანობის დროს“<sup>3</sup>, რომლის ავტორისეულ წანამძღვარში მწერალი იხსენებს დიალოგს „ერთ განსწავლულ კაცთან“: „აი, ამ დღეებში გამაჩერა ერთმა განსწავლულმა კაცმა და ვითომდა მხოლოდ ზუმრობით მკითხა: — რა ქართული ორლობების ქება ავიტყდა, კაცო, ამ გაგანია კოსმოსის ათვისების ეპოქაშიო. მეც ვითომ ზუმრობითვე მივუგე: — ეგ შიშიდან მოდის, მეშინია, შენ, რომელსაც გგონია, შენი მიზნებისათვის საჭირო რაღაც მაინცა და მაინც ცხრა მთისა და ცხრა ზღვის გადაღმა მოიძიება, ძირსდაუხედავად არ გადათელო შენს წინ არსებული სიცოცხლეები და მშვენიერებანი მეთქი. მაგრამ ამ კაცის კითხვა თავს მაინც აღარ მანებებს არსად, და იძულებული ვარ, ღიდი ხნის წინათ დაწერილი მოთხრობებიც კი შევამოწმო მისი თვალსაწივრის შუქზე“.

რევაზ ინანიშვილის მთელი შემოქმედება გამონათებაა „სულის შუქისა“, „ადამიანების სულებს რომ არ აებნეთ გზა“ (19) და ძირდაუხედავად არ გადათელონ მათ წინ არსებული სიცოცხლეები და მშვენიერებანი (4).

ამ სულის შუქის ერთ-ერთი გზამკვლევი სწორედაც რომ ინანიშვილის მადლიანი ქართულია, რითაც მწერალს შეეკავართ მშობლიური ენის უკიდევანო წიაღში. ამ წიაღის საგანძურს გვაზიარა მისმა მოთხრობებმა, სადაც ზეიმობს გიორგი ლეონიძისეული „მუხლადი, ბელაური, მაძლარი“ სიტყვა და რევაზ ინანიშვილისეული „ორლობების ქართული“ — მშვენიერი ქართული, გაჯერებული ხალხური ენის უშრეტეი საგანძურით.

რევაზ ინანიშვილის პროზის ენის უმთავრესი მასაზრდოებელი წყაროა ხალხური სასაუბრო მეტყველება, საიდანაც გამოაბრწყინა მრავალი სიტყვიერი მარგალიტი. რად ღირს თუნდაც უცხოენოვანი

<sup>3</sup> რევაზ ინანიშვილი, მოთხრობების კრებული „ალერსი შიშინანობის დროს“, თბ., 1986.

„შპალის“ სანაცვლოდ ხალხში ნაპოვნი სიტყვა „განძელი“, რომელსაც არ იცნობს დღემდე არსებული არც ერთი ლექსიკონი და ამიტომაც მწერალი თვითონვე განმარტავს :

„სულ მახსოვს, როგორი თოვლითაც იყო წაფერფლილი მაშინ ეს მაზუთიანი ხრეში და განძელები.

– რეები?

– განძელები. შპალი განძელია ქართულად“ (42).

ინანიშვილისათვის თანაბრად ძვირფასია ისეთი ლექსიკური ერთეულიც, რომელიც თუმცა გვხვდება სალიტერატურო ქართულში, მაგრამ სასაუბრო ენის ელფერი დაპკრავს; აქვე ყურადღებას იქცევს ტექსტში ჩართული მწერლისეული კომენტარი:

ერთთავად (ხომ ძალიან სწორად ვმეტყველებ?). ერთთავად თვალებს გარიდებს, მორცხვად იღიმება (12).

რევაზ ინანიშვილის პროზის ენობრივი სამყარო უაღრესად მდიდარია ხალხური ენიდან გამოზიდული ზმნური მარგალიტებით: დარდიანი კაცი ჩამოდრუბლულია, რადგან ცოლმა წამოუბოლა, იმან კი გულის გასაქარვებლად „სხვათა მოჯამაგიეორობისა“ ამოსევდა (სევდიანად იმღერა). დილა-სალამოს თუ გამოცოდვილდებოდა ხალხი გარეთ (23). მომეცი სახვევი, ცოტაც წავიცოდეილოთ (157). ვიღაცა მაინც შეცოდვილდება (77). დრეიძე გოდორს მხოლოდ ეფაცურებოდა (238). პატარძალი კი ხელსწრაფობს და თვალებს აფოფინებს; მაყვალამ ამომიფოფინა ის მაყვალივით თვალები (80). მოზვრები ...მიაშლუბუნებენ ტალახში ამოსერილ კუდებს (504).

რევაზ ინანიშვილი ერთგან წერს: „მთავარი მაინც სხვა არის, მთავარია, ადამიანებს რაც შეიძლება დიდხანს შეუუნარჩუნოთ სამყაროს საოცრება“... (209). განა სამყაროს საოცრება არ არის დახატული მწერლისეული სიტყვიერებით: მერე მუქად ჩაიტეტკებიან ის მწვერვალები (98). ამ ზმნის ღრმა და საოცრად ტყვადი მნიშვნელობის დაზუსტებაში ვერ დაგვეხმარა ვერც ერთი ლექსიკონი.

ნაირგვარია ამ სამყაროს წყალ-ჭალა და მისი კოლორიტის ამსახველი ლექსიკა; საამისოდ გთავაზობთ ფარგმენტებს მოთხრობიდან „გვალვის დასასრული“: „...ბალი ბალახსა და შამბს აევსო. შიგრომ შევედი, ჭყიმის წვერებს ხელი ვერ შევუწვდინე... სიბრალულით შევცქეროდი თითქოს საგანგებოდ დაღუმებულ ხეებს. ტემებს და ქლიავებს არ ესხათ, – ყინვამ ყვავილში მოუსწრო და მოფშრუკაო... სამაგიეროდ მსხალი და კეხურა ვაშლები სულ შეხორხლილი

იყო... პირველად ატყებმა მოიწყინეს, დაუსორსლდათ ფოთოლი...  
ლობიო ისე აიშრიტა, სამი მარცვალი ერთი მარცვლის წონა ვერ  
გამოვიდოდა... სიმიინდი დანლალებდა... ვინც მორწყა, იმათი ბოსნეუ-  
ლი უფრო მოიშუშაო"... (21-23).

ქართული ზმნა-შემასმენლის მყარი ფორმობრივი და მდიდარი  
სემანტიკური შესაძლებლობებია გამოშვეურებული გადინამიკურე-  
ბულ ნიშუშებში (ცხადია, ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობთ გრამა-  
ტიკულ სტატიკურობა-დინამიკურობას), ადამიანის მოძრაობა- მიმო-  
სვლაშივე რომ ჩატეულა მისი თვისება-ხასიათი: რთველში ავავსებ-  
დით კალათას, მოგვიბრწყინდებოდა ზურაბი (15). ბავშვები მხიარუ-  
ლად მიჭყაპუნობდნენ სველ შარაზე (59); თინა შინისკენ გამოჩქარ-  
და (161). (დალი)... თანაზომიერად მიატოკებდა ქვედატანის კუნთებს  
(54). ქალი ღონივრად მიიზნეჭავდა განიერ თუძოებს (530); შიშმი-  
ლით გადაოგნებული ძალლი უმწეოდ გამოიღრენდა ღობის იქიდან  
(75). სოფლის ორღობეებიდან და ტყრუშულებს ზემოდან გადმოკის-  
კისდებიან პატარა გოგო ბიჭები (615); მანანამ ტოლჩით წყალი მო-  
აციმციმა (155).

კიდევ უფრო გამოკვეთილია ამ ზმნათა სემანტიკური ნიუან-  
სები, როცა მათ წინ უძღვის მიდის || წავიდა კომპონენტები: მიდის  
და მიაბოლებს (5040; ქალები მიდიან და ანანოზე მილაპარაკობენ  
(221); მივალ და მივლიღინებ (538). მოდიოდა და... სინათლის ზან-  
ზალაკებს მოაწკრიალებდა (151). მივლიოდი და მივახრაშუნებდი  
თოვლს (52); ზანტი ნაბიჯით ამოვლენ პატარა შავი ძროხები და  
თავ-თავიანთ ბაკებს მიაბლაღებენ (505). მიდიოდა ქალი და თან  
ლოქში ჩარჩენილ წყალს მიიღვრიდა (30). შემოვიდა, შემობნელდა  
(233). თოფი იღლიაში ამოვიდე და წავედი, წავხმაურდი გაყინულ  
თოვლზე (52); წავიღნენ, წაწკრიალდნენ სალამოს სიჩუქემში (101);  
წავიდა იოსება, წააბუქა ჩექმებით თოვლი (46).

მწერალი ხშირად მიმართავს ზმნური სინონიმური პარალე-  
ლიზმის ზერხს, სადაც ერთ-ერთი კომპონენტი სასაუბრო ენის კუთ-  
ვნილებაა:

ბიჭები გორავენ და ბულრაობენ (506); წუხელ ორივენი ვაბა-  
ნავე, დავღვრიჭვე (138). (ბოსტანი) ...გათოხნეს, გაამარმარეს (135);  
წამოვუარე ხვეს ზემოდან, ჩავედი, ჩავიდაბლუ (189); ეს ზამთარიც  
გაიბა, გაიბორჯღლა (10); მივდექი იმ ბალახსა და შამბს, ძირისძი-  
რობამდე გავცელე, გავაშინდაკე (22); დატბორდა, დამორევა დაბ-

ლობი (25). მერე ამინდი უცებ აცივდა, გაცრიატდა (29); ღავისკენები ცოტას, ვიმარტოვებდი უფრო მეტად (53); ტკბილად უბლობით და ტკბილად ურუკრუკეთ ჩემს ბაკაკუნასა (86); გივო იცინის, იცინის, კუჭკუჭებს გემრიელად (122), (გივომ) ჩაბედა შიგნით, ჩაიკოხა (111). (მაგდა) მიდიოდა, მიხუსხუსებდა (548); წაელენ, წასავსავლებიან (538). მოდიან, მოკიჟინებენ მარეკები, მოისვრიან მსროლებები (134). (თინა) ვაზის ძირში მიჯდა, მიიყუნჭა (154). რალაცა აფაჩუნდა, რალაცა აბლარჯუნდა (259). ჩალეწა, ფუნჩი, ჩაზეკა, ჩაანადგურა (239). მარტო ის ჩემი საწყალი მაზლი გამტვერდა და განაივდა უშვილძიროდ (236). რისთვის ვიწვალე და ვიშაეღღევე (237); შეჭამე ეგ კერძი, გაიყინა და გალელეჩდა (212).

რევაზ ინანიშვილის ენობრივი სტილისათვის დამახასიათებელია წინადადებაში ერთი და იმავე ზმნა-შემასმენელების თანამიმდევრული გამოხატვა, რითაც აღწევს თხრობის დინამიურობას, გადმოგვცემს მოქმედების ინტენსივობას და ახლოს დგას ქართული ხალხური ზღაპრების ენასთან: ვტირი, ვტირი, სუ ხორცებს ვიჩქლეთავ (223); მარეხი კი იცინის, იცინის (8); მაინც არ მეძინებოდა და არ მეძინებოდა (14). თოვა კი მალღდება და მატულობს, მატულობს (20); დაუშინეს და დაუშინეს ცივს იქიდან რაკეტები (24); (ღრუბელი)... წამოვიდა და წამოვიდა (24); ბნელში იელვა და იჭექა, იელვა და იჭექა (25); ბოლოს დაუშვა თანაბრად და ისე იწვიმა და იწვიმა, იწვიმა მთელ იმ საღამოს (25); აცივდა და აცივდა (29); მზე მომძლავრდა და მომძლავრდა (27); ის ნათელი იზრდებოდა და იზრდებოდა (46); მოულოდნელად ბნელდება და ბნელდება (58); ისევ დამკრა სასიამოვნო ყინვამ, ჩავისუნთქე და ჩავისუნთქე (51); იმუშავა, იმუშავა ქალმაც (28); ქალი მაინც ბარავდა და ბარავდა (28); თებროლე ...მოწიწვინდა და მოწიწვინდა ჯეჯილს (60); მსხლებსა და ვაშლებს... სცვიოდათ და სცვიოდათ დანაოჭებული, უმწითარი ნაყოფი (22).

რევაზ ინანიშვილის პროზის ენისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ზღაპრისეული თხრობის ჰიპერბოლური მანერა: „გადასწყვეტს თებრო: მოდი, ჩავიცვამ რკინის ქალაქებს, დავიჭერ ხელში რკინის ჯოხს, როგორმე მივალწევ მთლად უფროსებამდე და სულ წვრილად ვეტყვი ჩემს ამბავს" (11).

რევაზ ინანიშვილი უხვად იყენებს ხალხური ენის ფრაზეოლოგიას, რაც ავტორისეულ თუ პერსონაჟთა მეტყველებაში წარმო-

დგენილია არა როგორც დამოუკიდებელი და გაქვავებული იდიომები, არამედ ისინი მიჰყვებიან სასაუბრო ენის ბუნებრივ მდინარებას: „მორჩა ლელა სიმღერას; თვითონაც ამოიძრო სული და ჩვენც ამოგვაცარიელა სასულეთი (102); თებროს ურჩევნია მიწა გაუსკდეს და თან ჩაიტანოს (10); ის ქალი კიდევ... ჩვენა გვწყველის, ქვის ქვეშა გვსხამს ყველას (237); იწყველებოდა და რას იწყველებოდა ძალუაჩემი, კრამიტები ცახცახებდნენ სახურავზე. მთელ გვარს ჰკურულავდა. რანილა ვიყავით დარჩენილნი, ორად ორი კომლი, ამათაც ქვის ქვეშ გვიდებდა ბინას (249); მიწამ ჩაიტანა, კალომ ჩაფშენიჭა ჩემი სილამაზე (225); მლანძღეს, ჩამძღეს კუბოში და დამაყარეს მიწა (80); დავენაცვლე და დავეფერფლე მე ამას, წამლად დავენაყე და მალამოდ დავედე მე ამას (85); თოვდა რომ შინ დაბრუნდა, მაშინ ხომ სულ ნაპერწკლები აადინა ყველაფერს (201); შუქია იმათ გზაზე იყო გაგებული... აცილებდა ხან ერთს, ხან მეორეს (183); გაღურჯებული, ტურბდაკვანძული თოვლა კედელს მიეყუდა და დედას განუცხადა – ფეხმძიმედ ვარო. დედამ ქოქოლა მიაჯარა, – გაქრი, გაქრიო, აგე ის იქ და აქ შენ. თავში ქვა ირტყით და როგორც გინდოდეთ, ისე მოიქეციეთო (202); დავიხიე უკან, ვღგავარ გაქირზე, სიტყვას არ ვამბობ (141); მიმიხვდა, მაგრამ ისევ თავისხუა (261); გულად ამოვიღებთ, თუ ტყუილს ამბობო (259); მე კიდევ ჩამოვუშვი ღაბაბი (259); მე კი ვიჯექი, კბილებს კბილებზე ვაჭერდი (227); ჰკრეს ფხაჭი გოგომ და ლეგომ, სულ კეფაში ირტყამდნენ წიხლებს (129); ვკარი ფხაჭი (259); ისეთი ჭიბლაყი მიჭირა, გარეთ, ეზოში ამათხრევინა მიწა ცხვირით (142); გამიშალა შიგ ყბაში ისაკა მასწავლებელმა, წამავლო ქეჩოში, მიმიყვანა კართან და, რომ მკრა ჭიბლაყი, საბჭოს კედელთან გავიჭიმე დიკეულის ტყავით (258); როცა მხვდებოდა, ამკარად იმორცხვებდა, პირი გვერდზე მიჰქონდა (1410); მარეხიც, რომ იტყვიან, ცალი ფეხითღაა მასთან (10). მაღალი მეზობელი ხომ ნემსის ყუნწში აძვრენდა მაყრულ პირველს (50).

ზოგჯერ მწერალი ერთ სიტყვაში მოაქცევს მთელ ფრაზოლოგიურ ერთეულს: წუხდნენ და შენც შემოგაგულისჭირებდნენ (560); სამუდამოდ გაუუკულმართდა გული (10); შემომისხდნენ მამილები აქეთ-იქიდან, ჩამოუშვეს ღაბაბები და წამომიყვანეს ამ ფუძისჩამყრელაძაღლებულში (223). ახლა აქ გახდა საწვევლი და ჯოხასაღებელი (249).

რეკაზ ინანიშვილის თხრობის სტილი და ინტონაციური შეფერილობა ხალხური სასაუბრო ენის სიღრმესა და სილამაზეს გვაზიარებს: **ვნახოთ და გამოიარა „კოლგამ“** (246). **გაჭიმე-გაფხრიწე**, კოდი ლობიო სამი თუმანი ღირდა (238); ორი კოდი ძლივ გამოვიღოდა **გაჭიმე-გაფხრიწე...** (238).

რაც ჩემი ცოლი ვახდა, სახეში არ შეუხედინებია **ღვას, თავდაღუნული ღვას, დაღის და, თავდაღუნული დაღის** (247); (თებრო) **სწყველიდა, სწყველიდა** სულ წვეილ-წვეილად აწყობდა მიწაში ქუჩების ჩამბნელებლებს (10); ღუმელი... **ხურავს, ხურავს** ნიავი მიმიქანებს მინებს იქით კვამლს (20). **ხელის მტევანი ჰქონდა**, — დაიჭურდა აი ესე, ორი თითით, კაკალს ჩამოჰკრავდა კვესივით იმ მაგარ ხელის მტევანს და მოგვაწვდიდა გატეხილს.

**ეხლა ქვაბი და კარგი ცეცხილა**, — თქვა რაღაც ჩათქმული ღიმილით ნათელას მამამ, — **ქვაბი, ბლომად ხახვი, ბლომად წიწაკა, მერე კარგი ღვინო და...** (14).

**ჰა ნუ გემკვლელება!** (543).

მრავლადაა დალოცვისა და წყევლის ხალხური ფრაზეოლოგია:

**გამიმრავლდი და გამიხარდი, შვილო!** (122).

**შენ იკვნესე და იჭლექე!** (175).

ამრიგად, თვალის ერთი გადავლებითაც კი აშკარაა რეკაზ ინანიშვილის პროზის ენის უსაზღვრო სიმდიდრე, მისი სისხლხორცეული კავშირი ხალხურ სასაუბრო ენასთან. მწერლის თხრობის სტილი ლაღია და სავსებით თავისუფალი ყოველგვარი ხელოვნური და ღვარჯნილი ფორმებისა თუ კონსტრუქციებისაგან.

საერთოდ კი, ვისაც სურს, ეზიაროს რეკაზ ინანიშვილის სიტყვიერი სამყაროს მშვენიერებას, შეიგრძნოს მშობლიური წყალჭაღლის სურნელი, მისი მოთხრობები უნდა წაიკითხოს, როგორც თვითონ იტყვოდა, ჩაღრმავებით, დაგემოვნებით.

## მარტოობის პრობლემა გოდერძი ჩოხელის ნააზრევში

*„მარტოობა ფიქრის დედა“  
(გ. ჩოხელი)*

გოდერძი ჩოხელის შემოქმედება ადამიანთა მარტოობით გამო-  
წვეული უსაზღვრო სევდის ფილოსოფიური გააზრებაა; ამავე დროს  
თვითონვეა იმ ცხოვრებისეული ფილოსოფიის ნაწილი, რომელშიაც  
მარტოსულივით ცხოვრობს. მას ტანჯავს ფიქრი: „ამ ნისლივით  
მღვრიე საწუთროში რაც ხდება, რატომ ხდება, ან რაც არ ხდება,  
რატომ არ ხდება... ვისი გონით გონიერობს გონი“ („შემინახე, დე-  
დაო მიწავ!“).

გოდერძი ჩოხელისათვის შემოქმედებითი წვა არის ტანჯვის  
ტოლფასი. იგი მიმართავს მკითხველს: „ალბათ ვერ წარმოიდენ,  
როგორ ვიტანჯები: რომ არ დაეწერო, არ შემიძლია; არადა, რა და-  
ეწერო... ყველაფერზე მინდა ისე ვილაპარაკო, როგორც ვხედავ და  
როგორც განვიცდი“ („ადამიანთა სევდა“). ეს განცდა მწერლის  
შემოქმედებით ტანჯვას უტოლდება, სულს ნათელი ეფინება“ (კ. კა-  
პანელი, „სული და იდეა“, ფილოსოფიური შრომები, თბ., 1989,  
189). მწერლისათვის მთელი სამყარო, ცა და დედამიწა თუ გუდა-  
მაყარი ერთი დიდი წიგნია, დარდი, წუხილი, ტანჯვა... „ნაღვლიანი  
და სევდიანია კაცთა მოღვმა! სევდიანია და ცოდვიანია სულეთის  
ქვეყნისაკენ მიმავალი მათი გზა“ („გაცოცხლებული მიცვალებული“).

გოდერძი ჩოხელის აზრით, კაცთა მოღვმის უმთავრესი საწუ-  
ხარია მარტოობა: „საზარელია სიმარტოვის ჟამს საიდანღაც მონაქ-  
როლის ამოების ქარი“ („სიყვარულის ცეცხლი“). ეს „ამოების ქა-  
რი“ ქრის მარტოსული მწერლის ნაზრევში, რომელიც საკვებით  
ესადაგება მეოცე საუკუნის ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის  
კონსტანტინე კაპანელის მსოფლმხედველობას: „ქარი ქრის, წყალი  
მიდის, ბრუნავს უაზროდ წუთისოფელი. ეგრე იყო, ეგრე იქნება,  
მაგრამ რაც იყო, აღარ არის; რაც არის, აღარ განმეორდება“. იგი

მიმართავს ადამიანს: „ვრძნობ თუ არა, ადამიანო, სევდას მარტობისა და წარმავლობისა?“ და იქვე პასუხობს: „ეგრე იყოს, ეგრე იქნება“ (კ. კაპანელი, „სული და იდეა“, ფილოსოფიური შრომები, თბ., 1989, 173).

სავსებით ანალოგიურია ცხოვრების ამოებაზე დაფიქრებული შულლიანთ საბას „ფილოსოფია“:

„— აეგეთია ეს ცხოვრება! — ამბობს შულლიანთ საბა და ცოტა ღუმილის შემდეგ დაამატებს — მააშ! — მერე შემოგხედავს, თავიდან ფეხებამდე ჩაგათვალიერებს და შეგეკითხება:

— შენ რა იტყვი, ძმისწულო, ჰა?

— რაზე?

— ცხოვრებაზე.

— რა ვიცი, რა უნდა ვთქვა?

— ჰო, ჰო ვერაფერს ვერ იტყვი, ეგეთია ეს ცხოვრება, მაშ!  
— ბრძნულად დაასკვნის საბა და სევდიანად შეჰყურებს გუდამაყრის ხეობაში წამოყუდებულ უზარმაზარ მთებს, რომლებით ოთხივე მხარეს კეტავენ სივრცეს და მხოლოდ მათ შორის მოქცეული ზეცა გაფიქრებინებს, რომ მარტო ამ ვიწრო ხეობაში არ მთავრდება ყველაფერი...

— ეგეთია ეს ცხოვრება, მაშ! — ისე ამბობს ამას, ისეთ სევდას ამოაყოლებს ნათქვამს, გული ჩაგწყდება, ძალაუნებურად გაჩუმდები და შენც დაფიქრდები...

— ისე იწყება, შენ არავინ გეკითხება და ისე მთავრდება, არც მაშინ გეკითხება ვინმე რამეს“ („სულეთის კილობანი“).

მარტობა საკაცობრიო პრობლემაა; „სევდა შეიპარა კაცობრიობის სულში, სევდა მარტობისა და რღვევის“ (კ. კაპანელი, „ორგანოტროპიზმი“, ფილოსოფიური შრომები, თბ., 1989, 270). მარტობის მძლავრი განცდა გასდევს გოდერძი ჩოხელის მთელ შემოქმედებას, სადაც მარტოა ადამიანი, სოფელი, სახლი, ქვეყანა, მდინარე, მცენარე, ფრინველი, ცხოველი...

მოთხრობაში „წერილი ნაძვებს“ არის პატარა მონაკვეთი, რომელსაც ჰქვია „სიმარტოვე“. აქ აღწერილია მიტოვებული სოფელი, სადაც დამფრთხალი სიმარტოვე ნება-ნება მოიპარება და სადაც მამა-პაპურ კერას სიმარტოვეში გამომწყვდეული ბებია შერჩესია; ბებერ მუხაზე შემომჯდარი ბუიკოტი კი ერთგულად სდარაჯობს სოფლის სიმყუდროვეს.

მიტოვებული სოფლის სურათია დახატული მოთხრობაში „წერტილი და მძიმე“: „სამყაროს სამი იმედის ძაფით უკავშირდება ეს პატარა სოფელი — კვამლით, რომელიც მძიმე-მძიმედ მიიზღაზნება ცისკენ; ღამიანობით ფანჯრიდან გამოძკრთალი შუქით და ორი პატარა გოგოთი“.

არანაკლებ საზარელია სოფელში მიტოვებული სახლი, რომელიც ქმრისგან მიტოვებულ ქალსა ჰგავს, რადგან „გაუთხოვარი ქალი, სხვა აღამიანთან შედარებით, უფრო მარტოა ამ ქვეყნად, ამ ცის ქვეშ“:

„თითქოს მღერის მიტოვებული სახლი. არ ეძღერება, მაგრამ გულში მაინც მღერის. ეს სიმღერა სიმარტოვის სიმღერაა, ანდა მოლოდინის. ჰო, ჰო, უფრო მოლოდინის. მიტოვებული სახლი ზომ ქმრისგან მიტოვებულ ქალსა ჰგავს, ჩამოღამებულ, ხელ-მხარჩამოყრილ დარდიან ქალს, რომ არ ეკადრებოდა და მაინც მიატოვეს. უკაცობით ჩამოტყდა გულთაბოძი. როგორც სახლის გულთაბოძი ტყდება ხოლმე, ისე მიტოვებული ქალის გულთაბოძი ტყდება უკაცობით, მაგრამ გულისგულში მიტოვებული სახლის გულისგულიც მღერის მოლოდინის სიმღერას და მიტოვებული ქალისაც“ („დევეზის ნასოფლარი“).

მარტობაში გამომწყვდეული „გაგილაი უწილ-უკერძო კაცია, არც ცოლ-შვილი ჰყავს, არც ვინმე ისეთი ნათესავი, რომ მის მარტობაზე გული შესტიკოდეს... მარტო ცხოვრების უღლის ტარება უჭირს“. ერთადერთი სულიერი არსება მტრედია, რომელსაც „გაგილაი გვერდიდან არ შორდებოდა, რომ მტრედს სიმარტოვე არ ეგრძნო. ელაპარაკებოდა კიდევ ცხოვრების შესახებ, სიმარტოვისა და გაჭირვების შესახებ“.

ცხადია, მტრედიც ვერ ავსებდა გაგილაის სულიერ სიმარტოვეს და ზეცას ავედრებდა თავის სულს:

„— ცაო! ცაო! მაღალო ცაო! მოჭიკჭიკე ვარსკვლავნო; იცოდე, ცაო, ამ მიწაზე ისევ მარტო ვარ, — ერთი გაფრენა ღამრჩა შენამდე... მერე მოხუცს შეეშინდა, მართლა არ გაჰფრენოდა ცაში სული“ („საქორწინო მტრედი“).

აქ უნებურად გვახსენდება ერთი ფრაზა ფრანგი პოეტისა და ფილოსოფოსის პოლ ვალერიის ფილოსოფიური ტრაქტატიდან „სულის კრიზისი“: „ნუ დამტოვებ მარტო“, — უთხრა ჩემმა სულმა ჩემს სულს“ (პოლ ვალერი, „სულის კრიზისი“, თბ., 1993, 150).

ასევე მარტოა უპატრონო და მიტოვებული საფლავი: „ეს საფლავი ერთადერთია ამ არემარეში, უპატრონო, მიტოვებული და მიუსაფარი. არავინ იცის, ვისია ეს ძვლები, რა ერქვა ამათ პატრონს. ერთადერთი ისაა ცნობილი, რომ მგზავრი ყოფილა, ქვენამთის უღელტეხილიდან გადმოვარდნილა და მკვდარი სამადლოდ მიუბარებიან მიწისათვის. ეს ლოდი დაუდვიათ ზემოდან. ეს არის ერთადერთი საფლავის ლოდი ამ არემარეში. ლოდის ერთ კუთხეში მიწა გამოთხრილა და შიგნიდან ძვლები იშხირებიან გარეთ. იშხირებიან სევდიანად, გულის მომკვლელად, თითქოს რაღაცას ევედრებიან გარეთ მყოფთ, რაღაცას თხოვენ“ („ძვლების სევდა“).

განსაკუთრებით შესაბრალისია ჭირში მარტოდ დარჩენილი, მიუსაფარი ადამიანი: დაობლებული თადეოზი „მარტოკა თხრიდა მამის საფლავს... მარტომ მიაყარა მამას მიწა“ („სიკეთის კილობანი“).

მარტობა ფიზიკურადაც ანადგურებს ადამიანს. ასეთი ბედი ეწია ბებო სალომეს, როცა დედ-მამით ობოლს საბოლოო იმედიც გაუქრა და „მიწას ამოეფარა სიღო ბებო“.

„დარჩა ბებოს გოგო სამზეოზე;

მტირალი, ობოლი და სიყვარულ-გამქრალი.

უიღბლო.

უმწეო.

უნუგეშო.

მაგრამ ლამაზი – როგორც იის ფოთოლზე გამოძკრთალი დილის ცვარი...

თითქოს იმით იყარა ბედისწერის უსამართლობაზე ჯავრი, რომ თავისი სილამაზე დარდს შეაჭმევინა, სიმარტოვეს გამოახრევინა და ძაძებში ჩაკლა“ („ბებოს სალომე“).

ადამიანის მარტობას მხოლოდ ობლობა, უთვისტომობა, უმეზობლობა თუ უსოფლობა კი არ იწვევს, არამედ ადამიანი მარტოა მაშინაც, როცა ხალხით სავსე სოფელ-ქვეყანაში ცხოვრობს, მაგრამ ადამიანების თანადგომას ვერ გრძნობს. სწორედ ასეთ სიმარტოვეშია შუღლიანთ სება: „ადამიანი ხშირად ხალხშია, მაგრამ მაინც მარტოდ გრძნობს თავს“ („სიკეთის კილობანი“). სებამ გადაწყვიტა მუზეუმის დაარსება, მარტო დადიოდა და სამუზეუმე ნივთებს ეძებდა. მარტომ დაიწყო მუზეუმის მშენებლობა, მარტომ ააშენა და სარტომ გადახურა მუზეუმი. ხალხს ეხვეწებოდა, მოემხმარეთო, შთამომავლობას მუზეუმი მაინც დაუტოვოთო. მათგან კი დაცინვისა და ქი-

ლიკის მეტი ფერაფერი მიიღო: საიქიოშიც გვეყოფა მუზეუმში ყოფნაო: ვის რაში სჭირდება ეს შენი მუზეუმიო.

სება კი არ ტყდებოდა და ბრძნულად პასუხობდა: „წარსული რომ უფრო კარგად დაინახო, აწმყო ურცხვად არ უნდა შემოგვეყურებდეს ფანჯრებიდან“. სებამ ააშენა და მოაწყო მუზეუმი; მწერალი გვამცნობს: „თითქოს მთელი საქართველო ამ ერთ მუზეუმში იყო თავმოყრილი“, მაგრამ რას წარმოადგენს ეს მუზეუმ-საქართველო? მწერლისაკვე პასუხში უიმედობას დაუსადგურებია: — „თითქოს აქ იყო წარსული, უმოქმედო აწმყო და გაურკვეველი მომავალი“.

მარტოობის თანამდევია დარდი. შვილმკვდარი მარტია ბუბუნაური მარტია თავის დარდთან: „— რა გადარდებს? — ჰკითხა მარტიას.

— „მარტოობა მადარდებს“ („ადამიანთა სევდა“).

მარტოობას შეაფარა თავი ორთაბრძოლაში დამარცხებულმა, დარცხვნილმა და თავმოყვარეობაშელახულმა წითელმა ხარმა. თუმცა კი რაღა თავის შეფარება იყო, როცა მოსპო, გაანადგურა, ჩამოახმო, ჩონჩხად აქცია და სულ გააჭაღარავა დარდმა.

„მთელი სოფელი დაეძებდა გადაკარგულ ბოჩოლას. ბოლოს მიაგნეს მთლად გასაცოდავებულს.

— რა დაგემართა, შენ გენაცვალე, ბოჩოლ! — შესძახა ლუკამ.

— დარდს გაუჭაღარავებია, შვილო, ეგრე იცის დარდმა, — უთხრა ლუკას მონუცმა კაცმა.

წითელმა ხარმა, ახლა კი მთლად გაჭაღარავებულმა, ერთი ღრმად ამოიხუნეშა და უსულოდ ჩაესვენა თოვლში.

„— ხედავ, დარდს რა შეუძლია, კაცო, ჰა? — იძახდა ხალხი.

— საქონელს რას უქადის, კაცს რას უზამს“ („წითელი ხარი“).

ადამიანთა სევდის ავტორი დარდების შემგროვებელია; იგი გამიხარდაის პირით ამბობს: „— მე დარდებს ვაგროვებ, ხალხის დარდს ვაგროვებ, ვის რა უჭირს, ვის რა ადარდებს“.

მწერალი თავის გუდამაყრელ პერსონაჟებს მიმართავს ერთი და იმავე კითხვით — რა გადარდებს? ამ კითხვას იგი თავის თავსაც (ჩონხელი ვაჟი გიგი) უსვამს და გულგატიხილი პასუხობს:

— ის, რომ ხშირად ადამიანს ისე არ აფასებენ, როგორც უნდა აფასებდნენ.

სოფლის დეკანოზ ბიბლიას ხუთასოთახიანი სახლის აშენება მოუწადინებია, რომ მთელმა გუდამაყრელებმა შიგ ერთად იცხოვრონ; მარტოკა ამას ვერ შესძლებს და ის ადარდებს.

კვლავინდებურად გაისმის დაყინებული კითხვა — „რა გადარდებს?“, რაზედაც პასუხები ასეთია:

სამხარაული: — ძალიან მადარდებს გუდამაყრის მივარდნილობა.

ქიმბარი: — დასაწყისი სად არის, არ ვიცი.

გამიხარდაი: — მე, არაფერი... დარდებს ვაგროვებ. რაც რამ ქვეყანაზე დარდია, უნდა შევაგროვო და ღმერთთან წავიდე.

გარახტინაი: — ისა, რომ აღარაფრად გვაგდებენ ჩოხელებს.

ტაშვენტა: — ის მადარდებს, რომ ჩოხელებს დღეის მერე უპირატესობა გვეკარგება გუდამაყრის ხეობაში.

ბათილა ლიღიაური: — ის, რომ უწილ-უკერძოდ უნდა გადავიარო.

მარტია ბუბუნაური: — მარტოობა მადარდებს.

და მაინც, ყველაზე ტრაგიკული და შემზარავია ყველაფერზე ხელჩაქნეული კაცის უდარდელობა: — რა გადარდებს?

სებაი: — არაფერიც არ მადარდებს!

ასე რომ, გოდერძი ჩოხელის აზრით, ყველაზე დიდი დარდი მაინც მარტოობაა. ამ დარდიან მარტოობას მუდამ თან სდევს დიდი სევდა:

გოდერძი ჩოხელის ერთ-ერთი ბრწყინვალე რომანიც ხომ „ადამიანთა სევდაა“. მრავალგვარი დარდით და სევდითაა გაჯერებული მწერლის თხზულებები, სადაც დომინირებს ამოების სევდა, კაცობრიობის სევდა, შვილმკვდარი ქალის სევდა, გულის სევდა, ზამთრის ღამის სევდა, ობლობის სევდა, სიცოცხლის სევდა, სიკვდილის სევდა, ადამიანად ყოფნის სევდა, ადამიანად არყოფნის სევდა...

მის ნაწარმოებებში იმედიც კი სევდიანია, „დაჩოქილი მამა-შვილი თვალებში ჩამდგარი სევდიანი იმედით შეჰყურებდნენ ცისარტყელას“ („სიკეთის კიდობანი“).

გოდერძი ჩოხელის რომანი „ადამიანთა სევდა“ მთავრდება ადამიანის ყოფნა-არყოფნის მწერლისეული ფილოსოფიური საზრი-

სით: „ორი კითხვა მქონდა და ორ პასუხს ვეძებდი: რა არის სიცოცხლე? და – რა არის სიკვდილი?... გადაწყვეტილი მქონდა, ამ კითხვების პასუხებით დამემთავრებინა „ადამიანთა სევდა“, ვინაიდან „მხოლოდ ერთხელ მოდის სიცოცხლის საზეიმოდ ამ დედამიწაზე ადამიანი“ („გაცოცხლებული მიცვალებული“).

მწერალი ეძებდა სიკვდილ-სიცოცხლისა და ადამიანად ყოფნა-არყოფნის „მსოფლიო სევდის“ მარადიული პრობლემის პასუხს და იპოვა კიდევ:

„გუდამაყრელ მოლაშქრეთა ფილოსოფიის რვეულში ვნახე ქალღმრთის ნაგლეჯი, რომელზედაც მარტო ორი კითხვა და ორი პასუხი წერია; არც გვარია, არც სახელი, არც იმ სოფლის დასახელება, სადაც ეს არის ჩაწერილი, შუაში ვერსად ჩავსვი და ისეც ბოლოსათვის შემოვინახე:

– რა არის სიცოცხლე?

– სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა.

– სიკვდილი?

– სიკვდილი სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა“.

მწერლის ღრმა რწმენით ყველაფერი ღვთის ნებაა, ვინაიდან: „იყო ნება ღვთისა და არარაისაგან იქმნა რაობა. იყო ნება ღვთისა და რაობა იქცა არარაობად“ („შემინახე, დედაო, მიწა“).

რატომ არის გოდერძი ჩოხელი ასე ღრმად ჩაძირული დარღსა და სევდაში? – ალბათ იმიტომ, რომ „სევდა უფრო ინტიმურია, ვიდრე სიხარული“ (პოლ ვალერი, „სულის კრიზისი“, 1993, 150). ამასთანავე, ერთი შეხედვით „გაცვეთილი ფრაზა „მსოფლიო სევდა“ უფრო ღრმა ხასიათისაა, ვიდრე სიტყვიერების ოფიციალური ისტორიკოსები ფიქრობენ: მანფრედისა და ფაუსტის წუხილი, ჰამლეტის ტრაგედია, ბარათაშვილისა და ლეოპარდის სასოწარკვეთილება კაცობრიობის უკეთილშობილესი და უმშვენიერესი გრძნობის გამოხატულებაა“ (კ. კაპანელი, „სულ და იდეა“, ფილოსოფიური შრომები, თბ., 1989, 150).

ამრიგად, გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში გამჟღავნებულია მარტოობაში გამომწყვდეული ადამიანის უდიდესი ტრაგიზმი და სასოწარკვეთილება. ამასთანავე, მწერალი და მისი პერსონაჟები

კი არ გაურბიან მარტოობას, არამედ ისინი მასში არიან შენივთებულნი, მარტოობა მათი ყველაზე დიდი დარდი. ამიტომაცაა, კითხვაზე – რა გადარდებს? – თითოეულის პასუხი ერთია: მარტოობა მადარდებს.

### ლიტერატურა

- გ. ჩოხელი, „წითელი მგელი“, თბ., 2007.
- გ. ჩოხელი, „ადამიანთა სევდა“, შესულია კრებულში „წითელი მგელი“, თბ., 2007.
- გ. ჩოხელი, „სულეთის კილობანი“, მოთხრობების კრებული, თბ., 2001.
- კ. კაპანელი, ფილოსოფიური შრომები, თბ., 1989.
- პოლ ვალერი, „სულის კრიზისი“, თბ., 1993.

## გურამ რჩეულიშვილის პროზის მნის „მნების სიმპაზრი“

გურამ რჩეულიშვილის პიროვნებისა და შემოქმედის მჩქეფარე, ბობოქარი და დაუდგარი ბუნება გამოიხატა არა მხოლოდ მის წამიერად გაელვებულ სიცოცხლეში, არამედ მის ზღვარდაუდებელ მხატვრულ შემოქმედებასა და ამ მოთხრობათა ენობრივ სამყაროში. მისი „ლექსივით ამღერებული“ წერის მანერა პოეტური პროზის ნიმუშია, რაზედაც გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარი ნუგზარ წერეთელი არაერთხელ ამახვილებს მკითხველის ყურადღებას: „გავიხსენოთ დასკვნითი ნაწილი მისი დიდებული მოთხრობიდან „ალავერდობა“ ...ეს ნაწყვეტი ისეთი გზებით, ისეთი ოსტატობის არის დაწერილი, რომ თავისთავად წყდება ზღვარი პროზასა თუ პოეზიას შორის და მშვენიერი ლექსივით იკითხება“ (ნუგზარ წერეთელი, „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“, თბ., 1980, 9).

„მან არ იცის კახეთი, ვისაც ცივგომბორის ქელზე შემდგარს არ დაუნახავს ალაზნის ველიდან ამოვარდნილი ალავერდი; მას არ განუცდია დაუოკებელი კახური ვნების სიმძაფრე, ვისაც ალავერდის თავზე თავისი ფეხით ავარდნილს გუმბათიდან არ დაუნახავს ერთმანეთზე მიყრილი და უსასრულობამდე გაშლილი სოფლები, სავსე და დიდებული, ჩაფლული გაუთავებელი ვაზის ხეივნებში.

მთელს ამ უზარმაზარ ველზე არ არის არც ერთი გოჯი; არ არის არც ერთი წერტილი, სადაც ადამიანს წარსულიდან დღემდე არ შეექმნას თავის შრომით მატერიალურად თუ სულიერად ძლიერი და ღირსეული რამ. ტყის პირას გაგონილ, დაუწერელ, ერთად მოვარდნილ სიმფონიასავით იღვრება თვალწინ ძველი ციხეები, ეკლესიები, ბურჯები და ამ ეპოქაში ნაშენი ხიდები, სწორი, უგვემიანესი ალვნებით. ამ გვემიანობიდან სინათლესავით მოდის შეუჩერებელივ რაღაც ახალი, სიცოცხლისუნარიანი, მისი ეგზოტიკისათვის

უცნობი ძალა იპყრობს გუმბათის თავზე მდგომის სხეულს: ახალი, შეუცნობლად კანონზომიერი, შეერთებული გრანდიოზულ უსიტყვო შრომასთან. ის ფიქრობს: საიდან მოდის ეს სიცოცხლისუნარიანობა, და პასუხობს: „ის თვითონ ჩემშია, ის თვითონ ხალხშია, მაგრამ აქ ზოგიერთნი დაბნეულან და ვეღარ გრძნობენ შემოქმედის ნამდვილ სიამოვნებას შრომისა, რადგან ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში.

მის ფეხქვეშ დგას ალავერდი, სხვისი გრანდიოზული ვნებისაგან შექმნილი“...

კალმის ერთი მოსმით და ერთი ამოსუნთქვით დახატულ ამ უმშვენიერეს სურათს სავსებით მიესადაგება ხეცსურეთის ბუნების მკაცრი სიმშვენიერითა და ხეცსურთა ნაჭველი ლექსით მოხიბლული გურამის ამოძახილი:

„აქ პოეზია განუკითხავად ბატონობს პროზაზე!“

თავად არაჩვეულებრივი მოქართულე გიორგი შატბერაშვილი დიდად აფასებს მწერლის სიტყვიერ ოსტატობას: „გურამ რჩეულიშვილი ჭეშმარიტად მწერლობისათვის იყო დაბადებული. ამას ზემონათქვამთან ერთად ადასტურებს იმის ქართულიც. მის პირველსავე მოთხრობებში სისადავე და ურალეობა, ფრაზის ლაკონურობა და სიმკაცრე იგრძნობოდა; ჯერ სრულიად ახალგაზრდა და გამოუცდელი მუდამ ცდილობდა ნათელი და გამჭვირვალე, ყოველგვარი მანჭვა-გრენას და მრავალსიტყვაობას მოკლებული ქართულით ეწერა. მისთვის სიტყვა თვითმიზანი ან ბრჭყვიალა სამკაული კი არ იყო, არამედ მასალა — მთავარი მიზნის მისაღწევად. მან იცოდა, რომ ყოველი სიტყვა თავის ადგილას ლამაზია“ (გ. შატბერაშვილი, შესავალი წერილი გ. რჩეულიშვილის მოთხრობათა კრებულისა - „სალამურა“ თბ., 1961, 11).

მწერლისეული თხრობის დამუხტულ ენობრივ სტიქიას განსაკუთრებით მძაფრად გვაგრძნობინებს მისი პროზის ენის სინტაქსი, სადაც იშვიათად მიმართავს რთულ ქვეწყობილ წინადადებებს და სათქმელს უმთავრესად მარტივი წინადადებებით გადმოგვც, უს; ეს უკანასკნელიც თუმცა შეკუმშული და ლაკონურია, მაგრამ აზრობრივად უაღრესად დატვირთული. ამასთანავე, გურამ რჩეულიშვილის

მოთხრობათა ენის „ვნების სიმძაფრე“ მიიღწევა სიტყვათა იმგვარი წყობით, სადაც წინადადებას იწყებს ზმნა-შემასმენელი, რომელიც თავისი ადგილითა და ფუნქციით განაპირობებს თხრობის მძაფრ დინამიკას.

სანიშნოდ კვლავ ალავერდობას მივმართოთ:

1. წვიმა მთელი ზაფხულიც,
2. იწვიმა კიდევ სამი დღე;
3. უცნაურად შეერწყა ქელის სწორი კონტური ვაკის უსასრულობას;
4. წინ გამოდიოდა, იშლებოდა, ფარავდა მთელ გარემოს;
5. ჩავიდა მზე;
6. დადგა წამი;
7. იდგა მთლიანი სიბნელე;
8. ამოვარდა პირველი ნიავი;
9. ოღნავ შეარზია კენტი ფოთოლი;
10. შეიყუვნენ შემოდგომის მისუსტებული ფოთლები;
11. აშრიალდნენ დიდი ხეები;
12. აშრიალდნენ ცაცხვები;
13. იჯდა ბურჯის თავზე;
14. მღეროდა მთლიანად ჩაფლული საკუთარ ბგერებში;
15. მიწყდა მისი სიმღერა;
16. მღეროდა კაცი თავისი ხმით;
17. შრიალებდა ბუნება თავისი ხმით;
18. დადგა მთლიანი, უნაპირო დღესასწაული ალაზნის ველზე;
19. ამოდის მზე;
20. შეუმჩნევლად ეკარგება ღამეს ფერი;
21. ღგება დილა;
22. იწივლა კოლომ;
23. აიმტვრა ჩალა;
24. ალაწუნდა გამხმარი შალაფა;

25. რგოლებად დაიხლიჩა დასიცხული ჰაერი;
26. გახურდა მხედარი;
27. გასწორდა წამოწეული ცხენი;
28. ვერ უჭერს თავს გურამი ცხენს;
29. იზრდება მის ჩასაყლაპავად ალავერდი;
30. არბის აღმა ამაველ საფეხურზე გურამი;
31. ამგერდნენ ახალგაზრდა გულები;
32. აღელდნენ მოხუცები;
33. გავარდა ხმა.

ერთი შეხედვით თითქოს დარღვეულია ქართული წინადადების წევრთა ბუნებრივი განლაგება, რომლის მიხედვითაც შემასმენელი უმთავრესად წინადადების ბოლოშია, მაგრამ აშკარაა: გურამ რჩეულიშვილი, რომელიც პოეტური პროზის დიდოსტატია, ვერ თავსდება დოგმატურ ჩარჩოებში და თავისი წერის მანერითაც აღწევს დაუოკებელ „ვნების სიმძაფრეს“.

ანა კალანდაძის პოეზია – მკ  
საბალოგელო

მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის მშენებელი ან „ჩვენი დროის ერთადერთი ქართველი ლირიკოსია, ვინც, ძხოლოდ შედეგებს აქვეყნებს“ (ჭუმბურიძე, 2005,3). მისი პოეზია „სულთა თანხმობის ცათუმაღლესი ტაძარია“, სადაც აღევლინება სამშობლოს საგალობელი ლოცვანი „მზის ოქროსფერ, დიდ სალოცველში“.

ამ „დიდ სალოცველში“ ანა კალანდაძის მუზის ასტრალური კერპებია ცა, ვარსკვლავები, მთვარე, მზე... ამ მხრივ ანა კალანდაძის მრწამსი ეთანადება იმ ფაქტორს, რომ „ცის, მზისა და მთვარის და, საერთოდ, ვარსკვლავთა გაღმერთების ამბავი არ არის რომელიმე ხალხის გამოგონილი... ცისა და მის გვამთა ღმერთობა თითქმის ყველგან არის გავრცელებული და კულტურის განვითარების ერთ-ერთ მაღალ საფეხურს წარმოადგენს“ (ნოზაძე, 1956, 100).

ანა კალანდაძის პოეზიაში ცხადად იკვეთება მზისადმი თაყვანისცემა. პოეტის მრწამსში მზის კულტი დომინირებს. პოეტისათვის ასტრალური სამყარო მისტიკური და მითოსურია; მისი შემოქმედების გარიჟრაჟზევე მჟღავნდება მზის გაღმერთების ტენდენცია:

ვაღმერთებ მზესა,

ვანთებ ცეცხლსა

და ვწირავ მსხვერპლსა (62; 45)<sup>4</sup>.

ეს მზის გაღმერთება, ცეცხლის დაგზნება და მსხვერპლშეწირვა იმის მანიშნებელია, რომ ანა კალანდაძე „პოეტურად წარმართია“, რასაც თვითონვე აღიარებს:

მუხლებს მოვიყრი ნაწარმართევი

(რაღაც უნებურ იღვიძებს ჩემში),

როს ავა ცაზე მზის აღმართების

და მზის ოქროსფერ, დიდ სალოცველში

<sup>4</sup> შენიშვნა: აქაც და ყველგან მითითებულია კრებულის გვერდი და ლექსის თარიღი.

კოცონს დააგზნებს ქერუმი ცისა (94; 46).

შემთხვევითი არაა, რომ პოეტის გულისყური მიპყრობილია ისეთი უძველესი ქვეყნებისადმი, როგორებიცაა ეგვიპტე, ურარტუ, ხეთა, მიდია..., რომელთა ერთ-ერთი ღვთაება იყო შამს (=მზე), რომლის გამოძახილიც ჩანს ანა კალანდაძის ლექსში „არაბები“.

აქ თავს იყრიან, ოაზისთან, სემის ტომები,

როს სილის ზღვაში ჩაემვება მხურვალე შამსუ (113; 46).

სულხან-საბა ორბელიანისა და ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონებითაც ქართული „მზე“ არაბულად არის „შამს“. ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ „პროფ. ნ. მარმა ქართული „მზე“ არაბული „შამს“-ისა და ებარული „შამს“-ის შესატყვისობად აღიარა“, თუმცა თვით ივ. ჯავახიშვილი არ იზიარებდა მარის ამ მოსაზრებას (ივ. ჯავახიშვილი, 1979, 164).

ვიქტორ ნოზაძის გამოკვლევით, შუმერული, ბაბილონური, ასურული, ებრაული, არაბული... მზე-ღმერთი წერილობით წყაროებში გვხვდებოდა შამს (შემემ) შამს ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტებით (ნოზაძე, 1957, 11-13).

ანა კალანდაძის პოეზიაში გვხვდება ასტრალური ცნება „მზის წილი“, რომელიც „ვეფხისტყაოსანშიც“ არცთუ იშვიათია. გავიხსენოთ ნესტან-დარეჯანის წერილი ტარიელისადმი:

„მზე უშენოდ ვერ იქნების,

რათგან შენ ხარ მისი წილ“.

ლექსიკონების განმარტებით „მზის წილი“ არის ხვედრი, კერძი, ნაწილი, ხოლო „წილ“ - სამაგიეროდ, ნაცვლად, მაგივრად. ვიქტორ ნოზაძის მიხედვით კი მრავალ სემანტიკურ ნიუანსთან ერთად „მზის წილი“ არის კეთილი სული, ზეგარდმო მადლი (ნოზაძე, 1957, 203).

სწორედაც რომ სამშობლოსათვის თავშეწირულთა წილად ამოდის მზე, როგორც გარდასულთა ზეგარდმო მადლი:

ცას — შავად გამურულს, კვამლიანს, ცეცხლიანს,

ბავშვური ღიმილით ასწევთ...

და ...მზე კვლავ ამოდის ზამბახის ყვავილით

წარსულთაც ამოდის წილად (263; 66).

ვინც „მზის წილ... დამეს აღიარებენ“ (277, 70), სწორედ მათ დაამხეს პოეტის საკუთრხეველი. თუმცა კი განა „შესაძლო არის შეუძლებელი?“ — კითხულობს პოეტი:

თავზე მევლება  
სულანთებული  
ჩემი პეპელა,  
ეძებს ჩემს ყვავილს, —  
სიხარული აქვს საუწყებელი...  
მივდრკები მისგან  
მე...  
**მზეთა ნაცვლად...**  
ბნელთა მძებნელი,  
მაგრამ, მაუწყევთ,  
შესაძლო არის  
შეუძლებელი? (295; 70).

შემადრწუნებელია ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პოეტის განცდა, როცა აცხადებს:

ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგეკარ,  
გულო, რისად მეხურები?  
სხივმიმკრთალი, სხივმიმკვდარი **მკედართა მზე** ვარ,  
ჩემს სხივებში ჟივჟივებენ ბელურები (95; 46).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით **მკედრის მზე** არის მზის ჩასვლისას უკანასკნელი ალისფერი სხივები.

აქ უნებურად გვახსენდება გიორგი შატბერაშვილის მოთხრობა „მკედრის მზე“, რომლის ეპილოგშიც ანა კალანდაძისეული „მხივმკვდარი მზის“ დარად **მკედრის მზე** სულთმობრძავის აღსარებას უტოლდება:

„მოდიოდა ღამე, ძღვევის ქედის მწვერვალზე კი ისევ ენთო მკედრის მზე.

მკედრის მზე...

მკედრის მზე შემოღამების წინ სულ რამდენიმე წამით გააშუქებს ზოლმე მთათა მწვერვალებს და უმაღლვე ქრება.

საოცარია უკვე ჩასული, ქვეყნის კიდეს მიფარებული მზის ეს უკანასკნელი ამოსხივება, სულთმობრძავის აღსარებასავით გაუგებარი და სევდიანი... საოცარია მისი სახელიც — **მკედრის მზე**“ (შატბერაშვილი, 1972, 117).

ქართულ წარმართულ და ქრისტიანულ სამყაროში ფართოდ იყო გავრცელებული მზის თავყანისცემა, რასაც ადასტურებს ხალხური ზეპირსიტყვიერება, სასულიერო თუ საერო მწერლობა და ხე-

ლოვნება. ეს გარკვეულ წილად აისახება კვირა დღის სახელწოდებაში: კვირა — მზის დღე (ჟამხა — ბჟამ დღა).

„ქართველი ხალხის წარმოდგენით მზე არის დედაკაცი, მთვარე — მამაკაცი.

ნათელმა მთვარემა ბრძანა:

„ბევრით მე ვვობივარ მზესა“.

დაჯდა, დასწერა წიგნები,

ზენა ქარი მიათრევსა,

მზეს რომ კაცი მიუვიდა,

მზე ძალიან გაჯაურდესა:

„მე და ვარ და ის ძმა არის,

რად ვძულდებით ერთმანეთსა“...

ამ ლექსში მზე არის და, მთვარე კი — ძმა.

მეორე ლექსში მზე უკვე მშობელია მთვარისა:

დაიძინე, გენაცვალე, იავ, ნანინა,

მზე დაწვა და მთვარე შობა, იავ, ნანინა!

ერთ მეგრულ ლექსში მზე დედაა, მთვარე კი მამა:

ბუა ღია ჩქიმი, = მზე დედაა ჩემი,

თუთა მუმა ჩქიმი, = მთვარე მამაა ჩემი,

ხვიჩა ხვიჩა მურიცხევი = სხვადასხვა ვარსკვლავი,

და დო ჯიმა ჩქიმი = და და ძმია ჩემი.

როგორც ვხედავთ, ყველა სახალხო ლექსში მზე დედრობითია, ხოლო მთვარე — მამრობითი. ძველი ქართული გადმოცემებითაც მზე დაა და მთვარე კი — ძმა" (ნოზაძე, 1957, 99-100).

და მაინც ანა კალანდაძის ასტრალური სამყარო „მზის სამეფო" და „მზის სალოცველია"; ამიტომაც აცხადებს : ო, მეუფეო, განა არ ვიცი, რომ მთვარე... მზეზე მეტი არ არის?! (415; 89).

ანა კალანდაძის პოეზიაში უხვად გვხვდება ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან აღებული მზესთან დაკავშირებული სტანდარტული გამონათქვამები თუ ფრაზეოლოგიზმები:

**დღისით-მზისით:** თვრება ვამპირი

დღისით,

მზისით

აწყობს გენოციდს! (518; 94).

განდიდებულა კვლავ ღვარძლის თესლი,

ჰა, დღისით-მზისით ცრუობენ დღესაც! (522; 96).

მზის გული: შემორჩენილი სვეტის თავებზე  
პრისხანე ლომი  
მზის გულზე თბება (491; 63).

მზის გადახრა, მზის გადახრისას ჭიუხთა თავზე  
გაიბმებიან მშვილდ-ისარანი... (199; 67).

მზის გადაწვერა: ცეცხლმა დაწვა ცა მწვერვალზე დანაფერდი,  
მზე რომ გადაიწვერა... (72; 46).

მზის დაცხრომა: მზეი დაცხრა, ყვავილების ჯარია (79; 46).

მზის სიცილი: მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია (78; 46).

„სასაუბრო ქართულში ხომ ყოველ ნაბიჯზე გვესმის: ჩემმა  
მზემ — ჩემს სიცოცხლესა ვფიცავ; მზე დაუბნელდა — მოკვდა;  
დღისით-მზისით — ნათლად, ცხადად (სახოკია, 1979, 393-394).

ანა კალანდაძეს გამოუყენებია ხალხურ სასაუბრო ენაში გა-  
კრცვლებული ფრაზა „მინდა, რომ მზეს დიდხანს ვუყურო“, რომე-  
ლიც ნიშნავს „მინდა, რომ დიდხანს ვიცოცხლო“:

ქარო მიუვალს დაეცი

ჩემი მიწური,

იქ, ახლოს მზესთან, ახლოს მზესთან...

მსურ სამუდამოდ ვუყურო მზესა (115; 46).

ხოლო მზის შეხედვა ან მზისგან ხილვა დაბადების მომასწავ-  
ვებელია:

ჰა, როდესაც მზეს შევხედე გვირგვინოსანს,

იცი თურმე, ქვეყანაზე გავჩნდი ოდეს,

— ბედნიერი იყოს — უთქვამს ანგელოსსა,

სატანამ თქვა:

— ხა, ხა, ხა, ხა ... არასოდეს! (58; 45).

ადამიანს, ერს, ქვეყანას თუ მტერმა „მზე დაუბნელა“, ეს  
უბედურების მომასწავებელია:

მწედ გამოუჩნდით პატარა ერსა,

როს უბნელებენ მავანნი მზესა (522; 96).

მზის ამოსვლის შინაარსის შემცველია შემდეგი ფრაზეოლო-  
გიზმები: მზემ აიწია ფეხის წვერებზე (9( 45). მზე რომ ისარს  
ჰკრავს ბახმაროს წვერებს... (139; 49). მზე ჩამოხედავს შუაფხოს,  
გაიღვიძებენ სერები (182; 55). ჰა, მივესალამეთ ა მღელებს, — მზემ  
ნუ დაგტოვოთო უსალმოდ! (219; 84).

მზე ხშირად გვვხვდება ფიცილის ფორმულებში; „ქართულ ხალხურ ზეპირმეტყველებაში საკმაოდ გავრცელებული გამოთქმაა „ჩემმა მზემ“... ამ გამოთქმას დიდი და საინტერესო ისტორია აქვს, დაკავშირებულია ქართველების უძველეს რწმენასთან“ (ჯავახიშვილი, 1979, 124), რომლის მიხედვითაც „თითოეულ თემსა და ოჯახს... უნდა ჰყოლოდ თავისი მზე, რომლის დაფიცება განსაკუთრებული დამაჯერებლობისათვის, უცოდველობისათვის იყო საჭირო (ჯორბენაძე, 1997, 63).

ამ რწმენით სულდგმულობს ანა კალანდაძე:  
„მზის საფიცარი  
ნუ დამელევს“,  
იმედი კვლავ მზის  
გამოჩენისა (227; 99).

პოეტის საფიცარია არა მხოლოდ „ათენგენაის მადლი“ და „ქვექურის ჯვარის ძალა“, არამედ „თორღვაის მზეც“:

მოგწონს არხვატი? ჰაი, ქვექურის ძალო!  
თვალ-მარგალიტით მორთულ მეგონე, ქალო,  
თავზე ნათელი გადაგდიოდა ზენა,  
ასე ვვინებდი, აი, თორღვაის მზემა! (204; 69).

ვინაიდან „მზე გაქრისტიანდა“ (ნოზაძე, 1957, 105), ამიტომაცაა რომ „ნაწარმართევი“ პოეტი „პირჯვარს ისახავს“ და შინაგანი ხმის მოწოდებით ისწრაფვის მზისკენ:

ჩაცყურებ უფსკრულს, პირჯვარს ვისახავ...  
ჩამძახის ვიღაც: — აქეთ, მზისაკენ“ (463; 95)

ანა კალანდაძის პოეზიაში მზე სულიერების საწყისია. როგორც ვიქტორ ნოზაძე შენიშნავდა, „სული არის მზეში, ვარსკვლავებში და ყველაფერში, და იგი არის ღვთიური“ (ნოზაძე, 1957, 50); პოეტისათვის მზე მისი „სულის წვეულია“:

ჩუ, ვინ ჩურჩულებს?  
მზე და ნაძვია,  
ეს... ჩემი სულის წვეული ორნი (53; 45).

მზე სისცოცხლის საწყისია:  
აქ ვარდიც ხარობს,  
მზის ბაღებში ნუშის თოვლია,

აქ... სიცოცხლეს თავიდან იწყებ! (99; 46).

პოეტი გვარფრთხილებს:

სადაც იყოთო,

სადაც იჯდეთო,

მზისმოკლეობა

არ დაგვიწყდეთო! (133; 46).

მზე წყვლიადის დამორგუნველი და უკეთურებისაგან მხსნელია:

გულს დამფენია

მზეი ცხოველი

უკეთურებით

კვალად ხსნისათვის (303; 71).

მზე ბედნიერების, სიხარულისა და სიცოცხლის სიმბოლოა:

ისეუ მთვრალია აშულთა მეფე,

მზით, სიხარულით, სიცოცხლით მთვრალი!... (251; 61).

ამიტომაცაა, რომ მრავლობითში დასმული მზე (მზეები, მზეთა) სიხარულიანი დღეების სინონიმია:

ყმაწვილქალობამ წაილო

მზეები

ოქრომფინარი (386; 81).

— ყავ მტილი ჩემი,

ვარდით სავსე

და მზეთა დგომად,

დამძიმებულთა გულთა შვებად

და მოსაფონად (311; 71).

ვუმზერ სისხლიან მზეთა ამოსვლას (432; 93).

ჩვენ ცხრათვალა მზეთა და მძვინვარე ზღვათა

ტრფობა გაგვყოლია (146; 53).

მზესთან წილნაყარი პოეტი სამყაროს იდუმალების თანახმად:

მზეი ცხრათვალა ბრიალებს სადაც,

შენც, შენც იქა ხარ, იდუმალებავ! (466; 95).

ანა კალანდაძისათვის სამყარო მზისქვეშეთია:

უუძველესი

მზის ქვეშე ხალხი,

ვით შეწყვეტს სუნთქვას  
და გულისძვერას?! (395; 84).

ხოლო სამზეო სააქაოა:

აჩრდილნი საღამოისა  
სამზეოს მწუხრში ახვევენ (112; 46).

მზე გაიგივებულია წმინდა ნინოსთან, თამარ მეფესთან, დედოფალ ანასთან...

როდესაც მზეი თბილი სხივით  
მინდვრებს შემოსავს  
და ცვარნაკურ შეირხევა  
მთაზე მოცხარი,  
ნინოს ნათელი დაადგება  
საქართველოსა,  
ქვაბში ჩურჩულით გადაიწერს  
პირჯვარს მოძღვარი... (60; 45).

მზე დაჰყვება ყველგან მზისდარ თამარ მეფეს :

მზის ღიმილი აღაჩინა ცამან,  
ვარდს აღმოხდა ხმაიდ საოცარი:  
ფეხშიშველი მიდიოდა თამარ...  
დედოფალო, საით მიიჩქარი?

.....  
მდუმარ იყო, ნალვლიანიც იყო...  
მზე შეიჭრა ნაძვის სამეფოში...

.....  
მიმწუხრისას, მზეი როცა დაცხრა,  
თამარ მეფე ლოცვად იდგა ტაძრად...

.....  
მზე აღმოხდებაა მის ლამაზ პირსა,  
როს უაბობენ საქმეთა შენტა!

.....  
იცვამს მზექალი მზეასხმულ ქოშებს  
და ანაენავებს ვარძიის ქარი  
საქართველოსთვის უძველეს დროშებს... (70; 46).

ანა დედოფლის ღიმილი მზესავით ადგას ერეკლე მეფის სასახლეს;

მზე ადგას... ბატონის სასახლეს,

ღიმილი – დელოფალ ანასი (369; 69).

საერთოდაც, ანა კალანდაძის პოეზიაში მზე მხატვრული შედარების საგანია:

მადლი უფლისა იღვრება,  
ჭრელ მინდვრებს გადაერია...  
გული, გული არ ილღება, )  
ისიც მზესავით ძველია! (484; 95).  
მწყობრად მიდიან მხედრები  
სახეგაშლილნი, მზე ვით...  
მზე ღროშებს მიესაფარა,  
მზე ღროშებს მიესაფარა,  
ღროშა ასწიეთ ზევით (80; 46).

შენ მისმენ ისე,  
ვით მზე უსმენს ოკეანებს  
და ციმციმებ,  
ბრწყინავ მასავით (144; 51).

სასურველი ვაჟკაცი შედარებულია დილის მზის სხივთან, რითაც იქმნება შესანიშნავი მხატვრული სახე:

ვაჟაო, დილის მზის სხივო,  
ხან მთებზე ნისლთა დინებავ!  
შუაფხოდან რო მოდიხარ,  
გული რად გაგეტირება? (158; 55).

პიპერბოლური შედარების ნიმუშია აღმატებითი ზარისხის ფორმის გამოყენება ქრისტეს შესადარებლად მზესთან, სადაც ქრისტე მზეზე აღმატებულია:

მზეთ უდიდესო!...  
მადლი მივაგე დიდებულ მზესა,  
რომ დაგნათოდა  
ყორნისფერ თმებზე (132; 46).

საერთოდაც, „მზე ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ქრისტიანული სიმბოლოა და ქრისტეს განუყრელ ეპითეტად იქცა ქართულ პოეზიაში“ (ზოიძე, 2001, 194). როგორც ვხედავთ, ამ მხრივ არც ანაა გამონაკლისი:

ბრწყინავდა იგი  
უზადო ბრწყინვით,  
მშვენიერების

დიდებულ ხატად,  
წამოდგა ჩემს წინ –  
წყვდიაღთა გვემად,  
უკუდგა ბნელი,  
მიხილა მზემან!... (285; 70).

„მიხილა მზემან“ – აქ მზე წარმოგვიდგება მშვენიერების დიდებულ ხატად, ღვთის ხატად და მხატვრულ მზედ" (ზოიძე, 2001, 197).

პოეტი მზეს მრვალფეროვანი ეპითეტებით ამკობს; მის ლექსებში მზე არის დიდებული, გვირგვინოსანი, მცხუნვარე, ცხოველი, ცეცხლოვანი, ცხრათვალა, სხივდაღვრილი, სხივმიმკრთალი, სხივმიმკვლარი:

მზე და მიმწუხრნი ჩრდილებს მიჰფენენ,  
დაუღალავად ასე იფრენენ  
და დიდებულსა მზესა აქებენ (27; 45).  
თუ არა, – მუდამ დამიბრუნდება  
ჩემივე რწმენა,  
მზე დიდებული –  
ვით ლამაზ მინდვრებს... (229; 57).

ჰა, როდესაც მზეს შევხედე გვირგვინოსანს... (58; 45).  
მცხუნვარე მზეში თვალშეუდგამ  
კარნაკის სვეტებს  
ჩამოუქროლებს ნეფერტიტი  
სამეფო ეტლით (499; 74).

გულს დამფენია მზეი ცხოველი  
უკეთურებით კვალად ხსნისათვის (303; 71).  
მზე ჩადის ოდეს ზღვის მხარეში  
ცეცხლის დასავალს  
და ღრუბელი დაბურავს მთათა...  
ცეცხლოვანი მზე!... (120; 46).

ჩვენ ცხრათვალა, მზეთა და მძინვარე ზღვათა  
ტრფობა გამოგვყოლია (146; 53).

ცხრათვალა მზე თავს დაადგა მზედარს (72; 46).

მზეი ცხრათვალა ბრიალებს სადაც,

შენც, შენც იქა ხარ იღუმალებავ! (466; 95).

სითბო გვზრდიდა, ჩვენ უშრეტი სითბო გვზრდიდა

ცხრათვალა მზის დიდ სამეუფოში (75; 46).

უარგიყვია სხივდაღვრილი

მზე და ბნელ ქვაბში ტირი, ღამურავ! (296; 70).

სხივმიმკრთალი, სხივმიმკვდარი მკვდართა მზე ვარ,

ჩემ სხივებში თამაშობენ ბელურები (95; 46).

ანა კალანდაძის მზის ამოსვლა არის **მზის მოახლება**, **მზის ამოხდომა**:

მე აღარ ველი მას,

როგორც მიწა

მზის მოახლებას

ელის ნიადაგ... (141; 50).

ეებუს მთისაკენ თვალმიპყრობილი

მზის მოახლებას იგი ელოდა (374; 80).

წყნარად და მშვიდად მეუწყება

ზენართა ნება

და მაღალი მზის ამოხდომა

კვლავ მეუწყება... (275; 70).

მზე აღმოხდება მის ღამაჲ პირსა (70; 46).

მზის ჩასვლა კი მზის დაცხრომა, მზის მიდრეკაა:

მიმწუხრისას, მზეი როცა დაცხრა,

დედოფალი ლოცვად იდგა ტაძრად (68; 46).

შენ მისთვის ბრძანე დაცხრომა მზისა,

მზე დაცხრა შენდა! (70; 46).

სიცრუით მზეს აცხრობთ,

იღწვით ღამისათვის (526; 98).

შრიალებს ღოღოს მინდორი,

მალონებს მისი შრიალი,

ვით მზის მიდრეკა დასავალს,

ვით სიხარული გვიანი... (165; 67).

პოეტი უაღრესად მოკრძალებულია მზისადმი; ამიტომაცაა, რომ მის პოეზიაში მზე ხან მოფერებისა და ხან მისალმების ობიექტია:

და მზეს ვუმღერებ,

ოკეანით მომავალს მძიმედ... (117, 46).

მზეს უმღერიან ჩიტები (10; 15).

მიესალმება მზეს მიმოზიდან (126; 46).

ხანაც თვითონ მზე ეფერება და აბრუებს პოეტს:

მეფერება მზე ალერსის მთოვარს (83; 26).

შრიალებს ტყე და მაბრუებს მზე და  
გუგუნი ჭადრის (49; 45).

მზე პოეტის სულის სალბუნია:

სულს ხშირად ეახლის უკუნი,

მზეც მომეფინება ხშირადვე... (262, 65).

ანა კალანდაძის პოეტურ სიტყვიერებაში „უზარმაზარი მზე შრიალებს“ (500; 74). მასთან მზე ჩვეულებრივად არც ჩადის და არც ამოდის, არამედ:

მზე ღამშიმღა და დაბრძანდა (220; 84).

მზე მთის წვერიდან ამობრიალდა (132; 46).

ანა კალანდაძე მზის მეშვეობით ქმნის შესანიშნავ მეტაფორულ სახეებს:

ღაობლდა ბაღი, მზის ფოთლებით ჩამოთოვლილი (28; 45).

მზის ბაღებში ნუშის თოვლია (99; 46).

არ ვარ მბრწყინავი

მის სხივთა ქვეშე

და მზის ყვავილი

დაჭკნება ჩემში (291; 70).

ეეფონიის შესანიშნავი ნიმუშია ანასეული მზისმეტყველების ბგერითი შედგენილობა; ამასთანავე, ეეფონიის მისალწვევად პოეტი იყენებს სიტყვაწარმოების საშუალებებსა და სიტყვათშეხამებას:

მზეი შენით მზეობს,

მზედ ენთები, ზეობ,

გვირგვინს ირქმევ მზისებრ... (34; 45).

მზემ აიწია ფეხის წვერებზე,

მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა (9; 45).

ზეცისთვის – მოცალეობა, –

მხოლოდ ფიქრები საზეო

მხოლოდ მზე-მთვარის ზეობა

ჩემის მეუფის ცაზეო! (408; 87).

ანა კალანდაძისათვის მზე არის მშვიდობისა და ბე-  
სიმბოლო, ფარი და შუბი ყოველგვარი ბოროტების და  
და ეშმაკეულთა განდევნისა:

ეშმაკეულთა დაწონეს პინა,  
გულშიგან სინჯავ შუბისას ნატეხს...  
მზეო მაღალო, მშვიდობა გვეფინე!  
მზეო მაღალო, სიმხნევე გვმატე! (452; 92).

ამტომაცაა, რომ ანა კალანდაძის პოეზია არის პიმი მზისა-  
დმი. მზე სამშობლოს კეთილდღეობის სიმბოლოა და პოეტიც ვედ-  
რებას ალაველენს მზისადმი:

მზე გამარჯვებისა  
კვლავ ქართლზე გადივლის  
დიდებით მმოსავი!  
მადლი ღვთაებრივი  
კვლავ გადმოგვადინე,  
ოსანა!  
ოსანა! (536; 94).

ანა კალანდაძის პოეზია წილნაყარია მზესთან... და დაჰქრის  
პოეტის მუზა „მზის საუფლოში“: „იქ ახლოს მზესთან, სულ ახ-  
ლოს მზესთან!“.

### ლიტერატურა

- შ. ზოიძე, ანა დედოფალი, ბათუმი, 2001.  
ა. კალანდაძე, ლექსები, თბ., 2004.  
გ. კვარაცხელია, „აჰა. ტამარი... ცათუმაღლესი“..., კრებული:  
„ანა კალანდაძე“, თბ., 2004.  
ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის მზის მეტყველება, სანტიაგო დე  
ჩილე, 1957.  
თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.  
გ. შატერაშვილი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. II, თბ., 1972.  
ი. ჭუმბურიძე, „ო, მან მომაგო ესე საუნჯე“, „ანა კალანდა-  
ძე“, 80 ლექსი, თბ., 2005.  
ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ.,  
1979.

## ქალმოსილება ოთარ ჩხეიძის სიტყვიერებისა

საგვებით მართებული აღიარებით ოთარ ჩხეიძე გახლავთ მეოცე საუკუნის ქართლის ცხოვრების პირუთვნელი მემკვიდრე. მწერლისავე ცნება-ტერმინს თუ გამოვიყენებთ, მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ერთ საერთო ქარგა-რკალშია მოქცეული, მთლიანია, თანამიმდევრული და განუყოფელი. ამიტომაც შეუძლებელია ოთარ ჩხეიძის შემოქმედების დაყოფა რაღაც პერიოდებად საბჭოური სტერეოტიპების თარგზე მორგებით. თვით ოთარ ჩხეიძე ქარგა-რკალს უწოდებს ლიტერატურული პროცესისა თუ ცალკეული ნაწარმოების სრულყოფილ მთლიანობას. სწორედ ასეთ სრულ რკალს ქმნის ოთარ ჩხეიძის თხზულებები, რომელთა სათაურებშივე აისახა მეოცე საუკუნის საქართველოს ძნელბედობა: „ბორიაცი“, „მეჩეჩი“, „ჯებირი“, „ბურუსი“, „ლანდები“, „აღმართ-დაღმართი“, „ნაკრძალი“, „მთაგრეხილი“, „გამოცხადებაი“, „ამაღლება“, „ცთომილნი“, „არტისტული გადატრიალება“, „თეთრი დათვი“, „ბერმუდის სამკუთხედი“, „ლაზერშოუ“...

კონსტანტინე გამსახურდიასაც ხომ სათაური მიაჩნდა შემოქმედის უპირველეს დვრიტად: „სათაური იგივეა, რაც თვალი ადამიანისა... უთუოდ სათაურია პირველი დვრიტა შემოქმედისა... სათაური ჰგავს მეომრის მიერ პირველ მოქნევას ხმლისას“. ოთარ ჩხეიძეც მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ძალუმაღ იქნედა კალმად გარდასახულ ხმალს და შეუპოვარი ბრძოლით მიიკვლევდა წინაღობებით ჩახერგილ გზასავალს, თავის ნაწარმოებთა სათაურებთვე გაცხადებულს: ბორიაცსა და ბურუსს მოეცვა ქვეყანა, ნაკრძალი იყო თავისუფალი აზრის გამოთქმა, შემოქმედს მრავალი მეჩეჩი თუ ჯებირი აღუმართეს, აღმართ-დაღმართში გამუდმებით დასდევდა ლანდი იდუმალი; ამის მიუხედავად, მან მაინც გადალახა ბერმუდის სამკუთხედი, წინ აღუდგა რღვევას მთაგრეხილისას და სულმოკლეობას მორჩილებისას, შეივრდომა ცთომილნი, რათა ეხილა ერის ამაღლება და გამოცხადებაი, თუმცა ქვეყანა ვერ გადაურჩა არტისტულ გადატრიალებას და სამარცხვინო ლაზერშოუს; ამიტო-

მაც მწერალმა ერის საშველად და გზა ხსნისად გამოიხმო გმირი წინაპრები — მღვდელი თედორე, მეფე აშოტ კურაპალატი, ქეთევანი, წმინდა ნინო...

მწერლის რომანები, მოთხრობები თუ პუბლიცისტიკა მისი სათაყვანო მამულის ჭირ-ვარამს ასახავს და გვიჩვენებს, რომ ქართველი ერი ამ უძიმესი მდგომარეობიდან ჭეშმარიტ რწმენას გამოუხსნია და გაუმთლიანებია, სული გამოუტანია, მრავალტანჯული სული. და ოთარ ჩხეიძეც ისტორიის ფოლიანტებში ეძიებდა „თუ რა აღუღაბებდა ერს, რა ამთლიანებდა. რა ავიწყებდა ვიწრო თუ პირადულ ვნებებს და როგორც ავიწყებდა, რა აღანთებდა და როგორ აღანთებდა ყველას ერთადა, ერთობლივად“ (მხატვრული თავისებურებანი ძველი ქართული პროზისა“, 1987, 138).

ოთარ ჩხეიძის შემოქმედებითი ცხოვრება ხელოვნების თავგანწირვისა და შეუპოვრობის ნიმუშია. ამ მხრივ ზედმიწევნით ზუსტია როსტომ ჩხეიძისეული შეფასება და დაფასება, ბერნარდ შოუსი რომ დაინახა ოთარ ჩხეიძის ავტობიოგრაფიული მწერლისავე ნარკვევიდან — „იუმორი ბერნარდ შოუსი“: „ვინც ჩახედულია ოთარ ჩხეიძის პიროვნულ ხასიათსა და ბიოგრაფიაში, „იუმორი ბერნარდ შოუსი“ წარმოუდგება ლამის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერად, ან რაღა ლამის — ავტობიოგრაფიული ჩანაწერია საკუთარ მწერლურ მრწამსს რომ აცხადებს და ირლანდიელი დრამატურგივით დაურიღებლივ ედაკება ყველას, ვინც ლამობს ცხოვრების საშინელებათა მიჩქმალვას, შელამაზებას, გამზადებულ სტერეოტიპებზე მორგებას და დენა-შევიწროებით ემუქრება იმ ადამიანებს, რომელთაც არაფრისდიდებით არა სურთ შეეგონ სიცრუისა და სიყალბის გარემოცვას. და თავსაც გაწირავენ, ოღონდ სიმართლე გააცხადონ, მამხილებლად მოველინონ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემასაც და ზოგადადამიანურ მანკიერებათაც, და ცრუმატიანეთა გვერდით დატოვონ დროების პირუთენელი სურათები იმ სარკედ, რომლის შექმნისთვისაც გამოვლეს ათასგვარი სატანჯველი“ (როსტომ ჩხეიძე, „თვალები ბერნარდ შოუსი“, ჩვენი მწერლობა, №26, 23 დეკემბერი, 2011, 38).

ლიტერატურის ისტორიისათვის უცხო არ არის მსგავსი პარალელები. თვითონ ოთარ ჩხეიძემ გიორგი ლეონიძის ავტობიოგრაფიული შტრიხები გამოავლინა პოეტის ბრწყინვალე ლექსში — „ოლე“. 1921 წელს გიორგი ლეონიძეს დაუწერია ლექსი „ავტო-

პორტრეტი". ოთარ ჩხეიძის ორიგინალური მიგნებით, გიორგი ლეონიძის ავტოპორტრეტი იხატება არა ამ ლექსში, არამედ მისი პოეტური შემოქმედების გვირგვინში – „ოლე“, საიდანაც ცხადად ჩანს, რამდენი „გრივალე გამჯახები“ გადაუტანია პოეტს. მავანთათვის ეს დაღვინებული პოეტი ოთარ ჩხეიძისათვის შინაგანად ტრაგიკული პიროვნებაა, რითაც ის განაზოგადებს საბჭოური რეჟიმის მარწუხებში მოქცეული ხელოვანის ბელსა თუ ბელისწერას.

ოთარ ჩხეიძემაც დროების შეულამაზებელი ასახვის გამო გამოიარა ათასგვარი სატანჯველი, გადაიტანა საბჭოური ცენზურის სუსხი, მრავალი უსამართლო შემოტევა, მაგრამ არ გატეხილა, არაფრის და არავის წინაშე ქედი არ მოუხრია, არ გადაუხვევია არჩეული გზიდან, მტკიცედ ჩამოყალიბებული რწმენისათვის არასოდეს უღალატნია, ვინაიდან მისთვის „რწმენა არის ადამიანი, რწმენა ყოფილა და რწმენად დარჩენილა" („ბორიაცი", 203); მსგავსად დიდი წინაპრებისა, ოთარ ჩხეიძე პირნათლად იხდიდა მოვალეობას ქვეყნისა და ერის წინაშე, რასაც თვითონვე გვაუწყებს: „მე ჩემი მოვალეობა დამკისრებია, ავღევნებივარ ჩემს მოვალეობასა, ავღევნებივარ, აველივარ ერთგულადა" (ბოლოსიტყვა „მეჩენისა", 1956, 547).

„ავღენებივარო", „აველივარო", „ერთგულადაო"... ცხადია, ეს სიტყვიერება ოთარ ჩხეიძისა შემთხვევითი არ არის და სავსებით თანხვდება ილია ჭავჭავაძის საპროგრამო ნაანდერძებს: „ავგიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბელმა"... „რასაც ვმსახურებთ, ერთგულადა მას ვემსახურით"... „ერთგულად ვწიოთ ჭაპანი ჩვენი"... და ოთარჩხეიძეც ლაბა ხარივით ერთგულად ეწეოდა მწერლისა და მამულიშვილის მძიმე ჭაპანს. „ოთარ ჩხეიძეს საამისოდ უპირველესად ლიტერატურული ასპარეზი შემოეფარგლა, რათა კვალდაკვალ მიჰყოლოდა საბჭოურ – მარქსისტული იდელოგიური სისტემის ყალბ საფუძველთა მხილებას (როსტომ ჩხეიძე, ლუარსაბ თათქარიძის საზოგადოება, „ჩვენი მწერლობა", №14, 2011).

მართლაც მძიმე იყო ოთარ ჩხეიძის შემოქმედებითი გზა, უაღრესად მძიმე, მაგრამ მისი მწერლისეული და მოქალაქეობრივი მრწამსი მუდამ მყარი იყო და შეუბღალავი, რაც ხშირად მისსავე პერსონაჟებშია გაცხადებული. რომანში „ლანდები" დედა არიგებს შვილს: „ნიჭი ისაა, რასაც ამოიჩემებ თუ აღარ მოეშვები, არ დასთობ, არ დანებდები, აიხირებ და ბოლომდე მიიტანო... ხელოვნებას

ბევრი წინააღმდეგობა ასდევს... უნდა ამაღლდე ხელოვანის ბუნებითა, შურმა თუ მტრობამ, ცილისწამებამ თუ ლალატმა, ცოდვამ მრავალმა თუ მრავალგვარმა სისხლი არ უნდა აგიმღვრიოს... უნდა გადადგე თავგანწირვითაო, თავგანწირულობა ყველაფერს დაგაძლევინებს, მთავარია აღივსო ამ განცდითაო... ვერაფერმა და ვერავინ უნდა მოგხიბლოს, კერც ვერავინ თუ ვერაფერმა უნდა დაგძლიოს დიდი მშვენიერებით თუ აღვისილსაო... უთვალავი მისასვლელი აქვს მშვენიერსა, უთვალავი ბილიკი, ყველა ხელოვანსაც თავისი ბილიკი აქვს, ყველა დასდგომია თავის ბილიკსა... არ შეგაძრწუნოს არაფერმა, ცილისწამებამაც არ შაგაძრწუნოსო... მხოლოდ ხელოვნებაა მარადიული, თუ კი რამეა მარადიული ამ ქვეყნადაო" (156-157).

სწორედ ასეთ მარადიულ ღირებულებებს ეფუძნებოდა ოთარ ჩხეიძის შეურყეველი რწმენა და მრწამსი, რომელიც განსხეულდა მის მხატვრულ სიტყვიერებაში, სადაც ერთურთს ჩანაცვლებია მწერლისათვის სისხლხორცეული სახელსიტყვანი: კერა, სახლი, სოფელი, წუთისოფელი, მიწა, ადგილი, მამული, სამშობლო, ერი, მშობლიური ენა და სიტყვა ქართული. ამ ლექსიკითაა გაჯერებული მისი ნაწერები. ოთარ ჩხეიძისათვის ეს ლექსიკური ერთეულები მხოლოდ გრძნობისმიერი სიტყვები კი არ არის, არამედ მწერლის მრწამსია, კრედლა მწერლისა; ამიტომაც ვიმოწმებთ ასე ვრცლად მწერლისეულ ტექსტებს, ვინაიდან თვითონ ოთარ ჩხეიძეზე უკეთ ვინ გვაგრძნობინებს ანდა ვინ გვაზიარებს მისივე სიტყვიერების მადლს.

ბელის ირონიით სწორედ ამ ასპარეზზე დაატყდა თავს უსამართლო შემოტევანი ოთარ ჩხეიძეს. განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა ლაშქრობა მწერლის ენისა და სტილის წინააღმდეგ. როსტომ ჩხეიძის თქმისა არ იყოს, ჰაიპარად მიაკერეს კუთხურობისა და ენობრივი ნორმებიდან გადახვევის იარლიყი (რ. ჩხეიძე, „ავვისტოს შვილები“). თვითონ ოთარ ჩხეიძეს არც კი უცდია თავის დაცვა. ანდა რა ჰქონდა დასაცავი და თავის სამართლებელი! იმასღა იხვეწებოდა, — „მიპოვეთ თუნდაც ერთი წინადადება გაუმართავი ან არაქართული, დიდ მადლობას მოგახსენებთ და იქავ გავასწორებო“.

ამ „მოლაშქრებებს“ შეგახსენებთ უდავო ჭეშმარიტებას: „ეროვნული ენა ის ფაქტურაა, რომლის საფუძველზე მწერალი თავისუფალ ენობრივ სამყაროს ქმნის... მწერლის მიზანია შექმნას მხატვრული სახე, გაასაგნობრივოს გარკვეული აზრი, შექმნას გარკვეუ-

ლი განწყობა, კოლორიტი და მას სრული უფლება აქვს, ამ მიზნით გამოიყენოს ამა თუ იმ ენის ნებისმიერი შესაძლებლობა. ამიტომაც... არასწორია ის პოზიცია, რომელიც ნორმატული, სტანდარტიზებული ენის თვალსაზრისიდან ამოსვლით ცდილობს მწერლის ენის შეფასებას" (ბესარიონ ჯორბენაძე, მხატვრული ტექსტების ენობრივი ანალიზის ზოგიერთი საკითხისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეხუთე, 1983, 30).

ვინც კი გულმოდგინედ წაიკითხა ოთარ ჩხეიძის ნაწერები, ჩაულრმავდა მწერლის მხატვრულ ოსტატობას და გაითავისა ხალხური მეტყველების ფესვი ფესვეულიდან მომდინარე ენის სტილი, ერთხმად აღიარეს: „რალა ნიუტონისა და აინშტაინის აღმოჩენები მეცნიერებაში და რალა ოთარ ჩხეიძის უდიდესი რეფორმატორობა, ქართული ენა პერსონაჟად რომ აქცია, მასში შეაფარა ახალი ყაიდის მთხრობელი და გადატრიალება მოახდინა ჩვენს მხატვრულ აზროვნებაშიო" (გიორგი გაჩეჩილაძე).

რეფორმატორიო, ახალი ყაიდის მთხრობელიო, გადატრიალება მოახდინა ჩვენს მხატვრულ აზროვნებაშიო... განა ეს ადვილი მისალწვევი იყო ოთარ ჩხეიძისათვის, რომელსაც იმთავითვე განეზრახა, შეექმნა მატრიანე მეოცე საუკუნის ქართლის ცხოვრებისა. ამ „დიდ განზრახვას დიდი სტილიც უნდოდა, დიდ სტილს დიდი ჯაფა, გულმოდგინე, თავაუღებელი შრომა უნდოდა" (ოთარ ჩხეიძე, „რომანი და ისტორია", 1963, 380). სწორედ ამ „სტილურ წრებრუნვაში" (მაკა ჯოხაძისეულია) გამჟღავნდა ოთარ ჩხეიძის სიტყვიერების ძალმოსილება, ქართულ სიტყვაში გაცხადებული, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ **ჰიმნი სიტყვას**: „სიტყვა მაინც სიტყვა იყო, როგორც უნდა თქმულიყო, ძალაც უნდა ჰქონოდა... ვინ იცის, რამდენჯერ უთქვამთ დიდძალოვნება სიტყვისა, ვინ უწყის, რამდენჯერ გამოუცდიათ, რამდენ საარაკო მაგალითს იტყვიან, ისტორია სავსეა საამისო ნიმუშებითა; სიტყვას ბევრჯერ აღუგზვნია ხალხი, დაუშოშმინებია კიდეცა, ერთიც შესძლებია, მეორეცა, ანთებაცა, დაშოშმინებაცა; მთელი თაობებიც შეუშლია, მიუცია ცეცხლისთვისა, დაუბუგნია, ბორკილიც დაუღვია, კრიჭა შეუკრავს, მოუღუნია, მოუღუნებია ან მოღუნება რაა? – გამოუთაყვანებია, ბოროტს აჰყოლია, კეთილი შეუჩვენებია. ყოფილა, ყოფილა ბევრი რამ მსგავსი ამისა, უარესიცა ყოფილა სიტყვისგანა, სულ სიტყვისგანა და აბა დიდად ძლევაძმოსილი არ დაერქმევა სიტყვასა? ვითომ რატომ არა, ეგებ

იმიტომ რო ყავლი ყველასა აქვს და სიტყვასაც ექნება თავისი ყავ-  
ლი, თავისი ზღვარი... მაგრამ ვინ უწყის რამდენი ისტორია, დიდი  
ისტორია გამოხატულა ერთ სიტყვაში... აზრი ჰო სიტყვაშია, შინა-  
არსი სიტყვაშია, ყველაფერი სიტყვაშია, სიტყვა სახეა ყველაფრისა,  
ავისაცა და კარგისაცა, ამზდარისაცა და აუმზდარისაცა, ტანჯვისაცა  
და ბედნიერებისაცა, ყველაფრისა, ყველაფრისა, ყველაფერი სიტყვა-  
ში ჩამჯდარა, სიტყვაცა შემოვლებია ყველაფერსა, ყოფილა ის, რაც  
სიტყვაში ყოფილა... და პირველი იყო სიტყვაო" („მეჩენი" 444-  
445).

აქვე მწერალი გვთავაზობს „სიტყვაზე" აგებულ ფრაზეოლო-  
გიას: **სიტყვა აუკრა; სიტყვა ჩამოართვა; სიტყვა გამოვლიჯა...**

ოთარ ჩხეიძე დაგვიბეჯითებს: „სიტყვა ქარია, ისე თუ ამბობ,  
არც საამისოდა, არც საიმისოდა, ქარია და მეტი არაფერი, მაგრამ  
ადგილზე ნათქვამი ქარი არა ყოფილა, განზრახ ნათქვამი ქარი არა  
ყოფილა, არა, არა ყოფილა ქარი, არცა ყოფილა, არც იქნება" („ჩე-  
მი სოფლის ეტიუდები", 213).

ოთარ ჩხეიძის მართებული თვალსაზრისით, სიტყვას სოცია-  
ლური დატვირთვა აქვს; საზოგადოების სოციალური მდგომარეობის  
შესაბამისად მას შეიძლება ყავლიც გაუვიდეს, რასაც სიტყვა „დოვ-  
ლათის" მაგალითით უძებნის ახსნას: „გაკქრა დოვლათი და მო-  
ძველდა სიტყვაცა. აღარ შეიტანენ უახლეს ლექსიკონებში" („არ-  
ტისტული გადატრიალება", 88). ამ შემთხვევაშიც ოთარ ჩხეიძე  
ილია ჭავჭავაძის თანამოაზრეა: „დადნა საგანი, დადნა სახელიცა"  
(ილია ჭავჭავაძე).

თანდო ხარებაშვილის ქართულით მოხიბლულ პროფესორ გე-  
დონს მწერალი ათქმევინებს: „რატომღაც მოუნდა გაეგო, რომელი  
სიტყვა იყო მეტი ქართულ ლექსიკონში, სიკეთისა თუ სიავისა,  
რომელ ეპოქაში რომელი უფრო ჭარბად იხმარებოდა, რომელი უფ-  
რო სწრაფად გადიოდა ხმარებიდან?... განა საგულისხმოდ არ არის,  
რომ... „მხნე", „თავდაღებული", „ღირსშესანიშნავი", „უხვი", „გულ-  
ქართლი", „მოხიბლავი" და სხვადასხვა წყაროსავით მორაკრაკებს,  
ამათთან თითქოს არსად მოსჩანს: „მაცდური", „უქნარი"... ჰო, ჩამო-  
თვლა რა საჭიროა, ვინ იცის, ამანაც ბლომად მოიყაროს თავი. ეჰ,  
რამდენი კარგი სიტყვა ქრება, დავიწყებას ეძლევა, იცვლება შემო-  
ტანილი სიტყვები და თუ დაკარგვა, შეცვლა აუცლებელია, ეს სი-  
ტყვები დაიკარგოს; თუ სიავე დაიკარგება და სიტყვა უიმისოდ ვე-

ლარ იბოგინებს... ან სიტყვას რას ვერჩით, სიავე გაქრეს, სიავე მო-  
ისპოს, სიტყვა იყოს, რა ბედენაა!" („ტინის ზიდი", ნაკვეთი მესამე,  
145).

ოთარ ჩხვიძე სიღრმისეულად ფლობს ძველი ქართულის, დი-  
ალექტებისა თუ ხალხური სასაუბრო ენის ლექსიკას და ნიადაგ  
ზრუნავს მის გადასარჩენად და სალიტერატურო ენაში დასამკვი-  
დრებლად: „და იღვა მარტი, მირკანი იღვა ქართულისა ენითა, იღვა  
მირკანი" („გამოცხადებაი" 174). მწერალი რომ იტყვის „დიდი ბჯა  
იღვა გასალეწიო" („ბორიაცი", 168), გულისხმობს არა ზოგადად  
„ბზის ზვინს" (ქეგლ), არამედ ეყრდნობა ხალხურ სიტყვიერებას,  
სადაც ბჯა არის „ყანის დაღგომა გასალეწად" (ალ. ღლონტი). ასე-  
ვე აკონკრეტებს კუდიკარის მნიშვნელობას: „შეალო კუტიკარი"  
 („ბერძულის სამკუთხედი", 168), ანუ პატარა ჭიშკარი (ქეგლ).

სიტყვის ძირითადი მნიშვნელობით გამოყენების ერთ-ერთი  
თვალსაჩინო ნიმუშია **სარკმელი**, რომელიც ქართული ენის განმარ-  
ტებითი ლექსიკონის მიხედვით იგივეა, რაც ფ ა ნ ჯ ა რ ა. ოთარ  
ჩხვიძისათვის კი **სარკმელი** ვიწრო ფანჯარაა ანუ საბა ორბელიანი-  
სეული „სახლთ სასინათლო გარდასაჭვრეტი": მხოლოდ მაღალი,  
ვიწრო **სარკმლები** თუ შეაეჭვებდა ვინმესა („ცხრაწყარო", 269).  
მოჭიატენი ვიწრო **სარკმლებიდან** („ცხრაწყარო", 3777). სადღაც  
კუნჭულში გამოძკრთალი ვიწრო **სარკმელი** („ჩემი სოფლის ეტიუ-  
დები", 509).

საერთოდაც, ოთარ ჩხვიძეს არ აკმაყოფილებს სიტყვის ზოგა-  
დი მნიშვნელობა; იგი გულდაგულ იძიებს ამა თუ იმ სიტყვის სე-  
მანტიკურ ნიუანსებს. ამ შემთხვევაშიც მწერალს აკვალაინებს სულ-  
ხან-საბა ორბელიანი: „ქარი ამოვარდნილიყო, ნოტიო ქარი...  
ოლონდ ქარი ბევრგვარად ითქმის, ოცადათამდის ჩამოსთვლის სულ-  
ხან-საბაი, ოთხი თუ ხუთიც მრავალწერიტილით აღუნიშნავს, იმის  
დროს ალბათ დავიწყებოდათ ის ოთხი-ხუთი, მას მერე დანარჩენი  
დავიწყებულა. ზენაქარიო, იტყვიან, ქვენაქარიო, ნიავიო, სიოო, დი-  
დი ქარიო, მორჩა და გათავდა, მეტ გარჩევაში აღარ შედიან, ქარიშ-  
ხალი თუ წამოსცდება ვინმესა, მაინც დიდი ქარიო, მაშინვე და-  
სძენს, ვითომ ესეც გაუგებარი გამხდარა განუმარტებლადო; აქ რო-  
გორ გითხრათ: ქარიშხალი არ ითქმოდა, მეტი იყო ნიაგზედაცა, მო-  
დიოდა ზენაქარისადა, საბა აღვილად შემოგვძახებს, რაცა რქმოდა,

მაგრამ რა ბედენაა, თუ არავინ ყურად არ იღებს, რა ბედენაა!" („ბორიაცი“, 206).

ოთარ ჩხეიძემ მრავალი მივიწყებული სიტყვა მოიძია, თავის თხზულებების ენაში გამოიყენა, სალიტერატურო ენის მიმოქცევაში შემოიტანა და დაამკვიდრა. ამის საილუსტრაციოდ მშვენიერი მაგალითია ლექსიკური ერთეული **ბორიაცი**, რომელიც სათაურადაც წაუძმღვარა თავის ერთ-ერთ გახმაურებულ რომანს. ეს სიტყვა არ არის შეტანილი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ჩიქობავასეული რვატომეულის პირველ რედაქციაში, რომლის სალექსიკონო წყაროდ ამ პერიოდში (1950) ოთარ ჩხეიძის თხზულებათა სიტყვიერება ჯერ არ გამოიყენებოდა. ავთანდილ არაბულის რედაქტორობით გამოშვებულ განმარტებითი ლექსიკონის ახალ რედაქციაში (2008) უკვე უხვად არის შეტანილი ოთარ ჩხეიძის ნაწერების სიტყვიერი მასალა, სადაც **ბორიაცი** შეტანილი და განმარტებულია ოთარ ჩხეიძის სიტყვიერებაზე დაყრდნობით:

**ბორიაცი**-ი (ბორიაციისა) დიდი სიცხისაგან და მტკრისაგან დამდგარი ბურუსი. მობრუნებულიყო ზაფხული, იდგა ბორიაცი (ო. ჩხეიძე). || ბ უ ღ ი (ქეგლ, 2008).

ამ სიტყვას მცირედ განსხვავებული სემანტიკური ნიუანსებით იცნობს სულხან-საბას „სიტყვის კონა“ და „ქართლური დიალექტის ლექსიკონი“. საბა ორბელიანისათვის **ბორიაცი** სადარო ნისლია; ქართლური დიალექტის მიხედვით კი **ბორიაცი** არის ჰაერში ავარდნილი მტვერი, ბღღვირი.

ოთარ ჩხეიძის ამ რომანის სათაურად გამოტანილი **ბორიაცი** გადატანითი მნიშვნელობით საბჭოთა ეპოქის სულისშემზრთველი ვითარების გამოშხატველია, ძირითადი შინაარსით კი დიდი სიცხისაგან და მტკრისაგან დამდგარი ბულია:

„ზვატი დასცემოდა, დასცემოდა **ბორიაცი** სოფელსა... სიცხეს დაეფრთხო, **ბორიაცს** დაეფრთხო ხალხიცა და წიწილ-კრუნიცა“ („ჩემი სოფლის ეტიუდები“, 284). „მტვერი შემოჰხვეოდა, **ბორიაცი** გადაჰხვეოდა“ („ბორიაცი“, 12). „ეტლი ბრუნავდა მტვერში, **ბორიაცი** თან ერთად ბრუნავდა“ („ბორიაცი“, 16). „ის იყო, რაც იყო, ის სიცხე, ის ზვატი, თითქოს აგვისტო შემობრუნდაო, ის **ბორიაცი**, თვალგაუჟვალა, გაბმული, დაუმწკნარი... ის **ბორიაცი**, ისევე რო ბულ-რაობდა... ის იყო, რაც იყო“ („ჩემი სოფლის ეტიუდები“, 283).

მწერალი იმაზედაც ზრუნავს, მივიწყებული სიტყვის მნიშვნელობა გასაგები გახადოს მკითხველისათვის; ამიტომაც თავისივე მოძიებულ სიტყვას დაუწყვილებს ხოლმე შესაბამის სინონიმურ ერთეულს: იიწვა **ყუმი**, ყური, ყუჩი, მიდამო" („მეჩეჩი", 408). „დაბლა მდინარე ჩამდოვრებულა, გაყუმებულა" („ლანდები", 12).

ოთარ ჩხეიძე ზედმიწევნით ფლობს ფრინველთა თუ ცხოველთა ქმედებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ლექსიკურ ნიუანსებს: „ბონობს არწივი, ბონობს ცაში, ყვიის, ყაყყაშებს, ბონობს, ბონობს, ეპა, ბონობს, ვითომდა ლაღობსაო" („გამოცხადებაი", 205). „მორჩილად დაყუნცულიყვნენ ქოფაკები" („ბორიაცი", 139). „ძაღლები იქავ დაყუნცულიყვნენ" („ბორიაცი", 104). „ჩიტები ქორჩავენ ერთმანეთსა, პოტნიან ერთურთსა" („ჩემი სოფლის ეტიულები", 77).

ოთარ ჩხეიძის უმთავრესი და ამოუწურავი საუნჯე ხალხური სასაუბრო ენა და დიალექტებია. სწორედ ამითაა მისთვის ფასეული ბარნოვის ენა: „იმისი ლექსიკა ცოცხალი მეტყველებიდან მოდიოდა, ისე ლაპარაკობდნენ გლეხები და ხელოსნები, ისე მეტყველებდნენ თავდა-აზნაურნი... ბევრი ძველი წიგნებიდანაც გამოეზიდა, ოღონდ ისეთი, ლიტერატურას რომ დაჰკარგოდა, ხოლო დიალექტებში ისევა ცოცხლობდა... სიტყვასთან ბრძოლის ასპარეზი მაგიდაზე გადმოვიდოდა და ვინ უწყის, მას შემდეგ როგორ დაირღვა საუკუნის დასასრულისას ჯერ კიდევ ღონიერი დიალექტები? მით უფრო იმის ნაწერებში შემონახულან, გადარჩენილან, მკითხველი გაიხსენებს და იმასთან იქნება, კვლავ ერთად იქნებიან, ერთად ივლიან" („რომანი და ისტორია", 373-374).

ოთარ ჩხეიძეც მიყურადებულა ხალხურ სასაუბრო ენაზე და ამიტომაცაა, რომ მისი თხზულებებიდან ზღაპრის თხრობის სტილიც გვეცნაურება: „ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა გიგომა, მეტი ვერა მოიფიქრა რა"... („მეჩეჩი", 344). „მაშინ სად იყო, სად არა, ძალაყინმა იელვა" („მეჩეჩი", 400).

ოთარ ჩხეიძემ ხალხური სიტყვიერებიდან გამოზიდა და თავის ქმნილებებში უზვად მიმოაღავა მრავალი „უზედმეტო" სიტყვა: „ბასკურელთა გვარისანი მაინც შემორჩენილიყვნენ, მიმოლაგებულიყვნენ, მიმოფანტულიყვნენ" („ბორიაცი", 107). „მიმოლაგებულყო კელლის ნანგრევი" („გამოცხადებაი", 28). „გიგომ თუთა ასჩეხა, აკაფა, მიმოლაგა" („მეჩეჩი", 534). „შევარდა დარბაზში, სარკეებს ეცა, მიმოლექა, მიმოლაგა" („ალმართ-დაღმართი", 159). „ერთი ძველი

კომბინი ეგლო, დაშლილი, დაღაეებული" („ჩემი სოფლის ეტიუღე-ბი", 316).

ოთარ ჩხეიღეს განსაკუთრებით უყვარს მოღინი-ღან ნაწარმო-ები ზმნები, რომღებსაც ის იყენებს ზალზში გაერცღეღული მნიშ-ენღობით, საღაც მას მიმორხევისა და ძაღმაღის მნიშენღობა აქეს: „შემოღოღინღებოღა ეტღი უჩვეუღოღაცა, შემოღოღინღებოღა თუ ღაღებოღა, ანთუ ღაღებოღა და მერეღა შემოღოღინღებოღა" („ცხრა-წყარო", 389). „ვაღონი შემოღოღინღა („ჩემი სოფღის ეტიუღები", 100). „შემოღოღინღა ქაღი, შემოღოღინღა და გაღოსცრა ეს სი-ტყეღები" („ჩემი სოფღის ეტიუღები", 270). „შემოღინღა აიღანი („ცხრაწყარო", 436).

ასევე ინტენსიურად იყენებს ამავე ფუღის, ოღონღ სემანტიკუ-რი ნიუანსით განსხვავებულ სიტყვას – აძუღგა, რაც მწერღისეუ-ღი კონტექსტით ნიშნავს ა წ უ რ ვ ა - ა კ ა ნ კ ა ლ ე ბ ა -ს: „ქაღი აი-ძუღგა, აიძუღგა და მიმოიხეღა" („ცხრაწყარო", 487). „აიძუღგა კა-ცი" („ჩემი სოფღის ეტიუღები", 198). „აძუღგულიყო ზალზი მღღმა-რე ქაღაქში" („ბერმუღის სამკუთხეღი", 400). „აძუღგულიყო სა-მხრეღი, ამიერ აწურულიყო, მონუსხულიყო" („ბერმუღის სამკუთხე-ღი", 43). „ხეღი შეაზო აძუღგულ მხრებზეღა" („ცხრაწყარო", 488).

ოთარ ჩხეიღის სიტყვათქმნაღობისათვის ღამახასიათებელია ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ერთ ზმნურ ფორმაში მოქცევა: „ღა-მარტოხეღებულიყო რუსუღანიცა, გათხოვებით არ გათხოვიღიყო, ისე ღამარტოხეღებულიყო" („ჩემი სოფღის ეტიუღები", 260). „მა-ინც ჩაუგულმოღღინღა თავის სიტყვასა" („ბორიყი", 80). „თავი მო-იღარბაისღა" („აღმართ-ღაღმართი", 155). „უკვირმაკვირობღა მინის-ტრიცა" („ბერმუღის სამკუთხეღი", 150). „მაშინ თვითონვე მიადღენე-ბენ გუღმანსა, გაჰყეღებოღნენ, გამოიწყრიღებღნენ" („ჩემი სოფღის ეტიუღები", 18). „თვითონვე ჩაიღიებღნენ, გამოიწყრიღებღნენ" („ჩემი სოფღის ეტიუღები", 22). „ვიღაც მაღალ-მაღალი კაცი წაუღმხარ-ღამხარღა ირინესა" („მეჩეღი", 440). „გაგულცივეღებოღნენ, გაღა-გვარღებოღნენ" („მეჩეღი", 534). „შესტრაბახებღა" („ცხრაწყარო", 356). „არც თუ ტახისასა, არც თუ გოჭისასა... ერთს რომეღთაღან-საც ეყიღულებოღნენ, ანუ ვაღოღა ეყიღულებოღა" („ჩემი სოფღის ეტიუღები", 302).

ზოგჯერ სიტყვათქმნაღობის მწერღისეული ხეღოვნეღა სტი-ღიზებულია: „ღავარღა ტახტზეღა, ღავარღა, გასავათებული, ფიქ-

რგაყრილი, აზრგაყრილი, ძვალგაყრილი ხორცისგანა" („ბორიაყი", 18). ზოგჯერ კი გენდერული შეთანასწორების ხერხსაც იყენებს: „დედაბრების" ანალოგიით აცოცხლებს არქაულ სიტყვას – მამაბრები: „ახალგაზრდები მოსწონთ დედაბრებსა. მამაბრები არიან, რაც არიან" („არტიტული გადატრიალება", 106). ამ სიტყვას იცნობს სულხან-საბას ლექსიკონი: რომელ არს მამაბერი და დედაბერი.

ოთარ ჩხეიძისათვის სიტყვა სამკაული კი არ არის, არამედ მწერლისათვის ზოგჯერ ალევორიული, შენიღბულ-შეფარული აზრის თავშესაფარია, რის საილუსტრაციოდაც გამოდგება „ბორიაყი" დასახელებული ტოპონიმი „ნატბისი". როსტომ ჩხეიძის მახვილგონივრული მიგნებით, „ნატბისი" ოთარ ჩხეიძისეული ტოპონიმი: „ნატბისი" – ასეთი ტოპონიმი არ არსებობს ქართლში... ნატბისი ნაშთსა თუ ნანგრევს გვანხსენებს თავისი აგებულებით, გამქრალ ტბას, გამქრალ სიკამკამეს მოგაგონებს, რაღაც ძვირფასის ნაკვალევს... ნატბისი მთელი ქვეყნის სიმბოლოდაც რომ განზოგადდება, ყველაზე უკეთ და ხელშესახებად მიწის დითირამბი მიგაზვედრებს, მიწის კულტის განცდა, გვარისა და ერის ისტორიული ფესვებისაკენ რომ მიეზიდება ფიქრს, ყველაზე დიდი თავშესაფრისაკენ, და არ განებებს, თავი დაზოგო მის გადასარჩენად" (რ. ჩხეიძე, „ავვისტოს შვილები", 2008, 53).

ოთარ ჩხეიძის შემოქმედების მასაზრდოებელი წყაროა თავისი ხალხის ყოფა და ქართული სიტყვის წიაღი, რითაც კეთილისმყოფელი გავლენა იქონია გიორგი ლეონიძის, რევაზ ინანიშვილისა და სხვა ქართველ მწერალთა შემოქმედებაზე, მათ ენასა და სტილზე. როსტომ ჩხეიძის მართებული შეფასებით, „ჩემი სოფლის ეტიუდების" ათინათი დასთამაშებს „ნატერის ხეს"... ეს ათინათი გადმოსულა რევაზ ინანიშვილის ნოველებისა და შინაიტურების კრებულზეც" (რ. ჩხეიძე, „ავვისტოს შვილები", 2010, 158).

ოთარ ჩხეიძე მთელი არსითა და შემოქმედებით სისხლხორცეულადაა შენივთული თავის კერასთან, სოფელთან და თანასოფლელებთან, რომლებიც განუყრელად თან დაჰყვებიან: თანდაანთ გაბო და თანდაანთ სიკო, ჩოჩე, დაღლარა, შროშანა, ჩიკოლა, ტატე, თალო, ღიბირა, წითა, ტოღია, გეგენა, კვანკვალა, ღვიტა, ღვლიპა, კოწიწა, ფუნჩულა, ტარაუცა, ტროყო, კნაჭა, ტარუა, ყოყოლი, ყარო...

მწერალმა მათ განიადაგებულ ოჯახში დაინახა ურჯუკი დედაკაცი და არტანუჯი დედაკაცი, ხეხელა ქალი თუ ჩქოლა და უხედმეტო ქალიშვილი, წატეხილი კაცი თუ ჭკუაკითხული კაცი, ტორტლა შვილები, გამოსხლეტილი თუ ჯერ კიდევ გამოსასხლეტი ბიჭი...

ღირსსაცნობია ოთარ ჩხეიძისეული სიტყვაპრაველობა, რაც მისი სიტყვიერების სტილის ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანთაგანია, სადაც თითოეული სიტყვა, მრავალჯერაც განმეორებული, მიზანმიმართულია და ტევადი. უაღრესად მდიდარია და მრავალფეროვანი ოთარ ჩხეიძის სიტყვიერი სალარო. მწერლის სიტყვიერება გაჯერებულია სინონიმური თუ ანტონიმური ლექსიკით, ნიადაგ ეძებს, პოულობს და სალიტერატურო ენას უბრუნებს მივიწყებულ სიტყვებს, ხალხურ სასაუბრო ენაში შემორჩენილთ; თხრობის სტილი ლაღი აქვს, ღინამიური და დაბეჯითებული:

„აქედან მიდიან, იქსაქსებიან, ფესვები იქ შეუსკვნიათ... ფესვი ფესვეული მაინც არ დააშორებს, ყოველთვის ერთოულად, განურჩევლად, განუსხვავებლად შეატყობინებს, აგრძნობინებს საამოსა თუ უამურს, სალხინოსა თუ საწუნს, საბედნიეროსა და საბედისწეროს; ზრუნავს, ღელავს, შფოთავს, ბობოქრობს, დარაჯად დამდგარა ფესვი ფესვეული“ („ტინის ხილი“, კარი მესამე, 195).

„მზე იბუღებდა ზღვაში. იბუღებდა. ჩაებუდა... არც შეუმჩნევია, თუ ვინ ჩაიქროლა, თუ ვინ გაედევნა, ვინ თუ სად გაჰყვა. სახე მოერღვა თითქოსაო. მოერღვა. მოეშალა. მოეკუტნა. მოსწყდა. მოეფხშვნა. დასცვივდა თუ დავარდა თითქოსაო. დაიზრიალა. დაილეწა. მერეღა დაიფშხვნა თუ დაილეწაო“ („ბერმუდის სამკუთხედი“, 464),

ოთარ ჩხეიძისათვის უცხო არაა ირონიული ელფერით შეხაკებული სიტყვაშეხამებანი: „პიტალო უგუნურება“ („ბორიაცი“, 84). „შემზარავად მოხდენილი თითები“ („ბორიაცი“, 128). „უხმოდ აჭრი-აღდა საწოლი“ („აღმართ-დაღმართი“, 84) და თუ დასჭირდა, — სარკასტულიც. მწერალი განსაკუთრებით დაუნდობელია ფარისეველთა მიმართ; საამისოდ ერთი მაგალითიც იკმარებს, 1956 წლის მარტის მოვლენებს რომ ასახავს: როდესაც ეროვნული მუხტით აზვირთებული ახალგაზრდობა ხელისუფლებამ სასიკვდილოდ გაიმეტა და „აღინა ნაკადულები სისხლისა“, ამ ვანდალიზმით აღშფოთებული ოთარ ჩხეიძე სარკასტული ეპითეტით „ამკობს“ ტრიბუნაზე შემდგარ სამთავრობო პოეტს, რომელიც იყო „მკერდმოკირწყლული

ჯილდოებითა" („გამოცხადებაი", 236). ხალხის გაუგონარი სისასტიკით დარბევის შედეგის გამოსახატავად მწერალი დაუნდობელი სათაყვანო შზის მიმართაც კი და ერთ ფრაზაში მოაქცევს შემზარავ სურათს: „ხოლო დილითა... მზე ამოვიდა უსირცხვილოდა" („გამოცხადებაი", 241).

ჭეშმარიტად, ოთარ ჩხეიძის ეს ერთი გულმტკივნეული ფრაზა გადასწონის ფარისეველთა ყალბი ფუჭსიტყვაობის ტომეულებს.

აი, ასეთი მომწესხველია სიტყვა ოთარ ჩხეიძისა!

აი, ასეთად გვესახება ძალმოსილება ოთარ ჩხეიძის სიტყვიერებისა!

ოთარ ჩხეიძე ღრმად ჩასწვდა ქართული ენის წიაღში დაუნჯებულ საგანძურს, იქიდან ამოზიდა ფერფლწაყრილი სიტყვანი და თავისი თავანკარა ქართულით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრებაში. მის სიტყვიერებაში მთელი თავისი სიდიადით გაბრწყინდა. „ენა ქართული, ენა სალოცავი ჩვენი, სახატე ჩვენი, დიდი ტადარი" (ო. ჩხეიძე).

მსგავსად ილია ჭავჭავაძისა, რომელიც მიძინებულ ერს ამუნათებდა: თუ მამულს, ენასა და სარწმუნოებას არ გაუფრთხილდით, რა კაცები ვიქნებითო, ოთარ ჩხეიძეც შეუპყრია საქვეყნო ფიქრს. ისტორიულ პიესაში – „მეფე აშოტ დიდი კურაპალატი" – სამშობლოს უბედურებით შეძრულ ღვთიშობლის გოდებას – „რა ეშველება საქართველოს, რა ეშველება" – ახლავს ოთარ ჩხეიძის გულმტკივნეული, მრავლისმთქმელი მინაწერი:

„ღვთიშობელმაც თუ აღარ უწყის, მართლაც და ნეტავ: რა ეშველება საქართველსა" (104).

ამ ზრუნვიან კითხვას ოთარ ჩხეიძემ თვითონვე გასცა პასუხი თავისი მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი ცხოვრებით. მოწოდებად და ვედრებად გაისმის ღალადისი ოთარ ჩხეიძისა – რა ეშველებაო-და:

„ნუ მიენდობი სიმუხთლეს ბედისა, განჭვრიტე ჭეშმარიტი, იწამე გადარჩენა, გადარჩენა იწამე, გაჰფანტე აღრევანი გონებისანი, სულმოკლეთა მორჩილებისა, აღამაღლე სული უძველესი ხალხისა, სული უკვდავებისა, სული უკვდავებისა, აღამაღლე ენაი შენი, ენაი დიადი, ენაი ღმერთებისა, აღამაღლე" („ბორიაცი", 252).

ამინ!

## მსახურება ქართული სიტყვისა

„შენ სამკურნალო ბალახებივით  
 ჰოგიერეფია სიტყვა ქართული“.

ამ სიტყვებით შეაფასა გიორგი ლეონიძემ დიდი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის ღვაწლი; ამავე სიტყვებით შეიძლება მივმართოთ გიორგი ლეონიძესაც, რომელიც მართლაც „სამკურნალო ბალახებივით“ კრეფდა დაეწევის ფერფლწაყრილ სიტყვებს და დაუცხრომლად ზრუნავდა მათ გადასარჩენად. იგი გულმოდგინედ ეძებდა სიგელ-გუჯრებსა თუ ხალხურ მეტყველებაში გაბნულ ძვირფას ლექსიკურ ერთეულებს, ეძებდა და პოულობდა! პოულობდა და შექქონდა ისინი თავის პოეტურ თუ პროზაულ ქმნილებებში. მწერალი თვითონვე გვამცნობს: „ეს სიტყვები იმ ღურჯთვალა იებში მიპოვნია, ჩვენს მიდამოებში რომ ვკრეფდი, იმ ყაყაოვარეულ ჯეჯილებში, მზით ამოვსებულ თავთაებში, შეთქვირებულ ყანებში რომ დგანან სხივოსილი სიტკბობითა და იღუმალებით“. გიორგი ლეონიძემ ამ გზით მრავალ სიტყვას შთაბერა სიცოცხლე, შემოიტანა და დაამკვიდრა სალიტერატურო ენაში. მასაც ღვინჯუასავით „არ უყვარდა მაღალსამტკრევი სიტყვები და ფეხმოკლე აზრი“, სამაგიეროდ „სიტყვის ჭახრაკები იცოდა“, „ამოზრახული სიტყვას კილოს უპოვნია“. მისი სტიქია იყო „მუხლადი, ბელაური, მაძლარი სიტყვა“.

გიორგი ლეონიძემ არაერთი პოეტური შედევრი უძღვნა ქართულ სიტყვას, რომლებსაც თამამად შეიძლება ეწოდოს კიშნი ქართულ სიტყვას.

ქართული სიტყვა მას ესახება „მეორე მზედ“, რომელმაც „ზიდა ბედი საქართველოსი“, რომლის „დადარი არ იშრიტება“, ვინაიდან ყველამ იცის, „რა დიდი ზღვაა, რა უძიროა!“

სიტყვა ძლიერი, ვით ანთოსი,  
 მე ვპოვე ერის გამაცოცხლებლად,

მან ზიდა ბედი საქართველოსი,  
ცრემლი, გოდება, ვნება, ოცნება.

მეორე მზედ მაქვს გამოსახული  
და მზეზე აღრე მე მას ვუგალობ,  
თუკი გაემხდარვარ მისი მსახური, —  
მაშ, როგორ უნდა გავქრე უკვალოდ?  
(„ქართული სიტყვა“).

პოეტმა ქართული სიტყვის მსახურება გამოხატა აგრეთვე  
ლექსში „ქართული სიტყვა“:

პირველ მოწვევებზე იების დღიდან  
მე ვარ დამწვარი შენი მსახური:  
შენი თაფლი და მარილი მზრდიდა,  
მზე შენ დამწერე და გაზაფხული.

შენ უკვდავი მზით დამაძაბუნე,  
შხეფი ნათლისა სულში დასძარი;  
ჩემი დროშა ხარ მოიერიშე,  
ჩემი ვენახი, ჩემი ტაძარი!

შენზე უჭკნობი და დიდებული  
რალამ შექმნას და ვილამ დახატოს,  
გულზე ხარ ცეცხლით მოჭიდებული,  
ქართველი ხალხის სულის ღალადო!

ფოლადნადებო, ვარდში ხვეულო,  
თუ დაგივიწყო, შემახმეს ენა!  
სისხლსაც შენ მოგცემ მე წვეთეულად,  
სისხლის წინწკალსაც უკანასკნელად.

შენ უკვდავების ჩამონადენო  
მშვენიერება ხომ შენით ითქვა,  
დიდება შენდა ჩემო ნათელო, —  
ქართულო სიტყვა,  
ქართული სიტყვა!

დიდია გიორგი ლეონიძის როლი თანამედროვე ქართული სა-  
ლიტერატურო ენის ლექსიკის გამდიდრებაში. საამისოდ მწერალი  
ძიმართავს უმთავრეს წყაროებს: ძველი ქართული ენის ლექსიკურ  
საგანძურს, ხალხურ მეტყველებასა და დიალექტებს; აგრეთვე თვით  
მწერლისეულ სიტყვათქმნადობას.

## ხალხური მემკვიდრეობის ნაკადი გიორგი ღვინიძის ენაში

სალიტერატურო ენის ერთ-ერთი უაღრესად საჭირო მასაზრდოებელი წყაროა დიალექტი. „ყოველ სალიტერატურო ენაში ნიადაგ მოუონავს ცოცხალი დიალექტების მოვლენები, ლექსიკურიცა და მორფოლოგიურ-სინტაქსურიც, სემასიოლოგიურ-სტილისტიკურიც: სალიტერატურო ენა ამით საზრდოობს, სალიტერატურო ენა ამის გარეშე ვერ განვითარდება – ეს პროცესი, მაშასადამე, ნორმალურია“ (ჩიქობავა, 1938, 209). დიალექტებთან კავშირი განაპირობებს სალიტერატურო ენის სიცოცხლისუნარიანობას. „დიალექტებთან კავშირი რომ გაწყდეს, სალიტერატურო ენა მკვდარი, ხელოვნური გამოვა“ (ჩიქობავა, 1938, 010). „სალიტერატურო ენა ხომ იგივე ხალხური ენაა – გადამუშავებული სიტყვის ოსტატების მიერ“ (ძიძიგური, 1965, 24, 29).

დიალექტები სალიტერატურო ენას განსაკუთრებით უზვად კვებავენ ლექსიკით. სალიტერატურო ენის ლექსიკის გამდიდრების სხვა საშუალებათა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სიტყვათა შემოტანას დიალექტიდან, და სწორედ აქ განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს სალიტერატურო ენის კავშირი ცოცხალ კილოებთან“ (ჭუმბურიძე, 1956, 27). „ხალხურ ცოცხალ მეტყველებასთან კავშირი სალიტერატურო ენისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. საკითხავი აქ ისლაა, როგორ გამოიყენებს მწერალი-შემოქმედი ამ კავშირს, როგორ შეუხამებს ერთმანეთს ისტორიული ტრადიციით ნაანდერძებს და ცოცხალი ხალხური მეტყველების უსრეტი წყაროდან მომდინარეს“ (ჩიქობავა, 1959, 5).

სალიტერატურო ენაში დიალექტიებიდან სიტყვები შემოდის სამწერლობო ენის საშუალებით. ამიტომაც განუზომლად დიდია მწერლის როლი ამ საქმეში. ხშირად მწერლის გემოვნებასა და ერუდიციასზე და, შეიძლება ითქვას, მის ავტორიტეტზეცაა დამოკიდებული ამა თუ იმ სიტყვის შერჩევა, შემოტანა და დამკვიდრება სალიტერატურო ენაში. ამ მხრე ქართველ მწერლებს საკმაოდ ფარ-

თო ასპარეზი აქვთ, რადგან ქართული ენა მდიდარია დიალექტებით. ცოცხალ სასაუბრო ენასთან ქართული ენის დაახლოება დაკავშირებულია ჯერ კიდევ რუსთაველის სახელთან; ამ გზას გაჰყვნენ სულხან-საბა ორბელიანი და დავით გურამიშვილი, ხოლო ილიამ, აკაკიმ და ვაჟამ კიდევ უფრო გააღრმავეს ეს ტრადიცია. მაშასადამე, ქართული სალიტერატურო ენის განვითარება იმთავითვე მყარ ნიადაგზე იყო დაფუძნებული. ამ საიმედო ფუძეზე დგას თანამედროვე ქართული ენაც, რომლის განვითარებაში ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს თანამედროვე ქართულ მწერლობას, კერძოდ კი, მის ერთ-ერთ დიდ წარმომადგენელს — გიორგი ლეონიძეს.

გ. ლეონიძემ თავის დიდ წინამორბედთა მსგავსად ცოცხალი სამეტყველო ენა მიიჩნია სალიტერატურო ენის ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ. ცხადია, კახეთში დაბადებული და გაზრდილი მწერლისათვის მახლობელია კახური დიალექტი, საიდანაც მან მრავალი სიტყვა ისესხა, მაგრამ იგი ქართულის სხვა დიალექტებში (განსაკუთრებით მთის დიალექტებში) ეძებდა სალიტერატურო ენისათვის საჭირო სიტყვებს.

გ. ლეონიძეს ქართული ენის დიალექტებიდან სალიტერატურო ენაში უმთავრესად შემოჰქონდა ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც სალიტერატურო ქართულში მივიწყებას მისცემიან ან მეტად იშვიათად იხმარებიან. ამ სიტყვათა უმრავლესობა სჭირდება სალიტერატურო ქართულს; ეს ისეთი სიტყვებია, რომლებიც „წიგნის მეტყველებაში შეიძლება არ აღმოჩნდეს, მაგრამ ხალხში ცოცხლობდეს. ასეთი სიტყვები გამოადგება სამწერლობო ენას, თუ დავიცავთ; დააკლდება, თუ დავუკარგავთ. ასეთი სიტყვები სამწერლობო ენის ლექსიკის რეზერვია. ამ რეზერვს ქართული სამწერლობო ენა იყენებს დღესაც (თუმცა არც თუ ისე სრულად, როგორც საჭიროა)" (ჩიქობავა, 009).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გ. ლეონიძე დიდებულად ფლობს და წარმატებით იყენებს ლექსიკის ამ ამოუწურავ რეზერვს. მან თავისი მხატვრული ნაწარმოებების საშუალებით სალიტერატურო ქართულში შემოიტანა ლექსიკის სარეზერვო ფონდის ის სიტყვები, რომელთა დაკარგვა გააღარბებს ენას, დამკვიდრება კი გამდიდრებს. მწერლის მიერ დიალექტებიდან შემოტანილი სიტყვები ტიპიურ დიალექტიზმებად არ მიგვაჩნია, რადგან „ლიტერატურაში უხმარი სიტყვა მხოლოდ ამის გამო არალიტერატურულად არ მიიჩ-

ნევა" (ჩიქობვა, 009). ასეთ სიტყვებს მწერალი იყენებს არა იმდენად ადგილობრივი თუ სოციალური კოლორიტის დასახატავად, რამდენადაც თვით სიტყვის გადასარჩენად, სალიტერატურო ენის გასამდიდრებლად.

## I. ადამიანის თვისებებისა და მოქმედების აღმნიშვნელი ლექსიკა

ადამიანის თვისებების, ადამიანთა ურთიერთობების და მოქმედების აღსანიშნავად გ. ლეონიძე იყენებს ისეთ სიტყვებს, რომლებიც ხალხშია გაბნეული. მწერალს ისინი დაუძებნია, უპოვნია და თავის თხზულებებში გამოუმზეურებია. ზოგი მათგანი სჭირდება სალიტერატურო ქართულს, ზოგის შესატყვისი უკვე აქვს მას; ამიტომაც ყველა მათგანი ვერ მოიკიდებს ფეხს სალიტერატურო ენაში; ეს დროის საქმეა, ჩვენ კი შეძლებისდაგვარად აღვწახეთ ეს სიტყვები. აი ისინიც:

ადამიანის ჩამომავლობის, ნათესაობის აღმნიშვნელია: **ნაშენი**, **მოსადევარი**: შენს სანახავად მოვსულვარ, დავით, შენი **ნაშენი**, **მოსადევარი** (I, 387,8). უახლოეს მეგობრად, ნათესავად გატოლებას **შესადარება** ჰქვია: აკი ლუკმა მოგვიწუნწრუქა კიდეც ამ მაწუნწარამ, მე და ბათხომ რომ ძმად **შევისადარეთ** (ნ., 209,8). თუ ვინმე ან რამე ადამიანის იმედი და დასაყრდენია, მას **დასამზრისი** ჰქვია: — სადა გყავს ღვინჯო, **დასამზრისი**, სულის თვისტომი (ნ., 102,22). აწ იგი რაღა **დასამზრისია**, (ა., 40,19). იორამის ერთადერთი თავშესაფარი გარსიას საზარაზო იყო, მისი ერთგული **დასამზრისი** (ნ., 130,13). როცა ადამიანს ვინმე თავისად, თავის სასურველად მიაჩნია, იგი მას **ეკერძება**: პატარძალი დუდლუბა მონადირეს **ეკერძებოდა** (ნ., 93,21). ჩემი სოფელი მუხათყყარო **მეკერძებოდა** (ნ., 189,24). გვარამოწყვეტილი ადამიანი **უგვარკილოა**, ხოლო უშვილო, უმემკვიდრეო-**უშვილძირო**: **უგვარკილო** კი არა ხარ! კიდეც ცოცხლობენ ლასურიძეები (ნ., 70,3). **უშვილძირო** იყო ციციკორე (ნ., 134,10). უპატრონო, მარტოდმარტო, ყველასაგან მიტოვებული ადამიანი კი **ლიტაოა**: ხომ იცი, უპატრონო ვარ, **ლიტაო**, არავინა მყას

გულშემატკივარი (ნ., 30,6). მოკვდეს ჩემ მიერ დარჩეს ლიტაო (ნ., 99,16).

მეტისმეტად გასუქებული ადამიანი **გასივსივებულა**: ამიტომ ეზარებოდა **გასივსივებულ** თლოშიაურს მიუღვომელ ქაჩასთან წასვლა (ნ., 84,19). ხოლო კარგად ნაკვებ და ნაპატივებ ადამიანზე, რომელიც არც ძალიან მსუქანია და არც ძალიან გამხდარი, იტყვიან, **შუახორცად** არისო: როცა მოიკითხავდით, შეკითხვაზე, — როგორ მოისახლისებთ, როგორ ბრძანებდით? — დაზვინული ჭამპურა აღერსიანი კმაყოფილებით ვიპასუხებდათ: — **შუახორცად, შუახორცადო!** (ნ., 206,170. შემდეგში კი „ჭამპურამ ველარ აიტანა ამდენი უპატიურობა, ამდენი დაუპატიეებლობა, გახდა, ველარ იყო „შუახორცად“ (ნ., 205,24).

დანაოჭებული, კანდამსკდარი სახე **დამშხალულია**, ხოლო მზისაგან კანდამწვარი — **დაშუშხული**: ბებოს **დამშხალულ** სახეზე ნაოჭები ამოდრავდნენ (ნ., 95,4). (ხვედია) შესახედავადაც ძნელი იყო: **დამშხალული...** (ნ., 35,5). მოდის გლეხი, ქართლის ფუძე, წვივშავი და **დაშუშხული** (ე., 537,22).

თმის აღმნიშვნელია **წუწუბები, კაწაწები**: გაუწეწავთ **წუწუბები** (11,19). აბა, ერთი გაბედე! სულ **კაწაწებით** გათრიაო (ნ., 95,5).

კოხტა, მოხდენილი ადამიანის აღმნიშვნელია სიტყვა **კენარი**: მაგრად ჩასხმული ბიჭია, ცქვიტი, კირკიტი, **კენარი** (ე., 590, 6). ძალად მოკეკლუცე ადამიანი კი **კოკობზიკაა**: სწორედ ამ დროს კარებში გამოჩნდა **კოკობზიკა** მუჩონგურე ცანგალა (ნ., 91,3). **პეწენიკი** (პრანჭია) ადამიანი **კვანწიაობს** (კოხტაობს, კეკლუცობს): — უყურეთ, მაგ **პეწენიკს**, თვალთმაქცს, როგორ გვატყუებდა (ნ., 31,9). ეს აქ **კვანწიაობს** (ნ., 95,7). მოყვრისათვის თავდადებული, გულდია ადამიანი **გულთაგულია**, ხოლო გულუხვი და პურადი — **გულქართლი**: მაინც კაცური კაცი იყო, ღმობიერი, სწორი მხედრობა ჰქონდა... მოყვრისათვის, რომ იტყვიან, სწორედ **გულთაგული** (ნ., 134,26). მამა **გულქართლი** კაცია, სძულს პურაძვირის ქაჯობა (ე., 550,5). უუმური და ამაყი ადამიანის დახასიათებისას გ. ლეონიძე საკმაოდ სიტყვაძვირია: ჩიკოტელა **უსალმო, ყომრალი, ცადარუბლული** კაცი იყო, **გულაკაცი, მზვობარი** (ნ., 56,29). **გულდილობას, გულზვიადობასაც** აბრალებდნენ, **თავგაზიდულიაო** (ნ., 134,24). ყალბისმქმნელი ადამიანი კი არის **რიოში**: მაგრამ ღმერთი ხომ ყოვლად ბრძენია და არა ვინმე კაცი **რიოში** (ე., 620,31). ზარმაცი და უქნა-

რა ადამიანის დასახასიათებლადაც არ იშურებს მწერალი თავის სიტყვიერ მარაგს: მეღორე ყიჭალა ღორის აფესვაში რომ ეშველებოდა თაყას, ხელთუყარი, წელიწვეტია, გამონიჭული (ნ., 82,23). ადამიანზე, რომელსაც არაფერი შეუძლია, იტყვიან, ჩინჩალა და უამური (ნ., 28,10). წამხდარი ადამიანი კი შეიძლება იყოს „ღარღლიანი, ლირწი, ღლეტურა“ (ნ., 96,20). უსაქმური ადამიანი შარახვეტაა: არ იზრდება სხვა ბიჭივით უსაქმო და შარახვეტა (ე., 589,14). უქონელი, ღატაკი ადამიანი უარსებოა: ცუდი ბიჭი როდია, მაგრამ უარსებოა (ნ., 164,26). ქურდი კი - ხელშინაური; ბაშუობიდანვე ხელშინაური, მუცელა ქორია ახლა განთქმული ქურდი იყო (ნ., 208,16).

ადამიანი ნაერთბაშევი, როდესაც ერთბაშად, მოულოდნელად ძრავალ დაუჯერებელ და საოცარ ამბავს გაიგებს: ღვინჯუა ყურებს არ უჯერებდა, ისე იყო ნაერთბაშევი (ნ., 98,5). თავმოყვარეობაშელახული და დამცირებული ადამიანი, რომელსაც უკადრისად მოექცნენ, გაუკაცრავებულია: იმ საშინელი დღის შემდეგ გაუკაცრავებული, დამცრობილი მარიტა აღარავის სჩვენებია (ნ., 168,6). ასე დაკბრუნდი გაუკაცრავებული (ნ., 215,12).

გაბუტული და დამღურებული ადამიანი, მწერლის თქმით, გაბუყულია: ჩიკოტელა გაბუყული იჯდა და მოხატრებით ხელს უჭერდა წელზე ნამტერალს (ნ., 63,16).

ადამიანის აზრის, ფიქრის თუ განზრახვის აღსანიშნავად გლეონიძეს გამოყენებული აქვს სიტყვა ცნაური; მისგანვეა ნაწარმოები ნამცნაურები (ნააზრევი, ნაფიქრალი): ვინ გაიგებს მეფის ცნაურს (ა., 119,8). თავს არ მიღებენ, განმცხადებელი შენ გახდი ჩემი ნამცნაურების (ა., 41, 15). ადამიანს, რომელიც ველარ აზროვნებს, ფიქრისა და დარდისაგან გადაღლილია, გადაცოლინარებული ჰქვია: (ბუნბულა) დადიოდა განაპირებული, განკვეთილი, გადაცოლინარებული, მისი გული სევდის სადგური გამხდარიყო (ნ., 216,22).

რაიმესაგან თავის მობეზრებას, შეღონებას შეყველთება ჰქვია: უსაქმურობით შეყველთებული მეზობლებმა ითავისეს (ნ., 62,19). შემაყველთა სიღარიბემ (ნ., 18,18). როგორ შეაყველთა უწყლობამ (ნ., 194,6). დამძლავრებულმა ქარიშხალმა შეაზავთა, შეაყველთა გამოფოთებული ღვინჯუა (ნ., 108,4).

ადამიანი რომ რამეს აიტყვის, აინიუებს და გაჟიუტდება, გაიჯეჯილებსო, იტყვიან: ხეპრე ქმრისა ეშინოდა, ორივეს კარში გამოგვეყრიო, გაიჯეჯილებსო, სად მაქვს მაგის შესანახი ლუკმარო (ნ., 30,15). გაუთავებელ ხმამაღალ, საჩხუბარ ლაპარაკს **ყარყაში** ჰქვია: ჩხუბისა და **ყარყაშისაგან** გაბეზრებულ ჩირიკს მართლაც მოაჭრევი-ნა (კაკლის ხე) (ნ., 59,23). **ყარყაში** არ მოგწყინდა მაგ შავი მიწისათვის (ნ., 37,4). როცა ადამიანი ედავება ვისმეს, იტყვიან: **ეჭინჭრებაო, ეფურტყნებაო**, ხოლო თუ შეეპასება მოდავეს – **შეეჯავახაო**: სულ ამ მიწისათვის **ეჭინჭრებოდა** ჩირიკს გულნამცეცა ჩიკოტელა (ნ., 59,21). რას **მეფურტყნები** (ნ., 60,31). **შეეჯავახებოდა** ქინძურას ცოლს (ნ., 137,4). ადამიანმა შეიძლება **იმწვიტინოს** (ძალიან იწყინოს), ანდა მას **ემწვიტინოს** (ძალიან ეწყინოს) ნათქვამი სიტყვა: ახლა გარსევანმა **იმწვიტინა** (ნ., 43,8). ციციკორეს **ემწვაკა, ემწვიტინა** (ნ., 151,4). ყბაში სილის გარტემას **ტყრუშვა** ჰქვია: მგელხარმა გამეტებით **სტყრუშა** ყურის ძირში, (ნ., 102,2).

სიტყვიერ წინააღმდეგობას, სიტყვის გაღლეტვას **გაკმარება** ჰქვია: ერთურთის სიტყვას **გავიკმარებდით** (ნ., 207,5). ვინც კი თავდაპირველად **გაიკმარა**, ბოლოს იმანაც კი ციციკორეს მხარი მოაბა მკაცრ გადაწყვეტილებაში (ნ., 167,3). ჩიჩიკორემ **გაიკმარა** საოჯახო თათბირზე (ნ., 165,3). გარსევანმა **გაიკმარა** (ნ., 43,5).

არეულ-დარეული ლაპარაკი არის **როტვა**, ხოლო ჩუმად ლაპარაკი – **ტუტუნე**: ეს შემშიში რას **როტავსო** (ნ., 110,20). მხოლოდ ქალები **ტუტუნებდნენ** (ნ., 89,12).

რაიმე მოგონილის თქმა **მოარაკებაა**: ეგ ვინა თქვა! ვის **მოურაკრაკებიაო?** (ნ., 145, 34). ენით მოთაფლვის მაგიერ მწერალი ხმარობს ენით **მოფინფვლას**: არ იცოდა ენით **მოფინფვლა** (ნ., 78,7). ამოთქმულ სიტყვას **ამოდრახული** სიტყვა ჰქვია: **ამოდრახულ** სიტყვას კილოს უპოვნოდა (ნ., 78,6). თუ ადამიანი არაფერს ამბობს, უსიტყვოდაა, **კმეხად** არისო, იტყვიან: თამადა ჯერ **კმეხად** იჯდა სიტყვა-მშრალი, ბოლოს თავს მოეგო, თვითონვე გაივსო ყანწი და **გაბზარული** ხმით წარმოსთქვა... (ნ., 98,26). მიყურისძირების ნაცვლად ლეონიძე იყენებს **მიყურისისხლებას**: შეურაცხყოფა **მიყურისისხლა**, მითამ აღარ ახსოვდა (ნ., 102,9).

სირბილისა თუ სიარული სხვადასხვა სახის გადმოსაცემად გ. ლეონიძე შესაბამისად ახალ ლექსიკურ ერთეულებს ირჩევს: თლო-შიაურმა **მოცხრილა** ქაჩას დასაპატიუებლად (ნ., 84,22). მეფანდურემ ჩონგური დაავლო და **მოცხრილა** (ნ., 145,10). მთელი დღე **ხუსხუსით** დარბოდა (ნ., 83,31). მყისვე დაეშვა, ქალაქს **ჩარუყდა** (ე., 162,5). ნიშარბეულის სანახავადაც კი ვეღარ მიდიოდა გულჯავრეული **ბლუნვით** მავალი (ნ., 193,8). ეულად მავალ, მოხეტიალე ადამიანს მწერალი **ოლოლოს** უწოდებს: რა უნდა წამოსცდენოდა ხეტსა და **ოლოლოს** (ნ., 179,1). გადაკარგული ადამიანის აღსანიშნავად იყენებს სიტყვებს: **გადაქაჯული**, **გადაქინძული**: დაბორილებდა **გადაქაჯული** ღვინჯუა ქასქანჯიელივით (ნ., 105,35). რამდენი ხანია არ გამოჩენილა! სად არის **გადაქინძული**? (ნ., 24,32).

უსწორმასწორო ადგილას ჩავარდნას **ჩარეხვა** ჰქვია: კიდევ რამდენჯერ **ჩაირეხვა** ჩათოვლილ ღრანტეში (ნ., 109,18). დაღლილობით სულის მოთქმა **ამოსულთებაა**: ბათხომ **ამოისულთა** (ნ., 208,11). რამე საქმის გასაკეთებლად დროის პოვნას **მოთავხელება** ჰქვია: ძლივს არ **მოვითავხელე**, სად გამოუთხოვებიათ, რამდენი ვეძებე (ნ., 91,21).

## II. ქართულ სუფრასთან დაკავშირებული ლექსიკა

ცნობილია, რომ საქართველო იმთავითვე ღვინის ქვეყანა იყო და ქართულ სუფრას ყოველთვის ამშვენებდა მრავალნაირი ეროვნული სასმელები, რომელთაგან დღეს ზოგი იშვიათად იხმარება, ზოგი კი სრულიად გამოვიდა ხმარებიდან. ამის შესაბამისად იკარგება მათი სახელწოდებანიც. გ. ლეონიძე ამ შემთხვევაშიც ქართული სიტყვის სადარაჯოზე დგას და თავის თხზულებებში გვთავაზობს ამ სასმისთა თითქმის ყველა სახეობის სახელებს. ესენია: **ჩარა**, **სირჩა**, **გოზაური**, **ჯამი**, **კათხა**, **ხელადა**, **ჯიხვი** და სხვა.

ჩვენი წინაპრები „თუმცა სვამდნენ ჩარებით, ჰქონდათ რკინის წვივები“ (I, 287,10). არ მინდა **სირჩა** სხვისი ნასვამი (I, 286,21). მემკვიდრე ყივჩაღს გადმოგცემ **სირჩას** (II, 28,13). მაშინ ავწიოთ

გოზაურები (II, 49,2). ხელთ მეჭირა გოზაური (ე., 397,7). თიხას ვხელ და ჯამს ვაკეთებ, ჭრელ გოზაურს ყელყარყატას (ე., 557, 11-12). „ჯიხვით, ჯამით მისვამს“ (ნ., 48,32). „ვახტანგმა ხელთ აილო ჭვარტლიანი კათხა და სულ პირველად არდაბრუნებულები ადღერძელა“ (ნ., 120,26). სასმისთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა გლეხთა ნათლობის სუფრა, სადაც ღვინჯუა თამალობს: „ჯამი, კათხა, ჯიხვები, ჭიჭლიყურა საღვინე, გოზაური თახჩებიდან იყურებოდნენ და თამადის გამოძახებას ელოდნენ“ (ნ., 89, 2-3). თამადაც არ აგვიანებდა: „ღვინჯუა ჯამს ხელადას დააჯახებდა, გადაწვდიდა თაყას“... (ნ., 90,16). პაპამ „გამოცალა ხარის რქა და წამოღდა ვაგლახით“ (ნ., 94,18). სუფრაზე კი „შემოდოდა სველ-სველი ხელადები, ჩარექები, საღვინე გოზაურები, ივსებოდა ლიცლიცით ჯამები, ჯიხვები...“ (ნ., 97, 22-23). ღვინჯუამ საყველაწმინდოს თქმა დააპირა, „აილო კიდევ ყანწი“ (ნ., 100,25). მაგრამ შეეხვეწნენ, სამირონოც დაგვაღვივინეო, შემდეგ, ქალების სადღერძელო და „თამადამ აილო ღვინით სავსე ჩაფურა, დიდი ქებითი სიტყვა წარმოთქვა“ (ნ., 101,1). მაგრამ ჩაფურამ ყინწი მოსწვევითა თამადას. ღვინჯუას საყველაწმინდო დაავიწყდა, კარგა მანძილი ჰქონდა გავლილი, როცა გაახსენდა, მობრუნდა და დედლებას შეეკედრა: „ეგებ ან ჯამი ან რქა გამომაწოდო, რომ ჩემი ვალი მოვიხადო“ (ნ., 110,15). დუღლუბამაც „ორივე ერთად გამოუტანა, — რქაცა და ჯამიც“ (ნ., 110,21). ღვინჯუამ კი „სულმოუთქმელად დაცალა ჯამიცა და რქაც (ნ., 111,1).

გ. ლეონიძის თხზულებებიდან ყურადღებას იქცევს აგრეთვე ზოგიერთი საჭმლის ამსახველი ლექსიკა. მწერალი იგონებს: „განებოვრებული ცვაღით ციცკორეს ცოლს — კონიას. ახლაც მახსოვს გემო და სურნელი მისი შემზადებული საჭმელებისა და როგორ არ მოვიგონო მისი ხელით გაკეთებული: შინდისა და ღოღოს შეჭამანდი, ხირხიტო, ჭინჭარი, სატაცური და ქარქვეტის წინილი, ყველიერში — მახოხი! (ნ., 139). ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე ბათხო-სი და მისი მეგობრის საუბარი:

„— ჰაი, მოყუდებულო ჩარექავ!

— ჰაი, სავსე ხონჩავ!

— ოჰ, ღობიოს ჯამო, თავმობმულო! — და სწორედ ღობიოს ქინძის დამატარებელი სუნიც მყისვე ცხვირში გვეცა.

— სად წაუვიდეთ?

– სად არი მეხიდური? – ერთხმოვანი წყლის ჩქრო გულს გვიხვერეტლა.

– ახ, რა გემრიელია ივრის თევზი! ზედ წითელი ღვინო! ცოცხალ თევზს წყალი უყვარსო, მოხარშულს – წითელი ღვინო! – აკი გვეტყოდა მოხუცი ლოჭო.

– ახ, ქინძმარავ, შენ დადაგე ჩემი გული! – ნდომით წამოიძახა ბათხომ და თვალი დახუჭა.

– ეს არი და საკენესარი! – დავსძინე მე.

– ტაბაკა რომ გაგიტკებება, ძვალი რომ ჩაღნება პირში, ჰა, რას იტყვი?

– შემომჩაერდა ბათხო.

– ჯერ ქადისგულა უნდა ახსენო, მერე ფშაური ხინკალი!

– მსუქანი გელაქნურები? მუცლიანი ზუთხი? ტარაღანა? ხიზილალა?

– დედალი ნიორწვევით?

– ზაქის მწვადები?

– ბროწეულივით დაწითლებული, შემწვარი ინლაური?

– თუ ასეა, მოდი, რიგით მოვაყოლოთ, დაეთანხმდეთ იმ პურმარილზე, რაც შარშან ზაფხულში ბაქარიანთ (ჩვენი კუთხის შეძლებულები) ჰქონდათ. მეც ხომ ვიყავი დაპატიუებული. აი, მათი სადილის რიგი: ჩიხირთმა, კუპატები, ფლაგი ხოხბით, ღურაჯი, მწვადები, კალმახი, ზუთხი, სუკები, ძროხის ბეჭი ცივად, ზედ მწნილები, საუზმეული, ლობიო, კაპარი... – შეწყვიტე, შე უღმერთო, გაჩუმდი; ცოდვა ვარ, შემიბრალე! იმუდარებოდა ორღლის უჭმელი, სულმოკლე ბათხო.

მეც გავჩუმდი... მაგრამ მალე თვითონ ბათხომ წამოაყრანტალა: – ერეკლე მეფემ რომ ინატრა დეკაზე ნახუხი მწვადი და ზედ თოვლის ნაჟური? აქ მაინც იყოს ის მწვადი და ის დეკა! ნაჟურის გახსენებაზე ახლა წყალი მოგვწყურდა, პირი გვიშრებოდა, ყელი ამოგვეხაზა, მაგრამ საშველი არსად იყო" (ნ., 198).

ჭამურამ „ასეთი შეკითხვებიც იცოდა, მაგალითად: – მაშ, დელამუტი არ გიჭამია? არც იცი რა არის დელამუტი, თუ ვიყვარდე?

– საჭმელია, მერე როგორი! ძროხა რომ ხბოს მოიგებს, მაშინ მოსწველიან ხსენს და იმისას აკეთებენ. აადულებენ და გამაგრდება. მერე მარილს დააყრიან. იცი, რა გემრიელია?

– მაშ დელამუტი არ გიჭამია? – ჩაიქნევდა ხელს გაკვირვებული და ქოთქოთით, მერე ისე ხელებს გაშლიდა და ისევ გაოცებული შეგვეკითხებოდათ:

– მაშ დელამუტი არ იცი რა არის? აბა, რაღა ქართველი ხარ! მოდი, მაკოცე, თუ გიყვარდე!

– შენ გეტყობა, სიმინდის ღურღუჭაც არ გეცოდინება!

– არა, არ ვიცი, ეგ რაღა ხილია!

– მა, რაღა გელაპარაკო, რა მოცლილი კაცი მე მნახე?–და შემოგხედავდა აღშფოთებული შენი "უვიცობით" (ნ., 206).

ჩანს, გ. ლეონიძე კარგად იცნობს ხალხურ ეროვნულ სასმის-თა და საჭმელთა სახეობებს, მათს სახელწოდებებს და ცდილობს, შევკახსენოს ისინი.

### III. ფრინველთა სახელები

მრავალფეროვანია ფრინველთა სამყარო, რაც ლექსიკაშიც სათანადოდაა ასახული. მაგრამ, სამწუხაროდ, ფრინველთა სახელწოდებები თანდათანობით დავიწყებას ეძლევა; მათს სახეობებსა და შესაბამის სახელწოდებებს ხშირად ვეღარ ვარჩევთ ერთმანეთისაგან. საჭირო კია, რომ ქართული ენის ლექსიკას შევუნარჩუნოთ ეს სახელები. ამ მხრივ მისაბამ მაგალითს იძლევა გ. ლეონიძე. თავის ნაწარმოებებში იგი გვთავაზობს ფრინველთა იმ სახელწოდებებს, რომლებიც ხალხშია გავრცელებული.

„პატარა ბიჭები მუსრს ავლებდნენ ყვავებს, ყორნებს, ყიჭალებს, ყვანჩალებს (ნ., 118), „– აგერ, ღობეზე წიფლისჩიტა, კიდევ პატარა ჯიხოლა, მისხოლა, შიშიმქრალა! მასზე საწყალი არავინაა, ბუდე არ დაუნგრიო“ (ნ., 41). როგორც ჩანს, ფირფიატი წყალს ეტანება. ფორემ ოცნებაში წარმოიდგინა, რომ მის მიერ გამოყვანილ წყაროს ირგვლივ თითქოს „დაჰქროდნენ ფრთალაყვარდული ჩიტები, ფირფიატები, თოლიები“ (ნ., 193). „შავი ზღვის უბე აქაფებული, ზედ მიმქროლავი თეთრი ფირფიატით“ (ა., 68).

ზოგჯერ მწერალი ერთმანეთის გვერდით გვაძლევს ფრინველის როგორც ხალხში გავრცელებულ, ისე ოფიციალურ სახელწოდებებს.

დებს: „მე სამიოდე კალმახის შვილი მოვინადირე, მას ერთი ჭოვი-  
ლო (ბეკასი) დაემატებინა ქამარზე“ („ტამალია“).

ზოგიერთი ფრინველის თვისებას, სახეობას, სახელწოდებას  
თვითონ მწერალი გვიხსნით:

რაუდენას „უყვარდა კალიის მჭამელი ტარბი, – ადამიანს ეხ-  
მარებო“ (ნ., 42). „შორს თოლია მოფრინავდა, დიდი ქორი – შა-  
ბარდუხი“ (II, 204). „სხვათაშორის ბულბულს ქართულად „ვარდის  
ჩიტი“ ჰქვია, იადონსაც უხმობენ; ეს უკანასკნელი, არ ვიცი, ქარ-  
თულია თუ არა“ („ტამალია“).

ზოგ პერსონაჟს თავი მოაქვს ფრინველთა კარგი ცოდნით:  
„ერთხელ, შუა კამათში, ციციკორე მოკამათეს უეცრად შეეკითხა: –  
მოლალური იცი?

– ვიცი!

– მტრედი იცი?

– ვიცი!

– ყანჩა იცი?

– ვიცი!

– იშხვარი იცი?

– არა!

– მაშ, იშხვარი არ იცი და მელაპარაკები? ჯერ წადი, გაიგე  
იშხვარი რა არი, მერე მოდი და მელაპარაკე! – ასე დაამარცხა მო-  
კამათე.

რა იყო „იშხვარი“ და რატომ აძლედა ასე დიდ მნიშვნელო-  
ბას ციციკორე, ახლაც არ ვიცი; მგონი, „იშხვარი“ სულაც არ უნ-  
და არსებობდეს ბუნებაში. ფრინველი „შხერო“ თუ ჰყავდა მხედვე-  
ლობაში! მაგრამ შხერო რომელი არწივია, რომ მისი ცნობითა თუ  
ცოდნით თავი გამოიღო?“ (ნ., 138-139).

მაშასადამე, გ. ლეონიძე ყურადღებით ეკიდება ხალხში გა-  
ვრცელებულ ფრინველთა სახელწოდებებსაც.

#### IV. მცენარეთა სამყაროსთან დაკავშირებული ლექსიკა

მცენარეთა სახელები ქმნის ქართული ენის ლექსიკის უძლიერეს ფონდს. ეს სახელები თანდათანობით დავიწყებას ეძლევა; მათი უმრავლესობა ხალხის ცოცხალ მეტყველებაშია შემონახული. გ. ლეონიძეს ლექსიკის ეს მხარეც არ დაუტოვებია უყურადღებოდ. იგი გრძნობს, რომ თვალსა და ხელს შუა გვიქრება ეს სიტყვები, ამიტომაც მრავლად შეუტანი მცენარეთა სახელები თავის თხზულებებში. მწერალი შესანიშნავად იცნობს საქართველოს მცენარეულობას და ზედმიწევნით კარგად იცის მათი სახელები, რომლებიც უმთავრესად ხალხშია გავრცელებული. გ. ლეონიძის ნაწარმოებების მრავალი პერსონაჟიც ხომ ბუნების ტრფიალია. ამ მხრივ სანიმუშოა „ბუნების მეცნიერი“ რაჟდენა. აი, რას მოგვითხრობს მწერალი მის შესახებ: „...დიდხანს უგდებდა ყურს რაჟდენა ლელქაშის მუსიკას და ვერხვნაღას შრიალს:

— ვერხვისთანა შრიალი არა ხეს არ გამოუვა! — იტყოდა დარწმუნებით.

ბუნების ამბები უხვად იცოდა. მეტად უყვარდა მზის მშვენებით მოფენილი, უღრუბლო იალნოს მთის აივანი მარტყოფის თავზე, ცივ-გომბორის სერები...

— აი, კოკროჭინა, ვარდკაჭკაჭა, ოქროშვინდა, წალიკა. ხაჭიჭორა, ფურფუშელა, ღრინჭოლა!

— აი, ფამფარა, ყვავისკულა, ჯორისძუა, ძირტკბილა, ხვართქლა, შალგა, სოსანი, ღვია, სვია...

— ნეტა რომელია მათში უკვდავების წამალი?

— ეს გორველა ვარო; ეს ავშანი ვარო; ეს აბზინდა ვარო!" (ნ., 41).

სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა „საფლავებზე ზოგან ია ამოსულა; ზოგან ავშანი, ბარამბო, ჭინჭირისდელა, ღიღილო, ზოგან აბზინდა, ზოგან სვინტრივით ბალახი ამოხეთქილა" (ნ., 74).

გამრჯე ჩირიკს „მკლავზე ვენახში გამოთიბული, გამომარგლული, რძიანა ღიჭა ბალახი ეწყო მუღამ" (ნ., 55).

ლეონიძე კარგად იცნობს აგრეთვე პურეულის სახეობებსა და მასთან დაკავშირებულ ლექსიკას. ნათლობაზე შეკრებილი გლეხები „წრევანდელ მოსავალს აყივნებდნენ: — ხორბალს მაწივრობა არა

აქესო, ყინვამ მოთუთქა, ღოჯი ვერ გაიტანაო, ჭიოტა, გუდაფშუტა მოერიაო, ყანები აიჩალაო!" როცა სოფელში შემოსრიალდება გიშარძეულის წყალი, „მერე... ფესვმა უნდა გაიბას ჩინჩლი; როგორ იმედინად აიყრის ზრო ტანს და დაყვავილდება ბუტკო; — ავიყვავილდებათ, ძმებო, მწვანილი, ფეხის მოსავალი, დაისხამს ვაზი, ხეხილი! სამპირ მოსკდება — შავფეხა, შავთვალა, წითელი დიკა, დატაროებული სიმინდი" (ნ., 187).

სიმწიფეში შესულ ყანას ამრეშებული ყანა ჰქვია: გულცქერით შეისაყვარლა ამრეშებული ყანები (ნ., 51,29). გზის პირას მდუმარედ იდგნენ ამრეშებული ყანები (ნ., 21,2). მწერალს ტკბილად აგონდება „თავთავდაწმენდილი, აყრილი ყანები" (ნ., 6,8). აი, როგორ აგვიხსნა მწერალმა სიტყვა მზეკაბანი: „დედაჩემი ყოველ გაზაფხულზე წაგვიყვანდა ხოლმე ყანის დასახედად.

ვიდექით, ვუსმენდით მოღალანე ყანას და თვალს ვერ ვაშორებდით. მოშხიბლავი იყო თავანკარა, დათავთავებული, მზით ამოვსებული მაძღვარი ყანა, ცხრაფრად რომ ლივლივებს ნიავის შექროლებაზე. „მზეკაბანი" ჰქვია ყანაზე მზიანი ნიავის გადაცურება-გადალივლივებას. მზის ათასფერი კაბა ფრიალებდა, შრიალებდა საკსე მინდორზე!" (ნ., 7). აფერებულ ყანებზე დაუდგომელი ნიავი შლიდა, აფენდა და აქანებდა მზეკაბანს (ნ., 51,23). მზეკაბანი, მზეკაბანი! გაქროლილი ყანის რაში (I, 282,3).

უხვად ამოსულ ნორჩ ბალახს ლორთქო ანდა ბურღალი ბალახი ჰქვია: მე ბალახიც მიყვარს ლორთქი (II, 196,23). ამოხეთქილი ბურღალი ბალახი (ნ., 51,29).

ხეებიან ადგილს ხევნარი ჰქვია: გახვითქულები, დაკაწრულები და მუხლგადაყვიფილები ხევნარის გრილოში წამოვწექით („ტამალია").

მწერალი კარგად იცნობს ტყის მცენარეულობას: „საყვარელია ტყის ნაპირები, სადაც იზრდება დარძეკებული ნეკერი და მოუღვარი წარაფი, ხავსით დაბამულს და თავკარავიან ხეებს სცვლის შინდი, პანტა, დგნალი და აყლორტილი შიმელაები", ხოლო შიგ ტყეში კი „ნოყიერად შრიალებენ გადამერთილი მუხები, კურატივით დასუქებული წიფლები, გადმოღვენთილი ნაძვები, დაკოკრებული ფიჭვები, დაფესვიანებული რცხილები, გატოქებული კერხვები, გატორებული ურთხმელი... ტანშედგმული იფნარი, სპეტაკი არყნალი...

დასკვიან უღრან ტყეს და ბორკილივით ფეხთ ებლანდება ბაბილო, ფათალო, ჭანგებიანი უსურვაზი, შუა გაბარდულა ათასფეროვანი ხვართქლა, მცოცავი სურო... ჯონჯოლი, ღანძილი, შროშანა... ალაგ-ალაგ ვარსკვლავებივით ხვავიან თეთრი ასკილები და სხვა ტყიური ყვავილები..." („ტამალია") ეს ყველაფერი უხვია, რადგანაც „აზატი და ალაღბული ტამალის ტყე" (იქვე). ტყეში მიმობნეულია გამხმარი ხის ტოტები: ზოგან ღათვი რომ გადმოაბიჯებს ჯაგრიან ტორებს, ჩატყდება ჯოყარი, ჩაიფეხვება ჩინჩხვარი (იქვე).

ტყეში ბევრია მარწყვი და მრავალგვარი სოკო: თვითთულ ხეს იცნობს აქ სოფლის ბიჭი, ისიც იცის, თუ სად მოდის თოთხლოპი მარწყვი, ქამა-სოკო და გუგულის კაბა, ირმის ტუჩა თუ წეროს წვივა (იქვე).

მოუველელობით გადამხმარ ვენახს აბეჩხარი ჰქვია: მეც ხომ ვაზი ვარ აბეჩხარისა (ახ., 7,5). ვაზს აქვს კაპწალები; ამ სიტყვას თვითონ მწერალი გვიხსნის: ვაზი კი არა, ვაზის კაპწალებით უყვარდა – ვაზის ძაფები (ნ., 55,19).

და ცრემლი, საღდაც გადამალული გადმოაწვინეს ვაზის ძაფები (ახ., 3,9).

კახურ დიალექტში ბოსტნულ ჰქვია ფეხის მოსავალი, მწერალიც ამ უკანასკნელს ამჯობინებს: აგიყვავდებათ, ძმებო, მწვანელი, ფეხის მოსავალი (ნ., 187,26). ბოსტანი უნდა გაიფურტკნოს (გაიმარგლოს): ხან ღომი გქონდა საცეხვი, ბოსტანი გასაფურტკნავი (II, 205,24). გვალვისაგან ბოსტანი შეიძლება აიფშრუკოს (გადახმეს): რასაც დასთესდნენ ბოსტანში, თიბვის შემდეგ აიფშრუკებოდა (ნ., 190,3). ბოსტანი საამოდ ფშვინვარებს – სურნელებას აფრქევს: ამ წუთში ისევ მომესძის ჩვენი კალოს სევდიანი ოროველა... ჩვენი ბოსტნის მწვანილულის ფშვინვარება (ნ., 6,4). მაიკოსული ბოსტნის კვლები ისევ სიცოცხლით ხარობენ და საამოდ ფშვინვარებენ (ნ., 123,9).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მწერალი კარგად იცნობს არა მხოლოდ მცენარეთა სახელებს, არამედ ამ მცენარეთა თვისებებსაც: როგორ ადგილებში ხარობს, რა გამოყენება აქვს, როგორია იგი გარეგნულად და სხვა. მაგალითად, ავშანი გადამწირულ, უდაბურ ადგილზე ხარობს: მცირე გორაკი... მწირი მიდამო... ძეძვი, ხრიოკი, ქვიშა, ავშანი... (I, 118,7). გაღარუჯული ღავით გარეჯა... ამწვარ

ტრამაღზე ბზინავს ავშანი (I, 298,3). და მხოლოდ შერჩა მარი-  
ლი... ბალლაძიანი ბზინავს ავშანი (I, 298,13).

აი, როგორ გვიახასიათებს პოეტი ილღუნსა და მის სამყო-  
ფელს:

რუხი. ხრიოკი. მხმარი მიდამო.

ვაზიანთან გაქვთ, ალბათ, ნანახი...

ნაცარ-ხავსური, ჯაგარა ქუჩი,

ამოჩხირული ქვებში ბალახი...

შავყორნის მიერ მოტანილ თესლზე, —

გადარუჯული, მხმარი რტოებით,

მოხრეკილ ხევში, საწყევარაში,

დგას ხე ილღუნი განმარტოებით.

დგას დამშხალული, გადამწირული,

ბუნებასა და ხალხთან გაყრილი,

თავზე სქლად ადევს ხრიოკის მტკვერი,

ფეხთ უფენია შავი ქვაყრილი...

ტანდარეკილი, ნალარ-ნახეთქი

და დასუნთქული შხამიან ქართი,

მძორიან სუნით, მქისე ფოთლებით

ხე, ნალვლიანი სისინით მდგარი...

რამდენი არი მისი მხილველი,

არ ეკარება ამ ხეს ფრინველი...

მხოლოდ უნახავთ მგზავრებს მრავალგზის,

ყუფით ყორანი ტოტებს დახლილი...

ზედ დახვეული გველი უნახავთ,

ზედ ურჩხულივით ლანდი წახრილი...

არ ეკარება მგზავრნიც... მას ჰზარავს

ხე დაგესლილი, ბუნება-მკვდარი,

როგორც საფრთხური, ყველას აშინებს

ხე, ნალვლიანი სისინით მდგარი...

(ა., 173-174).

ზოგი მცენარისაგან წამლები მზადდება; ამის ოსტატია ფუფა-  
ლა: „იკურნალ ფუფალას აფთიაქს შეადგენდა: ბალახი ვირისგვერ-  
და, ღელაღუნტის ძირი, ტირიფის არაყი, აქლემის ძვალი, ჯოჯოხე-  
თის ქვა, ეშმაკის კიტრანა, კრაზანა-ბალახი" (ნ., 23). ზოგისაგან

იგი ფერუმარილებს ამზადებს: ფუფალას ბოხჩაში „ფერუმარილი ულაგია, გუნდა, ლახუსტაკი, ზირა, ქართახუთო ზეთები, სახეს რომ ითითხნის ყოველდღე“ (ნ., 31).

თუ ადამიანს საჭმელი შემოუთავდა, სანაცვლოდ შეიძლება ზოგიერთი მცენარის გამოყენება: პური მუდამ გაზაფხულზე უთავდებოდათ, **ოდოჟღერს** ჭამდნენ ანუ ნელ თავთავს, ხუხავდნენ ცეცხლზე და ისე გადიოდნენ იოლას (ნ., 56,19). დამშეული ბათხონატრობდა: „ – ახ, **ლეღალუნტის** ძირი მაინც იყოს! ლამის არის, ძირზენა, მოვთხარო! **ყინტორა** მაინც იღვეს ამ სატიალლოზე, იოლად გამოვიდოდით“ (ნ., 206).

როგორც ვხედავთ, გ. ლეონიძე შესანიშნავად ფლობს მცენარეული სამყაროს ლექსიკას. მან ლექსიკის ამ სფეროდან ხალხში გაბნეული მრავალი სიტყვა კვლავ დაუბრუნა სალიტერატურო ქართულს.

## V. გეოგრაფიულ გარემოსთან და ბუნების მოვლენებთან დაკავშირებული ლექსიკა

გ. ლეონიძე ბუნების ტრფიალია. მას ფეხით ჰქონდა შემოვლილი საქართველოს მთა-ბარი; იგი ღიღებულად იცნობს მის მხარეებსა და მიდამოებს. ლეონიძეზე შეიძლება გავიმეოროთ მისივე სიტყვები, რაც მან მთაწმინდელის შესახებ თქვა „ტამალიაში“: „მას მოსვენებას არ აძლევდა საქართველოს გადაგვარებული ლანდშაფტები, დამახინჯებული თბილისის მიდამოები... ხრიოკი და გადაცვეთილი ქართლი, დახრამული, დარიყინებული გარეკახეთი, გაზუნებული ქიზიყი, გაცრეცილი ბორჩალოს ქედები, დანაკუნებული იმერეთის ფერდობები, ჩამორეცხილი ჯავახეთის რუხ-ყვითელი ფრიალოები“.

გ. ლეონიძე გეოგრაფიული გარემოსა და ბუნების მოვლენების ასახვისას ცდილობს შეარჩიოს ისეთი სიტყვები, რომლებიც ზედმიწევნით ზუსტად ასახავენ მოვლენებს. ეს სიტყვები უმთავრესად სალიტერატურო ენის კუთვნილებაა, მაგრამ რატომღაც აღარ იხმარება ინტენსიურად; ზოგიც ხალხის სასაუბრო ენიდან აუღია და თა-

ვისი ნაწარმოებების საშუალებით უცდია სალიტერატურო ენაში მათი დამკვიდრება.

გეოგრაფიული მიდამოს აღმნიშვნელ სპეციალურ ლექსიკას განეკუთვნება მწერლის მიერ ნახმარი სიტყვები: **ტაშირი**, **მზვარე**, **ეხი**, **ორწოხი** და **სხვა**.

**ტაშირი** არის მთებს შორის მოქცეული ღია გაშლილი ადგილი: თითქოს ცხენებზე დაძრულა სამგორის ვრცელი **ტაშირი** (ა., 131,23). საჯირითო **ტაშირი** ჰქონდა ნამიწისძვრალი (I, 275,14). **მზვარე** ჰქვიან მზიან, უჩრდილო ადგილს: „...რბენა სამგორის ღია **მზვარეში** (I, 54,11). **ხელანჯები** და **ორწოხები** არის დაღართხული, ვიწრო, ძნელად მისასვლელი ადგილები მთებსა და ხევებში: მთის **ხელანჯებიდან**, **ორწოხებიდან** ახვეტილ ხვავრიელ თოვლს ზედ აყრიდა ღვინჯუას (ნ., 105,5). **ეხი** წარმოადგენს გამოქვაბულის სახეობას: ტყეში, ღრეში და კლდის **ეხში** შემთხვევით გადარჩენილი (I, 301,11). აქვს დავილილი საცალკეოდ მთის კვანძები, შავკლდის **ეხი** (ა., 49,2). თქვენც გინახიათ, მთაწმინდის **ეხში** ღლეცაც მოჟონავს მთის ძუძუს წყარო (ა., 167,17). **გასადევარი** კი არის „სახლ-კარისა თუ ეზო-ყურეს გარეთ მდებარე სასოფლო ან საუბნო მიწა-წყალი, სადაც შინაური ფრინველი და ხელში საჭერი საქონელი გადის“ (სტ. მენთეშ.): აი, გინდაც შაბარდინი, ტამალია, მისი შესავალი და **გასადევარი** („ტამალია“).

მწერალმა კარგად იცის აგრეთვე ჩაჭაობებული, ჩანესტილი ადგილის სახელწოდებანი: ადგილი **დახაშმული**, ჰაერი **ბოტორო**. ივრის მწვანე ჭაობნი, **ჭყანტობები**, **ჭანჭრობები**, **ლიები** საწყალ მუშებს უხვად ასაჩუქრებდნენ ციებ-ცხელებით (ნ., 14). ისევ ისე ხასხასებენ სველი **ჭანჭრობები**, **ჯღრღეები**, **ლიები**, **ლანჭახები** („ტამალია“).

წყალგამჯდარი ჯანმრთელი ნიადაგი სანატრელია: — ახ, ერთი მენახა ჩემი სოფლის მიწა გასველებული! წყალგამჯდარი! **ჭყანტი** იდგეს, **ბჟანტლი** ნიადაგი მენახოს! — ნატრობდა ფორე (ნ., 190). მრვალგვარია მიწა: მაძღარია და ლეშიერი ტყის მიწა, მყარი და **უქცეველი**, **ხრილი**, შავი სასუქივით მწიფე და მცვრიანი. საცოდავია მასთან უდაბნოს **ხირხატი** მიწა — დარბეული, გამოფიტული და გამოქარული („ტამალია“). მწერალი კვლავ გვაცნობს მიწის სახეობებსაც: ...ნაშალი მიწა, პარტახები, ხრამები, ღრანტეები, ფლა-

ტეები, ხირხატები, ნახხატები, ჩამომძვლეული, ჩამოგვილი, ნამიწის-ძვრალი მიწა („ტამალია“).

მწერალმა იცის, რომ ფშა არის „მდინარისაგან წყარო, მუნვე ახლო გადმოდენილი“ (საბა), ხოლო ღვინჭრობი მდინარისა თუ ფშის ხვინჭიანი ნაპირია: ივრის თვალსამოთხე ნაპირები – ალაგ კვიმრობში გამონაჟური ფშებით, სველი ღვინჭრობებით, ხასხასა მდელთი, იყო ჩემი ყრმობის ემბაზი (ნ., 5).

მართლაც ცოდოა დაიკარგოს საჭირო და ამავე დროს ლამაზი სიტყვა წყაროსთვალი, რომელიც აღნიშნავს ადგილს, სადაც წყაროს წყალი გამოდის: გველესაპმა ხალხს სასმელი წყალი შეუკრა, თავისი მყრალი ტანით ზედ გადაეფარა წყაროსთვალს (ნ., 191,20). ჩამისვი ლურჯ უბეში, წყაროსთვალო, ციკწყარო (II, 74,7). შენს წყაროსთვალზე მე ვარ მწყურნები (II, 41,22).

წყაროს ერთ-ერთი სახეობაა დანჩქერი – „უკეთუ წყალი მაღალთა კლდეთა ჩა/ს/დის“, დანჩქერი ჰქვია (იხ. საბასთან წყარო). მწერალს იგი მეტაფორად გამოუყენებია: ცრემლის ღვარჩქერს დაგიყენებთ, თუ გინდა დანჩქერსაც (ნ., 30,9).

მდინარის ან მისი ტოტის თანდათანობით დაპატარავების, დაწყვეტის აღმნიშვნელი სიტყვები: დაწკნობა, დაწურვა, ლეონიძეს სასაუბრო ენიდან უსესხია: ხოლო როცა იორი ჩამოიკლებდა, დაწყებობოდა, დაწკნდებოდა, დაპატარავდებოდა... (ნ., 127,30). მიყვარდა ივრის ტოტის დაწურვა, დაწყვეტა (ნ., 6,25). წყლის ტოტები დაწურა, (ნ., 10,29).

ბუნების მოვლენები მრვალგვარია, თვითეული მოვლენა შეიძლება სხვადასხვა სახის იყოს, რაც სათანადოდაა ასახული ლექსიკაში. ქართული ენის ლექსიკის ეს მხარეც მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი გ. ლეონიძის თხზულებათა ენაში.

წერილ წვიმას თქორი ჰქვია: დე, მასველებდეს ყინული და თქორი (ახ., 72,8). ხოლო დიდი წვიმა სხვადასხვა სახისაა: გინახიათ ღამე ტყეში ქარიშხალი, სეტყვა, თქეში, წვიმა, დელგმა, თავსხმა, რეში? (II, 11, 22-23). დელგმა და ღვარი (II, 22,4). ჩქეფით წამოვიდა ნიაღვარი, დელგმა (ნ., 49,6). დიდი წვიმებისა და თოვლის შედეგად დამღვარ ჭყაპსა და ტალახს ჰქვია ძანძახი: არა უშავს-რა, მე ძანძახისა არ მეშინია (ნ., 100,25).

მეხს ჰქვია მედგარიც: ცეცხლით, მეხით და მედგარით (I, 241,21). მეხის დაცემას კი — დაბეჭება: მრავალგან მეხიცა აქვს დაბეჭებული („ტამალია“).

ქარი შეიძლება იყოს: ქარაშოტი, ხორშაკი, ანჯახი, მხვივანი და სხვა. მაგალითები: ეს რა ხორშაკი ქარი ამომივარდა (ნ., 22,23). ოპ, რა ბრეს აღენდა ხორშაკი ქარი (ნ., 190,1). საღ მხვივანმა ქარმა წაიღო შალიას მტკერი (ნ., 74,28). ანჯახი ქარიშხალი დამცხრალიყო (ნ., 111,25). ...კოშკის სარკმელს აწყდებოდა ქარაშოტი (ა., 49,18).

ლემადე შავი ნისლია, ხოლო ბორიაცია, როცა ნისლის ბავრაცი მოეძალება მიდამოს. ნისლის ნაგლეჯს კი კოტორს უწოდებს მწერალი: მარადიდის თავს იღვა ლემადე (I, 113,20). ბორიაცია... ნისლის ბავრაცი მოიზღაზნება შავს ხეობაში (ახ., 29,2). ცრიატი ნისლის კოტორი ხან წინ გადაუდგებოდა, ხან მკერდით მოუდგებოდა (ნ., 104,28). თავს ნისლის კოტორი დაგვტრიალებდა ძერასავით (ნ., 197,17).

ყინულის ლოლუას აღსანიშნავად მწერალმა გამოიწერა სიტყვა ანჩხარი: ბევრჯერ გეკიდა შტოზე ანჩხარი (II, 71,18). ხან ჩამოდნება, როგორც ანჩხარი (I, 190,9). როგორც ყინულის ანჩხარი ცივი (II, 130,2). კარჩხი კი არის ლოლუებად ქცეული ჭირხლი: ყინვის კარჩხლი თვალს გიკაწერავს (I, 40,17).

როგორც ჩანს, გ. ლეონიძის გეოგრაფიული გარემოსა და ბუნების მოვლენების ამსახველი მრავალი ლექსიკური ერთეული გამოუვლენია როგორც სალიტერატურო ქართულის მივიწყებული ლექსიკური ფონდიდან, ისე დიალექტებიდან.

ამრიგად, გიორგი ლეონიძეს დიალექტები მიაჩნია სალიტერატურო ენის ერთ-ერთ მთავარ მასაზრდოებელ წყაროდ. ნაწარმოებებში უხვად გაბნეული ლექსიკური დიალექტიზმები ხელალებით კი არ შემოლუტანია მწერალს, არამედ თითოეული მათგანი დაკვირვებით აუწონ-დაუწონია და სალიტერატურო ენისაკენ გზა მიუცია უმთავრესად იმ სიტყვებისათვის, რომლებიც სჭირდება სალიტერატურო ქართულს. ესენია სალიტერატურო ენის სარეზერვო ფონდის სიტყვები, რომელთა დაკარგვა გააღარიბებს ენას, დაძვივდება კი გაამდიდრებს.

## ლიტერატურა

არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“, ენიმიკის მოამბე, ტ. III, 1938.

არნ. ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის I ტომის წინასიტყვაობა, 1950.

არნ. ჩიქობავა, ვაჟას ლექსიკონისათვის, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შედგ. ალ. ჭინჭარაულის მიერ, თბ., 1969.

შ. ძიძიგური, ენობრივი ნატურალიზმის წინააღმდეგ მწერლობაში, ენა და ლიტერატურა: თბ., 1965.

ზ. ჭუმბურიძე, სალიტერატურო ენის ხალხურობისათვის, ქართული ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1956.

## ონომასტიკური ლექსიკა გიორგი ლეონიძის შესახებ

### ადამიანთა საკუთარი სახელები

გიორგი ლეონიძის თხზულებათა ლექსიკის ერთ-ერთი საინტერესო უბანია ადამიანთა საკუთარი სახელები. „ანთროპონიმი ენის ლექსიკის განუყოფელი ნაწილია და მის სიმდიდრეს გვიჩვენებს“ (ღლონტი, 1967, 5). ამავე დროს „ადამიანის საკუთარი სახელი ენის ლექსიკის უძველესი ფონდის კუთვნილებაა“ (ღლონტი, 1964, 114). გ. ლეონიძეს ენის ლექსიკის ამ უძველესი ფონდიდან გამოუმზეურებია მრავალი ქართული საკუთარი სახელი, რომელიც დღეს აღარაა გავრცელებული.

მწერალმა შეარჩია „ის ქართული სახელები“, ქართული „სახელწოდებანი“, რომლებიც შექმნა, წარმოაჩინა ჩვენმა სინამდვილემ, ჩვენმა ისტორიამ, ჩვენმა ცხოვრებამ, სახელები, რომელთაც ატარებდნენ ჩვენი წინაპრები და რომელნიც დღეს შეიძლება ატაროს ქართველმა ნაცვლად იმ უმართებულო, უშვერი, უჯერო და საჩოთირო სახელებისა, რომელნიც ასე უზრუნველად და უცნაურად ვრცელდება ჩვენში“ (ლეონიძე, 1961).

თუ როგორი გულმოდგინებითა და სიყვარულით ეძებდა გ. ლეონიძე ქართულ საკუთარ სახელებს ზემოდასახელებულ წყაროებში, კარგად ჩანს მის მიერ ჟურნალ „მნათობში“ (ლეონიძე, 1960), გამოქვეყნებული „ნამცკრევიდან“, სადაც მწერალი მოკრძალებით გვთავაზობს ზოგიერთი ქართული სიტყვის ეტიმოლოგიას, განმარტებას, გავრცელების წყაროებს. ამჯერად ჩვენ გამოვყოფთ პოეტის დაკვირვებას ზოგიერთ საკუთარს სახელზე. მაგალითად ავიღოთ გ. ლეონიძის დაკვირვება ისეთ უძველეს ქართულ სახელზე, როგორიცაა **ბადა**.

„1930 წ. პროფ. ალ. ხახანაშვილმა დაბეჭდა ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ ბერძნულიდან ნათარგმნი „წესი და განგება და

„სჯულის-კანონი მეექვსისა კრებისა“. ეს ძეგლი იმითაც არის საყურადღებო, რომ მასში მოხსენებულია ქართულ-წარმართული პანთეონის ღმერთები და მათ შორის უცნობი ღვთაება კერპი „ბადაგონ“-ი...

მე მინდა ორიოდე მოსაზრება გამოვთქვა „ბადაგონ“-ის გარშემო:

ზომ არ შედგება „ბადაგონ“-ი ორი სიტყვისაგან „ბადა+გონი“ „ბადა“ დღესაც სახელია ხევსურეთში:<sup>5</sup>

შდრ. ხალხური ლექსი:

— მამა, გოგოთური, ბადა მამყავ ხახაბოელი.

— გაგა კი არა, ბადა, ბადა, ხახაბოელი!

ბრალია შენი ბადაო, რომ გული გიწუხდებოდა; და სხვ.

(ხევსურული პოეზია ა. შანიძის რედ. 666).

ბადა — ბათა, — ქალის სახელია თუშეთში (ბათა შაკაშვილი, — თუში ქალი, ზემო ალვანი). შდრ. ფშაური ლექსი:

ამბობენ ბადათ ჭრელასა

შორის წამოსულ მგზავრსაო,

წამოვა, გამოსცილდება

თათარსა, დალისტანსაო,

გარდმოვა თიანეთშია,

ღვინოს დაუწყებს სმასაო"

(ღრეიძე, ნინო მჭედლური).

ბადია შემოკლებით საალესრო სახელი, დღესაც ცნობილია კახეთსა და მთიულურში (იხ. „ბადია“ ფერიაშვილი-ჯიმითელი, 1961 წ. ქვ., იხ. დოკუმენტები... I, 13). „ბადია“-დან წარმომდგარა გარე-კახეთის გეოგრაფიული პუნქტის „ბადიაური“-ს („ბადა“-ს ნაკუთვნილარი) და გვარი „ბადიაური“. უკანასკნელი დღესაც გავრცელებულია არაგვის მთიულურში.

„ბადია“ იგივე „ფადია“. აქედან გვარი ფშავეში, — ფადიაური. ცნობილია აგრეთვე სახელი „ბადუა“ (ც. არქ. 226, №5721). გვარები: ბადა-შვილი, — არაგვზე და ქსანზე; იგივე „ბაადანი“ (კახეთში), ბადუაშვილი „ბადუ-ჩაშვილი“ (ჯავახ., საქ. ეკონომ. ის., I, 55); „ბა-

<sup>5</sup> ბადა, — სახელი 18 საუკ. პირვ. ნახევრისა, თბილისში: „ბიძაჩემი ბადა, აქეთ, დიარბეჭირს მისული იყო და შეილის საძებნელად და ვერ ეპოვნა“ (ც. არქ. სიგელების ფ., წ. 24, საბუთი №201); (შენიშვნა გ. ლეონიძისაა) „ჭერმის-ხემა სოქვა ავდიდდი, მოვალ მოვდივარ მოვხუვი, ბადანთ მარიას შაუვარდი, გამოვალავე ქვაბები (უშიკაშვ. 237). (შენიშვნა გ. ლეონიძისაა, რ.ჭ.).

დელიძე" - უწარჩინებულესი ოვსთა გვარი" (ვახუშტი, გეოგრ. 107,110), ბადას ძე", - გვარი გიორგი ბრწყინვალის მიერ ევკვიპტეში წარვლენილ ელჩობის წევრისა (ჯავახ. ქართვ. ერ. სიტორია, III, 277).

ამ შემთხვევაში საინტერესოა აგრეთვე სახელწოდება ქ. გორთან (ჩრდილოთ) „ბადაბეთი" და სამხრეთ-ოსეთის (ს. ძვილეთთან) - „ბადათი-ყაუ" (გ. ლეონიძე, 1960).

ადგილის სახელებში როგორცაა ფასანაური, მახინჯაური, გ. ლეონიძეს ეგულება ადამიანის საკუთარი სახელები: „ფასანა" ძველი ქართული სახელია. არსებობს გვარი „ფასანაშვილი", „ფასანაანი". ალბათ, აქედანაა - ფასანაური, - ფასანას ნაკუთვნილარი მამული" (გ. ლეონიძე, 1960, 157).

„მახინჯაური" ხალხური ეტიმოლოგიით წარმოდგება „მახინჯი"-დან. ჩვენის ფიქრით კი, საკუთარი სახელიდან „მაჰუნჯაგ".

გავიხსენოთ „ჟამთა-აღმწერლის (XIII საუკ. პირველ. ნახ. ისტორიული პირი „მურვან გურგელი, „მახუნჯასგის-ძე". (ულუ დავითის ლაშქრის დიდებული, რომელიც არტაანის სანახებში დაატყვევეს მონღოლებმა)" (იქვე).

თავის გამოკვლევაში ლეონიძე მსჯულობს აგრეთვე ისეთი ძველი ქართული სახელების წყაროებზე, როგორებიცაა: თაფფჩაგ, ჩირმაგ, ბაბილა (იქვე, 158), მეშნა (იქვე, 160) და სხვ.

ზემომოყვანილი ფაქტები ამკარად გვიჩვენებს იმ დიდ ინტერესს, რასაც ლეონიძე იჩენდა ზეპირ თუ წერილობით წყაროებში გაბნეული ძველი ქართული საკუთარი სახელების გამოსავლინებლად.

მწერალს თავის მიერვე შექმნილი ზოგიერთი სიტყვა ადამიანის საკუთარ სახელადაც კი მოსწონდა. მაგალითად, სიტყვა „ნუშნარას" შესახებ გ. ლეონიძე ამბობს: „სახელიც რომ დაარქვან ვინმეს - ნუშნარა, ურიგო არ იქნება" (თ. კობალაძე, 1970, 123).

გიორგი ლეონიძე არა მხოლოდ ეძებდა და სათუთად აგროვებდა ქართულ საკუთარ სახელებს, არამედ მათ გავრცელება-პოპულარიზაციაზეც ზრუნავდა. ამის დადასტურებაა, ჯერ ერთი, პოეტის მიერ „ლიტერატურული გაზეთის" ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილი „ქართული სახელები", რომელსაც ახლავს ქართული სახელების სარეკომენდაციო სია (გ. ლეონიძე, 1961); მეორეც, - მწერლის მხატვრული შემოქმედება, სადაც პერსონაჟთა სახელებად მწე-

რალს შეურჩევია ზეპირ თუ წერილობით წყაროებში გავრცელებული ძველი ქართული საკუთარი სახელები.

ქართული სახელების ქომაგ პოეტს ზოგი ლექსი ღამაზმა საკუთარმა სახელმა დააწერინა. ასეთი ლექსებია: „შაულევო“, „თუშაია“ და „თოვლა“. ამ უკანასკნელს ახლავს ლეონიძის განმარტება: თოვლა ქართველი ქალის სახელია.

ამავე მიზეზით დაუწერია პოეტს პოემა „ფორთოხალა“; თვითონ მწერალს უთქვამს: „ერთ ძველ ძეგლებში ამოვიკითხე „ფორთოხალა“. ამ სახელმა მთელი პოემა დამაწერინა“ (გოგიავა, 1970, 169).

პროფ. ტრ. რუხაძეს მიუგვნია ამ სახელის წყაროებისათვის: „ფორთოხალას“ სახელი მართლაც ნახსენებია შოთა რუსთაველის უწინდელ ქართულ მასალებში. ჯერ კიდევ აკ. მ. ბროსემ თავის „რაპორტებში“ (III, წერილი, 73) ახსენა „ფორთოხალა“ (იგივე ფორთოხ) და მისი მეუღლე მიქელ გარაყანიძე. „ფორთოხალა“ (ფურთუხალა), რომელსაც შემდეგ „ირისე“ ეწოდა, შეტანილია ათონის, მთაწმინდის, „ივერიის“ ქართველთა მონასტრის „სიყვარულით მოსახსენებელ“, ანუ ალაპის წიგნებში, „ათონის კრებულში“ ის მოხსენებულია 5 მაისის (ახლით 18 მაისი) „ალაპში“ (რუხაძე, 1970, 153).

თვითონ პოეტსაც აინტერესებს, თუ ვინ არის ფორთოხალა, როგორ შემორჩა იგი ისტორიულ წყაროებს, ვინ დაარქვა მას ეს სახელი:

ვინ გიცნობდა, ვინ იცოდა,  
რომ შენ გერქვა ფორთოხალა?  
ყვითელთმიანს ვინ გიწოდა  
ეგ სახელი —  
ფორთოხალა!

(„ფორთოხალა“), (II, 202).

ლეონიძე სააღერსოდ ბერშოულას უწოდებს ამავე სახელწოდების პოემის მთავარ გმირს ბეროს: ბერშოულას ემახიან, თუმცა წიგნში ბერო ჰქვიათ („ბერშოულა“) (ე., 388).

მწერლის კეთილშობილური განზრახვა — გამოამხეუროს ძველი ქართული საკუთარი სახელები — განსაკუთრებით კარგად ჩანს პოემაში „ამბავი თბილისისა“ და მოთხრობების კრებულში „ნატვრის ხე“.

## პერსონაჟთა საკუთარი სახელები პოემაში „ამბავი თბილისისა“

გ. ლეონიძის ისტორიულ პოემაში „ამბავი თბილისისა“ ასახულია V საუკუნის საქართველო, კერძოდ, ვახტანგ გორგასალის ეპოქა. პოემაში გამოყვანილი არიან როგორც ისტორიული პირები, ისე მწერლის გამოგონილნი. პოემის ისტორიულ წყაროდ მწერალს გამოუყენებია „ქართლის ცხოვრება“. პოემაში გამოყვანილი და „ქართლის ცხოვრებაში“ დადასტურებული სიტორიული პირები არიან: მეფე ვახტანგი, მისი მემკვიდრე დარჩილი, ფარსმანი — ქართლის სპასპეტი, დემეტრე — ერისთავი კახეთისა და კუხეთისა, ვარაზი — ერისთავი რანისა, ჯუანშერი — სპასპეტი ვახტანგ გორგასალისა, მღვდელი აბიათარი.

პოემაში გვხვდება მრავალი მოქმედი გმირი, რომელსაც მწერლის მიერ შერქმეული სახელი ჰქვია. ჩვენც სწორედ ეს საკუთარი სახელები გვაინტერესებს.

პოემაში „ამბავი თბილისისა“ გ. ლეონიძე ამჟღავნებს ძველი ქართული ანთროპონიმების შესანიშნავ ცოდნას. პერსონაჟთა საკუთარი სახელების შერჩევასას მწერალი სარგებლობს როგორც ისტორიულ დოკუმენტებში შემონახული სახელებით, ისე ხალხში შემორჩენილით.

პოემის გმირებისათვის ლეონიძეს შეურჩევია შემდეგი საკუთარი სახელები:

მამაკაცთა სახელები:

აბულახტარი, არიშაული, არტვაზი, არშუშა, არჯევანი, ბაზალი, ბაკური, ბორტვა, ბოჩი, გაგა, გოდერძი, დავალი, ვარჯანი, თარხუნი, თაყა, თერგაული, თვალსაცერა, თვარელი, კვირტა, ლომშერი, მათარსი, მთვარელი, ნისლაურა, ორბელი, პერანე, ტყლაპაურა, ფარეჯანი, ფარნა, ფიწალე, ქუჯა, ღვთისავარი, ღვთისო, ღვინია, ღვირღვა, ყოტალა, შაბარდინი, შარაველი, შარვაფი, ცისკარა, ხახარე, ჯაგუ, ჯავახი, ჯიქური.

ქალთა სახელები:

ბუდეშურა, განძა, გარიელა, გურანდუხტი, იათამზე, ნეშხა, ნინორე, პირიმზე, რუშა, სამძივარი, ციბალი.

ამთვან გ. ლეონიძეს ქართული სახელების სარეკომენდაციო სიაში (ლეონიძე, 1961). არ შეუტანია მხოლოდ ნეშხა და ციბალი, მამაკაცთა სახელებიდან კი „ქართულ სახელებში“ ვერ მოხვდა: აბულახტარი, არიშაული, არშუშა, ბორტვა, დავალი, თერგაული, თვალსაცერა, ტყლაპაურა, ფარეჯანი, ფიწალე, ყოტალა, შაბარდინი, ხახარე, ჯაგუ.

გ. ლეონიძის თხზულებების პერსონაჟთა საკუთარი სახელების ნაწილი ძველადაც გვხვდებოდა და დღესაც გავრცელებულია, ზოგი სახელი ძველი ქართული ლიტერატურული თუ ისტორიული სახელებიდან ჩანს ადებული. ნაწილი ძველ სიგელ-გუჯრებში დასტურდება, ნაწილიც – ქართველურ ენებსა და დიალექტებში<sup>6</sup>.

ძველად ხმარებული და დღესაც გავრცელებული სახელებია: ბაკური, გოდერძი, გურამი, ფარნა, იამზე. უმეტესობა კი დასტურდება V-XVIII საუკუნის ძეგლებში, დღეს კი აღარ იხმარება. ასეთებია: არტვაზი, არშუშა, არჯევანი, ბორტვა, გაგა, ვარჯანი, თაფა, თვარელი, ლომშერი, მათარსი, ორბელი, ფარეჯანი, ღვთისავარი, ღვინია, ცისკარა, ჯავახი, პირიმზე, სამძივარი.

ზოგი სახელი ქართველურ ენებში გვხვდება, მაგალითად, სვანურში – თარხუნი, მეგრულში – კვირტა, ჯაგუ, ციბალი. ზოგი კი – დიალექტებში: იმერულში – ბოჩი, გარეკახურში – ნინორე, ხევსურულში – გაგა, ღვთისო; განძა, ფშაურში – თვარელი, მთვარელი, ღვთისავარი, თუშურში – ქუჯა.

როგორც ვნახეთ, ისტორიულ პოემაში „ამბავი თბილისისა“ გ. ლეონიძეს პერსონაჟთა სახელები ეპოქის შესაბამისად შეურჩევია. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ მიმართა გ. ლეონიძემ ამ სახელების შერჩევას „ქართლის ცხოვრებას“, ისტორიულ დოკუმენტებსა და სიგელ-გუჯრებს; მრავალი ძველქართული სახელი კი დიალექტებში უპოვია. პოემის ისტორიული ქარგა მწერალს საშუალებას აძლევდა დღის სინათლეზე გამოეტანა უძველესი ქართული სახელები და მანაც შესანიშნავად გამოიყენა ეს საშუალება.

<sup>6</sup> საკუთარ სახელთა წყაროებზე მისათითებლად ვისარგებლეთ აღ. ლეონტიძის ნაშრომით „ქართველური საკუთარი სახელები“.

## პერსონაჟთა საკუთარი სახელები მოთხრობების კრებულში „ნატურის ხე“

ანთროპონიმების მხრივ მეტად საყურადღებოა გ. ლეონიძის მოთხრობების კრებული „ნატურის ხე“. ეს კრებული მწერლის „ყრმობის მოგონებებია, მაშინდელი განცდილი, დანახული ქართულ სოფელში“ („მშობლიურ ხეთა ჩრდილებში“, 5). სწორედ ამიტომაც მოთხრობების მრავალი პერსონაჟი პოეტის ყრმობისდროინდელი რეალური პიროვნებაა. ზოგი მათგანი თავისივე საკუთარი სახელითაა წარმოდგენილი, უმრავლესობა კი – მწერლის მიერ შერქმეულით.

მწერალს თვალწინ უდგას თავისი პირველი მასწავლებლები – მეზღაპრეები: **ნინუცი, გაიანე, მაგდა, მართა** („მშობლიურ ხეთა ჩრდილებში“). იგი სიყვარულით იგონებს ყრმობის მეგობრებს: „რა კარგი ტოლები მყავდნენ იმ სოფელში: **საბედა, აგლია, არსენა, ზაზილა, ქეთე, მაისა, ჩიტიფეხა, ნიტრია, შოშია, ზეცურა, ლექსურა** და ვინ მოსთვლის („ორი შემოხედვა“, 38). მისივე ტოლები იყვნენ **ფიფონა და ბათულა** („ჩვენი ჭერამი“).

განა შეუძლია პოეტს სიყვარულით არ გაიხსენოს თავისი ახლობლები: **ტკბილმოქართულე დეიდა მარიამი**, მისი შინმოუსვლელი ვაჟი **შალია** („დეიდა მაიკო“), მოამაგე ბიძა **ნიკოლოზი** და მისი ძმა **გარსევანი** („ორი შემოხედვა“) და სხვ.

გ. ლეონიძე მოუხმობს „წარსულის აჩრდილებს“. ესენი არიან „ჩითის კაბიანები, თავშალიანები, ფარაჯიანები, ტყაპუჭებიანი, ქალამებიანი („მშობლიურ ხელთა ჩრდილებში“, 7).

ზოგიერთი პერსონაჟის პროტოტიპის დადგენა მოხერხდა<sup>7</sup>. ეს პროტოტიპები კი ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ერთი თვალსაზრისით: შეუცვალა თუ არა მწერალმა სახელი პროტოტიპს; თუ შეუცვალა, რა სახელი შეურჩია?

აღმოჩნდა, რომ გ. ლეონიძე ხშირად უცვლის სახელს პროტოტიპს. ასე მაგალითად, **ლვინჯუას** პროტოტიპი ყოფილა **შაქრია გულიაშვილი**, მწერლის კარის მეზობელი, მასთან შეზრდილი, **ხვედიასი** კი – **ლვინჯუას** მამა **ესტატე გულიაშვილი**. მოხუცი გუთნისდელა **ლვინია** სინამდვილეში ყოფილა **აბრია ზუკაკიშვილი**. ჩირიკსა

<sup>7</sup> ამ პროტოტიპების შესახებ ცნობები მოგვაწოდა ნაზი ზუკაკიშვილმა (სოფ. პატარძელში გ. ლეონიძის სახლ-მუზეუმის მეც. მუშაკი).

და ჩიკოტელასაც ჰყავთ თავიანთი პროტოტიპები: ესენია არიან ფარამან და მელიტონ უნაფქოშვილები. ციციკორეს პროტოტიპი ყოფილა სოსიკა პარუნაშვილი. მარიტა ყოფილა ჯანგარაანთ რძალი, სახელად ოლია (გვარი არ ასხოვთ).

ზოგჯერ პროტოტიპს იმავე სახელს უტოვებს მწერალი. მაგალითად, მეეტლე იაგორა იგივე იაგორა გულიაშვილია. ქორიაც რეალური პიროვნებაა და ცხოვრებაშიც ქორია პრქმევია.

მოთხრობების ამ კრებულში აშკარად იგრძნობა გ. ლენინძის სწრაფვა — რაც შეიძლება უხვად მოგვაწოდოს საკუთარი სახელები, რომელთა უმრავლესობაც ძველქართულია. ამისათვის კი მწერალი მიმართავს სხვადასხვა ხერხს: მაგალითად, მწერალი საკუთარ სახელებს ჩამოგვითვლის იმ შემთხვევაში, როცა ეს პერსონაჟები მოთხრობის სიუჟეტურ განვითარებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ:

„ოჯახებში ციციკორეს შესანდობარს სვამდნენ:

— ღმერთს ჩაბარდა ჩვენი ციციკორე, ახლა ცივი მიწის ტყვეა! წავიდა! სალაში მივცეთ, ბიჭებო, ღვინო დაკუშვით ჯამზე, — იტყოდა რომელიმე ტუნა, ბახა, ყოტა, ბირხლა თუ ბოხვერა და ჯამზე ღვინოს დაუშვებდნენ მოსაგონებლად" („ციციკორე", 154).

ან:

„— ვაი, თემო და სოფელო! ბობოქრობდა ციციკორე.

— დამიძახეთ ელიას, ზაზას, გორიას, სოლომონს, ყანდუას, ზაქარას, — განკარგულებას იძლეოდა" („მარიტა", 166).

ან კიდევ:

ბუნბულას „თორმეტი შვილი ჰყავდა: გოგოები — თათია, ნია, ფაცაცი, მზენა, გაია, ბიჭები — ბატატა, საჩინო, ჯაბა, გეგენა, ბათუა, ხოხორა, ბაბღია" („ბუნბულა", 212),

საკუთარი სახელებით მწერლის დაინტერესებაზე მიგვითითებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ მას ბავშვობისას ნახული ძველ წიგნზე წარწერილი საკუთარი სახელებიც ჩარჩენია ხსოვნაში, რასაც გვთავაზობს მოთხრობაში „ჭამპურა"; თუმცა კი ამ სახელებს მოთხრობის სიუჟეტთან თითქმის არაფერი აქავს საერთო. „წიგნის ყდაზე, როგორც ბავშვობიდან მახსოვს, გამოყვანილი იყო სხვადასხვა დროის წარწერები, მინაწერები:

„ხალიფანდრესი ვარ".

„არღარა ვარ ხალიფანდრესი, მიმტაცა ტიმოთემ".

„აქა ივანე ქიშბერდიანმა ცხენი მოხოვა, ჩემი ცხენი უკანვე ვთხოვე და მევე გამლახა,“

„ივანე პომპოლიკი. მიიცვალა ჩ... წელს“.

„კორკოტის ქალი ნინა დაიბადა ჩ... წელს, მაისის 8“.

„ღმერთო და ტკბილო უფალო, პირი სამოთხისაკენ მიყავი მე ცოდვილსა, ანგარსა, მემრუშესა მელქისედეკს“ და სხვა ამგვარნი („ჭამპურა“, 201-202).

ზოგიერთი პერსონაჟის სახელი თანასოფლელებსაც ეუცხოვებათ. ასეთია მაგალითად საკუთარი სახელი ელეფთერი: „ღიაკვანი ელეფთერი საღამო ხანს სოფლის მოედანზე იდგა და გლეხებში საუბარს გულს აყოლებდა.“

ეს სწორედ ის ელეფთერია, რომელსაც გასულ თვეს სცემეს კეტებით დღეობაში მოსულმა ჭირვეულმა სტუმრებმა — ელეფთერი რათა გქვიანო! ამ ელეფთერზე იტყოდა სოფლის მღვდელი: ორი ელეფთერი რომ მყავდეს, ერთს უსათუოდ ჩამოვანჩობდიო!“ („ნატურის ხე“, 9).

გ. ლეონიძე, როგორც ვიცით, ქართული საკუთარი სახელების გაერცვლებასა და დამკვიდრებაზე ზრუნავდა როგორც ლიტერატურული გზით, ისე პრესის საშუალებით. მის მიერ „ლიტერატურულ გაზეთში“ (ლეონიძე, 1961) გამოქვეყნებული სახელებიდან უმრავლესობა ავტორისავე მოთხრობებში გვხვდება. ამ სახელების მცირე ნაწილი დღესაც გაერცვლებულია, დიდი ნაწილი კი სრულიად მივიწყებულია.

დღესაც ცნობილ საკუთარ სახელთაგან მწერალი კვლავ გვახსენებს შემდეგს: ამირანი, არსენა, არჩილი, გაბრო, გარსევანი, გელა, გოდერძი, ედიშერი, ვახტანგი, ზაზა, ზაქარა, ზურიკო, თევდორე, ივანე, იორამი, ლევანი, ნიკოლოზი, რამაზი, რაჟდენი, სანდალა, სოლომონი, სულხანი;

გაიანე, მაიკო, მართა, მარიამი, ნაზიკა, ნარგიზა, იამზე.

დღეს თითქმის სრულიად მივიწყებულია შემდეგი სახელები: აზარია, ანთა, არდაშელი, ბადათერა, ბაზა, ბირხლა, გაგნია, გარსია, გეგენა, გვიტია, გუგუნა, დოლა, დოლენჯი, ელია, ელიოზი, ზაზუნა, თარიმანი, თაყა, თორელი, ლაგაზი, ლაშხია, ლექსურა, მარჯანა, ნინია, ნიტრია, რეხვია, როსტია, საჩინო, სეხნია, სოსიკა, ტუნა, ფადლაურა, ფორე, ლერენა, ლვინჯუა, ყადორი, შაბაშელა, შეთე, შე-

რმანდინი, შერმაზანი, ჩალხია, ჩიტურა, ჩორეხი, ჯაბა, ჯარდანი, ჯაუნარი, ჯიმშიტა;

ბაბაღე, გაია, გარიელა, გულიზარი, გულჩინა, გურანა, ზეცურა, ზიზილა, თავხუზა, თათია, თანანა, თანუშია, თეთრუა, კონია, ლურჯთვალა, მისა, მარადია, მარიტა, მზევარ, მზევინარი, მზეზა, ნანუა, ნია, ნინორე, ფაცაცი, ფერანა, შვიდმაისა, შოშია, სათუთა, ხვარამზე, ხვაშაქი;

საინტერესოა აგრეთვე მოთხრობების პერსონაჟთა სხვა სახელებიც, რომლებიც მწერალს „ქართულ სახელებში“ არ შეუტანია. ესენია: აგლია, ამირბარი, ბაბღია, ბათუა, ბათულა, ბათხო, ბანჯურა, ბატატა, ბაშხადუნი, ბაჭიჭაური, ბაჭყურა, ბერდიკი, ბეცია, ბოღაველი, ბოტი, გეღია, გოგრაჭა, გორია, ზაზილა, ზაქუტა, ზირაქი, თაღრია, თლოშიაური, იაგორა, კანდრო, კოსინე, კოტოშა, ლაჩინა, მამრიკა, ოხროხინე, სავატელი, ფიფონა, ქორია, ღვთისო, ყანდუა, ყაყლაჩა, ყოღალა, შაღია, შიოლა, ჩაჩიკა, ჩიტალა;

აბღია, თაშნეურა, თოთოლა, თუბალაური, მერცია, ლელაური, საბეღა, ქეთე, ჩახტაურა, ჯაფარაული, ჯერანა.

საინტერესოა, რა წყაროებით სარგებლობს გ. ლეონიძე ამ სახელების შერჩევას? ამ კითხვაზე თვითონ მწერალი იძლევა პასუხს: „ამისათვის მე შემდეგი შრომა გაეწვიე: მიემართე თვით ჩვენი დღევანდელი ცხოვრების სინამდვილეს და შევარჩიე ის ცოცხალი სახელები, რომლებიც როგორც ძველად, დღესაც ისევ „სახმარია“. აგრეთვე მე ბევრი ვეძებე ჩვენს ძველ სიგელ-გუჯრებში, დამწერლობის უძველეს ძეგლებში, კერძოდ, მატეიანეში. ძველებური სახელები ამოვკიფე აგრეთვე ქართული ფოლკლორიდან. სახელების სისავსისათვის შევაგროვე ზოგი კუთხური სახელებიც. მაგალითად: გურული, მეგრული, ქართლ-კახური, იმერული, რაჭული, მოხეური, ფშავ-ხევსურულ-თუშური და სხვ“ (ლეონიძე, დასახ. გაზეთი).

ძველად ხმარებული, დღესაც ცოცხალი და ხალხში შენახული სახელების ფონდიდან გ. ლეონიძე გვთავაზობს შემდეგ სახელებს: ამირანი, არსენა, არჩილი, გაბრო, გარსევანი, გელა, გოდერძი, ედიშერი, ვახტანგი, ზაზა, ზაქარა, ზურიკო, თევდორე, ივანე, იორამი, ლევანი, ნიკოლოზი, რამაზი, რაჟდენი, სოლომონი, სულხანი.

გაია, გაიანე, იამზე, მაიკო, მართა, მარიამი, ნარგიზა, ნინუცა, ნინუცი, ნუშო.

მწერალს განსაკუთრებით უხვად გამოუზიდავს ქართული სახელები ძველი ძეგლებიდან და სიგელ-გუჯრებიდან; ესენია: აზარია, არდაშელი, ბათუა, ბატატა, ბერდიკი, ბეცია, გარსია, გედია, გოგრაჭა, გუგუნა, დოლა, დოლენჯი, ელია, ელიოზი, ზაქუტა, ზირაქი, თაყა, ლაგაზი, ლაჩინა, როსტია, საჩინო, სეხნია, ყანდუა, ყაყლაჩა, შერმადინი, შიოლა, ჩაჩიკა, ჩიტალა, ჯანზურაბი, ჯარდანი, ჯაუნარი, ჯიმშიტა;

გულიზარი, გულიჩინა, ზვარამზე, ზვაშაქი.

ზოგი სახელი ქართველურ ენებში გვხვდება: მეგრულში — ბოტი, კონდრო, ნიტრია; მაისა, ქეთე, ზვარამზე, ხოლო სვანურში — ბაღათარ, თათია, თეთრუა, ნანუა, ხათუთა.

მწერალი ყურადღებით ეკიდება აგრეთვე ქართული ენის დიალექტებში შემონახულ საკუთარ სახელებს. აი ისინიც:

კახური: თარიმანი, კოტოშა; ნია, ნინორე.

ქართლური: გორია.

თუშური: ანთა, ლაგაზი, ფორე, ხვედია; საბედა.

ხევსურული: ბაღათურა, ბაბღია, ბაჭყურა, თორელი, ნინია, ქორია, ღვთისო, შიოლა, ჩალხია; მზევიანრი ნანუა, ხათუთა.

ფშაური: ბანჯურა, ბატატა, ბაღათურა, ბაჭყურა, ბაზა, თადრია, თორელი, ლაგაზი, ღერენა, შალია, შეთე, ჩალხია, ხოხორა; ბაბაღე, თეთრუა, ზვარამზე.

მთიულური: სოსიკა; მზევარ.

მესხური: თარინანი, ბათულა.

ლენხუმური: სეხნია, საჩინო, ღვთისო; კონია, მზეხა, საბედა.

იმერული: გვიტია; მზეხა.

გურული: მარადია, მარიტა, მერცია.

როგრც ვხედავთ, გიორგი ლეონიძეს თავის მოთხრობების პერსონაჟთა სახელების შერჩევისას უმთავრესად უსარგებლია ძველ ქართულ დოკუმენტებსა და მთის დიალექტებში გაბნეული საკუთარი სახელებით.

ზოგი სახელის გავრცელების ასპარეზი საკმაოდ ვრცელი ყოფილა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ბაღათურა, რომელიც დასტურდება ძველ ქართულ სიგელ-გუჯრებში, სვანურში, ხევსურულში, ფშაურში, ხოლო მისი ვარიანტი ბაღათა — რაჭულში. მაგრამ მიუხედავად მისი ასეთი გავრცელებულობისა, ეს სახე-

ლი დღეს აღარაა ხმარებაში. ასეთივე ბედი ეწია ასობით სხვა სახელს. ამ სახელთა ერთგული მფარველი და ქომაგია გიორგი ლეონიძე, რომელმაც თავისი მოთხრობების პერსონაჟთა სახელებად გამოიყენა მრავალი უძველესი ქართული საკუთარი სახელი.

მაშასადამე, მოთხრობების კრებული „ნატვრის ხე“ გამოირჩევა ძველი ქართული საკუთარი სახელების სიუხვით, თუმცა საამისო საბაბს არ იძლევა არც ამ მოთხრობების სიუჟეტური ქარგა და არც მათში ასახული ეპოქა.

როგორც ვხედავთ, პოემა „ამბავი თბილისისა“ და მოთხრობების კრებული „ნატვრის ხე“ სავსეა ძველქართული საკუთარი სახელებით, რომლებიც გიორგი ლეონიძეს გამოუზიდავს:

1. ძველად ხმარებული, დღესაც ცოცხალი და ხალხში შენახული სახელების ფონდიდან;
2. დამწერლობის უძველესი ძეგლებიდან;
3. „ქართლის ცხოვრებიდან“;
4. ძველი დოკუმენტებიდან და სიგელ-გუჯრებიდან;
5. ქართული ფოლკლორიდან;
6. ქართველური ენებიდან;
7. ქართული ენის დიალექტებიდან.

ნათელია მწერლის კეთილშობილური განზრახვა: ლიტერატურული გზითაც აღადგინოს, გაავრცელოს და დაამკვიდროს „ქართული წყობის, იერის, ქართული ოფლითა და სისხლით მონათლული მამა-პაპური სახელები, ზოგი ძველი, ზოგი უძველესი, თვით მეტად არქაულებიც, წარმართულიც, ოღონდ ქართული ბუნებისა“ (ლეონიძე, დასახ. გაზ.).

## II. მეტსახელები

„მეტსახელი ლექსიკის შენაკადია“ (ლლონტი, 1964, 117). მეტსახელები ყურადღებას იქცევდნენ როგორც წარმოებით, ასევე თავისი შინაარსით. მეტსახელები ზოგჯერ ინარჩუნებდნენ წარმოების უძველეს ფორმას, ხოლო მათი შინაარსი ხშირად ამა თუ იმ სოციალური ურთიერთობის გამომხატველია. „ქართველ ტომებში ძველთაგანვე გავრცელებული ყოფილა ადამიანსიათვის მეტსახელის შე-

რქმევა, რაც დღესაც არ მისცემია დავიწყებას. მეტსახელის შერჩევისას, უწინარეს ყოვლისა, მიზანში იღებენ ადამიანის პირად თვისებებს, მისწრაფებებს, მოსაქმეობას, ფიზიკურ გარეგნობას. ამიტომ აქ გონებამახვილობასა და შემოქმედებას უსაზღვრო ასპარეზი ჰქონდა" (ღლონტი, 1967, 24).

ამჟამად მეტსახელები უმთავრესად დიალექტებშია გავრცელებული. საჭიროა მათი შეკრება ცალკეული დიალექტების მიხედვით და სათანადო დამუშავება. „სახალხო მგოსან გიორგი ლეონიძეს შეკრებილი აქვს მეტსახელთა მდიდარი კოლექცია, რომლის ერთი ნაწილი შეტანილია მისი ნოველების წიგნში – „ნატურის ხე" (ღლონტი, 1964, 115). თუ როგორ იყო გ. ლეონიძე დაინტერესებული მეტსახელების შეკრება-გამომზეურებით, კარგად აჩანს „ლიტერატურული გაზეთის" ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილებით (ღენიძე, 1960, №28), რომლის ერთ ნაწილს ჰქვია „ქართველი ასმათები". აი, რას წერს მწერალი: „სხვადასხვა სიგელებიდან, სადაც კი შემხვედრია, ამომიკრეფია, ამომიწერია ქართველ მეფე-დიდებულების ქალ-გამზრდელთა თუ პირის ფარეშების, „შიმუნვარების" ანუ მაშინდელი ქართველი „ფრეილინების" სახელები:

1. ვარდისახარ, იისახარ, ზამბახისახარ, შაქრისახარ, ლომისახარ, ბროლისახარ, ნაზისახარ, თვალპატიონისახარ, თვალსინათლისახარ;
2. მონავარდისა, ნატიფისა, ვარსკვლავისა, პირმთვარისა, ედემევაილისა; იაგუნდისა, თვალსამოთხისა, დახატული-სა, სიყვარულისა, ლერწამტანისა;
3. იმედისეული, მოწყალისეული, თვალსინათლისეული, ლამაზისეული, სამოთხისეული, ცხონებისეული, გმირისეული, დედოფლისეული და სხვ.

ამ სამ ჯგუფად დალაგებული სახელწოდებებიდან („ვარდისახარ"; „მონავარდისა"; „იმედისეული") ირკვევა ერთი: საწყალ მონა ქალებს უფლებაც კი არ ჰქონდათ საკუთარი სახელების ტარებისა, მათი სახელები მათივე მბრძანებელთა დიდების ანარეკლი იყო მხოლოდ".

ცნობილია, რომ მეტსახელები ფართოდაა გავრცელებული კახეთში. სწორედ ამ კუთხის მეტსახელებს იყენებს გ. ლეონიძე „ნატურის ხეში". ამ მოთხრობების მრავალ პერსონაჟს მეტსახელებით

გვაცნობს მწერალი, თუმცა მათ, ცხადია, ნამდვილი საკუთარი სახე-  
ლებიც აქვთ. მაგალითად:

„მეყანწიშვილი ჭამპურა (ნამდვილი სახელი სოლომონი) ჩვე-  
ნი ბავშვობის მოგონება იყო" („ჭამპურა", 200). „ერთი სიტყვით,  
გაგეცინებათ, მაგრამ ჭამპურა — სოლომონი სოფლის მკურნალობა-  
საც მისობდა" (იქვე, 202). „ადღვომის მესამე დღეს, აზნაურმა ბაშ-  
ხადუნმა, სოფლის ანგალმა და ენამარატელამ, ღუქნის წინ შეგრო-  
ვილ ხალხში თავისი უკორძო ერთ ასე მიმართა სოლომონ — ჭამ-  
პურას" (იქვე, 202).

მეტსახელი ადამიანს ამა თუ იმ თვისების, ხასიათის ნაკლისა  
თუ დადებითი მხარის მიხედვით ჰქვია. უფრო კი ნაკლზეა ყურა-  
დლება გამახვილებული. მწერალიც ზოგჯერ გვიხსნის ზოგიერთი  
გმირის მეტსახელის დარქმევის მიზეზს: „ჭამპურა" მისთვის ერქვა,  
ჭამა უყვარდა და ისიც სხვის სუფრაზე" („ჭამპურა", 201). ჭამპუ-  
რას სმა-ჭამის მოყვარულობაზე მისი გვარიც მიგვანიშნებს — მეყან-  
წიშვილი. თუმცა მწერალი მას სხვა გვარებითაც იხსენიებს, რითაც  
გვაცნობს ჭამპურას ძირითად „საქმიანობას": „ჭამპურა ჭამაპურაძე,  
რომელმაც ჭამა იცოდა სანამძღოლზე და უყვარდა ყანწიანობა" („ჩი-  
რიკი და ჩიკოტელა", 53). „გემრიელი კერძი და ძლიერი ღვინო!  
მადით ჭამე, გულით დალიე, მზიარულად იცინე! — ასეთი იყო ჭამ-  
პურა ჭამაპურაძის თუ ძვალყოფილი ალექსა" (იქვე, 54).

მიუხედავად ჭამპურას ასეთი მადიანობისა, მას მაინც სჯობ-  
ნიდნენ ღერენა და ხუნჩალე: „ნაზი და გუნებიერი მჭამელი იყო  
ჭამპურა. სულაც არა ჰგავდა ღერენას, ქვაბობრივ რო ჭამდა ხინ-  
კალს; არც ხუნჩალეს, რომელსაც დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო,  
„სუფრის კომპანის" შევარქმევდით" („ჭამპურა", 203-204).

ალბათ ივანესაც და ბეციასაც უყვარდათ ჭამა, ამიტომაც  
ეძახდნენ თანასოფლელები პირველს გოჭყოლაპიას და მეორეს — ბა-  
ტიყველეფას („ჩირიკი და ჩიკოტელა", 62).

მოლხენის მოყვარე იყო ამავე სოფლის მეღუქნე და შესაფერი  
სახელიც ერქვა — ჩარირამა (იქვე, 54). საინტერესოა, რომ ნამდვი-  
ლი სახელი „პეტრე ერქვა, რატომღაც პავლეს ეძახდნენ", გამო-  
ცვლილი სახელი „ჩარირამა" კი არავის ეშლებოდა.

ჩორეხს სიარული უყვარდა, ამიტომაც დაიმსახურა მეტსახე-  
ლი წანწალოსანი: ჩორეხი „სულ ერთთავად დადიოდა, ან შარაზე  
უნდა გენახათ, ან ტყე-ღრეში იარებოდა... ყოველდღიური ხეტიალი-

სა და წანწალისათვის მუდამ ჩანთით, წერაქვითა და ჭკოვრით მა-  
ვალს, წანწალოსანს უწოდებდნენ: — მოდის ჩვენი წანწალოსანი!"  
(„ჩორეხი", 177).

სიარულის მოყვარე იყო აგრეთვე **პერიგიდი**, რომელზედაც  
იტყოდნენ: „ეშმაკმა რომ სიარული დაიწყო, ფეხისაღმა მაგან ას-  
წავლოა" („ჩირიკი და ჩიკოტელა", 54).

„თაღრიას ძილი უყვარდა; ცოლიც ამიტომ ეძახდა „სამძი-  
ლას" („თაღრია", 19).

ზოგი მეტსახელი პერსონაჟის გარეგნობის ამა თუ იმ ნაკლის  
გამომხატველია: ფუფალას „პირისმთვარიანობა დიდი ხანია, რაც ჩა-  
ქრობოდა, ბროლისნათელი, ლალის ბღღვრიანი გაჰხუნებოდა,  
შუქგადამდგარ საღამოს მიჰგავდა. მისი ყვავილიანი სამზეო დალე-  
ულიყო. წყალმა წაიღო სილაძაზეც და თაყვანისცემაც! ოდესღაც კი  
სილაძაზისათვის „ფუფალა" უწოდეს!" („ფუფალა", 22).

„მღვდელი ცერად იყურებოდა და სოფელში „ცეცოს" უძახიან  
მეტსახელად" („სოფლის შარაზე", 124).

დალეულ კაცს **თოხიტარა** შეარქვეს, ხოლო მაღალს — **გადა-  
ბმული** („ღვინჯა", 85).

ზოგი მეტსახელის დარქმევის მიზეზი გაურკვეველია. მაგალი-  
თად, — **ჩირიკი**. თვითონ მწერალიც გრძნობს ამას და ამიტომ კი-  
თხულობს: „იცით კი რა არის ჩირიკი? ზომ გაგიგონიათ, ყველა მი-  
წვება, მოწვება ჩირიკი ხეზე გაწვება!" („ჩირიკი და ჩიკოტელა",  
54).

მეტსახელების განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა მო-  
თხრობა „ღვინჯა".

თაყას ტყუბი ვაჟის ნათლობა აქვს. „პირველ ბიჭს გელა  
უწოდეს, მეორეს — არსენა! თუმცა პაპა ერთს **ღრინჭოლას** ეძახდა,  
მეორეს — **კოკროჭინას** (84). რადგანა ასეთი „გადასახელება" იყო  
გავრცელებული, ამიტომაც აღარ გვიკვირს, რომ თანამესუფრეებს  
„ნათლობის სახელი თვითონაც აღარ ახსოვდათ".

თამადა, რა თქმა უნდა, ღვინჯუა იყო, ამ ხალხმრავალ სუფ-  
რაზე კი იყვნენ წვეულნი: კლატოზი **ყიჭალა**, დალაქი **თაგებრა**, ყა-  
ნის მესვეური **ღრეული**, მეტყეურე **ტროყია**, მეშუშე **კლიკო**, მკველე  
**ყრუნა**, ნალევა კაცი **თოხიტარა**, მაღალი კაცი „**გადაბმული**", აქვე

იყო სიღარიბისა და ცოლის სიავისაგან გაბათილებული წიპრუა; სუფრის ბოლოში იჯდა ღურგალი „დაღამდა“, ბოლოს კი შემოემატა მჭინგურე ცანგალა და ჩხუბისთავი ქათათა. სუფრას ემსახურებოდა პატარძალი დუღღუბა.

ამათ გარდა სუფრაზე კიდევ მრავალი წვეული იყო, რომელთა ვინაობას არ გვაცნობს მწერალი, სამაგიეროდ არ ავიწყდება მათი მეტსახელები. ესენი არიან „განა ვინგინდავინ ან ყველავინმე? არა, სულ ნარჩევი დარბაისელი ხალხი!“ – რუმბია, ყლარტია, ოდოჭა, ფუმფალა, ყლორწო, ქვიშრაფა, ღინტალა, ხიწვა, ყბალია, ტარაკუჭა, ლობო, წვერიკმაზია, ლიტრიძირი“ (85).

კიდევ: ტიტლია, ბრაცანა, ციცლიბა“, ჰო, კიდევ ერთი, არ მახსოვს კარგად, ბოყო ერქვა. ყეყე თუ ყოყო!“ (86).

როგორც ვხედავთ, სუფრა მართლაც რომ ხალხმრავალია. საკითხავია, თუკი წვეულთა უმრავლესობას საკუთარი ნათლობის სახელი თვითონაც არ ახსოვდა, რაში დასჭირდა მწერალს მათი მეტსახელების ასე გულდასმით ჩამოთვლა? ამ გარემოებას ზ. ჭუმბურიძის ყურადღებაც მიუქცევია: „ამგვარი მეტსახელების შერჩევითა და სხარტი ეპითეტებით მწერალი ცოცხლად წარმოგვიდგენს თანამესუფრეთ, იუმორისტულ ელფერს ჰმატებს ნაწარმოებს და კუთხურ კოლორიტსაც გადმოგვცემს, მაგრამ ერთი კი მაინც უნდა შევნიშნოთ: ჩვენი აზრით, ავტორი ზედმეტად გაიტაცა ამ სახელების ჩამოთვლამ და თანამესუფრეთა რიცხვი მეტისმეტად დიდი გამოუვიდა. უამისოდაც არ იყო საჭირო ყველა მათგანზე ყურადღების შეჩერება და მკითხველის გადაქანცვა, რადგან შემდგომში მოთხრობაში რამდენიმე მათგანიღა ჩანს და სხვები კი მხოლოდ საერთო ფონს ქმნიან“ (ჭუმბურიძე, 1962, 140).

ეს მართლაც ასეა, მაგრამ, ვფიქრობთ, უნდა ვაპატიოთ გიორგი ლეონიძეს ამ სახელების ჩამოთვლით ზედმეტად გატაცება, რადგან მწერალი შეგნებულად ზრდის წვეულთა რაოდენობას. ამ საშუალებით იგი გვაწვდის ხალხში გავრცელებულ მეტსახელებს. თვითონ მწერალიც გრძნობს, რომ მეტსახელთა ამ გრძელმა სიამ შეიძლება მკითხველი გადაღალღოს, ამიტომაცაა, რომ თანამესუფრეთა ჩამოთვლას ალაგ-ალაგ წყვეტს და შემდეგ კვლავ განაახლებს ხოლმე შემდეგი სიტყვებით: „ქვემოთ“..., „კიდევ ქვემოთ“..., „და

განა ვინგინდავენ ან ყველავიმე"..., „კიდევ"... ზოგჯერ მწერალს ვითომ ავიწყდება რომელიმე სახელი: „ჰო, კიდევ ერთი, არ მახსოვს კარგად"...

მოქმედ გმირთა სახელების ჩამოთვლის ეს ხერხი გ. ლეონიძეს სხვა მოთხრობებშიაც აქვს გამოყენებული. მაგალითისათვის ავიღოთ „ჩირიკი და ჩიკოტელა": „განა არ იყენენ ჩვენს სოფელში განთქმული ადამიანები?...

კიდევ?...

შემდეგ:...

კიდევ ვინ იყენენ?...

და კიდევ ვინ? როგორ თუ ვინ?..."

ამ საშუალებით მწერალმა შეძლო მკითხველისათვის მიეწოდებინა მრავალი მეტსახელი. საერთოდ კი, გ. ლეონიძის მოთხრობების კრებულ „ნატურის ხეში" გვხვდება შემდეგი მეტსახელები:

სამძილა („თაღრია"), დოღრიალა, კიტრიპარია, მურწა, ნივრიგლეჯია, ჟაჟილა („ფუფალა"); ჩიტიფეხა („ორი შემოხედვა"); ბატიყვლეჯა, გიტარა-მაიორი, გოჭიყლაპია, თოთოშა, კიკრიკიკო, ფეხდიდა, ჩარირამა, ჩიკოტელა, ჩირიკი, ჰერიგიდი („ჩირიკი და ჩიკოტელა"); ბოყო, ბრაცანა, გადაბმული, დაღამდა, თავბერა, თოხიტარა, კლიკო, კოკროჭინა, ლიტრიძირი, ლოპო, ოღოჭა, რუმბია, ტარაკუჭა, ტიტლია, ტროყია, ფუფალა, ქათათა, ქაჩა, ქვიშრაფა, ღინტალა, ღრეული, ღრინჭოლა, ყბაღია, ყეყე, ყიჭალა, ყლარტია, ყლინწო, ყრუჩა, ყოტალა, ყოყო, ცანგალა, ციცლიბო, წვერიკმაზია, წიბრუა, ხიწვა, ხლართი („ღვინჯუა"); სანთლიკუდა, ფათერაკი, შავბეწვა, ცერო, ძუნძგლი („სოფლის შარაზე"); ბოხვერა, ლეთეთა, ლოჭო, პინჩუხა, ქინძურა, ყოტა, წოწრე („ციციკორე"); ძგვლიფა, წანწალოსანი, წვერიკმაზია („ჩორეხი"); ლოჭო, ქოჩორა, წვერიკნეტია, ჭამპურა („ჭამპურა"); ბუნბულა („ბუნბულა").

შედარებით მცირეა ქალთა მეტსახელები:

პირბალიშა, ფუფალა, ქარცეცხლა („ფუფალა"); დუდღუბა, ტატლამა, ტაშდარიკო („ღვინჯუა"); ბალბალუკა, ნემსიპარია („მარიტა").

როგორც ვხედავთ, გ. ლეონიძეს გულმოდგინედ შეუკრებია ხალხში გავრცელებული (უძთავრესად კახეთში) მეტსახელები და უხვად გაუბნევია ისინი თავის მოთხრობებში.

### III. ცხოველთა საკუთარი სახელები

როგორც ადამიანის მეტსახელებს, ისე ცხოველთა სახელებსაც მათი დამახასიათებელი ნიშანთვისებების მიხედვით ქმნის ხალხი. გ. ლეონიძისათვის თითოეული საკუთარი სახელი, ნამდვილი თუ შერქმეული, ისევეა ფასეული, როგორც ყოველი ქართული სიტყვა. ამიტომაცაა, რომ ცხოველებსაც არ ახსენებს იგი საკუთარი სახელების გარეშე: „მის მერე ერთი მისანდოდა ჰყვანდა ამ ქვეყანაზე — ბოთვერა ძაღლი — იმაზედა იყო მითვალული ამ წუთისოფელში! ბოთვერა კი აღმასა იყო. მის მშვიერ კბილებს ვინ გადაურჩებოდა!“ („ლინჯუა“, 84).

„ორივე ძაღლი — ხვნეშია და ჯაგია ქვაბებთან შორიახლოს მიყრილიყვნენ“ (იქვე, 81).

ჩირიკი „...სოფლის ორღობეში ცარიელ ხელებს იქნევდა, ნახირზე თვალმიმავალი:

— აქეთ გამოდით, ჯვარელა, მირეშა, ბულია, შავთვალავ“ ფრთხილად გამოიარეთ, მარცვალა, ღვინია, ორბია, შინდავ, ლაღავ, ჩემო პატარა ნახირო, გამოდი! ეზოში ვაზი კი არ დამიღეწო, ნამყენი არ გამიფუჭო, სიმინდი არ დამიზიანო!

— გამოდი, დი-დო, დემფილავ, ჭურჭელი არ დამიმტვრიო!“ („ჩირიკი და ჩიკოტელა“, 56).

თუმცა ცხოველთა საკუთარი სახელები არაა მრავალრიცხოვანი, მაგრამ გ. ლეონიძე მაქსიმალურად იყენებს უმცირეს შესაძლებლობასაც კი, მოგვაწოდოს ხალხში გაერცვლებული საკუთარი სახელები, ამ შემთხვევაში — ცხოველთა საკუთარი სახელები.

### IV. ადგილის სახელწოდებანი

გ. ლეონიძე დიდად ყოფილა დაინტერესებული ქართული ტოპონიმებით. ამის დამადასტურებელია 1960 წლის №8 და №9 ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებული „ნამცვრევი“ (წერილმანი შენიშვნები, დაკვირვებანი და მასალები), სადაც გვთავაზობს მრავალი ტოპონიმის ეტიმოლოგიას, ანდა ტოპონიმების მოშველიებით ხსნის ზოგი სიტყვის მნიშვნელობას. სანიმუშოდ ავიღოთ ტოპონიმი „სა-

გულე", რომლის განხილვისასაც მწერალი ამჟღავნებს ქართული ტოპონიმიკის შესანიშნავ ცოდნას. აი, რას წერს ლეონიძე:

„საგულე“ დღეს წარმოადგენს გატყვევებულ ნასოფლარს. ძველად კი იგი სოფელი ყოფილა. სოფ. „საგულე“ იხსენიება ჯერ კიდევ 1232 წ. მცხეთის საეკლესიო მამულების სიაში (ქრონიკები, II, 197); „საგულეს მიწა“ მოხსენებულია 1531 წელსაც: „მას უამსა ოდეს ჩუენსა უამშიგან ჩუენითა კითხვითა მამულებით ვიყიდე გემამუილისა ქერობინისაგან, მალეთა საკონე და ფონთხელზედა თქუენის მიწისა ბოლოს ჭალა და საგულეს მიწა“ (საქ. სიძველენი, 402, სიგელი ჭარმაულთა).

„საგულე“ 18 საუკ. პირველ მეოთხედშიც იხსენიება. ქართლის აღწერის ერთ ნუსხაში (რომელიც ს. კაკაბაძემ გამოაქვეყნა. იხ., საისტორიო კრებული, წიგნი IV; 1929 წ.) მოხსენებულია:

საგულელი – თანიაშვილი თედო.

საგულელი – კუნეალური გამიხარდი.

არი წეროვნული და საგულური ჯამი – კომლი ე/კ/, თავი /ზ/ (ც. არქივის საბ. №7144).

1802 წ. გედევანიშვილებს აუღიათ 180 კოდი პური მუხათ-გვერდიდამ, საგულიდამ, გოროვანიდამ. „მუხათ-გვერდს, საგულეს ხიდგაღმა აიღო 80 ოთხმოცი კოდი პური“ (მასალები საქ. ეკონომ. ისტორიისათვის, წ. III, 365).

„საგულე“ „გულა“-დან მომდინარეობს. „გულა“-ს შემცველი ტოპონიმიკური სახელწოდება საქართველოში არა ერთია:

მაგ.: 1. გულა, ღულა (მთიულურში)

2. ღულა (მთიულურში)

3. გულური

4. გულამყარი

5. გულაუთი

6. გულეთი (ძვ. სააბშიო ქვიშხეთიდან)

7. გულის-უბანი (ლიხის გადაღმა, მოლითის სანახებში, იხ. ვახუშტის გეოგრ., 204; ც. არქ. №7012, 7014).

8. საგულე (მცხეთასთან)

9. გულისის (ჯავახს ხ.)

10. გულას-ახო (აჭარაში, ხულოსთან)

11. გულათი-ყაუ (ცხინვალის სანახებში)

12. გუდარეხი (ალგეთში, გუდარეხის ხევის მარცხენა მხარეზე, იხ., იარ. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, 229).
13. გუდრუხი (ჟინვალთან)
14. გუდარახი (მალაროსკართან)
15. გუდანის ხატი (ხევსურეთი)
16. გუდაურთა (მთათუშეთში)
17. გუდელი (ალგეთში, ი. ლორთქ. ქვემო-ქართლი, 299)
18. გუდალისი (დოკუმენტები... ბერძენიშვ. რვდ., I, 332).
19. გუდალეთი (კავთისხევთან; მანგლისის ხეში; ვახუშტი)
20. უგუდეთი (მანგლისის ხეობაში, ვახუშტი, გეოგრ. — 197) (გ. ლეონიძე, 1960, 89-90).

ზემომოყვანილი ნაწყვეტი გვაძლევს ნათელ სურათს, თუ როდენ იყო დაინტერესებული გ. ლეონიძე ქართული ტოპონიმიკით, თუ როგორ კვლავდაკვალ მისდევდა იგი თითოეული ტოპონიმს.

გიორგი ლეონიძე „ნატურის ხეში“ სიყვარულით იხსენებს თავისი მშობლიური სოფლის შემოგარენს და ამ ადგილთა სახელებს: ბოკონისა და კორიდეთის ტყეებს, აზამბურის მინდორს და სხვა. „კაი სახელებია: ვარდისოფელი, ვარდიგორა, ოქრობაგეთი, ოქროწყარო, მაგრამ ჩემი სოფელი მუხათწყარო მეკერძებოდა: თუმცა აღარც მუხა იდგა, აღარც წყარო მჩქეფარებდა“ („ნიშარძეულის წყალი“, 189).

წყალი უჭირდა სოფელს: „— მოხრეკილი ხევი, მშრალხევი, გოხნარი, ნაწყაროვალი, ნატბურა, ნარუალი, ნაჭალევი — ასეთი სახელები ერქვა ჩემი სოფლის მიდამოებს“ (იქვე).

ადგილის სახელები ხშირად ხომ წარსულის სიკეთისა თუ სიავის გამოხატველნი არიან. ამიტომაც ამბობს მწერალი საქართველოს წარსულზე შეყვარებული ჩორეხის შესახებ: „რა უნდა წამოსცდენოდა ხეტსა და ოლოს თუ არა ნადარბაზევი, ნაპალატევი, ნაქალაქარი, ნაკოშკური, ნარუჯები, ნაოხრები, ნალეწი... („ჩორეხი“, 179).

ნათლობიდან დაბრუნებული შექეიფიანებული ნათამადარი ლვინჯუა თავს იმხნევებდა: „რა ღიდი გზა მაქვს გასავლელი: გძე-

ლას, ნატბეურას, შინდავაკეს და სახლსაც გადავხედავ" („ღვინჯუა", 105). და მართლაც მალევე გამოჩნდა სოფელი: „ეს ხომ მისი სოფელია, შელისყური! აჰანდე, ესეც მაზარიკანთ გორა " (იქვე, 108).

ზემოთქმული იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც მკლავნდება გ. ლეონიძის დაინტერესება ქართული ტოპონიმიკითაც.

როგორც ვხედავთ, გიორგი ლეონიძის თხზულებები მდიდარია ონომასტიკური ლექსიკით. მწერალმა თავისი ნაწარმოებების პერსონაჟებს შეურჩია ძველ ქართულსა და დიალექტებში შემონახული უძველესი საკუთარი სახელები. მწერალი გულუხვია აგრეთვე მეტსახელების შერჩევასა. იგი საკუთარი სახელების გარეშე არ ტოვებს ცხოველებსაც კი. ლეონიძე დაინტერესებულია ტოპონიმიკური ლექსიკითაც.

### ლიტერატურა

ალ. ღლონტი, ქართული საკუთარი სახელები, თბ., 1967.

ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964.

გ. ლეონიძე, ქართული სახელები, „ლიტერატურული გაზეთი", №12 (1234), 17 მარტი, 1961.

გ. ლეონიძე, ნამცვერევი, ჟურნალი „მნათობი" №8 და №9, 1960.

გ. ლეონიძე, ჩემი უბის წიგნაკიდან, შენიშვნები, დაკვირვებანი, ცნობები, მასალები, „ლიტერატურული გაზეთი" №28 (1198), 8/II, 1960.

თ. კობალაძე, პატარძელის იები, წერილებისა და მოგონებების კრებული „სამშობლო მისი ლექსის სახელი", შეადგ. თ. ჯანგულაშვილმა, თბ., 1970.

კ. გოგიავა, კოლხური წვიმით მონათლული, „მნათობი" №15, 1970.

ტ. რუხაძე, გიორგი ლეონიძის პოეზიის ძველი ქართული ლიტერატურული წყაროები, საიუბილეო კრებული „გიორგი ლეონიძე", თბ., 1970.

ზ. ჭუმბურიძე, პოეტური მოთხრობა, სალიტერატურო ენა და მწერლობა, თბ., 1962.

## ძველქართული ლექსიკა გიორგი ლეონიძის მხატვრულ ძმნიღებებში

ცნობილია, რომ თავისი განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე ენა გარკვეული ცვლილებებს განიცდის, რაც შედარებით სწრაფად აისახება ლექსიკურ შემადგენლობაში. ზოგიერთი სიტყვა შესაბამის საგანთან ერთად გამოდის ხმარებიდან, ზოგი სიტყვა მოძველდება, ზოგიც სრულ დავიწყებას ეძლევა, ზოგი კი მნიშვნელობას შეიცვლის და ისე შემორჩება ენას. სწორედ ამიტომ მართებს მწერალს მშობლიური ენის ლექსიკის დიდი ცოდნა და სიყვარული. ამ მხრივ სანიმუშოა ჩვენი სასიქადულო მწერალი გიორგი ლეონიძე; იგი ქართული სიტყვის ნამდვილ ქომაგად გვევლინება.

გიორგი ლეონიძემ შესანიშნავად იცოდა ძველი ქართული მწერლობა, საქართველოს ისტორია. ის ბევრს მუშაობდა ძველ დოკუმენტებსა თუ სიგელ-გუჯრებზე, ლიტერატურულ ძეგლებსა თუ ისტორიულ მასალებზე, რის საფუძველზედაც მან შექმნა მრავალი საყურადღებო მხატვრული ქმნილება. მწერალს აინტერესებდა არა მხოლოდ ახალ-ახალი ლიტერატურული და ისტორიული ფაქტების გამოვლენა, არამედ იგი ამ წყაროებში გულმოდგინედ ეძებდა მივიწყებულ ქართულ სიტყვებს; ეძებდა და პოულობდა! პოულობდა და შექპონდა ისინი თავისი მხატვრულ სიტყვიერებაში.

### I. ძველქართული ლექსიკა ისტორიულ ნაწარმოებებში

ისტორიული ნაწარმოებების თემატიკა მწერალს ხელშემწყობ პირობებს უქმნის ეპოქის შესაბამისი ლექსიკის გამოსავლინებლად, რასაც მშვენივრად იყენებს გიორგი ლეონიძე. ძველქართული ლექსიკის სიუხვით გამოირჩევა მისი ისტორიული პოემა „სამგორი“.

რომლის უკანასკნელ ვარიანტს ეწოდება „ამბავი თბილისისა“; ამ მხრივ ყურადღებას იქცევს აგრეთვე საქართველოს ისტორიული წარსულისადმი მიძღვნილი ლექსები.

პოემა „ამბავი თბილისისაში“ ასახულია ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა სპარსეთის ურდოების წინააღმდეგ მეხუთე საუკუნეში. მწერალი შესანიშნავად იცნობს ეპოქას, ამ პერიოდის სარწმუნოებრივ თუ საყოფაცხოვრებო რეალიებს, საბრძოლო თუ სამშენებლო იარაღებს, საომარ თუ საზეიმო ჩაცმულობას და სხვა. რაც მთავარია, ყოველივე ეს ასახულია შესაბამისი ლექსიკით. საილუსტრაციოდ ვნახოთ პოემის ის ადგილი, სადაც ბრძოლის დაწყების გრანდიოზული სურათია გადმოცემული:

არ იყო კარგად შეთენებული,  
ჯერ კიდევ დღეს არ გაეცისმარა,  
როცა პირველად სამგორის ველზე  
გაიზუზუნა სპარსთა ისარმა!  
წინ წადგა ცხენით მეფე ვახტანგი,  
მისმა გამაზერამ ანთო ლაშქარი...  
ასწია შუბი,  
დაიძრნენ რაზმები,  
მოჰქრიან რაზმები აწყვეტილ ავშრით,  
ორპირი ნაჯახი, შუბი და ხმალი,  
უცბად აინთნენ სიკვდილის ალით.  
არმაზის, ჰერეთის, ეგრისის დროშები,  
ამაღლდნენ ორბივით...  
დროგამოშვებით  
ისმოდა ჩეხის ხმა, ჯავშანზე ჯახანი,  
ვით უზარმაზარი სამჭედლოს ძგრიალი...  
საომარ ეტლების ისმოდა გრიალი...  
ცხენთა ჭიხვინი, ისრის სრიალი...  
სპილოთ ღრიალი არყევდა სამგორს,  
აქლემის ზმუილი... სიკვდილის ყეფა...  
სიკვდილი თავიდან ჰხდიდა ჩაბალახებს,  
უხილავ ლახტით უმსხვრევდა კეფას (110-111).

პოემის მიხედვით ქართველ მეომართა საბრძოლო იარაღებია: შუბი, მშვილდი, ბოძალი, კალდიმი, დაშნა, ქასრი, ლახტი... „აჯანყდა და აღდგა ერი: ...— აჰა, მშვილდი და ბოძალი" აჰა, შუბი, აჰა, დროშა, გორგასალის ნაბობარი!" (171, 16-17); „ფოცხ-მაკრატელა ისრებს ისროდნენ გაშფოთებული მეშვილდისრენი" (140,1). „და ხელშუბიც ბევრმა სტყორცნა" (125,13). ჯუანშერ ჯუანშერიანმა „ოთხი სპარსი მოკლა კალდიმით" (114, 18). ეგრისელებმა კი „ათასი დაშნა ასწიეს მალლა" (85,5). „ახლად ანაგებ სასახლის ბჭესთან გაუთირებული ფარნა დგას ქასრით" (139,4). როგორც ჩანს, ბრძოლაში საკმაოდ მარჯვედ იყენებდნენ ლახტს: „აბულახტარს ლახტი დაჰკრეს" (115,1). „რკინის ლახტი ექვსფრთიანი სპარს ასისთავს მეტის ძალით საბეჭურზე დაჰკრა ქუჯამ, დაუმსხვრია ზურგის ძვალი!" (115,17).

მაგრამ ყველას არა აქვს ასეთი მარჯვე საომარი იარაღები: „ზოგი მუხის კეტი იბრძვის, ზოგი გუთნის საკვეთელი" (133, 21-22), ჯიქურს კი „ხიზა თავზე დააჩეხეს" (114,22).

სპარსელებს ქუჯასათვის „მკლავზე დაურტყამთ ბრჭყალი მანგანა" (27,14). სპარსელებმა თბილისის ციხეს ალყა შემოარტყეს და მის მახლობლად „ციხის სამტკრევი მანქანა დადგეს, ფილაკავანი, ლოდის მტყორცნელი" (141,4). მტერი ციხის აღებას ცდილობს აგრეთვე „კიბით, საბლებით და ქმანდებით" (141,15).

გიორგი ლეონიძე დაწვრილებით აღწერს მეფე ვახტანგ გორგასალის საომარ ჩაცმულობას და აღჭურვილობას, მის გმირობას მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართველ მეფეს აცვია: ჯაჭვი, თორნი, საბარკული, ხელნავი...

წმინდა რაჟდენის ეკლესიაში

ახლა ჯაჭვს იცვამს, იღვამს მუზარადს,

თორნი მოართვეს და საბარკული,

ჩააცვეს ჯაჭვი საარაკოცა.

უკვე შეუკრა ჯაჭვის ხელნავი

და მაჯის სალტეს გაგამ აკოცა (93).

შემდეგ „გაახსნევიანა მეფემ საჭურჭლე, შიგ შეიყვანა ღეთისო მჭედელი, დიდხანს არჩიეს ხმალი ფხიანი, კაცის და ცხენის ერთად მკვეთელი" (92). გარდა ამისა ვახტანგ გორგასალს „ყველა განთქმულ მშვილდოსანზე ისარი აქვს მტკავლით მეტი" (116,20). იგი იბრძვის „კაცის მკლავის სისხო შუბით" (117,1). მის მოსაკლავად

„უღდასავით წამოვიდა ასი ოქროსშუბოსანი... მაგრამ კერვინ კერ  
გასდრიკა მეფის ხელში ვიგრის ფარი" (117); ხოლო როცა დაეცა  
განგძირული ქართველი მეფე,

გამოიტანენ ვახტანგის აბჯარს,  
ნიშანს გაშლიან, — მეფის ნასისხლარს, —  
ჯაჭვს და და მუზარადს, თორს და სამკერდულს,  
შემოუწყობენ მშვილდს, ხმალს და ისარს.  
— შენამც იხმარე გაუცკეთულად  
ხმალი, ჯავშანი და საცერული (158).

ქართველთა ლაშქარს სხვადასხვა დანიშნულების რაზმები  
ჰყავს: „წინამავალი, მეუკანოე, მოკინკლავე და მიმტევებელი" (102,  
15-16).

მეფეს ბრძოლაში ახლავს **ჯვარისმტვირთველი** (93,19,100,4).  
**აბჯრისმტვირთველი** (93,29), **მეაბჯრე** (26,1; 27,3; 28,16). მშვი-  
დობიანობის დროს კი — **ტაძრეული** (88,10) — მეფის მხლებელნი.  
სასახლეს განაგებს **ეზოს მოძღვარი** (32,7).

პოემაში ნაჩვენებია აგრეთვე თბილისის მშვიდობიანი ცხოვრე-  
ბა. მეფე ვახტანგის განკარგულებით „შენდება თბილისი, — „ქარ-  
თლის საყუდელი" (54,9). თბილისს აშენებს „სიმღერით, კვნესით,  
შრომით და ღვაწლით ერი მდაბიო, გლეხი და მონა" (52). ისინი  
თავისივე იარაღებით მიეშურებიან მშენებლობაზე: ღვინიას ურმით  
მიაქვს „ღირღიტა და საკვეთელი" (51,5); ღვთისავარი მიდის  
„გრდემლით, უროთი, ქვაბ-საკიდელით" (51, 7-8). ღვთისოს კი „ღი-  
დი ხელკვერი უჭირავს" (52,9). ამ გაცხოველებული მშენებლობით  
კმაყოფილია მეფე ვახტანგი: „მეფე თბილისში სინჯავს ნაშენებს:  
ციხეს, გოდოლებს, სახლებს, პალატებს" (65,4). მაგრამ ზოგიერთი  
მოღალატე „ამსხვრევს წალკატით სახლის კამარას" (61,15).

როგორც ვხედავთ, გიორგი ლეონიძე კარგად იცნობს ვახტანგ  
გორგასალის მეფობის დროინდელ ნაგებობებს, სამშენებლო საშუა-  
ლებებს, სამშენებლო მასალებს, იარაღებს და მათ სახელწოდებებს.  
ჩანს მწერალი მშვენიერად ფლობს ეპოქის შესაბამის სამშენებლო  
ლექსიკას. ზემოთქმულის დასადასტურებლად ვნახოთ პოემის ერთი  
ნაწყვეტი:

თბილისის ტყეში დაჩნდა კრამიტი,  
და გუმბათები, როგორც მტრედები...  
სვეტები თეთრი მარმარილოსი,

დაჩუქურთმული კამარედები...

შენდება თბილისი შავს ხეობაში,  
ხორცს იხამს ვახტანგის მონაფიქრალი...  
ქვისყორე, ძელყორე, კვერი და მარწუხი,  
წერაქვი, საკვეთი, ლორფინი, ფიქალი...  
ურმებში შებმული აზავერები  
და კამეჩები — დევის თავებით...  
საკირის ქვას ჰგლეჯენ და სცრიან ქვიშას...  
მექვიშეები... ქვის მზიდავები...  
გაჰყავთ გზები და სჭრიან საძირკველს,  
სთლიან ქვლოდებს, სწვავენ საკირეს,  
ამაღლდა ფუძე, თალი, სარტყელი,  
გუმბათის ყელი ყველას აკვირებს.  
შენდება ჯარგვალი — სახლები ძელური...  
ურთხმელის კოჭებით გაყრილი კელელი...  
სტოა და ჩარდახი, ერდო და ზღუდენი,  
რკინით და სპილენძით გადაჭვდილი... (52-54).

პოემა „ამბავი თბილისისა“-ში ასახულია ეპოქა, როდესაც ჯერ კიდევ უპირისპირდება ერთმანეთს ქრისტიანობა და კერპთაყვანისმცემლობა: „**კერპი და ჯვარი, მღვდელი, მოგვი და ცეცხლის მსახური!**“ (14, 1-2), **ჯვარი და არტოშანი** (14,3), მეკერპეები ფიცულობენ **ბაგინეთს**, (44,3) — წარმართთა სამსხვერპლოს შესაწირავ ადგილს, ხოლო ქრისტეს მსახურნი სწყველიან **ბაგინეთს** (17,18).

პოემაში შესაბამისი ლექსიკათაა ასახული საკულტო და საეკლესიო საგნები და წესჩვეულებები. ცეცხლთაყვანისმცემლებმა „**კუროპოხლი უზორვეს** მუხას, თეთრქვის თეთრ ქანდაკს — ვერძი, მამლები“ (15, 17018). ქართველი მეორმრები „**პურით, ზედაშით, ზვარით, სანთლებით**“ (91,7) გამარჯვებას ეზვეწებიან ფუძის ანგელოზს.

ომის წინ „ყველა მზადება ათავა მეფემ, ყველა **ზვარაკი** უფალს **უზვარა**“ (93,8). იგი „**ბარძიმ-ფეშხუმის** მადლით დალოცეს“ (93,15) და ამ დროს წითლად ელვარებდა „**მაჯნის კანკელი**“ (93,17). ხოლო როცა ვახტანგ მეფე კვდებოდა, „**აინთო საკელაბ-**

ტრენი, ხომლი, ლამპრები, კანდლები" (14, 5-6). მისი ცხედრის გარშემო იყო „შავი ღროშები, კერეონები" (157,3).

ზემოდასახელებულ საგანთა უძრავლესობა დღეისათვის აღარაა ხმარებაში და მათი შესაბამისი ლექსიკური ერთეულებიც დავიწყებას ეძლევა. მაგრამ პოეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი სრულყოფილად ფლობს ლექსიკის ამ სფეროს.

საერთოდ, პოემა „ამბავი თბილისისა" მეტად მდიდარია ძველქართული ლექსიკით. ეს პოემა ნათელ წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ რაოდენ უხვია გიორგი ლეონიძის სიტყვიერი მარაგი. მწერალს გაუხსნია ძველი ქართული ლექსიკის საგანძური და იქიდან გამოუზიდავს ძვირფასი ქართული სიტყვები. ამასთან ლეონიძე ღრმად სწვდება თითოეული სიტყვის მნიშვნელობას, მის ნიუანსებს. მაგალითად, **მოწყლული** ძველ ქართულში და **აჭრილსაც** ნიშნავს და **განგძირულსაც**. პოემაში ამ უკანასკნელი მნიშვნელობისაა ეს სიტყვა. პოეტი მას ხმარობს გარდაცვლილი მეფე ვახტანგის მიმართ, რითაც ხაზს უსვამს, რომ გორგასალი ჩვეულებრივად გარდაცვლილი, მკვდარი კი არ არის, არამედ იგი არის **მოწყლული**, სასიკვდილოდ დაჭრილი და ისე განგძირული:

ოქროს ცხედარზე, ხალხს რომ მოჰქონდა,

წყნარად ესვენა გმირი **მოწყლული** (157,6).

მოლალატე შარაკელის შეძრწუნებული სახის გადმოსაცემად კი მწერალი ძველ ქართულში პოულობს სიტყვა **აზრზენას**: „ხმამ შარაკელი შეაურიალა, **აზრზენით** იდგა სახეყვითელი" (100,2).

ზოგჯერ მწერალი ძველი ქართული ლექსიკიდან გვთავაზობს ისეთ სიტყვას, რომელიც დღეს აღარ იხმარება, საჭირო კია: მისი სრულყოფილი შემცვლელი არა გვაქვს. ასეთია, მაგალითად, **შეფრფინვა**-სიამით, ტრფიალით, აღტაცებით ცქერა:

და რამდენ ოსტატს, მადლის შემოქმედს,

**შეფრფინავს** მეფე, ვით შვილს საკუთარს (67,12).

თანამედროვე ქართულში გვაქვს წარმოქმნილი სიტყვა **გამჭვირვალე**, მაგრამ აღარ შემოინახა საწარმოებელი სახელი **ჭვირი** – „ბროლებრ თეთრ და გამჭვირვალე საგანში მოკაიფე შუქი" (იუსტ. აბულაძე, „ვეფხისტყაოსანი," ლექსიკონი), გიორგი ლეონიძეს კი ეს სიტყვა შეურჩევია და მხატვრულ შედარებაში გამოუყენებია:

ჰხედავს უეცრივ, ნაკადის ჩხერში

პირიმზის სახის ნათელი ღვივის,

ისე ნაზი და ბრწყინვალე, როგორც  
ყინულის **ჭვირში** შემდგარი სხივი (164,23).

პოეტი შესადარებლად ირჩევს აგრეთვე ისეთ საგანს,  
რომლის სახელი აღარ გვხვდება ახალი ქართულის სიტყვიერებაში.  
მაგალითად, **ქასური** – ერთგვარი სალესავი ქვა: უცბად გაისმა ხმა  
საყვირისა, ყველას დაედო ფერი **ქასურის** (20,13).

ზოგ ძველ სიტყვას შედარებით თავისუფლად ექცევა მწერა-  
ლი და მას იყენებს უფრო ფართო მნიშვნელობით. ასეთებია: **ზრინ-  
ვა**, **კრჩხიალი**, **მკრეხელი**.

**ზრინვა** საბას მიხედვით არის „ჯართ დათქრიალება“. პოემაში  
კი იგი ნიშნავს სამგლოვიარო ხმიანობას, გოდებას: როდესაც მეფე  
ვახტანგის ცხედარი, რომელსაც მცხეთისაკენ მიასვენებდნენ, სა-  
მგორს მიუახლოვდა,

შეინძრა ერი, დაემხო ერი,  
და გარდაიქცა კენესა ბლავილად.  
ქალნი ქალწულნი იჭრიდნენ ნაწნავს,  
ამოეყარათ ღედებს ძუძუნნი.  
მათრახს იკრავდნენ პირზე მხედრები  
და იდგა **ზრინვა**, შავი ზუზუნი (157,14).

იმავე საბას მიხედვით **კრჩხიალი** არის „ღიაცთ კვილი“. პოე-  
მაში კი იგი ნიშნავს ჩხუბის, ომის ხმიანობას: გახურდა მუმუტი,  
იელვა შუბმა, **დაიკრჩხილა** სისხლიან ჩხუბმა (18,6).

**მკრეხელი** საეკლესიო ნივთების მძარცველია ან სარწმუნოე-  
ბის შეურაცხმყოფელი, – მწვალებელი; პოემის მიხედვით კი იგი  
არის ღირსშესანიშნაობათა დამზიანებელი, – მავნებელი: ვინ უნდა  
იყოს ჩვენში **მკრეხელი**? ახალნაშენი კედლის მჩხრეკელი! (61,2).

ზოგი ძველი ქართული სიტყვა დღემდე შემორჩა ენას,  
ოღონდ მნიშვნელობა შეცვლილი. გიორგი ლეონიძე კი ასეთ სი-  
ტყვებს გვთავაზობს პირვანდელი მნიშვნელობით. ასეთებია: **ცხედა-  
რი**, **კვარცხლბეკი**, **სპეტაკი**, **კმევა**.

**ცხედარი** ამჟამად მიცვალებულს ნიშნავს, ძველ ქართულში  
კი ს ა წ ო ლ ს, ტ ა ხ ტ ს ჰქვიოდა. სწორედ ძველქართულისეული  
მნიშვნელობისაა პოემაში ეს სიტყვა: ოქროს **ცხედარზე**, ხალხს  
რომ მოჰქონდა, წყნარად ესვენა გმირი მოწყლული (157,5); მიუახ-  
ლოვდა **ცხედარი** სამგორს (157,7). თბილისის მშენებლობის დაწყე-  
ბისას დალოცეს მისი ფუძის ჩამყრელი და საძირკველი, „საძირკვ-

ლის საღვთო... ხორაგი... ცეცხლმონუხჩუხე ქვაბები... გართხმული მუხის ცხედრები ათასწლოვანი ამბებით" (57,4).

**კვარცხლბეკი** დღეს ძეგლის, „ქანდაკების სადგამია, პირვანდელი მნიშვნელობით კი „კვარცხლბეკი არს საყდარი მჯღომარისა/ფერხთა სადგ/ომელი ხარისხი" (საბა). ეს უკანასკნელი მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას პოემაში: **კვარცხლბეკულ** ეწყო შოთი, საღვინე, ირმის ფეშხო და თაფლის ხილარი (16,5).

**სპეტაკის** აღრინდელი მნიშვნელობაა თეთრი, ბივრიტიანი საომრად წასვლის წინ „უგზავნის **სპეტაკ** მანდილს პირიმუხს" (86,18), და თან აბარებს, რომ თუ დაიჭრება, მისივე სისხლის შეღებოს. ქალი კი შეუთვლის: არ ჩამოვარდე ციდან, არწივო, მწყურის სითეთრე მაგ მანდილისა (87,4). მაშასადამე, აშკარაა, რომ პოემაში **სპეტაკი მანდილი** ნიშნავს თეთრ მანდილს.

**კმევა** დღეს უმთავრესად იხმარება ფრაზეოლოგიურ ერთეულში (გუნდრუკის კმევა). ცალკე აღებულია კი მნიშვნელობა გაიფართოვა და ნიშნავს, საერთოდ, რაიმეს ფრქვევას. მისი პირვანდელი მნიშვნელობა არის **საკმეველის კვამლის დაყენება**, რაც პოემის ქვემოდასახელებულ მაგალითში დასტურდება: წითლად ეღვარებს მარჯნის კანკელი, **აკმევენ** ოქროს საცეცხლურები (93,18).

მრავალი ძველი ქართული სიტყვა შეცვალა მისმა სინონიმებმა. პოემაში აშკარად იგრძნობა გიორგი ლეონიძის მისწრაფება, შეარჩიოს და გამოავლინოს შედარებით ძველი სინონიმები. ამას, მართალია, ხელს უწყობს პოემის სიუჟეტი და მასში ასახული ეპოქა, მაგრამ ყოველივე ეს ერთხელ კიდევ მიგვივითებს იმაზე, თუ რამდენად სიტყვამდიდარია მწერალი, თუ როგორი ამოუწურავია მისი ლექსიკური მარაგი.

**დიდებულის** ნაცვლად პოეტი ხმარობს უფრო ძველ სიტყვას – **სეფეს**, ხოლო **მეთაურის**, **მმართველის** მაგიერ – **მოთაულს**: **ქვეყნის სეფენი, მოთაულები**, გადიდებული აზნაურები (41,12).

**ტანსაცმელის** მნიშვნელობით იგი იყენებს **ტალავარს**: ჩვენივე სისხლით მოვიხდით სირცხვილს, მაშ რად ვატარებთ ქართულ **ტალავარს** (144,19).

**ორმოს** ძველი სინონიმური შესატყვისია **ხნარცვი**: **ხნარცვი** ში ჩავარდი, ლომის ყიაში (108,21).

ცეცხლისა და ალის სანაცვლოდ პოეტს გამოუყენებია სიტყვა **სახმილი**: თვალქვეშ მყავს... სწვავდეს ქენჯნის **სახმილი** (41,5); მწუხარების და დარდის მაგიერ კი — **სიმძიმელი**: კოშკის ქონგურთან იდგა პირიშუე წყნარი კაემნით და **სიმძიმელით** (142,8).

**საყუდარი** და **საყუდელი** ძველ ქართულში სინონიმებია და ნიშნავს სამყოფს, საცხოვრებელს. გიორგი ლეონიძე ორივეს იცნობს: მზის **საყუდარში** მზე — ღმერთი ერთადერთია უფალი (14,15). შენდება თბილისი — ქართლის **საყუდელი** (54,9).

წერილის, ბარათის მნიშვნელობით პოემაში გვხვდება **უსტარი**, **ეპისტოლე**, **ქარტა**: მტკვრისკენ, ლოჭინზე წავიდა მტერი, თან დამარცხების მიაქვს **უსტარი** (135,10); მორათვეს ვახტანგს კეისრის ძღვენი, თან **ეპისტოლე**, — ოქრობეჭედით (39,10); მომყავს ლონგინოზ ანთიპატრიკი, თან მოაქვს **ქარტა** დიდ კეისრისა (38,8).

წყალობის სიგელის სანაცვლოდ პოეტს უხმარია სიტყვა **გუჯარი**: და **გუჯარი** წყალობისა გადულოცა ხუროთმოძღვარს (70,17).

დაწერილი ფურცლის, გვერდის ძველი სახელწოდებაა **კაბადონი**: შენც უნდა წერდე ცეცხლის ენებით ქართლის ცხოვრების ახალ **კაბადონს** (183,21).

ექიმის ძველქართული სინონიმური წყვილის ცალია **მკურნალი**; ლეონიძეც მას ირჩევს: მეფემ რა ნახა დაჭრილი ქუჯა, ბრძანა: უხმეთ ჩემს **მკურნალს**, წყლული შეუკრას (27,13); ხოლო როცა თვით მეფე ვახტანგი დაიჭრა სასიკვდილოდ, „ამაო იყო **მკურანლთ** წამალი“ (149,1).

ძველ ქართულში **ერი** აღნიშნავდა ჯარსაც და ხალხსაც. ღღემდე ხალხის მნიშვნელობადა შემორჩა. ლეონიძე ამ სიტყვას ორივე მნიშვნელობით იყენებს. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი გამოყენება **ჯარის** მნიშვნელობით: პალატის ბჭის წინ, **ერში** შარავალ გაგას ეძებდა გახელებული, და თვალი შეჭკრა, — იდგა ლაშქარი დიდ სანახავით აღელვებული (97,1); დროშა სად არი, დროშა სად არი?! — **ერი** მწუხარე დიდხანს ეძებდა (168,40); ფიქრობდა მეფე, ცოტა მყავს **ერი**, მტერი ზედმეტი დღეს რას მარგია (102,11); დაე, თბილისთან იბრძოლოს **ერმა** (101,13); აჯანყდა და აღდგა **ერი** (171,11).

პოემაში ძალიან პოპულარული გმირის აღმნიშვნელი შედარებით ძველი სიტყვა **ბუმბერაზი**; სადაც ნაგრევში ქარი უბერავს, მე იქ ვეძებდი ქართლის **ბუმბერაზს** (7,4); ბუბა **ბუმბერაზს** დაბა აჩუქა (43,12); მუზარადზე ცხენის ძუით იყურება **ბუმბერაზი** (84,12); დარჩეული **ბუმბერაზი** შეიყვანა მეფემ თანა (88,15); ჰხვდავ ჯუანშერ ჯუანშერიანს — მეფის **ბუმბერაზს**?! (114,17); გააფთრებულ ქართლის რაზმებს, — მხედრებს, გმირებს, **ბუმბერაზებს** (132,11), ზოგ **ბუმბერაზს** გული მისდის (133,12); შენ არ იყავი არც პიტიახში, არც **ბუმბერაზი** მეფის კარისა (156,8); სად **ბუმბერაზი** დაღლილი მიწვა (180,8).

სპარსელებშიც არიან „მსხვილბარკლიანი **ბუმბერაზები**“ (103,9); იშხნელი „მოხერხებით სპარს **ბუმბერაზს** შეეცემა“ (115,22); სპარსელთაგანაც „ბევრი მტვერში გაეხვია **ბუმბერაზი** უეზარი“ (117,17).

**გალავნის**, **კელლის** სანაცვლოდ მწერალს შეურჩევია უფრო ძველი სიტყვა **ზღუდე**: ციხე რად გინდა, ციხე თვითონ ხარ, მაღალი **ზღუდე** საქართველოსი (63,4); თქვენ ქართლის **ზღუდეს** აგებთ ურყევებს (67,13); კაცის მკლავის სისხო შუბით გადაანგრევს რაზმთა **ზღუდეს** (117,2); თემ-თემ დაეწყო ქართლის ლაშქარი, უჯარმის **ზღუდე**-კოშკების გარე (104,6); **ზღუდეთგარე** დარჩა მხოლოდ ხმლის მქნეველი, სანგრის მთხრელი (83,11).

**ზღუდე-გალავნის** შესასვლელს კი **ბჭე** ეწოდებოდა: დავცეთ თბილისის **ბჭე**, ბალავარი (42,19); დიდხანს ეკიდა თბილისის **ბჭეზე** ძელით მოლურსმული ვახტანგის ფარი (176,8); ხახარეს თქმული სასახლის ქება, სასახლის **ბჭებად** ამოკვეთილი (61,7); პალატის **ბჭის** წინ, ტრიალ ფოლორცზე, ისმოდა მოთქმა, ზარი, ტირილი (161,19); ახლად ანაგებ სასახლის **ბჭესთან** გაფითრებული ფარნა დგას ქასრით (139,3).

თბილისი დამშვენდა ახალი ქუჩებითა და მოედნებით. პოემაში მოედნის მაგიერ ნახმარია სიტყვა **ფოლორცი**: მეფე „ღამით მოივლის ქუჩებს, **ფოლორცებს**“ (60,14); ვრცელ **ფოლორცებზე** რომს აგინებდნენ (94,14); პალატის **ბჭის** წინ, ტრიალ **ფოლორცზე** ისმოდა მოთქმა, ზარი, ტირილი (161,19).

**ფანჯარა** და **სარკმელი** დღესაც თითქმის თანაბრად გავრცელებული სინონიმებია. გიორგი ლეონიძე კი უმთავრესად ამ უკანასკნელს მიმართავს, როგორც უფრო ძირეულ ქართულ სი-

ტყვას: გამოალო მან სარკმელი (32,14); სარკმელში სჩანს ქალის ჩრდილი (50,15); ღამე როცა კოშკის სარკმელს აწყდებოდა ქარა-შოტი (49,17); აიშართება უჯარმის ციხე, ბრწყინვალეებს კოშკის ერთი სარკმელი, სარკმელში მოსჩანს ქალი მღუძარე, ჩემი ოცნების გადამსარკველი (7, 19-20).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოემაში პოეტს ჩვენი ქვეყნის სახელწოდებად ნახმარი აქვს მასში ასახული ეპოქის შესაბამისი ტერმინი ქართლი.

პოემაში ძველი ზედსართაული სინონიმებიც გვხვდება. მწერალი დღეს გავრცელებული სიტყვა მე სა ი დ უ მ ლ ე ს მაგიერ გვთავაზობს უფრო ძველ მეხვაშიადეს: მეფის მებაჯრე-მეხვაშიადემ დე, იხსნას ჩვენი გამოსახსნელი (45,7).

ტ კ ბ ი ლ ი ს ნაცვლად კი პოეტს მტკბარი შეურჩევი: ისიც იცოდა, მოვა დღე მტკბარი (177,6); უ ხ ე შ ი, ტ ლ ა ნ ქ ი შარაველის დასახასიათებლად ლეონიძეს გამოუძებნია სიტყვა ჯორჯი: ისევ არ იცვლის ბიჯსაც შარაველ, — ჯორჯი, ჯიუტი და თავაყრილი (123,18).

პოემაში არაიშვიათია აგრეთვე ზმნური სინონიმები. ამ შემთხვევაშიც მწერალი არ ღალატობს ზემოგამოყენებულ პრინციპს: სინონიმურ წყვილთაგან არჩევს შედარებით ძველს.

ც ე კ ვ ი ს მნიშვნელობით პოეტი ხმარობს შუშპარსა და როკვას, ხოლო მოცეკვაკვისა — მეშუშპარეს: ბანს მისცემს ქალი ქდაგი კივილითა და შუშპარით (14-14); ითამაშებს მთელ დღეს ბარე. ოსტატია ქალთა როკვის (55, 7-9).

ვლტოლა ერთ შემთხვევაში ნიშნავს გაქცევას: გამოივლტო ვერ გასტეხეს ტყვეობაში მისი გული (87,17); ხოლო მეორე შემთხვევაში — განდევნას: მეფემ თავისი ასული გულზე მიიკრა და უთხრა: — შენებრ თუ ბევრი ქართლს ეყოლება, ყოველი მტერი მისი განივლტოს! (80,2).

გ ა ნ შ ო რ ე ბ ს, გ ა დ ა რ ჩ ე ნ ი ს სინონიმად ლეონიძე გვთავაზობს განრინებას: ჩემო მფარველო, ჩემო მარინე! ორთავე გვირგვინს შენ განმარინე (29,17). გადაყენების მაგიერ გვხვდება გარდადგენა: კვერთხი წავართვი საპიტიახშო, გარდაბანიდან გარდავარდგინე (41,2).

ისმის კითხვა: რა წარმოადგენს პოემა „მბავი თბილისისას“ ლიტერატურულ და ლექსიკურ წყაროს? როგორც ჩანს, ამ პოემის

დაწერისას გ. ლეონიძე ეყრდნობოდა „ქართლის ცხოვრებას“, კერძოდ, დასახელებული ძეგლის იმ ადგილებს, სადაც მოთხრობილია ვახტანგ გორგასალის მეფობა და მისი საბრძოლო თავგადასავალი.

ამ ძეგლით რამდენადმე დავალებულია აგრეთვე პოემის ლექსიკაც.

ზემონათქვამის დადასტურებას წარმოადგენს შემდეგი ფაქტები:

პოემა „ამბავი თბილისისაში“ გვხვდება ექვსი ეპიგრაფი, რომელთაგან ერთი ხალხურია („...ციდან ჩამოესმა რეკა...“), დანარჩენი ხუთი კი პოეტს აღებული აქვს „ქართლის ცხოვრებიდან“.

პოემისა და ამ ძეგლის სიახლოვეზე მეტყველებს აგრეთვე შემდეგი ფაქტები: მეფე ვახტანგს მრავალი სპარსელი მოემძალა, „მაგრამ ვერვინ ვერ გასდრიკა მეფის ხელში ვიგრის ფარი“ (117,20). „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: ვახტანგმა „აღიღო ფარი მისი ვიგრის ტყავისა, რომელსა ვერ ჰკუეთდა მახვილი“ (I, 154,18). „და დასცა ლახუარი პალეკარპოს ფარსა ვახტანგისსა, რომელი იყო ვიგრის ტყავისა“ (I, 175,14).

პოემის მიხედვით მეფე ვახტანგს ეხურა ოქროს ჩაბახი:

ბრწყინავს ოქროს ჩაბახით

გორგასალი — ომის ღმერთი (115,17).

„ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს: „ხოლო ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბახი ოქროსი“ (I, 180,9).

როგრც ჩანს, „ქართლის ცხოვრება“ წარმოადგენს პოემა „ამბავი თბილისისას“ როგრც ლიტერატურულ, ისე ლექსიკურ წყაროს.

ვიორგი ლეონიძე ასე გვიხატავს ვახტანგ მეფის შემოსვლას თბილისში:

ეგებებოდნენ თბილისელები

მეფეს — სამშობლოს ჭაღარა მამას.

ქალაქის ბერნი ცხენს უკოცნიდნენ,

საფენს უფენდნენ, აყრიდნენ დრამას (62).

ეს სურათი „ქართლის ცხოვრების“ იმ ადგილს გვახსენებს, სადაც აღწერილია ბაგრატ მეფის შემოსვლა თბილისში: მეფე ბაგრატი „წარემართა ტფილისად და მოეგებნეს ქალაქის ბერნი... ასხამდნენ დრამასა და დრაჰანსა“ (I, 299).

ეთნიკური ტერმინი კავკასიანნი გიორი ლეონიძეს აულია ამ ძეგლიდან, რომელშიც საკმაოდ ხშირად გვხვდება ეს სიტყვა (1, 3, 6; 28, 1, 4; 64, 3; 179, 4; 151, 12; 157, 14; 158, 13;...).

მოდით, დაგვხვდებით ერთი დროშის ქვეშ,  
ქართლი, სომხეთი, კავკასიანნი! (80,4).  
შეიგვიანეს კავკასიანთაც (95,7).

აქედანვე აქვს აღებული პოეტს ისეთი სიტყვები, როგორცაა მეკერპე (I, 160,20), მოთაული (I, 281,19; 296,20), მარტომბრძოლი (I, 69,7; 57,18).. მეკერპე და მოთაული თავის ლექსიკონში შეუტანია ღვთის ჩუბინაშვილს; იგი ამ სიტყვებს ასე განმარტავს: მეკერპე – კერპთმსახური, მოთაული – უფროსი. ორივესთვის წყაროდ მითითებულია „ქართლის ცხოვრება“. ამ სიტყვებს არ შეიცავს სულხან-საბასი და ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონები, ხოლო მარტომბრძოლი კი არ შესულა არცერთ ლექსიკონში. მამასადაძმე, ნათელია: „ქართლის ცხოვრებამ“ უკარნახა მწერალს დასახელებული სიტყვები, რომლებიც გამოიყვანა პოემაში:

მაშ მეკერპენი მყოფილხართ ისევ,  
ცეცხლის მსახურნი, რჯულის საფთხური! (13,23).  
ქვეყნის სეფენი, მოთაულები,  
გადიდებული აზნაურები (41,12).  
აი, გმირი მარტომბრძოლი (84,15).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი წერილი ერის განმარტებისათვის იმოწმებს ივ. ჯავახიშვილს: „მატიანე ქართლისაის“ კი გლეხობის აღსანიშნავად „წერილი ერი“ უწერია“. მართლაც ამ მნიშვნელობით გვხვდება ეს ტერმინი „ქართლის ცხოვრებაში“: „...არვინ ერჩდა წარჩინებულთაგანი, გარნა წურილი ერი მიიქცა მრავალი ცეცხლის-მსახურებასა. და შეერია ქართლს წურილსა ერსა ცეცხლმსახურება... მცირედნი ვინმე წურილისა ერისაგანნი მიიქცეს ცეცხლის მსახურებასა (I, 145,11, 13, 19).

მატიანისეული ეს ტერმინი გამოუყენებია გიორგი ლეონიძეს თავის პოემაში "წერილ ერში ჰკაზმავს მეფე მეომრებს (43,8).

ამგვარად, ცხადად იკვეთება, რომ „ქართლის ცხოვრება“ არის პოემა „ამბავი თბილისისას“ როგორც ლიტერატურული, ისე არქაული ლექსიკის წყარო.

პოემა „ამბავი თბილისისას“ გარდა, არქაული ლექსიკის ნიმუშები გვხვდება აგრეთვე პოეტის ისეთ ლექსებში, რომლებიც მი-

ძღვნილია საქართველოს ისტორიისადმი. ამ ლექსებში შესაბამისი სახელწოდებით დასახელებულია ისეთი საგნები, რომლებიც დღეს აღარ გამოიყენება.

მონღოლები იბრძოდნენ „ვერცხლით ნაჭედ იატაკანით“ („მეცამეტე საუკუნე“, I, 291,14). ქართველთა საომარი ჩასაცემელი იყო ბეგთარი: აქ მონღოლებმა ლეწეს ბეგთარი („გორის ციხე“, II, 45,20). რელიგიური რიტუალის შესასრულებლად გამოიყენება ბაზმა: კლდის მონაჩეხ საფლავის ქვას ჩვენ ავუნთოთ ბაზმის ფთილა („პოემა „სამგორის“ პროლოგის ვარიანტი“, I, 279,15). ავი თვალი-საგან დასაცავი ნივთი იყო შანა: მიწით ავსიათ ორბის თვალები, სიკვდილს შეუბავს თავისი შანა („მცხეთური ელეგია“, ახ., 21,13). ძველად არსებული სიმებიანი საკრავია სანთური: არ დაშრა შენი სიმღერა, არც სიმი დასწყდა სანთურსა („რუსთაველს“, I, 59,23). ამ საგნებს, მათს დანიშნულებას და სახელწოდებებს კარგად იცნობს გიორგი ლეონიძე; ამიტომაც ზოგჯერ მეტაფორული მნიშვნელობით გვთავაზობს მათ; ლამპარის ერთ-ერთი სახეობა იყო კანდელი: მათ მენახსოვრე ვინა ჰჯავთ? – მთვარე და მისი კანდელი? („პოემა „სამგორის“ პროლოგის ვარიანტი“, I, 292,16). მეტაფორული მნიშვნელობისაა აგრეთვე სიტყვა განკვართული: და ქართლი განკვართული ნაპრალებში, მღვიმეებში ჩააყენებს ნათელს („მეცამეტე საუკუნე“, I, 291,22).

წარსულისადმი მიძღვნილ ამ ლექსებში პოეტი არჩევს შედარებით მოძველებულ სინონიმურ ერთეულებს; მაგალითად: მებრძოლის ნაცვლად უხმარია მორკინალი: აქ ცხოვრობდნენ ოდესლაც მორკინალი დევები („უჯარმის ნანგრევები“, I, 287,5). მწერალს აურჩევია თათარის არც თუ მაინცდამაინც გავრცელებული ძველი სინონიმი თარაქამა: მოჰქრის ურა ცხენი მონგოლური დალით, ზედ შავი თარაქამა ვერ უსწორებს აღვირს („მეცამეტე საუკუნე“, I, 290,4). მედროშის მნიშვნელობისაა ბაირახტარი: თავს დაჰყოდა სისხლის ქადაგთა ყიფინი თქვენი ბაირახტარის („მცხეთური ელეგია“, ახ., 22,13).

ზოგ სიტყვას ფორმა სულ ოდნავ შეუცვლია, მნიშვნელობა კი იგივე აქვს; ლეონიძე მათ მაინც ძველი ფორმით გვთავაზობს. ასეთებია: პიიტები, დარაჯა, მარშარი, განძვივნებული, თანისთანად. ენახოთ შესაბამისი კონტექსტი:

და პიიტები ბატის ფრთიანნი,  
მუხანბაზების მთვრალი დარაჯა,  
წკანან სიჩუმის ნავსადგურებში  
და კალმის შუქი მათი არა ჩანს

(„პოეტები ბატის ფრთიანნი“, I, 331,9).

დამშვენებული ძეგლებით, მარმართ ამოგებული

(„ბედი ქართლისა“, I, 301,30).

თქვენი შეხედვა ქარიშხალს ჰგვანდა,  
როცა მიპროდით სამშობლოს მცველად,

როგორც ხანძარი განძვივებული

გამხმარი თივის გადასაწველად

(„სამშობლოს გმირებს“, I, 259,21).

რაც გულს ენთება, რაც ელმერთება,

უფრო ბრწყინვალეებს თანისთანადა

(„დიდ თამარს“, II, 162,17)7

ძველქართული სიტყვები გვხვდება გ. ლეონიძის ზოგიერთ ისეთ ლექსშიც, რომელიც წარსულისადმი არაა მიძღვნილი, მაგრამ წარსულის გამოძახილი მაინც მოისმის: არა, არ მიყვარს შენი წარსული, წამების ჯვარი და სიმძიმელი („მუხის ფოთოლი“, I, 66,23). იტყოდა მაშინ, იტყებდა მაშინ ნაომარი და გულდაქანცული („მუხის ფოთოლი“, I, 68,32).

ამრიგად, გიორგი ლეონიძის ისტორიული პოემა „ამბავი თბილისისას“ და წარსულისადმი მიძღვნილი ლექსების ლექსიკის მიმოხილვისას ნათელი გახდა, რომ პოეტი შესანიშნავად ფლობს ძველქართულ ლექსიკას და წარმატებით იყენებს მას დასახელებულ ნაწარმოებებში. მართალია, ძველქართული სიტყვების სიმრავლეს რამდენადმე განაპირობებს ამ ნაწარმოებების თემატიკა, მაგრამ მხოლოდ ამას არ შეიძლება მიეწეროს ძველი ქართული ლექსიკის ესოდენი მოძალეობა. თემატიკა მხოლოდ ხელშემწყობ პირობებს ქმნის საამისოდ და პოეტიც მარჯვედ იყენებს ამ შემთხვევას, რათა მივიწყებული სიტყვები კვლავ სალიტერატურო ქართულის კუთვნილებად აქციოს.

## II. ძველქართული ლექსიკა არაისტორიულ ნაწარმოებებში

გიორგი ლეონიძე საქართველოს წარსულისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებში რომ ფართოდ იყენებს ძველი ქართული ლექსიკის ფონდს, ეს გამართლებულია თვით ამ ქმნილებათა თემატიკით. მწერალი ძველქართულ ლექსიკას გულუხვად გვთავაზობს აგრეთვე არაისტორიულ თხზულებებში, სადაც საამისო საჭიროება არ ჩანს. ამასთან, მის ნაწარმოებებში ლექსიკური არქაიზმები შემთხვევით ხასიათს კი არ ატარებს, არამედ ლეონიძე საგულდაგულოდ არჩევს მათ და შეგნებულად შემოაქვს ისინი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მხატვრული ნაწარმოებების გზით. ამ შემთხვევაში ნათლად ჩანს, ჯერ ერთი, მწერლის ენისეული ლექსიკის სიმდიდრე და მრავალფეროვნება, თუ რაოდენ ფართოა მისი სიტყვიერი ასპარეზი და, მეორეც, აქვე მქლავნდება გიორგი ლეონიძის სწორი პოზიცია: იგი ცდილობს, თანამედროვე ქართული ენის ლექსიკის გამდიდრება დააფუძნოს ქართულსავე ნიადაგზე.

ქართული ენის ლექსიკის ერთ-ერთი მასაზრდოებელ წყაროდ გიორგი ლეონიძეს მიაჩნია ძველი ქართული ენის ლექსიკური საგანძური, საიდანაც მან გამოამზეურა მრავალი ქართული სიტყვა. მწერლის დაინტერესება ძველი ქართული ლექსიკით განსაკუთრებით კაგად ჩანს არაისტორიული ნაწარმოებების ენაში, სადაც უხვადაა გაბნეული ძველქართული სიტყვები. აი ისინიც:

სამყაროს აღმნიშვნელი ლექსიკიდან გიორგი ლეონიძე გვთავაზობს ისეთ არქაიზმებს, როგორებიცაა: **გარესკნელი**, **ზესკნელი**, **ზესთა-ზენა**, **ზევარდმო**: გამოგიტაცებს ჩვენი არსენა ფრთიანი რაშით **გარესკნელიდან** („მამულიშვილი ქართლის მხატვარი“, II, 172,21). გაიარეს ნემსის ყური **გარესკნელის** შიგნით („თბილისის პოეტები“, II, 121,27). ღრუბელთ **ზესკნელს** კიდევ იქით გავინავარდოთ („შემოდი, მეკვლევე!“, II, 39,3). მზე ამოდის... ეფინება **ზეთავს**, **ზევარდს**, **ზესთა-ზენას** („კახური განთიადები“, II, 191,7). ჩორეხს ნამდვილად ეგონა, რომ ეს პატარა ქვა სიკეთის უცილოდ **ზევარდმო** ნიშანი იყო („ჩორეხი“, ნ., 180,2).

მწერლის ნაწარმოებებში ვხვდებით ისეთ სიტყვებს, რომლებიც შესაბამის წეს-ჩვეულებებთან და საგნებთან ერთად მისცემიან დავიწყებას. ასეთებია:

ის ცეცხლის სვეტი იყო მგზნებარე, დიდება, ჩოქი და მეტანია (პეტევი", I, 408,19). მხოლოდ წელიწადში ერთხელ ეხილა ეს კვა ჩორეხს, - სახელდობრ, აღდგომა ღამეს, ლიტანიის შემდეგ („ჩორეხი", ნ., 180,26). ვაზის ძირში საადღვომო სანთლები დაენთო, სუფრა გაემალა, ლიტანია შემოევლო ვენახისათვის („ჩირიკი და ჩიკოტელა", ნ., 64,34). ავღგეთ, ვადიდოთ წმინდა ტარიგი („ჩამობრიალდი, ჩემო არწივო", I, 50,24). მუჯამარები... სამსხვერპლონი შეწირულ სისხლით („ამოდის მთვარე, საყვარელო...", I, 46,18). შვილთაშვილთათვის მეც გადამეცა ჩემი ნათქვამი, ვით მცხეთის კვართი („ჩემი ბალი", I, 57,4).

ზამბაკი ზღვისა („შემოდი, მეკვლევ!", II, 39,17). სულ ავაგსებ ჯავაირით, ჯავაირი მაშ არ ვინდა? („ბერშოულა", ნ., 399,8).

ასეთ სიტყვებს მწერალი ხშირად იყენებს მეტაფორული მნიშვნელობით:

არც მთვარის კდემას, არც მთვარის კვართს ვეთაყვანები („ამოდის მთვარე, საყვარელო...", II, 47,10). გაქპრა ძველი იარა, ცრემლის აიაზმები („გმირი და პოეტი", I, 276,26). რიონის ველი, ალაზნის ველი! ზურმუხტის მთების ამბიონებით („მუხის ფოთოლი", I, 65,26). და საქართველოს წმინდა ბარძიმი სავსეა მათი ცრემლის ნამქერით („აკაკი, ვაჟა", I, 367, 15). ვაზი - თორმეტი ფურის ნაწველი, დასხმული ოქროს ბარძიმივითა („მხარე-ვაზებში გამოხვეული", I, 275,5). პოეტი ამბობს, რომ იგი საქართველოს მდინარეების ემბაზში მოინათლა: მათს ემბაზში მოვინათლე, ვადვიწურავ თავზე შხეფებს („კახური განთიადები", II, 199,26). ჩვენი ემბაზი მტკვარია („თბილისო, ჩვენი თბილისო", I, 233,11). იორი კი ჩვენი ემბაზი და ასპარეზი იყო („ჩვენი ჭერამი", ნ., 15,20). ივრის თვალსამოთხე ნაპირები... იყო ჩემი ყრმობის ემბაზი, ჩემი პირველი პოეტური საასპარეზო („მშობლიურ ხეთა ჩრდილებში", ნ., 5,21). „სამშობლოს ღრუბლის ცვარ-ნამი" კი მისი „ლექსების ემბაზი არი" („ჰეი, არწივო!", I, 255,20). განახლებულ გერმანიაში მყოფი პოეტი კი ხედავდა, რომ „ახალ ემბაზში მზე კაშკაშებდა" („ბერლინის დილა", II, 135,1). პოეტის აზრით, იღია ჭავჭავაძე არის „აზრის ბეგთარი" („სამშობლოს გულის გამათბობელი", II, 157,21). უღრო-

ოდ დაღუპულ პოეტ ვახტანგ ნადარეიშვილს კი მან უწოდა „სიტყვის ეჯიბი, რითმის მსტოვარი („ჭაბუკი პოეტის სიკვდილი“, II, 175,11).

ზოგმა სიტყვამ მნიშვნელობა გაიფართოვა, მაგრამ ლეონიძე აღადგენს მის პირვანდელ მნიშვნელობას; ასეთია, მაგალითად, სიტყვა **მოქალაქე**, რომელიც დღეს ნიშნავს სახელმწიფოს, საზოგადოების სრულ უფლებიან წევრს; ძველად კი იგი აღნიშნავდა ქალაქის მცხოვრებს. ეს უკანასკნელი მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას ქვემოდასახელებულ მაგალითში: (იაგორამ) ქალაქში პატარა ქოხიც იყიდა და უკვე **მოქალაქე** გამხდარი, სოფელს აღარ კადრულობდა („მეეტლე იაგორა“, ნ., 32,7).

გ. ლეონიძემ ზედმიწევნით ზუსტად იცის თვითოეული სიტყვის განსხვავებული მნიშვნელობანი მცირე ნიუანსებითაც კი. სიტყვა **საზლი** ძველ ქართულში მრავალი მნიშვნელობის შემცველია. დღეისათვის სრულიად უცხოა ამ სიტყვის ისეთი მნიშვნელობით გამოყენება, როგორცაა „მოდგმა, გვარი“; პოეტს კი ეს სიტყვა სწორედ ამ მნიშვნელობით გამოუყენებია: მე რუსთაველის **საზლიდან** ვარ, ჩემი გვარის ხე არის მაგარი („ჩამობრიალდი ჩემო არწივო“, I, 48,12). ასეთივე ძველი მნიშვნელობით უხმარია სიტყვა **ნატამალი** – სამკვიდრო მამული; სამფლობელო (დ. ჩუბინაშვილი): სამცხე, აჭარა, შავშეთი, ტაო, კლარჯეთი, ერუშეთი, სრულიად ჭანეთი, – აი, საქართველოს **ნატამალი!** კურთხეულ მხარე! („ჩორეხი“, ნ., 172,29).

ძველქართულისეულ შედარებით ვიწრო მნიშვნელობის ზოგ სიტყვას კი ლეონიძე ფართო მნიშვნელობით იყენებს. მაგალითად, **კრჩხიალი** ძველ ქართულში არის „დედაკაცთ ხმიანობა“ (საბა), ლეონიძესთან კი ნიშნავს საერთოდ წივილს, კივილს, ყვირილს, ბლავილს, საერთო ხმაურს: ყვიროდა, **კრჩხიალეზა**... ქათათა („ღვინჯუა“, ნ., 98,14). ტყე ბლავის, **კრჩხიალეზს** („ტამალია“).

**ჯლეზა** ნიშნავდა „ცხენის მიქუსელ-მოქუსელას“ (საბა), ლეონიძის ენაში კი მას ადამიანთა შეჯახების, ჩხუბის მნიშვნელობა აქვს: წაძიძგილავდნენ. შეიქნა ზედახორა, **ჯლეზა** („ღვინჯუა“, ნ., 101,21).

**ზრინვა** არის „ჯართ დათქრიალება“ (საბა), ლეონიძის ნაწარმოებში კი – სამგლოვიარო ხმიანობა: ვაჟკაცთა სულთქმა, საქები

სიტყვა, დედაკაცების ცრემლიანი ზრინვა გაზაფხულის დილის ნიავს მოჰქონდა... ვენახებში (სახელის მილოცვა", ნ., 73,28).

**ზატიკობა** აღდგომის დღესასწაულია, მწერალი კი მას საზოგადოდ მხიარულების, დღესასწაულის მნიშვნელობას ანიჭებს: (ჩორეხს) გულში გალობა და **ზატიკობა** უნდოდა („ჩორეხი", ნ., 180,17).

ზოგმა სიტყვამ სავსებით შეიცვალა შინაარსი, გ. ლეონიძე კი კვლავ ძველი მნიშვნელობით იყენებს. ასეთია, მაგალითად, **ცხოველი**, რომელიც დღეს პირუტყვს ნიშნავს, ძველ ქართულში კი ცოცხალის აღმნიშვნელი იყო: და რაც კი სუნთქავს დღეს ქვეყანაზე, რაც სიცოცხლით იყო **ცხოველი** („სიჭაბუკე და ლექსი ერთია", I, 223,23).

გ. ლეონიძის თხზულებათა ენის ლექსიკაში ვხვდებით ისეთ შემთხვევებსა, როდესაც მწერალი საგანთან ერთად ხმარებიდან გამოსულ სიტყვას არქმევს თანამედროვეობაში ამ საგნის შემცველს. მაგალითად, ძველად გასანათლებლად გამოიყენებოდა პატრუქიანი ჭურჭელი — **ლამპარი**, დღეს კი ლამპიონებითაა გაჩირადდებული ქალაქები და სოფლები. სიტყვა **ლამპიონი** არაქართულია. ალბათ ამიტომაც მის ნაცვლად ლეონიძე იყენებს **ლამპარს**, რითაც ცდილობს დაკარგვას გადაარჩინოს კიდევ ერთი ქართული სიტყვა:

ათჯერ ვემთხვიე შენს მიწას,  
ასჯერ სიცოცხლე მანატრე  
თბილისო,  
შენმა **ლამპრებმა**  
როდესაც შემომანათეს!  
თითქოს **ლამპრები** კი არა,  
ენთო ვარდები ბდღვრიალა

(„შინმოსულისა", I, 25).

ზოგიერთ სიტყვას ძველი ქართულისაგან განსხვავებით ოდნავ შეუცვლია ფორმა, შინაარსი კი იგივე დარჩენილა; ლეონიძე მათ ძველ ფორმას უნარჩუნებს: **ფრთენი** დამიწდეს? („ორბი", II, 85, 10). და ლაღადებს წითლოსანი ბროწეული ცათა **სფერით** („კახური განთიადები", II, 191,30). ვარ გაჩენილი დამწვარ **აშიკად** („მუხის ფოთოლი", I, 64,9). დამწვართ იმედი, ხვაშიადი, **აშიკოთ** მოწამე („ამოდის მთვარე, საყვარელო...", I, 45,28). ვარ **მოაშიკე** შენი მზის

(„იქ სადაც შენი გულია“, I, 239,18). ოქრო, რკინა, მარმარი, ნავთი წიაღს ჩამდნარი („რატომ არის საქართველო ლამაზი და მდიდარი“, II, 215,12). ვაკ, გაჰქრა, როგორც შუქი მთოვარის („ჭაბუკი პოეტის სიკვდილი“, Iშ, 175,14). რა მწუნხარებას იგრძნობდა მხარზე ქულაჯაწმოგდებული პიიტი („ტამალია“). ძმებო, ჩვენ გული გულზე დავადოთ, სადაც იწვება ალი მცხინვარი („სომხეთს“, I, 398,19). დაქიმიებული თლოშიაური გლემურჯივით ეცა ღორის მცხინვარე ღურთებს („ღვინჯუა“, ნ., 90,3). განძვივნებულმა ქათამ სუფრას ღონივრად დაჰკრა ხელი („ღვინჯუა“, ნ., 97,29). მრგვლივ საყნოსავი ყვავილ-სურნელება იდგა („ნიშარძეულის წყალი“, ნ., 193,36). მარიტას „მისაფუძვლამდე“ შეერყია გედიას გული („მარიტა“, ნ., 164,24). მინდა შენ ქვეშ ვიცოცხლო სულ მიუკუნი-სამდე („ნუნარა“, I, 198,1). დასაბამიდან ხმალშემორტყმული ღვეზარ და მტერი უამარია („საქართველო“, ე., 35,70. უამარი მწვანეა გაზაფხულზე („სახელის მილოცვა“, ნ., 72,25).

### III. ძველთაძველი სინონიმური ერთეულების გამოცოცხლება

გიორგი ლეონიძის თხზულებათა ლექსიკაში ყურადღებას იქცევს ძველი სინონიმური ერთეულების გამოცოცხლება. არც თუ იშვიათად ძველი ქართული ლექსიკიდან მწერალი შეარჩევს ხოლმე ისეთ სიტყვებს, რომელიც თანამედროვე ქართულში აღარ იხმარება და არც იგრძნობა უიმიზობა, რადგან ენას მოეპოვება შესაბამისი სინონიმები. ამიტომაც არ ჩანს ამ სიტყვების აღდგენის აუცილებლობა. მართლაც, რა საჭიროა თანამედროვე ქართულში დავამკვიდროთ მტილი, სახმილი, თანამდელები, როკვა, საღმობა და სხვა ძველ-ქართული სიტყვები, როდესაც ახალ ქართულში უკვე დამკვიდრებულია შესაბამისი სინონიმები: ბალი, ცეცხლი, მოვალე, ცეკვა, ტანჯვა და სხვა.

მსგავსი ნიმუშები საკმაოდ უხვად გვხვდება ლეონიძის პოეზიასა თუ პროზაში :

აღქატ-ი — ღარიბი, ღატაკი, უქონელი: აღქატი გურანა ჩუმაღ ხაშ-ხაშს აპარებდა („ჩორუხი“, ნ., 178,31).

- აჯა - ვედრება: ვეაჯე შენსა ნათელსა („ჩარგალში", I, 373,7).
- განვლტოლა - გაქცევა: გაქრა, წარვიდა, უცბად განივლტო (ეკეი", I, 192,3).
- გასრევა - გაფანტვა: გამისრივე ბურუსი („ციცვიწყარო", I, 75,15)
- ეტიკი-ი თავი, ბელადი, უფროსი: სოფლის ეტიკი, უანგარო და მამობრივი მზრუნველობით აღსავსე... ებრძოდა ვაჭრებს, ჩარჩებს, სოფლისყლაპიებს („ციციკორე", ნ., 141,18).
- ეტიკობა - ბელადობა, უფროსობა: როსტიასაც არაფრად მიაჩნდა ციციკორეს ეტიკობა („ციციკორე", ნ., 149,20).
- თანამდებ-ი - მოვალე: თუ ვარ ქართლის თანამდები, - ეს მთა მისი თავდებია („კახური განთიადები", II, 190,11).
- იადგარ-ი - სახსოვარი: ვერც ფალავნობის, ვერც მომღერალის ვერ დაუუტოვე ხალხს იადგარი („ცაში პირველი ნამეხარია", II, 88,14).
- იძვრის-ი - სულდგმული; „რაც მოძრავია" (საბა): ღამის ბალანიც კი არ ჩანდა, არა თუ იძვრისი („ღვინჯუა", ნ., 106,36).
- კაბადონ-ი - გვერდი: ჩემი სოფლის ყვავილებით უნდა ვქსოვდე ამ წიგნის კაბადონებს („მშობლიურ ხეთა ჩრდილებში", ნ., 5,7).
- მარადლე // მარადლე - „ადლე ყო/ვ/ელ" (საბა), მუდამ: დრო არი გადამრიცხავი მისი, რაც იწვის მარადლე („გაუფრენელი მერცხალი...", II, 105,16). და მომავლზე მარადლე ვარ შეყვარებული („...თუ ძმობა არი ჩენი სარდალი!", I, 228,6). დე, ჩემმა ლექსის ნერგმა მარადლე შენი წიალის წვენით იხაროს („ახლო მიწავ, მიწავ ქართლისა", I, 79,8). ჰღვიძავს ხალხს მებრძოლს მარადლე („ქართველ მხედრებს...", ე., 54,16). რომ უკვდავი ხარ მარადლე („სამშობლოს", ე., 183,13).
- მდლევარ-ი - 1. საყოველღეო: სხვა თუ დაყრილა ნახირად მდლე-ვარ ლუკმაში გართული („ბავშვობა და ყრმობა", ე., 504,20). შემატება-გადიდებაზე სულაც არ ზრუნავდა, მდლევარ ლუკმისთვის იბრძოდა („ჩირიკი და ჩიკოტელა", ნ., 55,110).
2. მარადიული: უკვდავი და მდლევარი (რატომ არი სა-ქართველო ღამაზი და მდიდარი", II, 215,27).

- მეხვიაშნე** – „მოძხმარე“ (საბა): იყავი **მეხვიაშნე** ცის და მიწის წინაშე („ცივწყარო“, II, 77,25).
- მორჭმული** – 1. სახელოვანი: ამიყვავეთ სამშობლო – ძველად სისხლით გამშრალი, უსარჩოლო, **მორჭმული**, ყველას გასაყოფელი („გმირი და პოეტი“, I, 278,23). თამადა იჯდა **მორჭმული**, თავგზიანი, დამყარებული, დადგინებული („ღვინჯუა“, ნ., 89,5).
2. ბედნიერი: უყურებდა სიხარულით **მორჭმული** ფორე წყლის მჩქეფარებას („ნიშარძეულის წყალი“, ნ., 183,33).
- მოწყლული** – დაჭრილი, დაკოდილი: **მოწყლული** გული ოდნავდა უცემდა („სახელის მილოცვა“, ნ., 75,4). **მოწყლული** გულით შესძახებდა ხელებგაწვდილი მწუხარე დედას („სახელის მილოცვა“, ნ., 71,28).
- მტილი** – ბალ-ი, ბალ-ბასტანი: მარმაშა ზვირთებში წყობად იდგნენ დასხმული ვაზები, ვაშლ-ატმის ბრიალა ტოტები, ყვა-ვილნარი, ხევნარი, კორდი, მდელო, **მტილი**, მოლი („ნიშარძეულის წყალი“, ნ., 193,31).
- როკვა** – ცეკვა: სტვირს გიკრავდი და არა **როკავდი** („სიჭაბუკე და ლექსი ერთია“, I, 223,4). პატარა მდინარის მორცხვი **როკვა** თუ რაკრაკი („სახელის მილოცვა“, ნ., 76,27).
- სალმობა** – ტანჯვა: ნუ დაივიწყებ დედის **სალმობას** („ილია ჭავჭავაძე“, II, 153,2).
- სახმილი** – ცეცხლი, ალი: სულის ჩაჭრამდე ჩამწვავს **სახმილით** („სად შეიტყორცნა ჩემი ოცნება“, I, 215,8). ხმა მიბნედილი ყოველი მხრიდან **სახმილს** გვისევდა („ხალხური მომღერალი“, II, 146,32). ეს ხმა კი არა, იყო **სახმილი** („ძეული დაირა“, I, 148,24).
- სიმძიმელი** – მწუხარება, დარდი: იქნება ღზინი თუ **სიმძიმელი**, შეხედე, როგორ უკვდავად მღერის („ქართული სიტყვა“, II, 27,9).
- უსტარი** – წერილი: სიყვარულის **უსტარებით** განთქმულია რუსთაველი („ჭალარა“, ახ., 14,2).

- აჯა - ვედრება: ვეაჯე შენსა ნათელსა („ჩარგალში", I, 373,7).
- განვლტოლა - გაქცევა: გაქრა, წარვიდა, უცბად განივლტო (ეპიქი", I, 192,3).
- გასრევა - გაფანტვა: გამისრივე ბურუსი („ციცვიწარო", I, 75,15)
- ეტიკი-ი თავი, ბელადი, უფროსი: სოფლის ეტიკი, უანგარო და მამობრივი მზრუნველობით აღსავსე... ებრძოდა ვაჭრებს, ჩარჩებს, სოფლისყლაპიებს („ციციკორე", ნ., 141,18).
- ეტიკობა - ბელადობა, უფროსობა: როსტიასაც არაფრად მიაჩნდა ციციკორეს ეტიკობა („ციციკორე", ნ., 149,20).
- თანამდებ-ი - მოვალე: თუ ვარ ქართლის თანამდები, - ეს მთა მისი თავდებია („კახური განთიადები", II, 190,11).
- იაღგარ-ი - სახსოვარი: ვერც ფალავნობის, ვერც მომღერალის ვერ დავუტოვე ხალხს იაღგარი („ცაში პირველი ნამეხარია", II, 88,14).
- იძვრის-ი - სულდგმული; „რაც მოძრავია" (საბა): ღამის ბალანიც კი არ ჩანდა, არა თუ იძვრისი („ღვინჯუა", ნ., 106,36).
- კაბადონ-ი - გვერდი: ჩემი სოფლის ყვავილებით უნდა ექსოვდე ამ წიგნის კაბადონებს („მშობლიურ ხეთა ჩრდილებში", ნ., 5,7).
- მარადღე // მარადღე - „ღღე ყო/ვ/ელ" (საბა), მუდამ: დრო არი გადამრიცხავი მისი, რაც იწვეის მარადღე („გაუფრენელი მერცხალი...", II, 105,16). და მომავლზე მარადღე ვარ შეყვარებული („...თუ ძმობა არი ჩვენი სარდალი!", I, 228,6). დე, ჩემმა ლექსის ნერგმა მარადღე შენი წილის წვენით იხაროს („ახლო მიწავ, მიწავ ქართლისა", I, 79,8). პლვიძავს ხალხს მებრძოლს მარადღე („ქართველ მხედრებს...", ე., 54,16). რომ უკვდავი ხარ მარადღე („სამშობლოს", ე., 183,13).
- მღღევარ-ი - 1. საყოველღეო: სხვა თუ დაყრილა ნახირად მღღევარ ლუკმაში გართული („ბავშვობა და ყრმობა", ე., 504,20). შემატება-გადიდებაზე სულაც არ ზრუნავდა, მღღევარ ლუკმისთვის იბრძოდა („ჩირიკი და ჩიკოტელა", ნ., 55,110).
2. მარადიული: უკვდავი და მღღევარი (რატომ არი საქართველო ლამაზი და მდიდარი", II, 215,27).

**მეზგაიშნე** — „მომხმარე“ (საბა): იყავი მეზგაიშნე ცის და მიწის წინაშე („ცივიწყარო“, II, 77,25).

**მოჭმულ-ი** — 1. სახელოვანი: ამიყვავეთ სამშობლო — ძველად სისხლით გამშრალი, უსარჩოლო, მორჭმული, ყველას გასაყოფელი („გმირი და პოეტი“, I, 278,23). თამადა იჯდა მორჭმული, თავგზიანი, დამყარებული, დადგინებული („ლვინჯუა“, ნ., 89,5).

2. ბედნიერი: უყურებდა სიხარულით მორჭმული ფორე წყლის მჩქეფარებას („ნიშარძეულის წყალი“, ნ., 183,33).

**მოწყლულ-ი** — დაჭრილი, დაკოდილი: მოწყლული გული ოდნავდა უცემდა („სახელის მილოცვა“, ნ., 75,4). მოწყლული გულით შესძახებდა ხელებგაწვდილი მწუხარე დედას („სახელის მილოცვა“, ნ., 71,28).

**მტილ-ი** — ბალ-ი, ბალ-ბასტანი: მარმამა ზვირთებში წყობად იდგნენ დასხმული ვაზები, ვაშლ-ატმის ბრიალა ტოტები, ყვავილნარი, ხევნარი, კორდი, მდელო, მტილი, მოლი („ნიშარძეულის წყალი“, ნ., 193,31).

**როკვა** — ცეკვა: სტვირს გიკრავდი და არა როკავდი („სიჭაბუკე და ლექსი ერთია“, I, 223,4). პატარა მღინარის მორცხვი როკვა თუ რაკრაკი („სახელის მილოცვა“, ნ., 76,27).

**სალმობა** — ტანჯვა: ნუ დაივიწყებ დედის სალმობას („ილია ჭავჭავაძე“, II, 153,2).

**სახმილ-ი** — ცეცხლი, ალი: სულის ჩაჭრამდე ჩამწვავს სახმილით („სად შეიტყორცნა ჩემი ოცნება“, I, 215,8). ხმა მიბნედილი ყოველი მხრიდან სახმილს გვისევდა („ხალხური მომღერალი“, II, 146,32). ეს ხმა კი არა, იყო სახმილი („ძველი დაირა“, I, 148,24).

**სიმძიმე-ი** მწუხარება, დარდი: იქნება ლხინი თუ სიმძიმე, შეხედე, როგორ უკვდავად მღერის („ქართული სიტყვა“, II, 27,9).

**უსტარ-ი** — წერილი: სიყვარულის უსტარებით განთქმულია რუსთაველი („ჭალარა“, ახ., 14,2).

ფოლორც-ი — მოედან-ი: მოზარდები ფოლორცზე ორჯგუფად გაიყავით („მარიტა“, ნ., 162,17).

#### IV. ძველქართულ სიტყვიანი სინონიმური პარალელიზმების ნიმუშები

ჯერ კიდევ ძველ ქართულში გვხვდება სინტაგმატური წყვილები, რომლებიც შედგება სხვადასხვა ფუძეების, მაგრამ საერთო შინაარსის მქონე სიტყვებისაგან. ასეთ სიტყვებს შოთა ძიძიგურმა სინონიმური პარალელიზმი უწოდა (ძიძიგური, 1960).

გიორგი ლეონიძის თხზულებათა ენის ლექსიკაში გვხვდება სინონიმური პარალელიზმის ისეთი ნიმუშები, სადაც ერთ-ერთი წევრი ძველქართული ლექსიკის კუთვნილებს. ამ სახის ლექსიკურ პარალელიზმს მწერალი იყენებს როგორც ძველი ქართული სიტყვის დანერგვის ერთ-ერთ საშუალებას. ვნახოთ შესაბამისი მაგალითები:

თქმულა, რომ ქვეყნად ორი დღე არი, ვით საახსოვარი და იადგარი („ორი დღე“, I, 183,30. სად არი ტილო ან მარმარილო, ბრინჯაო, რვალი, ქვა და ქალაღი („ხეებზე წარწერილი ლექსები“, I, 211,11). შენთან წერილს ვატან წვიმას, ჩემს უსტარს სწერს ღაბაღუბით („ნაძვის წიწვებს სწიწკნის წვიმა“, II, 104,19). ფრანგ ქალაქების, ჰინდოთ სოფლების დატაკები და ამბოკარები („ბავშვობა და ყრმობა“, ე., 543,14). მუზარადში გვახსოვს იგი ბოსტნეული, ბობოქარი („ივანე თარხნიშვილს“, II, 157,5). მარჯნის რღვნას და მარწყვის წარღვნას... ვერ მოვწყვიტე ჩემი ცქერა („კახური განთიადები“, II, 190,27). კუბოს გარშემო არ იმოდა საღმობა, სულთქმა-მწუხარება („ჩორეხი“, ნ., 184,3). უეცრივ ტყიდან, მთიდან გამოვარდა ასპიტი, მარბიელი ელდაქარი კრჩხიალითა და წივილით („ღვინჯუა“, ნ., 104,33). ყვიროდა, კრჩხიალებდა ღვინისაგან შავად აღანძული... ქათათა („ღვინჯუა“, ნ., 98,14). ტყე ბღაკის, კრჩხიალებს („ტამალია“). თამადა გამოვცვალოთ, გადავაყენოთ, გარდავადგინოთ („ღვინჯუა“, ნ., 97,31). მზეს ვემუდარეთ, ვემეოხეთ („ჭამპურა“, ნ., 197,4).

ამრიგად, გ. ლეონიძის არაისტორიულ ნაწარმოებებში გაბნეულია მრავალი ძველქართული ლექსიკური ერთეული. მათი გამოყენე-

ბისას ჩანს მწერლის დიდი უნარი და ოსტატობა სიტყვის სემანტიკურ ხვეულებში ჩაწვდომისა, სიყვარული ძველი ქართული სიტყვისა. მისი ნაწარმოებების განხილვისას აღმოჩნდა, რომ:

1. მწერალი კვლავ გვახსენებს საგნებთან და მოვლენებთან ერთად გადაშენებულ სიტყვებს.
2. აღადგენს თანამედროვე ქართულში გავრცელებული ზოგიერთი სიტყვის ძველ, კონკრეტულ მნიშვნელობას.
3. ძველქართულ სიტყვებს იყენებს შედარებით ფართო მნიშვნელობით.
4. დღეს რომ საკსებით შეუცვლიათ მნიშვნელობა, გ. ლეონიძე ასეთ სიტყვებს პირვანდელი შინაარსით გვთავაზობს.
5. ფორმაშეცვლილ სიტყვებს ისევ ძველი ფორმით ხმარობს.
6. არც თუ იშვიათად გავრცელებული სიტყვის ნაცვლად ირჩევს მის შესაბამის ძველქართულ სინონიმურ ერთეულს.
7. ძველქართული სიტყვის დასანერგავად და მისი მნიშვნელობის ნათელსაყოფად გ. ლეონიძე იყენებს სინონიმური პარალელიზმის ხერხს: ერთსა და იმავე წინადადებაში ერთმანეთის გვერდით გვთავაზობს საერთო მნიშვნელობის მქონე ორ სიტყვას, რომელთაგან ერთ-ერთი ძველი ქართული კუთვნილებაა.
8. არაისტორიულ ნაწარმოებებში ძველქართული ლექსიკის ასეთი სიუხვე და მრავალფეროვნება იმაზე მიგვითითებს, რომ გიორგი ლეონიძე ძველი ქართული ლექსიკური ერთეულების დანერგვას ცდილობს თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

საერთოდ კი, გიორგი ლეონიძის თხზულებათა ლექსიკის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მწერალი უხვად სარგებლობს ძველი ქართული ლექსიკით. იგი ძველი ქართული ლექსიკური ფონდის სიტყვებს იყენებს არა მხოლოდ ისტორიულ ნაწარმოებებში, არამედ ისეთებშიც, რომლებშიც თანამედროვეებაა ასახული. ეს კი იმაზე მიგვივითებს, რომ გ. ლეონიძეს ძველი ქართული ენის საგანძური მიაჩნია თანამედროვე ქართულის ერთ-ერთ მთავარ მასაზრდოებელ წყაროდ.

## სიტყვათმანაღობა გიორგი ლეონიძის ენის მიხედვით

### ზმნური სიტყვაწარმოება და ნასახელარ ზმნათა სემანტიკური დიფერენციაცია მხატვრულ ტექსტში

ბესიკ ჯორბენაძემ მისთვის ჩვეული სიღრმისეული კვლევის საფუძველზე ჩამოაყალიბა ნასახელარ ზმნათა წარმოების სისტემა სემანტიკურ დიფერენციაციასთან მიმართებაში, კერძოდ:

ა) სახელის ფუძე გადაღის ზმნის ფუძედ დამატებითი გაფორმების გარეშე – დაერთვის მხოლოდ პირის ნიშნები: შურ-ი → კ-შურ-ს, ჭირ-ი → ს-ჭირ-ს, წვეთ-ი → წვეთ-ს // წვეთ-ავ-ს; ზოგჯერ ასეთ შემთხვევებს განმარტავენ როგორც ნეიტრალური ფუძის არსებობის ფაქტს...

ბ) სახელის ფუძე აწმყოში ფორმდება თემის ნიშნით: ბარ-ი → ბარ-ავ-ს (აორისტი: ღა-ბარ-ა)... ასეთი ზმნებით ხშირად გამოიხატება ინსტრუმენტატივის სემანტიკა...

გ) სახელის ფუძე აწმყოში გაფორმებულია ხმოვანი პრეფიქსითა და თემის ნიშნით: თეთრ-ი → ა-თეთრ-ებ-ს (აორისტი: გა-ათეთრ-ა)... ასეთი ზმნები გამოხატავენ გარდაქცევითობას (21, 219-220).

ირკვევა, რომ „სპეციფიკური ყალიბები ზმნურ სიტყვაწარმოებას არ აქვს – იყენებს ფორმათწარმოებითს ყალიბებს“ (22,63). ამასთანავე, განსხვავებული ყალიბები იძლევიან განსხვავებულ გრამატიკულ მნიშვნელობებს (23, 150-151).

ბესიკ ჯორბენაძის თვალსაზრისით „ნასახელარ ზმნათა წარმოების ნაირგვარი პრინციპია ქართულში გამოყენებული... ნაირგვარი წარმოება ხშირად ნაირგვარ ფუნქციას წარმოაჩენს: ა-ერთებ-ს, ა-თეთრ-ებ-ს ყალიბის მქონე ფორმები გარდაქცევითობას გამო-

ხატავენ, ბარ-ავ-ს, თოხ-ნ-ი-ს ტიპის ყალიბები — ინსტრუმენტატივის (19,185).

ძველევარი ყურადღებას ამახვილებს ნასახელარ ზმნათა ხმოვანპრეფიქსულ წარმოებაზე, ამ წარმოების სისტემებსა და შესაბამის სემანტიკურ დიფერენციაციაზე: „ხმოვანი პრეფიქსით ნაწარმოები ნასახელარი ზმნები სხვადასხვა მნიშვნელობას გამოხატავენ იმის მიხედვით, თუ რომელი სისტემის წევრია: თუ სამი ფორმიდან (მოქმედებითი — ვნებითი — მდგომარეობითი) წარმოდგენილია მოქმედებითი და ვნებითი, გამოიხატება ტრანსფორმატიკის სემანტიკა (გარდაქცევითობა): ა-თეთრ-ებ-ს „თეთრს ხდის“ — თეთრ-ღ-ებ-ა, „თეთრი ხდება“ — 0; თუ გვაქვს მოქმედებითი და მდგომარეობითი, მაშინ მოქმედებითი გვარის ფორმა, ჩვეულებრივ, იძენს კაუზალობის მნიშვნელობას, ხოლო მდგომარეობითი ზმნა გამოხატავს აქტიურ პროცესს: ა-ბალახ-ებს „ბალახს აძოვებს“ — 0 — ბალახობ-ს „ბალახს ძოვს“. ამ სისტემებს სამივე ფორმა..., როგორც წესი, არა აქვს, რამაც შესაძლებელი გახადა ზემოხსენებული სემანტიკური დიფერენციაცია" (21,220).

ზმნათა ამგვარი წარმოება ძველ ქართულშივეა ცნობილი (11, 35-44). ამ ნეოლოგიზმებს უკვე ძველს ქართულშივე მტკიცედ მოუკიდია ფეხი (5,1320; ნასახელარ ზმნათა წარმოებამ ფართო ასპარეზი ჰპოვა ქართული სალიტერატურო ენის ისეთ ფუძემდებლებთან, როგორებიც არიან იოანე პეტრიწი (5, 132-140), შოთა რუსთაველი (1,84; 9, 101-103; 10, 132-143), დავით გურამიშვილი (15, 67-68)...

თანამედროვე ქართულში სახელთა გაზმნავენის დიდოსტატად გვევლინება გიორგი ლეონიძე (3, 84-85); „ზმნური წარმოება მართლაც ხეაერიელად იჩენს გ. ლეონიძისეულ სიტყვათმეოქმედაბაში" (20,241); ჩვენც სწორედ გიორგი ლეონიძის მხატვრულ ტექსტებზე დაყრდნობით და ბესიკ ჯორბენაძის თვალსაზრისის გათვალისწინებით ვაანალიზებთ ზმნური სიტყვათწარმოების თავისებურებებს თანამედროვე ქართულში.

## მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნათა წარმოება

ბესიკ ჯორბენაძის ნაშრომში „ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში“ აღნიშნულია, რომ ქართულში მოქმედებითი გვარის ნასახელარი ზმნების აწმყოს ფუძე არსებითად ორი მოდელით იწარმოება:

ა) ა + სახელის ფუძე + სუფიქსი (resp. თემის ნიშანი):  
თეთრი – ა-თეთრ-ებს; ერთი – ა-ერთ-ებს; გუბე – ა-გუბ-ებს-ს...

ბ) სახელის ფუძე + სუფიქსი (resp. თემის ნიშანი). ფარი – ფარ-ავ-ს; რქა – რქ-ენ-ს; ძალა – ძლ-ევ-ს...

მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნათა წარმოებას შორის ამგვარი განსხვავება შემთხვევითი ან რაიმე სისტემას მოკლებული არ უნდა იყოს. ამის საფუძველი ისევ ფუნქციურ განსხვავებაში უნდა ვეძიოთ. და მართლაც, ა + სახელის ფუძე + სუფიქსი მოდელით ნაწარმოები ზმნები (ათეთრებს, აკაცებს, ალამაზებს, აგრილებს, აერთებს და მისთ.) არსებითად გარდაქცევითობას აღნიშნავენ; და მართლაც: ათეთრებს – თეთრად აქცევს; აკაცებს – კაცად ხდის, კაცად აქცევს; ალამაზებს – ლამაზად ხდის და ა. შ. ამ ტიპის ზმნათა ამგვარი თვისება თავის დროზე შენიშნული ჰქონდა ა. შანიძეს (11, 35-36).

რაც შეეხება მეორე ტიპის (სახელის ფუძე – სუფიქსი მოდელით ნაწარმოები) ზმნებს, ისინი უკვე გადმოსცემენ არა გარდაქცევითობას, არამედ ინსტრუმენტატივობას (ჭურვილობას) და, ამდენად, ინსტრუმენტატივს წარმოადგენენ. და მართლაც: კალავ – კალით ასრულებ გარკვეულ მოქმედებას; ბარავ – ბარი წარმოადგენს იარაღს გარკვეული მოქმედების შესასრულებლად; ჩარხავ – ჩარხით სრულდება სათანადო სამუშაო და ა. შ. ამდენად, ზმნა ფუძედ იღებს სახელს იმ საგნისას, რომლითაც შესაბამისი მოქმედება სრულდება (17, 109-110).

ა) გარდაქცევითობის მნიშვნელობით ნაწარმოები  
მოქმედებით გვარის ზმნები

გიორგი ლეონიძის მხატვრული შემოქმედების ტექსტებში მწერლისეული წარმოების მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ გარდაქცევითობას გამოხატავს არა მხოლოდ სამწვერიანი მოდელი (ა + ფუძე + სუფიქსი), რომელიც აწმყოს ფუძეს ეყრდნობა: ლითონი – ა-ლითონ-ებ-ს; მისი შხეფი სხეულს ალითონებს (ე., 585); ზღაპარი – ა-ზღაპრ-ებ-ს; სოფლის სალაყბოზე აზღაპრებდა წარსულს თავის ოჯახისას (ნ., 57), არამედ აგრეთვე ორწვერიანი მოდელი (ა<sup>1</sup>ფუძე), რომელიც ნამყო ძირითადის ფუძეს ეყრდნობა: წარსული – ა-წარსულ-ა: გმირი თუ აწარსულა (I, 277). მარგალიტი – ა-მარგალიტ-ა: ამ ხმებში ამარგალიტა (ე., 58).

მძივი – ა-მძივ-ა: ვაფრქვიოთ ოქრო, შუქი ვამძიოთ (I, 51); მინდა ლექსი დავამძივო (II, 190).

ალმური – და-ა-ალმურ-ა: მან დააალმურა ჩვენი გონებაც (ნ., 172).

სხეული – გან-ა-სხეულ-ა: მან შენი სუნთქვა განასხეულა (I, 53).

ქვიტიკირი – გა-ა-ქვიტიკირ-ა: მომე გული, მერე გამაქვიტიკირე (I, 138).

შარა – გა-ა-შარავ-ა: რადგან სამშობლო გააშარავა (II, 320).

მტევანი – გამო-ა-მტევან-ა: ეს ლექსი შენ გამოამატევანე? (I, 121).

ცხედარი – და-ა-ცხედრ-ა: რომ დააცხედრე წყვილი (ე., 15).

ტრამალი – გა-ა-ტრამალ-ა: მთა უნდა გაატრამალოს (ე., 577).

ჩინჩხვარი – და-ა-ჩინჩხვარ-ა: ჭორელებმა დაღერდეს, დაასახინჩხვარეს, დააჩინჩხვარეს (ნ., 24).

ამასთანავე, დასახელებულ ზმნათა აწმყოს ფუძის საწარმოებლად გამოიყენება არა ნებისმიერი თემის ნიშანი, არამედ მხოლოდ - ებ: ახავერდებს, დააალმურებს, გააქვიტიკირებს, დაიემბაზებს, გაუყამირებს...

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ა- პრეფიქსი „განიმარტება როგორც გარდამავლობის, მოქმედებითი გვარის ნასახელარი ზმნების, საარვისო ქცევის, საზედაო სიტუაციის, ირიბი ობიექტისადმი რელაციის აღმნიშვნელი ფორმანტი" (18,42). ამათგან ა პრეფიქსის ძირითადი ფუნქციაა ობიექტზე (პირდაპირზე თუ ირიბზე) მინიშნება (ა. შანიძე, ვ. როგავა, ი. ქავთარაძე, გ. დევეტერსი, პ. ფოგტი, ვ. ბოლდერი, გ. კეტლერი, ვ. პეშენი, პ. არიმონი...). როგორც ჩანს, მას სიტყვაწარმოებითი ფუნქციაც აქვს... ანალოგიური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს პარალელურ ფორმებში ი-სა და უ-ს (სათავისო და სასხვისო ქცევის მაწარმოებლებს)... მართლაც თეთრი – სახელთან შედარების დროს ნათლად ჩანს, რომ ა- ფორმანტს, როგორც სიტყვათწარმოებით ელემენტს, ათეთრებს ფორმაში იგივე ფუნქცია ეკისრება, რაც ი-ს ითეთრებს და უ-ს უთეთრებს ფორმაში. ესაა სახელისაგან ზმნის წარმოების ერთ-ერთი საშუალება (17, 111-112).

ასეთ შემთხვევაში გიორგი ლეონიძესთან უმთავრესად გვხვდება არა აწმყოს ფუძეზე დაყრდნობილი სამწევრიანი მოდელი /ი/უ + ფუძე + თემის ნიშანი/, არამედ ნამყო ძირითადის ფუძეზე დაყრდნობილი ორწევრიანი მოდელი /ი/უ + ფუძე/, რაც გმოწვეულია მეორე სერიის ფორმათა შედარებითი გავრცელებულობით და არა რომელიმე მოდელის უპირატესი გამოყენებით.

**ი+ფუძე:**

**ემბაზი** – და-ვ-ი-ემბაზე-თ: დაგვიემბაზეთ შენი ნათელი (I, 359).

**ბარძიმი** – გა-ვ-ი-ბარძიმ-ო-თ: საქართველოს მზე გავიბარძიმოთ (I, 51).

**თილისმა** – და-მ-ი-თილისმ-ო-ს: ოცნება დამითილისმოს (I, 250).

**ბალღამი** – და-გ-ვ-ი-ბალღამ-ე-ს: თუმცა დღეც, ღამეც დაგვიბალღამეს (I, 127).

**ტრამალი** – გა-გ-ი-ტრამალ-ა: გაგიტრამალა სამშობლო მტერმა (I, 389).

**ნამქერი** – და-გ-ი-ნამქერ-ა: გული რომ დაგინამქერა (II, 173).

**მარჯანი** – და-გ-ი-მარჯნ-ო: თუ ლექსი არ დაგიმარჯნო (II, 201).

ბუნაგი — გა-ი-ბუნაგ-ე-ს: ბოლოს სპარსებმა გაიბუნაგეს (II, 239).

უ<sup>+</sup>ფუძე:

ყამირი — გა-უ-ყამირ-ა: ნეტავ გული რამ გაუყამირა (ე., 568).

ხავსი — და-უ-ხავს-ა: ვინ დაუხავსა ოცნებას ჭავლი (I, 69).

ზვარაკი — და-უ-ზვარაკ-ო-თ: გსურთ ქართლი ბერძნებს და-უზვარაკოთ (II, 235).

ამგვარად, გარდაქცევითობის მაჩვენებელი მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნათა საწარმოებელ მოდელში პრეფიქსებად გამოყენებულია ა-, ი, უ-, რომლებსაც ამ შემთხვევაში სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა მოეპოვებათ, სუფიქსად კი გვაქვს თემის ნიშანი —ებ.

აწმყოს ფუძეზე დაყრდნობილი მოდელი სამწევროვანია: ა-, ი-, უ- + სახელის ფუძე + -ებ თემის ნიშანი.

ნამყო ძირითადის ფუძეზე დაყრდნობილი მოდელი ორწევროვანია: ა-, ი-, უ- + სახელის ფუძე.

#### ბ) ინსტრუმენტატივობის მნიშვნელობით ნაწარმოები მოქმედებითი გვარის ზმნები

ჩვეულებრივად ინსტრუმენტატივს გვიჩვენებენ მოქმედებითი გვარის ნასახელარი ზმნები, რომლებიც ნაწარმოებია მოდელით: სა-ხელის ფუძე + სუფიქსი: ბარ-ი — ბარ-ავ-ს. ხერხ-ი — ხერხ-ავ-ს. ჩარხ-ი — ჩარხ-ავ-ს: აქ ნათლად ჩანს საგანი, რითაც სრულდება შესაბამისი მოქმედება (17,110).

გიორგი ლეონიძის ნაწარმოებთა ენობრივი მასალის ანალიზით ირკვევა, რომ ნასახელარ ზმნათა ამგვარი მოდელით წარმოება საკმაოდ გავრცელებულია თანამედროვე ქართულში, თუმცა დასახელებული მოდელის ნეოლოგიზმები შედარებით იშვიათად გვხვდება. ნასახელარ ზმნათა აწმყოს ფუძის საწარმოებლად ძირითადად გამოყენებულია -ავ თემი ნიშანი:

მტერი მუხდალი შენს კარს თუ ჰრკალავს (ე., 670).

ბავშვობისას მე ღავრობდი და ვკბილავდი გაკვეთილებს (II, 96).

ყანებს ვმარგალიტავდი (II, 224); კმარგალიტავდით თვით-  
ულ წერტილს (I, 329). ყველას მჯიღავდა (ნ., 97). ზარბაზნის  
კვამლი აღარ ნისლავდეს (I, 91). რასაც გულიდან ამოვიტან, იმას  
ამოლექსავ (ნ., 91).

ინსტრუმენტატივის გამომხატველი ზმნები ნამყო ძირითადადში  
უზმნისწინოდ არ იხმარება. ამ შემთხვევაში ზმნისწინი იძენს სი-  
ტყვანარობითი ელემენტის ფუნქციას:

რაც მოგონებამ დათასმა (I, 204). მთვარემ ბნელი გალამპრა  
(II, 284). დანესტრა... კიტრიპარია (ნ., 97): დამნესტრა მწარე ნა-  
ღველმა (II, 282); დამნესტრე განა, სათოკო კაცო (ნ., 142); მისი  
მზე ველარ დანისლა (I, 301). ის, რაც წანისლა კრწანისმა (II,  
349); როცა მთაწმინდა ბინდმა შენისლა (II, 334). მინდვრის შამ-  
ბნარმა დასუდრა (I, 252); მიწა მამით დასუდროს (II, 224). გზა  
გაცეცხლა ალმა, (I, 290); დამწვი, დაკაფუ, დაცეცხლე (ე., 537).  
უნდა მოცეცხლონ მთელი ქვეყანა (II, 137). ვინ დახორბლა პური  
ყანა (559). რომ ოქროს ძაფზე მოვმარგალიტო (II, 228).

ინსტრუმენტატივის გამომხატველი ნასახელარი ზმნები ზოგ-  
ჯერ იფართოებენ საწარმოებელ ასპარეზს და საამისოდ გარდაქცე-  
ვითობის მარვენებელ მოდელს იყენებენ. ეს კი იმაზე მიგვითითებს,  
რომ ამ მოდელთა ფუნქციური დაპირისპირება ერთგვარად დაჩრდი-  
ლულია, ხოლო ზოგჯერ სრულიად გამქრალი (17,114), თუმცა  
ასეთ შემთხვევაშიც გარკვეული წესია დაცული; კერძოდ, თუ სახე-  
ლის ფუძეს წინ უძღვის ი- ან უ- პრეფიქსი, მაშინ თემის ნიშნად  
გვაქვს კვლავ -ავ სუფიქსი:

მკერდს მინესტრავს (II, 338). მე გზას გილამპრავთ სხივა-  
ქოჩრილი (ე., 565); ბნელს გვილამპრავდი ჭადარით (I, 363); მი-  
ვყვე, რაც გამოგიკალმავთ (I, 345). გზას ვინ მოუჭრის, ვინ მოურ-  
კალავს (II, 43). ვერა ცრემლით რომ ვერ დაუნისლავს (I, 40).

ირკვევა, რომ მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნათა  
წარმოებისას ინსტრუმენტატივის გამოსახატავად გამოიყენება არა  
მხოლოდ დასახელებული მოდელი: სახელის ფუძე + სუფიქსი  
(ხერხ-ავ-ს), სადაც თემის ნიშნად გვხვდება მხოლოდ -ავ, არამედ:

ი- + სახელის ფუძე - ავ თემის ნიშანი (გ-ი-ლამპრ-ავ-ს)

უ- + სახელის ფუძე - ავ თემის ნიშანი (უ-ნისლ-ავ-ს)

-ა + სახელის ფუძე - ებ თემის ნიშანი (შე-ა-ნამქერ-ებ-ს)

ნამყო ძირითადადში კი სიტყვათწარმოებითს ფუნქციას ითავსებს ოდენ ზმნისწინი: **ზმნისწინი + სახელის ფუძე** (წა-ნისლ-ა).

ამგვარად, გიორგი ლეონიძის ნაწარმოებთა ენის მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მოქმედებითი გვარის ახალ-ახალი ნასახელარი ზმნების წარმოებისას დიდი უპირატესობა ენიჭება ხმოვან-პრეფიქსულ მოდელს, ამიტომაცაა, გარდაქცევითობის გამომხატველი მრავალი ნეოლოგიზმი გვხვდება გ. ლეონიძის ენაში, რასაც ვერ ვიტყვიტ ინსტრუმენტატივის მნიშვნელობის მქონე ნასახელურ ზმნებზე. ალბათ ამის გამოა, რომ ეს უკანასკნელნი არღვევენ დაკანონებულ მოდელს და ინსტრუმენტატივის გამოსახატავად იყენებენ მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნათა ხმოვანპრეფიქსულ წარმოებასაც.

### ვნებითი გვარის ნასახელარ ზმნათა წარმოება

ბესიკ ჯორბენაძის შრომებში მართებულადაა მითითებული, რომ ვნებითი გვარის ნასახელარი ზმნებიც ორი მოდელიტ იწარმოება: სუფიქსიანი ვნებითის მოდელიტ და პრეფიქსიანი ვნებითის მოდელიტ. **ა + სახელის ფუძე + სუფიქსი** მოდელიტ ნაწარმოებ მოქმედებითი გვარის ზმნებს სუფიქსიანი ვნებითები შეესაბამება და ისევე, როგორც სათანადო მოქმედებითი, ისინიც **გარდაქცევითობას** გამოხატავენ. ხოლო **სახელის ფუძე – სუფიქსი** მოდელიტ ნაწარმოებ მოქმედებითი გვარის ზმნებს შეესატყვისება პრეფიქსიანი ვნებითები, რომლებიც **ინსტრუმენტატივის** ფუნქციის მატარებელი არიან (17,139).

გიორგი ლეონიძისეული წარმოების ნასახელარი ზმნები, ცხადია, უმთავრესად, ასეთსავე ვითარებას გვიჩვენებენ: სუფიქსიანი ვნებითები გარდაქცევითობას გამოხატავენ: **დატრამალდა** გული (ნ., 61). **ჩასპილენძა** და ინახავს მათ „მეფეთა წიგნი" (II, 122). გულში ოცნება **დაკამარავდა** (II, 142). **დამუგუზლდეს** კერის ცეცხლი (I, 98).

მაგრამ ზოგჯერ სუფიქსიანი ვნებითები ინსტრუმენტატივის შინაარსს იძენენ: როდესაც ღამე **გამოვარსკვლავდა** (ვარსკვლავებით მოიჭვდა) (II, 334).

პრეფიქსიანი ნასახელარი ვნებითი კი ძირითადად ინსტრუმენტატივობის მარკენებელნი არიან: რაც გულში ამოიხავსა (ე., 549). თუ გარდასული დღე დაიჭიშკრა (I, 152). ქართლი აქედან იხარკებოდა (II, 239). ჩვენის ხმლით გაიმკავლება (ე., 65). ოქროს ფარჩით იფარჩება (ე., 557). გული მრავალჯერ დაიწარღვნება (I, 365). ვისი შუქით ვილამპრები (I, 109).

რაც ქართლს წყვდიადი დაებურსა (II, 163). კიბით, საბლევით და ქამანდებით შემოეზღვავა. შემოემკერდა (II, 318). იგი ხალხს ველარ დაემკლავება (I, 392). რაც დაეწკარა ქალალს ლექსები (I, 75).

არც თუ იშვიათად პოეტი შედარების ნიუანსებით ტვირთავს ასეთივე წარმოების ნეოლოგიზმებს: დაიზანგება საღამო (ე., 595). ისარტყლება ცისარტყელა (II, 199). გულის ნაწური ნაკადი ზვირთებით დაითერგება (II, 185). ცა აივერცხლა (I, 402).

თუ შენი ნისლი დაესუღრება (II, 52). მხოლოდ მრავალი ბესიკი შენს ბალებს ეიადონა (I, 241). დიდება მიწას, რომ გვაკვნათ (I, 328). გულს მოეთილა, მოეყვავილა (II, 1450). თვალები მოეწვიმება (ე., 74). სამგორის ქანებს შეეფუტკრება (I, 281). ტუჩი აგეშვენდა (II, 114).

გამოკვეულია, რომ ქართულ სალიტერატურო ენას ახასიათებს ტენდენცია, გააფართოოს სუფიქსურ ვნებითა გავრცელების არე თავდაპირველ პრეფიქსულ ვნებითა ნაცვლად (8,310; 6, 64-65). ზურაბ სარჯველაძის მიერ შესწავლილ წერილობით წყაროებში მოპოვებული მასალები ადასტურებენ ამ თვალსაზრისს (7, 198-201), თუმცა იქვე მითითებულია: ქართულში შეინიშნება ისეთი ფაქტებიც, როცა პრეფიქსიანი ვნებითი ენაცვლება სუფიქსურს (7, 201-202). მართლაც პრეფიქსული წარმოებისაკენ მიდრეკილება იგრძნობა ქართულის ზოგიერთი ტიპის ზმნებში (13,151), რასაც მხარს უჭერს მხატვრულ ტექსტებში მოძიებული მასალა, კერძოდ, გიორგი ლეონიძის პოეტურ თუ პროზაულ ნაწარმოებებში მრავლად იძებნება ანალოგიური შემთხვევები, როცა მოსალოდნელი სუფიქსური წარმოების ნაცვლად გვაქვს ნასახელარ ზმნათა პრეფიქსული წარმოება:

## ე- პრეფიქსიანი:

კალმის სიმართლეს დაეზვარაკა (ახ., 48); და მის სიყვარულს დავემწყემსები (I, 75); დამედასტურე წნულ ჩუქურთმებით (ი., 50); ფერფლის ფინფლი დაგემარჯნოს (I, 198); ვინ შეეძმავა რუსთაველს? (II, 160); შეეჩუქურთმა სული შენს სულსა (I, 207); ტუჩი აგეშვენდა (II, 114); თვალები მოეწვიმება (ე., 74); კიბით, საბელით და ქამანდებით შემოეზღვივა, შემომეკერდა (II, 318); არწივს ვერ დაემკლავები (ე., 578); გული ზომ აღარ დაგვედარდება (I, 110).

## ი- პრეფიქსიანი:

ქალაღლის ნავზე დავიდარდები (I, 52); შენ აღარასდროს დაიდარდები (I, 343); ჩამოიმძივე, აორთქლდი ცვარად (I, 50); მამულისათვის დღესაც ძვლებით დაიმძეველები (I, 366); რაც გულში ამოიხავსა (ე., 549).

გიორგი ლეონიძის ენაში ნასახელარ ზმნათა წარმოებისას შენიშნული ტენდენცია — მოსალოდნელი სუფიქსურის ნაცვლად პრეფიქსული წარმოება, რაც ძველი ქართულისთვისაც არ იყო უცხო, კახური დიალექტის გავლენა ჩანს.

## საშუალი გვარის ნასახელარ ზმნათა წარმოება

საშუალი გვარის (resp. მედიოაქტივის) ნასახელარ ზმნათა საწარმოებლად გამოიყენება თემის ნიშანი -ობ, გიორგი ლეონიძის ენაში გვხვდება ამ გზით ნაწარმოები რამდენიმე ზმნა:

მაინც სიმღერით ავთანდილობდი (I, 364). მართლაც ვეფხოობდა (ნ., 140). შენ ერთხელ წყნეთში რომ ზაფხულობდი (I, 351). რაზე ზღაპრობდით (ნ., 25). ვმღეროდით, ვლექსობდით (ნ., 161). ცას შევხედე, მინანქარობს (II, 196). მინდორობს და მონადირობს (II, 246). აქ ყველა ბიჭი საზანდარობს (I, 235).

მაშასადამე, საშუალი გვარის ახალ-ახალი ნასახელარი ზმნების აწმყოს ფუძის საწარმოებლად გამოიყენება ორწევრიანი მოღეღი: სახლის ფუძე — თემის ნიშანი.

## ნასახელარი სახელზმნების წარმოება

„ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ გარკვევითაა ნათქვამი, რომ „სახელზმნა ზმნისგან არის ნაწარმოები და არა სახელისაგან“ (12,5570, ამიტომაცაა, რომ მას ნაზმნარი სახელი ჰქვია. „მიმღობის პარალელური ფორმები შესაბამისი ზმნის პარალელური ფორმებს ვარაუდობენ და მიმღობაში მხოლოდ მას შემდეგ შეივსება „ნაკლული მწკრივი“, როცა შესაბამისი ზმნა ჩამოყაიბდება“ (19,130), მაგრამ გიორგი ლეონიძის პოეტურ და პროზაულ ტექსტებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სახელის ფუძისაგან იწარმოება არა მარტო „ნასახელარი ზმნა“, არამედ „ნასახელარი სახელზმნა“, რომელსაც ფაქტიურად არც მოეპოვება სათანადო ზმნა, ნასახელარი სახელზმნის საყრდენი ფუძე უშუალოდ სახელია. ამგვარი წარმოებისაა რამდენიმე „ნასახელარი საწყისი“.

მართლა გიყვარდა მოფატმანება (I, 352). ამ წიგნზე თვალთა ვიშრების ყოველი დაწამწამება (I, 415). მოცდა, მოსაათება ესნელეზობდა (ნ., 180). ძვირფასი სახის დამარმარება (ნ., 157). თვითეულ შხეფში რომ ესმის სიცოცხლის მონექტარება (I, 102).

შედარებით მრავალია „ნასახელარი მიმღობები“, უმთავრესად ვნებითი გვარისა, ნაწარმოები ულ სუფიქსით, თემისნიშნისანი თუ უთემისნიშნო; ამ ტიპის მაგალითებში საწარმოქმნო ფუძედ გამოყენებული სახელი ძირითადად შესადარებელი საგანია:

დღე არის მართლაც დაბროლებული (I, 486). ჩირიკის საამაყო მისი ჩავაშლებული ცხენი იყო (ნ., 55). დამარმარებული ყელი (169\8). ხილნარი დამარჯნებული (ე., 292). მიწა რად გდია დამძეველებული (ე., 567). თოვლიანი აღმასით ანაპერწკლებული გორები (ნ., 111). ლურჯთვალა, შავწამწამშაბურული, დანუკრებული (ნ., 63). ალიონის ცა წაშვინდებული (ე., 285).

აღარც კი მორჩანდა თეთრად დაზეწრული (ნ., 104). ჭაბუკო გადალერწმულო (II, 255). უკოცნის ქოჩორს მომარგალიტულს (II, 277). გადამარჯნული ბაღები (I, 162). მისი სახე გამთვარული (II, 236). მღელო — დილის აღმასურ ცვრებით ამომძიული (ე., 592). მაშინ ღამე შენაბდული ანაზდელუ გასჭრა მთვარემ (ე., 562). მონარგიზებული სახე თუ ჰქონდა (I, 351). გინახავს გადაშვინდული ცისკრული ამონათება (I, 104). როდემდის უნდა იაროს ასე დაღეულმა და გამოჩინკულმა (ნ., 88).

მწორედ ამ მასალამ მოგვცა საფუძველი შემოგვეტანა ტერმინი „ნასახელარი სახელზმნა“, „ნასახელარი საწყისი“ და „ნასახელარი მიმღეობა“. ვინაიდან „ამისი ადგილი მაინც უფრო ზმნათა სისტემაშია“, ამიტომაც ტერმინი „ნასახელარი ზმნა“, უნდა მოიცავდეს აგრეთვე „ნასახელარი სახელზმნის“ ცნებასაც.

### ნასახელარ ზმნათა საყრდენი ფუძის შესახებ

ისტორიულად განსაკუთრებით პროდუქტულია სახელების ძირებისაგან ზმნათა წარმოება (8, 94-113), თუმცა მეთერთმეტე საუკუნიდან სამწერლობო ენაში უკვე შეინიშნება, რომ ნასახელარი ზმნების წარმოების ასპარეზი საგრძნობლად ფართოვდება. იგი მხოლოდ არსებით, ზედსართავ სახელთა და მიმღეობის ფუძეებით აღარ იფარგლება და ახალი ზმნები იწარმოება აგრეთვე რიცხვით სახელთა, ნაცვალსახელთა, ზმნიზედების, შორისდებულების, კავშირების, წარმოქმნილი და თხზული სახელებისაგანაც (5,132).

ამ მხრივ განსაკუთრებით პროდუქტულია ქართველური ენები. „ქართველური ენების გარდა არც ერთი სხვა იბერიულ-კავკასიურ ენას არ შეძლია სახელის ფუძისაგან ისეთი ნაირ-ნაირი ახალი ფუძეები აწარმოოს, როგორც ქართულში გვაქვს“ (14,31).

ასე რომ, ზმნური სიტყვათწარმოების საყრდენი ფუძე უმთავრესად არის სახელი; ამის თაობაზე ბესიკ ჯორბენაძეც მიუთითებს: „სახელის ფუძის გამოყენება ზმნურ ფორმათა წარმოებისას ფაქტიურად შეუზღუდავია, რაიმე ამკრძალავი წესი აქ არ მოქმედებს (იგულისხმება სიტყვათწარმოების თვალსაზრისით) და თუ რომელიმე სახელის ფუძე ზმნურ ფორმაში არ არის გამოყენებული, ამის მიზეზია არა წარმოების შეუძლებლობა, არამედ საჭიროების უქონლობა“ (19,185).

## ლიტერატურა

1. ივ. გიგინეიშელი, სიტყვათწარმოების თავისებურებანი „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1944.
2. გ. გოგოლაშვილი, ვნებითი გვარის ნასახელარ ზმნათა საყრდენი ფუძის შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ენათმეცნიერება, ტ. 187.
3. ე. კოშორიძე, გიორგი ლეონიძის ლექსიკის დახასიათებისათვის, მწერლის ენისა და სტილის საკითხები, თბ., 2005.
4. გ. მაჭავარიანი, ვნებითის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №1, თბ., 1973.
5. დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975.
6. ლ. ნოზაძე, პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითების ურთიერთობისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961.
7. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975.
8. ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954.  
ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964.
9. შ. ღლონტი, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, სოხუმი, 1961.
10. ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1957.
11. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1973.
12. რ. შეროზია, ვნებითი გვარის ზმნებისა და პოტენციალისის საკითხისათვის ქართულსა და სვანურში, ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 1978.
13. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქველ, I, თბ., 1950.
14. შ. ძიძიგური, დავით გურამიშვილის ენა, ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა, თბ., 1971.

- 15 შ. ძიძიგური, კვლავაც უღერდეს პოეტის ენა, გაზ. „თბილისი“, №305 (2003), 28 დეკემბერი, 1959.
- 16 ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975.
- 17 ბ. ჯორბენაძე, ზმნის ზმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983.
- 18 ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.
- 19 ბ. ჯორბენაძე, ბალავარი მწერლობისა, თბ., 1987.
- 20 ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995.
- 21 ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის მორფოლოგია (პროგრამა-პროექტი) თბ., 1995.
- 22 ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985.

#### საანალიზო მასალა შემოკლებათა განმარტებით

- ე. – გ. ლეონიძე, ერთტომეული, თბ., 1954.
- I – გ. ლეონიძე, თხზულებათა კრებული, ტ. I, თბ., 1962.
- II – გ. ლეონიძე, თხზულებათა კრებული, ტ. II, თბ., 1963.
- ნ. – გ. ლეონიძე, ნატვრის ხე, 1964.

## სახელთა წარმოქმნა გიორგი ლეონიძის თხზულებათა მნაში

გიორგი ლეონიძის ენის ერთ-ერთი საინტერესო საკვლევი უბანია სიტყვაწარმოება, სადაც ნათლად ჩანს, თუ რაოდენ ოსტატურად ფლობს მწერალი ქართული ენის სიტყვაწარმოებითს შესაძლებლობებს. ამ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენების შესანიშნავი ნიმუშია სახელთა წარმოქმნა.

ცნობილია, რომ წარმოქმნა (დერივაცია) სახელთა შექმნის ერთ-ერთი გაზაა (შანიძე, 1953, 120). მაწარმოებელი აფიქსების დართვით სიტყვა მნიშვნელობას იცვლის (ძიძიგური, 1956, 88). „წარმოები ფუძის მნიშვნელობა დამოკიდებულია, როგორც იმ ფუძეზე, რომელსაც საწარმოებელი აფიქსი დაერთვის, ისე იმ აფიქსზედაც, რომელიც ფუძეს დაერთვის“ (ჩიქობავა, 1957, 223-224). ეს კი მწერალს საშუალებას აძლევს ნაირნაირ ფუძეებზე სხვადასხვა აფიქსის დართვით აწარმოოს სახელები. საამისოდ, ცხადია, გ. ლეონიძე იყენებს ქართულში ჩვეულებრივად გავრცელებულ აფიქსებს. ქართული ენა კი საკმაოდ მდიდარია სახელთა მაწარმოებლებით. თანამედროვე ქართულში აღნუსხულია სახელთა წარმოქმნელი 58 აფიქსი: -ა, -კა, -ად, -ანა, -აჭ, -გან, -გვარ, -დეღ, -(ა)-მდეღ, -ება, -ებრ, -ებურ, -ედ, -ეთ, -ელ, -ელა, -ეულ, -ია, -იან, -იერ, -ივ, -ით, -იკო, -იონ, -ის, -იურ, -კეც, -მაგ, -მე-ე, მე-ურ (მე-ულ), -მიერ, -მო-ე, მო-ო, -ნარ, ნა-არ (ნა-აღ), ნა-ევ, -ნაირი, -ობ, -ობა,

-ოდე, -ოდენ, -ოვან, -ოსან, -სა-ე, -სა-ეთ, სა-თ, სა-ურ (სა-ულ), სი-ე, უ-ე, უ-ეს, უ-ო, უ-ურ (უ-ულ), -უა, -უკა, -უნა, -ურ (-ულ), -უც, -უჭ, -ფერი (ტუსკია, 1969, 25).

ეს აფიქსები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში განსხვავებული სამოქმედო ძალისა და გავრცელებულობისაა. თითოეულ მათგანს აქვს თავისი დამოუკიდებელი ფუნქცია, ჩამოყალიბებული ენის ისტორიის მანძილზე. ისინი დაერთვიან სახელთა ფუძეებს და ქმნიან სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულებს. მაგრამ, როდესაც

მხატვრული ნაწარმოების ენაში სახელთა წარმოქმნას ვიხილავთ, არ კმარა საწარმოქმნო აფქსთა განხილვა მხოლოდ ამ თვალსაზრისით; ამავე დროს საჭიროა იმის გარკვევა, თუ რა სტილისტური ფუნქციით იყენებს მათ მწერალი, რომელ აფიქსებს ხმარობს უფრო მეტი ინტენსიურობით, რომელ ფუძეებს ურთავს მათ და სხვა. როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მხატვრული ნაწარმოებების გრამატიკული თავისებურებების სტილისტური შესწავლის ამოცანას შეადგენს აგრეთვე მწერლის სიტყვათშემოქმედების საკითხები. სიტყვათშემოქმედება ხორციელდება უმთავრესად მეტყველების სხვადასხვა ნაწილისათვის დამახასიათებელი სიტყვათწარმოქმნელი ელემენტების აქტივიზაციით.

ამდენად, სიტყვათშემოქმედების პრობლემა საინტერესო და რთულია იმ მხრივ, რომ ის მოიცავს მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოქმნო ელემენტებისა და მორფოლოგიური, სიტყვასაწარმოებელი და სტილისტური ხასიათის ფაქტობის ურთიერთშემოქმედებასთან (ეფიმოვი, 1954, 223-224). სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებაა საჭირო გ. ლეონიძის ენის სიტყვაწარმოებითი თავისებურებების შესწავლის დროს, რადგან მწერალი დიდ თავისუფლებას იჩენს წარმოსაქმნელ ფუძეთა და საწარმოქმნო აფიქსთა შერჩევაში სახელთა წარმოებისას.

## I. ქონების სახელთა წარმოქმნა

ცნობილია, რომ ქართულში ამა თუ იმ სახის ქონების გამოსახატავად გამოყენებულია სუფიქსები, -იან, -იერ, -ოსან, -ოვან, -ედ, -ა (შანიძე, 1953, 123). ამათგან გიორგი ლეონიძის თხზულებათა ენაში ყველაზე პროდუქტულია -იან და -ა სუფიქსები. მწერალი სახელებს აწარმოებს აგრეთვე -იერ, -ოსან და -ოვან სუფიქსებითაც. -ედ სუფიქსს, როგორც უკვე მკვდარ სუფიქსს (იქვე, 126), ლეონიძის ენაშიც აღარა აქვს სიტყვაწარმოების უნარი.

### -იან სუფიქსიანი სახელები

თანამედროვე ქართულში -იან სუფიქსის სიტყვაწარმოებითი ასპარეზი მეტად ვრცელია. „დღევანდელ ქართულში... ქონების სუ-

ფიქსთა შორის სწორედ ის (იან) არის ყველაზე გავრცელებული, ცოცხალი და ნაყოფიერი. რა სახელი გინდა, რომ არ ერთოდეს დღეს იან!" (იმნაიშვილი, 1957, 435).

გ. ლეონიძე ყოლა-ქონების სახელთა წარმოსაქმნელად -იან სუფიქსს უმთავრესად ურთავს არსებით სახელს, ზედსართავებსა და სახელზმნებს.

1. თანამედროვე ქართულში -იან სუფიქსი ძირითადად დაერთვის საზოგადო არსებით სახელებს. ლეონიძის თხზულებათა ენაშიც მეტად პროდუქტულია საზოგადო არსებითი სახელებიდან ყოლა-ქონების სახელთა წარმოება -იან სუფიქსის მეშვეობით. ყველა მაგალითის დასახელებაა შორს წაგვიყვანს მათი სიმრავლის გამო და ამიტომაც ვთავაზობთ ორიოდ ნიმუშს: **ხიან - მიწიან - წყლიან - ტყიან** - ქართლი ხარობდეს (11,38,26). ჩვენს შარაზე მიდი-მოდიან წარსულის აჩრდილები, ჩითისკაბიანები, თავშალიანები, ფარაჯიანები, ტყაპუჭიანები, ქალამნიანები (ნ., 7, 28-29).

ვერცხლურა ორი მიმღეროდა ამ სიტყვას, **ვენახებიანი, ხილ-ნარიანი, ბარდნარ-ჭალებიანი, ჯალჯიან-შამბნარიანი** (ნ., 18-19).

ყოლა-ქონების სახელების მაწარმოებელ -იან სუფიქსს მწერალი კიდევ უფრო უფართოებს ისედაც ვრცელ ასპარეზს. ამ სუფიქსს იგი ურთავს აგრეთვე საკუთარ და აბსტრაქტულ სახელებს.

ფუძელ საკუთარი სახელია:

**რუსთველიანო** დიღო მესხეთო,

ტაო-კლარჯეთო, თქვენი მაქვს ვალი (II, 60,16).

დიდ გზების ჩამკეტს, **მტკვრიანს** და კლდიანს,

ვერ მიატანდა მტერი ადვილად (II, 239,3).

ფუძელ აბსტრაქტული სახელია:

დღეს გამოჩნდება ვინც არი

ვაჟკაცი **სიმაგრეანი** (ე., 606,31).

**სინაზიანი**, ციაგეანი, გამოძინარი დილა (ნ., 123,12). **სირცხვილიანი**, არ მომეკარო (ნ., 67,5). **სიტკბოიანი** კაცი გაამწარეს (ნ., 98,10). ვაზი **სიტკბოიანი** (II, 215,3). **სიტკბოიანი** რაჟღენა ბედისაგან დაჩაგრული იყო (ნ., 40,8). ჩემი გულის ხმა **სიცოცხლიანი** (I, 297,150). **სიყვარულიან** პატივისცემას (ნ., 104,11).

ასევე არაა გავრცელებული თანამედროვე ქართულში, მაგრამ დამახასიათებელია გ. ლეონიძის ენისათვის ქონების სახელთა წარმოება -იან სუფიქსით ზედსართავი სახელიდან და საწყისიდან.

2. ზედსართავი სახელიდან:

ბოროტიანიშა ქარცეცხლამ (ნ., 30,26). სათნოიანი სახის ღიმილი (I, 66,25). იგლოვე კაბა ფერადიანი (II, 299,26). ჭინჭყლიანი (ნ., 35,3). ახსენებლა ძველებურ დამპურიან სიყვარულს (ნ., 104,10). თვალნათლიანი (ნ., 81,1).

3. საწყისიდან,

სახელი დიდებიანი (II, 39,270). კენესიანი სიტყვები (ნ., 214,20). კენესიანი ხმით დასძენდა (ნ., 61,40). რა ენატრება გმირს ოცნებიანს (ე., 568,10). ღიმილიანი მთვარე (ნ., 20,32). პირსიცილიანი (ნ., 55,32).

4. ზოგჯერ მწერალი მიმღეობასაც იყენებს ფუძედ:

სამღურაუიანი თვალები (ნ., 39,16). აკი ვიყავი საფარვლიანი (II, 108,22).

მწერლის ენისეული თავისებურება შეინიშნება აგრეთვე -იან სუფიქსის ფუნქციის გაფართოებაში. „ძველდა მისი ფუნქცია უნდა ყოფილიყო აღენიშნა წარმომავლობა ვინმესაგან (შანიძე, 123). სწორედ ამ ფუნქციით გვევლინება -იან სუფიქსი გ. ლეონიძის თხზულებათა ენის ერთ-ერთ მაგალითში:

მოდით, დაგზვლებით ერთი ღროშის ქვეშ  
ქართლი, სომხეთი, კავკასიანნი (II, 77,16).  
შეიგვიანეს კავკასიანთაც (II, 287,13).

მოსალოდნელი მართული მსაზღვრელის ნაცვლად იშვიათად გამოყენებულია -იან სუფიქსიანი სახელი:

ქოხო ქართლურო, ალიზიანო (ე., 32,5).  
მმორიან სუნით, მქისე ფოთლებით,  
ხე ნალვლიანი სისინით მდგარი (II, 341,28).

არც თუ იშვიათად მსაზღვრელად გამოყენებული -იან სუფიქსიანი სახელი გამოხატავს საგნის ან მოვლენის თანმხლებ საგანს, თვისებას, მოვლენას:

ბულბულიან ღამეში (II, 218,21). საზანდრიან სუფრას ნავშლი (ე., 400,14). საჭმლიანი თავგადასავლით (ნ., 207,24). ყრმობის დღეები სამარგალიტო, ყვავილიანი, სიმღერიანი (I, 192,7). ურმულიანი ღამე ქართლისა (I, 294,7). ურმულიან ღამეში (ე., 5952; II, 218,19). ვუამბეთ ჩვენი შიმშილიანი თავგადასავალი (ნ., 207,36). ცრემლიან სიტყვით შენთან მოვედი (II, 177,7). ხაბარდიან ტაშისა (I, 236,14).

ეპითეტების მნიშვნელობით ნახმარ ფორმებში -იან სუფიქსიანი სახელები შეიცავენ როგორც ქონების, ისე მსგავსება-შედარების მინაარსსაც.

მე მივტყობი ლამეს ზამბახებიანს (I, 124,19). კლდიანი კარი აბია თბილისს (II, 266,3). მერცხლიანი თვალეები (II, 217,15; ნ., 157,18). თვალეები აქვს მერცხლიანი (II, 65,5). ეს ცა, ეს წყალი მინანქრიანი (I, 153,23). მალლა ცა მინანქრიანი (I, 261,14). ნაცრიანი პური (I, 245,3). და არაგვის ზმა ნიაღვრიანი (II, 108,14). მის ნიაღვრიან სულს (ნ., 127,9). ოქროიანი კრაველი (ე., 578,20). ოქროიანი თაველი (ე., 180,17). ლიახვის რძიან ქაფში (I, 43,24). რძიან ქაფს მტკვარი ისევ აღულებს (ე., 531,26). შენი სიტყვების რძიან წვიმებით (ე.ნ 276,8). ფილთაქვიანი ცხვირის პატრონი (ნ., 102,31).

-იან სუფიქსის ძირითადი ფუნქცია რომ კუთვნილების გამოხატვაა, ეს შესანიშნავად ჩანს ამ სუფიქსით ნაწარმოებ მსაზღვრელ-საზღვრულიან კომპოზიტებში, რომლებიც ასე უხვად გვხვდება გიორგი ლეონიძის თხზულებებში. ეს კომპოზიტები შეიძლება იყოს როგორც ატრიბუტულ მსაზღვრელიანი, ისე მართულ მსაზღვრელიანი პირდაპირი ან შებრუნებული წყობით<sup>8</sup>: ცივლამიანი (I, 390,2). პირსარკიანი (I, 397,20). გიშერწარბიანი (ნ., 74,26)...

მამასადამე, -იან სუფიქსის სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობანი გ. ლეონიძის თხზულებათა ენის მიხედვით მეტად ვრცელია. ქონების სახელთა მაწარმოებელი -იან სუფიქსი, როგორც წესი, დაერთვის საზოგადო არსებით სახელებს; გიორგი ლეონიძე კი ამ სუფიქსს ურთავს ისეთ ფუძეებსაც, რომლებიდანაც ქონების სახელთა წარმოება თანამედროვე ქართულში გავრცელებული არ არის: საკუთარ სახელებს, აბსტრაქტულ სახელებს, ზედსართავეებს, საწყისსა და მიმღობას.

გ. ლეონიძის თხზულებათა ენა საინეტერსო მასალას იძლევა -იან სუფიქსის ფუნქციური შესაძლებლობის გასარკვევად.

ცნობილია, რომ თანამედროვე ქართულში -იან მაწარმოებლის ერთადერთი ფუნქციაა ყოლა-ქონების გამოხატვა. ძირითადად ამასვე ადასტურებს ჩვენი მწერლის თხზულებების ენობრივი მონაცემები.

<sup>8</sup> ამ ტიპის სახელებს დაწვრილებით განვიხილავთ კომპოზიტებთან.

მაგრამ, ჯერ ერთი, მწერალს „გაუხსენებია“ ამ სუფიქსის ადრინდელი ფუნქცია წარმომავლობა-მიმღევრობის გამოხატვისა და, მეორეც, -იან სუფიქსი დაუტვირთავს გარკვეული სტილისტური ფუნქციით:

1. -იან მაწარმოებლიანი სახელი გამოხატავს საგნის ან მოკლენის თანმხლებ მოვლენას. მაგალითად, გიორგი ლეონიძე ასე გვიხატავს ქართლის ღამის სურათს:

შავი კამეჩი შავად დამწვარი.

**ურმულიანი ღამე ქართლისა** (I, 294,7).

ცხადია, მწერალს მხედველობაში აქვს ქართლის ისეთი ღამე, რომელსაც ძველი ქართული ხალხური სიმღერა „ურმული“ ახლდა თან, „ურმული“ გაისმოდა.

2. -იან სუფიქსდართული სახელებით მწერალი გამოხატავს მსგავსება-შედარებასაც. როდესაც ლეონიძე პატარძლის შესახებ ამბობს: „თვალეზი აქვს მერცხლიანი“ (I, 65,5), აქ იგულისხმება, რომ პატარძალს აქვს მერცხლის მსგავსი თვალეზი.

ამრიგად, გარდა ძირითადი და თითქმის ერთადერთი ფუნქციონისა, გვიჩვენოს ყოლა-ქონება, -იან სუფიქსს გიორგი ლეონიძის ენის მიხედვით შესძლებია აგრეთვე საგნის ან მოვლენის თანმხლები ელფერისა და მსგავსება-შედარების გამოხატვა.

## - ი ე რ ს უ ფ ი ქ ს ი ა ნ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი

თუმცა „იერ“ სუფიქსს დღეს აღარ შესწევს ძალა, რომ ახალ-ახალი ფუძეებისაგან აწარმოოს სახელები (შანიძე, 125), მაგრამ გიორგი ლეონიძის თხზულებათა ენაში იგი კვლავ ამჟღავნებს სიტყვაწარმოებითს შესაძლებლობას:

ნაზი და გუნებიერი მჭამელი იყო ჭამპურა (ნ., 203,37). გუნებიერად მოიაღერსა (ნ., 212,1). ღორის თავს მისჯდომოდა მყუდროდ და გუნებიერად (ნ., 98,17). ნათელმზიერი ბავშვის ოცნება (ე., 544,6). ძირმტკიცე საშვილიეროდ (ე., 19,5). გადმოსულს საშვილიეროდ (II, 50,7). ხანიერმა, სახენაცვალმა ფორმემ ერთხელ კიდევ შეუტია სოფელს (ნ., 192,30). მერცია ზორციელი... ქალი იყო (ნ., 129,32). ამ შემთხვევაში -იერ (//-იელ) სუფიქსი -იან-ის ბადალი ჩანს.

იშვიათად პოეტური შედარება -იერ სუფიქსიანი სახელითაა გამოხატული:

სოფელმა ზღვიერის ცრემლით დაიტირა თავისი მზეჯავრა (ნ., 168,25). იორი... ზღვიერად მოივრავნებოდა (ნ., 197,6).

### - ო ს ა ნ ს უ ფ ი ქ ს ი ა ნ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი

- ო ს ა ნ ს უ ფ ი ქ ს ი თ ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ ც ო -  
ცხალი არსების ეპითეტებად იხმარება; ასევეა გიორგი ლეონიძეს-  
თანაც: ოქროსთმოსანი ქალი ყამარი (ე., 568,12) ასი ოქროს-შუბო-  
სანი (II, 301,28). წითლოსანი მორაზმენი (II, 307,20) და სხვ.

მაგრამ არც თუ იშვიათად გიორგი ლეონიძე - ოსან სუფიქსით აწარმოებს არაცოცხალი საგნის ეპითეტებს:

უხაროდა ბროლოსანი ლაჟვარდი (ნ., 41,42). დაბელტდა თეთროსანი მარმარის ზოდები (ნ., 107,35). რა გატირებს ნისლაურა, თეთროსანო, რა (I, 314,6). კამაროსანი სვეტების თავი (II, 334,10). სისხლწვიმოსანი წარსულის (ე., 22,14). გვეგონებოდა ტკბილოსნის მინდორშიაო (ნ., 104,25). შოსანი ნისლი იწვა (ე., 562,24). და ღაღადებს წითლოსანი ბროწეული ცათა სფერით (II, 191,29).

### - ო ვ ა ნ ს უ ფ ი ქ ს ი ა ნ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი

„- ო ვ ა ნ ს უ ფ ი ქ ს ი ს ი - ო ს ა ნ - ის ტ ო ლ ფ ა რ დ ი ა, მაგრამ დღეს იშვია-  
თად იხმარება, შემორჩენილია მხოლოდ ძველი წარმოების რამდენი-  
მე სიტყვაში" (დლონტი, 1964, 93); თანამედროვე ქართულ სამეც-  
ნიერო ტერმინოლოგიაში მან ფართო ასპარეზი მოიპოვა. სალიტე-  
რატურო ქართულში - ოვან სუფიქსის ასპარეზი კვლავ შეზღუდუ-  
ლია; გიორგი ლეონიძისეულ სიტყვაწარმოებაში ის მაინც საკმაოდ  
სიცოცხლისუნარიანია.

მწერლის ენაში ხშირად გვხვდება ლერწამ და ოქრო არსებით  
სახელთაგან ნაწარმოები - ოვან სუფიქსიანი ზედსართავები:  
ბაზალეთური ლერწმოვანები (ე., 533,26). ბაზალეთის ლერწმოვანე-  
ბი ჩვენთვის საიმედოს მღეროდნენ (ნ., 172,15). ბაზალეთში რო  
მღერიან ლერწმოვანები (II, 32,5; იქვე, 11); ივრის ლერწმოვან-ჩა-  
ლიანებში (ნ., 62,10). მოამტკრევს რქების ლაწანით ჩალას, ტყეს  
ლერწმოვანებსა (I, 140,17). მოღის მღინარე ლერწმოვანებში (I,  
269,2).

ოქროვანი ხმით მოწკრიალე (ნ., 5,9). ჩამოკრეფილი ოქროვან დილით (I, 348,8). ოქროვან ფერის (I, 385,19; II, 138,7). მტკვან-ნოქროვანი ვაზი (ნ., 41,25). სად გაგიფრინდა ვარსკვლავი ოქროვან-მიმწკრიანი (I, 264,20).

-ოვან სუფიქსითაა ნაწარმოები აგრეთვე შემდეგი სახელები:

იქ ჰყვავის ბალი ბულბულოვანი (II, 169,60. მტკვრის პირი ვენახოვანი (ე., 605,24). და იყოს თანცისკროვანი (I, 242,12). თაფლოვანი სიტყვის პატრონი (ნ., 61,27). კამაროვანსა და მარმაროვანზე გადმოცურდება (ნ., 187, 21-22). შენ სუმბული ხარ ნაზი, რტოვანი (I, 211,6). ღიმცისკროვანი ყვავილი (ნ., 61,156,17). ძლივს იცოდა ყვავისფრჩხილოვანი წერა (ნ., 178,25).

როგორც წესი, -ოვან სუფიქსი დაერთვის არსებით სახელებს, მაგრამ მწერალი იშვიათად ზედსართავებსაც იყენებს საწარმოებელ ფუძედ: დიდროვანი ღრუბელი (II, 120,4). მკვიდროვანი ოჯახი (ნ., 57,34). ნათლოვანი ხმებით მღერის (ე., 287,23).

#### - ა ს უ ფ ი ქ ს ი ა ნ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი

ყოლა-ქონების საწარმოებლად -ა სუფიქსი ფართოდ გამოიყენება როგორც სალიტერატურო ქართულში, ისე მის დიალექტებში. ამ სუფიქსის სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობანი მთელი სისრულით ვლინდება გიორგი ლეონიძის თხზულებათა ენაში. -ა სუფიქსი აწარმოებს ქონებისა და მსგავსების გამომხატველ სახელებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სუფიქსის აღნიშნულ ფუნქციათა მკვეთრი გამოიჯვნა შეუძლებელია, რადგან ამნაირად ნაწარმოები ესა თუ ის სახელი ხშირად ერთროულად შეიცავს როგორც ყოლა-ქონების, ისე მსგავსების ნიუანსებს. ამ ფუნქციათა მიხედვით -ა სუფიქსიან სახელთა კლასიფიკაციისას ჩვენ ვემყარებით სახელის სემანტიკის იმ ნიშანს, რომელიც დომინანტობს მოცემულ შემთხვევაში. ქონებისა და მსგავსების ნიშანთა სიახლოვე განსაკუთრებით შესამჩნევია კომპოზიტებში. ჯერ განვიხილოთ მარტივფუძიან სახელთა წარმოება.

ქონების სახელები: კოჭანდარა ხელით (ნ., 88,12). მკერდელა (II, 279,26). მკერდელა ცოლის (ნ., 92,16). მუცელა ქორია (ნ., 208,16). პერანგა ციციკორე (ნ., 140,33). პერანგა ქალი, (ნ., 167,20). ღვარძლა (ნ., 35,3).

მსგავსების სახელები: ალმასა ფიფქი (ნ., 105,1). ბროლა ნიავი (ნ., 114,31). ლაუვარდი ბროლურა (II, 216,13). ახ, ბროლურავ, ახ, ბროლურავ (II, 200, 1-20. მის ელვანა შემოხედვას (ნ., 102,14). ვერცხლურა იორი (ნ., 5,18). ერთმა ვირულა ბიჭმა (ნ., 213,28). ზანგელა (ნ., 69,20). შე კეტურავ (ნ., 87,21). მზებურა (ნაყოფს (II, 71,16). შენი წარბი ნამგალა (II, 81,26). ნაპერწკალა ციციანთელა (II, 97,13). ყოველივე ნაცარა ნისლითაა გარმობვეული (ნ., 132,7). მოდის გუთანი ტრედა ხარისა (I, 427,11). მოციმციმე ტრედონა... ქალი (ნ., 157, 14-15). შენ ტრედონა თოვლეთურო (II, 54,16). ქერონა ჩიტი ვარ (ნ., 91,16). ყვაილი ყირმიზა (ე., 578,30). შოლტა ქალი (I, 351,16). ჩინჩზვარა მკლავებიდან (ნ., 101,24). ჩონჩხარა მკლავები (ნ., 51,2). გადაწურულ ჭოტა ვარსკვლავს (II, 257,30). ჯაგურა ქუჩი (I, 341,16).

გ. ლეონიძის თხზულებაში მრავლადაა კომპოზიტებიდან - ა სუფიქსით ნაწარმოები ქონების სახელები<sup>9</sup>: ბროლტანა (I, 114,110). ცუღსახელა (ნ., 209,16). ძუძუმწოვარა (I, 351,16).

\* \* \*

როგორც ვნახეთ, გიორგი ლეონიძე ქონების სახელების წარმოებისას იყენებს იმავე სუფიქსებს, რაც თანამედროვე ქართულში გავრცელებული. მწერლის ენის თავისებურებანი ამ შემთხვევაში მჟღავნდება ქონების სახელების მაწარმოებელი სუფიქსების გამოყენების ინტენსიურობაში. ამ მხრივ ყველაზე პროდუქტული აღმოჩნდა -იან სუფიქსი, მრავლადაა აგრეთვე -ა სუფიქსიანი სახელები, -იერ, -ოსან და -ოვან სუფიქსებსაც ეტყობა გამოცოცხლება.

მწერლის ენისეული თავისებურება მჟღავნდება აგრეთვე იმაში, რომ გ. ლეონიძე ქონების სუფიქსებს ურთავს უჩვეულო ფუძეებს.

ანგარიშგასაწევი ჩანს ზემოჩამოთვლილ სუფიქსების ფუნქციებზე დაკვირვებაც. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ მათგანს (მაგალითად -იან-ს და ა-ს) გიორგი ლეონიძე ფართო საწარმოქმნო ასპარეზს უქმნის და გარკვეული სტილისტური ფუნქციითაც ტვირთავს.

<sup>9</sup> ამ ტიპის სახელებს დაწერილებით განვიხილავთ კომპოზიტებთან.

## II. უქონლობის სახელთა წარმოქმნა

თანამედროვე ქართულში უქონლობის სახელებს, ჩვეულებრივ, აწარმოებს უ-ო აფიქსი. უქონლობის გამოსახატავად ზოგჯერ იყენებენ აგრეთვე აღწრით წარმოებას „გარეშე“ თანდებულის მეშვეობით. ეს უკანასკნელი იშვიათადაა გამოყენებული გ. ლეონიძის თხზულებებში. მაგალითად: ან ჩვენი სიტყვა ცეცხლის გარეშე (I, 227,20).

სხვა გზა არ უნდა, გარეშე

მასიურ მაისობასა (I, 176, 16-17).

უქონლობის სახელებს მწერალი უმთავრესად აწარმოებს უ-ო აფიქსების მეშვეობით. ამ აფიქსს იგი ურთავს:

ა) ძირითადად საზოგადო არსებით სახელებს. მაგალითები მრავალია, დავასახელებთ ზოგიერთს:

უარაქათო (ნ., 106,11). უასპარეზო (ნ., 102, 14-15). უბედო (I, 399,26). უბინდო (II, 38,25). უბრკო (I, 97,14). უდაისო (II, 56,23). უაზარფეშო (II, 203,29). უკორძო (ნ., 202,15). ულხინო (II, 217,10; I, 227,16). უმადლო (ნ., 57,29). უმიზრაფო (I, 331,7). უმიჯნურო (ნ., 188,5). უპაემნო (ნ., 188,2). ურთვლო, უხვავო (II, 209,11). უსავანო (I, 121,12). უსოფლო და უდაბო (II, 220,8). უშეგლო (I, 377,23). უხათრო (ნ., 98,5).

ბ) უ-ო აფიქსითაა ნაწარმოები აგრეთვე რამდენიმე საკუთარი სახელი:

უსვეტიცხოვლოდ მე ვერ დავრჩები,

ვერა, ვერ გავძლებ მე უვარძიოდ (I, 48, 22-23).

ჩემო სამშობლო, ჩემო მთა-ველო,

რა იქნებოდი ურუსთაველო (II, 152611).

უ-ო აფიქსით ნაწარმოები ერთი საკუთარი სახელი აქვს დადასტურებული ი. იმნაიშვილის: უქრისტოთა (იმნაიშვილი, 431).

გ) აღნიშნულ სუფიქსს მწერალი ურთავს ორიოდე წარმოქმნილ სახელს: უმეზარკეო (I, 50,40. უფრთიანო (ნ., 85,26).

დ) იშვიათად იგი გვხვდება ზედსართავ სახელთანაც: უმართლო (ნ., 25,20).

ე) ერთ შემთხვევაში უ-ო დაერთვის ზმნისართსაც: რა ვუყოთ, რომ დაგარბიეს, დიდხანს იყავ უგაისოდ (II, 56,21).

ვ) მწერალს რამდენიმე კომპოზიტიც აქვს გამოყენებული: უამსადღეგრძელოდ (ნ., 78,31). უამსიტყვოდ (ნ., 114,17). უგვარკილო (ნ., 70,3). უგულისძვეროდ (II, 183,18; II, 44,1). უმამისახლო (I, 389,22). უქუდბედოდ (ნ., 18,7). უხეტყეო (ნ., 189,29).

ზოგჯერ კომპოზიტის თითოეული წევრია ამ სუფიქსით ნაწარმოები: უდაბნო-უგულო (ნ., 22,10). უვარდოდ-უმაისოდ (II, 57,16). უჩქეფო-უხალისო (ნ., 131,33).

გიორგი ლეონიძის თხზულებებში გვხვდება აგრეთვე უ-ურ აფიქსით ნაწარმოები უქონლობის სახელები, მაგრამ რაიმე თავისებურება არ შეინიშნება, რადგან ამ აფიქსს ვხვდებით ენაში დამკვიდრებულ უკვე ცნობილ მაგალითებში:

უგზაური (ნ., 187,32). უგზური (II, 333,20). უკაცური (ნ., 71,25). უმზეურად (ნ., 20,24). უსახური (ნ., 182,22). უფასური (I, 199,11). უბუბური (ნ., 194,19).

\* \* \*

მაშასადამე, მსგავსად სალიტერატურო ქართულისა, უქონლობის სახელების ძირითადი მაწარმოებელი გ. ლეონიძის ენაში არის უ-ო. მწერლის ენის თავისებურება ამ სუფიქსის გამოყენებისას შეინიშნება იმაში, რომ გარდა საზოგადო არსებითი სახელებისა, გიორგი ლეონიძე უ-ო აფიქსს ურთავს საკუთარ სახელებს, წარმოქმნილ სახელებს, ზედსართავებს, იშვიათად ზმნისართებს, აგრეთვე სხვადასხვა ტიპის კომპოზიტებს.

### III. დანიშნულების სახელთა წარმოქმნა

დანიშნულების სახელთა საწარმოებლად გიორგი ლეონიძე უმთავრესად მიმართავს სა-ო აფიქსს: ხშირია სა-ე პრეფიქს-სუფიქსის გამოყენების შემთხვევებიც: შედარებით იშვიათად კი ვხვდებით სა-ურ აფიქსიან წარმოებას; ერთი სახელი კი სა-არ-ითაც უწარმოებულია.

1) დანიშნულების სახელთა საწარმოებელთაგან სა-ო აფიქსს რომ „მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს“ (შანიძე, 134), ეს დადასტურ-

და გიორგი ლეონიძის თხზულებათა ენთაც. იგი დაერთვის ნაირ-ნაირ ფუძეებს:

ა) სა-ო უმთავრესად დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს; მისი ფართოდ გავრცელების გამო დაკმაყოფილდეთ ორიოდუ მაგალითი:

საარწიონი (I, 373,9). სადავლოდ (ნ., 104,17). საკაცო (ნ., 213,24; ე., 542,17). სალიანდაგო (ნ., 14,1). სამარგალიტო (II, 249,25; I, 192,5). სართვლო (II, 39,33; II, 225,4). სასალამურო (ნ., 70, 18-19). საშავარდნოდან (ე., 628,13). სახვეერდო (II, 13,10).

ბ) სა-ო ერთვის ზედსართავი სახელის ფუძეს:

სამამაცო (ნ., 60,4). სამეტოში (ნ., 59,1). სამხელო (ე., 631,6; ნ., 84,22).

გ) ზოგჯერ ფუძედ გამოყენებულია ზმნიზუდა:

საგაისო (II, 119,8). სანიადაგო (I, 79,23; ე., 542,19). საცალკეოდ (II, 256,28).

დ) სა-ო აფიქსით დანიშნულების სახელს მწერალი არაიშვიათად აწარმოებს მიმლეობის ფუძიდანაც:

საგარჯილო (ნ., 136,33). სამოყვრო (ნ., 80,15). სამქებროდ (ნ., 91,18). სამყვირალი (ნ., 188,24; I, 4; I, 369,20). სამწყურვალა (ნ., 6,21; I, 52,24). სანაშენოდ (ნ., 136,8). საუკვდაოდ (I, 258,16).

ე) აგრეთვე წარმოქმნილი სახელის ფუძიდან:

სამადლიეროდ (ე., 315,21). სამთვარეულო (I, 47,13). საჭირვეულო (ნ., 215,14). სამესისხლო (II, 200,26; I, 98,91). სამესისხლოდ (II, 278,17).

ვ) ზშირად ფუძედ გამოყენებულია ამა თუ იმ სახის კომპოზიტი:

საერთმანეთო (ნ., 128,2). საერთმანეთონი (ნ., 88,35). სათვალმწენოდ (II, 198,22; II, 192,30). სათვალსეიროდ (ნ., 57,5). საიავარდოდ (II, 39,6). საკაიდლეო (ნ., 80, 14-15). საკარგემოდ (I, 384,20). სალუკმაპურო (ნ., 205,4; ნ., 86,20). სამზისთვალოდ (II, 67,21). სამთელქვეყნო (I, 100, 18; ი., 80,8). სამთელქვეყნოა (ი., 176,18). საორბედოა (I, 354,11). სასადილ-ვახშმო (ნ., 78,24). საჭირისუფლო (I, 365,9).

2) სა-ე აფიქსი დანიშნულების სახელების საწარმოებლად უმთავრესად დაერთვის საზოგადო არსებითი სახელის ფუძეს; დავა-სახელებთ ზოგიერთ მაგალითს:

საბეგრე (ე., 579,11). სადოლე (ე., 526,15). სავარდე (II, 214,4). სათაფლე (ე., 571,19). საიხვე (II, 89,4). საკალმახე ( I, 130,25). სალიტანიე (I, 361,23). სამაჭრე (ნ., 6,4). სამერცხლე (ე., 577,7). საორაგულე (ნ., 192,1). სარკინე (I, 274,13). საქორეში (ე., 608,6). საშევარდნე (II, 231,21). საძეგლე (II, 345,10). საწის-ქვილე (ე., 388,4). სახილე (ნ., 5,4; ე., 574,27).

ორიოდე შემთხვევაში სა-ე მიმღეობის ფუძიდან აწარმოებს დანიშნულების სახელებს: სამდღურე (ნ., 151,7). სასაძოვრე (ნ., 27,30).

იშვიათად იგი დაერთვის წარმოქმნილ სახელს: საუძღურეში (ნ., 27,24). ანდა კომპოზიტს საკვესაბედე (I, 65,6). საძაღლორედ (ნ., 106,25). საძილისკუდედ (ნ., 210,31).

3) სა-ურ სუფიქსი როგორც საერთოდ ქართულში, ასევე გიორგი ლეონიდის ენაშიც არ გამოირჩევა ახალ-ახალი ფუძეებიდან სახელთა წარმოებით. დავასახელებთ აღნიშნულ სუფიქსიან რამდე-ნიმე მაგალითს:

საბეჭურზე (II, 300,25). საკეტურები (I, 134,21). სანატური (ე., 395,30). საყანურებში (I, 45,7). საცერული (II, 330,19). საძუ-ძური (II, 67,17). მწერლისეულია ფორმა: სამინდორული (II, 271,14).

4) გ. ლეონიდეს ერთი დანიშნულების სახელი უწარმოებია სა-არ აფიქსით, რომელიც „ზმნათა ფუძეებისაგან ნაწარმოებ სახე-ლებშია გავრცელებული" (შანიძე, 134) და იქაც საკმაოდ განსა-ზღვრულ ფუძეებთან :

შენ – საქართველოს უკვდავმოფელო,

მისთვის ყველაზე საგვირგვინარო (II, 154,10).

\* \* \*

მაშასადამე, დანიშნულების სახელთა საწარმოებლად გიორგი ლეონიდე იყენებს სა-ო, სა-ე აფიქსებს. საერთოდ, თანამედროვე ქარ-თულში „გავრცელებულობის მხრივ ყველაზე წინ სა-ო აფიქსი დგას, დღევანდელ ქართულში ძირითადად ეს აწარმოებს დანიშნუ-

ლების სახელებს" (ტუსიკია, 1969, 27). მსგავსი ვითარებაა ლეონიდის ენაშიც, სადაც ეს აფიქსი დაერთვის ნაირ-ნაირ ფუძეებს: არსებით სახელს, ზედსართავ სახელს, ზმნისართს, მიმღობას, წარმოქმნილ სახელს და კომპოზიტს.

მწერლის ენისეული თავისებურებაა აგრეთვე მყოფადი დროის მიმღობის მაწარმოებელ სა-არ აფიქსის გამოყენება დანიშნულების სახელის წარმოსაქმნელად (საკვირგვინარო).

#### IV. წარმომავლობის სახელთა წარმოქმნა

ქართულში წარმომავლობას აღნიშნავენ სუფიქსებით: -ელ, -ურ, -იურ, -დელ, -ეულ (შანიძე, 128). გ. ლეონიდის თხზულებებში მწერლის ენისეული თავისებურებანი მულავენდება -ელ, -ურ და -ეულ სუფიქსთა უპირატეს გამოყენებაში.

ცნობილია, რომ თანამედროვე ქართულში სადაურობის აღსანიშნავად იმხარება საუფიქსები -ელ და -ურ. პირველი აღნიშნავს ადამიანის სადაურობას, ხოლო მეორე — ნივთისას, არადამიანისას (ჩიქობავა, 1942, 50; შანიძე, 122-230). გიორგი ლეონიძე -ელ და -ურ სუფიქსებს ხშირად ურთავს ისეთ სახელთა ფუძეებს, საიდანაც წარმომავლობის სახელთა წარმოქმნა სალიტერატურო ქართულიათვის ჩვეულებრივი არ არის.

#### - ე ლ ს უ ფ ი ქ ს ი ა ნ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი

ზოგჯერ მწერალი -ელ სუფიქსით აწარმოებს ზღვისა და მდინარეთა საკუთარ სახელებს და ამით გვამცნობს თავის გმირთა სადაურობას: შავიზღველი ფორთოხალი (II, 203,2).

განა მარტო არაგველნო,  
თბილისს სისხლად იახელით? —

რიონელნო, იორელნო,  
ალაზნელნო, ლიახველნო,  
ჭოროხელნო, ბერდუჯელნო,  
ტეხურელნო, ენგურელნო,  
მტკვრელნო, —

მტერთა სისხლის მკვრელნო,  
თქვენ თბილისის უკვდავ ძარღვში  
სისხლმდინარედ ჩაიარეთ (II, 10).

ზოგჯერ გიორგი ლეონიძე -ელ სუფიქსს ურთავს არაგეოგრაფიულ სახელებს, რითაც ქმნის შესანიშნავ ეპითეტებს, რომლებითაც გმირის ესა თუ ის თვისება – წარმომავლობაა გადმოცემული:

რას ფიქრობს ახლა ქალი კოშკელი (II, 229,1).

ბიჭი და გოგო მთვარელი (ე., 601,6).

ბიჭი და გოგო მთვარეული (ე., 601,6).

არწივს ვერ დაემკლავები

ვაჟაკი რკინისკარელი (ე., 578,16).

გრიალებს ქარი ქარელი (ე., 578,14).

ქარი ქარელი ბღღვირს აყენებდა (ნ., 105,27).

დახატულ ზოხობს ააფრენს

მოხუცი ჩიბუხტარელი (ე., 601,8).

თვალყბედი ჭორელები ქაქანებდნენ (ნ., 23,32).

ჭორელებმა წამოანთხიეს გულის ღარღლი (ნ., 24,3).

ჭორელებმა ყველაფერი გააბათილეს (ნ., 24,280).

ნართაული თქმები ჭორელებისა (ნ., 181,8).

ალბათ რითმის საჭიროებისათვისაა -დელ სუფიქსის ნაცვლად -ელ ერთ მაგალითში:

მე ყოველ დილით ბულბულს მოველი  
დიღანდელი თუ საღამოველი (I, 63,2).

### - უ რ ს უ ფ ი ქ ს ი ა ნ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი

გიორგი ლეონიძის თხზულებათა ენაში შეიმჩნევა -ურ სუფიქსით ნაწარმოებ სახელთა სიუხვე.

„ძალზე უყვარს პოეტს „ურ“ სუფიქსით ნაწარმოები უჩვეულო ფორმები (ცრემლური, ჯანყური, ელკური, მედგრული, შხაპური და სხვები“ (ძიძიგური, 1959, №305), რომლებიც გამოხატავენ თვისება-მსგავსებას.

„წარმომავლობის სუფიქსი -ურ(ულ) გეოგრაფიულ სახელებთან სადაურობას გვიჩვენებს, მაგრამ იგივე სუფიქსი სხვა სახელებთან აღნიშნავს თვისებას სათანადო საგანთან მიმართებით; კაც-ური, ქალ-ური-ი“... (შანიძე, 129; მანჯგალაძე, 1953, 511). „ეს უკანასკნე-

ლი ფუნქცია უფრო გვიანდელია" (შანიძე, 129; მანჯგალაძე, 1953, 511) და დღეს ფართოდ არის გავრცელებული ენაში.

გიორგი ლეონიძის მიერ —რ სუფიქსით ნაწარმოებ სახელთა უდიდესი უმრავლესობა თვისება-მსგავსების გამომხატველია; ამასთან მწერალი თავისებურებას იჩენს ამ სუფიქსით ნაწარმოებ არსებით სახელის ფუძის შერჩევაშიც. ვნახოთ მაგალითები:

**ატლასურო, აღმასურო, ბადახშურო** ნუშნარა (I, 195, 11-12). **ბუმბერაზულ დარაჯად** (I, 242,7). **აზრს გოლიათურს** (II, 269,170). **ქუსლი ამოკრა დეზური** (ე., 620,22). **დოლბანდურად** შემოაბორბლა ყაბალახი (ნ., 80,28). **დუქნური** სუფრა (ნ., 46,6). **დულაბურად** აგებული (ე., 401,13). **ელდურის დარტყმით** (II, 304,17). **ელკური** სახე (II, 335,12). **ჟღეროდა ოქროს ეჟნურად** (I, 254,9). **ყამირის ღონე ვაჟური** (I, 84,8). **შენი სისხლი ვაჟური** (I, 318,8). **ზღვაურის ქარში** (II, 134,12). **შენი თაფლური** ღვარების (I, 240,1). **უელავს პირი თოვლური** (II, 271,12). **აიარა ჩამომძვლეული კლდეკიბური** (ნ., 93,12). **ივრის ლაჟვარდული** ჩალიმილება (ნ., 6,14). **ჩემი სიტყვა ლექსური** (I, 175,20). **მეფის დალოცვა მამური** (II, 254,13). **წყალი მწყემსური** (I, 154,17). **მთვარისპირი ნამგლური** (I, 174,3). **დამალევენე ნექტარული** (II, 80,9). **ნიაურად** ხმა კამკამი (ე., 593,26). **გარეთ იწვედი ნიაკქარულად** (I, 255,5). **სახე ჟანგური** (II, 294, 11). **სიტყვა სარდლური** (I, 56,29). **საყდრული** მყუდროება (I, 222,18). **ლაყვარდები სერაფიმული** (I, 47,18). **შენ შემიღებე იგი სისხლურად** (II, 281,25). **სისხლური** ფერი (I, 271,32). **ნიშნები სტამბური** (I, 339,19). **ტბურ** თვალებს აელვარებდა (ნ., 97,24). **ტბური ბური** (II, 248,18). **ფრთალაჟვარდული** ჩიტები (ნ., 193,25). **მოდოდა ღვარცოფულად** (ნ., 167,19). **სიტყვა ღველფური** (II, 38,21). **ღველფური** ცეცხლი (ნ., 103,29) **7 ღობურად** ჩამოტარება (ე., 551,24). **ყივჩადური** ყიჟინის (I, 423,14). **ყმაწვილურის** თვალთ (ე., 392,7). **შვილურ** ალერსს გაგიბედავ (II, 212,9). **ფერი შინდური** (I, 271,31). **გაკკარი ტალღა შხაპური** (I, 155,10). **შხამური** სიტყვაც დაადვენეს (ნ., 183,31). **გამოჩნდა ჩაღური...** სახლები (ნ., 22, 25). **ჩონგურულ** ხმებში (ე., 32,24). **მიყვარს ცეცხლური** ყვავილი (ნ., 156,7). **ათასი კაცის ცოფურ** ღრიალით (II, 332,8). **სიტყვა ცრემლური** (II, 330,21). **ცხედრული** წოლა (II, 347,20). **ჩქეფი ვარ მათი ძალური** (I, 425,23). **სახლები ძელური** (II, 260,7). **ასჭიმა წარბი წალმური** (II, 255,170). **იქ წესური** წესი არი

(ე., 554,3). წვიმურად ცეცხლი ვაწვიმით (ე., 53,26). ხანძრულის ფერის (I, 385,19). ხანჯლურ შურისძიებით (II, 87,13). ეს აკვანი ხარატული (ე., 561,11). ჯანყურად გადმოიქუხა (ნ., 97,30).

თვისება-მსგავსების გამოსახატავად მწერალი -ურ სუფიქსით ხშირად აწარმოებს აგრეთვე ისეთ არსებით სახელთა ფუძეებიდან, რომლებიც აღნიშნავენ მცენარეთა და ფრინველ-ცხოველთა სახელებს, ძვირფას თვლებს, დღე-ღამისა და წლის დროთა სახელებს.

ა) მცენარეულის სახელთა ფუძეებიდან:

შუბლი დაფნური (I, 63,21). ვარდულ შუქ-ელვათა მკამკამე-ბელი (II, 39,14). ვარდულ შუქის ბრწყინვალეებით (II, 65,6). ყური ვარდული (I, 421,10). ვარდული შელიძებით (II, 216,22). ვარდული შელიძება (ნ., 89,19). გაზაფხული ზამბახური (II, 247,18). მთვარის ნამქერი ზამბახური (I, 46,10). გზა არ დასთმო ზამბახური (I, 219,16). იქით - ჭალა ლერწამული (ე., 387,16). ნაცარ-ხავსური... ქუჩი (II, 341,16). დროშა შინდური (I, 272,6).

ბ) ფრინველ-ცხოველთა სახელების ფუძეებიდან:

არწივულ სახეს (II, 34,12). არწივულ გზით (I, 51,2). არწივულ მზერას (II, 590,3). სევდა არწივულ თავისუფლების (ე., 591,11). არწივული სიმღერა (I, 160,20). ფრთა არწივული (I, 337,16). ყიჟინი ბარტყული (ე., 580,8). წკრიალებდა ბულბულურად (ე., 593,25). არ ვაკებინებთ გველურ მტერს (ე., 27,10). დათურად ნაკვეთი (ნ., 78,24). ვეფხვურ ხალით (II, 9,14). თამარს ვეფხვურ წიგნს აქ უკითხავდა (I, 229,25). ვეფხვურად შენამტკიცარსა (I, 60,24). ვეფხვური სული (I, 48,9). ვეფხური ჩრდილი (I, 327,18). ქალო ვეფხვურო (I, 419,4). მარად ვეფხვურო (I, 66,21). ლალად ირმულო (I, 66,21). კამათელი კალმახური ზურგით (I, 248,17). ლომურ ბრძოლის ცეცხლში (II, 346,10; I, 283,2). ლომური სახელი (I, 320,6). ღონე მღევური (II, 272,8). ტორი დაეკრა მღევური (ე., 571,12). მტრეტული ფრთხილით (I, 351,14). შუქი მტრედული მოება (I, 101,23). შვილიშვილი მტრედული (ე., 390,16). უკვდავება ორბული (242,19). ჭრელი კარვები ფარშევანგული (II, 294,9). ფარშევანგულად იარებოდა (ნ., 89,16). ფარშევანგულად ელვარებს (ე., 605,23). მისი ხოხბური რონინი (ნ., 89,210). წამოიძახებს წყრომით ჯიქური (II, 234,17). ღამეს ახალი მეხი ჯიქური (ე., 540,29).

გ) ძვირფასი თვლების გამოხატველი ფუძეებიდან:

დილის ალმასურ ცერებით ამომძიული (ე., 592,23). ალმასურ შუქს (II, 289,10). ალმასურ ხმით (II, 145,24). ალმასური მტკვერით (ნ., 40,21; ნ., 122,24). ალმასური სახე (ნ., 157,14). ალმასური... ნუშნარა (I, 195,11). ატლასურ-ნარინჯული კაბის შექმნეღვარე (ნ., 26,20). ბადახშურო ნუშნარა (I, 195,12). ვერცხლურ მდინარის გამონაჟონი (ნ., 20,310). თევზის ვარცხლური შეციმციმება (ნ., 6,32). ვერხვთა ვერცხლური სუფთა შრიალი (I, 385,9). ვერცხლური სახე (ნ., 168, 23-24). ვერცხლური ღვარიდან (ნ., 193,29). ვერხვი ვერცხლურად შრიალებს (ნ., 122,22). მარგალიტური შუქის მთოვარი (I, 351,25). მზე მარჯნულად გამოშკრთალი (II, 389,4). ცა მინანქრული (I, 174,4). აცვია ფერი ნარინჯულისა (II, 234,12). მისი სადაფური აელვარება (ნ., 6,14).

ღ) დროის აღმნიშვნელი სახელებიდან:

სიცოცხლე გაზაფხულური (ე., 282,16). დღე არ ჩავგიქრო გაზაფხულური (II, 299,6). ჯიხვის ხრო განთიადური შუქით განათებული (ნ., 93,13). განთიადური შუქით (ე., 285,4). გარეშე მაისურ მაისობისა (I, 176,17). მაისურ ცით ჩავიღიმილო (II, 40,16). მაისურ ღამის მთვარის ჩრდილები (I, 420,2; I, 389,4). რიჟრაჟული... ბური (II, 248,18). სევდა ღამური (I, 60,16). ამ შემოდგომურ ჭადრის ფურცკლზე (I, 224,2). ცისკრული ამონათება (I, 101,5). ცისკრული შუქით ინთება (II, 275,21). გულში მინთია ცისკრულად (I, 84,16). ცისკრულად გადანამქრული (I, 174,5).

გიორგი ლეონიძე -ურ სუფიქსით წარმომავლობის სახელების მაწარმოებლად იყენებს აგრეთვე ზედსართავი სახელის ფუძეს:

მტერი ბილწური (I, 256,1). ბრმულად მიცოცავდა (ნ., 107, 19-20). მოდის თბილისზე მტერი ლაღურად (II, 292,25). ხმა ვაუკაცური, მედგრული (I, 238,15). დილა თენდება მტრედისფერული (ე., 568,21). თრთის შუალამე უდაბურული (I, 402,10). შმაგურ სიცეცხლით (I, 272626). შმაგური ლტოლვა (II, 114,12). შმაგური სიყვარული (ნ., 193,19). შმაგურად შეჰყვარებოდა (ნ., 164,14). მიჰქრის შარაველ შმაგურად (II, 309,14). წამს მოიხედა მეფემ შმაგურად (II, 304,29). შმაგურად შემოვარდა (ნ., 214,35). ცბიერულ ცრემლით ანატირები (II, 267,4). ბრწყინავს ძახველის ოქრო წითლური (I, 385,12).

ზოგჯერ კი ზმნისართიცაა ფუძედ გამოყენებული:

(ე., 554,3). წვიმურად ცეცხლი ვაწვიმით (ე., 53,26). ხანძრულის ფერის (I, 385,19). ხანჯლურ შურისძიებით (II, 87,13). ეს აკვანი ხარატული (ე., 561,11). ჯანყურად გადმოიქუხა (ნ., 97,30).

თვისება-მსგავსების გამოსახატავად მწერალი ურ სუფიქსით ხშირად აწარმოებს აგრეთვე ისეთ არსებით სახელთა ფუძეებიდან, რომლებიც აღნიშნავენ მცენარეთა და ფრინველ-ცხოველთა სახელებს, ძვირფას თვლებს, დღე-ღამისა და წლის დროთა სახელებს.

ა) მცენარეულის სახელთა ფუძეებიდან:

შუბლი დაფნური (I, 63,21). ვარდულ შუქ-ელვათა მკამკამე-ბელი (II, 39,14). ვარდულ შუქის ბრწყინვალეებით (II, 65,6). ყური ვარდული (I, 421,10). ვარდული შელიძებით (II, 216,22). ვარდული შელიძება (ნ., 89,19). გაზაფხული ზამბახური (II, 247,18). მთვარის ნამქერი ზმბახური ((I, 46,10). გზა არ დასთმო ზამბახური (I, 219,16). იქით — ჭალა ლერწამული (ე., 387,16). ნაცარ-ხავსური... ქუჩი (II, 341,16). დროშა შინდური (I, 272,6).

ბ) ფრინველ-ცხოველთა სახელების ფუძეებიდან:

არწივეულ სახეს (II, 34,12). არწივეულ გზით (I, 51,2). არწივეულ მზერას (II, 590,3). სევდა არწივეულ თავისუფლების (ე., 591,11). არწივეული სიმღერა (I, 160,20). ფრთა არწივეული (I, 337,16). ყიფინი ბარტყული (ე., 580,8). წკრიალეებდა ბულბულურად (ე., 593,25). არ ვაკებინებთ გველურ მტერს (ე., 27,10). დათვურად ნაკვეთი (ნ., 78,24). ვეფხვურ ხალით (II, 9,14). თამარს ვეფხურ წიგნს აქ უკითხავდა (I, 229,25). ვეფხვურად შენამტკიცარსა (I, 60,24). ვეფხვური სული (I, 48,9). ვეფხური ჩრდილი (I, 327,18). ქალო ვეფხვურო (I, 419,4). მარად ვეფხვურო (I, 66,21). ლალად ირმული (I, 66,21). კამათელი კალმასური ზურგით (I, 248,17). ლომურ ბრძოლის ცეცხლში (II, 346,10; I, 283,2). ლომური სახელი (I, 320,6). ღონე მდეური (II, 272,8). ტორი დაეკრა მდეური (ე., 571,12). მტრეტული ფრთხილით (I, 351,14). შუქი მტრედული მოება (I, 101,23). შვილიშვილი მტრედული (ე., 390,16). უკვდავება ორბული (242,19). ჭრელი კარვები ფარშევანგული (II, 294,9). ფარშევანგულად იარებოდა (ნ., 89,16). ფარშევანგულად ელვარებს (ე., 605,23). მისი ხოხბური რონინი (ნ., 89,210). წამოიძახებს წყრომით ჯიქური (II, 234,17). ღამეს ახალი მეხი ჯიქური (ე., 540,29).

გ) ძვირფასი თვლების გამომხატველი ფუძეებიდან:

დილის ალმასურ ცვრებით ამომძიული (ე., 592,23). ალმასურ შუქს (II 289,10. ალმასურ ხმით (II, 145,24). ალმასური მტკვერით (ნ., 40,21; ნ., 122,24). ალმასური სახე (ნ., 157,14). ალმასური... ნუშნარა (I, 195,11). ატლასურ-ნარინჯული კაბის შექმნე-ვარე (ნ., 26,20). ბადახშურო ნუშნარა (I, 195,12). ვერცხლურ მდინარის გამონაჟონი (ნ., 20,310. თევზის ვარცხლური შეციმციმება (ნ., 6,32). ვერხვთა ვერცხლური სუფთა შრიალი (I, 385,9). ვერცხლური სახე (ნ., 168, 23-24). ვერცხლური ღვარიდან (ნ., 193,29). ვერხვი ვერცხლურად შრიალებს (ნ., 122,22). მარგალიტური შუქის მთოვარი (I, 351,25). მზე მარჯნულად გამოძკრთალი (II, 389,4). ცა მინანქრული (I, 174,4). აცვია ფერი ნარინჯულისა (II, 234,12). მისი სადაფური აელვარება (ნ., 6,14).

დ) ღროის აღმნიშვნელი სახელებიდან:

სიცოცხლე გაზაფხულური (ე., 282,16). დღე არ ჩაგვიქრო გაზაფხულური (II, 299,6). ჯიხვის ხრო განთიადური შუქით განათებული (ნ., 93,13). განთიადური შუქით (ე., 285,4). გარეშე მაისურ მაისობისა (I, 176,17). მაისურ ცით ჩავილიმილო (II, 40,16). მაისურ ღამის მთვარის ჩრდილები (I, 420,2; I, 389,4). რიჟრაჟული... ბური (II, 248,18). სევდა ღამური (I, 60,16). ამ შემოდგომურ ჭადრის ფურცკლზე (I, 224,2). ცისკრული ამონათება (I, 101,5). ცისკრული შუქით ინთება (II, 275,21). გულში მინთია ცისკრულად (I, 84,16). ცისკრულად გადანამქრული (I, 174,5).

გიორგი ლეონიძე -ურ სუფიქსით წარმომავლობის სახელების მაწარმოებლად იყენებს აგრეთვე ზედსართავი სახელის ფუძეს:

მტერი ბილწური (I, 256,1). ბრმულად მიცოცავდა (ნ., 107, 19-20). მოდის თბილისზე მტერი ლალურად (II, 292,25). ხმა ვაჟკაცური, მედგრული (I, 238,15). დილა თენდება მტრედისფერული (ე., 568,21). თრთის შუალამე უდაბურული (I, 402,10). შმაგურ სიცხელით (I, 272626). შმაგური ლტოლვა (II, 114,12). შმაგური სიყვარული (ნ., 193,19). შმაგურად შეჰყვარებოდა (ნ., 164,14). მიჰქრის შარაველ შმაგურად (II, 309,14). წამს მოიხედა მეფემ შმაგურად (II, 304,29). შმაგურად შემოვარდა (ნ., 214,35. ცბიერულ ცრემლით ანატირები (II, 267,4). ბრწყინავს ძახველის ოქრო წითლური (I, 385,12).

ზოგჯერ კი ზმნისართიცაა ფუძედ გამოყენებული:

დღითიდღეური... სუნთქვა (I, 326,20). ხალხების ბრძოლა მხარდამხარული (ე., 66,25). უცაბედურად კალთას გამოვხეული (II, 221,21). უცაბედურად დავხედე (ე., 79,6). უცაბედურად... ენახე (ე., 566,14). დღეს მომაგონდი უცაბედურად (I, 325,16). არა ხართ ხალხი უცაბედური (I, 271,23).

\* \* \*

მაშასადამე, გიორგი ლეონიძის ენაში -ურ სუფიქსიანი სახელები რამდენიმე თავისებურებას ამჟღავნებენ.

ადამიანის საღურობის ჩვენებისას ზოგჯერ მწერალი იყენებს ამ სუფიქსს, რაც კახური დიალექტის გავლენას უნდა მიეწეროს.

ძალზე ხშირია მწერლის ენაში -ურ სუფიქსით ნაწარმოები უჩვეულო ფორმები, რომლებითაც გადმოცემულია თვისება-მსგავსება და რომლებიც უმთავრესად ეპითეტებად ან მეტაფორებად გვევლინება.

-ურ სუფიქსით წარმოქმნილი სახელი, გარდა არსებითის ახელისა, ზოგჯერ ფუძედ იყენებს ზედსართავს ან ზმნისართს.

### - ე უ ლ ს უ ფ ი ქ ს ი ა ნ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი

გიორგი ლეონიძის ენაში წარმომავლობის სახელები ნაწარმოებია აგრეთვე -ეულ სუფიქსით:

ლანდი, ფანჯარას დაჯახებული, მოგვიახლოვდა ანაზდეული (I, 356,24). მტერი დაკბლიეთ ანაზდეული (II, 241,8). ბორგნეულ და მრისხანე ანარქისტს ყველა ერიდებოდა (ნ., 126,29). ვეღარ მიდიოდა გულჯავრეული (ნ., 193, 7-8). პერანგზე თმვარის ზამბახეული (II, 291,8). აჰა, მიიღე ჩემი ლექსები, შემოგაფანტო ზამბახეულად (I, 73,25). მან შენი სუნთქვა განასხეულა ჩემი ლექსების ზამბახეულად (I, 53,9). მისთვის ღმერთმა შერისხა, როგორც ეშმაკეული (II, 221,6). ნებას გავალ ნებეულად (II, 252,3). სიგელს... ჰაერში ატიალებდა და რისხვეული გაჰკიოდა (ნ., 59,6). რისხვეულად შეეტაკებოდა იორამი (ნ., 129,17). ხვათი სამოთხეული (II, 221,24). განძი სამოთხეული (II, 219,20). სისხლბორცეულად ხალხს დააქვს (I, 404,14). გმირთა საფლავეებს სოფლეურად ტიროდნენ (ნ., 74,3).

ამაკვე ფუნქციისა ჩანს იგი ზმნისართად გამოყენებულ ისეთ ფორმებში, სადაც მოსალოდნელი იყო ფუძეგაორკეცებული კომპოზიტი:

ჩემი სოფლის ტყისპირებში... ია ბლუჯეულად ამოდიოდა (ნ., 4,5). ჭვანტავს ალმასებს, ვკრეფ ბლუჯეულად (I, 53,13). (შღრ.: ბლუჯა-ბლუჯა სხივებს რომ ჰყრის, ნ., 39,30). აქ მტკავეულად მიწას იცავდნენ (ე., 531,5). წვიმას ჩამარცვლავს წვეთეულ (ე., 601,9). სისხლსაც შენ მოგცემ მე წვეთეულად (I, 95,16). და მის სიყვარულს ვსვამ წვეთეულად (ე., 17,21). წამლათ უნდა მიიღო და წვეთეულად იხმარო (ნ., 158,31). (შღრ.: და იწრთობოდა წვეთ-წვეთად: ე., 606,9).

-ეულ სუფიქსი აღნიშნავს კრებითობას:

მეფეს მღერით მოაგებეს ხელეურის ბლუჯეული (II, 273,14). და საყდრეული ახლდა სანთლებით (II, 293,28). შიგ შევიდა მეფე ვახტანგ საგანძურით, ტაძრეულით (II, 282,24).

\* \* \*

როგორც ენახეთ, -ეულ სუფიქსიანი სახელები გ. ლეონიძის ენაში საკმაოდ გვხვდება, მაგრამ იგი არ გამოირჩევა საწარმოებელ ფუძეთა ნაირნაირობით.

## V. ხელობის სახელთა წარმოება

„ხელობის გამოსახატავად გვაქვს ორი წყვილი აფიქსი მე-ე და მე-ურ“ (შანიძე, 136), ამათგან თანამედროვე ქართულში გავრცელებულია მე-ე.

1) სალიტერატურო ქართულში ხელობა-მოსაქმეობა უმთავრესად გაღმოიციემა არსებით სახელებზე მე-ე აფიქსის დართვით. ასევეა გიორგი ლეონიძის ენაშიც. მაგალითებს დავასახელებთ შერჩევით.

ა) ფუძედ არსებითი სახელია:

მეაგურე (ე., 573,15). მეაკენე (I, 78,11). მებანე (I, 65,34). მებეგრეს (ე., 579,1). მედარბაზე (II, 246,29). მეღლეობევ (II, 222,20). მეზვარეო (I, 378,4). მეთავთავე (I, 115,6). მეთარეს (I,

237,23). მეთაფლე (II, 205,22). მეთხე (ნ., 152,11). მემარგალიტე (II, 75,2). მემუსაიფე (ნ., 211,7). მემუქარე (II, 283,7). მემღვიმე (I, 109,2). მენაყოფე (II, 158,22). მერთველეს (II, 200,27). მერთველო (I, 378,4). მერჯულეს (ნ., 134,150). მესაკრავენი (I, 164,5). მესალამურე (ნ., 69,33). მესაწოლე (I, 42,13). მესისხლე (II, 333,15). მესუფრეებმა (ნ., 91,10). მექვიშეები (II, 260,20). მექორწილე (II, 205,4). მეშურდულე (II, 279,24). მეშურდულენი (II, 285,6). მეშფოთე (ნ., 61,14). მეჭაშნკე (I, 393,27; I, 239,19). მეჭორეებში (ე., 593,19). მეჭორეებს (ნ., 24,6). მეხელადევ (ნ., 204,20). მეჯავშნე (ნ., 304,20). მეჯამვე (ნ., 204,20).

ბ) იშვიათად მე-ე ხელობის სახელებს აწარმოებს ზედსართავი სახელიდან:

მეუფროსე (ნ., 166,27). მეუფროსემ (ნ., 167, 2-3). მეუფროსემდის (ნ., 166, 20-21). მეუფროსეს (ნ., 151, 11-12; ნ., 137,19; ნ., 134, 15-16).

ეგვე აფიქსი დაერთვის აგრეთვე სხვადასხვაგვარ კომპოზიტებსაც:

მეავგულე (ე., 547,14). მეავთვალე (ე., 547,13). მეგულკეთილე (ნ., 211,3). მეღლეხვალე (II, 205,170). მეერთგულე (II, 253,26). მეერთრჯულე (II, 272,19). მეთვისტომენი (II, 330,270). მეორგულესა (II, 252,16). მეპურმარილე (ნ., 30,19). მეპურმარილეს (ნ., 79,34). მეღორ-ხბოვე (ნ., 85,31). მეშვილდისრენი (II, 285,6; II, 317,15).

გ) ერთ შემთხვევაში ფუძედ გამოყენებული ზმნისართი:

მეუკანოე, II, 192, 17; მეუკანოენი, ნ., 144,23.

2) სალიტერატურო ქართულის მსგავსად, გიორგი ლეონიძის ენაშიც მცირეა მე-ურ აფიქსის მოქმედების არე. უმთავრესად გვხვდება ძველი წარმოების მზა ფორმებში, ხოლო უშუალოდ მწერლის მიერ მე-ურ აფიქსით წარმოქმნილი სახელები არ ჩანს.

მეგანძურად (I, 326,24). მეგანძურებად (I, 330,10). მეგზური (I, 175,8). მეძნეურები (II, 273,12). მეხიღური (ნ., 107,33; ნ., 198,11).

3) ორიოდე სახელი კი მწერალს ნაწარმოები აქვს მე-ურ და მე-ე აფიქსებით კონტრამინაციით:

მეტყუურე, ანუ ტყის მცველი (ნ., 85,19). მეწინაურედ (II, 293,23).

ამრიგად, გ. ლეონიძის ენის მიხედვით ხელობის სახელთა სა-  
წარმოებლად თანამედროვე ქართულში გაბატონებულია მე-ე აფიქსი.

## VI. წინავითარების სახელთა წარმოქმნა

„ქართულ ენას საშუალება აქვს, საგანი ადაასახელოს იმის  
მიხედვით, თუ რას წარმოადგენდა იგი წინათ, ან როგორი ვითარება  
ახასიათებს მას წინანდელთან შედარებით“ (შანიძე, 134).

„ნამყოფობის, წინავითარების ჩვენება ქართული სიტყვათწარმოქ-  
მნის ერთ-ერთი სპეციფიკური თავისებურებაა“ (ღლონტი, 1964, 90).

წინავითარების სახელთა საწარმოებლად ქართულში გამოყენე-  
ბულია ნა-არ (ნა-ალ) და ნა-ევ აფიქსები (შანიძე, 134).

გიორგი ლეონიძე წარმატებით იყენებს სიტყვაწარმოების ამ  
საშუალებას. მის თხზულებათა ენაში მრავლად გვხვდება აღნიშნუ-  
ლი აფიქსებით ნაწარმოები სახელები. ეს მოვლენა აღნიშნული აქვს  
აღ. ღლონტს (ღლონტი, 1959, №52(1170)).

გარდა დასახელებული აფიქსებისა, მწერალი ამ სახელებს  
აწარმოებს აგრეთვე მხოლოდ ნა- პრეფიქსით და ძალზე იშვიათად  
ნა-ურ აფისითაც.

საილუსტრაციო მაგალითებს წარმოვადგენთ კონტექსტის გა-  
რეშე, შერჩევით — თითო ფუძიდან თითო მაგალითს.

1) ყველაზე ხშირად ნა-არ (ნა-ალ) აფიქსია გამოყენებული.  
ფუძედ უმთავრესად არსებითი სახელია:

ნაარაყალი (ნ., 95,32). ნააჩრდილარს (I, 279,170). ნაბილიკა-  
რი (I, 302,20). ნაბინდარი (II, 13,10). ნუბურჯალი (II, 231,6). ნა-  
გვირისტალი (ე., 338,12). ნაემბაზარი (I, 60,10). ნაკერცხლარი (I,  
239,9). ნაზავთარი (ე., 625,22). ნაზურმუხტალი (II, 70,11). ნათა-  
მადარს (ნ., 105,29). ნათილისმარი (ე., 605,10). ნათურქალია (I,  
300,24). ნაიერიშალი (I, 254,22). ნაკალმაზარი (I, 63,30). ნაკა-  
ცარი (ნ., 216,29). ნაკედლარებიც (ნ., 170,11). ნაკვირტალია (ნ.,  
201,15). ნაკოშკარი (ნ., 179,2). ნაკოცნარებით (I, 177,19). ნალახ-  
ტარი (II, 302,8). ნალექსარი (II, 198,9). ნამათრახალი (ე.,  
601,16). ნამაისარი (I, 217,9). ნამამასახლისარს (ნ., 97,14). ნამე-

გობრალეზი (ნ., 168,130). ნამეწყერალი (I, 62,5). ნამტერალი (ნ., 50,5). ნამტვერალი (I, 237,22). ნანამქერალი (I, 148,27). ნაპაემნარი (I, 46,5). ნაპირუტყვეალი (ნ., 168,17). ნასადგისარი (ე., 568,28). ნასადგურალი (I, 293,21). ნასატრფოვალი (I, 62,20). ნასაზრნობლარს (I, 247,10). ნასიკეთარი (ე., 48,5). ნასისხლარი (ე., 571,5). ნატბორალი (ნ., 130,11). ნაქორალი (ნ., 173,4). ნაქოშარი (ნ., 183,30). ნალვინარი (ნ., 103,16). ნაყინალარი (I, 300,25). ნაშოლტარი (I, 194,8). ნაშუბარი (II, 280,3). ნაჩლიქარი (ე., 560,13). ნაცისკრალია (I, 357,19). ნაწყებლარი (ნ., 95,9). ნაწყლულარებით (I, 358,1). ნაჯიხვარი (I, 63,30).

ფუძედ იშვიათად ზედსართავია :

ნათამადარი (ე., 596,8). ნამამაცარი (I, 321,5). ნაჭირმაგარი (I, 48,15). ნახუჭუჭარი (I, 102,12).

ხან კი ნაცვალსახელი:

ნათავისარი (I, 67,35). ნასხვისარი (II, 318,180).

2) არაიშვიათია ნა-ევ აფიქსიანი წარმოება.

ა) არსებითი სახელის ფუძიდან:

ნაადგილვეი (ე., 565,13). ნაამბორვეი (II, 142,3). ნააჩრდილვეი (I, 143,25). ნამარილვეი (ნ., 93,14). ნამთვეი (ნ., 115,5). ნაპალატვეი (ნ., 179,20). ნატაძრვეი (ე., 31,30). ნატბვეი (I, 62,19). ნაყანვეი (II, 196,3). ნაშამბნარვეი (ე., 631,24). ნაცისარტყლვეი (I, 102,110). ნაცისკრევზე (II, 303,20). ნაწინაპრვეი (II, 37,16). ნახმვეი (II, 122,14).

ბ) ზედსართავის ფუძიდან:

ნამდიდრვეი (II, 221,31). ნამწარვეი (I, 318,21).

გ) ზმნისართიდან:

ნაერთბაშვეი (ნ., 98,5). ნაუცბათვეს (II, 204,13).

დ) წარმოქმნილი სახელის ფუძიდან: ნაშამბნარვეი (ე., 631,24).

ე) მიმღობიდან: ნაფერმკრთალვეი (ე., 590,4).

ვ) თითო-ოროლა შემთხვევაში მწერალი იყენებს ნა-ურ აფიქსსაც:

ნალამურია (I, 148,2). ნალამურზე ცა ქათქათებდა (ნ., 40,20). ნაცეცხლური (გატკაცუნდა (ე., 558,130).

4) გ. ლეონიძე წინავეითარების სახელებს აწარმოებს აგრეთვე მხოლოდ ნა- პრეფიქსით ძირითადად არსებითის ფუძიდან:

ნაბუნგალით ამივსო (ნ., 107,8). ახლაც იმ სისხლის მოსჩანს ნალაქი (II, 322,16). შენი ნამუხლარი (II, 162,10). ნასაყდრი (ე., 563,10), ნასისხლი (ნ., 93,20). ნასიტყვი (I, 326,4). (I, 326,4). ნატორი (ე., 526,20). ნაქარი (ნ., 106,33). ნალარლი (ნ., 207,13). ნაყორი (ნ., 107,35). ნაცეცხლი (I, 373,19). ნაცრემლი (I, 53,19).

ზედსართავის ფუძიდან: ნაცივი (II, 161,2).

მხოლოდ ნა- პრეფიქსიანი წარმოება უმთავრესად პოეზიის ენაში გვხვდება და, ამდენად, შესაძლებელია მას ლექსთწყობაც უწყობდეს ხელს.

\* \* \*

როგორც ვნახეთ, გიორგი ლეონიძე წინავითარების სახელთა საწარმოებლად უმთავრესად მიმართავს ნა-არ (ნა-ალ) აფიქსს, არცთუ იშვიათად — ნა-ევ-საც. ასეთი წარმოება სალიტერატურო ქართულისათვის ჩვეულებრივია. ამ შემთხვევაში მწერლის ენისეული თავისებურება მჟღავნდება აღნიშნული აფიქსებით საწარმოები სახელების სიუხვეში, რომლებსაც ხშირად უჩვეულო ფუძეებიდან აწარმოებს.

მწერლის ინდივიდუალური სიტყვაწარმოების ნიმუშია მხოლოდ ნა- პრეფიქსის გამოყენება წინავითარების სახელთა წარმოსაქმნელად.

გიორგი ლეონიძის ენისათვის დამახასიათებელია ნა- პრეფიქსიანი წარმოების ფართო ასპარეზი.

## VII. აბსტრაქტულ სახელთა წარმოება

ცნობილია, რომ აბსტრაქტულ სახელებს ქართულში აწარმოებენ -ობა, -ება და სი-ე აფიქსები. ამათგან უმთავრესად გამოყენებულია -ობა და სი-ე, შედარებით იშვიათად კი -ება.

-ობა სუფიქსიანი სახელები:

გ. ლეონიძის ენაში აბსტრაქტული სახელების უმრავლესობა საწარმოებია -ობა სუფიქსით, რომელიც დაერთვის სხვადასხვა ფუძეებს. ამისათვის შეიძლება გამოიყენოს:

1) არსებითი სახელი:

მონატრე მისი გოლიათობის (I, 122,2). ჩვენი ვენახი სულ მწიფობდეს სართვლო დარობით (II, 39,33). სხვა გზა არ უნდა, გარეშე მაისურ მაისობისა (I, 176,17). არც კქონდა ნაპერწყალობა (I, 187,70). მაშინვე პურობა გაიმართა (ნ., 120,8.) გულისმოსალხენი... ფერობა (ნ., 122,28). ვარდის ფურცლობის ნიშანი არი (I, 135,8). სძულს პურაძვირის ქაჯობა (ე., 550,6). ყვავილს ვერ ეგემნა თავისი ყვავილობა (ე., 531,9). პატარა ხალხის შვილობით კშვენი (II, 143,18).

2. ვითარებითი ზედსართავი სახელიდანაც არის ნაწარმოები აბსტრაქტული სახელები, რაც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გავრცელებული არაა:

ზარზოშობა შეიქმნა (ნ., 94,110. არც არავინ უთხოა კარგობა (ნ., 93,27). ლაღობა (II, 142,40. მრავლობა (II, 286,22). მუხანათობით განთქმულა (ე., 27,21). რბილობა (ნ., 69,27).

3) -ობა სუფიქსიანი აბსტრაქტული სახელების საწარმოებლად მწერალი იყენებს აგრეთვე მიმართებითი ზედსართავის ანუ წარმოქმნილი სახელების ფუძეებს.

ა) ქონების სახელებს:

-იან სუფიქსიანი: ალიანობა (ნ., 78,25). დარდიანობა (ნ., 34,12). მადლიანობა (ნ., 115,12). მთვარიანობა (ნ., 22,1). მძვლიანობა (I, 370,20. მწვანიანობის გამო (ნ., 34,29). პურიანობა (ნ., 137,17) არ გამშრალიყოს რძიანობით (II, 38,23). ფურცლიანობა (ნ., 122,28). ღვინიანობა (ნ., 137,17). ყანწიანობა (ნ., 53,14). შვილიანობა (ნ., 137,170. წვიმიანობა (I, 156,15).

-იერ სუფიქსიანი: ღონიერობა (I, 110,16).

-ოსან სუფიქსიანი: გვირგვინოსნობა (II, 264,1) მწვანოსნობა (ნ., 117,24). სახლოსნობა (ნ., 134,30).

ბ) უქონლობის სახელებს, უდარობა (ე., 605,5). უკბილობა (ნ., 83,17)7 უპასუხობით განწირულია (ე., 533,6).

გ) წარმომავლობის სახელებსაც ერთვის:

-ურ სუფიქსიანი: აღმასურობით (II, 91,30). ლაჟვარდულობა (ნ., 76,22). -იურ სუფიქსიანი: მზიურობით (I, 282,22). ციურობის (I, 356,18). ნიშნად საპატიურობისა (ნ., 211,13).

დ) ხელობის სახელთაგან: მე-ე: მესარკეობა (II, 23,16). მე-დროშეობა (II, 43,2).

მე-ურ: მეხორცულობა (ნ., 187,28).

ე) წინავეითარების სახელთაგან:

ნადვინებობას უჩიოდა (ნ., 12,1). სუფურის ნაწესობა არ იცოდა (ნ., 82,24).

ვ) სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან:

გაპქრება მზისობა (ნ., 117,24). მზისობა უჩანს თვითეულ ნაკვთში (ნ., 156,13). ერთმანეთისობას შევპირდით (ნ., 209,180).

4) ხშირია -ობა სუფიქსით აბსტრაქტული სახელების წარმოება სასუბიექტო და საობიექტო მიმღეობის ფუძიდან.

ფუძედ სასუბიექტო მიმღეობაა:

განმცდელმა (ნ., 134,28). დამბეჭდაობით (I, 325,9). დამბეჭვდელობით (I, 325,22). მნებელობა (ნ., 209,9). მზის მომფენობით ლამაზი (ე., 603,18). მპყრობელობა (ნ., 152,31). მსხმოაირობა (ნ., 137,18). მტეხიაობა (I, 148,10). მძლეობა (ე., 624,29). მცოდინარობა (ნ., 202,32). მადლობის შემწვივრელობით (I, 392,17).

ფუძედ საობიექტო მიმღეობაა:

ავსებულობა (ნ., 187,28). ავსილობა (I, 396,220). გამართულობა (I, 75,15). გარჯილობით (II, 211,27). გაწყობილობა (ე., 589,27). დაკლებულობა (ნ., 102,19). დაქცეულობა (ნ., 173,14). თქმულობა (ე., 565,27). მიზიდულობა (ე., 621,30). მიხედულობით (ე., 620,27). მონახაზობა (I, 46,14). ნაქონობით (ნ., 43,10). ნაჭედობა (ე., 23,8). სმეულობა (ნ., 81,7). ყრილობა (ე., 589,250). შეკეცილობა (I, 337,26). შემოჯოილობა (I, 68,15). შერყეულობა (ნ., 107,2). წვართულობა (ნ., 143,15). ჭმეულობა (ნ., 81,7).

მიმღეობის უარყოფითი ფლომებიდანაც იწარმოება აბსტრაქტული სახელები:

დაუდგრომლობავ (I, 180,40). დაუტევრობა (ნ., 127,17). უმშრალობა II, 77,14). უნახველობა (ე., 12,31). უსირცხვილობა (ე., 53,16). ურკვეულობაში (ნ., 121,34). უსაკმარობის გადიტანს წყლული (II, 147,13). უსაზრდელობა (ნ., 194,20). უსულგულობით (I, 355,27).

5) ძალიან ხშირად -ობა სუფიქსით აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებლად გ. ლეონიძე იყენებს თხზულ სახელებს – კომპოზიტებს. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორი სახელია კომპოზიტის მეორე, უკანასკნელი წევრი, რადგანაც მას უშუა-

ლოდ ერთვის -ობა სუფიქსი. ეს წევრი კი შეიძლება იყოს არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, წარმოქმნილი სახელი, მიმღეოდა.

მაგალითები ანბანის რიშზეა დალაგებული სწორედ ამ უკანასკნელი წევრის მიხედვით.

თანამიმღევრულად ვნახოთ აბსტრაქტულ სახელებად წარმოდგენილი კომპოზიტები, რომლის უკანასკნელი წევრი არის:

1) არსებითი სახელი:

გულვარდობით (I, 87,9). კარგაკცობა (ე., 599,21). მეტსიტყვაობას (I, 398,10). ფულურსიტყვაობაც უყვარდა (ნ., 205,35). მწარტყვეობაში (I, 312,18). ოქროსფერობით (I, 69,30). სხვაფერობა (ნ., 209,15). მოირხეოდა ნიაქპარობით (I, 162,14). შიოლას შევწიე ყმაწვილქალობა (ნ., 25,34). ერთმობას გაუმარჯოსო (ნ., 98,27). ერთხორცობა (ნ., 92,17).

2) ვითარებითი ზედსართავი სახელი:

როცა გულმძიმობას იგრძნობდა (ნ., 50,19). წელთამრავლობას (I, 362,17). პურტკბილობა (ე., 393,110). ზმატკბილობა (ნ., 122,29). ზორცტკბილობა (II, 130,8). ცხენფიცხელობა (I, 289,2). წყაცოტაობის ქაფი (I, 297,8). კელოდით წყალცოტაობას (ნ., 207,160). ფერწითელობის მსგავსებით (I, 322,13).

3) წარმოქმნილის ახელი:

სიტყვამზიანობასთან ერთად დაუთრობელიც იყავ (ნ., 78,17). ლექსქართულობა (I, 75,17). მზესზიურობის იყო მთოველი (I, 329,10); პირუმტკიცობა (I, 355,17).

4) მიმღეობა:

ა) სასუბიექტო მიმღეობა:

კარგამომტქმელობა (ნ., 102,20). მართლმავლობა (ნ., 180,12). ვერმამღრისობა (II, 275,10). თანამკვირობა (I, 198, 21). შიშმორჩილობით (II, 163,25). სახემწყრალობით (I, 374,4).

ბ) საობიექტო მიმღეობა:

გულანხნილობა (ნ., 33,32). მხარგაშლილობა (II, 252,22). თავდახსნილობა (I, 396,24). ზღაპართქმულობის დასდგეს გორანი (ე., 565,6). დაჭრილობა და ჭირნახულობა (ე., 563,30). ძვალწყობილობა (ე., 549,26).

მაშასადამე, აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელი -ობა სუფიქსი ფუძეთა შერჩევის მიხედვით საკმაოდ შეუზღუდავია. მისი საშუალებით აბსტრაქტული სახელები გ. ლეონიძის თხზულებათა ენაში იწარმოება არსებითი და ზედსართავი სახელებიდან, მიმღეობებიდან, წარმოქმნილი სახელებიდან, კომპოზიტებიდან.

- ე ბ ა ს უფიქსიანი სახელები

-ება სუფიქსი ფუნქციით -ობა-ს მსგავსია:

1) იშვიათად აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს არსებითი სახელის ფუძიდან. ისიც იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი ობიექტანფუძიანია: გეყოფა, მიწავ... უდაბნოება (II, 347,21).

2) თვით აბსტრაქტული სახელიდან, -ება ზელმეორედ აწარმოებს ამავე შინაარსის სახეს: სიტკბოება (I, 80,3). რა სიტკბოებით დამწიფებულა (I, 380, 21). რთვლის სიტკბოებით ნაბადაგები (II, 58,20).

3) ზედსართავი სახელიდან: და ჩაუარა ამპარტავნებით (II, 86,22).

4) წარმოქმნილი სახელებისაგან: უმთავრესად -იერ და -ოვან სუფიქსიანი ქონების სახელებისაგან:

ნეტავი მეც დამამღერა,  
იმ ხმოვანებით,  
ბაზალეთში რომ მღერიან  
ღერწმოვანები,  
იმ სიმღერის წმინდა ხმათა  
ვერცხლოვანებით,  
ვაი ვერ ვთქვი სიჭაბუკით;  
ვერც მხცოვანებით,

.....  
გალვიძებულ იმედების

ცეცხლოვანებით (II, 32).

გვაჩვენე შენი აზოვანება (I, 155,7). შვილიერება ჩემი დასრულდა (ნ., 45,2).

5) აბსტრაქტული სახელის ფუძედ -ება იყენებს მიმღეობასაც. სასუბიექტო მიმღეობიდან:

მღუღარება სულისა (ე., 622,22). რა იცოდი, ცივწყარო, ჩემი დამწყურვალება (II, 75,22). ღვინჯუა ეცა მწყურვალებით (ნ., 110,23). საობიექტო მიმღებოიდან: არსად შენებულა (II, 220,9).

6) ფუძედ გამოყენებულია კომპოზიტი, რომლის უკანასკნელი წევრი არის მიმღობა:

მსითვის ბრწყინავ შუქელვარებით (ე., 178,30. გულმღუღარებით დამღერდი აკვანს (II, 34,10). განა სისხლით იშოვება გორგასალის პირმშობა (II, 340,9).

\* \* \*

როგორც ჩანს, -ება სუფიქსიანი აბსტრაქტული სახელები შედარებით მცირეა, რაც -ობა სუფიქსის ასპარეზის გაფართოებას უნდა მიეწეროს.

### ს ი - ე ა ფ ი ქ ს ი ა ნ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი

გარდა სუფიქსური წარმოებისა, აბსტრაქტულ სახელებს ახასიათებს აგრეთვე პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება. ამის მაწარმოებელია სი-ე, რომელიც, როგორც წესი, დაერთვის ადიექტივის ფუძეს. ასეთი წარმოება გ. ლეონიდის ენისათვისაც ჩვეულებრივია, ამიტომაც მცირე ნიმუშებით დაგვამაყოფილდებით:

სიბასრე (II, 16,120. სიკაპასით (ნ., 95,5). სილაღე (II, 161,2). სიღურჯე (II, 44,24). სიმადრის ტუბუ (ნ., 189,5). სიმწვანე (II, 44,25). სიმხნე (ე., 55,2). სიჩაუქის (I, 424,5). სიმუნწეს (II, 221,10).

ფუძედ იყენებს აგრეთვე მიმღობას:

სიელვართ (I, 98,12). სიმწუხარეში (I, 262,10). სიმხიარულე (II, 72,3). სიუქმეში (II, 101,2).

განსაკუთრებით საინტერესოა ის მაგალითები, როდესაც მწერალი აბსტრაქტულ სახელებს სი-ე აფიქსით აწარმოებს არსებითი სახელის ფუძიდან. წესისამებრ -ობა სუფიქსიანი წარმოება უნდა გვკნონოდა ამ შემთხვევაში. ვნახოთ მაგალითები:

გულის სიალით (I, 338,3). გულის სიანდამატე (I, 106,14). დაჭკნა სივაჟის ყვაილი (ნ., 75,1). სივაჟის მოგებული არაფერია სინდისით მოგებულთან (ნ., 211,14). მაკრთობს სიმარცხე (II, 124,8). ნუ გეშინიან სიობლის (I, 151,18). გულის სიღამე (ნ., 173,13). სიყმაწვილის ფერი ელო (I, 219,6). სიცოცხლე არი სიცე-

ცხლე (II, 106,11). გიყვარდა გულის სიცეცხლე (II, 36,20). შმა-  
გურ სიცეცხლით (I, 272,26).

ერთ შემთხვევაში სი-ე დაერთვის არსებით სახელთაგან შე-  
დგენილ კომპოზიტსაც: ჩემი გულის სიქარბუქის (II, 97,7).

\* \* \*

მაშასადამე, გ. ლეონიძის ენის მიხედვით აბსტრაქტულ სა-  
ხელთა ყველაზე გავრცელებული მაწარმოებელია -ობა სუფიქსი;  
მის ხარჯზე შემცირებულა -ება-ს საწარმოქმნო უნარი.

გავრცელებით -ობა-ს ჩამოუყვარდება სი-ე აფიქსიანი წარმოება.  
ეს უკანასკნელი იმდენად პროდუქტიულია, რომ არსებით სახელთა  
ფუძეებიდანაც კი აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს: სივაჟე, სილა-  
მე...

## VIII. კნინობით სახელთა წარმოება

მართალია, „კნინობითის ფორმები არსებითად დაკარგა სალი-  
ტერატურო ქართულმა“ (შანიძე, 123), მაგრამ ისინი შემოუნახავს  
ქართული ენის დიალექტებს, კერძოდ, კახურს. „კნინობითის ფორ-  
მები მეტად გავრცელებულია კახურში, მაგრამ მათი წარმოება არაა  
მრავალფეროვანი. ძირითადად გამოყენებულია -ა სუფიქსი“ (მარტი-  
როსოვი, იმნაიშვილი, 1956, 116). ამ მხრივ საინტერესო მასალას  
იძლევა გიორგი ლეონიძის ენა, სადაც კნინობითი სახელების  
წარმოებისას იგრძნობა კახური დიალექტის გავლენა.

სალიტერატურო ქართულში კნინობითი ფორმების საწამრო-  
ებლად მიჩნეულია ა, აკ, ილ, უკ, უნ სუფიქსები (შანიძე, 121). ამ  
მხრივ გ. ლეონიძის ენაში ყველაზე ფართო გამოყენებას პოულობს  
-ა სუფიქსი, რომლითაც ნაწარმოებია მწერლის თხზულებების  
გმირთა საკუთარი სახელები და ზედსახელები (ამ უკანასკნელთა შე-  
სახებ დაწვრილებით ცალკე ვისაუბრებთ).

ბშირია -ა სუფიქსი დამცირების გამომხატველ ფორმებთან:

— ჩია თუ ქია? გინდაც ფთია იყოს! ერთი გოშია კაცი, უნდო  
ვილაც ყაყილა თუ ყაყლაჩა! და ზედ ქვასა და ქაცვს მიაყრიდა (ნ.,  
26, 6-7). ახლავს მჭადა აზნაური (ე., 536,10). ეს კაცია თუ ფლა-  
სის ნამეულა (ნ., 26,5) ნამლევა კაცი, უდლეურა (ნ., 85,25).

წარმომავლობის სახელებიდან ნაწარმოებ -ა სუფიქსიან სახელებში ზოგჯერ მოფერებით-კნინობითობაა გამოხატული სხვა საგანთან რაიმე ნიშნით მსგავსების მიხედვით:

**ხატულავ**, ჩემო **ხატულავ** (ნ., 91,20). ამ პატარა, გვრიტულა ბიჭუნამ... საბოლოოდ სამარე გაუთხარა ორი ადამიანის მტრობას (ნ., 64,17). ბეწვით ჰკიდინხარ, ციულავ, ცასა (II, 112,27).

ხშირია შემთხვევა, როდესაც კნინობით ა-ს წინ უძღვის ან:

შიგ მიჭვრიტანული კლდეშით სრიალებდნენ ელვამდგარი ცისარტყელები, ჩაცრილი ოქრო, **ლურჯანა**, ნარგიზფერი-ერთად (ნ., 193,27).

ალბათ **ყოყლოჩინას** ანალოგიით აწარმოვა მწერალმა **ღონღლოჩინა**.

გაფიცხებული არიგებდა ციციკორე წელიწვევტიას, დაბლურას, **ღონღლოჩინას** (ნ., 136,29).

ხელოვნური ჩანს ფორმა **ყაყაჩოვარა**:

ყაყაჩო ტყისა,

ყაყაჩო კლდისა,

ყაყაჩო მინდვრის, —

**ყაყაჩოვარა** (I, 203, 10).

კნინობით-მოფერებით ჩანს ქვემოთ ჩამოთვლილი სახელები:

**სხივნარა** ყვაილები (ნ., 172,26). საყურის თვალში ჩაჯდა **სხივნარა** (I, 421,18). ბურთივით მრგვალი ქვა, **სხივნარა** (ნ., 180,5). ძალიან უყვარს პოეტს გამოთქმა **სხივნარა დილა** (II, 79,30; ნ., 114,28). **სხივნარა** სამზეო (ნ., 122,26).

დიდხანს უგდებდა ყურს რაუდევა **ვერხნალას** შრიალს (ნ., 41,19).

ასევეა ნაწარმოები ფორმა **ნუშნარა**, რომელიც ამავე სახელოდების ლექსში გვხვდება ოცჯერ: (I, 194-199).

აღნიშნულ ფორმებში -ნარ სუფიქსს -ა-სთან ერთად კნინობით-მოფერებითი ფუნქციის ელფერი დაჰკრავს. მითუმეტეს, რომ **ვერხნალა** და **ნუშნარა** ამ შემთხვევაში **ვერხვებისა** და **ნუშების** კრებულს კი არ გვიჩვენებს, არამედ მწერალი ერთი ვერხვისა და ერთი ნუშის ხეს იხსენიებს **ვერხნალასა** და **ნუშნარას** ფორმით.

-იკ-ო: ელფეთერი ღვინის კაცი უფრო იყო, ვიდრე სულისა, თავქეიფა, **ლხინიკო**, ღვინის ხაპია (ნ., 9,11).

მწერლის ენაში გვხვდება აგრეთვე ქართულში ჩვეულებრივად გავრცელებული საალერსო მიმართვის ფორმები:

მაგრამ სად ვიპოვნე, დედილა, სადა (II, 101,101,6). აღრე, მამილო, მამაგულა (ნ., 21,10). ჩემო შროშანო, გვრიტინო (ე., 573,2).

კნინობითის ფორმები იწარმოება აგრეთვე კომპოზიტივებიდან:

-ა სუფიქსი დაერთვის კლმპოზიტის უკანასკნელ წევრს:

ალქალას, ოქროქალას... მეძახდნენ (ნ., 25,28). ჰეი, ძმაგულამ (ნ., 88,32). ნაბდიძველა (ე., 561,26). კონკიძველა (II, 211,4).

ზოგჯერ -ა სუფიქსი დაერთვის კომპოზიტის პირველ წევრს:

გულაკაუი (ნ., 56,28). თაფლატყეში (ნ., 188,23). პურაძვირის ქაჯობა (ე., 550,6). ცეცხლაპირა მსხდომარ ბავშვებს (II, 206,21). ცალარქად დადიოდა (ნ., 213,36). ესე ვივლი, ცალა-რქა ირემივით (ნ., 26,10).

-ა სუფიქსში დაერთვის კომპოზიტის ორივე წევრს: თავაქარა (ნ., 102,29).

\* \* \*

როგორც ვნახეთ, გ. ლეონიძის თხზულებათა ენაში კნინობითი სახელების წარმოებისას შეინიშნება კახური დიალექტის ზეგავლენა. კნინობითი ფორმების აფიქსებიდან „ბევრ მათგანს უფრო გადმონაშთის სახე აქვს, ვიდრე ცოცხალი მაწარმოებლისა“ (შანიძე, 124). მიუხედავად ამისა, როგორც კახურში, ასევე გ. ლეონიძის თხზულებათა ენაში ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს -ა სუფიქსი, რომელიც დღესაც შედარებით ცოცხალი, მოქმედი მაწარმოებელი ჩანს.

## IX. ხარისხის სახელთა წარმოება

ცნობილია, რომ „ხარისხის ფორმები ზედსართავთა კუთვნილება“ (იქვე, 142). ქართულში განარჩევენ ორი სახის ხარისხს — უფროობითსა და ოდნაობითს. ხარისხის ამ ორივე ფორმას თანამედროვე ქართულში ძირითადად თითო მაწარმოებელი გააჩნია.

გიორგი ლეონიძის ენა ხარისხის სახელთა წარმოებაშიც იძლევა საინტერესო მასალას.

## უფროობითი ხარისხის სახელების წარმოება

თანამედროვე ქართულში უფროობითი ხარისხის მაწარმოებელი უ-ეს აფიქსი. როგორც წესი, ეს სახელები უმთავრესად ნაწარმოებია ვითარებითი ზედსართავი სახელებისაგან. ამ მხრივ არც გ. ლეონიძის ენა წარმოადგენს გამონაკლისს:

**უმართლესი** (ნ., 204,31). **უმზნოლ** (II, 241,9). **უსუფთაესი** (შ, 46,13). **უციაგესი** (ნ., 158,7) და სხვა მრავალი.

უფროობით ხარისხს აწარმოებს ზმნიზედაც:

ყველა მწვერვალზე **უზედასეი** (I, 89,9). ახლა თვით მაღალ მთების **უმაღლეს** (I, 393,9). **უქვეითესი** უფსკრულის ფსკერი (II, 153,22).

ახალ ქართულში, ჩვეულებრივ, მიმართებითი ზედსართავები და ზედსართავის როლში წარმოდგენილი მიმღებობები უფროობითი ხარისხის ფორმებს ვერ აწარმოებს (იმნაიშვილი, 1957, 450). გ. ლეონიძე კი მათგანაც აწარმოებს ხარისხის ფორმებს.

მიმართებითი ზედსართავები:

**უსაღვთოესი** შუქბრწყინვალებით (II, 335,13). **უსაღვთოესი**, მყოფადი ოცნება ახლა თითქოს ზორციელდებოდა (ნ., 189,7). მისი ნაკვეთი **უშიგანაგესი** (II, 72,270). **უცისროვნესი** ქალწული (II, 312,13). **უცისკროვნესს** (II, 190,24).

მიმღებობები:

ჩემზე **უმაზლობლესი** ვინა გყავს (ნ., 213,7). ამაზე **უსანატრესი** (ნ., 189,13). **უცხადებულესად** ვხედავდით ყოველივეს (ნ., 98,8). ისიც ასე **უცხადებულესად** (ნ., 98,8). **უსაწადლესი** ნატვრა (ნ., 194,9). რა **უსაწყუვილესი** იყო სოფელი (ნ., 190,1). ნესტარზე მწვავედ **ეუმკვეთესა** (II, 130,11).

ზემოთ ჩამოთვლილი ფორმები დღევანდელი ქართულისათვის შეუფერებელ წარმოებისად არის მიჩნეული, ხოლო ძველი ქართულისათვის — ჩვეულებრივად და ნორმალურად (იქვე, 450-451). გ. ლეონიძესთან კი, როგორც ვხედავთ, თანამედროვე ქართულისათვის ეს უჩვეულო ფორმებიც გვხვდება. მწერალს ისინი მექანიკურად, ხელოვნურად კი არ უწარმოებია, არამედ ძველ ქართულში გავრცელებული წარმოება გაუცოცხლებია.

თუმცა უფროობითი ხარისხის ფორმების წარმოება ძველ ქართულში უფრო მეტად იყო გავრცელებული, ვიდრე ახალ ქართულში (იქვე), გ. ლეონიძე ხარისხის სახელებს აწარმოებს იმ სახელებიდანაც კი, რომლებიდანაც ხარისხის წარმოება სრულიად უცხო იყო ძველი ქართულისათვის და არც ახალ ქართულშია გავრცელებული. საქმე ეხება არსებითი სახელებიდან უფროობითი ხარისხის ფორმების წარმოებას. ქართულში არსებითი სახელებიდან უფროობითი ხარისხის ფორმათა წარმოების არსებობის ფაქტი შენიშნულია. სპეციალურ ლიტერატურაში ამის შესახებ ნათქვამია: „გამონაკლისის სახით, იშვიათად არსებითი სახელებიც კი გვხვდება ხარისხის ფორმით. უკანასკნელი წარმოქმნილია ანალოგიით და, რა თქმა უნდა, ეს წარმოება ვერ ჩაითვლება ჩვეულებრივად, იგი ხელოვნურია და ხმარობენ, როდესაც სურთ მსგავს საგანთა შორის რომელიმე გაზვიადებულად, უდიდესად წარმოადგინონ. თანაც ასეთ შემთხვევაში ხარისხი კიდევ უფრო გასაძლიერებლად ჩვეულებრივ იგივე სახელია ხოლმე გამოყენებული შესადარებლად; მაგალითად:

ტირანთა უტირანესად (დილ. 76,15); კვლმწიფეთა უკვლმწიფესი (დილ. 233,5); მთვარეთა უმთვარესი (ვისრ. 156,17); მნათობთა უმნათობესს (დილ. 538,6) და სხვა. უკანასკნელ ორ მაგალითში „მთვარე“ და „მნათობი“ წარმოშობით არსებითი სახელები არ არის, მიმღეობებია, მაგრამ აქ, რასაკვირველია, ისინი გაგებულია უკვე როგორც არსებითები“ (ზურაბიშვილი, 1957, 139).

გ. ლეონიძესაც აქვს ერთი ასეთი მაგალითი:

მისი ხმა ვერცხლზე უვერცხლესია (II, 169,9).

დანარჩენ შემთხვევაში კი არსებითი სახელიდან ნაწარმოებ ხარისხის ფორმებს არ ახლავს იგივე, შესადარებელი სახელი.

უოქროესი ქვა იყო (ნ., 181,21). ჩემს სტრიქონებზეც მთვარე არი გადამდნარი – უოქრესი, უბროლესი უსუფთაესი (I, 46,13). უთეთრესი უბროლესი, ულურჯესი და უოქროესი ანკარა თაფლისა და რძის ნიაღვარშხეფი გადმოსჩქეფდა თქართქართით (ნ., 194,1). სავალი მისი უეკლესია (II, 169,13). ვიტყვი, მამავ, უმამესო (II, 57,180). სწორუპოვარი თამადა იყო, უტოლუშბაშესი (ნ., 89,26). ჩვენი უსასოესი მასპინძელი (ნ., 208,32).

უფროობითი ხარისხის შინაარსის შემცველია აგრეთვე ხარისხის ე. წ. აღწერითი წარმოება. ასეთი წარმოება ხარისხის ფორმად ვერ ჩაითვლება (იქვე, 131).

გ. ლეონიძე მიმართავს ხარისხის აღწერითი წარმოების რამდენიმე საშუალებას:

1) არაიშვიათად უფროობითი ხარისხის ფორმას ახლავს შესადარებელი სახელი. ეს უკანასკნელი თანამედროვე ქართულში თითქმის ყოველთვის -ზე თანდებულის მიცემითშია (იქვე, 158-159).

დაწვი მონარგიზული ნარგიზზე უადრესად (II, 217,18). მარგალიტზე უთეთრესი (ნ., 160, 25-26). იყავ კლდეზე უმაგრესი (ე., 398,6). თვით წამწამზე უმაღლეს (II, 110,8). ყველა მწვერვალზე უმაღლესი (II, 85,17). რკინის კლდეზე უმტკიცესი (II, 282,20). ობობას ქსელზე უსუსტესია (I, 392,27). ზეცა ბროლზე უსუფთაესი (II, 141,13). ცამ ბროლზე უსუფთაესმა (I, 88,22). არ მივიჩნევდი შენზე უტკბესად (I, 88,6). უტურფესი საქართველოზე (ე., 8,11). გული სხვის გულზედ უცხელესია (II, 25,5). მზე, მარჯანზე უწითლესი (I, 42,240). დაფნის გვირგვინზე უწმინდესია (I, 367,23).

2) შედარებით ხშირია დადებითი ხარისხის ვითარებითი ზედსართავითა და მასზე დართული -ზე თანდებულის შესადარებელი სახელით ხარისხის აღწერითი წარმოება. ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ შესადარებლად ერთი და იგივე სახელებია:

ცხოვრება გვაქვს ბნელზე ბნელი (II, 207,10). და სხვა მრავალზე მრავალთავანი (ე., 564,26). ყველა წმინდანზე დიდი წმინდანი (ე., 567,25).

3) ორი ერთი და იგივე არსებითი სახელიდან პირველი ნათესობითია:

მზის მზევე, მოგვხედე (II, 294,19). მზეთამზის ელვათანი (I, 196,19).

4) მსგავსადევა ნაწარმოები ერთ-ერთი მიმღებობიდან:

ჯანით მრეთა-მრე (ნ., 17,9). შიშშილი მრეთა მრეგია (ე., 570,28).

ქართულში შესადარებელი სახელი შესაძლებელია იყოს ნათესაობით ბრუნვაშიც; ეს მოვლენა ძველი და საშუალო ქართულისათვის ჩვეულებრივია, ხოლო ახალ ქართულში ძალიან იშვიათად გვხვდება (ზურაბიშვილი, 154-155). გ. ლეონიძის თხზულებათა ენაშიც დასტურდება რამდენიმე მსგავსი მაგალითი:

ქვის უმტკიცესი მხედარი (II, 51,6).

ახლა თვით მაღალ მთების უმაღლეს

დაქპროლა ხალხის დიდმა სურვილმა (I, 393,9).

მაშის უტკბესად იღებდა სტუმარს (ნ., 79,35).

თუ გძინავს, — ჰღვიძავს შენს სახელს

უფხიზლესს ქარიშხალსა,

თუ გძინავს — ჰღვიძავს შენს საქმეს,

უმხნეს მოქნეულ ხმლისა (ე., 10).

გარდა უ-ეს აფიქსისა ქართულში ხარისხის მაწარმოებელია აგრეთვე უ-ე, რომელიც ახასიათებდა ძველ და საშუალო ქართულს. დღეს კი ზოგიერთ დიალექტშია შემონახული 9შანიძე, 145. ძოწე-ნიძე, 1952, 85; ზურაბიშვილი, 140-141).

გ. ლეონიძის თხზულებათა ენაში შეგვხვდა უ-ე აფიქსით ნაწარმოები რამდენიმე უფროობითი ხარისხის ზედსართავი:

მათზე უდიდე რით იყვნენ (I, 282,17). არწიეთ უმაღლევ (II, 286, 25). მინათე ღამე, მაგ თმის უშავე (II, 91,28).

ეს უკანასკნელი ფორმა უნახავს აგრეთვე ივ. გიგინეიშვილს, რომელიც წერს: „გ. ლეონიძის ლექსში „თუშაია“, რომელიც გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1965 წ. 24 დეკემბრის ნომერში (52) დაიბეჭდა, ასეთი ადგილი მოიპოვება:

ალვა ალვანს ამოსული,

სპეროზას მზე თუშაია,

პირი სხივით უკამკამებს,

თმა გიშერზე უშავეა.

ეს „უშავე“, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ორდინარულ ფაქტად; იგი ამ არქაული ფორმის გამოყენების თუ ერთადერთი არაა, ერთ-ერთი უიშვიათესი შემთხვევათაგანია თანამედროვე ქართული პოეზიის ენაში“ (გიგინეიშვილი, 1966, 51).

ცხადია უდიდე, უმაღლევ და უშავე არქაული ფორმები არაა გიორგი ლეონიძის ენისათვის სპეციფიკური. მათი ხმარება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, თუ რამდენად ღრმად სწვდება მწერალი ბართული ენის ბუნებას და რამდენად შეუზღუდავად იყენებს მის სიტყვაწარმოებითს შესაძლებლობებს.

ხარისხის ფორმალა მიჩნეული აგრეთვე ე. წ. ოღნაობითი ხარისხი, რომელიც საგნის ნიშანს გამოხატავს შედარებით ნაკლები ოღნაობით. მისი მაწარმოებელია მო-ო აფიქსი. „ოღნაობითი ხარისხის ფორმები ყველა ზედსართავისაგან არ იწარმოება, მისი წარმოქმნა, როგორც ჩანს, ძირითადად ფურისა და სილიდის აღმნიშვნელი ზედსართავებისაგან ხდება" (ზურაბიშვილი, 137). გ. ლეონიძის ენაშიც უმთავრესად ასეთი წარმოებაა.

მეორე მოლაფვარდოა (I, 220,6). მობნელმწვანო, მსუყე ფერით (II, 283,10). იღვა თეთრმოვარდისფრო კაბაში (ნ., 161, 14-15). ორიოდე შემთხვევაში მწერალი ოღნაობითი ხარისხის ფორმებს აწარმოებს სხვა სახის ზედსართავთაგანაც:

ცალი ხელით მოძველო ქოლგა ეჭირა (ნ., 21,6). ჩვენი ფორე მობერკაცო გახდა (ნ., 192,5).

ზოგჯერ მო- პრეფიქსის ნაცვლად ოღნაობითი ხარისხის ფორმებში გვხვდება იმავე ფუნქციის წა-, ე. ი. გვაქვს წა-ო აფიქსი: შორს წალურჯო ნისლი მოჩანს (II, 190, 13). შორს წალურჯო ბურში ჩანდა (II, 245,14).

მო- და წა- წარმოშობით სათანადო ზმნისწინებად არის მიჩნეული (შანიძე, 143).

\* \* \*

როგორც ვნახეთ, გიორგი ლეონიძე ხარისხის წარმოებისას მაქსიმალურად იყენებს ენის შესაძლებლობებს. ამისათვის იგი მიმართავს როგორც აღწერითს საშუალებებს, ისე — წარმოქმნითს. თუმცა გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ახალ ქართულში" აღწერითი წარმოება უფრო მეტ ადგილს იჭერს, ვიდრე წარმოქმნილი ხარისხის ფორმები" (ზურაბიშვილი, 181), გ. ლეონიძის ენაში ეს უკანასკნელიც საკმაოდაა გავრცელებული და საინტერესო თავისებურებებით გამოხატული. ეს თავისებურებანი ეხება უმთავრესად უფროობითი ხარისხის წარმოებას.

მწერლის ენაში უფროობითი ხარისხის სახელების საწარმოებლად გამოყენებულია როგორც ვითარებითი, ისე მიმართებითი ზედსართავი სახელი, აგრეთვე ზედსართავის ფუნქციით ნახმარი მიმღობა. მეტად თავისებურია არსებითი სახელებიდან ხარისხის

წარმოებაც. თანამედროვე ქართულისათვის მოსალოდნელია აგრეთვე უფრობითი ხარისხის სახელთან შესადარებელი სახელის დასმანათესაობით ბრუნვაში, რაც გ. ლეონიძის სხვაუბლებშიც გვხვდება, თუმცა კი იშვიათად.

მწერალი უკან არ იხევს აგრეთვე ცდილე, უმაღლე, უმავე არქაული ფორმების წინაშე. ცხადია, ეს იმდენად არქაული ფორმების წარმოება არ არის, რამდენადაც მზამზარეული არქაული ფორმების გამოყენება.

## ა დ გ ი ლ ის ს ა ხ ე ლ თ ა წ ა რ მ ო ქ მ ნ ა

ქართულში გეოგრაფიულ სახელთა ძირითადი მაწარმოებელია --თ სუფიქსი. „ამავე სუფიქსის დართვითაა წარმოქმნილი: ვარდ-ეთ-ი, თოვლ-ეთ-ი, სიზმრ-ეთ-ი, მკვდრ-ეთ-ი, შავ-ეთ-ი, რომლებიც უპირატესად მხატვრული ლიტერატურის ენაში გვხვდება და საერთო გავრცელება ჯერ არ მოუპოვებია" (ტუსკია, 1969, 28). გ. ლეონიძის მხატვრულ ენაში კი მსგავსი წარმოების სახელები საკმაოდაა გავრცელებული.

მწერალი -ეთ სუფიქსით აწარმოებს არა კონკრეტულად რომელიმე გეოგრაფიულ პუნქტის აღმნიშვნელ სახელებს, არამედ ე. წ. „საიქოს სახელებს" (შანიძე, 140), მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს გამომხატველ სახელებს, ამა თუ იმ თვისებით თუ საგნებით მდიდარ მიდამოს, ბუნების მოვლენებისა თუ პიროვნების ბატონობის სფეროს, სამფლობელოს...

ენახოთ მაგალითები:

ვაზნაოლ და ატამეთო (I, 109,1; I, 109,140. აშკარეთი ვგონებ ჰქვიან, ვგონებ უფრო შაქ-შაქეთი (ე., 387,7). გრიგალეთი ზეიმობდა (ნ., 105, 27). ტახტი ირყევა ვახტანგეთისა (II, 287,25). სულ აირია ზემოეთი, ქვემოეთი (ნ., 106,34). თოვლეთში, ხორშაკიანში ლოგინად ქვიშის მგებელი (II, 50,18). თოვლეთური ქარიშხალი მთებზე ჰყოიდა (ნ., 106,40. თოვლეთური თოვლის ფერი (II, 236,10). შენ, მტრედონა თოვლეთური (Iშ, 54, 16). მზიანეთის სხივფენარა აღნაკადი (ნ., 156,7). მკვდრეთით გამოძახება (I, 276,20). წამოდგა მკვდრეთიდან (ნ., 111,16). სად მოუსაველეთში... წაიღო შალის მტვერი (ნ., 74,27). მიყვარს არწივთა სამშობლო, არწივიანი, ორბეთი (I, 161,6). სადაც ზღვას დასცქერს მთიდან ორ-

ბეთი (ე., 542, 16). ენა თაფლით უნდა ჰქონდეს სველი, **ოქრობაგეთი** უნდა იყოს (ნ., 80,5). ქალმა ჰლიმნა, რა უნდოდა ცხადად ეთქვა **ოქრობაგეთს** (II, 270,18). ველარ ვნახე **ტბეთი** შატბერდი (I, 308,4). ქარი სტამბოლს მიდიოდა — **ქაჯაგეთის** ქაჯი (I, 248,11). მარგალიტი ხის ზღვის **ქვეშეთისა** (II, 229,10). **ქვეშენითიდან** ყრუ მოძახილს (II, 275,4). ვინ იცის, რა დუხჭირშია **ყინულეთში** (ნ., 95,6). საიქიოში ჩირიკმა უნდა შემიღოს **შავეთის** კაგები (ნ., 61,34). იქნებ მუსიკა ესმის **შორეთის** (II, 83,19). მოვიარე **ცისქვეშეთი** (II, 97,2). ხმელეთი, **წყლეთი**, სულ გაყინულიყო (ნ., 107,18). მართლაც **წამიეთია**, წუთის ქვეყანაა (ნ., 24,25). ვინა ხართ, ვის **ხელქვეშეთი** (II, 274,5).

შედარებით იშვიათად იყენებს მწერალი **სა-ეთ** აფიქსს:

ან რა ქვეყანა ვართ? — **სამგლეთი**, ფილისტერების ქვეყანა (ნ., 131,25). რატო **საქალეთის** სადღეგრძელო არ დალიეო (ნ., 100,31). **საქალეთზედა** იყო მიმდგარი სახელოვანი გვარი (ნ., 69,8). სულ დავცალო **საჭურჭლეთი** (ე., 400,24).

ადგილის სახელებს აწარმოებს აგრეთვე **-ობ** სუფიქსი (ტუსკია, 28). ა. შანიძის აზრით, სწორედ ეს **-ობ** შედის აბსტრაქტულ სახელთა **-ობა** სუფიქსის შემდგენლობაში. იგი აქვე აღნიშნავს: „დამოუკიდებლად **-ობ** სუფიქსი რამდენიმე სიტყვაში იხმარება; ესენია: მალლ-ობ-ი, (მ) დაბლ-ობ-ი, ფერდ-ობ-ი, გვერდ-ობ-ი, ბექ-ობ-ი, ანუ ბეგ-ობ-ი (ბეგობა, ყაზ. 883). ამავე წესით ახლად გავრცელებულია: ფართ-ობ-ი.

იგივე სუფიქსი ჩანს აგრეთვე: ჭა-ობ-სა, ჭყანტ-ობ-სა და ჭილ-ობ-ში (ჭილობი, ჭილოფი — ჭილისაგან მოქსოვილი საფენი). ესენი ყველა კონკრეტული მნიშვნელობის მატარებელი არიან" (შანიძე, 132).

მსგავსი წარმოებისაა გ. ლეონიძის თხზულებებიდან დამოწმებული მაგალითები:

შენი სახელი მუდამ მზით არი, როგორც მაისის დილის ველობი (I, 325,19). კოწიაობით გამეზრა ნამქერის **ხერელობში** (ნ., 107,26). — სად არის ეგ წყარო? — **თეთრობიანის** მთებში (ნ., 10,8). იწვოდა დუბიანი, მზისაგან დამწვარი **წითლობი** (ნ., 160,11).

როგორც ვნახეთ, გიორგი ლეონიძის თხზულებათა ენობრივი თავისებურებანი სისრულით გამოვლინდა სახელთა წარმოქმნის სფე-

როშიც. მწერალი შესანიშნავად გრძნობს ქართული სიტყვის სემანტიკურ თუ სიტყვათწარმოქმნითს ნიუანსებს. იგი მაქსიმალურად იყენებს ქართული ენის სიტყვაწარმოებით შესაძლებლობებს სახელთა წარმოქმნისას. საამისოდ იგი მიმართავს აფიქსთა აქტივიზაციას: თანამედროვე ქართულში გავრცელებულ აფიქსებს კიდევ უფრო უფართოებს ისედაც ვრცელ ასპარეზს (მაგალითად, -იან, -ა). ლეონიდის ენაში დიდად პროდუქტიულია ი-ნა, -ურ მაწარმოებლები. დღეისათვის ნაკლებპროდუქტიულ სუფიქსებს (-ოსან, -ოვან, -იერ) თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც უკაფავს გზას.

ამასთანავე სახელთა წარმოქმნელ აფიქსებს გ. ლეონიძე ურთავს უჩვეულო ფუძეებს, რითაც ქმნის სრულიად ახალ, ანდა სემანტიკური ნიუანსებით განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულებს.

სახელთა წარმოქმნელ აფიქსთა პაქტივიზაციასა და უჩვეულო ფუძეთა შერჩევაში მულავენდება გიორგი ლეონიძის ენის ლექსიკური და ფუნქციური თავისებურებანი.

### ლიტერატურა

ივ. გიგინეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ზოგი ადგილის წაკითხვისათვის ქართულში ზედსართავ სახელთა და შედარებით-ალმატებითი ხარისხის ფორმათა წარმოებით თავისებურებებთან დაკავშირებით, იკე, ტ. XV, 1966.

А. И. Ефимов, О языке художественных произведений, Москва, 1954.

ი. ზურაბიშვილი, ხარისხი ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 67, თბ., 1957.

ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ. 1957.

ალ. მანუგალაძე, სუფიქსისათვის ძველ ქართულში, იკე, V, 1953.

არ. მარტიროსოვი, ვრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.

მ. ტუსკია, სახელთა წარმოქმნის ზოგიერთი აფიქსის ფუნქციები და გავრცელებულობა თანამედროვე ქართულში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1969.

აღ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964.

აღ. ღლონტი, ლიტერატურული ენის საჭესთან, „ლიტერატურული გაზეთი“, № 52(1170), 1959.

აღ. ღლონტი, ლექსიკოგრაფია, თბ., 1964.

ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები (შემდგენი, საფუძვლები), თბ., 1953.

ა. შანიძე, საფუძვლები, I. თბ., 1953.

შ. ძიძიგური, ქართული ენის ლექსიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია, თბ., 1956.

შ. ძიძიგური, კვლავაც უღერდეს პოეტის ენა, გაზ. „თბილისი“, № 305, 1959.

ქ. ძოწენიძე, ზემომერული კილოკავი, აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სეხელმწ. პედ. ინსტ. შრომები, XI, 1952-53.

არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1957,

არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

### გამოყენებული თხზულებანი შემოკლებათა განმარტებითურთ

ე. გ. ლეონიძე, ერთტომეული, თბ., 1954.

I, გ. ლეონიძე, თხზულებათა კრებული, ტ. I, 1962.

II, გ. ლეონიძე, თხზულებათა კრებული, ტ. II, 1963.

ნ. გ. ლეონიძე, ნატკრის ხე, თბ., 1964.

## მიმღეობის წარმოების თავისებურებანი ბიორგი ლეონიძის მნაში

თანამედროვე ქართულში მიმღეობის წარმოებისას მწერლის ენისეული თავისებურებების გამოვლენა თითქოს არც კია მოსალოდნელი, რადგანაც „ძველსა და ახალ ქართულს (ვეგულისხმობთ XII-XX ს.ს. ქართულს) შორის მიმღეობის წარმოების მხრივ არსებითი ხასიათის სხვაობა არ დასტურდება იმიტომ, რომ მიმღეობათა წარმოების ჩამოყალიბების პროცესი ძველ ქართულიშივეა დამთავრებული.

ძველ ქართულში დადასტურებული მიმღეობის წარმოების ყველა ტიპი ახალ ქართულშიც გვხვდება, მაგრამ ზოგიერთი მოქმედების არე შეზღუდულია. ეს წარმოების ის ტიპებია, რომლებიც ძველ ქართულშივე არ იყო პროდუქტიული" (I, 195-196).

მიუხედავად ამისა, გიორგი ლეონიძის ენას ამ სფეროში რამდენიმე საინტერესო თავისებურება ახასიათებს. ეს თავისებურებანი კლინდება ახალ-ახალი ლექსიკური ერთეულების შექმნასა და მიმღეობის მაწარმოებელ აფიქსთა აქტივიზაციაში.

### სასუბიექტო მიმღეობა

ქართულში სასუბიექტო მიმღეობა იწარმოება ოდენ პრეფიქსით ან პრეფიქს-სუფიქსით. პრეფიქსებად გამოყენებულია მ-, მა-, მე-, მო-; სუფიქსებად კი -ო -ალ -არ, -არე, -ელ, -ე, -ურ (-ულ). ამ აფიქსებს მეტნაკლები ინტენსიურობით იყენებს გიორგი ლეონიძე,

1. ოდენ მ- პრეფიქსი შეიძლება დაერთოს ზმნის უთემისნიშნო ფუძეს: საღლა იყო სოფლის მღეგი (ნ., 152,31); მისი მშვენებით გულის გამგმირი (II, 24,25); ცხელ ფოლადის გამომჭედი (ე., 137,18); არწივულად მღლა მხედი (ე., 137,16).

ოდენ მ- პრეფიქსიანია აგრეთვე ზოგიერთი -ავ თემისნიშნის მიმღეობა: მე ოქროს ძაფის ვიყავ მნასკვაკვი (II, 102,4);

მლეობა უწარმოებია მე-ე აფიქსით: მათ მენახსოვრე, ვინაჰყავთ (I, 282,15); მენახსოვრე (ე., 583,3)...

ასევე არაპროდუქტული მე-არ და მო-ელ :

მე-არ : თუ არ შეთი, მეშფოთარი,  
მმის სისხლს მაშ ვინ მოიწყურებს (II, 236,17).

მო-ელ : დლე-ღამე მოსაკმობელი (I, 117,5).

11. პოეტრი მო-არ (მო-ალ) აფიქსიან წარმოებასაც მიმართავს: ყაბახის მობურთალები (I, 236,10); იყო სიტყვა მორიდალი (II, 67, 28); ჭიანჭველის მორიდალი (ე., 537,4). წელან მორცხვი, მოშიშარი (ე., 596,24); სიკეთის მოჩემარი ქორიაც იფერებდა (ნ., 209,28); ჩირიკი ჩემი მამულის მოჩემარიო (ნ., 58,22).

12. მო-პრეფიქსის შემცველ მაწარმოებელთაგან შედარებით ხშირია მო-ე, რომელიც მიმლეობას უმთავრესად აწარმოებს მედიოაქტიურ ზმნათა ფუძეებიდან (4,598-599); სამშობლოს დარდით მოავადე (ნ., 185,270; ერთად მობრიალე (I, 81,25); ლალს მობდღვრიალეს (II, 20,5); ქონებითაც ერთმანეთის მოთანასწორენი (ნ., 78,17); მოედნები მომკივანე (II, 67,8); კეთილის მოწადე (ნ., 85,14); მოაზარფეშე კაცია (II, 139,6); მზე ამოდის მოერთბაშე (II, 190,31); ნულარ ხარ უფლის მონისიავე (ე., 566,26); და ჯალათი, სულის მხელი, დღევანდელდის მოწესეა (ე., 615,25); მუდამ სხვისი სუფრის მოჭაშნიკე (ნ., 83,35); მოხათრე... გუთნისდელა თარიმანი (ნ., 85,14); მოხათრე გლენმა გაუბედავად შეახო ხელი (ნ., 189,17). არც მოერთგულე, არც თანახმანი (I, 395,19); ყვიროდნენ ქათათას მოერთჯამენიც (ნ., 101,8)...

მიმლეობის მ-ე და მო-ე აფიქსებით წარმოების შესაძლებლობას ზოგიერთი მკვლევარი საეჭვოდ მიიჩნევს. ალ. ღლონტი აღნიშნავს: „არის კიდევ აფიქსთა ერთი რიგი (მაგ., მო-ე, მ-ე და მისთ.), რომელსაც მკვლევარები უკავშირებენ მიმლეობას, მაგრამ მათთვის სპეციფიკური არ არის და საერთო სიტყვაწარმოქმნისთვისაა გამოყენებული (5,100). გიორგი ლეონიძის სიტყვათქმნალობა კი ამ შემთხვევაშიც რამდენადმე შეუზღუდავია.

## -ა სუფიქსიანი სასუბიექტო მიმღობა

-ა სუფიქსითაა ნაწარმოები „ნაცარქექიას“ ტიპის მიმღობები. წარმოებით იგი „მიმღობის ფორმა არ არის, მაგრამ შინაარსით მოქმედებითი გვარის მიმღობას უახლოვდება“ (4,602). გ. ლეონიძე არც თუ იშვიათად მიმართავს მსგავს ფორმათა წარმოებას, რის საფუძველსაც სასუბრო ქართული და კახური დიალექტი აძლევს: ქარიბღერტია (I, 352,8); კორდიგლეჯია (II, 222,8); ნივრიგლეჯია (ნ., 26,21); ენაკეცია (ნ., 166,16); წვერიკვნეცია (ნ., 203,4); წვერიკმაზია (ნ., 183,22); კიტრიპარია (ნ., 27,26); ჩიტირეკია (ნ., 91,23); ქარიფანტია (ნ., 183,29); კევიღეჭია (ნ., 166,15); ქართველთყალპია (ნ., 173,19); ქარიყლაპია (I, 331,5); სოფლისყლაპია (ნ., 142,18; ნ., 141,19); წელი წყვეცია (ნ., 82,23; ნ., 136,29); ღვინის პარია (ნ., 9,12); ბადიხეცია (ნ., 141,28); ქვაფქვია (ნ., 87,20)...

„ამ ტიპის მიმღობებში პირდაპირი ობიექტი ზოგჯერ დაკარგული ჩანს. ზოგჯერ შეიძლება არც იკარგებოდეს. ყურადღებას იქცევს ფორმა „მიკვირია“ (6,258). გიორგი ლეონიძის თხზულებებში სულ რამდენიმე ასეთი მიმღობა შეგვხვდა: მიკვირია კაცი (ნ., 85,11); ღეჭია მეველე (ნ., 85,24); ზლაზნია ნისლი (ნ., 132,5); რათა ზარ სხვისი ჩხრეკია (ნ., 142,22).

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, „ნაცარქექიას“ ტიპის მიმღობებში -ა კნინობითის ნიშანია (7,180). ამ საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ წერილში ფარნაოზ ერთელიშვილი აღნიშნავს: „ნათელია, რომ ეს -ა მიმღობის მაწარმოებელ ელემენტად უნდა მივიჩნიოთ. ეს იგივე -ა ჩანს, საწყისებს რომ აწარმოებს: წერ-ა, შენებ-ა და ა. შ. ბოლოკიდური -ა საერთოდ ზმნებიდან სახელების (ნაზმნარი სახელების) მაწარმოებელ ელემენტად უნდა ვიგულოვოთ. ამიტომ შეიძლება გვქონდეს იგი საწყისშიც და მიმღობაშიც“ (6,2570).

თუ ამ ტიპის მიმღობათა შინაარსს ჩავუკვირდებით, ვნახავთ, რომ ისინი გადმოგვცემენ ადამიანის თუ საგნის ამა თუ იმ თვისებას, ჩვეულებას. „ნაცარქექია“ მიუთითებს პიროვნებაზე, რომელსაც ნაცრის ქექვა აქვს ჩვეულებად, რომელიც ნაცარს ჩვეულებრივ ქექავს“ (6,255).

მაშასადამე, ჭამია, ყლაპია, პარია, ქექია... ფორმებში -ა გვიჩვენებს, რომ ესა თუ ის „ჩვეულებრივი მოქმედება“ ახასიათებს, აქვს, ეკუთვნის ამა თუ იმ პიროვნებას, საგანს. -ა კუთვნილების, ქონების გამოხატველია.

დასახელებული ტიპის მიმღობათა -ა-ს დაკავშირება ქონების სახელთა მაწარმოებელ -ა-სთან გამართლებული ჩანს ენის ისტორიული განვითარებითაც. ხომ ცნობილია, რომ მიმღობა თავისი საწარმოებელი აფიქსებით დიდადაა დავალებული სახელებისაგან. „მიმღობიდან კი არ გადასულა არსებითსა და ზედსართავ სახელებში ეს აფიქსები, არამედ, პირუკუ, მიმღობის საჭიროებისათვის იღებენ იმას, რაც უკვე გამოიყენებოდა არსებითსა და ზედსართავ სახელებში.

ეს აფიქსები პირველადია სახელებისათვის, მეორეული - მიმღობისათვის.

მიმღობას არა აქვს არც ერთი ისეთი საწარმოებელი სუფიქსი, რაც არსებითს (და ზედსართავ) სახელებში არ გვქონდეს" (3,112).

ცხადია, ზემოთ დასახელებულ მაგალითებში -ა სუფიქსი ფორმით მიმღობის მაწარმოებელია და შინაარსით ქონებას, კუთვნილებას გამოხატავს.

### **ნამყო დროის გამოხატვის შემთხვევები სასუბიექტო მიმღობაში**

ცნობილია, რომ სალიტერატურო ქართულში სასუბიექტო მიმღობა აწმყო დროისაა. მას არა აქვს ნამყო და მყოფადი დროის გამოხატვის უნარი (1,188).

გ. ლეონიძის ენაში საინტერესო ფაქტს ვხვდებით ; სასუბიექტო მიმღობას მწერალმა „შეამღებინა“ ნამყო დროის გამოხატვა. ენახოთ მაგალითები: აღარავის აღარ ჰქონდა გული ნამტკივარი (I, 249,2); ავადმყოფი აბესალომ ჩვენ მოგვყავდა ნამტკივარი (I, 227,2); ნამტკივნი გული ლაპარაკობს, განა მე (ნ., 28,33); ვიჭერდი უანკესოდა, მთვარის ნამქრალი ზოლითა (I, 236,26); თუ ჩემს ლექსებში ნამქუხარია (II, 17,13); წარღვნის წყალი არ ეყოფა ამ ნამშრალ მიწას (ნ., 190,13); შეთე, ნამშრალი, გოროზი... დახამებული იყო ცხოვრებას (ნ., 165,17); სიკვდილის

სუსხით ნამცვივარია (II, 243,4); გამცხადებელი შენ გახდი ჩემი ნამცნაურების (II, 251,22); ეს მხოლოდ ნამცდარი ოცნება იყო (ნ., 95,20).

### სასუბიექტო მიმღეობის უარყოფითი ფორმების წარმოება

ჩვეულებრივ, ქართულში სასუბიექტო მიმღეობას უარყოფითი ფორმები არ ეწარმოება. „სათანადო შინაარსი გადმოიცემა სასუბიექტო მიმღეობის დადებით ფორმაზე -უ პრეფიქსის დართვით“ (1,193). ასეთი წარმოება, მართალია, გვხვდება ქართულში, მაგრამ საკმაოდ იშვიათად, უმთავრესად ი-არ სუფიქსით ნაწარმოებ ფორმებთან (4,598). მას ზოგჯერ გ-ლეონიძეც მიმართავს: ახლაც ისევე და უმდნარია (II, 162,97); შენს ცხოვრებას უმთენაროს (II, 208,21); საქართველოს კერის ცეცხლი შენ გებარა გაუმქრალი (II, 231,17); უმფარველო (ნ., 153,8); წარმოსთქვა უშერყეო ბერდელამ (ნ., 164,36).

მაშასადამე, გიორგი ლეონიძის ენაში სასუბიექტო მიმღეობის ჩვეულებრივ წარმოებასთან ერთად გვხვდება თავისებურებანიც, რაც შემდეგში გამოიხატება:

1. პოეტი ასპარეზს უფართოებს ზოგიერთ არაპროდუქტულ აფიქსს, კერძოდ: მე-, მე-ურ, მე-ე, მე-არ, მო-არ.

2. არც თუ იშვიათია „ნაცარქექია“ ტიპის მიმღეობები.

3. მწერალმა ნამყო დროის გამოხატვა „შეაძლებინა“ სასუბიექტო მიმღეობასაც.

4. მანვე აწარმოა აგრეთვე სასუბიექტო მიმღეობის უარყოფითი ფორმები, რისთვისაც გამოიყენა ოდენ უ-პრეფიქსიც და უ-ო აფიქსიც.

### საობიექტო მიმღეობა

საობიექტო მიმღეობას აქვს ნამყო და მყოფადი დროის ფორმები, რომლებიც აფიქსების საშუალებით არის გამორჩეული. ამიტომაც ცალ-ცალკე განვიხილავთ წარსული და მომავალი დროის საობიექტო მიმღეობებს.

## ნამყო ღროის მიმღეობის წარმოება

ნამყო ღროის მიმღეობის საწარმოებლად ქართულში გვაქვს ოდენბრეფიქსიანი (ნა -), ოდენსუფიქსიანი (-ილ, -ულ), ან პრეფიქს-სუფიქსური (ნა -არ) წარმოება (4,590-594), (1,188; 191; 193).

1. ოდენსუფიქსიანი ნამყო ღროის მიმღეობის წარმოებისას ძველსა და ახალ ქართულს შორის თვალსაჩინო სხვაობა არა ჩანს. ქართულში ასეთი წარმოება ძველადაც იყო გავრცელებული და ახლაცაა. ამ მხრივ არც გიორგი ლეონიძის ენა წარმოადგენს გამოწვევას, აქაც სუფიქსიანი მიმღეობის ეს ჩვეულებრივი წარმოებაა გავრცელებული; რაიმე ხელშესახები თავისებურება არ შეინიშნება.

ოდენ სუფიქსით ნაწარმოები მიმღეობა ჩვეულებრივ პრევერბიანია (1,193), გიორგი ლეონიძე კი ზოგჯერ უპრევერბოდ აწარმოებს;

-ულ სუფიქსიანი: ქართლი დგებოდა ძილში გდებული (542,3). სუფრა მით არი ქებული (ე., 548,10); სისხლის წვეთებით ცხებული (ე., 80,13); დამით ვერ მიღულა ბინდული წამწამი (II, 291,3); ჩირიკის ძირიანად ამოვარდნის ნატრული იყო ჩიკოტელა (ნ., 59,34); ერცხვინებოდათ ჭამაზე ლაპარაკი... კრძალულ მანდილოსნებს (ნ., 33,29); ნალმურ გზას (II, 51,13); დამედასტურე წნულ შექურთმებით (I, 50,5); ფუფალამ მთაზე შეხედა ნგრეულ ნაშთს (ნ., 226,12); რა საქმე არ აქვს ძლეული (ე., 27,6); ქვაზე ჭდეული (II, 336,30).

-ილ სუფიქსიანი: ტყეების ბურვილი თავგუმბათი (ნ., 6,11); ბურვილი ტყე-გუმბათი (ნ., 122,27); გზა აგვებნა ბურვილ ტყეში (ნ., 196,8); ვაზის ბურვილში შემოესმა ნაზი სიტყვები (ნ., 63,30); კაცობილი კაცი იყო (ე., 599,11); ეს შრომილი სილამაზე (ნ., 215,23)...

ორიოდე მიმღეობა კი გიორგი ლეონიძეს სპეციალური აფიქსების გარეშე უწარმოებია — ზედსართავ სახელზე ზმნისწინის დართვით, მოსალოდნელი კი იყო -ულ სუფიქსიანი წარმოება -ებ თემისნიშნითურთ: შავი წარღვნების გადანათელი (I, 329,26); ბიჭებიც გადამეტი სიყვარულისათვის დასცინოდნენ (ნ., 163,30); გადამეტი არ გველოთ (ნ., 157,9)...

როგორც წინავითარების სახელების განხილვისას ვნახეთ, გიორგი ლეონიძე ძალზე ხშირად მიმართავს ნა- პრეფიქსიან წარმოებას. ამავე პრეფიქსს არანაკლები სიხშირით ვხვდებით ნამყო დროის მიმღობის საწარმოებლად. საამისოდ გამოყენებულია ოდენ ნა- ანდა ნა-არ.

ოდენ ნა- პრეფიქსით უმთავრესად ნაწარმოებია:

ა. უთემისნიშნო ფუძეები (ნასახელარიც და ზმნურიც); და-  
ნაბარი (6, 555, 8); ჩამონაბასრი (II, 345,10); ჩანა-  
ბასრი (II, 146,6; 6., 56,32); დანაბოლი (ე., 484,19); ნა-  
ბრწყენი (I, 177,8); ნაბუდი (I, 369,22); ნაბური (II,  
142,23); ნაგეში (I, 154,27); ანაგლეჯი (II, 279,28; 6.,  
70,6); ნაეგბაზი (II, 68,3); ნაკერცხლი (II, 155,3); ნა-  
კოდი (6., 42,11); ნამალი (ე., 570,24); ნამარგალიტი (I,  
405,4); ნამსუქნი (II, 283,9); ნამტკერი (I, 72,4); ნა-  
მცნები (6., 205); ნამხელი (ე., 314,27); ნანათი (ე.,  
603,22); ნაოხარი (6., 117,12); ნაკკური (I, 229,7); ნა-  
პოხი (ე., 24,21; II, 59,9); ნაკური (ე., 56); ნაჟინჟელი  
(6., 76,1); ნაჟღერი (I, 330,4); ნარუჯი (II, 137,6); ნა-  
სიზმრი (II, 282,15); ნასუნთქი (II, 37,17); ნასუქი (6.,  
82,20; I, 140,11); ნასხური (I, 195,4); შენატკეცი (I,  
353,4); ნაფანტი (I, 191, 11); ნაფერი (ე., 360,10); შენა-  
ფერი (I, 52,9); გამონაფიქრი (6., 194,15; II, 123, 18);  
ნაფრენი (ე., 392,15; 6., 93,6); ნაფურცლი (I, 357,9);  
ნაქროლი (I, 188,4). ნალარი (II, 76,17); ნაღები (I,  
102,2); ნაღვარი (ე., 569,9; I, 400,6); ნაღვეთი (I,  
414,27); ნაშრეტი (II, 159,21; 121,24); 14,15); ნაშუქი (ე.,  
17,14); ნაშხეფი (II, 239,10); ნაჩრდილი (I, 225,25( ე.,  
322,4; II, 163,21); ნაცეცხლი (II, 149,28); ნაცვარი (I,  
428,6; ე., 625,8); ნაცრეცი (II, 229,7). ნაცქერი (ე.,  
32,12); გამონაძალი (II, 223,21); ნამგერი (II, 255:2).  
გამონამგერი (II, 42,22); შენამენი (II, 289,29); გამო-  
ნაწვალნი (6., 98, 28-29); ნაწვეთი (I, 114,12); გამონა-  
წირი (I, 68,1); ნაწრეტი (6., 190,16); შენაჭკერი (II,  
273,12); გამონაჭკირი (I, 175,14); შენაჭკვრეტი (II,  
289,21); ნახეთქი (ე., 578,12; 6., 190,8); გადმონახეთქი  
(ე., 535,19); ამონახეთქი (6., 6,300; ნახელი (II, 268,28);

ნახეტიალი (II, 55,5); ნახოცი (ნ., 93,19); დანახოცი (ე., 571,32)...

ბ. - ებ თემისნიშნაინი: ნაბადაგები (II, 58,20); ნაბადები (ნ., 156,12); ნაბდღვრიალები (II, 191,26); ნაგები (II, 266,1; 268,23); ანაგები (II, 282,18); ნაგზაურები (II, 276,10; I, 53,24); ნაელვები (ნ., 165,6; ნ., 193,26); ნაექიმები (I, 380,30; ნავარაყები (II, 21,12); ნაზვაურები (I, 53,23); ნათქრიალები (II, 118,6; I, 266,6); ნაიძულები (ნ., 121,31); ნამაშვრალები (ნ., 130,6); ნამემკვიდრები (I, 175,4); შენამზირები (ე., 79,170; შენამსჭვალები (II, 171,20); ნაოხრები (ნ., 179,2); ნარგები (ნ., 96,27); ნასურნელები (II, 83,20); ნასხივოსნები (I, 397,29); ანატირები (II, 267,4); ნაქანდაკები (I, 328,8); მონაყვანები (I, 353,18); შენაციები (ე., 573,6); ნახეტიალები (ნ., 179,6); ნაჯილდოები (II, 249,28)...

გ. - ობ თემისნიშნაინი: ნაბჭობი (ნ., 20,67); ნადედობი (ნ., 158,20); ნადობი (ნ., 82,17; ნ., 212,29); ნათხრობი (ე., 630,2); გამონაკრობი (I, 195,23; I, 112,40; გარსევანის სახლი ნაქონობით მართლაც ხეობის თვალი იყო (ნ., 43,10); ნადმობი (ნ., 212,29; ნ., 82,17);

დ. - ავ თემისნიშნაინები: ნაბრწყინვალე (I, 280,28); ნაკრავი (I, 331,23); ნამხეტავი (ნ., 41,8; ნ., 168,17; 3); ნარისხვი (ე., 567,33); ნარიცხვი (I, 322,8; 322,24); ნაქურდავი (ნ., 208,15); გულის ნაცეცხლავი (ნ., 92,28); ჩემი გულის ნაცეცხლავი (191,27); ნაწანწკრავი (I, 194,24)...

ე. - ევ თემისნიშნაინი: -ევ უძველესი სუფიქსია. იგი ზმნასთან შეიძლება იყოს თემის ნიშანი, კონტაქტის მაწარმოებელი, ასეთ ზმნებითან ნა-პრეფიქსიანი მიმღეობის წარმოებისას ვიღებთ წინაერთარების სახელთა მაწარმოებელი აფიქსის გარეგნულად მსგავს პრეფიქს-სუფიქსს: ნა-ევ: ნათევი (II, 209,2); ნათრევი (ნ., 150,33); ნალევი (I, 120,10); ნამცვრევი (I, 46,1); ნამწყვდევი (ე., 330,20); ნანჩქერევი (II, 92,30; ნარბევი (I, 300,24); ნართმევი (I, 253,20); ნაქნევი (II, 2370; ნარვევი (ე., 57,6); შემონადლევი (ნ., 203,21)...

ნავაგლახევი (ნ., 85,4); ნავაჟკაცევი (I, 230,1; II, 157,9); ნათვალევი (ნ., 95,19; II, 181,19); ნამარილევი (ნ., 93,14); ნამარხულევი (ე., 591,14); ნამუშაქევი (II, 238,9); ნასხლევი (II, 325,26); ნათიალევი (ნ., 117,12; ნ., 117,12; ნ., 41,13); ნატრაბახევი (II, 221,32); ნალალატევი (II, 209,4); ნაწალმართევი (ნ., 175,19; ნ., 82,29); ნაჭირნახულევი (I, 106,3); ნაჭრევი (I, 254626).

ზ. ნა-არ (ნა-ალ) აფიქსი ფართოდ გამოიყენება. ამ აფიქსითაა ნაწარმოები მრავალი სახელი (წინავითარებისა). ამავე აფიქსით აწარმოებს მწერალი ნამყო დროის მიმღეობათა უმრავლესობასაც. ნა-არ (ნა-ალ) უმთავრესად დაერთვის ზმნის უთემისნიშნო ფუძეებს: დანაბინდარი (I, 101,8; 303,8); ნაბორგალი (ე., 567,33); ნაბოძარი (II, 340,2); ნაბუარ-ნაოხრალ სუფრაზე (ნ., 104,17); მონაბუქარი (I, 76,13); ნაგონარი (ნ., 26,16; II, 123,18); შენაგონარი (ნ., 141,22); ნადინარი (I, 39,250; დანადინარი (I, 114,13); ნაელვარი (II, 215,29; ე., 575,15); ნათევარი (I, 63,33); ნაკვესარი (I, 200,16); დანაკისრალი (II, 148,22); ნალახტარი (II, 302,8); ნალოდინარი (ე., 542,20); დანამეხარი (I, 19,2); განამხითვარი (II, 214,22); შენამტკიცარი (I, 60,24); ნაორთქლარი (I, 58,20); ნაოცნებარი (ე., 18,17; II, 335,20); დანართვილარი (ნ., 120,10; ნ., 193,3); ნასაუბრალი (II, 218,18); ნასინდისარი (II, 34,17); ნასმინარი (II, 228,6); ნასურვილარი (I, 187,6); ნასუქარი (II, 216,7; ნ., 43,27); ნატაცარი (I, 329,20; I, 318,9); ნატიორალი (II, 229,19); ნამტკივარი (ე., 56,5); დანატოვარი (ნ., 128,12); დანაფერფლარი (I, 53,17); ნაფრენალი (II, 256,11); ნაქადაგარი (ნ., 103,1); ნაქანდაკარი (II, 336,5); ნაქმარი (I, 49,11); ნაქნარი (41,9); ნალვარალი (II, 212,20); ნაშოვარი (I, 214,4); ნაშხეფარი (II, 45,5; II, 313,8); ნაჩოქარი (ე., 567,11); ნაციმციმარი (I, 332,20); ნამებარი (I, 330,5); შენაწებარი (I, 330,3); მონაწვეთარი (I, 46,22); ნაცელარი (II, 245,26); დანაცვინარი (I, 174,7); ნაცვინარი (I, 167,5); ნაცისკრალი (I, 357,19); შენაცოდარი (ნ., 111,26); შენაჯგუფარი (ნ., 23,33; ნ., 120,29).

ჩვეულებრივად, როდესაც ფუძეში რ ბგერა გვაქვს ნა-არ გვაძლევს ნა-ალ აფიქსს. ზოგჯერ ფუძეში რ არ ჩანს, მაგრამ ნა-ალ მაწარმოებელია ნა-არ-ის ნაცვლად. თუმცა, ასეთი მაგალითები სალიტერატურო ქართულის კუთვნილებაა და არა იმდენად მწერლის ენისეული თავისებურების გამოვლენა. მაგ., ნა ს მ ე ნ ა ლ ი (ნ., 95,1); ნ ა ტ უ ს ა ლ ი გატუსა (II, 120,14); ნ ა შ უ ქ ა ლ ი (I, 196,10); ნ ა წ ვ ე თ ა ლ ე ბ ი (I, 415,18; ე., 599,4).

იშვიათად გვხვდება ნა-არ თემისნიშნის ფუძეებთან: შ ე ნ ა - წ ე ბ ა რ ი (ე., 17,7; ე., 18,19); ნ ა გ ა ლ ო ბ ა რ ი (I, 66,16; ნ., 156,12); ნ ა რ ი ს ხ ვ ა ლ ი (ე., 558,18; ე., 71,9); ნ ა ყ მ ე ვ ე ა რ ი (II, 183,13); ნ ა წ უ რ ვ ა ლ ი (ე., 552,140; ნ ა ტ ყ ვ ე ვ ე ა რ ი (ე., 541,4).

სავარაუდოა ნა-ურ: ნ ა გ ზ ა უ რ ი (ე., 536; I, 129,6; I, 345,9); ნ ა ს ა ღ ა მ უ რ ი ( ე., 593,17); ნ ა რ წ ყ უ ლ ი (II, 198, 5-6).

ერთ მაგალითში გვხვდება ნა-ელ: ნ ა ხ ი ლ ვ ე ლ ი (I, 410, 15).

ერთ-ერთ მაგალითში ნა- უძღვის ზმნისწინს: ნ ა მ ო გ ო ნ ა - რ ი (ე., 565,8; II, 344,25).

### მყოფალი დროის მიმღეობის წარმოება

ქართულში მომავალი დროის მიმღეობა იწარმოება ან ოდენ სა- პრეფიქსით, ანდა მასთან ერთად მონაწილეობენ სუფიქსები: -ო, -ე, -ალ, -არ, -ელ, -ულ, -ურ.

გიორგი ლეონიძის თხზულებათა ენაში მეტნაკლები ინტენსიურობითაა გამოყენებული აღნიშნული აფიქსები მომავალი დროის მიმღეობის საწარმოებლად.

1. პოეტი ხშირად იყენებს ოდენ სა- პრეფიქსს, რომელსაც უმთავრესად უთემისნიშნო ფუძეებს ურთავს, ზოგჯერ კი -ებ და -ავ თემისნიშნისა.

უთემისნიშნო: დ ა ს ა დ ა რ ი (ე., 561,16); შ ე ს ა მ ა ტ ი (ნ., 82,12); გ ა დ ა ს ა ყ ა რ ი (ე., 563,24); დ ა ს ა ჩ ე მ ი (ნ., 59,32); მ ი ს ა ჩ ე მ ი (ნ., 86,14); შ ე ს ა წ ო ნ ი (ე., 292,8); ს ა წ ყ უ რ ი (ე., 283,27; II, 249,6).

-ებ თემისნიშნაანი: მისადევნები (I, 103,10); დასააზრები (II, 158,20); მოსაყივნები (II, 76,19)...

-ავ თემისნიშნაანი: დასადაფნავი (I, 399,18); სარჯულავი (ნ., 91,10); შესაფრფინავი (I, 326,15); სახედავი (ე., 563,28).

2. არანაკლებ ხშირია სა-არ აფიქსი, რომელსაც მწერალი ორიოდ გამოწკლისის გარდა უთემისნიშნო ფუძეებს ურთავს: დასავიწყარი (ე., 45,14); საკვენესარი (ნ., 198,17); მოსაკითხარი (II, 249,8); მოსალხენარი (ნ., 137,22); დასამიწარი (II, 177,4; II, 304,26); სამჯობინარი (ნ., 82,12); საოცნებარი (ე., 17,5); სატურფალი (II, 263,6; I, 326,15; I, 195,24; ე., 32,7); მოსაფონარი (ნ., 121,30); საყუდარი (ნ., 107,33; II, 233,3; დასაყუჩარი (I, 64,5)...

სა-არ ძალზე იშვიათად დაერთვის თემისნიშნაან ფუძეებს: შესაგებბარი (ნ., 181,35); საგონებბარი (ნ., 54,12); შესამკობბარი (I, 66,14); მოსახვდომბარი (ნ., 64,4)...

3. თანამედროვე ქართულში სა-ურ აფიქსი მყოფადი დროის მიმღობის მაწარმოებლად მეტად შეზღუდულად გამოიყენება. გიორგი ლეონიძე იშვიათად, მაგრამ მაინც ხმარობს მას. როგორც წესი, სა-ურ დაერთვის უთემისნიშნო ფუძეებს: საბადური (ნ., 42,22; ნ., 79,31); სატანჯური (I, 149,160; სატკბური (I, 254,15); საფთხური (II, 232,20; II, 349,9); საცადური (ნ., 213,16); სახნაური (II, 237,5)...

4. განსაზღვრულ ფუძეებთან გვხვდება სა-ელ აფიქსი: სადინელი (I, 232,9; I, 229,5); საშრომელი (ნ., 80,220); საწიგნობელი (II, 152,30)...

5. მომავალი დროის მიმღობის მაწარმოებლად მწერალი იყენებს სა-ო აფიქსსაც: სავარგო (I, 412,7); სავნო (II, 265,17); საკუთნო (ნ., 152,15; ნ., 62,8); სანათლო (ნ., 84,30); მისანდო (ე., 394,20); საჩინო (II, 40,2)...

მართალია, ზემოთ დასახელებულ მაგალითებში სა-ო აფიქსი მყოფადი დროის მიმღობის მაწარმოებელია, მაგრამ იგი შინაარსით გამოხატავს დანიშნულებას, რაც გამოძახილია ამ აფიქსის ძირითადი და უპირატესი ფუნქციისა – აწარმოოს დანიშნულების სახელები.

როგორც ჩანს, მომავალი დროის მიმღეობის საწარმოებლად გიორგი ლეონიძე ორიგინალურ ფუძეებს უმთავრესად ურთავს სა-, სა-არ, სა-ურ, აგრეთვე სა-ო და სა-ელ აფიქსებს.

### საობიექტო მიმღეობის უარყოფითი ფორმების წარმოება

„მიმღეობის უარყოფითი ფორმები ნამყო დროის საობიექტო მიმღეობებს აქვთ“ (1,193). საამისოდ გამოყენებულია უ-, უ-არ, უ-ო, უ-ურ აფიქსები. უარყოფითობის გამოხატვა ძირითადად უკავშირდება უ- პრეფიქსს (1,193). ამიტომაც უფრო მეტად ოდენ უ- პრეფიქსიანი წარმოებაა გავრცელებული. გიორგი ლეონიძის ენის მონაცემებიც ამას ადასტურებს.

1. ნამყო დროის საობიექტო მიმღეობის უარყოფითი ფორმების წარმოებისას ოდენ უ- პრეფიქსი შეიძლება დაერთოს ზმნის სუფთა ფუძეს: უსყიდი კაცი იყო (ნ., 183,33); უგვანი კაცი (ნ., 185,18)...

ანდა თემისნიშნის: იმელი ხალხთა დაუბერები (ე., 543,4); გაუკვეთავი (ე., 315,10)...

ცნობილია, რომ „მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსები მიმღეობის უარყოფითი ფორმების წარმოებაშიც იღებენ მონაწილეობას (1,193). ამ მხრივ უფრო აქტიურია -ელ სუფიქსი (4,597). ასეთ შემთხვევაში ფუძე შეიძლება იყოს უთემისნიშნო ანდა თემისნიშნანი.

უთემისნიშნო: უაზრელი (ნ., 207,30); გაუდრეკელი (ე., 25,2); უმწიკვლელი (ე., 571,26); უნანელი (ნ., 144,1); დაუსვენელი (ე., 573,24); უქნელი (ნ., 191,6); უქონელი, უყოლელი (ნ., 161,31; ნ., 81,11).

თემისნიშნანები: უამებელი სიცოცხლე (ნ., 60,13); უმღერებელი (II, 177,16); უთობელი (ნ., 56,32; ნ., 62,23); უცნობელი (ე., 399,19); წარუპარკელი (I, 383,14); უბაძველი (ე., 563,14); უმღერებელი,

იშვიათად -ელ სუფიქსაცაა შენარჩუნებული: ურწყული... (ნ., 194,19; ნ., 287,22; ე., 281,230; უყვარული (ნ., 194,18; ნ., 17).

2. მიმღეობის უარყოფითი ფორმები ნაწარმოებია, აგრეთვე უ-არ აფიქსით, რომელიც უმთავრესად უთემისნიშნო ფუძეს დაერთვის: უვიწყარი (I, 182,12); უპოვარი (II, 6,86); უსმი-

ნარი (ნ., 35,2); შეუსმინარი (I, 427,3; I, 413,21); უტეხარი (II, 279,27; 165,12); გაუტეხარი (ე., 609,18); მოუწონარი (ნ., 24,9); შეუხედარი (I, 159,8)...

3. მწერალი იშვიათად მიმართავს უ-ო მაწარმოებელს: უხაროები (ნ., 86,12); უღელვაო (II, 289,6)...

საერთოდ, „მიმღობის მაწარმოებელი პრეფიქსები უარყოფით ფორმებში არ გვხვდება" (I,193), მაგრამ გიორგი ლეონიძე უ-ო აფიქსით წარმოებისას მიმღობის უარყოფით ფორმას ზოგჯერ საპრეფიქსსაც უნარჩუნებს:

უსადარო (I, 96,20); უსაზრდელო (ნ., 214,14); უსაკმარონი (ნ., 86,16); უსაკნარო (ნ., 57,5)...

ნა- პრეფიქსიანი ნამყო დროის მიმღობიდანაც უწარმოებია მწერალს უარყოფითი ფორმები: უნაშენო (ე., 558,1).

ნამყო დროის მიმღობის უარყოფითი ფორმების გვერდით გიორგი ლეონიძე შესაბამისი შინაარსის გადმოსაცემად ზოგჯერ აღწერით წარმოებასაც გვთავაზობს: ნამყო დროის მიმღობას ურთავს არა ნაწილაკს. მაგალითები: არდაბრუნებულნი (I, 52,13; ნ., 120,26); არ-დაღეული (I, 116,130; არაქართული (I, 227,11); არჩინებულნი (ე., 343,22)...

საობიექტო მიმღობის წარმოების მიმოხილვისას გიორგი ლეონიძის ენაში აღმოჩნდა შემდეგი თავისებურებანი:

1. როგორც ნამყო, ისე მყოფადი დროის საობიექტო მიმღობის წარმოებისას ლეონიძე ენაში არსებულ თითქმის ყველა შესაძლებლობას მიმართავს.

2. ოდენს-უფიქსიანი ნამყო დროის მიმღობას მწერალი ხშირად უპრევერბოდ ხმარობს.

3. ნამყო დროის მიმღობის მაწარმოებლებიდან იგი უპირატესობას ნა- პრეფიქსს ანიჭებს.

4. მიმღობის ფუნქციითაა ნახმარი ზმნისწინდართული ზედსართავი სახელები (გადამეტი, გადანათელი...).

5. საობიექტო მიმღობის უარყოფითი ფორმები უმთავრესად ოდენ უ- პრეფიქსითაა ნაწარმოები; გვხვდება, აგრეთვე, უ-არ და უ-ო აფიქსიანი წარმოება. მწერალი არ ერიდება უკეთქმითი მიმღობის აღწერით წარმოებასაც (არდაღეული, არჩინებულნი...).

მიმღობის წარმოების განხილვამ გიორგი ლეონიძის ენაში ერთხელ კიდევ დაგვანახა, თუ რა საუცხოოდ იცნობს მწერალი სი-

ტყვაწარმოებით შესაძლებლობებს. ქართულში თითქმის არ არსებობს მიმღეობის მაწარმოებელი ისეთი აფიქსი, პროდუქტიული თუ არაპროდუქტიული, რომელიც ლეონიძეს ორიგინალურად არ გემოყენებინოს. ამავე დროს მწერალმა სიცოცხლის უნარი აღუდგინა, ზოგიერთ მივიწყებულ აფიქსს. ამიტომაცაა, რომ გიორგი ლეონიძის ენაში მიმღეობების წარმოების თავისებურებანი კვინდება არა მარტო ახალ-ახალი ლექსიკური ერთეულების შექმნით, არამედ მიმღეობის მაწარმოებელ აფიქსთა აქტივიზაციითაც კვინდება.

### ლიტერატურა

ე. ოსიძე, მიმღეობის წარმოება ქართულში, თსუ შრომები, ტ. 67, თბ., 1957.

ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, III, თსუ შრომები, ტ. XV, თბ., 1940.

არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.

ალ. ლლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964.

ფ. ერთელიშვილი, მიმღეობის ერთი ტიპი ქართულში, თსუ შრომები, ტ. 71, თბ., 1959.

მ. მრევლიშვილი, კომპოზიტები ქართულ ენაში, თსუ შრომები, ტ. 67, თბ., 1957.

### შემოკლებანი

I — გ. ლეონიძე, თხზულებათა კრებული, ტ. I, თბ., 1962.

II — გ. ლეონიძე, თხზულებათა კრებული, ტ. II, თბ., 1963.

ე. — გ. ლეონიძე, ერთტომეული, თბ., 1954,

ნ. — გ. ლეონიძე, ნატურის ხე, თბ., 1964.

## კომპოზიტები გიორგი ლეონიძის ენაში

კომპოზიცია ენის ლექსიკური გამდიდრების ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული საშუალებაა. „კომპოზიცია ქართველურ ენათა სიტყვაწარმოების ოდითვე გამოყენებული პროდუქტიული საშუალებათაგანია“ (თოფურია, 1959, 287).

„ძველსა და საშუალებას ქართულში კომპოზიტთა გამოყენების არე საკმაოდ ფართო იყო, ახალს ქართულში ხმარებულ კომპოზიტთა უმეტესობა თავისი წარმოშობით ქართული ენის განვითარების ადრეულ, უძველეს პერიოდს განეკუთვნება“ (მრევლიშვილი, 1957, 165). ლექსიკის გამდიდრების ამ საშუალებას ქართული ენა დღესაც მიმართავს.

„თხზული სახელის შედგენა (კომპოზიცია) სხვადასხვა საშუალებით ხდება ქართულში: ფუძის გაორკეცვით: თავ-თავ-ი, ძერ-ძერ-უკ-ი; ორი სხვადასხვა ფუძის შეერთებით: თავ/ს/-მჯდომარე, თავის-უფალ-ი; ორზე მეტი სხვადასხვა სიტყვის ან ფუძის შეერთებით: /ა/თ-ერთ-მეტ-ი, ოც-და-სამ-ი, თავ/ს/-ქულ-მოგლეჯილ-ი, გულ/ს/-ხელ-დაკრეფილ-ი“ (შანიძე, 149).

გიორგი ლეონიძე საკმაოდ მარჯვედ იყენებს კომპოზიციას ახალი ლექსიკური ერთეულების საწარმოებლად. საამისოდ მწერალი უმთავრესად მიმართავს სხვადასხვა ფუძეების შეერთებას. ნაირ-ფუძიანი კომპოზიტებიდან კი გიორგი ლეონიძის ენაში განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა მსაზღვრელიანი კომპოზიტები, რომელთაგან ცალკე შეიძლება გამოიყოს განსაზღვრებითი კომპოზიტები და კუთვნილებითი კომპოზიტები; გვხვდება აგრეთვე ზმნისართიანი კომპოზიტები.

## I. განსაზღვრებითი კომპოზიტები

### მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები

მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები ჩვენს ენაში, ძველშიც და ახალშიც, ერთობ ბევრია (იმნაიშვილი, 1957, 151). ამ ტიპის კომპოზიტებში მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა ყოველთვის პრეპოზიციულია; ასე იყო ძველ ქართულში, ასეა ახალ ქართულშიც. ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი ყოველთვის წინაა მოქცეული, ის მჭიდროდაა დაკავშირებული მეორე (მომდევნო) სახელთან. მაგრამ თუ მან დატოვა ეს მისი პირველი ადგილი და ბოლოს მოექცა, იგი კარგავს ამ კავშირს, დგება განზე, დამოუკიდებელ სიტყვად იქცევა... ერთი სიტყვით მაშინ ის აღარ არის კომპოზიტი..." (იქვე, 150).

მამასადამე, მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები პრეპოზიციული წყობისაა. ასეთი კომპოზიტის პირველი კომპონენტი არსებითი სახელია, ხოლო მეორე კომპოზიტი შეიძლება იყოს: უმრავლეს შემთხვევაში არსებითი სახელი და საწყისი, იშვიათად კი მიმღეობა.

#### 1. კომპოზიტის მეორე კომპონენტი არსებითი სახელია

ისეთი მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები, რომლის მეორე წევრიც არსებითი სახელია, გიორგი ლეონიძის ენაში უამრავია. მსაზღვრელი კომპონენტის ბრუნვის ნიშანი ან არასრულადაა წარმოდგენილი, ან ნაწილობრივ იკარგება, ანდა მთლინადაა მოკვეცილი.

ა) მსაზღვრელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა სრულადაა წარმოდგენილი:

გუთნისფრთა (ე., 577,11). გუთნისშვილები (I, 389,23). გულისუფალი (I, 352,19). გულისძმა (I, 393,15). გულისძმა (ნ., 209,19). ვაზისყვავილი (ნ., 122,28). მზისთვალი (ნ., 107,10). მზისპირი (I, 177,2). მთვარისპირი (შ, 174,3). მთისშვილი (ე., 623,23). ოქროსძარღვი (ნ., 75,6). სიცხისგული (ნ., 160,5). ტყისპირები (ნ., 4,4); ქარისფრთა (ე., 576,170). ქვისკარები (ე., 526,12). შუბისტარი (II, 255,30).

ზემოდასახელებული მაგალითები ნამდვილ კომპოზიტებად არ მიიჩნევა. „რაკი პირველი ნაწილი გაფორმებული სიტყვაა, კომპოზიტობის საკითხი აქ რთულდება“ (ჩიქობავა, 1946, 152).

კომპოზიტის მეორე წევრად მწერალი იყენებს ხოლმე „ფერ“ სიტყვასაც:

გნოლისფერი (ნ., 39,11). დურაჯისფერი (II, 183,20. მაჭრისფერი (Iშ, 79,23). მგლისფერი (ნ., 155,8). მზისფერი (II, 9,9). ნათლისფერი (II, 63,15). შაშვისფერი (ე., 562,22).

ზოგჯერ კომპოზიტის პირველი წევრი თ-ანიან მრავლობით-შია:

ლექსთ-მოედანი (I, 373,18). მინდორთქალი (II, 247,13). ქორთაბუდე (I, 378,23). ძმათსაფლაავი (II, 338,27). ხეთუფალი (II, 233,26).

ბ) კომპოზიტები, რომლის მართულ წევრსაც ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული თანხმომავანი ბგერა ისტორიულად მოკვეცილი აქვს, უცხო არაა სალიტერატურო ქართულისათვის: მამი/ს/-და, შვილი/ს/-შვილი... მსგავსი წარმოების კომპოზიტებში ბრუნვის ნიშნის ნაწილობრივ შეკვეცას თანამედროვე სალიტერატურო ქართული ერიდება. აღმოსავლური დიალექტებისათვის კი, კერძოდ, კახურისათვის ეს მოვლენა ჩვეულებრივია. კახურის გავლენას უნდა მიეწეროს გ. ლეონიძის ენაში დამოწმებული მართულმსაზღვრელადანი კომპოზიტები, სადაც მართულ მსაზღვრელის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ნაწილობრივია მოკვეცილი: ბამბიქულა (ნ., 160,17). გზიბირი (II, 288,23). დილიმზე (I, 90,7). ლახტიწრე (ე., 595,14). მუხლიკვერა (II, 233, 20). სულიმზე (I, 352,20). შვილიდარი (II, 338,12; ე., 394,26).

გ) განსაკუთრებით ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მთლიანადაა მოკვეცილი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი და კომპოზიტში შემავალი მართული მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი: ალმასჩქერი (ნ., 38,15), (II, 55,3). ალფრინველი (II, 63,10). აღნაკადი (ნ., 156,70). ბროლჩქერი (II, 200,16). ბროწეულყვაილი (ნ., 156,6), (ნ., 156,17). გიშერთვალება (ნ., 74,32). გულნება (ნ., 209,9), (I, 86,8). ედემყვაილი (ნ., 91,20), (ე., 400,9). ელღვარი (ე., 28,25). ვაზფურცელი (I, 102,8). ვარდკაბა (ნ., 89,18). ლექს-ზვირთები (I, 402,22). ლექს-წისქვილი (I, 29,25). ლომდარი (II, 217,3; II, 158,19; II, 21,10; ნ., 199, 1). მარილკვიწი

(ნ., 197,3). ნაცარკვერი (II, 274,10). ნესტანჯარი (I, 137,8). ნიაღვაშხეფი (ნ., 194,2). ოქრობალი (I, 96,4). ოქრობეჭედი (II, 250,6). ოქრომძივები (ნ., 42,21). პურმარცვალი (ე., 555,60. სისხლმდინარე (II, 10,30); სისხლწყარო (ე., 603,16). უფსკრულძირი (II, 45,14). ფირუშქარი (ე., 527,23). ფირუშჩქერი (II, 54,10). ფირუშხვაკი (II, 203,30); ყვავილთაღები (I, 386,24). შუქნამქერები (II, 17,5); ჩითმანდილი (I, 257,19). წყალღვარი (ე., 603,16; I, 300,21). ხელკვერი (II, 258,27).

## 2. კომპოზიციის მეორე კომპონენტი საქვისია

ა) კომპოზიციის მსაზღვრელი კომპონენტი ნათესაობითი ბრუნვის სრული ფორმითაა:

გულისთხრა ((I, 148,10). გულისძვრა (II, 195,130. თვალისჩენა (I, 95,19; I, 99,6). მეხისტეხა (ე., 53,25). მეხისფრქვევა (ე., 29,26). პურისჭამა (ნ., 214,6). ჩოქისყრა (ე., 612,28). ცისქცევა (ნ., 49,7; ნ., 98,2).

ბ) კომპოზიციის მსაზღვრელი კომპონენტი ფუძის სახითაა; ასეთი მაგალითები მრავალია:

გზაგავლა (ე., 7,18); გულაგრილება (ნ., 152,24). გულადუღება (ე., 626,26). გულახსნა (ნ., 152,25). გულდაკეცა (I, 99,2; ნ., 100,10). გულდება (ნ., 212,24). გულკლება (ნ., 43,23), (ნ., 104,10). გულერთომა (II, 295,2). გულფაცქალი (II, 210,12). გულცქერა (ე., 602,27), (ნ., 51,29). ენათქმა (ნ., 131,21), (ნ., 102,25). ენაქუხილი (ნ., 23,35). თავწყაყრა (ნ., 29,2). თვალგანმართება (ნ., 215,13). თვალგაფეთება (II, 238,18). თვალმიგდება (ნ., 151,23; II, 265,6). თვალმიგნება (ე., 13,7). კვერთხაწევა (II, 166,4). ნებადართვა (ნ., 96,16). ოქროჩქეფა (I, 121,26). პატივკლება (ნ., 93,28). პირხასნა, გულახსნა (ნ., 46,33). პირწყრომა (ე., 8,28). სახელდიდება (ნ., 209,18). ტვინგაფიცება (ნ., 43,20). უართქმა (ნ., 77,6). ფეხბორგება (II, 285,7). ფეხტეხა (ნ., 84,22). ფოთოლცვენა (I, 188,3). ქაფშეტყორცნა (I, 402,22), (ნ., 127,12). ღვარმოდენა (ნ., 167,15). ყელმოჰლომა (ე., 559,17). შიშმორჩილება (ე., 565,17). შუქბრწყინვალება (II, 335,13). ცრემლფრქვევა (ე., 524,22). ცხენფრენა (ნ., 43,29). ცხენჭენება (I, 236,9). წარბშერჭმა (I, 374,1; 361,4). ჭირღათმენა (ნ., 88,11). ჭირღებულება

(ნ., 45,5). ჭირმორჩენა (ნ., 208,13). ხმაგაგონება (ე., 562,18). ხმა-  
გამწარება (I, 229,15). ხმაგზნება (II, 290,19). ხმაშეკიდება (ნ.,  
30,30).

### 3. კომპოზიციის მეორე კომპონენტი მიმლეობაა

ასეთ შემთხვევაში უმთავრესად გამოყენებულია სასუბიექტო მიმლეობა, ხოლო მასთან დაკავშირებული სახელი შესაძლებელია იყოს ნათესაობითი ბრუნვის სრული ფორმით, ანდა უბრუნვისნიშნოდ, ფუძის სახით. შეინიშნება ისიც, რომ, როდესაც ეს მიმლეობა მ-ელ აფიქსითაა ნაწარმოები, მაშინ მსაზღვრელი კომპონენტი უმეტესად ნათესაობითი ბრუნვის სრული ფორმითაა: დიდისმთქმელი (ე., 535,28). თავსიმკვეთელი (II, 322,21). თვალისმთხრელები (II, 322,21). ნათლისმდებელი (I, 198,12); I, 351,26). ნებისმყოფელი (II, 39,4). ოქროსმდნობელი (II, 142,8). პურისმჭამელი (II, 233,30). ფუძისჩამყრელი (I, 229,22). ცეცხლისმყრელი (ნ., 97,24). ციხისმცველები (II, 315,10). ჯვარისმცემლები (II, 322,22).

იშვიათად კი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი მოკვეცილია და მსაზღვრელი კომპონენტი ფუძის სახითაა: გულდამპყრობელი (ე., 541,28). მეხმფრქვეველი (ნ., 28,18). ნათელმდებელი (I, 308,23). ოქრომდნობელი (I, 302,20). ხანძარმტყორცნელი (ე., 543,25).

როდესაც კომპოზიტში შემავალი სასუბიექტო მიმლეობა ოდენ მ-პრეფიქსიანია, ამ შემთხვევაშიც მართული კომპონენტი უბრუნვისნიშნოა: გულგამომხრავე (ნ., 35,110). გულწარმტაცი (ე., 584,18). ვარსკვლავმჩენი (შ, 239,6). თვალდამცეცხლავე (II, 236,8). თვალმცეცხლავე (ე., 397,31). მზემდევი (II, 216,83). შვილდამკარგავი (ე., 394,30). ცეცხლმსუნთქავი (I, 367,19), (I, 384,1). ცეცხლმქშენი (II, 280,9). ჭირმომთმენი (II, 11,16).

ორიოდე შემთხვევაში კი მართული მსაზღვრელი ბრუნვის სრული ფორმითაა: თაფლისმწვეთალი (I, 397,22). მეხთამტეხი (ნ., 59,2).

მართულმსაზღვრელიანი კომპოზიციის მეორე კომპონენტად იშვითად გვხვდება საობიექტო მიმლეობა, ისიც მხოლოდ და მხოლოდ მყოფადი დროისა. ასეთ კომპოზიტში მართული სახელი ფუ-

მის სახითაა: გზაგასაყარი (ე., 608,15). თავდასაქოლავი (ე., 581,19). თვალსაჩინი (II, 172,8). კბილგასაკრავი (ნ., 24,10). ლოდ-საკიდური (ნ., 177,12). სახელსადები (I, 392,1). ცეცხლსაგზებელი (II, 233,19). ძვალჩასალავი (I, 302,26). ჭირსაცემელი (ნ., 163,28). ხელმოსაცერი (I, 278,30). ხელსატაცი (I, 341,11). ხელ-შესახმობი (II, 331,2).

ასეთ კომპოზიციებში მეტად იშვიათია ბრუნვის სრულ ფორმიანი მართული სახელი: გულისმოსალხენი (ნ., 122,28). ხელსაქმარი (II, 213,17).

ამრიგად, გ. ლეონიძის თხზულებათა ენაში მრავალი მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტი აღმოჩნდა. ასეთი კომპოზიტის მეორე კომპონენტად უმთავრესად გამოყენებულია არსებითი სახელი და საწყისი; უფრო ნაკლებად — მიმღეობა. მართული მსაზღვრელი კი წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის ან სრული ფორმით ანდა უბრუნვისნიშნოდ; ზოგჯერ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი თანხმობანმოკვეცილია. მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტების წევრები, როგორც წესი, პრეპოზიციული წყობისაა. ამ საშუალებებით მწერალმა ახალ-ახალი ლექსიკური ერთეულები შექმნა.

### ატრიბუტულმსაზღვრელიანი კომპოზიტები

ატრიბუტულმსაზღვრელიანი კომპოზიტებში მსაზღვრელად გამოყენებულია ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი და არსებითი სახელი.

#### 1. ზედსართავი სახელი მსაზღვრელად

ამ ტიპის კომპოზიტებში ზედსართავი სახელი წინ უსწრებს საზღვრულ კომპონენტს ან მოსდევს მას.

ა) პირდაპირი წყობის კომპოზიტებში ზედსართავი სახელი ფუძის სახითაა:

ახალვარდი (ნ., 89,18). ბერდელა (II, 38,14). ბერ-წიფელი (II, 160,19). ბეჩავ-ბიჭი (ნ., 143,3). დიდმინდვრები (ე., 563,8). დიდუამი (ნ., 200,11). თეთრქვა (II, 233,28). ნახბალიში (ნ., 83,21). ნახევარდმერთი (I, 68,170). შაებიჭი (ე., 557,21; ნ., 106,18). შავ-

კლდე (II, 256,29). შავ-მთა (ნ., 93,19, ნ., 93,10). შავმტევანი (II, 44,26). შავმუხა (II, 23,21). შავსეველა (II, 245,3). შავწყვდიადი (II, 63,2). შავხევი (I, 185,20). ცალმუხლი (II, 284,14). ციფწყარო (ნ., 114,31; II, 74,8; II, 75,21). წვრილხევები (ნ., 197,10).

ბ) ინვერსიული წყობის კომპოზიტებში საზღვრული წვერი ფუძის სახითაა:

მზენათელი (ე., 604,13). ნატვრაცხადი (ე., 619,8). ნაცარცხელი (ე., 13,7), (II, 181,10). ნიაწვრილი (ნ., 42,7). ქარცივი (ნ., 76,2). ხელწვრილები (ნ., 188,13).

## 2. რიცხვითი სახელი მსაზღვრელად

რიცხვით სახელიანი კომპოზიტი მხოლოდ პირდაპირ წყობისაა:

ერთმუხლი (I, 158,20; ე., 139,11). ერთნება (ე., 30,150). ერთსიმხნე (I, 316,23). ერთძლიერება (I, 315,29). ერთძმები (I, 69,16). ერთწაში (II, 319,17). სამღლე (II, 254,17). შვიდ-ბატონი (ე., 561,3). შვიდწალიკი (ნ., 188,31). შვიდწვრთა (II, 278,230).

## 3. არსებითი სახელი მსაზღვრელად

ამ შემთხვევაშიც კომპოზიტი პირდაპირი წყობისაა: ელდაქარი (ნ., 104,33), (II, 314,25). ელექტროვარდი (I, 65,31). ელვაქალი (II, 193,24; I, 201,5). ელვაქალები (II, 275,19). იაფერი (I, 156,18; II, 101,11). აშუქი (II, 148,11). კლდეკაცი (I, 361,20; I, 349,6). კლდეციხე (II, 239,10), (II, 266,4). მზეღლე (II, 41,4). მზეკაბა (ე., 282,1). მზეკაცი (ე., 401,9). მზექარი (I, 76,13). მზეღმერთი (ნ., 22,19). მზეშუქი (ნ., 122,6). მუხა-ვაჟაკი (ნ., 107,19). რქა-ისარი (II, 301,14). სეფე-სანთელი (II, 242,27; I, 383,4). ქვა-კიბე (ნ., 51,21). ქვა-მაჯა (ე., 608,24). ქვაქალი (ნ., 22,21). ჩალა-მეფე (ნ., 143,34). ციხეკლდე (I, 299,8).

გ. ლეონიძის თხზულებათა ენაში ყურადღებას იქცევს ისეთი კომპოზიტები, რომლებშიც ატრიბუტული მსაზღვრელის როლს საკუთარი სახელები ასრულებს:

განმა-ქალი (II, 247,5). ეთერ-ქალი (I, 126,25). თბილის-ქალაქი (I, 231,33; II, 322,18; II, 281,6; II, 265,28; II, 238,3). მყინ-

ვარშო (ე., 524,28). რუსთავ-ქალაქი (I, 282,26). სამგორ-ველი (II, 339,1; II, 327,17).

ატრიბუტულ მსაზღვრელიან კომპოზიტებში საზღვრულად, როგორც წესი, არსებითი სახელია, მაგრამ ზოგჯერ მის ადგილას მიმღეობაც გვხვდება:

ახალთესული (II, 232,6). ახალნათლული (ნ., 87,30). ახალნაკერი (ე., 541,19). ახალნაშენი (I, 341,18). დიდნაგები (ე., 137,15; ნ., 107,27; II, 204,1). დიდნაშენი (II, 204,1; I, 258,10). დიდსამყოფელი (II, 238,30). მალალსამტვრევი (ნ., 78,8). მშვენიერმშენი (I, 399,13; I, 231,21). ოხერმოხეტე (I, 318,19), (II, 238,28). მრავალწმახნილი (II, 146,29). შავმოგარსული (I, 272,7).

როგორც ვხვდავ, გიორგი ლეონიძის თხზულებათა ენაში ატრიბუტულ მსაზღვრელიან კომპოზიტებში მსაზღვრელად უმეტესად გამოყენებულია ზედსართავი და არსებითი სახელები. არაიშვიათად მიმართავს მწერალი ისეთი კომპოზიტების წარმოებასაც, სადაც საზღვრული კომპონენტი მიმღეობაა, ხოლო მსაზღვრელი — ზედსართავი სახელი.

## II. კუთვნილებითი კომპოზიტი

„თუ არსებით სახელს, ფუძის სახით წარმოდგენილს, დაერთო ზედსართავი ან მიმღეობა, მივიღებთ ორ-ცნებიან კომპოზიტს, რომლის მეორე ნაწილი პირველს განსაზღვრავს (ზედსართავი ან მიმღეობა არსებითს), ორივე ერთად კი გვიჩვენებს ნიშანს, რომელიც სხვა საგანს ახასიათებს" (შანიძე, 160). ფაქტიურად ამ ტიპის თხზული სახელებიც განსაზღვრებითი კომპოზიტებია, მაგრამ „მნიშვნელობის მხრივ გამოხატავს ზედსართავით ან მიმღეობით განსაზღვრული არსებითი სახელის ქონას" (თოფურია, 1959, 286) და ამიტომაც ისინი ცნობილია კუთვნილებითი კომპოზიტების სახელით.

გიორგი ლეონიძის თხზულებათა ენაში აღნიშნული ტიპის კომპოზიტების წარმოება მეტად პროდუქტიულია. კუთვნილებით კომპოზიტებს მწერალი ქმნის არსებითი სახელის ფუძეზე ზედსართავი, რიცხვითი და არსებითი სახელების, აგრეთვე მიმღეობის დართვით.

1. ზელსართავიანი კუთვნილებითი კომპოზიტები პირდაპირი წყობით იშვიათად გვხვდება როგორც, საერთოდ, სალიტერატურო ქართულში, ისე ლეონიძის ენაში: მრავალღონე (ნ., 85,29). ძნელბედი (ნ., 173,9).

ამ სახის კომპოზიტები ჩვეულებრივ ინვერსიული წყობისაა: გემოწმინდა (I, 93,40). გონებაბასრი (II, 323,20). გულმაღალი (ე., 535,28). გულთხელი ე., 502,24). გულრბილი (ნ., 134,24). გულტკბილი (I, 351,13), (ნ., 81,18). გულმუხთალი (II, 224,8). გულჩქარი (I, 253,100). გულცეცხლი (ე., 17,18). გულმწარე (ე., 534,20). ენამძლავრი (ნ., 94,28). ენაქლარცი (ნ., 23,34). ვარდნათელი (II, 8,2). თვალვიწრო (ნ., 54,20). თვალსველი (II, 245,8). ლეჩაქრძელი (ე., 535,10). ლოდმაგარი (II, 46,8; ე., 530,16) ; I, 297,2). ლუკამართალნი (I, 387,28). მკერდნათელი (ე., 528,23). მტევანდიდი (II, 12,13; II, 230,27). მუხლმსხვილი (ე., 575,20). ნადიმნათელი (ნ., 205,1). ნიჭმოკლე (ნ., 212,18). პირსუფთა (ნ., 138,8). პირტკბილი (ნ., 210,7). პირცხადი (ე., 29,14). პურდიდი (II, 267,1). პურტკბილი (I, 385,20; ნ., 210,7). პურწმინდა (ნ., 89,1). სახელგემრიელი (ნ., 95,3). სახელმაღალი (I, 305,5; I, 307,14). სიტყვაბრტყელი (ნ., 62,25). სიტყვატკბილი (I, 296,8). სხივსავსე (I, 316,13). სხივინცხალი (II, 63,9). ტანჭრელი (I,337,7). ფეხმტკიცე (II, 134,8). ფხანათელი (ე., 559,13). ქარფიცხელი (I, 300,21). ქვამყარი (I, 254,31; ნ., 76,18). ცალია (II, 98,2). ცხენფიცხი (II, 305,23). ძირძველი (I, 337,6). წელნაზი (I, 351,14). წვივშავი (ე., 537,22). ჭკუაცეტი (ნ., 99,320). ხელმაგარი (ნ., 95,6). ხელმთელი (II, 236,24). ხელმწირე (ე., 538,8). ხელწმინდა (ნ., 58,3). ხმასავსე (I, 100,25). ხმაწყნარი (II, 310,12).

2. საკმაოდ იშვიათია რიცხვითსახელიანი კუთვნილებითი კომპოზიტები: ორენა (ნ., 23,36). ერთრჯულები (II, 234,32). ერთსახელი (II, 250,11).

3. გიორგი ლეონიძე ხშირად მიმართავს ისეთი კომპოზიტების შედგენას, რომელთა ორივე კომპონენტი არსებითი სახელია. ასეთი კომპოზიტები ნაკლებად გვხვდება პირდაპირი წყობით:

აღმას-ბრტყალი (II,236,8). ელვათვალეები (I, 59,15). კლდეშკლავი (ე., 609,7). ლომსახე (II, 293,13). მზეტანი (ნ., 95,30; I, 196,11).

აღნიშნული კომპოზიტები უმეტესად ინვერსიული წყობისაა: ბედქარი (I, 89,26; II, 157,23). გზაძალი (ნ., 96,33). გულზავი (ნ., 69,15). გულმტრედი (ე., 340,16). გულტრედი (ე., 500,3). გულნაზუქი (ნ., 211,20). გულ-რკინა (ე., 30,26). გულქარი (I, 109,6). გულძალი (ნ., 79,27; II, 158,19). გულზე (I, 109,5), (II, 338,19). დეკაკუი (ნ., 85,1). ენაგესლი (ნ., 23,34). თვალმზე (II, 191,17). თვალსამოთხე (ნ., 5,20). თვალჩაჩხი (ნ., 85,25). პირბაშა (ნ., 83,5). პირვარდი (I, 351,13). პირმზვარე (II, 216,23). პირმზვარენი 9II, 229,30). სახემზე (II, 217,16; II, 312,12). ტანვერცხლი (ე., 282,23). ფერთოვლი (II, 262,8). ფრთამარგალიტი (I, 207,9). ფრთამერცხალი (I, 212,11). ფრთაცეცხლი (II, 33,19). შუბლასპიროში (II, 163,5). ცულაფთარი (ნ., 61,36). ძვალმძივი (I, 426,14). წარბქამანდები (II, 86,3).

4. გიორგი ლეონიძის თხზულებათა ენაში მრავალია ისეთი კუთვნილებითი კომპოზიტი, რომლებშიც მეორე კომპონენტია ქონების გამომხატველი სუფიქსებით ნაწარმოები სახელი; ამ შემთხვევაში მწერალს ძირითადად გამოყენებული აქვს -იან და -ა სუფიქსები.

ასეთი კომპოზიტები შეიძლება იყოს როგორც ატრიბუტულ-მსაზღვრელიანი, ისე მართულმსაზღვრელიანი პირდაპირი ან შებრუნებული წყობით.

#### -ი ან სუფიქსიანი კუთვნილებითი კომპოზიტები

ატრიბუტულმსაზღვრელიანი:

ა) პირდაპირი წყობის ატრიბუტულმსაზღვრელიან კუთვნილებით კომპოზიტებში -იან სუფიქსით ნაწარმოებ სახელს ხშირად წინ უძღვის ზედსართავი სახელი:

ავსახელიანი (ნ., 6,12). ალურსიმებიანი (I, 310,24). გრძელჩოხიანი (II, 197,4). მხსვილბარკლიანი (II, 293,3). ქართულკაბიანი (ნ., 5,27). ქერაქოჩრიანი (ნ., 91,5). შავდალიანი (I, 282,14). შავსევლიანი (I, 390,8; ნ., 85,8). ცივლაშიანი (I, 390,2). ცუდგუნებიანი (ნ., 117,26). ცხელსისხლიანი (II, 240,13). წვრილტანიანი (I, 385,15). ხორხოშასიტყვიანი (ნ., 138,21).

ორიოდე მაგალითში პირველ კომპონენტად გვხვდება რიცხვითი სახელი: რეაკონქიანი (II, 268,24). შვიდპარღვიანი (I, 154,24).  
ან მიმღობა:

დაგიშრულქოჩრიანი (ნ., 69,20). მკვდარღმერთიანი (II, 234, 25).

ბ) შებრუნებული წყობის საზღვრულად ფუძის სახით წარმოდგენილია არსებითი სახელი, რომელიც წინ უძღვის მსაზღვრელად გამოყენებულ -იან სუფიქსიან სახელს:

ბედღოვლათიანი (ნ., 85,18). გულღორღიანი (ნ., 35,3). გულცეცხლიანი (ე., 359,10; II, 127,11). გულჭირიანი (ნ., 185,19). გულჭუჭყიანი (ნ., 79,3). ენამზიანი (I, 337,18; ნ., 94,28). თავგზიანი (ნ., 89,5; ნ., 55,6). თავმადლიანი (ნ., 100,7). თავნაშქრიანი (ნ., 121630; II, 81,15; II, 179,22). თავნაცრიანი (I, 386,170). თავნისლიანი (ე., 590,9). თავყინულიანი (ე., 531,33). თვალმერცხლიანი (II, 117,6). თვალნათლიანი (ნ., 81,1). კისერუანგვიანები (ნ., 88,11). მკერდზურმუხტიანი (ე., 24,22). მკერდჯაგრიანი (ნ., 78,15). პირსარკიანი (I, 397,20). პირსიცილიანი (ნ., 55,32). სახელმზიანი (II, 249,27). სახელოცრემლიანი (ნ., 30,7). ტანაბჯრიანი (II, 342,13; ნ., 67,6; I, 286,10). ტანვერცხლიანი (I, 46,33). ქვასისხლიანი (I, 274,11; ე., 65,12). ყბახავსიანი (II, 100,8). ყელმძივიანი (ნ., 28,11). ყელსაბლიანი (II, 294,15). შვილდსისხლიანი (II, 317,18). ცრემლნამიანი (I, 281,20). ხელდროშიანი (I, 322,3), (ე., 33,5). ხმავერცხლიანი (II, 117,8).

მართულმსაზღვრელიანი:

მართულმსაზღვრელიან კუთვნილებით კომპოზიტებში -იან სუფიქსიან სახელს წინ უძღვის არსებითი სახელი, რომელიც ნათესაობითი ბრუნვის სრული ფორმითაა:

ღედისრძიანი (I, 274,6), (ე., 331,3). ვერცხლისფრთიანი (ნ., 170,18). ოქროსფრთიანი (ე., 79,21). ოქროსქამრიანი (ნ., 142,18). ოქროსხმიანი (I, 42,4; II, 29,20).

ზოგჯერ კი მართული მსაზღვრელი ფუძის სახითაა:

გიშერწარბიანი (ნ., 74,26). გრივალხმიანი (ე., 586,18). ოქროლაკმიანი (II, 291,10). ოქროქამრიანი (I, 389,17). ყორანთმიანი (II, 86,3). ჯიხტყავიანი (I, 333,26).

-ა სუფიქსიანი კუთვნილებითი კომპოზიტები

ატრიბუტულმსაზღვრელიანი:

ა) პირდაპირი წყობის ატრიბუტულმსაზღვრელიან კუთვნილებით კომპოზიტებში -ა სუფიქსით ნაწარმოებ არსებით სახელს წინ უძღვის ზედსართავი სახელი:

მრავალქაფა (ნ., 187,8). მშიერ მუცელა (ნ., 131,25). მწვანერთობა (ე., 590,10). მწვანე რტობა (I, 90,12). ყვითელქონორა (ნ., 7,32). შავხალათა (ე., 619,6). ჩალისფერულვაშა (ნ., 79,27). ცალმკლავა (ნ., 74,23).

ბ) უფრო მცირეა შებრუნებული წყობის -ა სუფიქსიანი კუთვნილებითი კომპოზიტები, რომლებშიც მეორე წევრად ზედსართავი სახელია:

ბროლნათელა (ნ., 94,31). პირნათელა (I, 114,8). ყელმაღალა (I, 347,8; II, 202,19). შუქელფერა (ნ., 5,9).

ამ უკანასკნელთა სიმცირე შესაძლებელია იმითაცაა გამოწვეული, რომ მათში უამსუფიქსოდაც კარგადაა გამოხატული კუთვნილებითი შინაარსი: ყელმაღალი, ბროლნათელი...

შებრუნებული წყობისაა აგრეთვე ისეთი კუთვნილებითი კომპოზიტები, რომელთა პირველი წევრი საზღვრულად გამოყენებული ფუძის სახით წარმოდგენილი არსებითი სახელია, მეორე წევრი კი - -ა სუფიქსით ნაწარმოები მსაზღვრელი:

გვერდიქალა (II, 279,25). გზაბაწრა (II, 257,1; ნ., 152,9). გულნაზუქა (ნ., 204,16). თავქონორა (I, 41,27). თავცეცხლა (ნ., 208,32). თმათაფლა (II, 20;12). კოჭიბროლა (II, 247,30). მზეჯავარა (ნ., 168,25). პირთაფლა (I, 97,18). სისხლმაჭარა (ნ., 215,8). ტანბროლა (ნ., 194,22). ყელქედანა (ნ., 107,30). ძუძუმარწყვა (I, 351,16).

მართულმსაზღვრელიანი:

მართულმსაზღვრელიან კუთვნილებით კომპოზიტებში -ა სუფიქსით ნაწარმოებ სახელს წინ უძღვის მართული არსებითი სახელი, რომელიც ან ბრუნვის სრული ფორმითაა, ანდა ფუძის სახით:

ა) მართული სახელი ნათესაობითის სრული ფორმითაა:

ალვისტანა (ე., 392,28). ბალისტარა (ე., 388,27). გოჭისკუდა (ნ., 87,21). იისთვალება (ნ., 7,32; I, 55,9), (I, 99,6). იისფ-

რება (I, 255,15). მთვარისპირა (I, 247,21). ნისლისფერა (ნ., 165,15). ოქროსყელა (ნ., 95,3). უსნიფერა (ნ., 80,36).

ბ) მართული სახელი ფუძის სახითაა:

არწივთვალება (II, 340,8). ბროლტანა (I, 114,11). ბროწეულ-გულა (ე., 632,4). გიშერთვალა (I, 249,16). ვაზფურცელა (ნ., 8,27). ლერწამტანა (II, 20,12). მზეთვალა (II, 298,11; II, 141,14; I, 144,8), (ნ., 93,26). ოქროკვერცხა (ნ., 10,31). ოქრომკერდა (II, 8,27). ოქროშინდა (ე., 618,14). ოქროშხაპა (II, 216,24). ოქროძირა (II, 338,10). ფოლადგულა (ნ., 85,1). ქარფეხა (ნ., 90,14). შაქარტუჩა (I, 351,15). შუქურთვალა (II, 193,21), (II, 194,8). ძუძუმკერდა (ნ., 129,31). ჯილათვალება (ნ., 93,4; ნ., 69,20).

5. გიორგი ლეონიძის თხზულებათა ენაში დიდი რაოდენობით გვხვდება კუთვნილების გამომხატველი მიმღებობიანი კომპოზიციები. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია საობიექტო მიმღებობიანი კუთვნილებითი კომპოზიციები, არაიშვიათია აგრეთვე სასუბიექტო მიმღებობიანებიც.

#### ს ა ო ბ ი ე კ ტ ო მ ი მ ღ ე ო ბ ი ა ნ ი კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ი თ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი

ცნობილია, რომ „ქართულ ენაში ნამყო დროის მიმღებობა ვნებითი გვარისაა, მოქმედებითი გვარი მას არ გააჩნია. ამიტომ მოქმედებითი გვარის მიმღებობის გადმოსაცემად ენა სხვა საშუალებას მიმართავს — მოქმედებითი გვარისათვის ფორმებს ვნებითისაგან სესხულობს, სახელდობრ, ვნებითი გვარის სუბიექტური მიმღებობის წინ პირდაპირი ობიექტი დაისმის და, ამგვარად, ვლელობთ მოქმედებითი გვარის ნამყო დროის მიმღებობას, რომელიც ფორმით ვნებითია და მიმღებობის მაწარმოებელი პრეფიქსის ნაცვლად პირდაპირი ობიექტი აქვს დასმული; უკეთ რომ ვთქვათ, მივიღეთ კომპოზიტი, რომელიც მთლიანად მსაზღვრელის როლში გამოდის და მოქმედების სუბიექტს გამოხატავს. მაგ.: „ამოწვდილი ხმალი“, მაგრამ „ხმალი-მოწვდილი (ვილაც)“... (მრეველიშვილი, 1957, 171).

ასეთი ტიპის კომპოზიციები ბევრზე ბევრია გიორგი ლეონიძის თხზულებათა ენაში. ამიტომაც ნიმუშების დასახელებისას გარდა ანბანური თანამიმდევრობის დაცვისა, მაგალითები დავაჯგუფეთ აგრეთვე მიმღებობის მაწარმოებელი აფიქსების მიხედვით.

-ულ სუფიქსიანი:

აბჯარმსხვერული (II, 37,10). აბჯარცმული (I, 310,11), (II, 30,3). ალაკრული (ნ., 94,27; ნ., 151,19; ნ., 170,19). აღმასამტკერებული (II, 214,7). აღმასასხმული (II, 84,32). აღმასგადმოფანტული (ნ., 188,25). აღმასმოფრქვეული (I, 56,16). აღმასცხეული (ე., 350,19; II, 127,20; ნ., 102,12). ასოხლართული (I, 328,24). ბალახშერული (II, 67,18). ბედგაცხელებული (I, 119,8). ბოდვარული (I, 119,15). გალაენებგადავლებული (II, 45,5). გემოაღებული (ნ., 130,14). გზაგახიდული (I, 284,19). გზადახურული (ე., 282,14). გუთანგავლებული (ნ., 192,7). გულაზავთებული (ნ., 181,25). გულამოკირული (I, 340,24), (ე., 54,17). გულბორგნეული (II, 304,22). გულგადაფერებული (ნ., 110,6). გულგახარებული (II, 343,21). გულგადაბზარული (II, 342,26). გულდაბურული (ნ., 92,18). გულ-დამერცხლებული (I, 339,21). გულდამსხვერული (ნ., 153,5; ნ., 181, 25). გულდაქანცული (I, 68,33). გულდაღამებული (ნ., 185,17). გულდაძაგრული (I, 62,18). გულმობრუნებული (ნ., 179,26). გულშემტკიცებული (ე., 27,13). გულშერყეული (II, 241,29). გულშესრულებული (ნ., 92,30). გულშფერთხილავებული (ნ., 91,19). გულშემრული (ნ., 177,11). გულშეწირული (II, 294,6). ეკალდასხმული (ნ., 28,15). ვაზდაბურული (I, 101,16). ვარაყფრქვეული (I, 296,27). ვარაყშფრქვეული (II, 20(23). ვარდასხმული (II, 56,7; II, 56,18), (ე., 588,16). ვარდებგაბნეული (II, 203,3). ვარდნეული (ე., 389,27), (I, 358,10). ვარსკვლავჩახვეული (ე., 527,25). ზაფარადაცემული (ნ., 162,1). ზეთმოგდებული (I, 97,14). ზღაპართქმული (ე., 617,18). თავგაზიღული (II, 251,3). თავდამსხვერული (II, 136,22). თავდაფქული (II, 330,16). თავმორეული (ნ., 30,4). თავჩამორღვეული (ნ., 65,13). თავჩინებული (ნ., 201,11). თავთაქანსხმული (I, 343,17; ე., 138,30). თამაღობა-დაკურთხებული (ნ., 89,56). თვალდაფქული (ნ., 131,23). თვალდარუბლული (I, 72,9). თვალებგადაპარაწული (ნ., 100,3). თვალმიმსჭვალული (ნ., 199,10). თვალშემსჭვალული (II, 198,19), (II, 331,8). თვალშეხედული (ნ., 194,16). თვალცემული (ნ., 189,25). თმაგამოწნული (I, 153,9). თმადაბურდული (II, 334,22; I, 318,23), (ნ., 185,24). თმადაგრუზული (II, 283,17). თოვლდაბუმბლული (I, 240,24). თოვლშებუმბლული (I, 263,7). იამორეული (I, 55,13). კაბააკვალთულე-

ბი (II, 199,18). კალთაჩახეული (ნ., 126,3). კვირტგამორეული (ნ., 73,30). კლდემოკიდებული (I, 235,17). კურცხლმიწებებული (ნ., 30,8). ლომდახატული (II, 339,11). მარილგაცხელებული (ნ., 210,8). მზედაფლული (I, 63,22). მზეჩაცმული (I, 196,11). მკერდამართული (II, 134,8). მკერდამოვსებული (ნ., 161,14). მკლავდაძალული (II, 253,16). მუზარადდადგმული (II, 289,22). მუცელგადმოგდებული (ნ., 84,23). მჭადგახვეული (ე., 537,11). ნაღმმიცემული (ე., 371,22). ნიამორეული (I, 55,14). ნისლმოდებული (ნ., 100,35). ნისლწაკრული (ნ., 44,7). ნუკრდახატული (I, 302,8). ოფლმოსხმული (ნ., 115,4). ოქროსყიდული (ე., 537,5). ოქროცმული (II, 325,24). ოქროხატული (I, 328,22). პირაკვამლებული (ნ., 185,26). პირშეწილებული (ნ., 63,12). პირშეწილებულნი (ნ., 121,28). ჟანგშეჭმული (184,31). რქაგადახვეული (ნ., 90,13). რქაგადაღებული (ნ., 6,7). რძეშეფრქვეული (ნ., 123,15). საწვიმარგადაცმული (ნ., 188,15). სახაზავდაკრული (ე., 622,9). სახედასხივიანებული (ნ., 92,33). სახე-დაქანცული (ე., 390,8). სახელგასული (ნ., 102,28). სახელო გადაწეული (ე., 608,20). სევდაშერეული (II, 274,16). სილაგარტყმული (ნ., 151,19). სიმტკიცე მომატებული (ნ., 128,20). სულარაცმული (ე., 619,12). სხივგაძარცული (I, 49,8). სხივმოსხმული (ე., 557,29). სხივმესხმული (I, 198,10). ტანაძარცული (ნ., 117,30). ტანისამოსშელახული (ნ., 215,6). ტვინგადაბრუნებული (ნ., 99,28). ტომარაწამოსხმული (ნ., 138,23). ტუჩაბზუკულები (ნ., 207,14). ტყლაპჩადებული (ნ., 85,14). უღელდებული (I, 362,6). ფერცებული (ნ., 81,2). ფეშტემალაფარებული (ნ., 85,2). ფრთავადაკრული (ე., 577,20). ქვადამსხვრეული (I, 54,15). ქონწაცხებული (II, 231,31). ქორდაბურდული (ე., 588,25). ქრთამაღებული (ნ., 182,25). ქუსლამოკრული (I, 158,12). ღვინომოკიდებული (ნ., 33,33). ღვინოსმულები (ნ., 99,25). ღმერთმოჩვენებული (I, 123,40). ყაყაჩოგარეული (ნ., 5,16). ყბაშეთეთრებული (ნ., 56,3; ე., 579,12). შალწამოგდებული (ნ., 109,28). შარვალგამოღადრული (ნ., 89,30). შვილდგადაცმული (II, 241,150). შვილმოკლული (II, 321,27). შტოდარხეული (II, 37,12). შუბლდაბურული (I, 402,8). შუბლგაცხელებული (ნ., 193,14). შუბლშელარული (ე., 343,23). შუბლწაწეულნი (I, 310,11). შუქმიწეული (I, 359,10). ცადარუბლული (ნ., 5628). ცვარდაცვარული (ნ., 122,29; I, 425,25). ცვარმომცვრეული (ნ., 55,21). ცრემლდასხმული (ნ., 29,35). ცრემლებდასხმული (ე.,

626,28). ცრემლდაწვიმული (ე., 603,7). ძალიმშვებული (ნ., 17,10). ძარღვდაღულებული (II, 184,3). ძარღვდაშინებული (ნ., 100,34). ძარღვებ-გაცხელებული (ნ., 94,9). წამწამშერაზმული (II, 45,1). წვერჩამობანდული (ნ., 28,5). წილდებული (I, 361,21; I, 62,15; ნ., 177,18). წყვლიადგამოსურმული (ე., 533,22). ჭაობებჩატირებული (II, 209,12). ჭირდებული (ნ., 159,24). (ნ., 151,31), (ნ., 59,29). ჭკუამომატებული (ნ., 80,11). ჭორშესხმული (ნ., 166,20; ნ., 214,24). ხავსდასხმული (ნ., 66,14). ხელგაძარცვული (II, 253,16). ხელმიწეული (ე., 27,8). ხელებშეტაცებული (ნ., 131,35). ხელანთებული (II, 324,8). ხმალგამტვრეული (II, 307,2). ხმალდაბლუჯული (II, 340,18). ხმალმომშეულები (ე., 606,26). ჯანდალანდული (II, 303,18). ჯიბეგასუქებული (ნ., 142,18), (ნ., 88,23).

-ილ სუფიქსიანები:

აღ-ატეხილი (ე., 8,28). აღმურადენილი (ნ., 188,18). ანაფორაშემოკეცილი (ნ., 182,3). ბოლომოჭრილი (ნ., 177,14). გულაშლილი (ე., 583,6). გულგაგლეჯილი (I, 355,29). გულგადარეული (ე., 602,24). გულგაკვერილი (ე., 605,25). გულგაწმენდილი (ნ., 51,12). გულდათოვლილები (ნ., 88,21). გულდაჭრილი (I, 303,19). გულშელწილი (I, 153,5). გულშეწყვეტილი (I, 121,12). გულ-წარყვნილი (ე., 398,4). დღეწავლილი (II, 39,10). ენამოტეხილი (ნ., 137,110). ვაზგატყვილი (ნ., 78,2; ე., 54,20). ვარდებგამოყვანილი (ე., 596,27). ვარდმოფენილი (ნ., 123,12). ვარდფენილი (ე., 575,14). ზავთაშლილი (II, 218,29). ზარტეხილი (II, 77,7). ზურგმოცვეთილი (II, 338,3). თავაყრილი (ნ., 57,5; ნ., 41,24; II, 306,16). თავდადრეკილი (ნ., 215,11; ნ., 30,11; II, 292,10), (II, 270,20), (ნ., 154,13). თავსმოხლილი (II, 313,17). თავჩენილი (I, 401,26), (II, 192,17). თავწაგრავნილი (ე., 26,26). თავთავდაწმენდილი (ნ., 6,8). თვალდაშრეტილი (I, 390,11). თოვლგადავლილი (ნ., 106, 7-8). თოფმოსხვედრილი (I, 360,5). კოკორგახსნილი (ნ., 115,7), (I, 124,6). ლოდებამოხეთქილი (II, 220,14). ლოყებატკრეცილი (ნ., 7,32). მამულამოწყვეტილი (II, 320,19). მკერდგამომძონძილი (II, 210,12). მტვერგადარეცხილი (ნ., 167,8). მუხლჩაზრილი (II, 62,10). ნათელფენილი (ე., 287,14; ე., 287,22). ნაცარყრილი (II, 338,18). ნიკაპაყრილი (ნ., 138,8). ნისლაყრილი (ნ., 28,23). ოფლჩამოდვეთილი (ე., 572,26). ოქროდნობილი (ნ., 138,8). პირმოლოქრო-

ვილი (ნ., 160,15). პირმოჩეხილი (ნ., 86,16). პურმოხდილი (ნ., 214,32). რძევაკსილი (I, 84,7). რძედაღვრილი (ე., 395,9; ე., 556,25), (ნ., 40,21; II, 91,17). რძეჩაღვრილი (I, 389,3). სახელფენილი (ე., 583,17). სახეშეკომლილები (ნ., 172,6). სახენასერილი (ნ., 74,23). სიპოხეგამოწოვილი (ნ., 189,25). სისხლდაწკრეტილები (ნ., 159,31). სისხლშესვრილი (II, 301,13). სხივაკერფილი (ე., 633,9). სხივაქორილი (ე., 565,26). ტანდაღვრეკილი (II, 341,26). ტანშევერცხლილი (ნ., 192,12). ტყავახდილი (II, 120,13). უღვაშშემოყრილი (ნ., 209,6). ფარგახეთქილი (II, 301,4). ფერგადატეტილი (ნ., 71,22). ფესემოკვეთილი (ნ., 183,19). ფიცგაწვეტილი (ნ., 86,12). ფოლადწობილი (ნ., 625,16). ფრთაშვერილი (II, 298,24). ფრთაგატყორცნილი (I, 158,40). ფრთაშემოღვეწილი (I, 358,23). ფრთაშემუსვრილი (II, 136,16). ფრთაშეტეხილი (I, 149,14). ქაფშეტყორცნილი (ე., 24,11; II, 58,25). ქედწაგრეხილი (ე., 613,10; ნ., 14,8), (ნ., 172,36), (ე., 631,9). ღვარტეხილი (ე., 32,18). ყბაგამოტენილი (ნ., 209,11). ყბამოქნილი (ნ., 137,11). ყელმოჭრილი (ნ., 80,11). ყვავილგარჭობილი (I, 100,3). ყურებდაღვრევილი (ნ., 108,1). ყურდაპყრობილი (ნ., 6,33). შაქარწაყრილი (I, 400,23). ჩოქმოყრილი (ე., 560,16). ცეცხლდაკვესილი (ე., 622,23; ე., 622,24). ცეცხლშეფენილი (ე., 12,24). ცვარგადაყრილი (ე., 622,23; ე., 548,20). ცრემლგაბანილი (I, 350,18). ცხვირგატეხილი (ნ., 85,31). ძალჩაყრილი (ე., 623,24). წარბშეტეხილი (ე., 628,16). ხელდაკორძილი (ნ., 55,10). ხმალაყრილი (I, 275,20).

-ნა პრეფიქსიანი:

ბედნაკლები (ნ., 92,1), (I, 130,7). ბროლნამსხვრევი (II, 54,10). ბროლშენაციები (I, 123,3). გულწამალი (ნ., 95,21). ვარდნაბამი (II, 29,4). ვარდნაფენი (ე., 561,32). ზვირთნადულარი (I, 64,2). თავნაჩენი (ე., 589,23), (I, 194,15). თოვლგადანაყარი (ე., 523,8; ე., 55,12). ლექსნაკრავი (II, 197,31). ლოღებშემონაყარი (I, 276,10). მარგალიტნაქსოვი (II, 30,17). ნარგიზნარევი (ე., 592,26; I, 210,3; I, 175,1). ნაფოტნამსხვრევი (I, 231,31). ოქრონაწური (ე., 286,17; I, 292,16). პირნამრუშევი (II, 308,10). რთვილგადანაყარი (I, 159,6). სახელ-ნაქნარი (ნ., 146,23). სახენაცვალი (II, 136,3). სახსრებნალეწი (I, 231,31). სიზმარნანახი (ნ., 120,35). სისხლნადინარი (ე., 526,3). სისხლნასხურები (II, 286,13). სისხლნაცხები (II,

155,8). სისხლნაწოვარი (I, 283,15). სხივნაქსოვარი (I, 56,16). სხივნაფარი (II, 191,21; I, 293,2), (II, 298,20). უკვდავანადები (I, 328,6). ფიქრებნადენი (I, 56,3). ფიქრნალოდნარი (I, 64,7). ფოლადნადები (I, 95,14). ქაფნალესი (ე., 399,32). ქვანაწვიმარი (I, 398,9). ღვარნაფშენი (ე., 585,26). ღმერთნაწყვევარი (II, 251,2). შუქნავარსკვლავები (ე., 55,8). შუქნათენარე (522,27). შუქნათოვარი (ე., 285,17). შუქნასხივარი (I, 328,5). ცეცხლნაკვესები (ე., 526,10). ცვარნაწვიმარი (I, 264,8). ცვარნაწვეთალები (ე., 626,30). ცრემლნასხურები (I, 349,15). წილნაყარი (I, 62,15). ჭირნავაგლანარი (I, 293,15). ჭირნათქვამი (ე., 587,2). ხელნაშენი (II, 149,18). ხელნაჭერი (I, 296,19).

უკუთქმით მიმღობიანი კუთვნილებითი კომპოზიტები: გენია დაუშრობელი (ე., 181,12). გულგაუდრეკელი (ნ., 107,21). გულგაუყოფელი (II, 15,8). დღედაუხსნელი (II, 101,10). თავგამოუბმელი (ნ., 82,33). თვალუქცეველი (ნ., 99,12; II, 153,17). თოვლაუღებელი (ნ., 116,6). კაცობაშეურცხვენელი (ე., 524,8). მკვლავუნიშნელი (II, 331,26). მათრახმოუწნავი (ნ., 141,1). მეგვიდრე-მიუკარები (I, 372,17). პერანგგაუხვევლნი (I, 310,17). პირუყვედრი (ნ., 79,40). სილამაზე-შეუზომელი (II, 191,16). სიმაგრე-დაურღვეველი (ე., 180,19). სისხლგაუდნელი (ე., 571,14). სისხლშეუშრობელი (I, 303,8). სიტყვაშიუგებელი (ნ., 137,13). ტარუკროთომელი (I, 361,17). უბედაუტეგარი (I, 63,32). ფასუთქმელი (I, 199,11). ცეცხლანთები (I, 390,4). ცეცხლჩაუქრობელი (I, 302,24). ხელშეუკროთომელი (ნ., 69,21( I, 345,7)). ხინჯშეურეველი (II, 71,15).

ზემოგანხილულ საობიექტო მიმღობიან კუთვნილებით კომპოზიტებში პირველი კომპონენტი თითქმის ყოველთვის არსებითი სახელია. რამდენიმე მაგალითში მისი ადგილი საწყისს უკავია: ბრძოლაგადახდილი (ნ., 108,28). გაჭირვებადავიწყებული (ნ., 201,9). მოთმინებაგამოლეული (ნ., 132,2). მშვენებამოქანცული (შ, 195,31). მწუნარება-ნარევი (ნ., 76,8). შრომამოუწყობელი (ნ., 158,25). ჭამამოჯერებულები (ნ., 20(,21)).

საობიექტო მიმღობიანი კუთვნილებითი კომპოზიტის პირველ კომპონენტს — არსებით სახელს ზოგჯერ მსახლერელი ახლავს დავილებთ სამ სიტყვიან კომპოზიტს:

ავთვალდაკრული (ნ., 85,8). თეთრსუღარაგადცმული (ნ., 28,1). ირმისტყავადაფარებული (II, 237,30). ორფრთავაშლილი

(II, 161,4). შავთმაჩაშლილი (I, 158,8). შავსახადშეყრილი (ნ., 122,35). შავწამწამშაბურული (ნ., 63,28). შავწყალჩამდგარი (ნ., 72,9). ცალგვერდნგრეული (II, 46,8; ე., 539,16). წითელბაწარშელოცილი (ე., 574,26).

სასუბიექტო მიმღეობიანი კუთვნილებითი  
კომპოზიტები

სასუბიექტო მიმღეობიან კუთვნილებით კომპოზიტებში უმთავრესად გვხვდება მ-არ (მ-ალ) აფიქსიანი მიმღეობა, იშვიათად კი მ-არე აფიქსიანი.

მ-არ (მ-ალ) აფიქსიანი:

ბუნებაშკვდარი (II, 342,8). გულამოშქრალი (II, 221,18). გულგამომწვარი (I, 390,10). გულგამომხმარი (I, 390,11). გულდამდნარი (ნ., 120,2). გულდამტკბარი (II, 339,4), (I, 409,2). გულმიშქრალი (ნ., 39,32). ელვამდგარი (ნ., 193,270. ენამთერალი (ნ., 102,23). ენამცდარები (II, 243,27). ენამცდარი (I, 262,25), (68,18). ენამშლეყარი (ნ., 102,26). ენამძინარი (ნ., 85,24). ვერცხლდამდნარი (ე., 563,29). იაგუნდჩამდგარი (I, 204,9). იშელგამშრალი (ე., 560,21). ნაბიჯგადამგარი (I, 74,9). ოქრომდნარი (I, 392,20; I, 54,12; ნ., 156,7). სახეამწვარი (ნ., 115,4). სახემტკბარი (ნ., 180,16; ნ., 160,14; I, 195,18). სახემშუქარი (I, 146,17). სახეჩამოშტირალი (ნ., 92,18). სიტყვამოშტკბარი (I, 66,17). სიტყვამშრალი (ნ., 98,26). სიტყვამევირალი (I, 399,7). ტყავდამსკდარი (I, 40,23; I, 44,5). ფეხამდგარი (ე., 535,13). ღმერთგადამდგარი (II, 308,11). ღონემიშძრალი (II, 100,8). შიშდამშრალი (II, 108,23). შუქადამდგარი (I, 391,1). ჭკუამწყრალი (ე., 538,8). ხმადამთერალი (I, 347,22). ხმა-მევიარი (I, 126,17).

დასახელებული ტიპის კომპოზიტებში ორიოდე მიმღეობა მ-არე აფიქსიანია:

გულმჩქეფარე (ე., 583,9). მზემწყურვალენი (ნ., 88,26). შირონმოძინარე (II, 200,21). სახებრწყინვალე (ე., 540,25).

### III. ზმნისართიანი კომპოზიტები

ვერ ვიტყვით, რომ ზმნისართიანი კომპოზიტები თანამედროვე ქართულში პროდუქტული იყოს. გიორგი ლეონიძე კი საკმაოდ ინტენსიურად მიმართავს კომპოზიციის ამ საშუალებასაც. მის თხზულებებში უმთავრესად გვხვდება გარე, თანა, მარტო, შინ, წინა და სხვა ზმნისართიანი კომპოზიტები, რომელთა მეორე კომპონენტად, გარდა მიმღებობისა და საწყისისა, შეიძლება სახელიც შეგვხვდეს. ვნახოთ მაგალითები:

გარეგანთხეული (ნ., 108,2). გარემდგომელი (ე., 564,18). გარემზომი (ე., 620,10). გარეტყე (ნ., 196,2). გარექართველი (II, 249, 19; I, 386, 19)., (I, 312,23) ; II, 167,9). გარმოდგმული (ნ., 5,27). გარმთხვეული (ე., 32,16). გარშემომდგარი (ნ., 132,5). ზედამდეგები (ნ., 14,7). ზემდგარი (I, 261,17). ზედსახელი (ნ., 124,13). ზემოთავი (ნ., 83,5). თავქვეჩამდინარი (ნ., 207,21). თანამავალი (I, 262,16). თანამესუფრე (ნ., 203,13). თანამეტოლე (ნ., 181,30). თანაშეთქმული (II, 252,13), (II, 251,13). თანამართალი (ახ., 44,8). თანადგომა (I, 98,24). თანაშეერთება (ნ., 102,20). თანაშეწვენა (ნ., 191,9). თანადგომობა (I, 391,17). თანამკიდრობა (I, 198,21). თანაცალი (ე., 544,4). თანცისკროვანი (I, 242,12). კვლავგაბაწრულნი (I, 312,13). მარტოზე (იხ. ლექსი „ოლე“; I, 39-44, სადაც მრავალჯერაა განმეორებული ეს საინტერესო კომპოზიტი. შინამდეგები (ნ., 14,7). შინგაზრდილი (ნ., 175,4; ნ., 112,14). შინგაკეთებული (ნ., 188,15). შინგასწავლული (ნ., 178,23). შინდაბრუნება (I, 330,17). შინდარჩენილები (ნ., 119,27). შინმოსული (I, 250,1). შინმოსულები (ე., 393,29). შინმოუსვლელი (I, 252,20). შინმოუსვლლობა (ნ., 71,20). შორდამარხულები (II, 50,14). შორსავალი (I, 200,12). შორყოფნა (I, 60,16). წინადამკვრელი (II, 51,17). წინამეტყველი (I, 34,4). წინამთხრობელი (II, 240,28). წინაკაცები (ნ., 77-78, 15-1). წინა-ციხე (II, 282,19; II, 283,3).

როგორც ვნახეთ, გიორგი ლეონიძე ახალი ლექსიკური ერთეულების საწარმოებლად დიდი წარმატებით იყენებს სიტყვაწარმოების ისეთ მძლავრ საშუალებას, როგორიცაა კომპოზიცია. ენაში უკვე შემუშავებული კომპოზიტების საფუძველზე ახალ-ახალი ფუძემდებლის შეერთებით გიორგი ლეონიძე ქმნის მრავალ ლექსიკურ ერთეულს.

ულს. მის თხზულებათა ენაში ამ მხრივ განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა მსაზღვრელიანი კომპოზიციები (განსაზღვრებითი და კუთვნილებითი), მწერალი კვლავ პროდუქტიულს ხდის ზმნისართიან კომპოზიციებს. ასე რომ, კომპოზიცია გიორგი ლეონიძის ენის ერთ-ერთი საინტერესო და თავითმყოფადი უბანია.

ამრიგად, გიორგი ლეონიძე შესანიშნავად იცნობს ქართული ენის სიტყვაწარმოებითს შესაძლებლობებს და დიდი წარმატებით იყენებს მას ახალ-ახალი ლექსიკური ერთეულების შესაქმნელად. სამისოდ მწერალი მიმართავს აფიქსთა აქტივიზაციას: თანამედროვე ქართულში გავრცელებულ აფიქსებს კიდევ უფრო უფართოებს ისე-დაც ვრცელ ასპარეზს, ნაკლებპროდუქტიულ მწარმოებლებს კი კვლავ აქტიურსა და მოქმედს ხდის. ამასთან ამ აფიქსებს ლეონიძე ურთავს უჩვეულო ფუძეებს. იგი არანაკლებ ინტენსივობით იყენებს აგრეთვე სიტყვაწარმოების ისეთ მძლავრ საშუალებას, როგორცაა კომპოზიცია.

სიტყვაწარმოების ამ საშუალებებით გიორგი ლეონიძემ შექმნა მრავალი ნეოლოგიზმი. „რა თქმა უნდა, ახლადწარმოქმნილი ყველა სიტყვა ვერ იკაფავს გზას და ვერ მკვიდრდება სალიტერატურო ენაში. მოქალაქეობრივ უფლებას მათგან მხოლოდ ის სიტყვები მოიპოვებენ, რომლებსაც არ აზის ხელოვნურობის დალი და ნაწარმოებნი არიან საყოველთაოდ ცნობილი ძირეული სიტყვებისაგან ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ენის ბუნების შესაბამისად, ისევე, როგორც ხალხში გავრცელებულ-დამკვიდრებული მრავალი სხვა ანალოგიური სიტყვა“ (ჭუმბურიძე, 1956, 19-20).

\* \* \*

ამრიგად, გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ გიორგი ლეონიძის პოეტურ თუ პროზაულ ქმნილებათა სიტყვიერებამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური ფონდის საგანძურში.

გიორგი ლეონიძეს ხალხური მეტყველება და ძველი ქართული მიაჩნია სალიტერატურო ენის ლექსიკის გამდიდრების მთავარ მასაზრდოებელ წყაროდ. სამისოდ მწერალი წარმატებით იყენებს აგრეთვე ქართული ენის სიტყვაწარმოების უსაზღვრო შესაძლებლობებს. მან „ბევრ სიტყვას შთაბერა ახალი სიცოცხლე, მინავლებული

### III. ზმნისართიანი კომპოზიციები

ვერ ვიტყვით, რომ ზმნისართიანი კომპოზიციები თანამედროვე ქართულში პროდუქტული იყოს. გიორგი ლეონიძე კი საკმაოდ ინტენსიურად მიმართავს კომპოზიციის ამ საშუალებასაც. მის თხზულებებში უმთავრესად გვხვდება გარე, თანა, მართო, შინ, წინა და სხვა ზმნისართიანი კომპოზიციები, რომელთა მეორე კომპონენტად, გარდა მიმღებობისა და საწყისისა, შეიძლება სახელიც შეგვხვდეს. ვნახოთ მაგალითები:

გარეგანთხეული (ნ., 108,2). გარემდგომელი (ე., 564,18). გარემზომი (ე., 620,10). გარეტყე (ნ., 196,2). გარექართველი (II, 249, 19; I, 386, 19).. (I, 312,23) ; II, 167,9). გარმოდგმული (ნ., 5,27). გარმთხვეული (ე., 32,16). გარშემომდგარი (ნ., 132,5). ზედამდეგები (ნ., 14,7). ზემდგარი (I, 261,17). ზედსახელი (ნ., 124,13). ზემოთავი (ნ., 83,5). თავქვეწამდინარი (ნ., 207,21). თანამავალი (I, 262,16). თანამესუფრე (ნ., 203,13). თანამეტოლე (ნ., 181,30). თანაშეთქმული (II, 252,13), (II, 251,13). თანამართალი (ახ., 44,8). თანადგომა (I, 98,24). თანაშეერთება (ნ., 102,20). თანაშეწევნა (ნ., 191,9). თანადგომობა (I, 391,17). თანამკიდრობა (I, 198,21). თანაცალი (ე., 544,4). თანცისკროვანი (I, 242,12). კვლავგაბაწრულნი (I, 312,13). მართოზე (იხ. ლექსი „ოლე“; I, 39-44, სადაც მრავალჯერაა განმეორებული ეს საინტერესო კომპოზიტი. შინამდეგები (ნ., 14,7). შინგაზრდილი (ნ., 175,4; ნ., 112,14). შინგაკეთებული (ნ., 188,15). შინგასწავლული (ნ., 178,23). შინდაბრუნება (I, 330,17). შინდარჩენილები (ნ., 119,27). შინმოსული (I, 250,1). შინმოსულები (ე., 393,29). შინმოსვლელი (I, 252,20). შინმოსვლელობა (ნ., 71,20). შორდამარხულები (II, 50,14). შორსავალი (I, 200,12). შორყოფნა (I, 60,16). წინადამკერული (II, 51,17). წინამეტყველი (I, 34,4). წინამთხრობელი (II, 240,28). წინაკაცები (ნ., 77-78, 15-1). წინა-ციზე (II, 282,19; II, 283,3).

როგორც ვნახეთ, გიორგი ლეონიძე ახალი ლექსიკური ერთეულების საწარმოებლად დიდი წარმატებით იყენებს სიტყვაწარმოების ისეთ მძლავრ საშუალებას, როგორიცაა კომპოზიცია. ენაში უკვე შემუშავებული კომპოზიციების საფუძველზე ახალ-ახალი ფუძეების შეერთებით გიორგი ლეონიძე ქმნის მრავალ ლექსიკურ ერთეულს.

ულს. მის თხზულებათა ენაში ამ მხრივ განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა მსაზღვრელიანი კომპოზიტები (განსაზღვრებითი და კუთვნილებითი), მწერალი კვლავ პროდუქტიულს ხდის ზმნისართიან კომპოზიტებს. ასე რომ, კომპოზიცია გიორგი ლეონიძის ენის ერთ-ერთი საინტერესო და თავითმყოფადი უბანია.

ამრიგად, გიორგი ლეონიძე შესანიშნავად იცნობს ქართული ენის სიტყვაწარმოებითს შესაძლებლობებს და დიდი წარმატებით იყენებს მას ახალ-ახალი ლექსიკური ერთეულების შესაქმნელად. საამისოდ მწერალი მიმართავს აფიქსთა აქტივიზაციას: თანამედროვე ქართულში გავრცელებულ აფიქსებს კიდევ უფრო უფართოებს ისედაც ვრცელ ასპარეზს, ნაკლებპროდუქტულ მწარმოებლებს კი კვლავ აქტიურსა და მოქმედს ხდის. ამასთან ამ აფიქსებს ლეონიძე ურთავს უჩვეულო ფუძეებს. იგი არანაკლებ ინტენსივობით იყენებს აგრეთვე სიტყვაწარმოების ისეთ მძლავრ საშუალებას, როგორიცაა კომპოზიცია.

სიტყვაწარმოების ამ საშუალებებით გიორგი ლეონიძემ შექმნა მრავალი ნეოლოგიზმი. „რა თქმა უნდა, ახლადწარმოქმნილი ყველა სიტყვა ვერ იკაფავს გზას და ვერ მკვიდრდება სალიტერატურო ენაში. მოქალაქეობრივ უფლებას მათგან მხოლოდ ის სიტყვები მოიპოვებენ, რომლებსაც არ აზის ხელოვნურობის დალი და ნაწარმოებნი არიან საყოველთაოდ ცნობილი ძირეული სიტყვებისაგან ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ენის ბუნების შესაბამისად, ისევე, როგორც ხალხში გავრცელებულ-დამკვიდრებული მრავალი სხვა ანალოგიური სიტყვა“ (ჭუმბურიძე, 1956, 19-20).

\* \* \*

ამრიგად, გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ გიორგი ლეონიძის პოეტურ თუ პროზაულ ქმნილებათა სიტყვიერებამ ფასდაუღებელი წვლილი შეიტანა ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური ფონდის საგანძურში.

გიორგი ლეონიძეს ხალხური მეტყველება და ძველი ქართული მიაჩნია სალიტერატურო ენის ლექსიკის გამდიდრების მთავარ მასაზრდოებელ წყაროდ. საამისოდ მწერალი წარმატებით იყენებს აგრეთვე ქართული ენის სიტყვაწარმოების უსაზღვრო შესაძლებლობებს. მან „ბევრ სიტყვას შთაბერა ახალი სიცოცხლე, მინავლებული

ფერფლი გადააცალა და ხელახლა ააჩახჩახა” (ჯორბენაძე, 1987, 231) სწორედ ამიტომაც მისი ლექსიკა ესოდენ ტევადი და მწერლისეული თითოეული სიტყვა „მუხლადი, ბედაური, მამღარი”.

### ლიტერატურა

ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, VI, კომპოზიტი, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბ., 1959.

ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.

მ. შრეველიშვილი, კომპოზიტები ქართულ ენაში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 67, 1957.

ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953.

არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I, თბ., 1946.

ზ. ჭუმბურიძე, სალიტერატურო ენის ხალხურობისათვის: ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1956.

ბ. ჯორბენაძე, ბალავარი მწერლობისა, თბ., 1987.

### გ. ლეონიძის თხზულებები შემოკლებათა განმარტებითურთ

ე. — გ. ლეონიძე, ერთტომეული, თბ., 1954.

I. — გ. ლეონიძე, თხზულებათა კრებული, ტ. I, თბ., 1962.

II. — გ. ლეონიძე, თხზულებათა კრებული, ტ. II, 1963.

ბ. — გ. ლეონიძე, ნატკრის ხე, თბ., 1964.

შინაარსი

I ნაწილი. ძალმოსილება კლასიკოსთა მემკვიდრეობისა

გ. გოგოლაშვილი — ძალმოსილება მეცნიერის სიტყვისა.....	3
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელდების ისტორიიდან.....	5
რუსთველური სახისმეტყველება „დავითიანში“.....	11
წინადადების ერთგვარ მთავარ წევრთა განმზოლოების შემთხვევები სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“ ენაში.....	27
გრიგოლ ორბელიანი — „შემაერთავი ხიდი“.....	33
ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკის პოეტური სინტაქსი.....	39
სამი ღვთაებრივი საუნჯე ილია ჭავჭავაძისა.....	48
ეროვნული თვითმყოფობის დამკვიდრების სადარაჯოზე (ილია, ვაჟა, აკაკი).....	70
საგრამატიკო თვალსაწიერი იაკობ გოგებაშვილისა.....	97
შოი არაგვისპირელის თხზულებათა სათაურების სახელდების ექსპრესია.....	101
ნიკოლოზ ლორთქიფანიძის პროზის ენობრივი ექსპრესია.....	105
„და“ კავშირის სინტაქსურ-სემანტიკური და ინტონაციური პარადიგმები (დ. კლდიაშვილის პროზის ენის მიხედვით).....	110
რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“.....	124
მიხეილ ჯავახიშვილი და ქართული სალიტერატურო ენა.....	126
ვასილ ბარნოვის თხზულებათა ენის ერთი სინტაქსურ-სტილური თავისებურების შესახებ.....	146
ძალმოსილება შემოქმედებითი მემკვიდრეობისა (საბა ორბელიანისეული მემკვიდრეობის ანარეკლი კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებით ნააზრევში).....	151
რევაზ ინანიშვილის სიტყვიერი სამყარო.....	163
მარტოვების პრობლემა გოდერძი ჩოხელის ნააზრევში.....	169

გურამ რჩეულიშვილის პროზის ენის „ენების სიმძაფრე“.....	177
ანა კალანდაძის პოეზია – მზის საგალობელი.....	181
ძალმოსილება ოთარ ჩხეიძის სიტყვიერებისა.....	194

## II ნაწილი. გიორგი ლეონიძის ქართული

მსახურება ქართული სიტყვისა.....	207
ხალხური მეტყველების ნაკადი გიორგი ლეონიძის ენაში.....	209
ონომასტიკური ლექსიკა გიორგი ლეონიძის ენაში.....	229
ძველქართული ლექსიკა გიორგი ლეონიძის მხატვრულ ქმნილებებში.....	250
✓სიტყვათქმნალობა გიორგი ლეონიძის ენის მიხედვით.....	274
სახელთა წარმოქმნა გიორგი ლეონიძის თხზულებათა ენაში.....	288
მიმღობის წარმოების თავისებურებანი გიორგი ლეონიძის ენაში.....	329
კომპოზიტები გიორგი ლეონიძის ენაში.....	345

დაიბეჭდა:

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.

☎ 239-15-22

E-mail: meridiani777@gmail.com

